განათლება

რედაქტორი: თემურ ჯაგოდნიშვილი
თანარედაქტორი: რაფაელ გუზმან ტირადო

GANATLEBA

Georgian Technical Unicversity
Georgian Academy of Education Sciences

Editor: Temur Jagodnishvili
Coeditor: Rafael Guzman Tirado

№ 1 (32) 2021

ISSN 2346-8300

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

განათლება

GANATLEBA

ყოველკვარტალური რეფერირებადი და
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

1(32)
2021

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით

(ოქმი №7)

№ 1(32), 2020 წელი

რედაქტორი — თემურ ჯაგოდნიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თანარედაქტორი რაფაელ გუსმან ტირადო — პროფესორი, გრანადის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

რედაქტორის მოადგილე - ზურაბ ჩაჩხიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

საredakcio კოლეგია:

ლია ქათამაძე — პასუხისმგებელი მდივანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლია მენთეშაშვილი — პროფესორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ანზორ აბრალავა — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ირაკლი გაბისონია — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
გელა ყიფიანი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ელისაბედ ხახუტაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ივანე ჯაგოდნიშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ვახტანგ მაღრაძე— პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ზურაბ გამეზარდაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ლია მეტრეველი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თამარ ბონდარენკო — ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თამარ ხოხობაშვილი — პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ნიკო ჯავახიშვილი — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით გოცირიძე — პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ხუხუნი — მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ირჟი კლაპკა — პროფესორი, კარლოსის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)
ტომას შმიდტი — პროფესორი, ბერნის უნივერსიტეტი (შვეიცარია)
სესილია ოდე — პროფესორი, ამსტერდამის უნივერსიტეტი (ჰოლანდია)
გალინა ტროფიმოვა — პროფესორი, მოსკოვის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი (რუსეთი)

რედაქცია: თემურ ჯაგოდნიშვილი
რაფაელ გუსმან ტირადო

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია

სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: http://gtu.ge/Journals/newsletters

ელ-ფოსტა: **ganatleba2018@gmail.com**

ISSN 2346-8300

GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

№ 1(32), 2021

Editor – Temur Jagodnishvili, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

Coeditor – Raphael Guzman Tirado – Professor, University of Granada (SPA)

Sub-editor – Zurab Chachkhiani, Professor, Georgian Technical University, Academician of Georgian Educational Sciences

EDITORIAL BOARD:

Lia Katamadze – Responsible Secretary, Associate professor Georgian Technical University
Lia Menteshashvili – Vice-President of Georgian Academy of Education Sciences
Anzor Abralava – Professor, Georgian Technical University
Irakli Gabisonia – Professor, Georgian Technical University
Gela Kipiani – Professor, Georgian Technical University
Elisabeth Khakhutashvili – Associate professor, Georgian Technical University
Ivane Jagodnishvili– Professor, Georgian Technical University
Vakhtang Magradze – Professor, Georgian Technical University
Zurab Gamezardashvili– professor, Georgian Technical University
Lia Metreveli– professor, Georgian Technical University
Tamar Bondarenko – Associate professor Georgian Technical University
Tamar Khokhobashvili – professor, Georgian Technical University
Niko Javakhishvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
David Gothsiridze – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Giorgi Khukhuni –Professor, Lingvistic University of Moscow
Jiri Klapka – professor, Karlos University (CZE)
Tomas Schmidt – Professor, University of Bern (SUI)
Cecilia Ode – University of Amsterdam (NED)
Galina Trophimova – Professor, Moscow University of Friendship of People (RUS)

Editor office: Temur Jagodnishvili,
Raphael Guzman Tirado

Technical editor: Asmat Pipia

The authors are responsible for the accuracy of the facts in the article

Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU
TEL.: (032) 236 57 07
web-said's adress: http://gtu.ge/Journals/newsletters
e-mail: ganatleba2018@gmail.com

ISSN 2346-8300

შინაარსი

განათლების მეცნიერებანი

ქეთევან კვესელავა, ირაკლი ბოჭორიშვილი, ხათუნა ბარდაველიძე
მულტიმედიური პროექტი, როგორც კომუნიკაციის ინტერაქტიული საშუალება 13

თამარ სილაგავა, ირმა ჩარტია
პანდემია და სკოლის მოსწავლეთა დამოკიდებულება 19

ჟურნალისტიკა

ნუგზარ სიხარულიძე, ინგა ქონიაშვილი
წერითი და ზეპირი კომუნიკაციის ურთიერთმიმართების საკითხები და მათი მნიშვნელობა გუშინ და დღეს 22

ნუგზარ სიხარულიძე
მასმედიის შესაძლებლობები კომუნიკაციურ ველში 26

ვაჟა პაპასკირი
ზოგიერთი რამ ჟურნალისტური ფსიქოლოგიის შესახებ 29

ვაჟა პაპასკირი
დარწმუნებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის გააზრებისათვის მასმედიაში 35

ტატიანა მეგრელიშვილი
საქართველოში რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სოციალური პარადიგმა ტრანშისტორიულ მოძრაობაში 40

პაატა არუშიძე
სამეწარმეო აქტივობა ბათუმში „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ განთავსებული რეკლამების მიხედვით 44

ქეთევან გიორგობიანი
აშშ-ს ტელემაუწყებლობა 49

რუსუდან ლორთქიფანიძე, ქეთინო შენგელია
აფხაზ და რუს ბლოგერთა პოზიციები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებით 53

მამუკა შელეგია
მწერალი და რეკლამა 55

თეონა არველაძე
უცხოელი ავტორების პუბლიკაციები გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (პარიზი 1926-1939 წწ) 61

ნინო ნატროშვილი
კონვერგენციის გავლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შემოსავლებზე საქართველოში 65

ცირა ჟორჟოლიანი
პოლიტიკური პროპაგანდის გამოყენება და ეფექტები 69

მაკა სვიმონიშვილი
მედიასაშუალებების გავლენა ელექტორატის არჩევანზე 73

ინგა ქონიაშვილი
არგუმენტული დისკურსის კომუნიკაციური ინტენცია ი.ცურტაველის“შუშანიკის წამების“ ინგლისურენოვან თარგმანებში 76

ლანა შენგელია
ზვიად გამსახურდია და პოლიტიკური გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ ... 81

თამარ ჭეჟია
მედიის ეკონომიკური პლატფორმები ციფრულ ეპოქაში 87

ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ვაჟა დანელია
სასპორტო ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ 90

მურმან თავდიშვილი
ვამეყ დადიანი და მისი ოჯახი ე.წ. ,,აბდულმესიანსა“ და ფეშანგის ,,შაჰნავაზიანში“ 96

თამარ მებუკე
ელექტრონული ტექსტის სტრუქტურა 99

თამარ შაიშმელაშვილი
„ცისა და ქვეყნის შემკვრელი“ - ფიქრები აკაკის ნეშტთან 103

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ

ნანული ღიბრაძე, ელისაბედ ხახუტაშვილი, იზოლდა ყურაშვილი
ინფორმაციული საზოგადოების ევოლუცია 106

არსენ ბურჯალიანი, მირანდა ბორცვაძე
სოციალური ტელერეკლამა და სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში 111

როზა გაფრინდაშვილი
დემოგრაფიული აფეთქების მოგვარების მექანიზმები 114

ომარ ტაბუცაძე
სოციოლოგია ძველ აღთქმაში ანუ ძველი აღთქმა სოციოლოგიაში 118

ხათუნა საგინაშვილი
არის კი ლოქდაუნი პანაცეა?! 123

ოთარ გველესიანი
სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალისტური მოდელები კანონის სისტემის წინაშე 127

ინა ეგიევი
გლობალიზაცია და კულტურა 132

მაია თოიძე
ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა შრომითი ორგანიზაციებისათვის 136

სულხან ინაიშვილი
სოციალური კეთილდღეობა თანამედროვე საზოგადოებაში 140

მარიამ პაპიაშვილი
მოსწავლის თვითაღქმის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტები ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის მაგალითზე..... 143

სოფიო ფაჩულია
ქალი ისლამში..... 145

სანდრო ცოცხალაშვილი
ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის გავლენა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე..... 150

გიორგი წიკლაური
სელფის ცნება მეცნიერებაში და მისი განვითარება..... 152

ბაჩო ბითარი ხუროშვილი, ბუბა ხუცურაული
საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი და იმპლემენტაცია 2014- 2020 წლებში 155

ფილოსოფია-ფსიქოლოგია

ლია სვანიძე
მოტივაციური სფეროს როლი და მნიშვნელობა მედიცინაში..... 163

საერთაშორისო ურთიერთობები

მადლენა კოწოწაშვილი
ევროკავშირის და ახლო აღმოსავლეთი: საგარეო პოლიტიკა, ძალთა ბალანსი და
თანამედროვე საფრთხეები 173

ავთანდილ კალმახელიძე
პრეზიდენტის ინსტიტუტი საფრანგეთში 181

ნინი კიკვაძე
რელიგიური ორგანიზაციები საერთაშორისო ურთიერთობებში 186

ბექა ნამორაძე
ევროკავშირის კრიზისი: ბრექსიტი და თანამედროვე გამოწვევები..... 191

მარიამ ღაჭავა
თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და ტრანსნაციონალური ორგანიზებული
დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და
ევროკავშირში. 197

საჯარო ადმინისტრირება

ლია აბლოთია, ეკატერინე დემეტრაშვილი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის სირთულეები კერძო და საჯარო სექტორში ვიდეოთვალთვალის
განხორციელების დროს..... 201

ეკონომიკა და ბიზნესი

ელისაბედ ხახუტაშვილი, ნანული ღიბრაძე
ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფია 205

ასმათ ფიფია, ნინო ომანაძე
ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები..... 209

მარიამ მარგიანი
გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე 212

ვალერიან ჩანჩიბაძე
მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად თანამედროვე კორპორატიული მეთოდოლოგიის გამოყენება 216

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ირაკლი ანჩაბაძე
სასამართლო-საექსპერტიზო არქეოლოგია და ანთროპოლოგია 219

მარიამ იზორია
კერამიკის განვითარების თავისებურებები უძველეს საქართველოში 224

ლევან ლაცაბიძე
თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია 228

ნანა რეზესიძე
დმანისი სავაჭრო გზაჯვარედინზე 233

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

ოთარ ჯაფარიძე, მარი ბანძელაძე
მთის ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში 237

ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ

სიმონ ბიწაძე
ტრანსვერსალების ზოგიერთი თვისების შესახებ 246

სიმონ ბიწაძე
მონაკვეთების აგება მათი კომბინაციების მიხედვით 249

ხატია ნადირაშვილი, დავით სონღულაშვილი, ცეზარ გოლეთიანი
სენსორული დისკრიმინაციის საფუძვლები ვირტუალური სხეულის in vitro ტვინის უჯრედულ პასუხებში 251

CONTENT

EDUCATION SCIENCES

Ketevan Kveselava, Irakli Bochorishvili, Khatuna Bardavelidze, Liana Tedeshvili
Multimedia project as an interactive means of communication 13

Tamar Silagava, Irma Chartia
Pandemic and attitude of scholars to it 19

JOURNALIZM

Nugzar Sikharulidze, Inga Koniashvili
Interrelationships between written and oral communication and
their significance yesterday and today 22

Nugzar Sikharulidze
Then and now 26

Vaja Papaskiri
Something about the psychology of journalism 29

Vaja Papaskiri
Understanding the psychology of communication and persuasion in the mass media 35

Tatiana Megrelishvili
The social paradigm of Russian-language journalism in Georgia in the transhistoric movement 40

Paata Aroshidze
Commercial activity in Batumi according to the advertisement
"Galaktion Tabidze Magazine" 44

Ketevan Giorgobiani
U.S. Broadcasting 49

Rusudan Lortkipanidze, Ketino Shengelia
Positions of Abkhaz and Russian bloggers about the Georgian-Abkhaz conflict 53

Mamuka Shelegia
Writer and advertising 55

Teona Arveladze
Publications of Foreign Authors in the Newspaper "Independent Georgia"
(Paris, 1926-1939) 61

Nino Natroshvili
Convergence Impact on Media Revenues in Georgia 65

Tsira Zhorzholiani
The use and effect of political propaganda 69

Maka Svimonishvili
Impact of media on electorate choice 73

Inga Koniashvili
Communicative Intention of Argumentative Discourse on the Basis of the English Versions of
'The Martyrdom of The Blessed Queen Shushanik' by Iakob Tsurtaveli 76

Lana Shengelia
Zviad Gamsakhurdia and political union ,,Round Table - Free Georgia" 81

Tamar Chejia
Economic platforms of media in the digital age 87

PHILOLOGY

Vaja Danelia
Sports Vocabulary in Sulkhan-Saba Orbeliani's «Speech Cone» 90

Murman Tavdishvili
Vamek Dadiani and his family in a so called "Abdulmesiani" And
in a Peshangi's "Shakhnavaziani" 96

Tamar Mebuke
On the Structure of Electronic Texts 99

Tamar Shaishmelashvili
„Connector heaven and earth" - thoughts with the remains of Akaki 103

SOCIAL SCIENCES

Nanuli Gibradze, Elisabed Khakhutashvili, Izolda Kurashvili
The evolution of the information society 106

Arsen Burjaliani, Miranda Bortsvadze
Social TV advertising and civic activism in Georgia 111

Roza Gaprindashvili
Demographic explosion resolution mechanisms 114

Omar Tabutsadze,
Sociology in the Old Testament or Old Testament in Sociology 118

Khatuna Saginashvili
Is Lockdown a panacea?! 123

Otar Gvelesiani
Formalist models of social responsibility before the legal system 127

Ina Egieva
Globalization and culture 132

Maia Toidze
The importance of trust as social capital for labor organizations 136

Sulkhan Inaishvili
Social Welfare in Modern Society 140

Mariam Papiashvili
Important Aspects of Student's Self-perception Through the Prism of
Physical and Sport Education at School' 143

Sophio Pachulia
Woman in Islam 145

Sandro Tsotskhalashvili
The influence of national identity and nationalism on China's foreign policy 150

Giorgi Tsiklauri
Concept of self in science and its development 152

Bacho Bitari Khuroshvili, Buba Khutsurauli
Georgian youth policy design and implementation in 2014-2020 155

PHILOSOPHY-PSYCHOLOGY

Lia Svanidze
The role and importance of motivation sphere in medicine 163

INTERNATIONAL RELATIONS

Madlena kotsotsashvili
EU and the Middle East: Foreign Policy, Balance of Power and Modern Threats 173

Avtandil Kalmakhelidze
Presidential Institute in France 181

Nini Kikvadze
Religious organizations in international relations 186

Beka Namoradze
EU Crisis: Brexit and Modern Challenges 191

Mariam Ghachava
International legal framework for co-operation and comparative analysis of methods for combating transnational
organized crime in Georgia and the European Union. 197

LAW

Lia Ablotia, Ekaterine Demetrashvili
Difficulties in protecting personal data during video surveillance in the private and public sectors 201

ECONOMICS AND BUSINESS

Elisabed Khakhutashvili, Nanuli Gibradze
Philosophy of Quality Management 205

Asmat Pipia, Nino Omanadze
Human Resource Management Methods 209

Mariam Margiani
Globalization and its Impact on the National Economy 212

Valerian Chanchibadze
Using modern corporate methodology to increase management efficiency 216

ARCHEOLOGY

Irakli Anchabadze
Forensic Archaeology and Anthropology 219

Maria Izoria
Peculiarities of ceramics development in ancient Georgia 224

Levan Latsabidze
Church of Saint George (Kldisubani) 228

Nana Rezesidze
Dmanisi at the crossroads of trade 233

TOURISM

Otar Japaridze, Mari Bandzeladze
Problems of mountain tourism and development prospects in Georgia 237

SCIENCES

Simon Bitsadze
On some properties of transversals 246

Simon Bitsadze
Line segments construction according to their combinations 249

Khatia Nadirashvili, David Songulashvili, Cezar Goletiani
Basics for sensory discrimination in the neuronal responses of in vitro brain of virtual body..... 251

განათლების მეცნიერებანი

EDUCATION SCIENCES

მულტიმედიური პროექტი, როგორც კომუნიკაციის ინტერაქტიული საშუალება

ქეთევან კვესელავა, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირაკლი ბოჭორიშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხათუნა ბარდაველიძე, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლიანა თედეშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე პედაგოგიკაში საგნობრივ სისტემურ სწავლებასთან ერთად გამოიყენება ე.წ. პროექტული განათლება, ე.ი. მუშაობა პროექტზე. აღნიშნული მეთოდის პოპულარობა აიხსნება იმით, რომ პროექტზე მუშაობა დაკავშირებულია გარკვეული დისციპლინური ცოდნის დაუფლებას და მის რეალურ გამოყენებასთან. ამასთან ერთად, პროექტში მონაწილეთა საქმიანობა ორიენტირებულია არა ფაქტობრივი ცოდნის ინტეგრაციაზე, არამედ მის პრაქტიკულ გამოყენებასა და ახლის შემენაზე, რაც მისი აშკარა განსხვავებაა სტანდარტული სწავლებისგან. ცოდნა ხდება არა მხოლოდ მიზანი, არამედ კულტურული აზროვნების საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალური აზროვნების სტრატეგიების ჩამოყალიბებას. პროექტზე მუშაობისას მონაწილეები უფრო უღრმავდებიან ცოდნის მნიშვნელობას ცხოვრებაში და სწავლაში. კომპლექსური და ინტეგრაციული ხასიათის პროექტებთან მუშაობისას სტუდენტებს ეძლევათ საშუალება, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და შეიძინონ ცოდნა სხვადასხვა მონაცემთა ბაზიდან, რომ შეიქმნან საკუთარი უნიკალური სურათი სამყაროს შესახებ. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესში ათვისებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები აღარ არის „არავის", „გაფანტული", არამედ ისინი ორგანულად ენიჭება სტუდენტებს [1]. ამრიგად, პროექტზე ორიენტირებულ სწავლებაში, სასწავლო პროცესი აგებულია არა სასწავლო საგნის ლოგიკით, არამედ ქმედებების ლოგიკით, რომელსაც პროექტში მონაწილეთათვის პირადი მნიშვნელობა აქვს. ეს, აგრეთვე ზრდის მათ მოტივაციას და საგნობრივი ცოდნის დაუფლების პროცესს უფრო მნიშვნელოვნად აქცევს.

საკვანძო სიტყვები: მულტიმედიური პროექტი, პედაგოგიკა, ცოდნა, ინფორმაცია, სტრატეგიული აზროვნება.

ძირითადი ნაწილი

პრობლემური, კვლევითი, თავისთავად კონსტრუქციული პროექტის საქმიანობა მონაწილეთაგან მოითხოვს აზროვნებას, სხვადასხვა მოსაზ-რების შედარებას, საკუთარი აზრის ფორმულირებასა და არგუმენტირებას, რომელიც ეყრდნობა მოძიებულ ფაქტებს, შემენილ ცოდნას და გამოცდილებას. ეს ყოველივე გვაძლევს ეფექტურად და არასტანდარტულად აზროვნების უნარს, რომელიც ხელს უწყობს პროექტში მონაწილეთა განვითარებას:

- კონცეპტუალური აზროვნება, ე.ი. სისტემურად აზროვნების უნარი, რადგანაც ნებისმიერი პროექტი მოიცავს გარკვეულ ჩანაფიქრს და მისი რეალიზებისათვის მოქმედებათა ჯაჭვს;
- ეთიკური აზროვნება, ე.ი. ჰუმანური აზროვნების უნარი, გარკვეული საგნის თუ საგანთა ურთიერთობების განსაზღვრის შესაძლებლობა, სადაც მისაღებია ყველა მონაწილის სუვერენიტეტი, გუნდის წევრის საქმიანობა (ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პროექტში, მათი შესაძლებ-

ლობებისა და ცოდნის დონის მიუხედავად);

- სტრატეგიული აზროვნება, ე.ი. ეტაპობრივად აზროვნების უნარი, უახლოეს მომავალში საკუთარი მოქმედებების პროგნოზირების უნარი;
- ტაქტიკური აზროვნება, ე.ი. სხვაზე ზეგავლენის მოხდენის და შენს საქმიანობაში მისი ჩართვის უნარი. ეს ეხება გუნდის თითოეულ წევრს და მასწავლებელს, როგორც პროექტის საქმიანობის ინიციატორსა და კოორდინატორს;
- ვერბალური აზროვნება, ე.ი. ენისა და მეტყველების ცოდნა, მისი სათანადო კონტექსტში გამოყენების, გლობალური აზროვნების შესაძლებლობა, ლექსიკური მასალის, გარკვეული მეტყველების უნარებისა და შესაძლებლობების ფლობა;
- ოპერატიული აზროვნება, ე.ი. მოქნილი აზროვნების უნარი, კოლექტიურ (ჯგუფურ) ურთიერთქმედებაში პრობლემის ყველაზე წარმატებული გადაწყვეტის პოვნის შესაძლებლობა;
- რეფლექსური აზროვნება, ე.ი. კრიტიკული აზროვნების უნარი საქმიანობის განზოგადებისა და ანალიზის ეტაპზე [2];

ამ ტექნოლოგიების დისტანციურ სწავლებაში გადატანისას ჩნდება მრავალი გადაუჭრელი კითხვა, რომელთა პასუხებსაც გთავაზობთ.

აქტიური სწავლება პრაქტიკაზე დაყრდნობით უნდა მიმდინარეობდეს, რომელიც შესაძლებელია განსხვავებული სირთულეების მიხედვით განხორციელდეს. აქტიური სწავლების ტექნიკა, სირთულეების მიხედვით დავაჯგუფეთ, კერძოდ:

- **დაბალი სირთულის ტექნიკა** - მოიცავს დროის კონსტრუირებას არსებული სალექციო ან სავარჯიშო კონტენტში, რათა სტუდენტმა კარგად გაანალიზოს მიღებული ინფორმაცია. მაგალითად: ანალიზი - შეჯამება - გადმოცემა, პრაქტიკული მუშაობა ჯგუფურად ან სწრაფი რეფლექსური კითხვა-პასუხის რეჟიმი;
- **საშუალო სირთულის ტექნიკა** - მოიცავს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვას, წინასწარ შემუშავებული სალექციო მასალის გააზრებას, მაგალითად, ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, როგორიცაა iClickers ან Google Doc. მოითხოვს მძიმედ დატვირთულ საინფორმაციო ლექციების სეგმენტში მიღებული ინფორმაციის დამუშავებას;
- **მაღალი სირთულის ტექნიკა** - ხშირ შემთხვევაში, ანაცვლებს ლექციებისა და პრაქტიკულების ტრადიციულ მოდელებს, საჭიროებს გაცილებით მეტ დროს, მოსამზადებელ სამუშაოს, ვიდრე სწავლების სხვა მეთოდიკა. მაგალითად, ერთი ან ორი ლექციის ჩანაცვლება სავსებით შესაძლებელია ჯგუფური სამუშაოების ჩატარებით. თემატური გამოკვლევები ან საპროექტო დავალებების ტრადიციული მეთოდებით, ჩანაცვლდეს პრობლემური პროექტების ინტეგრირებით, რაც შესაძლებელს ხდის ცოდნის ამაღლებას და განაპირობებს პრაქტიკული დავალებების სრულყოფილად შესრულების მაღალ დონეს.

ცნობილია, რომ პროექტზე მუშაობა გულისხმობს მოქმედებების თანმიმდევრულ ჯაჭვს, რომელიც მოიცავს პრობლემატიკას, მიზნის დასახვას, დაგეგმვას, დამუშავებას, პრეზენტაციას, გაანალიზებას, რეფლექსიას და განვითარებას.

ეს ყველაფერი პროექტის მონაწილეებს საშუალებას აძლევს დაეუფლონ საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა კომპონენტს და განავითარონ პროექტის შესასრულებლად აუცილებელია შემდეგი უნარები:

1. რეფლექსური: ამოცანის გააზრება, რომლის გადაჭრისთვის არ არის საკმარისი ცოდნა, საკუთარი და მთელი გუნდის საქმიანობის გაანალიზება, ახალი მიზნებისა და ამოცანების დასახვა;
2. კვლევა: ჰიპოთეზების წამოყენება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ახალი იდეების გენერირება, არასაკმარისი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტის ძიება;
3. მენეჯერული: პროცესის შემუშავება (პროექტირება, დაგეგმვა,) გადაწყვეტილების მიღება და მათი შედეგების პროგნოზირება, საკუთარი საქმიანობის გააანალიზება (მისი კურსი და შუალედური შედეგები);
4. კომუნიკაციური: თანამშრომლობით მუშაობა, დიალოგის დაწყება, საკუთარი მოსაზრების გამოხატვა და არგუმენტირება, კომპრომისის პოვნა;
5. პრეზენტაცია: მონოლოგური გამოსვლა, პროექტის დასაცავად სხვადასხვა ხედვის საშუალების გამოყენება, დაუგეგმავ კითხვებზე პასუხის გაცემა;

დისტანციურმა სწავლებამ სასწავლო პროცესის საპროექტო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების გადახედვა მოითხოვა.

ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი პროექტების ორგანიზების ყველაზე ეფექტური ფორმების ძიებამ გამოიწვია სატელეკომუნიკაციო (ინფორმაციული) პროექტების გაჩენა.

დღეისათვის, მულტიმედია უდიდეს, შეიძლება ითქვას უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საგანმანათლებლო პროცესებში. მაგალითად, სასწავლო ვიდეო ჩანაწერები - ერთ-ერთ ყველაზე

პოპულარულ სასწავლო რესურსად იქცა როგორც online-სწავლაში, ასევე აუდიტორიებშიც, რადგანაც აუდიოვიზუალური მასალა რთულ ინფორმაციას უფრო დასამახსოვრებელს ხდის. შეიცვალა პედაგოგიური სტრატეგიები, მაგალითად Flipped Classroom, ან ციფრული ხელსაწყოების - ინტერაქტიული დაფის, ტაბლეტის, მობილური ტელეფონის გამოყენება სწავლისადმი ახლებური მიდგომის განვითარებას უწყობს ხელს და ზრდის სტუდენტების ჩართულობას.

ლექციის ჩანაწერი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოგვიანებით გადახედონ მასალას და აღიდგინონ დავიწყებული ან გამორჩენილი ინფორმაცია.

სწავლის გრაფიკი ონლაინ გაკვეთილებს საშუალებით მეტად მოქნილი ხდება.

სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გადახედონ მასალას ლექციებისთვის და გამოცდებისთვის მოსამზადებლად

ლექციის ჩანაწერი არ ცვლის სტუდენტისა და მასწავლებლის პირისპირ ურთიერთობას, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვან დამატებით რესურსად იქცეს.

საგანმანათლებლო ვიდეოს სახეობები:

1. Video Lecture capture (VLC)- ლექციის ჩანაწერი - სტუდენტებს საშუალებას აძლევს მოგვიანებით გადახედონ მასალას და აღიდგინონ დავიწყებული ან გამორჩენილი ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ლექციის ჩანაწერი არ ცვლის სტუდენტისა და მასწავლებლის პირისპირ ურთიერთობას. თუმცა დიდი სარგებლობა მოაქვს მის დამატებით რესურსად გამოყენებას.
2. Flipped classroom - ძირითადად არის სწავლების მეთოდი, როდესაც ლექტორი წინასწარ ქმნის თავისი ლექციის ანონსის ვიდეოს, რათა სტუდენტებს ლექციამდე შეექმნათ განსახილველ თემაზე წარმოდგენა. არის ასევე, დემონსტრირებაზე დაფუძნებული Flipped classroom მოდელი, რომელიც ორიენტირებულია პროცესზე: პროფესორები წერენ ვიდეოს და პროცესს ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებენ. სტუდენტები კონტენტს შეისწავლიან და შემდეგ აუდიტორიაში უნდა გაიმეორონ იგივე პროცედურა. შედეგი უნდა იყოს იდენტური. მხოლოდ ამის შემდეგ მოგვიანებით სასწავლო პროცესის განსამტკიცებლად სტუდენტებს ეძლევათ სასწავლო ვიდეორგოლები. ჯგუფზე დაფუძნებული Flipped classroom სასწავლო მოდელიც, სადაც ორიენტირი სტუდენტთა შეთანხმებული ურთიერთქმედების გაძლიერებაა (ჯგუფური მუშაობა დავალების გასააზრებლად). ისინი ლექციამდე შეისწავლიან ვიდეომასალას, რათა შემდეგ ჯგუფურად გაარჩიონ. ეს საშუალებას აძლევს მათ ერთმანეთისაგან ისწავლონ, ამავე დროს სტუდენტისთვის სტიმულია, რომ მკაფიოდ ჰქონდეს გააზრებული მასალა, რათა სხვას აუხსნას.

Flipped classroom – რატომ უნდა გამოვიყენოთ:

- კარგად ერგება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ლექციების მოდელს;
- შესაძლოა განავითაროს სტუდენტების ავტონომიურობა;
- უფრო შეეფერება სწავლებას 21-ე საუკუნეში;
- ხელს უწყობს ჯგუფურ მუშაობას, კოლაბორაციულ სწავლას;
- ათავისუფლებს დროს საკლასო სამუშაოსთვის;
- შესაძლოა თანმიმდევრულად იქნას დანერგილი.

1. ონლაინ კურსები ვიდეო გაკვეთილებით (MooC-massive open online courses) - ე.წ ონლაინ კურსები, რაც გულისხმობს მონაწილეობის შეუზღუდავობას და სასწავლო მასალებზე ღია წვდომას ინტერნეტით. რეგისტრაცია არის უფასო და ღია, სასწავლო გეგმა კი აუცილებლად საჯაროდაა გაზიარებული. სასწავლო მასალების გარდა, როგორიცაა ჩაწერილი ლექცია, დამატებითი საკითხავი მასალაც არის ხელმისაწვდომი, ბევრი MOOC მოიცავს ინტერაქტიულ კურსებს მომხმარებელთა ფორუმით სტუდენტთა, ლექტორთა და ასისტენტთა შორის ურთიერთქმედების ხელშესაწყობად და აგრეთვე სწრაფი უკუკავშირისათვის გამოკითხვის (quizze) ჩასატარებლად. MOOC შედარებით ახალი და კარგად შესწავლილი მეთოდია distance education-ში. პირველი პრეზენტაცია 2006 წელს შედგა, ხოლო 2012 წელიდან იგი სწავლის პოპულარული მეთოდი გახდა.
2. ვებინარი, რომლის სინონიმია ონლაინ სემინარი, უფრო სწორად, ქსელური კონფერენცია. ეს არის ინტერნეტით გამართული ონლაინ შეხვედრა, პრეზენტაცია რეალურ დროში. მთავარი დამახასიათებელი დადებითი ნიშანია ინტერაქტიულობა რეალურ რეჟიმში ლექტორსა და სტუდენტს შორის, ასევე დისკუსიის საშუალება, ინფორმაციის მიღება და გაგზავნა რეალურ დროში. ვებინარის მსვლელობის პერიოდში შესაძლოა ჩატარდეს გამოკითხვა, მოიწვიო სხვა მონაწილეები გამომსვლელებად, კომუნიკაცია მიმდინარეობდეს ონლაინ ჩათის საშუალებით.
3. ანიმაციური განმარტებითი ვიდეოები Explainer videos. ვიდეო უმარტივესი გზაა რთული იდეები ან ძნელად დასამახსოვრებელი მასალა ისე გადმოსცეთ, რომ ეს იყოს ვიზუალურად ადვილად აღსაქმელი.

საინტერესო სიუჟეტისა და დასამახსოვრებელი კადრების საშუალებით ანიმაციურ ვიდეორგოლებს მარტივად შეუძლიათ მნიშვნელოვანი ინფორმაციის სწორად მიტანა აუდიტორიამდე.

აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო პროექტი არის საგანმანათლებლო-შემეცნებითი, ერთობლივი შემოქმედებითი ან მონაწილე პარტნიორთა შემეცნებითი თამაშის საქმიანობა, რომლებიც განლაგებული არიან ერთმანეთისგან მნიშვნელოვან მანძილზე. ეს საქმიანობა დაფუძნებულია კომპიუტერულ ტელეკომუნიკაციებზე და საერთო მიზნის მისაღწევად - პრობლემის შესწავლა შეთანხმებული მეთოდების გამოყენებით, საქმიანობის გზები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთო შედეგის მიღწევას.

სატელეკომუნიკაციო პროექტების თავისებურება ისაა, რომ მასში გაერთიანებულია ინტერდისციპლინური საგნები, რადგანაც პროექტის თემაში ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა მოითხოვს ინტეგრირებული ცოდნის ჩართვას.

აგრეთვე სატელეკომუნიკაციო პროექტის შექმნა და მისი განხორციელება დისტანციური სწავლების დროს, ყველაზე მისაღები ფორმაა.

პროექტის სტრუქტურა მოიცავს მიზნებს (ტრენინგი, საგანმანათლებლო, განვითარების), ეტაპებს, პრინციპებს, პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებულ პირობებს, რეფლექსურ და კრიტერიუმულ ინსტრუმენტებს, მასწავლებლთა მხარდაჭერის ბლოკს.

პროექტის მთავარი მიზანია კულტურათშორისი კომპეტენციის ფორმირება, ე.ი. სხვისი და საკუთარი კულტურის მახასიათებლების გაგების და ინტერპრეტაციის უნარი, სხვადასხვა გამოვლინებებში, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტურობის უზრუნველყოფას და კულტურათშორისი ურთიერთქმედების ფონზე ადეკვატურად ქცევას.

დასახული მიზანი მოითხოვს შემდეგი ამოცანების ამოხსნას:

- შესწავლილი ქვეყნების მრავალგანზომილებიანი კულტურული ფაქტების, მოვლენების აღქმის განვითარება;
- პროექტში მონაწილეთა ინტეგრირებული მულტიკულტურული განვითარება;
- სხვადასხვა ენოვანი განსაკუთრებით კი ინგლისურენოვანი ქვეყნების შესახებ ცოდნის განახლება და გამდიდრება;
- ინტერდისციპლინური ცოდნისა და უნარების რეალიზაცია;
- ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ქცევის სტერეოტიპების, ტრადიციებისა და კულტურის კულტურული ცნობიერების ფორმირება.

რა თქმა უნდა უცხო ენა აქ მოქმედებს, როგორც კომუნიკაციის საშუალება; ბუნებრივი ენობრივი გარემო ხელს უწყობს უცხო ენის ფორმულირებას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას და მის გამოყენებას.

შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო და განვითარების მიზნების მიღწევას:

1. გუნდური ცოდნის უნარების გამომუშავებას,
2. ერთმანეთთან ეფექტურად ურთიერთქმედების უნარების განვითარებას;
3. ჯგუფის თითოეული წევრის პირადი პასუხისმგებლობის გააზრება, თავისი წარმატებისათვის და კომუნიკაციაში მყოფი პარტნიორების წარმატებისთვის;
4. დამოუკიდებელი ორგანიზაციების საგანმანათლებლო საქმიანობის (მიზნების დასახვა, დაგეგმვა, მიზნებისა და საშუალებების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა და ა.შ.)
5. უნარების განვითარება;
6. საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების უნარების ფორმირება, მიღებული საგანმანათლებლო მიღწევების შეფასება.

პროექტი, რომელიც გულდასმით არის დაგეგმილი და გააზრებული, ხორციელდება რამდენიმე ეტაპად. პროექტის დაწყებამდე სტუდენტები ეუფლებიან დისტანციური კურსის მასალას, რომელიც წარმოდგენილია ოთხ მოდულში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოდულური სწავლების პერსპექტივებს, რომელიც ხასიათდება მასალის შესწავლის გაფართოებული ბლოკების / მოდულების საფუძველზე. საგანმანათლებლო საქმიანობის ალგორითმიზაციით, საქმიანობის ციკლის სისრულით და თანმიმდევრულობით. ამ ბლოგების და მოდულების დახმარებით სტუდენტები ეუფლებიან სასწავლო კურსის საგნობრივ შინაარსს (მოდულების თემები: მაგ. Some where to Live, Sweet Smell of Shopping, Fashion and Style, Night Out), ეუფლებიან ენისა და მეტყველების საშუალებებს და ანვითარებენ უცხო ენაზე მეტყველების ყველა ტიპის საჭირო უნარებს. თითოეული მოდული მოიცავს მინიპროექტების განხორციელებას ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით. მაგ. პროექტში მონაწილეები ადგენენ საკუთარი ქალაქის ინტერაქტიულ რუკას, შეაქვთ შენიშვნები Wikipedia, ქმნიან Treasure Hunt საქართველოში, ანთავსებენ ინფორმაციას ბლოგებზე, აქვეყნებენ ბიულეტენებს და ბროშურებს Microsoft Publisher-ის შესაძლებლობების გამოყენებით და ა.შ. ეს ყველაფერი სტუდენტებს ეხმარება პროექტის საქმიანობის განსახორციელებლად, რომლის საფუძველიც ორიენტირებულია მათი სამომავლო ვებ – პროექტის შესაქმნელად.

პროექტის შექმნის პირველ ეტაპზე მიმდინარეობს სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ

თემის ერთობლივი განხილვა. პროექტის თემა მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა სტუდენტები მოტივირებულები იყვნენ საქმიანობის შემდგომი ეტაპისათვის. გარდა ამისა, განისაზღვრება საქმიანობის საბოლოო პროდუქტი და მისი შეფასების კრიტერიუმები. შემდეგ ეტაპზე კი ხორციელდება დასმული პრობლემის გადაჭრის ჰიპოთეზები („ტვინის შტორმი"), თითოეული ჰიპოთეზის განხილვა და დასაბუთება. აქვე სტუდენტებმა უნდა განსაზღვრონ ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების მეთოდები, შექმნან ჯგუფები და გადაანაწილონ და დაგეგმონ სამუშაო პროცესში შეგროვილი მონაცემები ინფორმაციის მიხედვით. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ თვითონ აირჩიონ მათთვის შეთავაზებული მნიშვნელოვანი და სასურველი საქმიანობა.

შემდეგ იწყება კვლევა: ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა, მათი მახასიათებლების გამოვლენა, საჭირო რესურსებზე წვდომა; მონაცემთა შეგროვება,ჩაწერა,შედარებადაშეგროვება;მასალის ორგანიზება. პროექტის ფარგლებში, სტუდენტებმა უნდა შეძლონ, როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური დავალებების შესრულება. სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შექმნილ პროდუქტად შეიძ-ლება ჩაითვალოს ბროშურა, რომელსაც ისინი (ექსპერტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათი ინფორმაციის ბლოკზე) ქმნიან Microsoft Publisher-ში. ჯგუფის საბოლოო პროდუქტი კი არის სამოგზაურო სახელმძღვანელო, რომელიც დამზადებულია Microsoft Power Point, Microsoft Publisher, Microsoft Front Page ან სხვა პროგრამების გამოყენებით. ამ ეტაპზე სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევს ხელმძღვანელთა დამხმარე ბლოკი: სადაც შემუშავებულია ალგორითმი პროექტზე ეტაპობრივად მუშაობისათვის, აღწერილია თითოეული მონაწილის საქმიანობის სფერო არჩეული როლის ფარგლებში, თითოეული ჯგუფისათვის ყურადღებითაა შექმნილი ამოცანები, საბოლოო პროდუქტის აღწერა Microsoft Publisher, Microsoft Power Point, Microsoft Front Page, Hot Potatoes და სხვა პროგრამების დახმარებით, პროექტის ზეპირი პრეზენტაციისთვის საჭირო ენისა და მეტყველების რეპერტუარი, რეფლექსური ინსტრუმენტები. ეს ყველაფერი ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს, ხელი არ შეუშალოს ჯგუფის მუშაობას. ჯგუფური დავალების შესრულება მოიცავს ინფორმაციის ინტენსიურ გაცვლას, მოსაზრებებს, მოქმედებების კოორდინაციას, პროექტის ყველა მონაწილის მჭიდრო ურთიერთქმედებას, ვინაიდან მიღებული საბოლოო პროდუქტი დამოკიდებულია თითოეული მათგანის ნაყოფიერ მუშაობაზე. ამ ეტაპზე სტუდენტები ასრულებენ ლიდერის (ორგანიზატორის), რედაქტორის, დიზაინერის, კორექტორის, მწერლის როლს.

მუშაობის შემდეგი ეტაპი მოიცავს მიღებული პროდუქტის პრეზენტაციას და მისი საქმიანობის ასახვას. ფასდება ინფორმაციის მიღების და მოძიების უნარები, შინაარსის და მასალის ორგანიზება, პროდუქტის დიზაინი და გაფორმება, ლექსიკო-გრამატიკული მასალის გამოყენება, საზოგადოებაში მეტყველების უნარი, ჯგუფური მუშაობა. ამავე ეტაპზე, სტუდენტებს სთავაზობენ რეფლექსურ ინსტრუმენტს, კითხვების სახით, რომლებზეც პასუხის გაცემის დროსაც სტუდენტები შეაჯამებენ თავიანთ გამოცდილებას, რომელიც მიიღეს პროექტზე დამოუკიდებელი მუშაობის დროს. პროექტის შედეგები და აღწერილობა განთავსდება დისციპლინის ვებ – გვერდზე. პროექტის საქმიანობის შედეგები შესაძლებელია განიხილონ ფორუმზე, აგრეთვე დასვან შეკითხვები და გაცვალონ მოსაზრებები.

სპეციალურად აგებული ორგანიზებული ურთიერთქმედება, პროექტში მონაწილე სტუდენ-ტთა საქმიანობას წარმატებით აერთიანებს. პარტნიორთა და პროექტში მონაწილეთა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობა, მიზნად ისახავს ერთობლივი საქმიანობის საერთო შედეგის მიღწევას.

პროექტზე მუშაობისას დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტების ინტეგრაციულ კულტურათშორისო, კომუნიკაციურ და მედია კომპეტენციების ფორმირებას, ინტერნეტ რესურსებისა და სხვადასხვა პროგრამების გამოყენების საფუძ-ველზე.

დასრულებული პროექტის შედეგია პროექტის კომპენტეციის ფორმირება, რომელიც განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული კომპენტეციის კომპლექსი, რაც საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ პროდუქტიული, კომუნიკაციური, ინტერაქტიული, საგანმანათლებლო, საქმიანობის ამსახველი კომპონენტები, ეფექტური ურთიერთქმედება, მოსმენისა და სმენის უნარი, ტოლერანტობა.

ამ საგანმანათლებლო ვებ-პროექტის უპირატესობა არის მისი გამჭვირვალობა, რადგანაც დისტანციური საკომუნიკაციო საქმიანობაში მსურველთა რაოდენობა პრაქტიკულად არ შემოიფარგლება არც მონაწილეთა რაოდენობით, არც გეოგრაფიული სივრცით, არც დროის ზონებით.

დასკვნა

ხელმძღვანელები, როდესაც ქმნიან ვირტუალურ-რეალურ საგანმანათლებლო გარემოს უცხო ენების შესასწავლად, მასში აერთიანებენ ინტეგრირებულ ინტერნეტ კომუნიკაციის ტექნოლოგიებს და სტუდენტები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საპროექტო საქმიანობას, აყალიბებენ და აფართოებენ ერთიან საგანმანათლებლო სივრცეს კულტურათა დიალოგის კონტექსტში, პროექტში ახალი მონაწილეების მიზიდვით.

ლიტერატურა:

1. См.: Коряковцева Н.Ф. Современная методика организации самостоятельной работы изучающих иностранный язык: Пособие для учителей. – М., 2002.
2. Юнина Е.А. Педагогическая риторика: Учеб. пособие. – Пермь, 1995.
3. Крылова Н.Б. Проектные (продуктивные) методы против классно/урочной организации образования // Школьные технологии. – 2004. – № 5.
4. Новые педагогические и информационные технологии в системе образования: Учеб. пособие / Е.С. Полат, М.Ю. Бухаркина, М.В. Моисеева и др. – М., 1999.

Multimedia project as an interactive means of communication

Ketevan Kveselava, Professor of Georgian Technical University
Irakli Bochorishvili, Assoc. Professor Georgian Technical University
Khatuna Bardavelidze, Assoc. Professor of Georgian Technical University
Liana Tedeshvili, Assoc. Professor of Georgian Technical University

Ssummary

In modern pedagogy, along withthe subject-system teaching , the so-called Project education - Project work is also used.. The popularity of this technology and its prospects can be explained by the fact that the project work is directly related to the process of acquiring certain disciplinary knowledge and its actual application. In addition, the activities of the project participants are focused not on the integration of actual knowledge, but on their practical application and acquisition of new ones. This is a clear difference from standard subject-system teaching. Knowledge is not the only target, but becomes a means of productive mastery of cultural thinking, which promote the formation of individual thinking strategies. While working on the project, participants deepen the understanding of the importance of knowledge in life and learning. By working on complex and integrative projects, students have the opportunity to seek the information they need and gain knowledge from a variety of databases, to create their own unique image of the universe. This means that the knowledge, skills and abilities acquired in the educational process are no longer «nobody's», «scattered», they are organically given to students. Thus, in project-oriented learning, the learning process is built not on the logic of the subject, but on the logic of actions, which has a personal meaning for the project participants, as well as increases their motivation and makes the process of mastering the subject matter important.

Keywords: multimedia project, pedagogy, knowledge, information, strategic thinking.

პანდემია და სკოლის მოსწავლეთა დამოკიდებულება

თამარ სილაგავა, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირმა ჩარტია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წელიწადზე მეტია უხილავი ძალა გვებრძვის, უხილავი ძალა, რომელმაც სამყაროს როლი შეანელა, თუმცა კი არ შეანელა შეაჩერა. დიახ, ეს პანდემიაა, რაც არ უნდა წარმოუდგენელი იყოს 21-საუკუნეში მსოფლიოს, თავს დაატყდა მტერი და ჯერჯერობით ვერაფერს უხერხებს.

წარმოუდგენელი ოპერატიულობით შეძლო საგანმანათლებლო სისტემამ ახალ ცხოვრებაზე გადაწყობა, საკმაოდ სწრაფად დაიწყეს სკოლებმა ვირტუალურ სივრცეში გადანაცვლება, რაც ადვილი ნამდვილად არ იყო, გაჩნდა უამრავი პრობლემა-სოციალურად შეჭირვებული ოჯახები, უინტერნეტობა. კომპიუტერის, სმ**ვაჟ**ართფონების, ბუკების არ ქონა... და აქვე კიბერბულინგიც, რომლის საშიშროებაც ყოველთვის იყო და ახლა კი, უფრო მეტად გააქტიურდებოდა.

ჩატარდა გამოკითხვა ვის რა საშუალება ჰქონდა ონლაინ ჩართულობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში, ბუკები, საჩუქრად გადაეცემა პირველკლასელებს 2011 წლის სექტემბრიდან, მაინც აღმოჩნდა ბევრი მოსწავლე ვისაც აღარ ჰქონდა მოწყობილობა და ამას თან ერთვოდა ინტერნეტის არქონა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სასწრაფოდ შეიქმნა სატელევიზიო გადაცემა „ტელე-სკოლა“ გამოქვეყნდა ცხრილი და მოსწავლეებს ტელევიზიით შეეძლოთ თვალი ედევნებინათ საგაკვეთილო პროცესისთვის. მათ მეთვალყურეობას უწევდნენ/უწევენ მასწავლებლები, რომლებიც სმს ან სატელეფონო ზარის საშუალებით ეკონტაქტებიან მოსწავლეებს. რაც შეეხება კიბერბულინგს მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ კიბერბულინგი დიახ, უფრო აქტუალურიც იქნება.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, ვირტუალური, კიბერბულინგი, ინტერნეტი, დისტანციური, პლატფორმა, თიმსი, კოვიდი, პოსტერი.

შესავალი

პანდემიასთან ერთად, უამრავი რამ გახდა შესაცვლელი და გასაახლებელი, დაწყებული ეროვნული სასწავლო გეგმიდან, სასკოლო სასწავლო გეგმა. შეჩერდა სასკოლო წრეებისა და სასადილოს ფუნქციონირება, რაც ბრძანებებში ცვლილებების შეტანასა და გაურკვეველი დროით შეწყვეტას ნიშნავდა. შეიცვალა მოსწავლის შეფასების წესი, საათობრივი ბადე, პირისპირ სწავლებისას 6-7 გაკვეთილის ნაცვლად დისტანციურად მხოლოდ 2-3 გაკვეთილის ჩატარება მოეთხოვება სკოლას და ისიც შემცირებული დროით. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ითვალისწინებენ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და ექსპერტების რეკომენდაციებს.

ძირითადი ნაწილი

დისტანციური სწავლება თითქოსდა სიახლეა ჩვენი რეალობისთვის თუ არ ჩავთვლით ონლაინ შეხვედრებს თათბირებს და ა.შ. ისე კი ჩანაწერი დისტანციური სწავლების შესახებ საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ 2017 წლიდან გამოჩნდა, სადაც მუხლი2-ში ვკითხულობთ შემდეგ განმარტებას: ბ[2)] დისტანციური სწავლება-საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგადი განათლების მისაღებად და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის დასაძლევად, ორგანიზებული, დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ თვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას მოსწავლისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი ერთდროულად ყოფნას“[1]

1.დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.[1]

2.დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის განმგზავსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია -ისეთ ინტერაქციას როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება“[2] შეიცვალა, მოწესრიგდა, შერჩეულ იქნა პლატფორმა თიმსი (საჯარო სკოლებისთვის) და დაიწყო, როგორც აღმოჩნდა ხანგრძლივი პროცესი. ჩატარდა ტრენინგები, შეიქმნა ელექტრონული სამყარო, სადაც უამრავი სახელმძღვანელი და დამხმარე ლიტე-

[1] საქართველოს 2016 წლის 16 დეკემბრის კანონი №102 - ვებგვერდი, 05.01.2017წ.

რატურის მოძიება გახდა შესაძლებელი, როგორც მოსწავლე/ მასწავლებლისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ხშირად მიმართავენ სკოლები ინტერნეტ გამოკითხვებს, სადაც იკვეთება, რომ დღეს მოსწავლეთა უმრავლესობის აზრით ისინი - ცხოვრობენ მუდმივად მზარდ ონლაინ სამყაროში.

ტექნოლოგიების სიახლე იძლევა ყველანაირ საშუალებას. მოსწავლეებს შეუძლიათ უფრო მეტი წვდომა ჰქონდეთ ტექნოლოგიებზე ნებისმიერი ადგილიდან, ეძლევათ საშუალება დაუკავშირდნენ ისეთ პლატფორმებს, რომელიც ეხმარებათ განათლების მისაღებაში და მათ შესაძლებლობებს უფრო გაამრავალფეროვნებს. მოსწავლეებსა და პედაგოგებს აქვთ საშუალება გამოიყენონ არსებული უამრავი რესურსი და შექმნან საკუთარიც.

სკოლაში, ტექნიკური მხარე მოგვარებადი იყო, ვინაიდან მას უამრავი მხარდამჭერი და ამ თემაზე მომუშავე ადამიანი ემსახურებოდა. შენობები აღიჭურვა ყველა საჭირო მოწყობილობით: თერმოსკრინინგით, დეზობარიერებით, სადეზინფექციო სითხეებითა და პირბადეებით. მთავარი მოქალაქეობრივი თვითშეგნება, სოციალური დისტანცია და პირბადე გახდა.

თბილისის #29 საჯარო სკოლაში ჩატარებული ონლაინ გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ინფორმაციის ნაკლებობა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ,[1] გამოკითხულთა უმრავლესობა ფლობს მწირ ინფორმაციას მავნე ჩვევებსა და განსაკუთრებით ახალ კოვიდ 19-ზე. მიუხედავად ტელევიზიით მიწოდებული უამრავი ინფორმაციისა, გარკვეული ნაწილი რეალურად ვერ აფასებს საფრთხეს სწორედ ამის შედეგია პანდენმიაც, მხოლოდ ტელევიზიით, რეკლამების სახით გასული ვიდეორგოლები და მშრალი ციფრები არ არის საკმარისი აღნიშნული სიტუაციის გამოსასწორებლად, აქედან გამომდინარე გახდა პრიორიტეტული პროექტზე მუშაობა, რომელსაც პირობითად დავარქვით „ჩვენ დავამარცხებთ ვირუსს!“ პროექტზე მუშაობისას, მუდმივმა კონტაქტმა მოსწავლეებთან ცხადყო არამარტო მათი დამოკიდებულება პანდემიისადმი, არამედ მოსწავლეთა განწყობა და სულიერი მდგომარეობა, რა გავლენა იქონია მათზე ჩაკეტილობამ და სტრესმა, ხომ არ გახდნენ მეტად აგრესიულები ან/და კონფლიქტურები, რაც თავისუფლად შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდვებმა და პირისპირ კომუნიკაციის ნაკლებობამ. მიზანი გარდა იმისა რომ გავრცელდეს ინფორმაცია და მივიღოთ შედეგი არის კონტაქტი და ყოველდღიური კომუნიკაცია, საუბრები არა მხოლოდ გაკვეთილის ირგვლივ არამედ იმ ზოგადსაკაცობრიო საკითხზეც რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ კოვიდს. დიახ, მოსწავლეებმა უნდა იგრძნონ თავი საზოგადოების ნაწილად, იმ საზოგადოების, რომელსაც ეკითხებიან და მათ აზრს მნიშვნელობას ანიჭებენ, ასეთ დროს საინტერესოა იმ მოსწავლეების ჩართვა, რომლებიც ნაკლებ ინიციატივას იჩენენ, ბულინგის მსხვერ-პლად ან ბულერებად მოიაზრებიან.

ესეები, ჩანახატები, სლოგანები, კოვიდ-ლექსიკონი შექმნეს მოსწავლეებმა, თითქმის 2 თვის განმავლობაში სკოლაში მიმდინარეობდა ონლაინ კონკურსები აღნიშნულ თემემებზე, სადაც მონაწილეობა მიიღო დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. ამ მიზნით შეიქმნა ფოკუს-ჯგუფი, სწორედ აღნიშნული ჯგუფის მიერ ხდებოდა დაკვირვება მოსწავლეებზე, რომლებსაც უნდა შეესწავლათ ჰქონდათ თუ არა სურვილი პროექტში ჩართულობის, ჩართული მოსწავლეების მონაწილეობიდან და მათი ნამუშევრებიდან კი თავისუფლად გამოიკვეთებოდა მათი დამოკიდებულება. ზოგადად პანდემია და მისგან თავის დაცვა მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის სრულიად სამყაროსთვის და სწორედ ამიტომ იქნა გადაწყვეტილება მიღებული მუშაობა წარმართულიყო ამ მიმართულებით, რადგან, მოსწავლეების მიერ შექმნილი თემები, კომიქსები, ჩანახატები უფრო აქტუალური, მისაღები და ადვილად დასამახსოვრებელია გარშემომყოფთათვის. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისიც რომ მოსწავლეები გაიწაფებიან გარკვეული მასალის მოპოვებაში ინტერნეტ, სატელევიზიო და საგამომცემლო სივრცეში, ისწავლიან მოპოვებული მასალის დამუშავებას და რეალურ ცხოვრებაში მის გამოყენებას. საოცარი ნამუშევრები გამოაგზავნეს მოსწავლეებმა, შექმნეს პოსტერები, სადაც ისინი საკუთარი ხელებით აჩერებენ კოვიდს, მოუწოდებენ მოსახლეობას პირბადის ტარებისა და სოციალური დისტანციისკენ, შექმნეს ჩანახატები, სადაც მათ გააცოცხლეს დიდი ქართვლები, ტატო ბარათაშვილი მტკვართან გაასაუბრეს და კვლავ ჩააფიქრეს, ამჯერად უიაროღო, მაგრამ საშიშ მტერზე. სწორედ პლატფორმა თიმსის საშუალებით გახდა შესაძლებელი ვირტუალური საგამოფენო დარბაზის შექმნა, სადაც განთავსდა მოსწავლეთა ნამუშევრები. შეიქმნა მოსწავლეთა მიერ განმარტებითი კოვიდ-ლექსიკონი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი იყო მშობელთა ჩართულობა.

დასკვნა

ჩატარებულმა მუშაობამ და ნამუშევრებმა ცხადყო მოზარდების (დაწყებითი და საბაზო საფეხურის) დამოკიდებულება, ნაკლებად ჩანდა მათი

[1] საქართველოს 2020 წლის 12 ივნისის კანონი №6286 – ვებგვერდი, 15.06.2020წ.

მხრიდან აგრესიული განწყობა და შიში. ჩანდა იმედი,რაც ძალიან მნიშვნელოვანია და აგრეთვე პროექტმა ცხადყო აუცილებლობა მუდმივი კომუნიკაციის,ინფორმაციის მიწოდების, კითხვების არსებობის შემთხვევაში - პასუხის აუცილებლობის, მხოლოდ საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, დისტანციური სწვლების დროს დაუშვებელია, თუ გვინდა არ მივიღოთ დათრგუნული, საკუთარ თავში ჩაკეტილი, აგრესიული და კონფლიქტური თაობა. მუდმივი კომუნიკაცია მათთვის საინტერესო თემებზე თუნდაც ინდივიდუალური დახმარება, რაც აკრძალვების დროს მოზარდს დაეხმარება პრობლემების დაძლევაში. ,,მოსწავლე, რომლის მშობელი ჩართულია შვილის განათლების მიღების პროცესში,უფრო წარმატებით ამთავრებს სკოლას და სწავლის გაგრძელების უკეთესი შესაძლებლობები და პირობები აქვთ, მეტად პოზიტიურები, კეთილგანწყობილნი არიან გარშემომყოფთა მიმართ, ვიდრე ის მოსწავლეები, რომელთა მშობლები ნაკლებად ან სულაც არ არიან ჩართულნი. მშობელთა ჩართულობაში ამჯერად იგულისხმება ბავშვთან ერთად გატარებული დრო, მშობელთა დაიტერესება ბავშვის განათლებით და ბავშთან ერთად კითხვა.”[1]

ლიტერატურა:

1. ბეკმენი ელისაბედ, ტრაფორდი ბერნარდ, სკოლების დემოკრატიული მმართველობა
2. მშობელთა ჩართულობა;usaid;რეკომენდაციები სკოლის დირექტორებისათვის
3. საქართველოს 2016 წლის 16 დეკემბრის კანონი №102 - ვებგვერდი, 05.01.2017 წ.
4. საქართველოს 2020 წლის 12 ივნისის კანონი №6286 – ვებგვერდი, 15.06.2020 წ.

Pandemic and attitude of scholars to it

Tamar Silagava, PhD student of Georgian Technical University
Irma Chartia, PhD student of Georgian Technical University

Summary

For more than a year, an invisible force is fighting us, an invisible force that slowed down the role of Universe, not slowed it down to be precise but put it on hold. Yes, this is pandemic and unlikely as it may seem in the XXI century, the Universe is facing an enemy and can do nothing against it yet.

Educational system has managed to migrate to a new life unbelievably quickly and effectively, schools started moving to a virtual space tremendously fast, which was not easy at all, many difficulties have occurred – socially deprived families, no internet connection, lack of computers, smart phones, and personal computers. And we also have to mention cyberbullying, the fear of which has always existed but now it is real and activated.

Tolls have been taken on the issue of possibility to join and participate in online studies. Despite the fact that personal computers are distributed as a gift to all first-graders since September 2011, there were many scholars who didn’t have the PCs and also in addition to this, they didn’t have the internet. To improve this situation, they immediately came up with the TV program “Tele-Skola”, published the schedules and students could watch the classes via television and teachers could monitor and do monitor the process of education and contact their students via sms notifications or via telephone call.

As for the cyberbullying, certain part of the students think that yes, cyberbullying will transfer to virtual space and will become an issue of a key consideration.

Key words: pandemic, virtual, cyberbullying, internet, online, platform, teams, COVID, poster.

[1] ბეკმენი ელისაბედ, ტრაფორდი ბერნარდ, სკოლების დემოკრატიული მმართველობა

ჟურნალისტიკა

JOURNALIZM

წერითი და ზეპირი კომუნიკაციის ურთიერთმიმართების საკითხები და მათი მნიშვნელობა გუშინ და დღეს

ნუგზარ სიხარულიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ინგა ქონიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეხება წერითი და ზეპირი კომუნიკაციის მახასიათებლებს, უპირატესობებს და მათ უტილიტარულ, მნიშვნელობას საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე.

წინა პლანზე წამოწეულია წერა, როგორც ისტორიის აღნუსხვის, კულტურის აღწერისა და ცოდნის ინსტრუმენტი, როგორც ადრეულ ხანაში, ისე დღევანდელ საინფორმაციო საუკუნეში.

გაანალიზებულია განსხვავება წერით და ზეპირ კომუნიკაციას შორის და, შესაბამისად, გამოკვეთილია წერითი კომუნიკაციის პრიორიტეტული როლი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებაში გლობალური ცივილიზაციის კუთხით. გადმოცემულია წერითი კომუნიკაციის შუქ-ჩრდილები, ანუ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და წერითი კომუნიკაციის მიმართება ზეპირ კომუნიკაციასთან, მისი თავისებურებები და სახეობები.

საკვანძო სიტყვები: წერა, წერითი კომუნიკაცია, ზეპირი კომუნიკაცია, ინფორმაცია, დიალოგი, რეციპიენტი.

შესავალი

მას შემდეგ რაც ტრადიციულმა ლინგვისტებმა ყურადღება მიაქციეს ენის წერილობით ფორმას, მიაჩნდათ რა, სასაუბრო ენა ნაკლებ პრიორიტეტულად, ლინგვისტური თეორიის მეტრონომი თანამედროვე ლინგვისტების სასარგებლოდ ამუშავდა. სახელდობრ, მათთვის ენის წერილობითი ფორმა სხვა არაფერია თუარა სასაუბრო ენის (სათქმელის) განსხვავებული გამოხატვის საშუალება. რამოდენიმე ლინგვისტი, რომლებიც სწავლობდნენ წერით ენას, მას განიხილავს ისეთი კუთხით როგორიცაა 1. წერის სისტემის ევოლუცია (გელბი1952), 2. წერის ეთნოგრაფია, როგორც კომუნიკაციის ერთი განსაკუთრებული არხი (ჰაიმსი 1964, ბასსო 1974) და 3.წერის განვითარების სოციო–კულტურული გავლენა (გუდი და ვატტი 1962, გუდი 1977).

სტერეოტიპული ინფორმაცია ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანს გადაეცემა ინტერპერსონალური კომუნიკაციური კავშირის მეშვეობით. აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ამ სფეროში მკვლევარები იყენებდნენ წერითი კომუნიკაციის შემოწმების სხვადასხვა ტექნიკას მხოლოდ მწირი ზეპირი კომუნიკაციის გამოყენებით (კაშიმა, ლაიონსი, და კლარკი,2013) და უმეტესობა უფრო მეტად კონცენტრირებული იყო შეთხზული ამბების მოყოლაზე (FICTIONAL STORIES) ვიდრე ფაქტების გადმოცემაზე.

ძირითადი ნაწილი

ზეპირი კომუნიკაცია Vs წერითი კომუნიკაცია

საუბარი კომუნიკაციის ძირითადი ფორმაა მაგრამ წერასაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ზოგი მკვლევარი (ლაიონსი, და კაშიმა,2001.2003, 2006) რომლებიც რეპროდუქციის მეთოდს მიმართავდნენ, თავის კვლევებში ძირითადად, წერით კომუნიკაციას იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია სტერეოტიპული ინფორმაციის გადაცემის შემოწმება ერთი – ერთზე ზეპირი კომუნიკაციისა და აუდიტორიის უკუკავშირის მეშვეობით. (მაკ ინტაიერი, ლაიონსი, კლარკსი და კაშიმა 2004). იმისათვის ,რათა შევამოწმოთ სტერეოტიპული ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ფორმების ეფექტურობა, აუცილებელია, გავაანალიზოთ განსხვავება **წერით** და **ზეპირ კომუნიკაციას** შორის.

ერთ-ერთი კვლევის მონაწილეთა შორის,

რომელთა შორის არსებობდა **წერილობითი კომუ-ნიკაცია**, არ იყო უკუკავშირი. კაშიმა –იუინგის კვლევაში (2010), ყოველი მომდევნო მონაწილე კითხულობდა მხოლოდ წინა მონაწილის რეპროდუქციულ ამბავს და თავის მხრივ უყვებოდა მომდევნო მონაწილეს. თუმცა წინა მონაწილის მონათხრობი შეიძლება შეიცავდეს მეტ სტერეოტიპულად თანმიმდევრულ (SC) (Stereotype-Consistent) ვიდრე არათანმიმდევრულ (Incosisitent) ინფორმაციას რაც უადვილებს მომდევნო მონაწილეს რეპროდუქციული ამბის გაგებას იმიტომ, რომ ინფორმაციის პირველი სახეობა არის კომუნიკატორებს შორის გაზიარებული ინფორმაცია, რომელიც გაგება ადვილია. სტერეოტიპულად არათანმიმდევრული ინფორმაციის (SI) გაგება უფრო ძნელია მოულოდნელი და უჩვეულო ბუნების გამო. გარდა ამისა, მონაწილეებს შეიძლება გაუჭირდეთ სტერეოტიპულად არათანმიმდევრული ინფორმაციის ახსნა წერილობით (ლაიონსი და კაშიმა, 2006). ამიტომ სტერეოტიპულად თანმიმდევრული შეხედულება თავს იჩენს მონაწილეთა კომუნიკაციაში, რომლის მეშვეობითაც სტერეოტიპულად თანმიმდევრული ინფორმაცია შენარჩუნებულია, ხოლო არათანმიმდევრული კი – გამოტოვებული.

ადამიანებს შორის დიალოგი გულისხმობს არა მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ მეორესთვის ინფორმაციის გადაცემას, არამედ ასევე ურთიერთქმედებას (კაშიმა ეტ ალ 2013). ეს კი თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ საუბარში ინფორმაციის მიმწოდებელიც და მიმღებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. როდესაც საუბრის მონაწილეები ერთი-ერთზე ზეპირი კომუნიკაციით არიან დაკავებული, აუდიტორიის უკუკავშირი ამაღლებს უკეთ ურთიერთგაგების მოტივაციას.

რაც შეეხება **წერითი კომუნიკაციას,** იგი გულისხმობს ნებისმიერი ტიპის ინტერაქციას, რომელშიც გამოიყენება დაწერილი სიტყვა. წერა ადამიანთა შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც გამოხატავს ენას და ემოციას ენობრივი ნიშნებისა და სიმბოლოების მეშვეობით. ენების უმრავლესობაში, წერა არ წარმოადგენს სალაპარაკო ენის დამატებას. წერა არ არის ენა, იგი არის ტექნოლოგიის ფორმა, რომელიც განვითარდა ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად ისევე როგორც შრომის იარაღები. ენის სისტემაში წერა ეყრდნობა საუბრის იმ სტრუქტურებს, როგორებიცაა სტყვათა მარაგი, გრამატიკა და სემანტიკა; იგი ასევე დამოკიდებულია ნიშნებისა და სიმბოლოების სიტემაზე. წერის შედეგი, საზოგადოდ, ცნობილია როგორც ტექსტი,ხოლო ტექსტის რეციპიენტს ეწოდება მკითხველი.წერის მოტივაცია მოიცავს გამოცემას, ზეპირსიტყვიერებას (storytelling), კორესპონდენციას და დღიურს. წერა ყოველთვის იყო ისტორიის აღნუსხვის, კულტურის აღწერის, ცოდნის გავრცელების ინსტრუმენტი მედია საშუალებით და ლეგალური სისტემის ფორმაციით. როცა გაჩნდა ადამიანთა საზოგადოებები, წერის განვითარების აუცილებლობლობაც წარმოიშვა შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე: საჭირო იყო ინფორმაციის გაცვლა, ფინანსური ანგარიშების აღრიცხვა, კანონების სისტემაში მოყვანა და ისტორიული მატიანეს შექმნა. დაახლოებით მე–4 ათასწლეულში ჩვენს ერამდე, სავაჭრო და ადმინისტრაციული სისტემის სირთულე ადამინის გონებას აღემატებოდა. ამიტომ, წერა უფრო მეტად იქცა მიღებულ მეთოდად და პერმანენტულ ფორმად ტრანზაქციების ჩანაწერების გასაკეთებლად.

დაწერილი სიტყვის რეპროდუქცია დაიწყო ჯერ კიდევ დიდ ხნით ადრე ვიდრე მოძრავი შრიფტი იქნებოდა გამოგონილი მე–13 საუკუნის შუა ხანებში ჩინელი პი შენგის (Pi Sheng) მიერ. წინაქრისტიანული ერის მესამე ათასწლეულის ბოლოს რელიგიური და პოლიტიკური დოკუმენტები იწერებოდა თიხის ფირფიტებზე ახლო და შუა აღმოსავლეთში. ეს იქმნებოდა მმრთველი კასტებისთვის და დიდი ალბათობით მათი ცირკულაცია არ სცდებოდა იმ სამეფოების საზღვრებს სადაც ისინი იქმნებოდა, რადგანაც მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრის ინტერესის საგანს წარმოადგენდა. მოგვიანებით შეიქმნა ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებების ასლები, ასე მაგალითად, გილგამეშიანი, ძველი მესოპოტამიის ქალაქ ურუკის მეფისა. ამბავი გილგამეშისა, რომელსაც აღარ ემორჩილებოდნენ და იქცა მითად მისი სიკვდილის შემდეგ ქრისტემდე 2650 წელს, წარმოადგენს როგორც მითისა და გმირის ქებათა–ქების დამკვიდრებას. შესაძლოა, გმირის კულტი წარმოადგენდა მიზეზს იმისა თუ რატომ დაიწერა ისეთი პოემები ,როგორებიცაა ილიადა და მაჰაბჰარატა რამოდენიმე საუკუნის შემდეგ.

წერითი კომუნიკაციის შუქ-ჩრდილები

პირველი დადებითი მხარე წერითი კომუნიკაციის გამოყენებისა არის ის, რომ არაა აუცილებელი მყისიერად ვიმოქმედოთ. სახელდობრ, ტესტში შეიძლება შევიტანოთ ცვლილებები და შესწორებები რამოდენიმეჯერ სანამ შინაარსი არ იქნება მაქსიმალურად ეფექტური ადრესატისთვის. მეორე დადებითი მხარე არის ის, რომ წერითი კომუნიკაცია უზრუნელყოფს ინფორმაციის შენახვას ხანგრძლივი დროით, რომელსაც შეიძლება დავუბრუნდეთ მოგვიანებით საჭიროების შემთხვევაში. რეციპიენტს საშუალება აქვს მათი გადახედვის და შესაბამისი რეაგირების. ზემოთჩამოთვლილი მიზეზები საკმარისია იმისათვის, რომ კომუნიკაციის წერითი ფორმა ყველაზე შესაფერისი იყოს საქმიან ურთიერთობაში მეტადრე, როცა საქმე მნიშვნელოვან ფაქტებს და ციფრებს ეხება. წერითი კომუნიკაციის სხვა დადებითი

მხარეები ჩვეულებრივ ასოცირდება კარგი წერის უნარებთან, რაც კმაყოფილი მომხმარებლის/კლიენტის, შიდა საორგანიზაციო ეფექტიანობის და საზოგადოებასა და სამრეწველო საქმიანობაში რესპექტაბელური იმიჯის გარანტიაა.

მეორეს მხრივ, შესაძლოა არსებობდეს წერითი კომუნიკაციის უარყოფითი მხარეებიც. ასე მაგალითად, ზეპირი კომუნიკაციისგან განსხვავებით, რომლის დროსაც შთაბეჭდილებები და რეაქციები მყისიერია, წერითი კომუნიკაციის დროს ავტორმა შესაძლოა დაუყოვნებლივ ვერ მიიღოს უკუკავშირი თავის შეტყობინებაზე. ეს შეიძლება გახდეს იმდეგაცრუებისა და არადამჯერებლობის მიზეზი ისეთ საქმიან სიტუაციაში, რომელიც სწრაფ რეაგირებას ითხოვს. გარდა ამისა, ტექსტის შედგენა გარკვეულ დროს ითხოვს ინფორმაციის თავმოყრის და ჩამოყალიბების თვალსზრისით, ისე შემდგენელის ინდივიდუალური უნარებიდან გამომდინარე. ამიტომ, ბევრი კომპანია სთავაზობს თავის პერსონალს ეფექტური ბიზნეს –კორესპონდენციის კურსს, რომელთაც უძღვებიან სხვადასხვა აკრედიტებული საგნმანათლებლო დაწესებულებების პროფესიონალი ინსტრუქტორები.

როგორც ვხედავთ, დღესდღეობით ელექტრონული წერილი გახდა წერითი კომუნიკაციის ძალზე აქტუალური ფორმა. მეტიც, მისი გამოყენებით ინფორმაციის გადაცემა და კომუნიკაციის მყისიერი დამყარება ხდება მამოძრავებელი ძალა ყველა სახის და მასშტაბის ბიზნეს –საწარმოებისთვის. მაგრამ, ბევრი ელექტრონული ფოსტის მომხმარებელი როდი აქცევს სათანადო ყურადღებას ტექსტის ენობრივ მხარეს, ვგულისხმობთ თუნდაც გრამატიკის ელემენტალური ნორმების დაცვას და წერილის ფორმატს, როდესაც წერილობით მიმართავენ კლიენტებს, მომხმარებლებს, მოვაჭრეებს, ბიზნეს პარტნიორებსა თუ კოლეგა–თანამშრომლებს. მსგავსი დაუდევარი ნაწერი მეტყველებს არაპროფესიონალიზმზე, რაც შესაბამისად, რეციპიენტისთვის კომპანიის სანდოობასაც ეჭვქვეშ აყენებს. მეტიც, მიუღებელს ხდის. ამიტომ, კომპანიასა და კლიენტს შორის მედიატორობა გულისხმობს არა არაფორმალობას ან ფამილარობას, არამედ შესაბამისი სტილის დაცვას ენობრივი ნორმების აუცილებელი გათვალიწინებით. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით ბიზნეს ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური მითითებები, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს და მკაცრად დაიცვას ყველა თანამშრომელმა ბიზნეს კორესპონდენციის წარმოებისას. მართლწერის და გრამატიკის საკითხების დაცვა, და დიპლომატიური ენის გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის და საქმიანობის გარანტიაა, როგორც საწარმოს შიდა ისე საგარეო პოლიტიკაში.

დასკვნა

ამრიგად, განვიხილეთ რა წერითი კომუნიკაციის მიმართება ზეპირ კომუნიკაციასთან, მისი თავისებურებები და სახეობები დაწყებული უძველესი ხელნაწერებიდან თანამედროვე ელექტრონული წერილით დამთავრებული, მივედით იმ დასკვნამდე, რომ წერითი კომუნიკაცია ერთ–ერთი პრიორიტეტია კულტურათა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებებაში გლობალური ცივილიზაციის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bonner, William H.,& Lillian H. Chaney .'Communicating Effectively in an Information Age.' Second Edition, Dame Publishing, 2003
2. Dillon,Sam .'What Corporate America Can't Build: A Sentence.' The New Your Times,7December,2004
3. 'E-mail That Doesn't Break Your Career.' Broker Magazine. April-May, 2006
4. Holz, Shel.' Establishing Connections: Today's Communications Technologies Have Shifted the Dynamic.' Communication World. May -June 2005
5. Murphy, Herta A., & Herbert W. Hilderbrandt. Effective Business Communications. Seventh Edition. McGraw-Hill,1997
6. Reynolds, Sana.' Composing Effective E-Mail Messages.' Communication World. 15 July, 1997
7. Ross-Larson, Bruce. 'Writing for the Information Age.' W.W. Norton & Company.2002
8. Schafer, Sarah. 'Office E-Mail: It's Fast, Easy and All Too Often Misunderstood.' International Herald Tribune.1 November,2000
9. Staples, Brent. 'The Fine Art of Getting It Down on Paper, Fast.' The New York Times. 15 May 2005
10. Writing: A Ticket to Work: Ore a Ticket Out.' National Commission on Writing, The College Board. September,2004
11. Developments in Written Tok Pisin Jeff Siegel Anthropological Linguistics, Vol.23, No.1(Jan,1981) pp.20-35 . Published by :The Trustees of Indiana University on behalf of Anthropological Linguistics.

Interrelationships between written and oral communication and their significance yesterday and today

Nugzar Sikharulidze, professor of Georgian Technical University
Inga Koniashvili, PhD student of Georgian Technical University

Summary

The present article deals with the characteristics and preferences of written and oral communication and their importance in the respect of utilization at different historical stages of social evolution.

It highlights writing as the instrument for description of historical events and culture as well as a tool for spreading knowledge both in old times and now, in informative age.

Accordingly outlined the prioritized role of written communication between the identities of different cultures in the perspective of global civilization.

Key words: Writing, written communication, oral communication, information, dialogue, recipient

მასმედიის შესაძლებლობები კომუნიკაციურ ველში

ნუგზარ სიხარულიძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზუმე

ადამიანთა შორის კომუნიკაცია ყოველთვის იძლევა გავლენის მოხდენის საშუალებას როგორც ცალკეულ პიროვნებაზე, ასევე მთელ საზოგადოებაზე. შესაბამისად, არსებობს საზოგადოების მართვის სხვადასხვა მეთოდები მედიის გამოყენებით. მათ შორის სუბლიმანური აღქმა, „ტვინის გამორეცხვა", კონუსის ეფექტი, ყალბი ინფორმაცია და სხვა.

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა სიტყვის თავისუფლების როგორც დაცვა ასევე მისი გამოხატვის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა ეთიკური, მორალური, რელიგიური თუ სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც დღესაც საკმაოდ აქტუალურია.

სამწუხაროა, მაგრამ დღეს დამოუკიდებელი მასმედია რომელიც განიხილავს პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებს იშვიათად შეიძლება იყოს დამოუკიდებელი. ამის ბრწყინვალე საბუთია ისეთი ტერმინის შექმნა როგორიცაა Fake News, ანუ ყალბი ინფორმაცია, რაც მისი შექმნიდან მეორეე დღეს აღარ იყო ნეოლოგიზმი და მრავალმა ენამ სიამოვნებით აიტაცა, რადგან ეს თავისუფალი სიტყვის „გვერდითი მოვლენა" როგორც ჩანს გლობალური ხსიათისაა.

საკვანძო სიტყვები: კომინიკაცია, მედია, სუბლიმინალური აღქმა, კონუსის ეფექტი, ლიბერტარიანული თეორია, ავტორიტარიანული თეორია, ცილისწამება, ფუნაქექიობა.

შესავალი

ადამიანთა შორის კომუნიკაცია ყოველთვის იძლევა გავლენის მოხდენის საშუალებას, როგორც ცალკეულ პიროვნებაზე, ასევე მთელ საზოგადოებაზე. ბუნებრივია. ჩნდება კითხვა თუ რა დონემდე შეიძლება ამის განხორციელება პიროვნების პირადი სურვილის საწინააღმდეგოდაც კი. შესაძლებელია გამოიყოს სამი სხვადასხვა გზა, რა თქმა უნდა მენტალიტეტის გამოყენებით და არა ფიზიკური ზემოქმედებით, თუმცა არსებობს ფსიქოლოგიური ზეწოლის სახეობებიც. ეს გზები ანუ შეიძლება ითქვას მეთოდები ემსახურება იმას, რომ მოხდეს როგორც პიროვნების ასევე საზოგადოების ქცევის რეგულირება.

ძირითადი ნაწილი

ერთ-ერთი ასეთია სუბლიმინალური აღქმა (subliminal perception) რაც გამომდინარეობს იმ დაკვირვებიდან, რომ ადამიანი ამჩნევს გაცილებით უფრო მეტს ვიდრე ახდენს მათ შეგნებულ გააზრებას. მაგალითად, მეხუთე კადრის ცნობილი ეფექტი. ასათივე საშუალებაა ჰიპნოზი რომელიც ხორციელდება ადამიანის ღრმა ტრანსში შეყვანით. მესამე, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საყურადღებო მეთოდია ე.წ. „ტვინის გამორეცხვა" (brain washing). ბუნებრივია, ამ მეთოდს თან ახლავს გარკვეული ძალადობრივი მხარე, რათა აიძულონ საზოგადოება ირწმუნოს ის რაც მას მიეწოდება გარკვეული გზავნილის განუწყვეტელი გამეორებითა და თუნდაც დაუსაბუთებელი ჩვენებების ფაქტობრივ მტკიცებულებებად მოყვანით. ასეთი ქმედების ინტენსიურობა არ აძლევს დროს და სათუალებას საზოგადოებას რომ მოახდინოს არსებულის შესაბამისი, რეალური გაგება და გააზრება. იგი ხშირად იღებს უკიდურეს ფორმებს, რაც პიროვნების დეგრადაციას და სულიერ გატეხვას იწვევს. სწორედ ამ დროს, თუ კი პიროვნებაში რაღაც წინაპირობაც არსებობს, შედეგი მიღწეულია, ანუ ადამიანი და მათგან შემდგარი საზოგადოება კარგავს რეალობის აღქმას და ხდება გადასვლა „არარეალურ რეალობაში", ანუ იმ განზომილებაში რომელიც მას მიეწოდებოდა. ნათელია, რომ ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასსმედიას, რომელიც ახდენს გლობალურ კომუნიკაციას და მის არასწორად გამოყენებას შეუძლია არა მხოლოდ გახლიჩოს საზოგადოება, არამედ ქვეყნები სისხლისმღვრელ ომში ჩაითრიოს.

ერთ-ერთ საინტერესო ხერხს რომელიც გავლენას ახდენს სინამდვილის სწორ აღქმაზე, წარმოადგენს კონუსის ეფექტი (Cone effect, by Edward Jay Whetmore, 1993). ამ მეთოდის საშუალებით ხდება რეალური ყოფის კონსტრუირება განზრახვის შესაფერისად და შემდეგ მასმედიის გამოყენებით იქმნება მედია რეალობა, ანუ მოდელირებული რეალობა და ის ცვლის სინამდვილეს.

თუ გადავხედავთ, როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული მასმედიის განვითარების ფორმასა და შინაარს დავინახავთ, რომ ფორმის სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების შედეგად, დღეს შეიძლება ითქვას რომ მივიღეთ სუპერგლობალური სისტემა რომელმაც მთელი მსოფლიო ერთ „პატარა სოფლად" აქცია სადაც ყველას შეუძლია ნებისმიერი ინფორმაციის მიღება ამ სოფლის ნებისმიერი კუთხიდან. ტექნოლოგიურმა მიღწევამ გამოიწვია ფორმის ცვლილება, მაგრამ უფრო საინტერესოა როგორია შინაარსი. შეიცვალა თუ არა ის ან მისდამი მიდგომა საუკუნეების განმავლობაში, დაწყებული

პირველი ნაბეჭდი წიგნიდან (გუტენბერგის ბიბლია, 1456 წ.) დღემდე.

უდაოა, რომ ნაბეჭდი სიტყვისა და პრესისადმი მიდგომა მისი დაბადებიდანვე იყო არაერთფეროვანი. მათ შორის აშკარად გამოხატული დაპირისპირებით გამოირჩეოდა ავტორიტარიანული (Authoritarian theory) და ლიბერტარიანული (Libertarian theory) თეორიები. პირველის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ვირჯინიის გუბერნატორის უილიამ ბერკლის (Sir William Berkeley, governor of the Virginia colony) მიერ გაკეთებული განცხადება 1671 წელს: „მადლობა ღმერთს რომ არც თავისუფალი სკოლები გვაქვს და არც ბეჭდვა და იმედი მაქვს რომ არც გვექნება მომდევნო ასი წლის განმავლობაში, რადგან განათლებამ მოგვიტანა დაუმორჩილებლობა, მწვალებლობა და სექტები მსოფლიოში, ხოლო ბეჭდვითმა სიტყვამ გამოამჟღავნა მათი ცილისწამება ხელისუფლებისადმი. ღმერთო გვიხსენი ორივე მათგანისაგან. ბუნებრივია რომ სწორედ ამ პერიოდში იქნა შემოღებული ცენზურა ნაბეჭდი მასალის გამოქვეყნებამდე, რაც დღეს წარმოუდგენელია და შესაბამისად სიტყვამაც შეიძინა სრული თავისუფლება.

რადიკალურად განსხვავდება ლიბერტარიანული მიდგომა ბეჭდვითი სიტყვის მიმართ. 1787 წელს თომას ჯეფერსონი (Thomas Jefferson) თავის წერილში მეგობრისადმი წერდა: „ მე რომ მომიწიოს არჩევნის გაკეთება მთავრობის პრესის გარეშე და პრესის მთავრობის გარეშე შორის, მე ავირჩევდი მეორეს.

როგორც ვხედავთ ფორმის ცვლილებამ, ტექნოლოგიურ ბაზაზე, სიტვას მიანიჭა აბსოლუტური თავისუფლება, არა მხოლოდ გამოხატვის, არამედ იურიდიული თვალსაზრისითაც რაც კონსტიტუციურად გამყარდა. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას თავისი „გვერდითი მოვლენებიც“ გაუჩნდა. ამიტომ წარმოიქმნა აუცილებლობა, როგორც გამოხატვის ასევე ინფორმირების პასუხისმგებლობის შესახებ. შესაბამისად გასათვალიწინებელი გახდა მრავალი ფაქტორი, მათ შორის როგორც ეთიკური ასევე სამართლებრივი და ის გავლენაც რომელიც თავსუფალმა სიტყვამ შეიძლება მოახდინოს საზოგადოიბაზე. შესაბამისად ინფორმაციის შინაარსთან და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გამოიცა უამრავი რეგულაცია და აქტი. მაგალითად, მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ რაც ამერიკის შეერთებული შტატების კოსტიტუციაში შევიდა პირველი დამატება, რაც იურიდიულად იცავდა პრესას ხელისუფლების ზემოქმედებისაგან, კონგრესმა გამოსცა აქტი (Alien and Sedition Act, 1798) რომელიც სერიოზულ შეზღუდვებს აწესებდა პრესის საქმიანობაზე. გაჩნდა დახურული სასამართლო განხილვები (Closed hearings) რაც გამოიხატება იმაში, რომ საქმის დეტალური განხილვა მასმედიის მიერ ხელს უშლის მსაჯულთა ინსტიტუტს ვერდიქტის გამოტანაში. ასეთივეა (Gag order), ინტერვიუს მიცემის შეზღუდვა საქმის განხილვის მონაწილეებისათვის. რაც შეეხება იფფორმაციის წყაროს გაუცემლობას ჟურნალისტის მიერ (Disclosing source), მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შტატში ასეთი მექანიზმი არსებობს, ფედერალურ დონეზე ის არ მოქმედებს. საინტერესოა (Libel Laws), კანონები ცილისწამებაზე პასუხისმგებლობის შესახებ. რა თქმა უნდა, ისინი არსებობენ, თუმცა არანაირი ქმედითი შედეგი არ მოაქვთ, თუ არ გავიხსენებთ “The Death of Slander”, სიკვდილი ცილისწამებისათვის შუასაუკუნეებში. ეთიკური ნორმების დაცვა ხდება სპეციალური კომისიების მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად, მაგრამ ყოველივე ამ რეგულირებებს თან ახლავს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი როგორიცაა მიკერძოება, ანუ რამდენად შეუძლია მასმედიას იყოს დამოუკიდებელი ან თავისუფალი სიტყვის მანტიით გადალახოს ყველა საზღვარი და დაუკარგოს ამ თავისუფალ სიტყვას თავისი ღირებულება.

დასკვნა

სამწუხაროა, მაგრამ დღეს დამოუკიდებელი მასმედია რომელიც განიხილავს პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებს იშვიათად შეიძლება იყოს დამოუკიდებელი. ამის ბრწყინვალე საბუთია ისეთი ტერმინის შექმნა როგორიცაა Fake News, ანუ ყალბი ინფორმაცია, რაც მისი შექმნიდან მეორევე დღეს აღარ იყო ნეოლოგიზმი და მრავალმა ენამ სიამოვნებით აიტაცა, რადგან ეს თავისუფალი სიტყვის „გვერდითი მოვლენა“ როგორც ჩანს გლობალური ხსიათისაა.

გარდა სიყალბისა, მას მედიის უმეტესობა მიიჩნევს რომ ინფორმაცია მხოლოდ უარყოფითი უნდა იყოს. მსგავსი მოვლენა მეოცე საუკუნის დასაწყისში აღინიშნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, რაც პრეზიდენტმა თეოდორ რუზეველტმა იმდროინდელი ნეოლოგიზმით გამოხატა, კერძოდ - muckraking , რაც ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც „ფუნაქექიობა“ ,ანუ ყველანაირ სიკეთეში მხოლოდ უარყოფითის ძებნა, ცილისწამება.

„თუ ადამიანი წარადგენს ბრალდებას ვინმეს მიმართ (და დააბრალებს მას მკვლელობას), მაგრამ ვერ შეძლებს ამის დამტკიცებას, ბრალმდებელი სიკვდილით დაისჯება’ - ჰამურაბის კანონთა კრებული,1780 წელი ჩვენ წელთაღრიცხვამდე, მუხლი პირველი. თავისუფალმა სიტყვამ რომ ძალა დაიბრუნოს ალბათ საჭიროა ეს ძველესი მცნება ყველამ გაითავისოს, განსაკუთრებით კი მათ ვინც ამ პროფესიას, ჟურნალიზმს ემსახურება.

ლიტერატურა

1. Mass Media / Mass culture. Stan Le Roy Wilson. McGraw – Hill. The third edition.
2. The Role and Influence of Mass Media. 2020 Houghton Mifflin Harcourts.
3. Current Problems in the Mass Media. Global Social Justice News.2021.
4. Code of Hammurabi . 1700 B.C.
5. საქარტველოს პარლამენტი. მედია და საზოგადოება. საჯარო ინფორმაცია.
6. ქართული მედია გარდამავალ პერიოდში. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2014.

Then and now

Nugzar Sikharulidze, professor of Georgian Technical University

Summary

Communication can always be used to control both an individual and entire society. Obviously, a number of strategies have been elaborated to implement it. Among them are subliminal perception, brain washing, cone effect, fake news, etc.

For centuries freedom of expression has always been a subject of contradiction. Namely, its defense or restriction due to certain viewpoints of ethics, morality, religion or law is still very vital.

Key words

Communication, media, subliminal perception, cone effect, libertarian theory, authoritarian theory, slander, muckraking.

ზოგიერთი რამ ჟურნალისტური ფსიქოლოგიის შესახებ

ვაჟა პაპასკირი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

იმისათვის, რომ მივიღოთ ნებისმიერი პიროვნების (ინტერვიუერის) სრული ფსიქოლოგიური პორტრეტი, აუცილებელია გამოვიყენოთ კორელაციის მეთოდი ანუ მასმედიის წარმომადგენლებმა ერთიან ჭრილში უნდა „განათავსონ“ და „შეესწავლონ“ მათთვის „საინტერესო“ პიროვნების (ინტერვიუერის) როგორც შინაგანი, სულიერი აქტიექტურა, ასევე მისი ზოგადი, გარეგანი ქცევები. ჟურნალისტური ანალიზისა და სრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე, შექმნან შეჯერებული ვერსია ამა თუ იმ ფაქტისა თუ პიროვნების შესახებ. ფსიქოლოგიური სახის სრულყოფისათვის მასმედიის მიერ გამოყენებულ უნდა იქნას ადამიანის კვლევის სისტემური და მიზანმიმართული მოტივები. სრულყოფილი სახის მისაღებად ასევე აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ პიროვნებისათვის დამახასიათებელი, ერთი შეხედვით, არცთუ მნიშვნელოვანი მახასიათებელბი, როგორცაა: ზოგადი გამონათქვამები, სხვადასხვა სახისა და თემატიკის ხუმრობები ან ნახევრადხუმრობები, რადგან სწორედ მათში ყველაზე თვალსაჩინოდ კონცეტრირდება პიროვნების ფსიქოლოგიური განწყობის უტყუარი დეტალები. განწყობის ამოცნობისაკენ მიგვითითებენ ინტერვიუერის ჟესტები, მიმიკები და სხვა არავერბალური მახასიათებლები, რომლებიც ასევე აუცილებელია სწორად იქნას აღქმული მასკომუნიკატორის მიერ, რათა კვლევის დასასრულს მივიღოთ სრულყოფილი პორტეტი იმ მდგომარეობისა, რომელშიც აღნიშნული პირი იმყოფება. ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები, რა თქმა უნდა სხვადასხვა, ძალზედ მრავალფეროვან ხერხებს მოიცავს.

შესავალი

პიროვნების ან ფაქტის ფსიქოლოგიური შესწავლა შესაძლებელია:

- წინასწარ შედგენილი და დაზუსტებული პროგრამით
- თავისუფალი, ყოველგვარი წინასწარი ჩარჩოების გარეშე
- დაკვირვების ობიექტის უშუალო თანამონაწილეობით
- დაკვირვების ობიექტისაგან ფარულად
- სხვათა ნააზრევის მიხედვით
- „მეორეხარისხოვანი“ დეტალების კვლევით, რომლებიც აუცილებლად მოგვცემენ საშუალებას შევქმნათ ყოველმხრივ სრულყოფილი და დეტალიზებული დასკვნები ამათუ იმ საკითხის ან პიროვნების ირგვლივ.

ძირითადი ნაწილი

პიროვნების ამოცნობის და შეფასების უპირველესი საშუალება არის ის, ღია ვერბალური ურთიერთობები, რომელსაც ჟურნალისტი წარმართავს ინტერვიუერთან. ესაა მთავარი მეთოდი, რომლის საფუძველზეც მოვიპოვებთ უმთავრეს ინფორმაციულ მასალას კვლევის ობიექტის შესახებ. ვერბალური ურთიერთობები გვაძლევენ საშუალებას, რომ შევიმეცნოთ რესპოდენტის შინაგანი ფსიქოლოგიური სამყარო. იმისათვის, რომ კომუნიკატორმა „მოიპოვოს“ ნდობა ობიექტისა აუცილებელია:

- წინა პლანზე წამოვწიოთ და პრიორიტეტი მივანიჭოთ კონტაქტს ჩვენთვის „საინტერესო ადამიანებთან, და ამავე დროს, „მოვიძიოთ“ ყველა ის ხერხი, რომელიც ხელს შეგვიწყობს კომუნიკაციის უსწრაფესად დამყარებაში.
- რესპონდენტთან ურთიერთობისას გამოვიყენოთ ინდივიდუალური თვისებებითა და ფსიქოლოგიით შერჩეული შესაფერისი სასაუბრო ტონი, რომელიც არ უნდა გამოხატავდეს არც ზედმეტ დადებით განწყობას ან ზედმეტ სიცივეს ამ პიროვნებისადმი
- მოვიშველიოთ გულღიაობისა და გახსნილობის ფაქტორი, რომელიც ბუნებრივად შექმნის იმ კეთილგანწყობას, რომელზე დაყრდნობითაც თანდათან, სრულიად წაიშლება ყოველგვარი ფსიქოლოგიური ბარიერი მხარეთა შორის.
- გულღიაობა ურთიერთობაში არ უნდა გამოსჭვივოდეს კომუნიკაციის ხელოვნური ელემენტებით
- მასკომუნიკატორმა აუცილებლად უნდა მისცეს საშუალება თანამოსაუბრეს მაქსიმალურად გააცნოს საკუთარი თავი
- რიგ შემთხვევაში არ წარმოიჩინოს პრიორიტეტად ის თემა, რომელიც სინამდვილეში მისი ინტერესის უპირველესი მოტივატორია
- კომუნიკაციისას აუცილებელია ჟურნალისტის პროფესიული აზროვნების სწორი და რიგიანი მომარჯვება.
- მუდმივად გვახსოვდეს, რომ ინტუიცია ნებისმიერი კომუნიკაციის გასაღები და საუკეთესო ფაქტორია შემდგომი ურთიერთობისათვის.

- არ შევქმნათ წინააღმდეგობით აღსავსე ურთიერთობა
- არ შევჩერდეთ ერთი და იგივე საკითხზე ხანგრძლივი დროით და საუბარში ჩავრთოთ ისეთი ეპიზოდები, რომლებიც ორივე მხარეს მისცემს განტვისრთვის საშუალებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი შესაძლებელია კვლავაც დავუბრუნდეთ საუბრის მთავარ საკითხს.
- ჟურნალისტი უნდა ეცადოს ისეთი ემოციური განწყობის შექმნას , რომელიც არ დაარღვევს ინტერვიუერთან ურთიერთობის იდილიას.
- მოსმენილის ზუსტად გადმოცემის უნარი (დამახსოვრება)
- გამოავლინოს მაქსიმალური დამოუკიდებლობა, აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებისას.

იმისათვის, რომ ჩასწვდე ადამიანის გონისა და ფსიქიკის ღრმა შრეებს, სწორად აღიქვა სხეულის ესა თუ ის მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რესპოდენტი თავად უნდა იყოს ამგვარი თანამოღვაწეობისადმი მზად. სწორედ მაშინ შევძლებთ სხვისი აზრი, თუ ის ღირებულია, ღრმად აღვიბეჭდოთ ჩვენსავე სულში. მხოლოდ ის აზრი შეიძლება ჩვენსავე „გულს ვაწებოთ“, რომელიც მთელი სისრულითა და ჭეშმარიტებით აღიქვამს სხვისი სულის პოზიტიურ ძვრებს, რომელიც კეთილის ქმნისკენაა მიმართული. ადამიანის გონება იმითაც ხასიათდება, რომ იგი თითქმის ყოველთვისაა მიმართული რაიმე ღირებულის შესაქმნელად. ამ უკანასკნელს კი დაღვინებული, „მწიფე“ მსოფლმხედველობრივი გონება სჭირდება, მხოლოდ მაშინ იძლევა იგი სასურველ ნაყოფს. „ნაყოფს იძლევა კაციც, ღმერთიც, მთელი სამყაროც; ყველაფერი თავის დროზე იძლევა ნაყოფს. რა ვუყოთ, რომ ეს გამოთქმა, ჩვეულების ძალით, ვაზისა და ხეხილის მიმართ იხმარება მხოლოდ. გონებაც თავის ნაყოფს იძლევა, ერთდროულად ზოგადსა და კერძო ნაყოფს, რომელთაგანაც დასაბამს იღებს არა ერთი ისეთი რამ, როგორიცაა თვითონ გონება.“ (მარკუს ავრელიუსი - ფიქრები. თბ., გამოც. “CARPE TIEM”, გვ. 242).

მოსმენილისა და რეალური, ობიექტური სინამდვილის ასახვა მასკომიკატორის მოქმედებისა და მოღვაწეობის ქვაკუთხედია, სინამდვილის შემეცნებაც და მისი მასმედიურ პროდუქტად გადაქცევაც მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნიკატორის ფსიქიკურ შესაძლებლობებთან, ასახვის აქტიურ ხასიათთან. აუცილებელია, რომ ამ უკანასკნელის „მაღალი გრძნობები“, რომელიც თავად წარმოადგენენ დიფერენცირებულ და მყარ განცდებს, აღმოცენებულს, სოციალურ და კულტურულ საფუძველზე, იკვებებოდნენ ისეთი მაღალი სტანდარტებით, როგორიცაა:

- მაღალი მორალური დონე
- ესთეტიკურის განცდის უნიკალური უნარი და ინტელექტუალური შეგრძნებები.
- ვალდებულების გრძნობა, რომელიც ეფუძნება მორალს, ჟურნალისტს ხდის უფრო პასუხისმგებლურს, რაც განაპირობებს მის მოქმედებას შესაბამისი, სწორი მიმართულებით. რათა უკანასკნელის ემოციური განცდები სწორ კალაპოტში მოაქციოს. ძლიერი ემოციურ-ფსიქიკური განცდები ხშირად ჟურნალისტური ზედმეტი აღტყინებები მოუთმენლობისა და წინდაუხედაობის მიზეზი ხდება. ასეთ შემთხვევაში, უპრიანია მეტი თავშეკავება, ფსიქოლოგიური გაწონასწორებულობა და ცივი გონების მოხმობა. ადამიანები უმეტესწილად, ფარულ ზრახვებსა და მისწრაფებებს ოსტატურად ნიღბავენ და გამუდმებით ცდილობენ სიტუაციის შესაფერისი მანტიით შეიმოსვას.

ლაროშ ფუკო წერდა, რომ: „ყოველი კაცი, ვინც უნდა იყოს იგი, ცდილობს ისეთი სახე მიიღოს და ისეთი ნიღაბი გაიკეთოს, რომ ხალხმა აღიაროს იმად, რადაც სურს ჩანდეს; ამიტომ შეიძლება ითქვას რომ მთელი საზოგადოება მხოლოდ ნიღბებისაგან შედგება („მაქსიმებე“, 256). თამაში აშკარად ორმხრივია: თუ ინდივიდი საკუთარი სურვილით იკეთებს თავისი მოჩვენებითი ორეულის ნიღაბს და, ამ გზით, ატყუებს საზოგადოებას, ეს უკანასკნელიც სათანადოდ იქცევა, არ რჩება ვალში და იძულებულს ხდის ინდივიდს ამ საყოველთაო სპექტაკლში თავისი მოჩვენებითი, ყალბი ორეულის როლი შეასრულოს. საზოგადოებისთვის თავის მოწონება, მოითხოვს უაღრესად ფილიგრანულ „მოღვაწეობას“ და გონებითღრმადმხედველობას. ნებისმიერ ადამიანზე ვნებისეული სურვილები წარმართავენ მისწრაფებების სხვადასხვა ასპექტს და აწესრიგებენ წარმოდგენებს. გონების მთლიანი მიქცევა მოქალაქეობრივი სიკეთისადმი ადამიანში ქმნის ისეთ უნარს, რომელიც გვაშორებს ბუნებისათვის უცხო და გონიერი არსებისათვის უღირს აზრს. სწორედ გონი აწესებს, რისი ქმნა მართებს ადამიანს და რისი არა.

იმისათვის, რომ შევიცნოთ ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება - მისი სიდიადე და სიმდაბლე, დაცემა თუ აღზევება, აუცილებელია გავერკვეთ იმ მიზეზებში, რომლის წყალობითაც იგი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნებისმიერ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი, მასკომუნიკაციის წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ზემოაღნიშნულის შესწავლით, უპირველესყოვლისა, ჰმართებთ კომუნიკატორთა ფსიქოლოგიური განწყობის სწორად შეფასება, ამისათვის კი აუცილებელია გვახსოვდეს, რომ:

- ყველა ადამიანი ერთნაირია - ყველა ადამიანი სხვადასხვაა.

- არავის შეუძლია, ერთსა და იმავე საგანზე ყოველთვის ერთნაირად იმსჯელოს. ეს მის ფსიქოლოგიურ განწყობას ეწინააღმდეგება. ადამიანის შეცნობისას ყველაზე რთული მისი სულია, ყველა გამოვლენაში.
- ადამიანის წარმმართველი ვნებების ამოცნობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის შესახებ ყველაფერი ვიცით, მითუმეტეს მისი ფსიქოლოგიური სამყარო.
- დუმილიც თავისებური ზემოქმედების ფსიქოლოგიური იარაღია, ჟესტი, მიმიკა, ტემბრი, სახეზე აზრის წაკითხვა. აი, ნამდვილი იარაღი ადამიანის ამოცნობად.
- რაგინდ მაღალი იერარქიისა და დიდების ადამიანს არ უნდა ვესაუბროთ, რაგინდ წარმატებულს და წინწასულს, გვახსოვდეს რომ ისინიც და ჩვენც, ჩვენი ვე სხეულით, ერთი და იმავ მიწაზე ვდგავართ. ამის შეგრძნება ხსნის ნებისმიერ ფსიქოლოგიურ სტრესს, რომელიც კი შეიძლება დაბრკოლებად მოგვეჩვენოს კომუნიკაციის დროს.
- სიმართლე, რომელსაც თქვენ იტყვით „სასარგებლოა“ მხოლოდ იმათთვის, ვის მიმართაც იგი მიიმართება და არა თქვენთვის“ - ეს მასმედიის ბედისწერაა.
- სიძულვილი სიმართლისადმი და თავმოყვარეობა არც ისე შორეული არიან.
- ვინმეს ან რამის შეფასებისას, თქვენეული ხედვის კუთხეა მთავარი მსაჯული, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება იყოს ერთადერთი და პირუთვნელი.
- ყოველ საუბარს აქვს ფსიქოლოგიური დატვირთვა, რომელიც გვეხმარება აზრის ჩამოყალიბებასა თუ სურვილის აღსრულებაში, ის, რასაც ვესწრაფვით მოცემული დროის მონაკვეთში, მაღალი ფსიქოლოგიური დატვირთვით ხასიათდება და სწორად შერჩეულ გარემოზეა დამოკიდებული.
- მასმედიის ნებისმიერ წარმომადგენელს უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებელია ვაკონტროლოთ ისეთი ფსიქოლოგიური ბარიერი როგორიცაა:

♦ მზვაობრობა
♦ მედიდურობა
♦ მიზანმიმართული დამცირება
♦ ბრაზი და მუქარა.

განსაკუთრებულად უნდა გვახსოვდეს, რომ მზვაობრობა არ არის საუკეთესო იარაღი კომუნიკაციის ჩამოყალიბებისას და არც მისი განვითარების რომელიმე სტადიაზე.

- მეტი ყურადღება მიაქციეთ იმას, რაც გაერთიანებთ და არა იმას, რაც განგასხვავებთ, რაც დაგეხმარებათ მოიპოვოთ კომუნიკატორის სიმპათია, თუნდაც ნაწილობრივი.
- „აკონტროლეთ თქვენი ქცევა“ - ის ნამდვილი იარაღია სასურველის მისაღწევად.
- დაუქვემდებარეთ თქვენი ფსიქოლოგიური განწყობა ხელსაყრელი ფონის შექმნას კომუნიკატორთან, რათა თანამოსაუბრემ კომფორტულად იგრძნოს თავი.
- ჟურნალისტმა სრულიად უნდა გამორიცხოს ფსიქოლოგიური წნეხი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თანამოსაუბრე მისთვის ,კვლავაც და კვლავაც, ჩაკეტილია და „არ მოდის“ ღია ურთიერთობისკენ.
- ნუ გააფუჭებთ პირველ შთაბეჭდილებებს, გამოავლინეთ მყარი ფსიქიკა, ზედმეტი ემოციების გარეშე.
- შეისწავლეთ თანამოსაუბრის ქცევა, განსაკუთრებით ურთიერთობის პირველ წუთებში.
- მასმედიის ნებისმიერ წარმომადგენელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ მეტყველება კონტროლირებადია, ოქოპირობა საუკეთესო იარაღია აზრების შესაფუთად, სახისმეტყველებაა თავნება და კონტროლიდან გასული, მიმიკაც იმსახურებს ადამიანის ყურადღებას.
- ნუ იქნებით ყოველთვის და ყველა შემთხვევაში „გიუნპლენი“, მაგრამ ისიც გვახსოვდეს რომ ღიმილი - თავაზიანობის, კეთილგანწყობის და ტაქტის უპირველესი სავიზიტო ბარათია. მასზეა დამოკიდებული პოზიტიური ატმოსფეროს შექმნა და სასურველი ინფორმაციის მოპოვება.
- გახსოვდეთ, რომ სიცრუით მანიპულირება ანონიმურობის ფონზე, გეომეტრიულად იზრდება, როდესაც მისი გადამოწმების შესაძლებლობა თითქმის ნულამდე დადის. მას აძლიერებს „ფართო ასპარეზი“ სასურველის ინტერპრეტაციისა და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პიროვნების გამოცდილებაზე, ინტელექტუალურ განვითარებასა და ორიენტირებულობაზე. სინამდვილის სასურველად რეკონსტრუქცია ასევე დამოკიდებულია ასასახი მასალის შინაარსზე და მნიშვნელობაზე. თუ სიცრუე მიმართულია აზრობრივად ლოკალიზებულ დროსა და სივრცეში, მაშინ მისი აქტუალიზაცია ერთობ დაბალია და შესაბამისად, ნაკლებად მოქმედებს სოციუმის, საზოგადოების წევრს ურთიერთმოქმედების ხარისხზე. სიცრუის, როგორც ადამიანზე ზემოქმედების იარაღის, ხშირად გამოყენება თავად მისი ავტორის გონებრივ რეკონსტრუქციას ახდენს, ის თანდათან კარგავს სრულიად აშკარა, რეალურის ადეკვატურად აღქმის საშუალებას და რეალურად გამოგონილ, მხოლოდ მასში არსებული “ანაბეჭდებით” აღიქვამს ფაქტებს

ან მოვლენებს. სიცრუის როგორც „რეალური ფაქტის“, სასურველი პროდუქტიულობა დიდადაა დამოკიდებული მისი ავტორის მიერ შემუშავებული „ხერხების სისტემაზე“, რომლებიც ერთ ფაქტს, მეორე - „თითქმის მსგავსით“ ცვლიან. სიცრუის ავტორები, უპირველეს ყოვლისა, ახერხებენ „ერთი მილიონი რეალობის“ დანაწევრებას და მათ შემაკავშირებელ დეტალებში აქსოვენ მათთვის სასურველ „რეალობას“. საბოლოოდ კი დანაწევრებული ფაქტებისა და მოვლენების არევ-დარევა იძლევა არარეალური, სინამდვილისგან საკმაოდ დაშორებული სურათების გამოძერწვას. მოვლენების დეფორმაცია სიცრუის პირდაპირი მიზანია.

სიცრუის ავტორი ნებისმიერ სფეროში, უპირველესად კი ჟურნალისტიკაში, იყენებს „პროფესიულ დაკვირვებებს“, მეტად განვითარებულ მეხსიერებასა და აზროვნებას, განსაკუთრებით კი უკიდურესად განვითარებულ საკომუნიკაციო შესაძლებლობებს, ამავე კუთხით ჩამოყალიბებულ უნარებსა და სტერეოტიპებს. ასევე სიცრუის ავტორების მაღალი შესაძლებლობის წყალობით, დიდად არიან დავალებულნი, თვითრეგულაციის შესაძლებლობებითაც.

ჟურნალისტური კორპუსი არცთუ ისეი შვიათად, შეიძლება იყოს კონფაბულაციის მსხვერპლი ან შემოქმედი (ლათ. confabulatio - ერთად, გამონაგონი. სრული ან ნაწილობრივი გამონაგონი, სინამდვილესთან თითქმის მიახლოვებული).

ადამიანის ფსიქოლოგია ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ აშკარად მოგვწონს ის პიროვნებები, რომლებიც ჩვენს დამოკიდებულებებსა და შეხედულებებს იზიარებენ მნიშველოვანი საკითხების მიმართ. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მასმედიისმსახურთ იზიდავთ ჭკვიანი და მოაზროვნე და ფსიქიკურად გაწონასწორებული ადამიანები. ამგვარი თანხვედრით ისინი ახერხებენ შეხედულებების სოციალურ დადასტურებას.

ადამიანთა ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ აზროვნების თანხვედრისას მათი გრძნობები მზარდი და პოზიტურია, უფრო მეტიც, ზემოთ აღნიშნული საკმაოდ მყარად აყალიბებს მათ შორის თბილ და სასიამოვნო ქცევას.

მასმედიის წარმომადგენლებს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანთა შორის შეიძლება იყოს, როგორც გაცვლითი, ასევე კომუნიკაციური ურთიერთობები. პირველ შემთხვევაში ადამიანები ზრუნავენ, რომ გარკვეულწილად დაიცვან მიღწეული წონასწორობა და თითოეულ მათგანში არ შეირყეს სამართლიანობის განცდა. ანუ პარტნიორები მუდმივად იღებენ პასუხისმგებლობას მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე და დადებით პოზიციას ყოველთვის დადებითად პასუხობენ. ეს არის შეწონასწორებული ურთიერთობა, რომელიც პარტნიორებისაგან მუდმივად მოითხოვენ ყურადღების მაქსიმუმს.

- რაც შეეხება კომუნიკაციურ ურთიერთობას პარტნიორთაგან არც ერთი არ თვლის ვინ რას აკეთებს ან რას მიიღებს საპასუხოდ, ისინი აკეთებენ ყველაფერს, რაც მათ პარტნიორის გარკვეულ სიტუაციაში დასჭირდება და, პირიქით.

- კომუნიკაციური ურთიერთობისას, მთავარი არ არის თანასწორობის მიღწევა. ისინი, ანუ პარტნიორები, დაჯერებულნი არიან ხანგრძლივ, პოზიტიურ პერსპექტივაში და ქმედებაშიც ბევრად უფრო თავისუფალნი არიან. რაც უფრო ახლო და ინტიმურია ეს ურთიერთობა მით უფრო დადებით შედეგებს ავლენს, ასეთია ადამიანის ფსიქიკა და ეს ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

- ხანგრძლივი და წარმატებული ურთიერთობა მოიცავს ფსიქო-ემოციურ დაცულობას და კომფორტს. ამ დროს პარტნიორებმა კარგად იციან, ურთიერთობის ძლიერი ან ნაკლოვანი მხარეები. ამგვარ ურთიერთობას დიდად უწყობს ხელს გულახდილობა მოწინააღმდეგეების ფსიქოლოგიური მდგომარეობის სწორად შეფასება და საკუთარი ემოციების კონტროლი, რაც, საბოლოოდ, ამყარებს პოზიტიურ დამოკიდებლებას პარტნიორთა შორის.

- რომანტიკული ურთიერთობები-პარტნიორთა შორის ურთიერთობა შეიძლება განვითარდეს და შეემატოს მას ვნებისა და ინტიმურობის კომბინაციები. ამგვარი ურთიერთობა ბევრად უფრო სრულყოფილი და გაფაქიზებულია და ამგვარი ნდობის მოპოვებას საკმაოდ დიდი ხანი და ასეთივე ძალისხმევა სჭირდება. რომანტიკული ურთიერთობა შეიძლება შენარჩუნდეს შორეულ პერსპექტივაშიც, თუმცა იგი ბევრად უფრო მსხვრევადია, ვიდრე ურთიერთობის სხვა ფორმები. რომანტიკული ფსიქოლოგიის ადამიანი განსაკუთრებული მგრძნობელობით გამოირჩევა და მისი მთელი ყურადღება მთავართან ერთად პარტნიორის ქცევის ნიუანსებზეა გამახვილებული. რომანტიკულმა ურთიერთობამ შეიძლება პარტნიორები სრულად მოსწყვიტოს რეალობას და შექმნან ისეთი ატმოსფერო, რომელიც შეიძლება გაცილებით შორს იყოს რეალობისაგან. რომანტიკული ურთიერთობების ფსიქოლოგია ფერთა გამებით ხატავს ყოველწუთიერი თუ შორეული ურთიერთობების ისეთ უმნიშვნელო დეტალებსაც კი, როგორიცაა უნებლიე ან უწყინარი მოქმედებები. რეაგირება მომხდარზე, შეიძლება სრულიად უცნაურად მოეჩვენოს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამგვარი ურთიერთობის მანტიაში არ იქნება გახვეული.

- პირდაპირი საუბრის ფსიქოლოგია, ერთ-

ერთი ურთულესი და საპასუხისმგებლო მომენტია ადამიანთა შორის ურთიერთობაში, თავად ეს პროცესი არ იძლევა საშუალებას ღრმად მოფიქრებული და მწყაზარი აზრებით მივაღწიოთ ურთიერთგაგებას პარტნიორთან. მითუმეტეს თუ ის სპონტანურადაა წარმოშობილი.

- ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური პროცესები მიჯრით, მიყოლებით წარმოიშვებიან და ასეთივე სისწრაფით იცვლებიან. ეს სიტუაცია იმითაცაა განსხვავებული, რომ ჟურნალისტმა ამ შემთხვევაში ურთიერთობა მრავალი კომუნიკაციური საშუალებით უნდა აკონტროლოს, კერძოდ, ესაა თანამოსაუბრის სახის გამომეტყველება, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა ვიცოდეთ ჟესტისა და მიმიკის ენა, რადგან სახის მიმიკა არის სწორედ ის, რომლის შენიღბვასაც ვერც ერთი ადამიანი ვერ აკონტროლებს, რადგანაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას ვიზუალურად შეაფასოს საკუთარი გამომეტყველება აქედან გამომდინარეობს ცნობილი გამოთქმა „სახეზე გაწერია“.

ასევე მნიშვნელოვანია კიდურების მოძრაობები, რომლებიც მეტ-ნაკლებად კონტროლირებადია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში გამოდიან ამგვარი ზეწოლიდან და ბუნებრივად გამოხატავენ რომელიმე მხარის შინაგან ემოციურ სამყაროს და ნათლად ავლენენ იმას, რასაც გონება მთელი მონდომებით ფარავს.

პირდაპირი საუბრისას, ურთიერთობის განვითარება უფრო მეტ საშუალებას იძლევა ნეგატიური განწყობისა ვიდრე პოზიტიურისა, თუმცა ამის ხელაღებით თქმა და გადაჭრა არც ისე ადვილია. განსაკუთრებით პირდაპირი საუბრის ისეთი შემთხვევისა, როდესაც სპონტანურად წარმოშობილი საკითხი თავიდანვე უფრო მეტადაა მიმართული უარყოფითისკენ, ვიდრე დადებითის გამოვლენისკენ. თუ პირდაპირი საუბარი წარმოადგენს მხარეების ნაფიქრისა და ნააზრევის შემდგომ პროცესს, მაშინ დადებითი განყობის და შედეგების მიღწევა არც ისე იშვიათია. მიზეზი ამისა გახლავთ ის გონებრივი შეწონილობა სამსჯელო საკითხთან, რომლის საშუალებაც მას წინასწარ ჰქონდა. ანუ შეჯერებულ და კარგად მოფიქრებულ აზრთა შემთხვევაში ურთიერთობის და კომუნიკაციის მიღწევა ბევრად უფრო ადვილია და მთლიანად გამორიცხავს აზრთა განსხვავებას იმ საკითხისადმი, რომელიც ამ დროს მთავარი ობიექტია მსჯელობისა.

– ჟურნალისტი ვერასდროს ააგებს თავის შეხედულებებს მხოლოდ იმპულსის ხარჯზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას აფექტურ საბურველში გახვეული, არარეალური, მის მიერ გამოგონილი ფსიქოლოგიური პორტრეტი შერჩება ხელთ. აღმქმელის ინტერპრეტაცია არ უნდა შეიცავდეს მრავალ თვითნებურ დაშვებას, რადგან მოწესრიგებულ აზროვნებას არ უყვარს ჰიპოთეზათა სიმრავლე, ის უფრო ლოგიკას ემეგობრება.

– მასმედიის წარმომადგენელს კარგად უნდა ესმოდეს, რომ რესპოდენტის ფსიქოლოგიური შეფასება მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე, პროცესებითაა შესაძლებელი, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი გვაძლევს საშუალებას მისი ესა თუ ის ქმედება- მისი ღირსებაა თუ ნაკლი.

– ნებისმიერი ჩვენგანისთვის მათ შორის, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებისთვისაც კარგადაა ცნობილი, რომ საზოგადოების მოთხოვნები პიროვნების ფსიქოლოგიაზე დიდ გავლენას ახდენენ, თუმცა პიროვნებას წარმატებით შეუძლია საპირისპირო მოქმედება განახორციელოს. ამდენად, საზოგადოების ფსიქოლოგიური განწყობის ავტორი, თავადაც ამ უკანასკნელის ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

– რადგანაც ფსიქოლოგია უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის საზოგადოებასთან ადაპტაციაში, ურიგო არ იქნება თუ ჟურნალისტური კვლევა ამა თუ იმ პირის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისას გაითვალისწინებს, ამ უკანასკნელს, საზოგადოებასთან ამგვარად ადაპტირების მიზეზსაც.

– ჩვენ გარშემო არსებული სოციალური საჭიროება აყალიბებს და ქმნის პიროვნების ხასიათს, ეს უკანასკნელი ასტიმულირებს პიროვნების ფსიქოლოგიურ ქმედებას, რომელიც ჩვენი განსჯის ობიექტი ხდება.

– ნებისმიერი კვლევისას, მითუმეტეს ჟურნალისტურისას, პიროვნების ფსიქოლოგიური შემეცნება, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სრულყოფილი, როცა მას სოციალურ გარემოში ვიხილავთ და მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნაში სოციალურ ფაქტორს გავითვალისწინებთ.

– არამხოლოდ არგუმენტის ძალაა ფასეული, არამედ ფრაზის ფორმულირებაც, ეს უკანასკნელი კი, პირდაპირ კავშირშია ჟურნალისტურ კორპუსთან, რადგან მომხდარი ან მოსახდენის ფრაზული ჟღერადობა სწორედ მასზეა დამოკიდებული. ფრაზაა ავტორი იმისა, თუ რამდენად მგრძნობიარედ განვიმსჭვალებით ამა თუ იმ ფაქტის მიმართ. ამიტომაცაა აფორიზმი ძლიერი, მისი გარითმულობა ბევრად უფრო მძლავრია, ვიდრე ნებისმიერი აზრის გაურითმავი ფორმით წარმოდგენა.

– კომუნიკაციის (დარწმუნების) ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს:

- წყაროსადმი სანდოობამ (ვინ დგას წყაროს უკან)
- კომუნიკაციის ბუნებამ (ვინ და როგორ (რა ფრაზებით) გადმოგვცემს მომხდარს
- სმენელის მზადყოფნა ამბის მისაღებად
- სწორი დროითი ფაქტორის შერჩევა

– ასევე აღსანიშნავია, რომ ფრაზის ჟღერადობასთან ერთად, სასურველი ფსიქოლოგიური სურათის შექმნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს

დადებით და ნეგატიურ სიტყვათა რიგობითობა, კერძოდ, თუ ჟურნალისტს სურს შექმნას დადებითი გმირის სახე, რომელსაც პოზიტიურთან ერთად საწინააღმდეგო თვისებებიც ახასიათებს, მაშინ მან აუცილებლად უნდა გამოიყენოს ე.წ. „პირველობის ეფექტი“, რაც გულისხმობს ჯერ დადებითი მახასიათებლების წინ წამოწევას ფრაზაში, ხოლო შემდგომ, ფრაზის ბოლოსკენ, იმ უარყოფითი თვისებების აღნიშვნას, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია და ვეღარ დაიმალება. მაგალითად, თუ პროფესორი აღნიშნავს რომ:

– მისი სტუდენტი უაღრესად ნიჭიერი, მოწესრიგებული ახალგაზრდაა, თუმცა ჯიუტი და უხეშია.

– მისი სტუდენტი უაღრესად ჯიუტი და უხეში ახალგაზრდაა, თუმცა ნიჭიერი და მოწესრიგებულია.

აშკარაა, რომ ორივე ფრაზა ერთიდაიმავე შინაარსის მომცველია, მაგრამ პირველი ფრაზის მიხედვით, ჩვენი ფსიქიკა აღიქვამს, რომ სტუდენტი დადებითი ახალგაზრდაა, თუმცა „მცირე ნაკლის“ მქონე. მეორე შემთხვევაში კი ჩვენი ფსიქიკა გვკარნახობს, რომ ახალგაზრდა უარყოფითი პიროვნებაა, თუმცა ნიჭიერი და გონებაგახსნილი.

დასკვნა

ამრიგად, პირველობის ეფექტი აშკარაა, და იგი თითქმის ყოველთვის „კარგად მუშაობს“ ჩვენს ფსიქიკაზე. იგივე ფორმულა მოქმედებს თუ პიროვნების გლობალურ დახასიათებას წარმოვადგენთ, რადგან წინ წამოწეული მახასიათებლები უფრო ნათლად იბეჭდებიან ჩვენს გონებაში, ხოლო არასასურველი მახასიათებლების უკანა პლანზე გადაწევისას ადამიანის გონება „უკვე გადაღლილია“ და მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

სასურველი ფსიქოლოგიური სურათის შექმნისას ასევე მნიშვნელოვანია უარყოფითი და დადებითი არგუმენტების ოდენობა გადმოსაცემი აზრის ფიქსირებისას. თუ ჩვენ ინფორმაციას დავტვირთავთ მრავალი და უახლესი ინფორმაციით, ხოლო დადებითი არგუმენტები „ორჯერ ან მეტჯერ იქნება წარმოდგენილი ვიდრე უარყოფითი, ჩვენ ხელთ გვექნება ე.წ. „დადებითი რეცენზია“ ამა თუ იმ საკითხზე ან პიროვნებაზე. იმავდროულად, ეს ინფორმაციული ნაკადი ფსიქლოგიურად უფრო შთამბეჭდავი იქნება თუ თვითონ ავიცილებთ ე.წ. „განბნევის ეფექტს“, რაც გლისხმობს უმთავრესი და მეორეხარისხოვანი ფაქტებისა და მოვლენების აღრევას, ეს უკანასკნელი მაშინ უნდა გამოვიყენოთ, როცა „მკითხველის დაბნევა“ გვინდა და სრულიად გააზრებულად ვცდილობთ მთავარი თემისაგან ყურადღების აცდენას. ამით, რათქმაუნდა ვასუსტებთ მთავარ ხაზსს, რაც თავისთავად იწვევს შთაბეჭდილების განბნევას.

Кое-что о психологии журналистики

Важа Папаскири, Профессор Грузинского технического университета

Резюме

Для того, чтобы получить полный психологический портрет личности, необходимо использовать определенный метод. Для этого представители масс-медиа «должны изучить» внешнее поведение, заранее спланированное, системное и целенапрвленное поведение «интересной» для них личности для последующего анализа и получения достоверной информации о ней.

Для совершенствования психологического портрета необходимо принять во внимание высказывания личности, его шутки, полушутки, так как именно здесь конкретизируются четкие детали его психологического настроя, что вместе с жестами, мимикой и позой этой же личности дают возможность точно воспринять пихологический характер субъекта.

Изучить психологию личности журналист может:

1. По запланированной программе
2. Свободно, без заранее подготовленной программе
3. С непосредственным участием объекта изучения
4. Со слов других.

დარწმუნებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის გააზრებისათვის მასმედიაში

ვაჟა პაპასკირი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

XXI საუკუნეში ჟურნალისტები, უფრო სწორად, ამ კორპუსის მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნების ფსიქოლოგიას ემსახურება. დღეს უკვე თვალსაჩინოა ამ ფაქტის მასობრივი მცდელობები. ისეთი მნიშვნელოვანი კომუნიკაციის წყაროები, როგორიცაა: ტელევიზია, რადიომაუწყებლობა, ინტერნეტი, ჟურნალი თუ გაზეთი ცდილობს ჩვენს დარწმუნებას, რომ შევიძინოთ ესა თუ ის პროდუქტი, ხმა მივცეთ ამა თუ იმ პოლიტიკოსს, დავისვენოთ აქ და არა იქ, ვისარგებლოთ მხოლოდ ამ სერვისებით, რადგან ის ყველაზე მობილურია; ეს უშნოა ის კი ლამაზი; ეს სასურველია ის კი მავნე და ა.შ., დაუსრულებრივ. აშკარაა, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილს მიმზიდველი, სწორად შერჩეული ფსიქოლოგიური შეფუთვა სჭირდება. ისეთი, რომელიც ჩვენს ფსიქოლოგიაზე მეტად იმოქმედებს და, ამიტომაც იმართება გრძელი მარათონი-თუ ვინ შეფუთავს უფრო ბრჭყვიალად ერთი და იმავე ნივთს. თითქოს მოდური გახდა მედიისადმი დამორჩილების და „კონკიას ფსიქოლოგიის“ დანერგვა, რომელიც „უკეთესის მოლოდინის“ ფსიქოლოგიას ქმნის, ამ სატყუარის ნათელი მაგალითებია ზოგიერთი ქვეყნების კინოპროდუქცია, მავანნი თვლიან ,რომ ჩვენი ქვეყნისთვის სწორედ ამ კატეგორიის კინო-სერიალებია „შესაბამისი“. აღნიშნული კინო-სურათები მთავრობის მიერ მოხმობილია სპეციალური მიზნით, რადგანაც ქვეყანაში არსებული რეალობა ვერ კვებავს სასურველს, სამთავრობო სტრუქტურების გააზრებით, იმედი და მოლოდინი საზოგადოებაში არ უნდა დაიკარგოს, ანუ სეთურისეული ფსიქოლოგია არ უნდა გაქრეს, მერე რა, რომ დღეს არ არის სასურველი რამ - ხვალ აუცილებლად იქნება. ისინი ფიქრობენ, რომ ამგვარი ფსიქოლოგიის დანერგვა მაკურნებელ სალბუნად ედება საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილს. ამიტომაც, ტრიალებენ ჩვენ თვალწინ: თურქი, უკრაინელი, ბრაზილიელი თუ არგენტინელი, ვენესუელელი თუ პანამელი პერსონაჟები. ნებისმიერი მათგანის(სერიალის) მსოფლმხედველობა და ფსიქოლოგიური დატვირთვა ემთხვევა ჩვენი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ პრობლემებს. ისინი ნერგავენ ისეთ მოსაზრებებს, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებენ მავანისათვის სასურველ ფსიქოლოგიურ გარემოს, თანაც, რაც უფრო მეტი სიხშირით, მით უფრო დამაჯერებლად. ერთი შეხედვით, იმას, რასაც ვითომ მხოლოდ გასართობი ღირებულება აქვს, სინამვილეში დიდი, სასურველი ფსიქოლოგიური წნეხის გატარებაც შეუძლია, სადღეღამისო სატელევიზიო არხებმა და ასეთივე რადიომაუწყებლობამ, ეს პროცესი უფრო და უფრო გააღრმავა. სამწუხაროდ, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

შესავალი

განსაკუთრებით „აგრესიული“ ფსიქოლოგია (არც თუ ისე იშვიათად) გააჩნიათ კლიპებს, რომლებიც ხშირად მათ მიერ აქცენტირებულის შესახებ საპირისპირო რეაქციასაც კი იწვევენ და ამით სარეკლამო პროდუქციის განხიბლვას ახდენენ. ზოგჯერ ისინი ისეთ ძლიერ ფსიქოლოგიურ წნეხს ავითარებენ, რომ ჩვენს ფსიქოლოგიურ განწყობას თითქმის აგრესიულობის ზღვარზე ამყოფებენ. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეცნობიერი, სიახლოვე და გაშიანურება, ამა თუ იმ სარეკლამო პროდუქტთან, ძალიან დიდ გავლენას ახდენს მყიდველზე და მარკეტში ყოფნისას ავტომატურად იმ პროდუქტს უფრო ვეტანებით, რომელიც ყოველდღე, მრავალგზის გვაქვს ნანახი და არა იმას, რომლისთვისაც მხოლოდ რამდენჯერმე თუ მოგვიკრავს თვალი ამა თუ იმ რეკლამაში. გამოდის, რომ ფსიქოლოგიური აღქმა ჯერადობაზეცაა დამოკიდებული, რაც ჩვენში ქვეცნობიერად შემოედინება. აშკარაა, რომ ჩვენთვის პრიორიტეტული ხდება ერთიდაიმავე პროდუქციის კონკრეტული ფირმის ნაწარმი, ამავე დროს, მნიშვნელოვანია მწარმოებელი-თუ ვისი სახელით შემოდის პროდუქცია და ფორმაც, რომლითაც იგი იფუთება. ჩვენი მხედველობა მრავალ უცნობ პროდუქტთა შორის, აუცილებლად მიანიჭებს უპირატესობას და შეიძენს იმას, რომელიც მისთვის „ცნობილია“,განსაკუთრებით, სარეკლამო რგოლებიდან. რეკლამა ერთგვარი ფსიქოლოგიური გზავნილია, ინფორმაციაა, რომელიც უფრო მეტად და ძლიერად მოქმედებს, რაც უფრო გაუთვითცნობიერებელია ადამიანი. საპირისპირო აზროვნების მყიდველი აღჭურვილია სკეპტიციზმის იმუნიტეტით და გადარწმუნებაც ძნელად ხდება. თუმცა, ამგვარი იმუნიტეტი, საბოლოოდ, ვერ იცავს ადამიანს ცდუნებისაგან და ხშირად მხოლოდ იმიტომ ვიძენთ ამა თუ იმ ნივთს, რომ ის ჩვენთვის უცხო არაა.აშკარაა, რომ იმუნიტეტი განსაკუთრებით უკუძლეულია მაშინ, როდესაც „კარგად გაცნობიერებულ“ პროდუქციასთან გვაქვს საქმე. აქ, აშკარად რეკლამირებული ნივთი იმარჯვებს.

ძირითადი ნაწილი

სარეკლამო ჟურნალისტიკა მრავალ ფსიქოლოგიურ ხრიკს მიმართავს პროდუქციისათვის პრიორიტეტის მისანიჭებლად. იგივე ფსიქოლოგიური წნეხით იმართება სააფთიქო ქსელიც, წამლების უმრავლესობას დღეს მოდიფიცირებული, შედარებით თანამედროვე ელფერის შესაბამის სახელს ანიჭებენ, რითაც ხელოვნურად ზრდიან ინტერესს ამ სამკურნალო პრეპარატის მიმართ. წამალს ზედ ერთვის (მეტი ფსიქოლოგიური დარწმუნებისათვის) ამა თუ იმ საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების მრავალგვერდიანი რეკომენდაციები მათი განსაკუთრებულობის შესახებ. თუმცა, მრავალი მათგანი აწ უკვე კარგად ცნობილი სამკურნალო საშუალებაა, იმავე შემადგენლობით. ამ სფეროში განსაკუთრებული „ჯადოსნური ჯოხის“ ფუნქციას ასრულებს ზოგიერთი კარგად მოფიქრებული და მორგებული ფსიქოლოგიურად სწორად მოტივირებული სარეკ-ლამო შესიტყვება: „ექსტრა ძლიერი“, „განსაკუთრებული მოქმედების“, „უნიკალური შემადგენლობის“, „ხანგრძლივად მოქმედი“, და ასე შემდეგ. თუმცა, „ნაცნობი ბრენდი“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი შესყიდვის აუცილებელ გარანტიას. მაგრამ ასეთის აღსრულების ხარისხი უდავოდ ძალიან მაღლა იწევს.

რადგანაც წამალი ავადმყოფთათვის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დატვისრთვის მატარებელია, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენა თავის უკანასკნელ კაპიკებს სწორედ ამ კუთხით მიმართავს.

ამ ბოლო დროს, ქართულ სარეკლამო სივრცეში (რადიომაუწყებლობა, ტელევიზია, სოციალური მედია) უკვე შესამჩნევ აგრესიას იწვევს სამორინეების მიერ შეკვეთილი და განთავსებული რეკლამები, რომლებიც არამხოლოდ თავს გვაბეზრებს, და განგვაწყობს რეკლამის საწინააღმდეგოდ, არამედ გამოირჩევა იმითაც, რომ თანმხლები მუსიკალური გახმოვანება უკვე შემზარავად ისმის, რაც თავისთავად შეიძლება იყოს შემაძრწუნებელი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მძლავრი იარაღი. გარდა ამისა, ამგვარი რეკლამები სავსეა უცხოური, სპეციალური ტერმინებით, რაც კიდევ უფრო გამაღიზიანებელი და გაუგებარი ხდება მსმენელისა თუ მაყურებლისათვის. ამ, ზემოთაღნიშნულ „ბედნიერებას“, ზედ ერთვის დიქტორის ყოვლად უღიმღამო და შეუფერებელი ტონით ღაღადისი. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი შინაარსის მქონე სარეკლამო ჭრა, სსხვადასხვა სამაუწყებლო სივრცეში ყოველდღე, უამრავჯერ ხდება. შესამჩნევია, ისიც, რომ ქართულ სამაუწყებლო სივრცეში ერთი და იმავე შინაარსის რეკლამა ყველა არხზე ერთდროულად (ერთიდაიგივე საათობრივ მონაკვეთში გადის).

პოლიტიკური რეკლამის დროს, განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს სწორად შერჩეული მთავარი აქცენტი აღშფოთებული ხალხის გამოყენებისათვის. მათი გამოსვლებისა და დეტალების მიზანმიმართულად სწორი შერჩევა დიდად ეხმარება მასკომუნიკაციის წარმომადგენლებს შექმნან ძლიერი ფსიქოლოგიური მუხტი, რომელიც შეიძლება გადამწყვეტი გახდეს ამომრჩეველთა უდიდესი უმრავლესობისათვის, მაგალითისთვის 2012 წელს ე.წ. „ციხის კადრების“ - ჩვენებამ არჩევნების წინ, საბოლოოდ გადაწყვიტა ხალხის დადებითი ფსიქოლოგიური განწყობა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და „ნაციონალური მოძრაობა“ იძულებული გახდა დაეთმო ხელისუფლება.

ხშირად სრული ინფორმაციის, ანუ ე.წ „განათლების“ მიწოდება შეიძლება მასმედიურ პროპაგანდად ჩათვალონ, ან პირიქით.მაგალითად, როდესაც მასმედიური წყაროები და საშუალებები საზოგადოებას აცნობენ პრეზიდენტის ბიოგრაფიას და მისი მოღვაწეობის შედეგებს, ეს შეიძლება, მისი დადებითი თვისებების და მოქმედების აქცენტირებით გააკეთონ. წარმატებით შეიძლება ეს ფაქტი საზოგადოების მიერ აღქმულ იქნას, როგორც მომაბეზრებელი და თავსმოხვეული პროპაგანდა, რომელიც პრეზიდენტის დადებითი პორტრეტის შექმნას ემსახურება.

მასკომუნიკაციური წყაროები ცდილობენ, რომ ამა თუ იმ მიზნით აქცენტირებული წარდგენები იყოს გასაგები და ადვილად გასააზრებელი საზოგადოების ყველა ფენისათვის. პოლიტიკური რეკლამისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დროითი ფაქტორი, ის ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც თან ახლავს მნიშვნელოვანი პოლიტიკური თარიღებისა და მოვლენების ჩატარებას. ძნელია ზღვარის გავლება, რადგან, ერთი მხრივ, აქ შეიძლება კანდიდატისადმი პროპაგანდული მხარდაჭერაც დავინახოთ, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ინფორმირებულობა-სხვადასხვა შეფასების გასათვალისწინებლად.

ასევე, სხვადასხვა მხრივ შეიძლება შევაფასოთ საბანკო საქმიანობის ფსიქოლოგია. ერთი მხრივ, ისინი (ბანკირები) „დაუნდობელი მევახშეები“ არიან, ხოლო მეორე მხრივ, ისინი თავიანთი ინვესიტიციებით, შეიძლება მივიჩნიოთ, საზოგადოებისათვის კეთილი, დადებითი საქმიანობის მეცენატებად. ერთი მხრივ, ეს ფაქტი უარყოფით ქმედებებს წაახალისებს, მეორე მხრივ, კეთილ საქციელს. თუ სატელევიზიო გადაცემისას, რომელიც შეეხება უკიდურესად გაჭირვებაში მყოფ ადამიანთა ცხოვრებას, რომელსაც თავშესაფარიც კი არ აქვთ და ქუჩაში, ღია ცისქვეშ ათევენ ღამეს, ბანკირის მიერ , უსასყიდლოდ საცხოვრებლის გადაცემა, საზოგადოებაში რას გამოიწვევს? ალბათ

აღტაცებას, თუმცა იმ წუთში არავის ახსოვს თუ როგორი არაჰუმანური ფორმებითაა დაგროვებული ბანკის ქონება. გარდა ბანკებისა, ასეთი ორმხრივი ფსიქოლოგიის მატარებელი შეიძლება მრავალი აქტივობაც იყოს.

იმისათვის, რომ ნებისმიერმა ჩვენგანმა ესა თუ ის ფაქტი, გადაწყვეტილება აღიაროს ან მიიღოს, გვჭირდება მოტივაცია და დარწმუნება, თუმცა, რიგ შემთხვევაში, ამის გარეშეც იოლად გავდივართ და ვღებულობთ სპონტანურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მეტწილად არასასურველი შედეგით მთავრდება. დარწმუნებისათვის ყველაზე საფუძვლიანი და მოტივირებული დარწმუნების პირდაპირი გზაა, რომელიც მრავალგზის აწონილ-დაწონილია და განმტკიცებულია შესაბამისი ფაქტებით, ანუ ჩვენს ფსიქოლოგიურ განწყობას ამა თუ იმ პროცესის სისრულეში მოსაყვანად რეალური საფუძველი ექმნება. თუმცა, მსგავსი გადაწყვეტილებები შეიძლება მივიღოთ ყოველგვარი არგუმენტების გარეშეც, მაგრამ არასპონტანურად. მაგალითად, როდესაც კოლეჯის მოსწავლე მრავალგზის დაფიქრებისა და თავისი დაინტერესების გამო ირჩევს ამა თუ იმ პროფესიას, მას შეიძლება ვუწოდოთ არგუმენტირებულ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ როდესაც იგივე ახალგაზრდა ირჩევს მხოლოდ იმის გამო, რომ მისი ახლო მეგობარი, ნათესავი ან ნაცნობი სწავლობს, ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში, მისი გადაწყვეტილება- იმავე სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა ვერ იქნება რეალურად მოტივირებული და მას შეიძლება წაბაძვითი და არაარგუმენტირებული ვუწოდოთ. არსებობს მესამე გზაც, რომლის ფსიქოლოგიური საფუძველი რეკლამით მოწოდებულ ცოდნას ემყარება. ეს, რა თქმა უნდა, არამყარი არგუმენტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება იქნება. როდესაც ჩვენ ვყიდულობთ კომპიუტერს მისი ფართო და მრავალფუნქციური შესაძლებლობების გამო, ეს, რა თქმა უნდა, არგუმენტირებული გადაწყვეტილებაა მაგრამ თუ იმავე ნივთს შევიძენთ მხოლოდ იმის გამო, რომ მსგავსი თქვენს მეგობარსაც აქვს, გადაწყვეტილება ძალზე სუსტი, ნაკლებად მოტივირებული იქნება.

ფაქტის სარწმუნოობაზე აქცენტირება მასმედიურ საშუალებებს უქმნის მყარ ნიადაგს, რათა შექმნან ამა თუ იმ სიტუაციის ან პიროვნების ფსიქოლოგიური, სწორი და მართებული პორტრეტი, განსაკუთრებით კი, ამ უკანასკნელის შესახებ. იმიჯის როლის შესახებ კერ კიდევ ანტიკური ხანის კორიფეები აღნიშნავდნენ და თვლიდნენ, რომ გარეგნული იერსახე ადამიანისა, მისი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ერთი უმთავრესი კომპონენტი იყო. არისტოტელეს მიხედვით, კარგ ადამიანებს დამარწმუნებლობის მეტი შანსი აქვთ. განსაკუთრებით კი, მაშინ, როდესაც აზრები იყოფიან და ზუსტი დამარწმუნებლობისათვის მყარი ნიადაგი არ ჩანს, გარეგნული აღნაგობა, პიროვნული ხიბლი, უდავოდ მოქმედებს ნებისმიერ ჩვენგანზე და მისი პატრონისადმი დადებით ფსიქოლოგიურ განწყობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, პიროვნული გამორჩეულობა, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი, ხაზს უსვამს მისადმი კეთილგანწყობის დიდ შესაძლებლობებს. მართალია, რიტორიკული შესაძლებლობები მთლიანად არაა დამოკიდებული ამ უკანასკნელზე, მაგრამ ვერავინ იტყვის რომ, ისინი, (დადებითი, გარეგნული და შინაგანი მონაცემები), არ ზრდიან პიროვნების ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარს. ეს ფაქტი კიდევ უფრო იქნა წინწამოწეული ვიზუალური მედიის განვითარებისას. „მოუგვარებელი აღნაგობა“ აშკარად ხელის შემშლელია და ქმნის უარყოფით ფსიქოლოგიურ წარმოდგენებს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ტელეკამერები შეეცდებიან ე.წ. „ახლო კადრებით“ მისი გარეგნობის უარყოფითი მხარეების აქცენტირებას. ახლო პლანით ჩვენება დიდად სარისკოა, როდესაც შეუსაბამო, მე ვიტყოდი, „შეუსაბამოდ მოკაზმული“ პიროვნება იწყებს უაღრესად სერიოზულ საკითხებზე მსჯელობას და აანალიზებს ისეთ თემებს, როგორიცაა: გლობალური ეკონომიკა და პოლიტიკა, თაობათა შორის ურთიერთდამოკიდებულება და სხვა. ამ დროს სასურველიც და აუცილებელიც იქნებოდა იგივე გადაცემა აუდიო საშულებებით განხორციელებულიყო,თუ წინასწარ ცნობილი იქნებოდა მოწვეული სტუმრის უპატივცემულო დამოკიდებულება მისი გარეგნობისადმი, რომელიც საკმაოდ მრავალკომპონენტიანია და ამ ფაქტით თავს დავიზღვევდით უხერხულობისაგან. კერძოდ, ღიმილისმომგვრელ დამოკიდებულებას მაყურებლისგან. როგორც ჩანს, თავისუფალი, თინეიჯერული სტილი აღკაზმულობისა ყოველთვის ვერ ჩაანაცვლებს კონსერვატიულს, და, პირიქით, მიზეზი ამისა თავად ის საკითხებია, რომელთა შესახებ იმართება საუბარი. აშკარაა, რომ შესაბამისი „ფსიქოლოგიური სამოსელი“, რომელიც ჰარმონიაშია საპოლემიკო თემასთან ქმნის დადებით ფსიქოლოგიურ განწყობას და ზრდის ზემოქმედების პოტენციალს.

კარგი საუბარი (ორ პირს, ან, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის), რა თქმა უნდა, მოიცავს მრავალ კომპონენტს, მათ შორის ორატორული ხელოვნების ყველა ნიშანს.

სწორი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, გადმოსაცემი აზრის სწორი კუთხით მობილიზება, ნამდვილად არ არის უკანასკნელი იმისათვის რომ, აზრი მართებულად და ზედმიწევნით სრულად

იყოს გადმოცემული. საკითხის გადმოცემისას, აუცილებელია აქცენტების სწორად დასმა, სასურველი, მიზანმიმართული და მოტივირებული შემოთავაზებები. იმისა გამო, რომ ნებისმიერი საკითხი შეიცავს, როგორც მთავარ, ასევე მეორეხარისხოვან დეტალებს და მოსალოდნელია მათ შორის შინაარსობრივი კავშირის დარღვევა, საჭიროა მათ შორის სწორად მოტივირებული ფსიქოლოგიური სარჩულის მომარჯვება, რომელიც „მთლიანისა და ნაწილის“ სწორი შეკავშირების ხარჯზე მოგვცემს სწორედ იმ შედეგს, რომლისკენაც მივილტვოდით.

რადგან ადამიანთა შორის დამოკიდებულების ხარისხი, სხვადასხვა ეტაპზე, აშკარად განსხვავებულია, მათ შორის კონტაქტის დამყარების ფილოსოფიაც სრულიად დიფერენცირებულია. მრავალწლიან ურთიერთკავშირზე და გამოცდილებაზე დამყარებული ფსიქოლოგიური მახასიათებლები ძირითადად, მოზომილ კონტროლირებად ფსიქოლოგიურ იმპულსებს შეიცავენ. ისინი მზად არიან მეტი ღიაობისადა უშუალობის დემონსტრირებისათვის. ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ზეწოლა მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგანაც მოპირდაპირე მხარეებმა კარგად იციან, თითოეული მონაწილის ფსიქოლოგიური შესაძლებლობები. თუ ურთიერთობის დასაწყისში ადამიანები ფრთხილად ზვერავენ ერთმანეთს, რათა მოიპოვონ ფართო ინფორმაცია თანამოსაუბრის ფსიქოლოგიურ სიმყარეზე, ურთიერთობის უფრო ხანგრძლივი ეტაპის გავლის შემდეგ ადამიანთა შორის ურთიერთობები „ადვილდება“, ამიტომაც მათ არ სჭირდებათ მთავარი სათქმელის, მთავარი აზრის, განსაკუთრებული შენიღბვა და დეტალების საშუალებით სხვადასხვა საკითხებზე ყურადღების აქცენტირება.

ბუნებრივია ის, რომ ჟურნალისტური კორპუსი, განუწყვეტლივ საუბრობს სხვადასხვა თემებზე, განსხვავებული ფორმით, ეს შეიძლება იყოს: სხვადასხვა იმპულსების მატარებელი შეხვედრები და მოლაპარაკებები, სხდომები, „მრგვალი მაგიდები“, დისკუსიები, სხვადასხვა თემით მოტივირებული პაექრობები და ასე შემდეგ, ჟურნალისტი შეიძლება იყოს მონაწილე, როგორც ჯგუფური, ასე ინდივიდუალური შეხვედრებისა, ნებისმიერ ზემოთ მოხსენიებულს შესაბამისი ფსიქოლოგიურად გააზრებული და,შესაბამისად მოტივირებული განწყობა - ქმედება სჭირდება. ფსიქოლოგიური განწყობები ჩვენს გონებას მუდმივ სიფხიზლეში ამყოფებენ, ამიტომ განსხვა-ვებულ განწყობას ვაფიქსირებთ, სხვადასხვა კომუნიკაციური საშუალებების გამოყენებისას. მაგალითად, ტელეფონით ან ინტერნეტით შემდგარი ინტერვიუ შეიძლება მოიცავდეს ერთი და იგივე მიზანს, მაგრამ მათი საზოგადოებისათვის მიწოდების ფსიქოლოგია განსხვავებული ელფერის მატარებელი იყოს.

დასკვნა

აშკარაა, რომ აზრს სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა ფორმით ვალაგებთ, რთ ული ფსიქოლოგიური მომენტების მართვისას, ვიყენებთ როგორც საკუთარ არგუმენტებს, ასევე აუცილებლად ჩავრთავთ ყველა იმ მოპოვებულ მასალას, რომელიც საკითხის კვლევისას მოვიპოვეთ. შედარებით ადვილი სამართავია მარტივი ფსიქოლოგიური დატვირთვის მატარებელი ყოველდღიური სხვადასხვა სიტუაციები: ხელმძღვანელისა და ხელქვეითის საუბარი, პროფესორისა-სტუდენტთან, მკურნალისა პაციენტთან, გამომძიებლისა ეჭვმიტანილთან, მოქალაქისა-პოლიციელთან და ასე შემდეგ. თუმცა, თითოეული ჩამოთვილთაგანი უაღრესად საპატივცემულოა და გარკვეულ ფსიქოლოგიურ დაძაბვას მოითხოვს.

სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაა ჟურნალისტი, საჯარო გამოსვლებისას. პასუხისმგებლობის ზრდასთან ერთად, იზრდება ფსიქოლოგიური წნეხი, რომელიც მუდმივი დაძაბულობის გარემოს უქმნის ამ უკანასკნელს. სწორედ ფსიქოლოგიური იმპულსები ცვლიან ჩვენი ხმის ტემბრს, ჟესტს, მიმიკას, განწყობასა და მოქმედებას. განსხვავებული ფსიქოლოგიის მატარებელია დისტანციური ურთიერთობების ფსიქოლოგია, ეს უკანასკნელი გამოხატავს არამხოლოდ ორი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს, არამედ იგი ეროვნული ნიშნების მატარებელიცაა. ამ კუთხით ინგლისელისა და იტალიელის ურთიერთობის ფილოსოფია სრულიად განსხვავებულია, ისევე, როგორც ქართველისა და იაპონელისა. თითოეული მათგანის ეტიკეტი ურთიერთობებისა ატარებს ღრმა ეროვნულ ფსიქიკას, რომელსაც თითქმის არასდროს არღვევს. თუ იაპონელი ყოველთვის ცდილობს მსუბუქად და ძალადაუტანებლად მოიპოვოს შენგან დადებითი ფსიქოლოგიური განწყობა, მსოფლიოს ჩრდილოეთ სფეროში მცხოვრებნი, ყოველთვის მზად არიან თვალი გაგისწორონ და გაგრძნობინონ, რომ თქვენს წინაშე არცთუ ადვილად ხელმისაწვდომი პიროვნება დგას. მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი ურთიერთობის, განსაკუთრებით კი, მეორე მხარესთან პირველშეხვედრისას, ის, როგორც სხვა ჩვეულებრივი ადამიანი, იყენებს ფსიქოლოგიურ წნეხს არამხოლოდ მეტყველებით, არამედ ყველა შესაძლებელი ფორმით-ჩაცმით, ვარცხნილობით, მაკიაჟით, ჟესტითა და მიმიკით. მის სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენოს ის ფაქტიც კი, თუ შეხვედრა, მისთვის ცნობილ და კომფორტულ გარემოში მიმდინარეობს. მასკომუნიკაციის ნებისმიერ წარმო-

მადგენელს შეიძლება მოუწიოს ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები. პირველისთვის დამახასიათებელია მკაცრი დოკუმენტურ-საქმიანი ენა, თემატიკა -ვიწრო, შემოფარგლულ ჩარჩოებში, თემატიკის მტკიცე დაცვით. მაშინ, როცა არაფორმალური საუბრის დროს, თემატიკა მრავალფეროვანია, ურთიერთობა ღია და, თითქმის ან სრულიად მეგობრული, რაც გამორიცხავს ფსიქოლოგიურ წნეხს და საუბარს წარმართავს მრავალმხრივი შესაძლებლობებით.

Осмысление психологии коммуникации и убежде ния в массмедиа

Важа Папаскири, Профессор Грузинского технического университета

Резюме

В XXI веке журналисты, точнее их основная часть, служат теории убеждения. В настоящее время такие важные источники информации как телевидение, радио, интернет, журнал или газета стараются убедить нас приобрести ту или иную продукцию, голосовать за ту или иную партию, отдыхать где-то, а не там где мы хотим, использовать сервисы, так как они более мобильные и так бесконечно. Всему выше сказанному нужна привлекательная психологическая «упаковка», которая на нашу психологию больше подействует. Для этого проводится быстрый марафон – кто «упакует» более ярко ту или иную вещь. Очень популярна стала такая кинопродукция как телевизионные сериалы. При этом то, что является развлекательной ценностью на самом деле несет в себе психологическое давление. Круглосуточное телерадиовещание еще более углубляет этот процесс.

Социальная парадигма русскоязычной журналистики Грузии в трансисторическом движении

Татьяна Мегрелишвили, Профессор
Грузинский технический университет

Резюме

В статье рассматриваются вопросы формирования и развития русскоязычной журналистики Грузии в ее трансисторическом движении. Актуальность рассматриваемого явления диктуется возрастающим интересом к русскоязычным СМИ, их историей становления и функционированием в странах постсоветского пространства.

Целью данного исследования является рассмотрение и анализ печатных периодических изданий Грузии XX столетия.

Методология исследования, примененная в данном исследовании представляет собой сравнительно-исторический метод, а также метод дискурсивного анализа.

Объектом исследования выбраны печатные периодические издания Грузии периода 1918-1921 гг, советского и постсоветского периодов.

Анализ этапов становления и развития изучаемого явления позволил выявить основные отличия и особенности каждого этапа истории русскоязычных печатных СМИ в Грузии.

Ключевые слова: русскоязычные печатные СМИ, журналистика, периодические издания.

Введение

Грузинская периодика имеет давнюю историю и восходит к началу XIX века. Первая грузинская газета «საქართველოს გაზეთი», по свидетельствам (Григол Кипшидзе, 1901[1]), датируется либо 1817, либо 1818 годом. Важно отметить, что с момента своего возникновения периодика Грузии существует как на грузинском, так и на русском языке. Рассматривая динамику развития русскоязычных печатных изданий в Грузии, необходимо оценивать не только современное состояние печатных русскоязычных изданий, но и историю развития этих изданий в Грузии. Это позволит увидеть изменения, которые произошли в современной журналистике.

Актуальность рассматриваемого явления диктуется возрастающим интересом к русскоязычным СМИ, их историей становления и функционированием в странах постсоветского пространства.

Целью данного исследования является рассмотрение и анализ печатных периодических изданий Грузии XX столетия.

Методология исследования, примененная в данном исследовании представляет собой сравнительно-исторический метод, а также метод дискурсивного анализа.

Объектом исследования выбраны печатные периодические издания Грузии периода 1918-1921 гг, советского и постсоветского периодов.

Основная часть

Наиболее зримо вопрос о русскоязычных печатных изданиях встает в эпоху существования Грузинской Демократической Республики. В этот исторический период на территории Грузии, а точнее, в ее столице Тифлисе издавалось большое количество газет на русском языке. Русскоязычная литературная периодика Тифлиса указанного периода отличается многообразием печатной продукции: в городе выходило 18 литературно-художественных журналов и 4 литературно-художественные газеты на русском языке[2]. Одновременно в Тифлисе издавались различные газеты и журналы на русском языке, которые отражали позиции различных общественно-политических слоев Грузии. Среди печатной продукции на русском языке выделяются газеты «Борьба», «Возрождение», «Грузия», «Кавказское слово»[3], а также журнал «Кавказский город».

Отличительными особенностями русскоязычных печатных изданий указанного периода следует считать партийную ориентацию каждого издания. Соответственно основные рубрики газет были нацелены на отражение социально-общественной жизни Грузии с учетом целей, которые ставила перед собой каждая партия. Наряду с традиционной для тифлисских газет рассматриваемого периода рубрикой «Объявления», в газетах регулярно печатались официальные сообщения, описывалась общественно-политическая ситуация за пределами Грузии. Большое внимание уделялось экономике, вопросам образования и повышения грамотности населения, темам, связанным с формированием и состоянием армии, и т.д.

Официальная хроника в газетах дает подробное представление об основных общественно-политических аспектах жизни Грузинской Демократической Республики. В газете «Борьба», к примеру, практически в каждом номере приводились сообщения с театра военных действий, описывалась международная

[1] Кипшидзе Гр. Периодическая пресса на Кавказе. – Тифлис, 1901. Кипшидзе Григорий Федорович (груз. გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე) (1858-1921), писатель, публицист, секретарь редакции газ. "Иверия". ГЛМ Грузии, №№ 110-140, 31 ед. хр., 1881-1921.

[2] О литературной периодике Тифлиса указанного периода см. подробнее: Никольская Т. Фантастический город. Русская культурная жизнь в Тбилиси (1917–1921). М., 2000.

[3] О газетной периодике 1917-1921гг. см. подробнее: Мегрелишвили Т. Русскоязычная периодика Грузии 1918-1921гг. – «Псевдонимы русского зарубежья». Научные материалы и труды. Москва-Бохум, изд-во «Новое литературное обозрение». 2015, с. 115-125.

реакция на проводимую правительством Грузии политику европоцентризма.

Большое количество информационных сообщений обычно шло без подписи, со ссылкой на Грузинское Телеграфное Агентство (Гр.Т.А.). Так, в № 6 (262) от 10 января 1919 г. газеты «Борьба» со ссылкой на Гр.Т.А. представлены материалы «Польская делегация», «Депутаты от немецких поляков в польский сейм», «Сербская делегация», «Английская делегация», «В России», «Кавказ», в которых сообщается о событиях европейской, российской и кавказской политической жизни. В № 271 (527) от 27 ноября 1919 г. со ссылкой на Гр.Т.А. опубликована статья об Учредительном собрании Грузии. Часто Грузинское Телеграфное Агентство на страницах газеты публикует официальные документы. Так в № 270 (526) от 26 ноября 1919 г. опубликован текст соглашения между Арменией и Азербайджаном, подписанного накануне, а также статья о внутреннем положении в Грузии «Борьба с разбоями».

Одной из значимых отличительных особенностей русскоязычных печатных изданий Грузии периода 1918-1921 гг. является наличие ярких публицистов, большинство из которых использовало псевдонимы. Анализ[1], проведенный ранее, позволил выявить и ввести в научный обиход много утраченных и нерасшифрованных псевдонимов. Так, к примеру, было установлено, что псевдоним «Л. К.» принадлежит Льву Кремеру, активно сотрудничавшему в газете «Борьба» и в журнале «Кавказский город». Лев Кремер предстает интересным эссеистом, автором художественной прозы (№ 56 (611) от 10 марта 1920г., «Последний день отшельника»), в центре внимания которого стоит душевный мир его современника и ровесника, офицера Добровольческой армии – человека, на внутренний мир которого повлияли исторические катаклизмы эпохи.

Нико Мицишвили – псевдоним Николоза Иосифовича Сирбиладзе. В газете «Борьба» за период 1919–1920 гг. были опубликованы его литературные очерки о Д. Клдиашвили (№ 32 (587) от 11 февраля 1920 г.) и о Галактионе Табидзе (№ 50 (605) от 3 марта 1920г.).

Различными псевдонимами подписаны в газете «Борьба» статьи Евгения Григорьевича Шрейдера, собственного корреспондента газеты в Италии. Расшифровать псевдонимы позволил текстуальный анализ статей, подписанных в разных номерах «Е. Ш.», «Ев. Ш.», «Ев. Ш–ер», при сопоставлении с единственной статьей, подписанной полным именем (№ 41 (596) от 21 февраля 1920г., «Среди итальянских социалистов»).

Интересным постоянным автором газеты была Русудан Николаевна Николадзе-Полиевктова, за подписью которой в газете опубликовано много статей по вопросам образования и просвещения. Р. Николадзе-Полиевктова в период пребывания в Петербурге являлась ассистенткой по химии Женского педагогического института[2]; переехав в Тифлис, она активно включилась в процесс просвещения и образования в Грузии.

Еще одним автором, чей дневник под названием «Тяжелый крест. Записки народогвардейца» публиковался в газете с предисловием Е.П. Гегечкори, был Валентин Константинович Джугели, занимавший в Грузинской Демократической Республике пост командира Национальной гвардии. Все публикации дневника в газете подписаны В. Джугели.

Ежедневная политическая и литературная газета «Возрождение» также сотрудничала с яркими публицистами. Авторами, чьи имена часто появлялись на страницах этой газеты, были Я. Камский, Г. Пахарь, П. Зумбадзе, П. Туманов, А. Черный. В этом перечне встречаются два имени, за которыми стоят известные в Тифлисе личности. Г. Пахарь, писавший в газете статьи по вопросам лесопромышленности (см., к примеру: ответ на статью в газете «Борьба» по вопросам лесной промышленности (1920, № 15)), в 1920 г. служил старшим лесничим государственного боржомского имения. Выпускник Петербургского лесного института, он за годы своей службы в Боржоми собрал уникальную коллекцию экспонатов пород всех деревьев, которые произрастают в Боржомском лесу. После перехода Боржомской резиденции российских императоров в собственность Грузинской Демократической Республики Г. Пахарь сохранил Боржомский дворец, сделав в нем музей, в котором и выставил свою уникальную коллекцию[3].

П. Туманов, активно сотрудничавший в газете в 1920 г., вероятно, был связан с газетным делом с давних времен. Логично предположить, что П. Туманов и П.И. Туманов – это редактор-издатель тифлисской газеты «Возрождение», выходившей с 1 октября 1905 г. по 25 февраля 1906 г.[4]

В газете «Закавказское слово» на протяжении 1918 года часто печатал свои статьи С.М. Городецкий. В № 8 от 12 января 1918 г. в отделе «Искусство и литература» опубликована его статья, посвященная описанию выставки КОПИ (Кавказского общества поощрения

[1] Об этом подробнее: Мегрелишвили Т. Русскоязычная периодика Грузии 1918-1921гг. – «Псевдонимы русского зарубежья». Научные материалы и труды. Москва-Бохум, изд-во «Новое литературное обозрение». 2015, с. 115-125.

[2] В бумагах почетного академика Н.А. Морозова (Архив РАН, Москва. Ф. 543. Оп. 4. № 1308) находятся два письма Р. Николадзе-Полиевктовой к Н.А. Морозову от 25 января 1917 г. и от 2 февраля 1917 г., проливающие некоторый свет на петербургский период ее жизни (https://www.ras.ru/namorozovarchive/5.aspx?id=5&sorttype=&pi=26).

[3] См.: Возрождение (Тифлис). 1920. 27 марта. № 70.

[4] См.: Библиография периодических изданий России 1901–1916: [В 4 т.] / Под общей ред. В.М. Барашенкова, О.Д. Голубевой, Н.Я. Морачевского. Л., 1958. Т. 1. А–З. С. 296. № 1429.

искусства), критическая по своему тону. В номерах № 71, 74, 77 публиковалась большая статья С. Городецкого «Под сенью истины», в которой автор излагает свои взгляды на христианство и на роль христианских идей в российской революции. В газете опубликовано большое количество статей С. Городецкого[1].

Обзор русскоязычной периодики Грузии за период 1918–1921 гг. показывает, что печатные издания этого периода отражают широкий спектр интересов как грузинского общества, так и тех, кто находился в Грузии временно, надеясь на то, что революционные события в России закончатся, и жизнь вернется в привычное русло. Со страниц периодики жизнь Тифлиса предстает «в деталях», обретает телесность: город оживает «в лицах», «озвучивается» эхом общественных споров и дискуссий. Русскоязычная пресса предстает органичной частью культурного быта Тифлиса и позволяет дополнить картину жизни города, которая известна по обзорам литературных журналов и сборников, выходивших в Тифлисе этого периода.

Система журналистики времен Советского Союза была частью руководящей системы общества и изменялась вместе с изменениями в нем. Все газеты и журналы были рупором какого-либо государственного института, издания с общим направлением, принадлежали коммунистической партии или комсомольским организациям. Это означает, что члены специальной комиссии регулировали содержание изданий и подбор журналистских кадров. Состав редакций крупных республиканских газет комплектовался в соответствии с решением партийной организации. В то время к журналистам крупных республиканских изданий предъявлялись весьма серьезные требования: журналист был скорее «рупором партии», средством ее пропаганды и идеологии, нежели источником информации. При приеме на работу также обращалось пристальное внимание на биографию будущего сотрудника.

Индикатором профессиональности советского журналиста были лояльность к партии и идеологическая «зрелость». От журналиста требовались идеологическая уверенность, активная жизненная позиция, самокритичность, инициативность, острый язык и стремление видеть в работе не только средство для самовыражения, но и возможность принимать участие в жизни общества[2] .

[1] См., к примеру: № 179 от 25 августа 1918 г («Культура и война»); № 136 от 4 июля 1918 г («Русская Дума» [о «толстом» литературном журнале, первый номер которого вышел накануне]); № 60 от 16 марта 1918 г. (статья без заглавия, рассказывающая о выходе в свет детского журнала „Райский орленок“; № 7 от 11 января 1918 г. («Детское творчество»).

[2] Tepljuk, V.M.. The Soviet Union: Professional Responsibility in Mass Media. In: Cooper, T.W. (general ed.) & Christians, C.G., Plude, F.F. & White, R.A. Communication Ethics and Global Change. New York: Longman, 1989,109-123. P. 110.

В указанный период в Грузии распространялось много изданий на русском языке, обладавших самым разным профилем. Это были не только газеты и журналы союзного значения («Правда», «Известия»), но и местные издания («Заря Востока», «Вечерний Тбилиси» и др.).

После обретения Грузией независимости изменился статус всего спектра русскоязычных изданий. Они приобрели статус изданий на иностранном языке. Русскоязычная журналистика соответственно получила статус иноязычной журналистики.

Со времен обретения независимости журналистика сильно изменилась как структурно, так и качественно. Как показывает анализ, главным изменением журналистики со времен СССР стало то, что продолжающаяся коммерциализация сделала ее источником производства, ориентированным на получение прибыли. И ее развлекательная функция стала очень значительной. Главными задачами современной журналистики стали передача новостей и развлекательной информации. Роли же пропагандиста, социального и культурного просветителя, которые были распространены во времена СССР, утратили свою актуальность.

В последнее время русскоязычная журналистика Грузии в основном сконцентрирована на вопросах культуры. Выходят два периодических издания: художественный альманах **«На холмах Грузии»** (гл. редактор М.Айдинов), издающийся на деньги авторов, и гламурный журнал **«Русский клуб»** (гл. редактор А.Сватиков). В интернет-версии существует литературно-художественный журнал **«АБГ»** (ред. А.Шахназарова, М.Ляшенко). На русском языке выходит несколько газет иностранных издательств («Аргументы и факты», «Совершенно секретно» и др.).

Выводы

Таким образом, рубеж тысячелетия провел четкую границу в сфере социального дискурса в русскоязычной журналистике Грузии: на сегодня можно утверждать, что социальная парадигма прошлого века уступила место иной, складывающейся на наших глазах парадигме.

Каковы же основные особенности этой парадигмы? Она формируется как отражение новых мировоззренческих установок, иного взгляда на мир. И если пытаться сопоставить два типа социального видения русскоязычной журналистики Грузии – прошлого и современного, – то главным отличием второго от первого следует признать центральную методологическую установку на интерпретацию самого прошлого дискурса как семиотического процесса, реализующегося в различных видах дискурсивных практик.

Литература:

1. Архив РАН, Москва. Ф. 543. Оп. 4. № 1308 (письма Р. Николадзе-Полиевктовой к Н.А. Морозову) :https://www.ras.ru/namorozovarchive/5.aspx?id=5&sorttype=&pi=26
2. Библиография периодических изданий России 1901–1916: [В 4 т.] / Под общей ред. В.М. Барашенкова, О.Д. Голубевой, Н.Я. Морачевского. Л., 1958. Т. 1. А–З.
3. «Возрождение» (Тифлис). 1920. 27 марта. № 70.
4. Кипшидзе Гр. Периодическая пресса на Кавказе. – Тифлис, 1901.
5. Мегрелишвили Т. Русскоязычная периодика Грузии 1918-1921гг. – «Псевдонимы русского зарубежья». Научные материалы и труды. Москва-Бохум, изд-во «Новое литературное обозрение». 2015,
6. Никольская Т. Фантастический город. Русская культурная жизнь в Тбилиси (1917–1921). М., 2000.
7. 6. «Райский орленок»; № 7 от 11 января 1918 г.
8. 7. Tepljuk, V.M.. The Soviet Union: Professional Responsibility in Mass Media. In: Cooper, T.W. (general ed.) & Christians, C.G., Plude, F.F. & White, R.A. Communication Ethics and Global Change. New York: Longman, 1989,109-123.

რუსულენოვანი ჟურნალისტიკის სოციალური პარადიგმა საქართველოში ტრანსისტორიული მოძრაობა

ტატიანა მეგრელიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში რუსულენოვანი ჟურნალისტიკის ფორმირებისა და განვითარების საკითხები მის ტრანსისტორიულ მოძრაობაში. განსახილველი მოვლენის აქტუალობა ნაკარნახევია რუსულენოვანი მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებისადმი გაზრდილი ინტერესით, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მათი ჩამოყალიბების ისტორიით და ფუნქციონირებით. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მეოცე საუკუნის პერიოდული გამოცემების განხილვა და ანალიზი.

მოცემულ კვლევაში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია წარმოადგენს შედარებით - ისტორიულ -შედარებითი მეთოდს, ასევე დისკურსიული ანალიზის მეთოდს.

კვლევის ობიექტად შერჩეულია 1918 – 1921 წწ. პერიოდის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდების საქართველოს ბეჭდური პერიოდული გამოცემები. შესასწავლი მოვლენის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა საქართველოში რუსულენოვანი ნაბეჭდი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითადი განსხვავებები და თავისებურებანი.

სამეწარმეო აქტივობა ბათუმში „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ განთავსებული რეკლამების მიხედვით

პაატა არუმიძე , ასოცირებული პროფესორი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ, რუსეთის ფედერაციაში და მათ შორის საქართველოში დაიწყო „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ წარმოება, რამაც ჩაანაცვლა ადრე არსებული „სამხედრო კომუნიზმი“. ეკონომიკის ახალი პოლიტიკა საშუალებას იძლეოდა მინიმალურად განვითარებულიყო კერძო მეურნეობები, თუმცა, კერძო საკუთრება არ არსებობდა. ცვლილებები შეეხო მხატვრულ-პროზაული ლიტერატურის გამოცემასაც. ამ პერიოდში გამოდიოდა რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგან აღსანიშნავია ქართული ყოველკვირეული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, ჟურნალი იმითაც არის საინტერესო, რომ გამოცემის ბოლო გვერდები ეთმობოდა სარეკლამო ტექსტებს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა ვითარება იყო „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ პირველ წელს. ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს მატერიალური სახით არსებული ჟურნალის უკანასკნელი (მე-9) ნომერი, რომლის ბოლო გვერდები ეთმობა ბათუმსა და „აჭარისტანში“ არსებული საწარმოების რეკლამებს. ზოგადად ლიტერატურული პროფილის ჟურნალისათვის საწარმოთა საქმიანობის რეკლამირება იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ბოლო (ბოლოსწინა) ნომერი დაიბეჭდა ბათუმში 1923 წლის 12 აგვისტოს კომუნალური მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილებაში, რამაც განაპირობა აღნიშნული რეკლამები.

საკვანძო სიტყვები: „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, რეკლამა, ბათუმის საწარმოები

შესავალი

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) ანექსიის შემდეგ, ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. სოციალური პირობები უარესდებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო „მდიდრებისათვის ქონების ჩამოსართმევად“, ძირშივე განწირული იყო. რუსეთის ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ეს კარგად იცოდა, ამიტომ 1921 წლის 14 მარტს, რუსეთის ფედერაციის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე მიღებულ იქნა „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ (Новая экономическая политика (НЭП ან нэп), რომელმაც ჩაანაცვლა ე.წ. „სამხედრო კომუნიზმი“ – 1918-1921 წლებში საბჭოთა რუსეთის შიდა პოლიტიკური კურსი, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო ომის პირობებში რუსეთის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და გადაუდებელი საჭიროებების დაკმაყოფილება. „სამხედრო კომუნიზმის“ დროს საბჭოთა რუსეთში აიკრძალა კერძო მეწარმეობა, მოხდა მრეწველობის ნაციონალიზაცია. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები შეიცვალა პირდაპირი საქონელგაცვლით [11].

„ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ წარმოადგენდა ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმების დამკვიდრების საინტერესო მაგალითს. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვებისა, ის ყველაფერს ვერ აკონტროლებდა“ [10], კერძო საკუთრებაში რჩებოდა კუსტარული საწარმოები, სავაჭრო ობიექტები, წვრილი წარმოება. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ საფუძველზე ჩამოყალიბდა ან აღსდგა კერძო საწარმოები.

ძირითადი ნაწილი

ცვლილებები შეეხო მხატვრულ-პროზაული ლიტერატურის გამოცემასაც. ამ პერიოდში გამოდიოდა რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგან აღსანიშნავია ქართული ყოველკვირეული ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელიც 1922 წლის დეკემბრიდან 1923 წლის მარტამდე თბილისში გამოდიოდა და ბეჭდავდა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, ლიტერატურულ კრიტიკას, წერილებს მხატვრობის, თეატრისა და მუსიკის საკითხებზე. ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ გალაკტიონ ტაბიძე. სულ გამოვიდა ჟურნალის 10 ნომერი, თუმცა, მეათე ნომერი არ არის მიკვლეული. [3]

ჟურნალი იმითაც არის საინტერესო, რომ გამოცემის ბოლო გვერდები ეთმობოდა სარეკლამო ტექსტებს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა ვითარება იყო „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ პირველ წელს. ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს მატერიალური სახით არსებული ჟურნალის უკანასკნელი (მე-9) ნომერი, რომლის ბოლო გვერდები ეთმობა ბათუმსა და „აჭარისტანში“

არსებული საწარმოების რეკლამებს. ზოგადად ლიტერატურული პროფილის ჟურნალისათვის საწარმოთა საქმიანობის რეკლამირება იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ბოლო (ბოლოსწინა) ნომერი დაიბეჭდა ბათუმში 1923 წლის 12 აგვისტოს კომუნალური მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილებაში, რამაც განაპირობა აღნიშნული რეკლამები.

როგორც რეკლამების ანალიზი გვიჩვენებს, ბათუმში მოქმედებს „კომუნალური მეურნეობა“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფილის საწარმოებს, მათ შორის მნიშვნელოვანია თუთიის ქარხანა (I სახელმწიფო ქარხანა), მექანიკური თუჯის სასხმელი ქარხანა (II სახელმწიფო ქარხანა) და III სახელმწიფო (ავტოებისა და ეტლების შემკეთებელი) ქარხანა.

I სახელმწიფო ქარხანა, ყოფილი შელენგოვსკის ქარხანა, რომელიც მდებარეობდა ბათუმში ყარსის ქუჩაზე, ეს ქარხანა დაარსდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, როგორც მოსათუთიებელი ქარხანა. მისმა მეპატრონემ, სელენგოვსკიმ ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება, „შელენგოვსკი და კომპანიას“ აქციონერები იყვნენ ქართველი, ბერძენი, რუსი, პოლონელი და ებრაელი ბიზნესმენები. მისი აქციონერი გახდა ბათუმში მოქმედი თითქმის ყველა ბანკი. ამის შემდეგ ქარხანა გაფართოვდა და დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოშვება დაიწყო, რომელიც მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით იყიდებოდა“[9]. როგორც რეკლამიდან ჩანს, 1922 წელს ქარხანა უკვე ნაციონალიზებულია, შედის „ბათუმის კომუნალური მეურნეობების გაერთიანებაში“ და ის უკვე სახელმწიფო ქარხნის სტატუსით იგივე პროდუქციას ამზადებს.

II სახელმწიფო ქარხანა, მდებარეობდა ბათუმში მაშინდელი (ახლანდელიც) პუშკინის ქუჩაზე,. ეს არის ყოფილი „კაპლანის ქარხანა“, რომელიც შემდგომ პერიოდში გაფართოვდა და 1980-იანი წლების ბოლომდე ფუნქციონირებდა „ბათუმის მექანიკური ქარხნის“ სახელით. 1922 წლისათვის ეს ქარხანაც ნაციონალიზებულია.

III სახელმწიფო ქარხანა, რომელიც „ბათუმის კომუნალური მეურნეობების გაერთიანებაშია“ ემსახურება „ავტომობილებისა და ეტლების შეკეთებასა და გაწყობას“, ასევე ამზადებს შტამპებს. ეს ქარხანა არის ყოფილი „პიტოევის ქარხანა,“ რომელიც მდებარეობდა ბათუმში, ბაქოს ქუჩაზე [5].

რეკლამის მიხედვით ირკვევა, რომ „კომუნალური მეურნეობის“ ეგიდით, ბათუმში ფუნქციონირებდა ფირფიცრის ქარხანა, რომელიც მდებარეობდა პუშკინის ქუჩაზე.

ბათუმში არსებული „კომუნალური მეურნეობა“ აერთიანებდა ბეჭდვით სექციასაც. რომელიც მდებარეობდა ოგლობჟინის ქუჩაზე (დღევანდელი მერაბ კოსტავას ქუჩა). არსებული სექცია დაინტერესებულ პირებს თავაზობს შეკვეთების მიღებას სტამბასა და ლითოგრაფიაში. იგივე ქუჩა მოხსენებულია გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის 11 ნოემბრის ნომრის რეკლამაში (გვ. 2. მარჯვენა ქვედა კუთხეში), რომლის მიხედვითაც მახლობლად არსებობს „მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა ნიკოლოზ იაკობის ძე ხვინგიასი, ბათომი, ოგლობჟინის ქ. 11. ფირმა არსებობს 1907 წ. სტამბაში, დღიდან არსებობისა, მოიპოვება ყოველგვარი ქართული ასოები. საუკეთესო მოწყობილი გვქონდა და ამჟამათაც არის ქართულ-რუსული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვის საქმე. ვასრულებთ ყოველგვარ სასტამბო საქმეებს როგორც მთავრობის, აგრეთვე ყველა კერძო დაწესებულებისათვის. დიდი ხნის პრაქტიკა და სასტამბო საქმეების ზედმიწევნით კარგად ცოდნა საბუთს მაძლევს დავაიმედო პატ. საზოგადოება, რომ სასტამბო ყოველგვარ საქმეს შევასრულებთ სუფთათ და თავის დროზე. სტამბა ნიკო ი. ხვინგიასი.“ [2]. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საუბარია ერთი და იგივე დაწესებულებაზე, იმ განსხვავებით, რომ 1920 წელს სტამბა ეკუთვნოდა ნ. ხვინგიას, ხოლო 1922 წელს, სტამბა გადასულია სახელმწიფოს ხელში. ეს ის სტამბაა, სადაც 1921 წლის მარტში დაიბეჭდა „საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს“.

„ბათუმის კომუნალური მეურნეობის“ შემადგენლობაში შედის ხე-ტყის დამამზადებელი სექცია და ბათუმის სახელმწიფო ქიმიური ქარხანა. ეს უკანასკნელი იმითაა საინტერესო, რომ მომხმარებელს სთავაზობს „ფერადების დამზადებას“, მას „მზად აქვს დიდძალი საქონელი უმაღლესი ხარისხისა“. აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბათუმში ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა დაფუძნდა მხოლოდ 1936 წლის 01 დეკემბერს და ქარხანა ძირითადად აწარმოებდა კოფეინს.

აჭარაში თამბაქოს კულტურის წარმოება XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება. თამბაქოს კულტურა სარფისა და გონიოს ტერიტორიაზე გაშენდა. მოგვიანებით კი - ზემო აჭარაშიც. ძირითადად გავრცელებული იყო „ტრაპეზუნდის“ და „სამსუნის“ ჯიშის თამბაქოები. აქაური თამბაქოს მაღალი ხარისხის გამო XIX საუკუნის 50-იან წლებში, ინგლისელი მეწარმეების მიერ ბათუმში აიგო პირველი თამბაქოს ქარხანა [6]. როგორც ირკვევა, 1922 წლისათვის, ბათუმის თამბაქოს ქარხნები შედის „კომუნალური მეურნეობის“ შემადგენლობაში.

გარდა ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა, „ბათუმის კომუნალური მეურნეობა“ მოიცავს ბათუმის უნივერსალურ მაღაზიას, რომელიც მდებარეობდა მიხაილოვის (ახლანდელი ზვიად გამსახურდიას) ქუჩაზე. მაღაზია ვაჭრობდა ბითუმად და საცალოდ „კომუნალური მეურნეობის“ შემადგენლობაში არსებული საწარმოების მიერ გამოშვებული საქონლით, ასევე ჰქონდა გასაქირავებელი სასაწყობე ფართები. იმავე პერიოდში, როგორც რეკლამა გვამცნობს გაიხსნა „სააუქციონი-საკომისიო დარბაზი“, სადაც აუქციონის წესით იყიდებოდა „ყოველგვარი საგნები“. აუქციონი ტარდებოდა კვირაში სამჯერ: სამშაბათს, პარასკევსა და კვირას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სააუქციონოდ შესული გასაყიდი საქონელი არ იბეგრებოდა და თავისუფლდებოდა რეკვიზიციისაგან.

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ (გვერდის თავში არსებულ წარწერაში შეცდომაა ნაცვლად „ჟურნალისა, წერია „ჟუუნალი“, ასეთივე შეცდომა ფიქსირდება მე-6 გვერდზე.) მე-15 გვერდი ეთმობა „აჭარისტანის სამიწადმოქმედო სახალხო კომისარიატის“ სარძეო მაღაზიის რეკლამას, სადაც მყიდველს სთავაზობენ „საუკეთესო ხარისხის რძის სხვადასხვა სანოვაგეს“. ეს რეკლამა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბათუმი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ ცენტრალურ ქალაქს, სადაც მთელი ქვეყნის მოქალაქეები მიმოდიან, მათ შორის მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. სხვა მხრივ, შეუძლებელია, ასეთი რეკლამის გაშვება ვიწრო პროფილის გაზეთში, რომლის ტირაჟია რამდენიმე ათასი ცალი [3].

ამავე გვერდზე მოთავსებულია ერთი საინტერესო რეკლამა, რომლის მიხედვითაც, ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის სამმართველო, ბათუმის მოქალაქეებისათვის აწესებს რეგულარულ საზღვაო რეისს ბათუმსა და მახინჯაური-მწვანე კონცხს შორის. ეს რეისი წესდება მხოლოდ უქმე დღეებისათვის საზაფხულო სეზონზე. თუმცა

აღნიშნულია, რომ მსურველთა რაოდენობის ზრდის კვალობაზე, რეისები შესრულდება ყოველდღიურად. ამიტომ, რეკლამა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ტურისტული ხასიათის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უქმე დღეებში „ბათუმის მოქალაქეები“ ხშირად გადიოდნენ ქალაქ გარეთ. ასევე გავრცელებული ყოფილა „საზღვაო კრუიზი“ მოკლე მანძილზე, რადგან ამავე რეკლამაში ნათქვამია, რომ „შეიძლება სეირნობა ზღვაზე ნავსადგურის წყალთა ფარგლებში“.

აღნიშნული ჟურნალის ბოლო გვერდი ეთმობა, ბათუმისა და თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მიერ წარმოებული პაპიროსებისა და თამბაქოს პრეისკურანტულ ფასებს. ფასები მოყვანილია ჩერვონეცებსა და მანეთებში. შენიშვნის მიხედვით ვგებულობთ, რომ 1923 წლის 19 ივლისიდან 15 აგვისტომდე ჩერვონეცისა და მანეთის კურსი ითვლება 1:650 000, ბითუმად მყიდველებს უწესდებათ შეღავათი 5 %-ის ოდენობით.

ამავე ჟურნალის მეთექვსმეტე გვერდი ეთმობა აჭარის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო ქვეგანყოფილებებში ავადმყოფთა მიღების განრიგს. ჩანს რომ, ბათუმში მოქმედებდა ცენტრალური ამბულატორია, კბილის საექიმო ამბულატორია, საბავშვო ამბულატორია, ქალთა ამბულატორია და ნავსადგურის ამბულატორია. ეს ამბულატორიები ყველა სახელმწიფო საკუთრებაა, რადგან კერძო საკუთრებაში სამკურნალო დწესებულებები აღარაა დარჩენილი.

დასკვნა

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ განთავსებული რეკლამები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მიუხედავად საბჭოთა წყობილებისა, ბათუმში სამეწარმეო აქტივობა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.

„ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ“ ხელი შეუწყო სახელმწიფო საწარმოების კომერციალიზაციას, სადაც შეინიშნება კერძო საწარმოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგ. ფასდაკლება, კერძო პირების მიერ წარმოებული პროდუქციის მიღება, აუქციონების ჩატარება. ასევე დასტურდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ჯერ არ არის მომძლავრებული, რადგან ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედებს როგორც ერთიანი ფულადი ერთეული მანეთი, ისე „ჩერვონეცები“, თუმცა მისი კურსი მანეთთან შედარებით ძალიან დაბალია.

ჩამოყალიბებულია პირველი კომუნალური საწარმოები, რომლებიც აერთიანებს იმ კერძო ქარხნებსა თუ ფაბრიკებს, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში კერძო პირებს ეკუთვნოდათ. მათი ქონება უკვე რეკვიზიტირებულია და სახელმწიფო საწარმოებად არიან ჩამოყალიბებულნი.

„ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ საკმაო გასაქანს აძლევდა კერძო საკუთრებას, თუმცა ეს მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა მმართველებისათვის და 1928 წელს დაიწყო პირველი ხუთწლედის გეგმების რეალიზაცია. საბჭოთა კავშირში იწყებოდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ოფიციალური ფეისბუკ გვერდი: https://www.facebook.com/AjaraMuseum/posts/128334447805641/
2. გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, 11 ნოემბერი, 1920 წ. https://elfiles.emis.ge/uploads/17614/SamuslimanoSaqartvelo_1920_N458.pdf
3. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, თბ. # 9, 1923 წ.
4. გიორგაძე თ. - სლოგანების სინტაქსური სტრუქტურა და მათი ზემოქმედების ძალა, სადისერტაციო ნაშრომი, ბათუმი, 2019
5. გოგოლიშვილი ოთარ - მრეწველობის განვითარების ისტორიიდან, ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორია“, 2018
6. „მეოცე საუკუნეში აჭარის რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პოტენციალის კვლევა“, შპს „იბერჯეს კონსალტინგი“, 2017
7. სამთავრობო ორგანიზაცია Vizit Batumi - ოფიციალური ფეისბუკ გვერდი: https://www.facebook.com/visitbatumi/posts/538056989557058/
8. შელეგია მ. - რეკლამა მასმედიაში, თბ.2013
9. ცქვიტარია პ. - აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები, ბათუმი, 1959
10. ჯაფარიძე დ. - საბჭოთა ეკონომიკა, თბ. ილიაუნის გზამკვლევი
11. Silvana Malle - The Economic Organization of War Communism 1918—1921. — Cambridge University Press, 2002. — 568 p.

Commercial activity in Batumi according to the advertisement
"Galaktion Tabidze Magazine"

Paata Aroshidze, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

Summary

After the annexation of the Democratic Republic of Georgia by Russia, "New economic policy" has been launched in the Russian Federation, including Georgia, which replaced the pre-existing "military communism". The new economic policy allowed the development of private farms to a minimum range, however, the private property did not exist. The changes also affected the publication of fiction. Several magazines and newspapers were published during this period. One of them was the Georgian weekly literary-artistic magazine the "Galaktion Tabidze Magazine" .The magazine is also interesting because the last pages of the publication were devoted to advertising texts, based on these advertisements, we can determine the situation in the first year of the "new economic policy". Particularly, the ads represented in the last ninth edition depicted all the enterprises that existed in Batumi during that period. Generally advertising the activities of enterprises was unusual for fiction magazines. But it should be noted that the previous edition of the last Galaktion Tabidze Magazine" was published in the department of community facilities in Batumi on August 12, 1923 and this fact provided the existence of the advertisements in the magazine.

Keywords: The "Galaktion Tabidze Magazine", advertisement, Batumi enterprises

აშშ-ს ტელემაუწყებლობა

ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ აშშ სამართლიანად იკავებს პირველ ადგილს მსოფლიოში ტელემაუწყებლობის განვითარების სფეროში, აშშ-ს უმძლავრეს საწარმოო ბაზას საშუალება აქვს მოამზადოს უამრავი ტელეპროგრამა და ტელეეკრანებს მიაჯაჭვოს მილიონობით მაყურებელი; ყურადღება გამახვილებულია უმსხვილეს სამაუწყებლო ქსელებზე - NBC, CBS, ABC, FOX, CW, CNN; ასევე საუბარია ტელემაუწყებლობის პირველი ნაბიჯებისა და განვითარების ეტაპების, სათანამგზავრო და საკაბელო ტელეარხების შესახებ, აგრეთვე იმ გამოწვევებსა და ტენდენციებზე, რომლებიც ბოლო პერიოდში შეიმჩნევა აშშ-ს ტელევიზიაში; აღნიშნულია, რომ ტელევიზია ერთდროულად არის კომუნიკაციის რთული საშუალებაც, ტექნიკაც და ეკონომიკური სისტემაც, რომელიც მოიცავს კომუნიკატორებს, სხვადასხვა პროგრამებს, რეკლამის შემქმნელებს და მრავალფეროვან აუდიტორიას. ამერიკელებისთვის ტელევიზია მასობრივი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც უნდა პასუხობდეს მათ ინტერესებს და მოთხოვნებს, ინფორმაციითაც უზრუნველყოს და გაართოს კიდეც; ამასთანავე ეს ყველაფერი იმ ტექნიკური საშუალებებით უნდა მიეწოდებოდეთ, რაც მათთვის ხელმისაწვდომია და იმდენი ღირდეს, რამდენის გადახდასაც შეძლებენ.

საკვანძო სიტყვები: აშშ-ს ტელემაუწყებლობა; კომუნიკაცია; განვითარების ეტაპები; მაუწყებლობის სახეები; პოპულარული არხები და ქსელები; გამოწვევები და ტენდენციები.

შესავალი

ამერიკა ის ქვეყანაა, რომელსაც უდიდესი დამსახურება და გამორჩეული როლი აქვს ტელევიზიის განვითარების თვალსაზრისით. დღეისათვის აშშ-ს უმძლავრეს საწარმოო ბაზას საშუალება აქვს მოამზადოს უამრავი ტელეპროგრამა. ამ ქვეყანაში ტელევიზიამ დაარსებისთანავე მოიპოვა უდიდესი პოპულარობა და მილიონობით ტელემაყურებლის დაინტერესება შეძლო. შეიძლება ითქვას, რომ აშშ სამართლიანად იკავებს პირველ ადგილს მსოფლიოში ტელერადიომაუწყებლობის განვითარების სფეროში.

ძირითადი ნაწილი

აშშ-ში 1930-იან წლებში დაიწყო ექსპერიმენტები და სასინჯი გადაცემები, მაგრამ სრულფასოვანი განვითარება საეთერო ტელემაუწყებლობამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოახერხა. 1945 წლიდან დაიწყო სერიოზული მუშაობა ტელეარხების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის. 1949 წელს აშშ-ში ტელეპროგრამების რაოდენობამ 45-ს მიაღწია, 340 ტელეარხი კი მუშაობის დაწყების ნებართვას ელოდა. ამერიკული ტელემაუწყებლობის ფუნქციონირების პირველ წლებშივე გაიხსნა უმსხვილესი ტელეარხები - ABC, NBC , CBS. 1914 წლის ზაფხულში სპორტული შეჯიბრის ტრანსლაციის დროს ეთერში გავიდა პირველი რეკლამა საათისა „ Bulov". დღეს რეკლამა ამერიკული ტელევიზიის განუყოფელი ნაწილია. 1950-იანი წლებიდან თანდათან ფეხს იკიდებს ფერადი ტელევიზია. მომდევნო წლებში ცნობილ ტელეარხებს კიდევ ერთი მიემატა - PBS. ტელემაყურებელს უკვე შეეძლო აერჩია, რისი ყურება სურდა - ახალი ამბების, საგანმანათლებლო პროგრამების, სერიალების თუ მხატვრული ფილმების.

1946 წელს აშშ-ში მხოლოდ 6000 ტელევიზორი იყო, მათ შორის უმეტესობა ნიუ-იორკში. 3 წლის შემდეგ კი ტელევიზორთა რაოდენობამ 3 მილიონს მიაღწია, 1951 წელს უკვე - 12 მილიონს. სატელევიზიო სადგურები ქვეყნის 64 ქალაქში იყო განთავსებული, თუმცა ისეთი ქალაქებიც იყო, სადაც არც ერთი სადგური არ იყო, სამაგიეროდ, არ არსებობდა იმის საფრთხე, რომ ტელევიზია რადიოს აუდიტორიას წაართმევდა. ამ ქალაქებში, სოფლებსა და ქვეყნის ზოგიერთ შტატში ქსელური რადიო რჩებოდა ერთადერთ საერთონაციონალურ მაუწყებლად. ტელემაუწყებლობის განვითარებასთან ერთად, პირველ ხანებში ზოგიერთი პროგრამა ეთერში ორივე ფორმატით გადიოდა, შემდეგ კი ტელევიზიამ აშკარად დაჯაბნა რადიო, ბევრი ცნობილი ჟურნალისტი და რადიოვარსკვლავი ტელევიზიაში გადავიდა და მოღვაწეობის გაგრძელება იქ გადაწყვიტა.

1931 წლის 21 ივლისს ნიუ-იორკში გაიხსნა ექსპერიმენტული სატელევიზიო სადგური W2X-AB. პირველ ეთერში მონაწილეობა მიიღეს ნიუ-იორკის მერმა - ჯეიმს უოლკერმა, კეიტ სმიტმა და ჯორჯ გერშვინმა. სადგურს ჰქონდა რეგულარული 7დღიანი მაუწყებლობა კვირაში 28 საათის მოცულობით. დიქტორ-დირექტორი ბილი შუდტი იყო ერთადერთი თანამშრომელი სატელევიზიო სადგურის, სხვა პერსონალი ნებაყოფლობით, უშტატოდ მუშაობდა. მაყურებელს სთავაზობდნენ დრამებს, პანტომიმას, მონოლოგებს, იყენებდნენ სლაიდებსაც გარემოს იმიტაციისთვის. 1932 წელს ინჟინერმა ბილი ლოდჯმა შეიმუშავა პირველი

სინქრონული ხმოვანი ტალღა სატელევიზიო სადგურისთვის, რამაც W2XAB-ს საშუალება მისცა გადაეცა გამოსახულება და ხმა ერთ მოკლეტალღოვან არხზე ადრე არსებული ორის ნაცვლად.

1932 წლის 8 ნოემბერს განხორციელდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტრანსლაცია. 1933 წლის 20 თებერვალს სატელევიზიო სადგურმა შეწყვიტა მუშაობა, რადგან მიმდინარეობდა სტანდარტების შეცვლა და დადგენა, მექანიკური სისტემის ელექტრონულზე გადასვლა. 1939 წელს სადგური დაბრუნდა ეთერში ახალი ფორმატით და სისტემით, ახალი სტუდიური კომპლექსით. 1940 წლის 28 აგვისტოს ამ სატელევიზიო სადგურიდან განხორციელდა ფერადი გადაცემა აშშ-ში. 1941 წელს სადგურმა მიიღო ნებართვა კომერციული მაუწყებლობის წარმოებისთვის, ასევე მოიპოვა პროგრამული ავტორიზაციის უფლება. 1951 წელს სენსაციად იქცა „მე მიყვარს ლუსი“, რომელსაც 11 მილიონი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. პროექტის ასეთ წარმატებას მისი შემქმნელებიც კი არ ელოდნენ. ასეთივე დიდი გამოხმაურება მოჰყვა პრაიმტაიმის დროს გასულ „ შეკითხვებს 64 000 დოლარის მოსაპოვებლად“. სწორედ ამან განაპირობა პროგრამის სულისჩამდგმელის ლუის კოვანის CBS-ის ვიცეპრეზიდენტად დანიშვნა კრეატიული მომსახურების მიმართულებით, შემდეგ კოვანი ტელექსელის პრეზიდენტიც გახდა, თუმცა 1959 წელს არხის დატოვება მოუწია გახმაურებელი სკანდალის გამო, რომელიც უკავშირდებოდა ტელევიქტორინებში გაყალბებულ შეკითხვებსა და არასწორი პასუხების მართებულად ჩათვლას.

დღეისთვის აშშ-ში დაახლოებით 120-მდე ტელეარხი არსებობს. არის ფასიანი და უფასო არხები, ეს უკანასკნელი მაუწყებლობს როგორც ინგლისურ, ასევე ესპანურ ენებზე. ფასიანი არხები იყოფა 5 კატეგორიად: ახალი ამბების, დოკუმენტური, სპორტული, გასართობი და საბავშვო. უმსხვილესი საეთერო ქსელებია NBC, CBS, ABC, FOX და SW. პირველმა სამმა დაიწყო თავისი ისტორია, როგორც რადიოქსელმა. NBC და CBS 1920-იან წლებში გამოჩნდა, ABC -1943 წელს, FOX-მა კი 1986 წელს მოახერხა ფართო საზოგადოების წინაშე წარდგომა, SW-ს დაარსების თარიღად 2006 წელია მიჩნეული. პროგრამების მხრივ მსგავსება შეინიშნება ABC- ის, CBS-ის და NBC-ის საეთერო ბადეში. ამ სამ არხზე ტელემაყურებელს ყოველდღე აქვს შესაძლებლობა იხილოს დილის შოუ, ადგილობრივი ახალი ამბების გამოცემები, კინოსა და მუსიკის ახალი ამბები, ინტერვიუები და ამინდის ანონსი. რაც შეეხება დღის პროგრამას, ის ძირითადად შედგება საპნის ოპერების, თოქ-შოუებისგან და გეიმ შოუებისგან. რა თქმა უნდა, შუადღის ახალი ამბებიც ყოველდღიურად გადის ეთერში. მოგვიანებით, საღამოს ახალი ამბების გამოშვებამდე, რომელიც ეთერშია 18.30 წუთიდან 19 საათამდე, კვლავ სხვადასხვა შოუს სთავაზობენ მაყურებელს, „ოპრი უიმფრის შოუს“ მსგავსს. !9 საათიდან უკვე პრაიმტაიმის დროა, ტელემაყურებელს შეუძლია გაერთოს რეალითი შოუებით, როგორიცაა მაგ. „ცეკვები ვარსკვლავებთან ერთად“, უფრო მოგვიანებით ეთერში კუთვნილ ადგილს იკავებს დრამატული სერიალები, რომელთა შორის პოპულარობით სარგებლობს „ვნების ანატომია“, „კანონი და წესრიგი“, „სპეცდანაყოფი“, „დანაშაულის ადგილი“ და ა.შ. 23 საათიდან ღამის შოუს დროა, განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი ჰყავდა „გვიან შოუს დევიდ ლეტტერმანთან ერთად“.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეარხი NBC მაუწყებლობს აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე, ასევე ნაწილობრივ მექსიკასა და კანადაში. იგი დროულად და შეუფერხებლად აწვდის ტელეაუდიტორიას ახალ ამბებსა და სარწმუნო ინფორმაციებს. არხის არსებობის მანძილზე ხელმძღვანელის პოსტზე რამდენიმე ადამიანი გამოიცვალა და ყოველი მათგანი ცდილობდა ფეხი აეწყო თანამედროვე მოთხოვნებისთვის, დაენერგა ახალი ტექნოლოგიები და მიეზიდა მაყურებელი. სწორედ NBC-იმ უჩვენა პირველად პოპულარული სერიალი „სანტა ბარბარა“.

სამეცნიერო-გასართობმა ტელეარხმა ABC ფუნქციონირება დაიწყო 1940 წელს, იმთავითვე მოიპოვა პოპულარობა და ახლაც არ თმობს პოზიციებს. ამ არხით ბევრი გასართობი პროგრამა და საინტერესო სერიალები გავიდა ეთერში, მათ შორის ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა სერიალმა „დარჩე ცოცხლებში“.

CBS-ი თავს ახალი ამბების არხად მიიჩნევს და ცდილობს თავისი ფუნქცია და დანიშნულება ყოველთვის მაღალ დონეზე შეასრულოს. სი-ბი-ესი -ამერიკული ტელერადიოქსელი გამოჩნდა 1928 წელს, მას შემდეგ, რაც უილიამ პეილიმ შეისყიდა 16 რადიოსადგური და რომლის ხელმძღვანელობით კომპანია გახდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი რადიოქსელი აშშ-ში, შემდეგ კი სამიდან ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სატელევიზიო ქსელი. 1940 წელს CBS-ის ინჟინერმა პიტერ გოლდმარკმა შეიმუშავა სისტემა ფერადი ტელევიზიის ასამუშავებლად. ეს სისტემა იმით იყო აღსანიშნავი, რომ იძლეოდა სტაბილურ და მკვეთრ ფერებს. წარმატებამ და აღიარებამაც არ დაახანა. მაღალ ნიშას CBS-ი დღესაც არ თმობს.

გასართობ არხებს შორის თავისი გამორჩეული ადგილი დაიკავა „FOX”-მა და მალევე მოაღწია წარმატებას. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ სერიალები “სიმპსონები“ და „ექიმი ჰაუსი“, რომლებსაც მილიონობით მაყურებელი ადევნებდა თვალს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საეთერო მაუწყებლობის გარდა, აშშ-ში, ბუნებ-

რივია, არის ასევე სათანამგზავრო ტელეარხები. ისინი, როგორც წესი, გათვლილია მომხმარებელთა შედარებით ვიწრო წრეზე, არ არის განკუთვნილი ფართო აუდიტორიისთვის. ტელემაყურებელთა განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე. მათ შორის გამოირჩევა CNN (ახალი ამბები), MTV (მუსიკალურ-გასართობი), Animal Planet (ცხოველთა სამყარო), HBO (მხატვრული ფილმები და სერიალები). ამ პროგრამებზე წვდომისთვის მაყურებელს უნდა გადაეხადა ყოველთვიურად გარკვეული თანხა, მაგრამ იღებდა ხარისხიან კონტენტს.

დროისა და მოთხოვნების ცვლილების კვალდაკვალ ტელევიზიას ძლიერი კონკურენტები გაუჩნდა კომპიუტერის, ნოუტბუკის, ინტერნეტის სახით. დღეს საზღვარგარეთის ამბების სხვადასხვა ენაზე მოსმენა არანაირ სირთულეს აღარ წარმოადგენს, ამისთვის არსებობს სპეციალური არხები, მაგ. „Eoronews“.

აშშ-ში პირველი საკაბელო არხების გაჩენა 1940-იან წლებს უკავშირდება , პოპულარობის პიკს კი მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მიაღწია, როცა თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა წვდომა საკაბელო ტელემაუწყებლობაზე. ამ პერიოდში შეიქმნა მრავალრიცხოვანი საკაბელო სისტემები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სხვადასხვა კატეგორიის მაყურებლების ინტერესებს. არჩევანი დიდი იყო - გასართობი პროგრამები, სპორტი, მუსიკა, ახალი ამბები, ბავშვებისა და ქალებისთვის განკუთვნილი გადაცემები, რელიგია, ბიზნეს-ინფორმაცია, მაკროეკონომიკური გამოკვლევები, ტელეთამაშები, ტელევიქტორინები, ამინდი და ა.შ. 2009 წლიდან ციფრული ტელემაუწყებლობის ერაც დგება.

სატელევიზიო არხების მთავარი შემოსავალი საგადასახადო თანხის გარდა რეკლამაა, რომელსაც ყოველ საათში დაახლოებით 18-21 წუთი ეთმობა. თუმცა აშშ-ში არსებობს პრემიუმკლასის არხები, როგორიცაა მაგ. HBO, რომლებიც რეკლამას არ უშვებენ ეთერში და მხოლოდ ყოველთვიური შესატანით კმაყოფილდებიან.

ამერიკულ ტელევიზიაში უამრავი სხვადასხვა სახის შოუ მზადდება და გადის ეთერში. ამერიკული პროდუქციით მსოფლიოს სხვა ქვეყნებიც ინტერესდებიან. თუმცა ზოგჯერ ამერიკელი მწარმოებლებიც ყიდულობენ ლიცენზიას უცხოური შოუების ამერიკაში საჩვენებლად და მათი ანალოგების შესაქმნელად, ეს უმეტესწილად ბრიტანულ პროდუქციას ეხება. ტელემაყურებელთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს: „მე მიყვარს ლუსი“, „ყველას უყვარს რეიმონდი“, „დიდი აფეთქების თეორია“, ‘ოქროს გოგონები“, „მეგობრები“. 50-60-იან წლებში აშშ-ი პოპულარული იყო ვესტერნები, მაყურებელთათვის არანაკლებ საინტერესო იყო სამედიცინო და კრიმინალური სერიალები .იგივე შეიძლება ითქვას ე წ. საპნის ოპერებზე, რომელთა ისტორია ათწლეულებს ითვლის. ზოგიერთი სერიალი 40 წელზე მეტია გადის ეთერში და მაინც ახერხებს აუდიტორიის შეკრებას. მაგ. სერიალებმა: „მთავარი ჰოსპიტალი“, „ჩვენი ცხოვრების დღეები“, „ყველა ჩემი შვილი“, „ძმები და დები“, „დალასი“, „დინასტია“, ‘პეიტონ პლეისი“, „ბევერლი ჰილზზ 90210“, „იმედგაცრუებული დიასახლისები“ უამრავი ადამიანის გული მოიგო.

ბოლო წლებში აშშ-ში დიდმა ტელემაგნატებმა- Viacom და Turner ექსპერიმენტების სახით გადაწყვიტეს შეემოკლებინათ და შეემცირებინათ სარეკლამო რგოლების რაოდენობა, რომლებიც ტელეშოუს მიმდინარეობისას გადიოდა ტელეეთერში, ჩათვალეს რა, რომ ამით მაყურებლის გულს მოიგებდნენ და ეს შორეულ პერსპექტივაში შემოსავლის გაზრდას შეუწყობდა ხელს მეტი ტელემაყურებლის მიზიდვის გზით. შეიმჩნევა ერთი სამწუხარო ტენდენციაც, 40-მდე ცნობილმა და ფართოდ გავრცელებულმა არხებმა, მათ შორის CNN, ESPN, USA -დაკარგეს დაახლოებით 3,2 მილიონამდე აბონენტი, ანუ ტელეაუდიტორიის 3 პროცენტამდე. ეს მონაცემები გაასაჯაროვა პოპულარულმა გამოცემამ „The Wall Street Jornal”, რომელმაც გაანალიზა სხვადასხვა კვლევის შედეგები. ზოგადად უდიდესმა ტელეკომპანიებმა 2010 წლიდან დღემდე 3,5 მილიონი მომხმარებელი დაკარგეს. მაყურებელმა გაიგო, რომ ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება მოძებნო კარგი კონტენტი უფრო ნაკლები დანახარჯით. ტელემაყურებელი ირჩევს უფრო მცირე ტელეარხებს და იაფ პაკეტებს, რაც მას დაახლოებით 10-დან 50 დოლარამდე უჯდება თვეში. მომხმარებელთა მასობრივი გადასვლა უფრო იაფ სატარიფო სისტემაზე მედიაკომპანიებისთვის სახიფათო სიგნალად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ემუქრება მათი შემოსავლების ზრდას-მიიჩნევენ ანალიტიკოსები. მედიაკომპანიების ნაწილი პრობლემას ვერ ხედავს, ფიქრობენ, რომ აუცილილებლობის შემთხვევაში მოახერხებენ ფასების დარეგულირებას და სიტუაციის სტაბილიზაციას. ახალი სატელევიზიო სერვისებიც, რომლებიც ვებტექნოლოგიებს ეფუძნება, იმედის მომცემია მათთვის.

1980 წლის 1 ივნისს მაუწყებლობა დაიწყო ახალი ამბების სათანამგზავრო-საკაბელო ქსელმა - სი-ენ-ენ-მა (კეიბლ ნიუს ნეტუორკი), რომელიც 24 საათის განმავლობაში ავრცელებს ინფორმაციებს და საერთაშორისო და ეროვნულ ახალ ამბებს მთელი მსოფლიოს ტელეეკრანებზე, ასევე რეპორტაჟებს სპორტის, ფინანსების, ამინდის შესახებ, ინტერვიუებს, სპეციალურად ქალებისთვის განკუთვნილ შოუებს.

დასკვნა

ტელევიზია ერთდროულად არის კომუნიკა-

ციის რთული საშუალებაც, ტექნიკაც და ეკონომიკური სისტემაც, რომელიც მოიცავს კომუნიკატორებს, სხვადასხვა პროგრამებს, რეკლამის შემქმნელებს და მრავალფეროვან აუდიტორიას. ამერიკელებისთვის ტელევიზია მასობრივი კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც უნდა პასუხობდეს მათ ინტერესებს და მოთხოვნებს, ინფორმაციითაც უზრუნველყოს და გაართოს კიდეც; ამასთანავე ეს ყველაფერი იმ ტექნიკური საშუალებებით უნდა მიეწოდებოდეთ, რაც მათთვის ხელმისაწვდომია და იმდენი ღირდეს, რამდენის გადახდასაც შეძლებენ.

ლიტერატურა:

1. Ru. Wikipedia. Org>wiki>Телевидение.
2. http//ru Wikipedia. Org/wiki/Телевидение в США.
3. autogear.ru>article>5amyre-populy.

U.S. Broadcasting

Ketevan Giorgobiani, associated professor of Georgian Technical University

Summary

The paper argues that the U.S. rightly ranks first in the world in the development of television broadcasting, the U.S.'s most powerful manufacturing base has the capacity to produce numerous television programs, and chain millions of viewers to television screens ; It Focuses on the largest broadcast networks - NBC, CBS, ABC, FOX, CW, CNN; It also talks about the first steps and stages of development of television broadcasting, satellite and cable TV, as well as the challenges and trends that have recently been observed in US television; It is noted that television is a complex means of communication, equipment and economic system at the same time, which includes communicators, various programs, advertisers and a diverse audience. For Americans, television is an important means of mass communication that must meet their interests and needs, provide information and even entertain; In addition, all of this should be provided through the technical means that are available to them and cost as much as they can afford.

Keywords: US Broadcasting; Communication; Stages of development; Types of broadcasting; Popular channels and networks; Challenges and trends.

აფხაზ და რუს ბლოგერთა პოზიციები ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებით

ლორთქიფანიძე რუსუდან, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შენგელია ქეთინო, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დღესდღეობით ბლოგი ინტერნეტჟურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია. განვითარებულ ქვეყნებში ბლოგერებს იგივე უფლებამოსილებები და პასუხსიმგებლობები ეკისრებათ, რაც ჟურნალისტებს. მიუხედავად იმისა, რომ ბლოგერთა მოსაზრებები გარდაუვლად სუბიექტურია, მათი გამოყენება კვლევისთვის მნიშნელოვანია, რადგან ბლოგერები დღეს თანამედროვე მკვლევარის, თვალსაზრისის ლიდერის როლს ირგებენ.

აღნიშნული სტატიისთვის შესწავლილია 500-მდე ბლოგი, პოსტი და კომენტარი ინსტაგრამსა და ფეისბუქზე, ასევე იუთუბზე. შესწავლილია ასევე ამ მომხარებელთა პირადი ონლაინ სივრცე, საიდანაც დგინდება, რომ ისინი არიან რეალური პირები. ქვემოთ მოყვანილი ბლოგერების კატეგორია ძირითადად არის მოგზაური ბლოგერები, ჟურნალისტი ბლოგერები, რიგითი ადამიანები, რომლებსაც სამსახურეობრივი მოვალეობა აკავშირებთ საქართველოსთან და აგრეთვე ის რიგითი ადამიანები რუსეთიდან, რომლებმაც მუდმივ საცხოვრებლად საქართველო აირჩიეს.

საკვანძო სიტყვები: ბლოგერი, აფხაზი, ინტერნეტჟურნალისტიკა

შესავალი

ბლოგერები 21-ე საუკუნეში ხელს უწყობენ ხალხის განათლებას, აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს. საინფორმაციო მედიაპლატფორმისგან განსხვავებით, ბლოგერი მეტად პასუხისმგებლიანია, ამიტომაც ცრუ ინფორმაციის გავრცელებას მეტად ერიდება. ჩვენ მიერ ინტერნეტსივრცეში გამოკვლეული თანამედროვე აფხაზების დიდი ნაწილის თქმით, ქართველ ახალგაზრდებს იმ ისტორიის სჯერათ, რომელშიც თავს კომფორტულად გრძნობენ, ქართველი პოლიტიკოსების პროპაგანდას აყოლილები რეალურ ისტორიულ მოვლენებს არიან მოწყვეტილი. აცხადებენ, რომ აფხაზეთი ალიანსშია რუსეთთან, საქართველომ კი, აირჩია ამერიკა - „აქ გაიყო ჩვენი გზები". აფხაზური მხრიდან ისმის მოსაზრებები, რომ თუ აფხაზეთი საქართველოა, მაშინ საქართველო ოსმალეთის იმპერიის ნაწილია, რადგან ისტორიულად საქართველო საუკუნეების მანძილზე დაპყრობილი იყო. აფხაზები ქართველებს ხშირად სეპარატისტებსა და ფაშისტებს უწოდებენ. ისინი წყრებიან როდესაც ხედავენ წარწერებს - #stoprussianaggression #stoprussia #stoprussianaggression #abkhaziais georgia. ინსტაგრამზე ფუნქციონირებს გვერდი Восточная Черкесия, Кабарда, 53 300 გამომწერით, რომელიც ავრცელებს პოსტს, აღწერს აფხაზეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების 413 დღიან ისტორიას. მოიხსეინებს ქართველებს აგრესორად, პოსტის ავტორი მადლობას უხდის ომში მონაწილეებს - აფხაზურ-ადიღურ დიასპორებს.

ინსტაგრამზე არსებულ ერთ-ერთ გვერდზე სახელწოდებით - history – vsemirnaya istoriya – (4000-ზე მეტი გამომწერით) აცხადებს, რომ 1941-45 წელბში საქართველოს ტერიტორიიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკურ აფხაზთა შევიწროების მიზნით 150 000 ქართველი დაასახლეს. ამის შემდომ კი ვკითხულობთ - Так кто же является оккупантом? ბლოგთან განთავსებული კომენტარებით ირკვევა, რომ აფხაზები მოუწოდებენ ერთმანეთს ამგვარი პროაფხაზური ბლოგები და მოწოდებები „აფხაზეთი დამოუკიდებელი ქვეყანაა" - იწერებოდეს ინგლისურ ენაზეც, რადგან მათი თქმით, ქართველები სოციალურ ქსელებში აწარმოებენ აგრესიულ პროპაგანდას ინგლისურ ენაზე «20% of the occupied territory» ან «Abkhazia is Georgia», და ამით მთელ მსოფლიოს აწვდიან ხმას.

ქართველთა საპასუხოდ სოციალურ ქსელში აფხაზმა ბლოგერებმა წამოიწყეს #abkhaziaisnotgeorgia გამოყენება. ისინი ქართველ ახალგზარდებს გაუნათლებელს, ნარკომანსა და აგრესორს უწოდებენ. დასცინიან მათ, იმის გამო, რომ 17 მაისს გეი პარადი „შედგა" ქვეყანაში.

რაც შეეხება რუს ბლოგერებს, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა პრორუსული და პროქართული ჯგუფები. მათ შორის სხვაობა ის არის, რომ პროქართულად განწყობილი რუსები თავად მოგზაურობენ საქართველოში, უშუალოდ აქვთ შეხება ქართველ ხალხთან და ქართულ კულტურასთან. ისინი მოუწოდებენ რუსეთის რიგით მოქალაქეებს, არ აყვნენ კრემლის პროპაგანდას, ესტუმრონ საქართველოს, რათა თავად დაინახონ და შეიგრძნონ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხარისხი.

მნიშვნელოვანია ერთ-ერთი რუსი ბლოგერის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში მოგზაურობის შესახებ შექმნილი ბლოგი. მეტი დამაჯერებლობისთვის ავტორი საკუთარ გადაღებულ ფოტო-

მასალასაც ურთავს სტატიას. რუსეთის მოქალაქე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაშინ იმყოფებოდა, როცა აფხაზეთი ე.წ. დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა. ბლოგერის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, სახელმწიფოს ასაშენებლად საკმარისი ძალა არ აღმოაჩნდათ. ბლოგერის თქმით, ისინი ან საქართველოს უნდა შეუერთდნენ, ან რუსეთს დანებდნენ. ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზებს რუსეთის იმედი აქვთ. საბოლოოდ კი, ავტორი ასკვნის, რომ ფხაზეთმა უნდა დაივიწყოს წარსული დავა და საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდეს, რადგან რუსეთს ისინი არ აინტერესებს.

კიდევ ერთი რუსი ბლოგერი ალექსეი რომანოვი აქვეყნებს ინფორმაციას ე.წ. გავრილოვის ღამესთან დაკავშირებით. ის 2019 წლის 22 ივნისს, მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფება საპროტესტო აქციაზე რუსთაველზე, საიდანაც ვიდეოჩართვით გვაჩვენებს ახალგაზრდა მომიტინგეების მდგომარეობას და მათ დამოკიდებულებას რუსულენოვანი ტურისტის მიმართ. ალექსეი რომანოვის თქმით, ის, რაც საქართველოში ხდება, ძალიან განსხვავდება იმისგან, რასაც რუსული მედია ავრცელებს. მის გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მომიტინგე ახალგაზრდები მშვიდობიანი ფორმით ახერხებენ პროტესტს, მეგობრობენ პოლიციასთან მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ისინი წინა ღამეს დაარბია.

ბლოგერის თქმით, კრემლში არ მოსწონთ საქართველოდან დაბრუნებული რუსი ტურისტები, რომლებმაც ქართული თავისუფლების გემო იგემეს და ეს განწყობა საქართველოდან რუსეთში წაიღეს. ამიტომაც, კრემლში საჭიროდ ჩათვალეს ვითარების დაძაბვა და განძრახ გადადგეს ნაბიჯი, რომელიც ცალსახად გააღიზიანებდა ქართველებს, გამოიყვანდა მათ მიტინგზე, პუტინი კი, მკაცრად დასჯიდა საქართელოს ამ ნაბიჯისთვის.

რაც შეეხება პრორუსულად განწყობილ რუსებს, ისინი აღნიშნავენ, რომ თუკი აფხაზებს დამოუკიდებლობა სურთ, რატომ უწოდებენ ქართველები რუსეთს ოკუპანტს. მათი თქმით, რუსეთი პატარ-პატარა სახელმწიფოებს ეხმარება, სანაცვლოდ კი „დანას იღებს ზურგში“.

აფხაზ და რუს ახალგაზრდა ბლოგერთა ქცევაზე დაკვირვებამ სოციალურ ქსელებში, ასაკობრივი რანჟირებით 20-30 წელი, წამოაჩინა ტენდენციები, რომლებიც ნასაზრდოებია კონფლიქტის სხვადასხვა მხრიდან დანახული რეალობით. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშნელოვანი მოსაზრება და პოზიცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.instagram.com/p/uJBlv_sRaO/?fbclid=IwAR0kmqIWcPwUsx2_OGHHDe-D5sg3QWMUKWQp-wevOzdL4WDfvDt2RBDJLro
2. https://www.instagram.com/p/tDeKCUyUcO/?fbclid=IwAR3VxVOubpqHmiR3qV1nRCe4SEu7V6mDz0lncKBOSw2FyWEHf91eqJhd3_M
3. https://www.instagram.com/p/CBqeaHLBHjF/?fbclid=IwAR3Py-UzsvM5g7WmcPk8x2ySfbUtQMS0lWoyMsj1AX8j-A_fvtMzVtF1Vjg
4. https://www.instagram.com/p/BzDmf_Totum/?fbclid=IwAR0C2EY049v1wv4U51ydclsTBePUqdrI9FSzYOZmi7gCwN9ciaAKDT8eixw
5. https://www.instagram.com/p/BzAk5kQoK5O/?fbclid=IwAR1036_I_vdnfIO9IOg1r59_x_0jEiy3FFskuDYRbUkvKaOW_CWDtrJVWE4
6. https://www.instagram.com/explore/tags/stoprussianoccupation/
7. https://www.instagram.com/p/B1iQwd2oQrs/
8. https://www.instagram.com/russiaisanoccupiermovement
9. https://www.instagram.com/p/CDqTd6-nn4w/ -
10. https://www.instagram.com/p/B16EyOQnWUH/

Positions of Abkhaz and Russian bloggers about the Georgian-Abkhaz conflict

Rusudan Lortkipanidze, associate professor Georgian Technical University
Ketino Shengelia, PhD student Georgian Technical University

Summary

Blogging is one of the most important tool in Internet journalism today. In developed countries, bloggers have the same powers and responsibilities as journalists. Bloggers' opinions are inevitably subjective; Their use is important for research because bloggers today play the role of a modern researcher, a leader of views.

Up to 500 blogs, posts and comments on Instagram and Facebook, as well as YouTube have been reviewed for this article. The personal online space of these users has also been studied, from which it is determined that they are real persons. The following bloggers are mainly travel bloggers, journalistic bloggers, ordinary people with business connections with Georgia, as well as ordinary people from Russia who have chosen Georgia as their permanent residence.

მწერალი და რეკლამა

მამუკა შელეგია, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია მწერლისა და რეკლამის ურთიერთობაზე, რომელიც განსაკუთრებით მჭიდრო გახდა იოჰან გუტენბერგის საბეჭდი დაზგის გამოგონების შემდეგ, რომელმაც ახალ, მასობრივი კომუნიკაციის ეპოქას დაუდო სათავე. სწორედ ბეჭდურმა მედიამ გახადა შესაძლებელი - რეკლამა ვაჭრობის (ეკონომიკის) განვითარების თანმდევი, აუცილებელი კომპონენტი გამხდარიყო. მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარება, თავის მხრივ, სარეკლამო საქმიანობის გააქტიურებას, ყველა ფენის მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები, ცხადი და დამაჯერებელი ტექსტის შექმნას ითხოვდა. სწორედ ამ ვითარებამ „დაამეგობრა“ რეკლამა და მწერალი. სარეკლამო საქმიანობაში სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა მიმართულებისა და დაჯგუფებისმწერლებიმონაწილეობდნენ:ქმნიდნენ სლოგანებს, თხზავდნენ ტექსტებს, გეგმავდნენ სარეკლამო ღონისძიებებს. მწერლებისთვის ეს საქმიანობა არა მხოლოდ საარსებო საშუალება იყო, არამედ ის ლიტერატურულ საქმიანობაშიც ეხმარებოდა, აჩვევდა დისციპლინას, დროის ფასს, სიუჟეტებითაც ამდიდრებდა მათ შემოქმედებას და რასაკვირველია, საკუთარი ნაწარმოებების გაყიდვაშიც ეხმარებოდა.

საკვანძო სიტყვები: საბეჭდი დაზგა, ჟურნალ-გაზეთები, სლოგანები, მწერალი, რეკლამა.

შესავალი

იოჰან გუტენბერგის საბეჭდი დაზგის გამოგონებამ არა მარტო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა და ფართო მასებამდე მისი მიტანა გაადვილა, არამედ ამ მოვლენიდან იწყება თვისობრივად ახალი - მასობრივი კომუნიკაციის ეპოქა, სარეკლამო საქმისა, და მარკეტინგული ტექნოლოგიების განვითარება. სწორედ ბეჭდურმა მედიამ, მასობრივი კომუნიკაციის ამ საშუალებამ, გახადა შესაძლებელი - რეკლამა ვაჭრობის (ეკონომიკის) მამოძრავებელი გამხდარიყო. მრეწველობისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებანი, იზრდებოდა მისი თანმდევი სარეკლამო საქმიანობის როლი, მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები, დამაჯერებელი ტექსტის საჭიროება. ამ მოვლენამ დაკავშირა ერთმანეთთან მწერალი და რეკლამა.

ძირითადი ნაწილი

პროფესიული მწერლობა, არც ერთ ეპოქაში თავის რჩენისა და ოჯახის შენახვის საშუალებას არ იძლეოდა. მხოლოდ მეოცე საუკუნიდან გახდა შესაძლებელი ნიჭისა და რეკლამის საშუალებით მწერალს ფული ეშოვა, მეტიც, მილიარდელი გამხდარიყო (ინგლისელი ჯოან როულინგი). მწერალთა უმეტესობას, საარსებოდ, სხვა სამსახურის ძებნა სჭირდებოდა. მაგალითად, უდიდეს რუს პოეტს, ალექსანდრე პუშკინს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ თავისი ნაწარმოებების ჰონორარის უფლება მოეპოვებინა და საერთოდ, ლიტერატურული შრომა პროფესიად და საარსებო წყაროდ ჩაეთვალათ. ის რუსეთის იმპერიაში ერთ ერთი პირველი იყო, რომელიც შეეცადა ლიტერატურული შემოსავლით ეცხოვრა. ცნობილია ალ. პუშკინის ფრთიანი ფრაზა: „შთაგონება არ იყიდება, მაგრამ ხელნაწერი შეიძლება გაყიდო“. ბუნებრივია, ყოფითი ცხოვრება თავისას ითხოვდა და პოეტმა მოიარებით გვითხრა: კომერციული ინტერესი არ ეწინააღმდეგება ხელოვანის ნებას, საკუთარი შემოქმედებითი თავისუფლებისა და სინდისის დაცვა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია.

მწერლებისთვის, მათი პროფესიული საქმიანობისთვის, რეკლამა აუცილებელი გახდა და ისინიც სხვადასხვა გზებს და საშუალებებს ეძებდნენ. მე-19 საუკუნის მიწურულს, ინგლისელი ექიმი, დამწყები ლიტერატორი, უილიამ სომერსეტ მოემი გაზეთში განცხადებას აქვეყნებს: „ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ექიმი, შემლებული, ცხოველების მოყვარული და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული, დაქორწინების მიზნით ეძებს ინგლისელ გოგონას, რომელიც სულიერებით, სულ ცოტა, „ლიზა ლამბერტელს“ ჰგავს.“ [1] სწორედ ასე ერქვა მოემის პირველ რომანს. ამ მარჯვედ შერჩეულმა მარკეტინგულმა ხერხმა დიდებულად იმუშავა, წიგნის მთელი ტირაჟი მოკლე ხანში გაიყიდა. სომერსეტ მოემი მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ყველაზე მაღალშემოსავლიანი შემოქმედი გახდა. მას ეკუთვნის ფრაზა: „ფული მეექვსე გრძნობაა, „ადამიანს ის უნდა ჰქონდეს, რადგან მის გარეშე დანარჩენ ხუთს ვერ გამოიყენებს.“ სომერსეტ მოემის დიდ შემომედებით და ფინანსურ წარმატებას, ნიჭიერებასთან ერთად, უდავოდ, რეკლამის მარჯვედ გამოყენებამაც შეუწყო ხელი.

სარეკლამო საქმიანობაში ჩართული იყო ბევრი, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ჯგუფისა თუ მიმართულების მწერალი: ფუტურისტები, პოსტმოდერნისტები თუ „დაკარგული თაობის“ მწერლები: დანიელ დეფო, ფრენისის სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, დოროთი ლ. სეიერსი, დონ

დელილო, სალმან რუშდი, ჰარუკი მურაკამი, ვლ. მაიაკოვსკი და სხვები.

მაგალითად, ინგლისელი დანიელ დეფო, რომელმაც ცხოვრების მანძილზე ბევრი სხვადასხვა პროფესია გამოიცვალა: იყო ვაჭარი, მეზღვაური, პოლიტიკური მოღვაწე, ჯაშუშიც კი. გარდა იმისა, რომ ცნობილი ნაწარმოების „რობინზონ კრუზოს“ ავტორია, ის ბრიტანული ჟურნალისტიკის სათავეებთან დგას და რაც ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, დ. დეფო გამოსცემდა გაზეთ „რევიუს“, რომელშიც თვითონ ქმნიდა და ბეჭდავდა საინტერესო რეკლამებს.

XIX საუკუნის მიწურულიდან, მრეწველობის, ვაჭრობის, საზოგადოდ, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მისი აუცილებელი თანმდევი - რეკლამა, რომელიც სულ უფრო იხვეწებოდა და დამარწმუნებელი ხდებოდა. როგორც ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი წერდა: „კარგი რეკლამის გამო, ბევრი წვრილმანი საჭირო ნივთი გახდა“. ბუნებრივია, კარგ რეკლამას გონივრული, ხატოვანი და დამაჯერებელი ტექსტი სჭირდებოდა და... მწერლები და რეკლამა კიდევ უფრო „დაახლოვდნენ“ .

სარეკლამო საქმიანობით დაიწყო თავისი შემოქმედება ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსმა, „დაკარგული თაობის“ ერთ ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდმა. არმიიდან დემობილიზებული ოცდაორი წლის სკოტი სამსახურის გარეშე დარჩა, საყვარელი ქალი ზელდა სეირის გულის მოსაგებად და მყარი შემოსავლის საძიებლად, ნიუ-იორკის ჟურნალ გაზეთების რედაქციებს მიაშურა იმედით, რომ იქიდან მწერალთა სამყაროშიც შეაღწევდა, მაგრამ უშედეგოდ. როგორც თვითონ ამბობდა: „ოფისის ბიჭებზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა“ და ჟურნალისტობის ნაცვლად ერთ-ერთ სარეკლამო სააგენტოში კოპირაიტერად დაიწყო მუშაობა. ღამღამობით ის თავის მოთხრობებს წერდა, დღისით კი, კვირაში 35 დოლარად, ტრამვაიზე განსათავსებელ სარეკლამო მასალებზე მუშაობდა. ნამდვილი ჰიტი ამ სფეროში - იხსენებდა მოგვიანებით მწერალი - გახდა სლოგანი, რომელიც მოსკატინოს (აიოვას შტატი), პირველი სამრეცხაოსთვის დაიწერა. ამისთვის ბოსისაგან შექებაც დაიმსახურა: „ნათელია, რომ ფიცჯერალდს ამ ბიზნესში მომავალი აქვს.“ თუმცა თვითონ უკმაყოფილო იყო ამ სფეროში საქმიანობით, გრძნობდა, „რეკლამირების უღიმღამობა“ მას მწერლობის სამყაროში ვერ შეიყვანდა და რამდენიმე თვეში იქ მუშაობას თავი დაანება. ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, როდესაც მისი პირველი რომანი, „სამოთხის ამ მხარეს“ (1920 წ.) გამოქვეყნდა. მართალია, მას ფიცჯერალდისთვის დიდი ფული არ მოუტანია, მაგრამ მისი სახელი და მოთხრობები პოპულარული გახდა და ამან, მაღალ ჰონორარებთან ერთად, საშუალება მისცა საყვარელი ქალზე დაქორწინებულიყო. „დაკარგული თაობის“ მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ერნესტ ჰემინგუეიც, ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, სარეკლამო ტექსტებსაც წერდა Parker Pens-ის და Ballantine Ale-სათვის. მაგალითად, ამ უკანასკნელი ბრენდისათვის მწერალმა შექმნა პატარა მოთხრობა, რომელშიც აღწერილია, მძიმე, დაძაბული თევზაობის შემდეგ, თუ როგორ ტკბება ნაწარმოების პერსონაჟი Ballantine -ის ცივი სასმელით. [2]

უნდა ითქვას, რომ XX საუკუნე ბობოქარი სარეკლამო საქმიანობით გამოირჩა, რომელშიც მწერლები აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგალითად, ამერიკელი ჯოზეფ ჰელერი სარეკლამო ტექსტებს წერდა ჟურნალებისთვის: „ტაიმი“ და „Esqvire“, იყო ჟურნალ „მაკ-კოლსის“ სარეკლამო აგენტი. ბრიტანელი მწერლები: უილიამ ბოიდი რეკლამას წერდა საავტომობილო კომპანია Land Rover-ისთვის. მეორე ინგლისელი მწერალი, დეტექტური რომანების ავტორი, ფრედერიკ ფორსაიტი, ბეჭდურ რეკლამას ქმნიდა შვეიცარიული საათების კომპანია Rolex-ისათვის. [2] ერთ-ერთ რეკლამაში თვითონ ფრედერიკ ფორსაიტი როლექსის საათთან ერთად იყო გამოსახული. ტექსტის სლოგანი, პოტენციურ მომხმარებელს ალუზიურად „ყველაზე ინგლისური რომანის“ „ფორსაიტების საგასთან“ აკავშირებდა: „ფორსაიტის რომანები და ფორსაიტის როლექსი - ორიგინალურად განხორციელებული იდეები.“

მწერლები, რომელთა სურვილი და მოწოდება ლიტერატურული საქმიანობა იყო, ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით როდი ერთვებოდნენ სარეკლამო საქმიანობაში, მაგრამ ეს მათ ფინანსურად უზრუნველყოფდა და საშუალებას აძლევდა საყვარელი საქმე ეკეთებინათ. ერთი მათგანი იყო ინგლისელი მწერალი ქალი, დეტექტური რომანების ავტორი, დოროთი ლ. სეიერსი. 1922 წელს, როდესაც ის ლონდონში იმყოფებოდა სარეკლამო სააგენტო Benson's- ში გამოსაცდელი ვადით, მან მშობლებს წერილი გაუგზავნა: „მე ოდნავი წარმოდგენა არ მაქვს, ღირს თუ არა ამ ბიზნესში დავკავდე“. დოროთი სეიერსი მალე სამსახურში მიიღეს და მაღალი ხელფასიც დაუნიშნეს. იგი მთლიანად იყო ჩართული „სიტყვების თამაშში,“ ქმნიდა სარეკლამო ლოზუნგებს სენდვიჩის ინგრედიენტებისთვის, კერძოდ, მარგარინისა და მდოგვისათვის. ერთი წლის შემდეგ მშობლებისთვის გაგზავნილ წერილში ის წერდა: „და ისევ მდოგვი! საოცარია რამდენი რეკლამაა მდოგვის შესახებ. მოდით, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მალე დასრულდება.“ მაგრამ მისი საქმიანობა ამ სფეროში იმდენად წარმატებული იყო, რომ ეს მალე... ექვსი წელი გაგრძელდა. [2] მატერიალური

სარგებლობის გარდა, სარეკლამო სფეროში მუშაობა მწერლებს შემოქმედებითი ოსტატობის დახვეწაში, ახალი სიუჟეტებით გამდიდრებაში ეხმარებოდა. იმდროინდელი გამოცდილების კვალი ჩანს მათ შემოქმედებაში. მაგალითად, იგივე დოროთი სეიერსის ნაწარმოებში: „მკვლელობა უნდა რეკლამირდეს“ საუბარია კოპირაიტერის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილზე. ამერიკელ პოსტმოდერნისტ მწერალს, დე ლილოს, რომელიც სარეკლამო სააგენტოში საქმიანობდა, მიაჩნდა, რომ „მისი გამოცდილება, როგორც სარეკლამო მწერლის ... მცირედ ხსნის მის სამწერლო კარიერას”, მაგრამ ფაქტია, ამ გამოცდილების კვალი ჩანს მის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით პირველ რომანში: „ამერიკელი“.

სულ სხვაგვარი იყო იაპონელი მწერლის, ჰარუკი მურაკამის გზა სარეკლამო სფეროში. რა თქმა უნდა, ბედი ყველას ასე არ უღიმოდა როგორც მას. სანამ მსოფლიოში ცნობილი მწერალი გახდებოდა, ის ტანსაცმლის კომპანია Onward Kashiyama–სთვის სარეკლამო ტექსტებს ქმნიდა. ეს უბრალოდ სარეკლამო მასალა როდი იყო, არამედ სრულფასოვანი ბრენდული ტექსტები. 1985 წელს ეს იაპონური კომპანია თავისი ბრენდით, J. Press, ამერიკისბაზარზერომშედიოდა,მანხელშეკრულება დადო იაპონელი მკითხველისათვის ცნობილ ჰარუკი მურაკამთან. ამ უკანასკნელს უნდა შეექმნა მოკლე ისტორიები, რომელთაც ტრადიციული სარეკლამო ტექსტები უნდა ჩაენაცვლებინა. ეს რეკლამები განსაკუთრებული არ ყოფილა, აქ იყო მოდელის ფოტო სარეკლამო ტანსაცმლით და მცირე ტექსტი. საინტერესო ის არის, რომ ამ მოთხრობებში არც ერთხელ არ იყო ნახსენები ბრენდი J. Press-ი, ან რომელიმე მისი პროდუქტი, მხოლოდ მარცხენა ქვედა მხარეს იყო ამ ბრენდის მცირე ლოგო. ორი წლის განმავლობაში ჰარუკი მურაკამი მომხმარებლისთვის ხატოვან და დამარწმუნებელ სარეკლამო ტექსტებს წერდა- შედეგად კომპანიამ დიდი ფინანსური მოგება მიიღო, ხოლო ავტორმა, რომელსაც შეუზღუდავი შემოქმედებითი თავისუფლება ჰქონდა და ჰქმნიდა ექსპერიმენტულ პროზას (და ამაში მაღალ ჰონორარსაც იღებდა), სახელი გაითქვა როგორც ნიჭიერმა ბელეტრისტმა. ამგვარად, სარეკლამო საქმიანობამ ხელი შეუწყო მის ლიტერატურულ განვითარებას და მატერიალურადაც უზრუნველყო. მას შემდეგაც კი, როდესაც ის თავისი რომანით: „ნორვეგიული ტყე“ სახელგანთქმული გახდა (არა მხოლოდ იაპონიაში), ის კვლავ მიუბრუნდა სარეკლამო საქმიანობას და ამჯერად Parker Pens-ისათვის წერდა.

ინდური წარმოშობის ბრიტანელი მწერალი სალმან რუშდიც, თავისი კარიერის დასაწყისში სარეკლამო საქმიანობით იყო დაკავებული. მან შვიდი წელი ნაყოფიერად იმუშავა სააგენტოში Ogilvy & Mater -ში. ცნობილია, მაგალითად, გაზეთ Daily Miror-ისთვის შეთხზული მისი სლოგანი: „ჩაიხედე ხვალინდელ სარკეში - ნანახი მოგეწონება.“ სარეკლამო სააგენტოში მუშაობა მწერლებისათვის იყო არა მხოლოდ ფულის გამომუშავების საშუალება, არამედ ის დიდ როლს ასრულებდა მათ ლიტერატურულ საქმიანობაში, აჩვევდა დისციპლინას და დროის ფასს, ამასთან, საინტერესო სიუჟეტებითაც ამდიდრებდა. ამის ნათელი მაგალითია სალმან რუშდი, რომელიც განსაკუთრებით აფასებდა სარეკლამო სფეროში გატარებულ წლებს, იმ ჩვევას სააგენტოში მუშაობისას რომ შეიძინა. „მე ახლაც ისე ვწერ როგორც სამუშაოზე, მოცემულ სამუშაოს მოცემულ დროში ვაკეთებ.“ მას მიაჩნდა რომ თხზვის პროფესიონალური ოსტატობის დიდი ნაწილი იმ წლებში, რეკლამის კეთების დროს ისწავლა. მოგვიანებით, სარეკლამო საქმიანობისთვის მიღებული ჯილდოს გადაცემის ცერემონიალზე ს. რუშდიმ ზუსტად განმარტა რეკლამის მნიშვნელობა და ის, რითაც ეხმარება შემოქმედის: „ერთი ყველაზე დიდი რამ რეკლამაში არის ის, რომ რამდენიმე სიტყვით ძალიან ბევრი უნდა თქვათ. მეჩვენება, რომ ეს ძალიან, ძალიან სასარგებლოა.“ [2]

რასაკვირველია, უნდა ითქვას ფრანგი მწერლის ფრედერიკ ბრეგბედერის შესახებ. ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, ის მსხვილ სარეკლამო სააგენტოში მუშაობდა. მისი „99 ფრანკი“ ერთი ყველაზე გახმაურებული რომანია, რომლის პერსონაჟიც თანამედროვე კოპირაიტერია. ნაწარმოებში ფარდა აქვს ახდილი სარეკლამო სფეროს შიდა სამზარეულოს და, გასაკვირიც არაა, ნაწარმოების გამოსვლიდან ცოტა ხანში ავტორი სარეკლამო სააგენტოდან რომ დაითხოვეს. რაც შეეხება საბჭოთა მწერლებსა და რეკლამას. 1957 წელს, საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ, გაბრიელ გარსია მარკესმა გამოსცა წიგნი: „სსრკ: 22 400 000 კვადრატული კილომეტრი „კოკა-კოლას“ რეკლამის გარეშე.“ კოლუმბიელი მწერალი ამ უზარმაზარ ქვეყანაში რეკლამის ნაკლებობით გაოცებული იყო. გეგმიური ეკონომიკისა და მის თანმდევი დეფიციტის მიუხედავად, რა თქმა უნდა, სსრკ-ში რეკლამა არსებობდა, თუმცა მისი შინაარსი და ამოცანები შეცვლილი იყო, ეკონომიკურზე მეტად მისი ფუნქცია პოლიტიკური უფრო იყო.

რეკლამა და საბჭოთა ქვეყანა თავიდანვე ერთმანეთს ვერ „შეეწყვნენ“. ბოლშევიკური რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ერთ-ერთი პირველი დადგენილება იყო: „დეკრეტი განცხადებების მოთავსების სახელმწიფო მონოპოლიზაციის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, სარეკლამო საქმიანობა სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. დეკრეტის ძირითადი მიზანი იყო დამოუკიდებელი გაზეთების ფინანსური

შემოსავლის კონტროლი (უკეთ, შეწყვეტა) და საერთოდ, პრესის კონტროლი. მაგრამ სულ მალე საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (რუსული აბრევიატურა: „НЕП“ - „ნეპი“ - მ. შ.) გაეტარებინა. ანუ ეკონომიკური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, კვლავ დაუშვეს კერძო საკუთრება, ანუ, ის, რაც დაანგრიეს. ეს იყო კერძო კაპიტალისა და თავისუფალი ვაჭრობის (თუმცა შეზღუდულის) პერიოდი. ისევ გაჩნდა რეკლამის საჭიროება. ისტორიის ეს მონაკვეთი („ნეპი“) საბჭოური რეკლამის განვითარების ბობოქარ პერიოდად დარჩა. კვლავ გაიხსნა სარეკლამო სააგენტოები, ისევ მიდიოდა ბრძოლა მომხმარებლისათვის. და ეს ბრძოლა ხელისუფებისათვს იყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, უმთავრესად, პოლტიკური და ამაში რეკლამას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ეს კარგდ ჩანს საბჭოეთის ნომერ პირველი პოეტის, ვლ. მაიაკოვსკის სიტყვებიდან: „ჩვენ კარგად ვიცით აგიტაციის ძალა, ყოველ საომარ გამარჯვებაში, ყოველ სამეურნეო წარმატების 9/10 -ში ჩვენი აგიტაციის ძალა და ცოდნა ჩანს. რეკლამა - საწარმოო, სავაჭრო აგიტაციაა. არც ერთი, ყველაზე ნამდვილი საქმეც კი, რეკლამის გარეშე არ იძვრის... ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ რეკლამა სჭირდება მხოლოდ ძველმანს, ხარახურას, კარგი საქონელი ისედაც „წავა“. ეს მცდარი აზრია. რეკლამა – ეს ნივთის სახელია... რეკლამა მუდმივად უნდა გვახსენებდეს თითოეულ მათგანს, შესანიშნავ ნივთსაც კი... იფიქრეთ რეკლამაზე... ესაა იარაღი, რომელიც ამარცხებს კონკურენციას. ნეპის დროს სახელმწიფო, პროლეტარული ორგანიზაციების, კანტორების პოპულარიზაციისათვის უნდა გამოვიყენოთ მტრის ყველა იარაღი, მათ შორის რეკლამაც“. [3] აღსანიშნავია, რომ რუსმა მწერლებმა, კერძოდ, ფუტურისტებმა რეკლამა ყველაზე მნიშვნელოვან ხელოვნებად გამოაცხადეს. მწერალმა ვიკენტი ვერესაევმა ეს ასე განმარტა: „ჩვენ ვათავისუფლებთ რეკლამას კომერციული კომპონენტისგან და ის იღებს პოეზიის თავისებურებებს...“ ყველაზე კარგად ეს ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში გამოჩნდა. ფილიპ კოტლერი, რომელიც მარკეტინგის გურუდ ითვლება და რომლის წიგნიც რამდენიმე ათწლეულია იბეჭდება და იგი მარკეტინგის, პიარისა თუ რეკლამის შემქმნელთთვის სამაგიდო წიგნი გახდა. რუსი მკვლევარები თვლიან, რომ საბჭოთა კავშირს ჰყავდა საკუთარი ტალანტი - ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელმაც ცნობილ ფ. კოტლერზე გაცილებით ადრე გაითავისა მარკეტინგის საფუძვლები. [4] ვლ. მაიაკოვსკი არა მარტო შესანიშნავი პოეტი იყო, არამედ სარეკლამო საქმიანობაშიც მეტად წარმატებული. მან მეგობარ ფოტოხელოვან ალექსანდრ როდჩენკოსთან ერთად, 1923 წელს, შექმნა „რეკლამ-კონსტრუქტორი.“ ეს ტანდემი, საბჭოთა სინამდვილეში, ფაქტობრივად პირველი სარეკლამო სააგენტოს შემქმნელი გახდა. მანამდე კი, ვლ. მაიაკოვსკი რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოში, პლაკატის განყოფილებაში, მეტად ეფექტურ, სატირულ მასალებს ქმნიდა. პოეტი მხარს უჭერდა ხელისუფლებას, ცდილობდა დახმარებოდა, გაეუმჯობესებინა საბჭოთა ვაჭრობა. იცოდა რა აგიტაციის ძალა, შექმნა ახალი სარეკლამო ჟანრი - „სამეურნეო აგიტატორი“, რომლის საშუალებითაც არა მარტო საქონლის რეკლამირებას ახერხებდა, არამედ, მომხმარებელს სახელმწიფოს ძალასაც აჩვენებდა.

რაც შეეხება ჩვენში რეკლამისა და მწერლის ურთიერთობას. გალაკტიონი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც თავიდანვე იგრძნო საზოგადოებისათვის რეკლამის საჭიროება. მართალია, მას სარეკლამო ტექსტები არ შეუქმნია, მაგრამ მის საჭიროებას ყოველთვის გრძნობდა. 1911-1914 წლებში გალაკტიონი ქუთაისის გაზეთებში ქრონიკორ-რეპორტიორად მუშაობდა და გარკვეული გამოცდილებაც შეიძინა. თავის ერთ დაუმთავრებელ წერილში: „გაზეთები“ [1915 წ.] გალაკტიონი წერდა: „გასათვალისწინებელია გაზეთის მნიშვნელობა თანამედროვე კულტურულ ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა გავსინჯოთ იგი როგორც ეკონომიური მოვლენა, საზოგადოებრივ მოთხოვნილების კითხვათა დამაკმაყოფილებელი. კულტურული ერები შეჩვეულნი არიან ყოველდღიურად გაზეთების კითხვას, რომ გაიგონ, თუ რა ახალი ამბები ხდება ქვეყანაზე.“ გალაკტიონის აზრით, ყველა ამბავს თავისი მკითხველი ჰყავს, ერთს ამერიკის პრეზიდენტის მოქმედება აინტერესებს, მეორეს იტალიის წყალდიდობა, სხვას არჩევნების ახალი კანონ-პროექტი, მავანს ბირჟის ამბები, კითხულობენ იმიტომ, რომ ყველა ამას შეუძლია გავლენა იქონიოს სახელმწიფო რენტაზე, ზოგნი აღელვებით ათვალიერებენ განცხადებებს, რომ გაიგონ თუ ვის სჭირდება მუშახელი ან სხვა რამე. გალაკტიონის აზრით, ყოველი ცნობა გაზეთში იმისთვის უნდა იბეჭდებოდეს, რომ მან საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. [5] რეკლამის საჭიროება, გალაკტიონმა ადრევე იგრძნო, კერძოდ, 1911 წლიდან, როდესაც პირველი წიგნის გამოცემისათვის თანხების მოძიებას რომ ცდილობდა, მოგვიანებით კი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი თავისი ჟურნალის დასაფინანსებლად სახელმწიფო სტრუქტურებთან რეკლამების დაბეჭდვის ნებართვისთვის იბრძოდა. გალაკტიონს აქვს კიდევ ერთი ჩანაწერი „რეკლამა“ [1932 წ.], რომლიდანაც ირკვევა, რომ ის საკმაოდ კარგად არის გარკვეული სარეკლამო საქმის ნიუანსებში, ზუსტად იცის მისი მნიშვნელობა და ის განსხვავებული დამოკიდებულება რეკლამისადმი, ამერიკასა და საბჭოთა ქვეყნაში რომ არსებობდა,

აგრეთვე, იმ პრობლემის შესახებაც, ჩვენს მწერლებს რომ ექმნებოდათ: „რეკლამის პრაქტიკული მნიშვნელობა ყველასთვის ცხადია. ამერიკაში იგი უმაღლეს წერტილამდეა მისული, მილიონები იხარჯება რეკლამისათვის. საბჭოთა ქვეყანაში - ირონიულად წერს პოეტი, რეკლამას დიდ პატივსა სცემენ: მას აქ სახელად ჰქვია პროპაგანდა, აგიტაცია პრესის, თუ სხვა საშუალებებით. მხოლოდ პოეტებს არ აქვთ საშუალება ისე გამოიყენონ რეკლამა, როგორც თვითონ სურთ.“ გალაკტიონი ღრმადაა დარწმუნებული რეკლამის საჭიროებაში და საფუძვლიანი დასკვნა გამოაქვს, საბჭოეთში არსებული ვითარების მიუხედავად, მას მიაჩნია: „რეკლამის ხერხები ღირსია უაღრესი შესწავლის, კვალიფიკაციის; კარგად გამოყენებულ რეკლამას სრულ გამარჯვებამდე მიჰყავს პოეტი. რეკლამის პრაქტიკული მნიშვნელობა უფრო ძვირფასია, თუ იგი იყენებს სულ ახალ და ახალ მიღწევებს, ჯერ კიდევ უცნობს ფართო მასისათვის, ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ უარყოფილ იქნას ძველი ხერხები, პირიქით, ეს ძველი ხერხები უფრო უნდა დამუშავდეს, რომ სწორედ მათზეა შესაძლებელი ახალ ხერხთა გამოგონება.“ [6]

რეკლამის თემა გალაკტიონის შემოქმედებაშიც ჩანს. მისი ლექსი „პლაკატების კივილი“ [1927] წლით თარიღდება. პლაკატი საბჭოთა ქვეყანაში განსაკუთრებულ სააგიტაციო-სარეკლამო საშუალებად მიიჩნეოდა. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა და სოციალისტური იდეების მასებში გავრცელება, ფართო აგიტაციას მოითხოვდა. ეს კი, აქტიურ, საქმიან და მობილურ საშუალებებს ითხოვდა. ასეთი კი პლაკატი აღმოჩნდა, პლაკატი, რომელიც მოწოდებული იყო რთული სოციალისტური იდეები უბრალო ობივატელისათვის მარტივად გადაეცა. ამ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბრძოლაში, სუსტი რადიომაუწყებლობების პირობებში, საბჭოეთში, პლაკატი ძალზედ ეფექტური სარეკლამო საშუალება გახდა. მისი დიდი ტირაჟით დაბეჭდვა საშუალებას იძლეოდა, რომ მას ამ უზარმაზარი ქვეყნის უშორეს ადგილებშიც შეეღწია. ხალხმრავალ ადგილებში გაკრულ პლაკატს მრავალრიცხოვანი მნახველი ჰყავდა და მისი ინფორმაციის ვიზუალური მხარე, მხატვრულ-ტექსტური ფორმა დიდ ყურადღებას იპყრობდა და ფართო აუდიტორიის ინტერესს იწვევდა. მით უმეტეს, რომ მისი შექმნის სათავეებთან რუსული კონსტრუქტივიზმის ისეთი დიდი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, როგორებიც ვლ. მაიაკოვსკი და ა. როდჩენკო იყვნენ.

გალაკტიონისთვის პლაკატს სხვა დატვირთვა ჰქონდა. მის ჩანაწერებში პლაკატი ხშირად არის ნახსენები. ეს არის საშუალება, რომელიც საზოგადოებას გადასცემს პოეტის „სიტყვას ჯერ ახალს, სიტყვას ჯერ უთქმელს“ („რევოლუციური პლაკატები“) და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა გალაკტიონის შემოქმედებას ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდა, მას მიაჩნდა - პლაკატი მისი ლიტერატურული საღამოების, გამოფენების აუცილებელი ატრიბუტი უნდა ყოფილიყო. ჩაუწერია კიდეც: „გამოფენის ფასადი. პლაკატი მუზეუმიდან კინოთეატრამდის წარწერით: „...4. საქართველოს სახალხო მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა“. 5. პლაკატები კარების მხრით. 6. პლაკატი კინო-თეატრის წინ.“ სხვაგან ჩაუნიშნავს: „... ყველაფერი მზად უნდა იყოს. 1. მხატვრის ნახატები და კლიშეები. 2. ვინ იძლევა ნებართვებს? გაგებაა საჭირო და ენერგიული მუშაობა. უპლაკატოთ საქმე არ ვარგა.“ [7]. საინტერესოა ლექსი „პლაკატების კივილი“, პოეტი თითქოს სარეკლამო წესებს გვახსენებს. მან იცის როგორ, სად, რანაირად განთავსდეს სარეკლამო მასალა, რომ მან ხალხის ყურადღება მიიპყროს: „კარგად შექმნილი ქრონიკები ყველა გაზეთებს!/ განცხადებები შუა-გვერდში, ყველა კვირაში!/ განცხადებები უჩვეულოდ უნდა აიწყოს!/ მთელი ენერგია თვალსაჩინო ადგილისთვის!/ პლაკატები ტრამვაებსა და მაღაზიებს./ პლაკატები რკინიგზებზე და მოედნებზე,/ აჰა, სცენაზე გამოჩენის დროც მოახლოვდა,/ ო, მოუხშირეთ განცხადებებს... აღნიშნეთ ეს დღე./ აღნიშნეთ ეს დღე ქრონიკებში და რეკლამებში...“ [8] გალაკტიონის შემოქმედებაში რეკლამა სხვაგანაც არის ნახსენები. კერძოდ, ცნობილ ლექსში „აღმოსავლეთი“ (1924 წ.): „ბრწყინავს რეკლამა, / ნერვებს აწვალებს,/ აგერ საეჭვო გამოჩნდა დამა, / შანსონეტკები იფერენ თვალებს...“ ამავე ლექსის B ვარიანტში არის სტრიქონები: „გაზეთი იყო როგორც ვენახი,/ განცხადებათა ესხა მტევნები...“ ან კიდევ: „საღამო ხანად/ ელვარე რამა/ მოეფინება პროსპექტებს თრთოლა:/ კინოთეატრი, ბრწყინავს რეკლამა/ და ასოები/ აქლემთა ტოლა...“ („საღამო ხანად“). რაც შეეხება გალაკტიონს, რედაქტორ - გამომცემელს, ეს მთელი ეპოპეაა: ბრძოლა საბჭოთა სტრუქტურებთან სარეკლამო განცხადების დაბეჭდვის ნებართვის მისაღებად.

მან თავისი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ 1922 წლის 3 დეკემბერს გამოსცა. მანამდე გალაკტიონმა სხვადასხვა ორგანიზაციას მიმართა თხოვნით, მათ შორის „თამბაქოს ტრესტის გამგეს“: ჩემის რედაქტორობით მომავალ კვირაში გამოდის ყოველ კვირეული ჟურნალი. გთხოვთ მომცეთ ჟურნალისთვის განცხადება და ამით შემაძლებინოთ გამოცემის განგრძობა...“ ჟურნალის პირველ ნომერში დაიბეჭდა არა მარტო თამბაქოს ტრესტის განცხადება, არამედ სხვა ბევრი ორგანიზაცია-დაწესებულების, მათ შორის, რუსთაველისა და ოპერის თეატრების, სასტუმრო „ორიანტის“, სახელმწიფო ღვინო-

სპირტის და კონიაკის ტრესტის, ფინანსთა და მიწათმოქმედების სამინისტროების განცხადებები, ამიერკავკასიის სამგზავრო მატარებლების გრაფიკი და სხვ. მაგრამ მალე ვითარება დამძიმდა, ხელისუფლება ყოველივე კერძოს ავიწროვებდა, გაჭირდა სარეკლამო განცხადებების მიღება, რომლის დაბეჭდვის ნებართვასაც საბჭოთა ორგანოები იძლეოდნენ. ამიტომაც, გალაკტიონმა სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის თავმჯდომარეს მ. ორახელაშვილს მიმართა: „... ჟურნალს არ შეუძლია არსებობა, თუ მას არ ექნა განცხადებები. ამიტომ გთხოვთ ნებართვას: განცხადებები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებების იბეჭდებოდეს ჩემს ჟურნალშიც, როგორც ეს არის „ლომისში“ და „რუბიკონში.” ჩემი ჟურნალი ერთადერთი ყოველკვირეული ჟურნალია საქართველოში.“ სახელმწიფო მოხელემ ამ განცხადებას შემდეგი რეზოლუცია დაადო: „კერძო გამოცემები საბჭოთა დაწესებულებათა განცხადებებს ვერ მიიღებენ. რაც შეეხება, კერძო დაწესებულებათა განცხადებებს, ის არავის აუკრძალავს.“ გალაკტიონს იქვე მიუწერია: „რუბიკონი“ კერძო გამოცემა არ არის? რად იბეჭდება იქ საბჭ. დაწესებულებათა განცხ?“ [9]. მერვე ნომრის გამოცემის შემდეგ მძიმე ვითარება შეიქნა და 1923 წ. 6 მარტს გალაკტიონი ამჯერად სახალხო კომისართა საბჭოს უგზავნის წერილს: „... ჟურნალი სარგებლობს საზოგადოების დიდი სიმპატიით, ვრცელდება, მაგრამ ჟურნალის გაყიდვისგან შემოსული ფული ხარჯებს ვერ ფარავს, ამიტომ ას მილიონამდე ვალი დაგვედო. დღემდის ჩვენთვის ერთ სახსართთაგანს შეადგენდა განცხადებების ბეჭდვა, მაგრამ უკანასკნელად, სადაც კი მივალთ, განცხადებისთვის გვთხოვენ სათანადო ქაღალდს მთავრობისგან... გთხოვთ მოგვცეთ სათანადო მანდატი, რომ უფლება გვექნეს სხვა გამოცემების მსგავსად ჩვენც ვბეჭდოთ განცხადებები და ამით საშუალება მოგვეცემა პერიოდულად მაინც გამოვცეთ ჟურნალი და მოვიშოროთ განცხადებების **„ბეჭდვის აკრძალვისაგან თავსდატეხილი მეტად სამძიმო ვალი.“** [10] რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ყურად არ იღო „კერძო გამოცემის“ თხოვნა. გალაკტიონმა თავისი ჟურნალი უკანასკნელი, მეცხრე ნომერი ბათუმში გამოსცა, სადაც იქაურ საწარმოთა რეკლამა სჭარბობდა და ამით დასრულდა კიდეც ჟურნალის გამოცემა.

დასკვნა

სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა მიმდინარეობისა და დაჯგუფების ცნობილი მწერლები სარეკლამო საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ზოგისთვის, ლიტერატურული კარიერის გარიჟრაჟზე, ეს საარსებო წყაროს წარმოადგენდა, სხვები, უკვე ცნობილები, სხვადასხვა ბრენდების რეკლამებს ქმნიდნენ და მაღალ ჰონორარებს იღებდნენ. ამ სფეროში მოღვაწეობას მათთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, ის ხელს უწყობდა ლიტერატურულ განვითარებას, აჩვევდა შრომით დისციპლინას და დროის ფასს, ამასთან, სიუჟეტებით ამდიდრებდა მათ შემოქმედებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.sb.by/articles/chto-dumali-velikie-o-reklame.html.
2. https://popsop.ru/66108. 3. ვ. მაიაკოვსკი, თხზ. სრული კრებული, მ. 1959. ტ. 12, გვ. 57.
3. https://zen.yandex.ru/media/book24/daesh-pravilnuiu-reklamu-maiakovskii--otec-rossiiskogo-marketinga-5bac9be58f17. 5. გ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ.12, გვ. 58. 6. გ. ტანიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 321. 7. გ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. 12, გვ. 380. 8. გ. ტაბიძე, თხზ. 12 ტომად, ტ. 2, გვ. 266. 9. გ. ტაბიძე, საარქივო გამოც. 25 წიგნად, წ. 24, გვ. 544. 10. ვ. ჯავახაძე, „უცნობი“, თბ. 2013, გვ. 288.

Writer and advertising

Mamuka Shelegia, Associated Professor of Georgian Technical University

Summary

The work discusses the relationship between the writer and advertising, which became especially linked after the invention of printing press by Johann Gutenberg that ushered a new era of mass communication. It was the print media that made it possible for advertising to become an essential component of trade (economy) development. The development of industry and economy, in turn, required intensification of advertising activities, creating an easily understandable, clear and convincing text for consumers from all layers of society. It is this circumstance that “helped” establishing connections between the advertising and the writer. Writers of different eras, writers belonging to different directions and groups participated in the advertising activities: they created slogans, wrote texts, planned advertising events. For the writers, this activity was not only a means of livelihood, but also helped them in their literary activities, made them appreciate discipline, value of time, enriched their work with stories, and, of course, helped them to sell their works.

უცხოელი ავტორების პუბლიკაციები გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ (პარიზი 1926-1939 წწ.)

თეონა არველაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველოს“ არსებობის თხუთმეტი წლის მანძილზე, გარდა სოციალურ - პოლიტიკური საკითხებისა, (რაც იყო გაზეთის შექმნის მოტივი) აქტიურად იბეჭდებოდა სხვადასხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაციები, როგორებიც იყო მაგალითად მეცნიერული კვლევები, მხატვრული ლიტერატურის შედევრები, თარგმანები თუ უცნობი და ნაკლებად ხელმისაწვდომი მასალები.

გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ დაბეჭდილ მასალათა სიუხვემ და ასევე ხარისხმა, განაპირობა გაზეთის შინაარსობრივი მრავალფეროვნება, რაც თავის მხრივ გახდა ინტერესის და კვლევის საგანი ქართველი მეცნიერებისთვის.

მრავალფეროვან მასალათა და ქართველ პოლიტ ემიგრანტთა წერილების პარალელურად, გაზეთის ფურცლებზე აქტიურობდნენ უცხოელი მწერლები, საქართველოს საერთაშორისო მხარდამჭერები, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ რუსეთის ბოლშევიკურ რეჟიმს და საჯაროდ გმობდნენ ოკუპაციას.

მოცემულ სტატიაში გთავაზობთ, რამდენიმე უცხოელი ავტორის პუბლიკაციიდან ამონარიდს, რომელიც დაიბეჭდა სხვადასხვა დროს, გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში“ და რომელიც ცხადყოფს საქართველოს და ქართველი ხალხის იმჟამინდელ ყოფას, რუსეთის ოკუპაციის პირობებში და ასევე ხაზს უსვამს, მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერის როლსა და მნიშვნელობას.

შესავალი

გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ (პარიზი 1926 – 1939 წ.წ) არსებობის თხუთმეტიოდე წლის მანძილზე მის ფურცლებზე იბეჭდებოდა სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური მიმართულების ისეთი ავტორიტეტების წერილები, როგორებიც იყვნენ ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, გიორგი გვაზავა, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, მიხაკო წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ზურაბიშვილი და სხვანი. ისინი იყვნენ პიროვნებები, რომლებიც მიუხედავად განსხვავებული მსოფლმხედველობისა, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე გაერთიანდნენ ემიგრაციაში და ერთიანი ძალით იბრძოდნენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ დაარსებას პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად, უნდა აღვნიშნოთ, რომ მის შინაარსობრივ მრავალფეროვნებაზე მას გავლენა არ მოუხდენია. ჟურნალის ფურცლებზე სოციალურ-პოლიტიკური საკითხების პარალელურად აქტიურად იბეჭდებოდა ბევრი საგულისხმო ცნობა თუ ფაქტი. დაიბეჭდა არა ერთი მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც დღესაც ღირებულია ქართული მეცნიერებისთვის, თუმცა მათი უმრავლესობა იმჟამინდელი პოლიტიკური ატმოსფეროს გამო უცნობი და ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო. მაგალითისთის: პირველად სწორედ „დამოუკიდებელ საქართველოში“ გამოქვეყნდა ემიგრაციაში მცხოვრები, ჩვენი დიდი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ისეთი ნაშრომები, როგორიცაა: „ ელენე თარხან - მოურავისეული ვეფხისტყაოსანის სურათებიანი ხელნაწერი“, „ჯვარის მონასტრისეული „თთვენი“ ანუ საგალობელნი“ მეთერთმეტე საუკუნისა“ და სხვ.

„დამოუკიდებელ საქართველოს“ ჰქონდა მუდმივი რუბრიკა „ბიბლიოგრაფია“, რომელიც ჩვენთვის ძვირფასია, პირველ რიგში, იმით, რომ აქ ვპოულობთ უნიკალურ ცნობებს საქართველოსა და ქართულ კულტურაზე საზღვარგარეთ გამოცემულ სხვადასხვა ჟანრის წიგნთა და ჟურნალ - გაზეთების შესახებ, რომელთა ნაწილს მეტნაკლებად ვიცნობდით, უმრავლესობა კი ჩვენთვის უცნობია.

ძირითადი ნაწილი

გაზეთის ფურცლებზე, ქართველი პოლიტ-ემიგრანტების პარალელურად, იბეჭდებოდა ასევე უცხოელი ავტორების წერილები, რომლებიც საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას, რჩევებს და კეთილ სურვილებს, არ იშურებდნენ ქართველი ხალხისთ-ვის; ზოგს წაეკითხა, ზოგს სმენოდა და ბევრიც პირადად იყო ნამყოფი საქართველოში, შესაბამისად შეფასებები იყო რეალობასთან ახლოს და მათი ჩართულობა და პუბლიცის-ტური წერილები ქართველი ემიგრანტული საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა.

გთავაზობთ რამოდენიმე წერილის ამონარიდს, რომელიც სხვადასხვა დროს „ დამოუკიდებელი საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა და რომლებიც ობიქტური შეფასებების გაკეთების საშუალებას აძლევს საკითხით დაინტერესებულ პირებს.

ჟან მარტენი, ცნობილი შვეიცარიელი პუბლი-

ცისტი, გავლენიანი გაზეთის „ჟურნალ დე ჟენევის“ს რედაქტორი იმ უცხოელ ავტორთ განეკუთვნება, რომელსაც უნახავს საქართველო და ადგილზე უგრძვნია ყველა ის პრობლემა, რომელსაც ერი განიცდიდა. თავის წერილში იგი ქართველი ერის დამოუკიდებლობას უპირობო აუცილებლობად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ „ ერს რომელსაც უგრძვნია “ დამოუკიდებლობის სიტკბოება, სხვა რეალობას ვეღარ მიიღებს. („დამოუკიდებელი საქართველო“ N6, 1926).

„დღეს თქვენი ხვედრია ლოდინი : მძიმე, მტკივნეული ლოდინი. განვლეთ მთელი საუკუნე უცხო ბატონობისა, რომ მხოლოდ სამი წლით გესუნთქათ თავისუფლების ჰაერი. მაგრამ როცა ფილტვებს ერთხელ უგემიათ თავისუფლების სიტკბოება, სხვა ჰაერი ხომ აუტანელი ხდება მათთვის. თქვენი ლოდინი - ხსნის ლოდინია. იქონიეთ მომავლის ნდობა და იმედი, როგორც ჰქონიათ წარსულში თქვენს წინაპართ: ხსნა არ შეიძლება არ მოვიდეს - ის მორალური აუცილებლობაა.

.... ერი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიგვის მსოფლიო რუქიდან, თუ მისი ეროვნული სული მოკვდა. თქვენი სული ქართველო მეგობრებო ცხოველზე უცხოველესია. მისი ჟღერა ვიგრძენი მე თქვენს ქალაქეში, თქვენს სოფლებში, თქვენს მთებში 1920 წელს, როცა თავისუფალი და მხიარულნი, თქვენ დღესასწაულობდით აღდგენილ დამოუკიდებლობას. ვიგრძენი მისი ღელვა აგრეთვე პარიზში 1925 წელს, თქვენი კოლონიის წიაღში, როცა ბოლშევიკური ხიშტის მიერ სამშობლოდან განდევნილი თქვენი ეროვნული ბრძოლის გმირები მოუთხრობდნენ თავის მომმეთ ჩაგრულ სამშობლოს ტანჯვა-ვაებას. ტანჯვაში მეტათ ვინემ სიხარულში, განმტკიცდება მეგობრობა, ერთიანდება მოქმედება, იზრდება წინააღმდეგობის ძალა, გამოიწრთობა ნებისყოფა და სწორედ ტანჯვაში, უბედურებაში ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა ღრმა აზრი და ღირებულება ძველ თქმულებას: „ ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც“.

ჟენევის ცნობილი პასტორი და დიდი ორატორი, ფრანკ თომა, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის წევრი, ჟან მარტენის მსგავსად, გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს საქართველოს თავისუფლებას. მას არაერთხელ წარმოუთქვამს საჯაროთ აღგზნებული სიტყვა ქართველი ერის წმინდა საქმის დასაცავად . გაზეთის ფურცლებზე კი აქვეყნებს წერილს „ძვირფას ქართველ მეგობრებს“ (N29, 1928), სადაც წერს, რომ დარწმუნებულია ქართველი ხალხის სამომავლო თავისუფლებაში და იმაშიც, რომ საქართველო თავისი დამოუკიდებლობით ევროპასა და სრულიად მსოფლიოსაც შეუწყობს ხელს, თავი აარიდოს ბოლშევიზმის საშინელებას..

„... ცნობილია, რომ ტკივილი აწრთობს ხასიათ და ამტკიცებს პიროვნებას როგორც კერძო კაცისას, აგრეთვე ერისას. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სანუკვარი სამშობლო, ერთ დღეს - იმედია მალე - განთავისუფლებული ჩაგვრის უღლისაგან, შესძლებს არამც თუ თვით დასტკბეს სრულის კეთილდღეობით თავისუფლებაში, არამედ აგრეთე ხელს შეუწყობს რუსეთს, მოიპოვოს თავისუფლება და ააცილოს ევროპას და მსოფლიოს ბოლშევიზმის საშინელება.“

ედუარდ შაპიუზა (Ed. Ch.- Journal de Geneve- ის რედაქტორი.)_ თავის კრიტიკულ წერილში, საქართველოს იხსენიებს, როგოგრც უბედურს, მოტყუებულს, მრავალგზის ტანჯულს და აღწერს ქართველი ერის მდგომარეობას მსოფლიო ცივილიზაციის კონტექტსში.

„ამგავარდ ეს უბედური ქვეყანა, ასე ხშირად მოტყუებული. მსხვერპლი ამდენი ღალატისა, ეგზომ ტანჯული, ხელახლად იპყრობს საოგადოებრივ აზრს. რა თქმა უნდა ის ყოველთვის წამოიჭრება ცივილიზაციის შარაგზაზე, როგორც ცოცხალი საყვედური, სანამ ეს ცივილიზაცია თვით ვერ მოიპოვებს საკმარის ძალებს, უზრუნველჰყოს თავისუფლება ქართველი ხალხსია“.

ედ. შაპიუზა თავის წერილში, ასევე საუბრობს, საერთო მტრის წინააღმდეგ, შეთანხმებული, ძალებით ბრძოლის აუცილებლობაზე, მაგალითისთვის კი მოყავს კავკასიის ფედერაციის დაშლა რუსეთის მიერ, რომლის მთავარ მიზანს, სწორედ რომ ამ ერთიანი ძალების მოსპობა წარმოადგენდა.

„საქართველო იბრძვის არა მარტო თავისი განთავისუფლებისთვის, რაც მე ჩემი მოკლე დროით კავკასიაში ყოფნისას ვნახე, ეს მაძლევს ნებას ვსთქვა, რომ საქართველო წარმოადგენს ცენტრს, საიდანაც ბრძოლის იდეა შუქს ჰფენს მეზობელ ერებს. ეს ჩემი დასკვნა ბოლოს დამტკიცდა იმ ფაქტით, რომ მოსკოვმა 1936 წელს დაშალა ე. წ კავკასიის ფედერაცია. საბჭოებმა ეს იმიტომ ჰქმენს, რომ მოეწყვიტათ საქართველოდან აზერბაიჯანი და სომხეთი, რომ შეეკვეცათ საკმაოდ ნათელი ურთიერთობა კავკასიის ერთა, რომელთა შორის ყოველდღიურად მწიფდება შეგნება საერთო მტერთან შეთანხმებული ბრძოლის აუცილებლობის“

თემთა პალატის დეპუტატი, რ. დევისი კი, წერილში „საუკეთესო სურვილები!“ (1928 წ. N29) აღწერს ოკუპანტი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ნიშანს, როცა დამყრობელი ამტკიცებს, რომ მისი მოქმედება ემსახურება დაბყრობილი ერის ინტერესებს. რუსეთის მსგავსად, რომელიც მიიჩნევდა, რომ საქართველოს დაქვემდებარება, ემსახურებოდა ქართველი ერის უკეთეს მომავალს რუსეთთან ერთად.

„საერთოთ ყოველი მთავრობა, რომელიც იპყრობს სხვას გარეშე ძალის საშუალებით, თუ შინ სამოქალაქო ომის გამოწვევით, ყოველთვის

ცდილობს მონახოს ამის გასამართლებელი საბუთები და ირწმუნება, რომ მას ამოქმედებს დამყრობილთა ინტერესები. საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ დღეს არაფრით არ განირჩევა კაპიტალისტური და იმპერიალისტური მთავრობის მიერ სხვა ქვეყნების დაპყრობისაგან: არც ის საბუთები, რომლთაც რუსეთის მთავრობა ლამობს გაამართლოს თავისი აქტი, არაა უკეთესი იმ საბუთებზე, რომელიც მოყავთ მათ, ვინც პატარა ერების სვე - ბედით თამაშობენ და ვაჭრობენ საერთაშორისო ასპარეზზე.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ ჩემი გრძნობა ასე გამოითქმის: „ან თავისუფლება, ან სიკვდილი“.

რ. დევისის მსგავსად ფიქრობდნენ ქართველი პოლიტ ემიგრანტები „ან თავისუფლება, ან სიკვდილი“. მათი ცნოებიერი მომწიფებული იყო თავისუფლებისთვის თავგასაწირად ისე როგორც არასდროს... საზოგადოებრივი თვითშეგნების ასამაღლებლად იბრძოდნენ ცივილური ფორმებით, კალმით, სიტყვით.

ქართველი პოლიტიკოსების ბრძოლის მნიშვნელობასა და საგარეო პოლიტიკაში მათ გავლენებს ადასტურებს ასევე, ედუარდ ბერშტეინის წერილი, რომელიც გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ 1926 წლის N5 დაიბეჭდა, სათაურით „საქართველოს უფლება დამოუკიდებლობისა“. სადაც ავტორი ნოე ჟორდანიას და მის თანამშრომლებს იხსენიებს: „ნამდვილი საერთაშორისო აზრთა მატარებელი სოციალისტები იყვნენ, რწმენით აღსავსე მიმდევარნი სოციალისტურ დემოკრატიათა საერთაშორისო კავშირის აზრისა“. წუხს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს წაერთვათ უფლება საკუთარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ემართათ და ქვეყნის სასიკეთოდ გამოეყენებინათ მათი უნარები. „... მარტო საქართველოს შინაგან განვითარების მხრივ კი არა, არამედ უმეტესად ევროპის საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების მხრივ არის ძლიერ სამწუხარო, რომ მათ და მათ ამხანაგებს საშუალება წაერთვათ, თავიანთი ჭკუა და ნიჭი თავიანთივე სამშობლოში ამოქმედონ“. (1926 წ. N5)

ამავე ნომერში (1926წ. N5.) ო.ლარი ქართველ ხალხს ულოცავს დამოუკიდებლობის მერვე წლისთავს და სიხარულთან ერთად გამოხატავს დიდ გულისტკივილს, რომ ასეთ ვითარებაში უწევთ ქართველებს ამ ღირშესანიშნავი თარიღის აღნიშვნა. თუმცა მკითხველს ახსენებს იტალიისა და პოლონეთის განთავისუფლების ისტორიას და მოუწოდებს იყვნენ იმედით, შემართებით, რადგან ერი, რომელიც საკუთარი დამოუკიდებლობისთვის მონობაშიც კი იბრძვის და აღვივებს ეროვნულ სულს, აუცილებლად იპოვის სამართალს და მიაღწევს დამოუკიდებლობას. აქვე დასძენს, რომ „მინდა ვიცოცხლო იმდენი, რომ ტაში დავუკრა კეთილშობილი ქართველი ერის განთავისუფლებას“.

ფილიპე სნოუდენი წერილში „თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ მეგობრებს“ (1926 წ. N5). იშველიებს ერთი ინგლისელი პოეტის სიტყვებს: „ადამიანის ადამიანისადმი არაადამიანობა ათასთა და ათასთა გლოვას იწვევს“, ქართველები თვითონ გრძნობს ამ სიტყვების სინამდვილეს“. ავტორი უდიდეს თანაგრძნობას უცხადებს ქართველ მამულიშვილებს და გამოთქვამს იმედს, რომ თავისუფლების იდეა გაიმარჯვებს მალე და ეს ბრძოლა, აუცილებლად ქართველი ხალხის გამარჯვებით დასრუ ტტტ ლდება. „მოვა დღე და თავისუფალი ერის ბედნიერ სიმღერას საქართველოს მთები ხელახლათ გამოეხმაურებიან“.

დასკვნა

ჟურნალ „დამოუკიდებელი საქართველო“ ემიგრაციაში მყოფი საზოგადოების-თვის, ძლიერ შემაკავშირებელი ელემენტი და სოცილური ადაპტაციის საშუალება გახდა. ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები, იქნება ეს ქართველი პოლიტ-ემიგრანტების თუ უცხოელი ავტორების, იყო საუკეთესო საშუალება მსოფლიო საზოგადოებისთვის საქართველოს პრობლემების გაზიარებისა და მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნის. წერილებში ასახული პრობლემები და გაკეთებული შეფასებები, აქტუალობას არ კარგავს დღევანდელ, დამოუკიდებელ საქართველოშიც. ვინაიდან, მიუხედავად დამოუკიდებლობისა, ქვეყნის დიდი ნაწილი ისევ ოკუპირებულია და ქვეყნის გაერთიანებამდე და სრულ თავისუფლებამდე ისევ ბრძოლის გზაა გასავლელი, რომელიც ალბათ, მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე რთულად მიღწევადია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერშტეინი ედ. საქართველოს უფლება, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, N5;
2. დევისი რ. საუკეთესო სურვილები, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, N29;
3. თომა ფრ. ძვირფას ქართველ მეგობრებს, გაზეთი„დამოუკიდებელი საქართველო“, 1928, N29;
4. ლარი ო. თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ მეგობრებს, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, N5;
5. მარტენი ჟ. ვინც ესხმის ერთს, ესხმის მეორესაც, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1926, N6;
6. შამპიუზა ედ. კავკასიის ერთა განთავისუფლებისთვის, გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ 1927, N14;

Publications of Foreign Authors in the Newspaper “Independent Georgia”
(Paris, 1926-1939)

Teona Arveladze, PhD studen of Georgian Technical University

Summary

During the fifteen years of the existence of the Newspaper “Independent Georgia”, various equally important information, such were scientific studies, masterpieces of fiction, translations, unknown and less accessible materials, was actively published in addition to social and political issues (which was the motive for the establishment of the newspaper).

The abundance as well as the quality of the materials published in the newspaper „Independent Georgia“ conditioned the diversity of the content of the Newspaper, which in turn became the subject of research and interest for Georgian science.

In parallel with various materials and letters of Georgian political emigrants, foreign writers and international supporters of Georgia also actively participated in the publications of the newspaper, openly opposing the Russian Bolshevik regime and publicly condemning the occupation.

In this article, we offer excerpts from the publications of several foreign authors which were published in the newspaper “Independent Georgia” at different times and which demonstrates the existence of Georgia and the Georgian people of that time in the conditions of Russian occupation and emphasizes the role and importance of support from the World Community.

კონვერგენციის გავლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შემოსავლებზე საქართველოში

ნინო ნატროშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ტექნოლოგიური ინოვაციები და ცვლილებები გუტენბერგის გამოგონების დღიდან მედიაზე ყოველთვის განსაკუთრებულად აისახებოდა და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკამ ვერც ციფრული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გავლენას აუარა გვერდი. მე-20 საუკუნის ბოლოდან და 21-ე საუკუნის დასაწყისიდან მკვლევრებმა მედიაგარემოს ტრანსფორმაციულ ცვლილებებზე დაიწყეს საუბარი. ეს ცვლილებები კი უპირველესად ტექნოლოგიურ პროგრესს უკავშირდებოდა, რომელმაც ჟურნალისტიკაში სრულიად ახლებური კონცეფცია — კონვერგენცია შემოიტანა.

პროცესებმა, რომლებიც ახალ კონცეფციას მოჰყვა, მნიშვნელოვანი გავლენა მედიასაშუალებების შემოსავლებზეც მოახდინა როგორც საფრთხეების, ისე ახალი შესაძლებლობების თვალსაზრისით. კონვერგენციამ მედია გაყიდვების განსხვავებული სტრატეგიებისა და პროდუქტების შექმნის, მულტიმედიურობის, როგორც შესაძლებლობის გამოყენების აუცილებლობა მოიტანა. სატელევიზიო აუდიტორიისა და რეკლამის შემცირების გლობალური ტრენდების პარალელურად, ინტერნეტსივრცის პოპულარობის მზარდმა დინამიკამ მედიასაშულებებს შემოსავლების განსხვავებული მოდელების შემუშავებისა და ახალი შემოქმედებითი გზების ძიებისკენ უბიძგა.

საქართველოში ეს პროცესი გლობალურ ტრენდებს შედარებით ჩამორჩა. სატელევიზიო რეკლამის შემოსავლების კლების მიუხედავად, რეკლამის დამკვეთები მთავარ აქცენტს უცხოურ ონლაინრესურსებზე აკეთებენ. თუმცა, შესაბამისი შემოქმედებითი და სტრატეგიული მიდგომების შემთხვევაში, პანდემიური და მოსალოდნელი პოსტპანდემიური ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როდესაც მარკეტინგული ბიუჯეტების ოპტიმიზაცია უკვე მიმდინარეობს, ეროვნულ კონვერგენტულ მედიაგარემოს შემოსავლების ალტერნატიული და ეფექტიანი მოდელების შემუშავებისა და არარეალიზებული შესაძლებლობების გამოყენების შანსი აქვს.

საკვანძო სიტყვები: კონვერგენცია, მულტიმედია, მედიის შემოსავლები, სატელევიზიო რეკლამა, ინტერნეტრეკლამა

შესავალი

მედიის შემოსავლებზე ტექნოლოგიების გავლენის შესახებ საუბრისას სპეციალისტები განსაკუთრებით გამოყოფენ ინტერნეტპროტოკოლზე დაფუძნებული ტელევიზიის (IPTV) გამოჩენასა და გადახვევის სერვისის მასობრივ გავრცელებას. ამ ორმა ფაქტორმა მედიასაშუ-ალებების შემოსავლების სტრატეგიების ახლებური გააზრება განაპირობა.

მედიატექნოლოგიების პროგრესმა და მედიაკონვერგენციის პროცესმა მთავარი გამოწვევების წინაშე სატელევიზიო არხები დააყენა, რადგან გადახვევის სერვისმა უპირველესად პრაიმტაიმის ტრადიციული ცნება შეარყია. შეიცვალა მომხმარებლის ქცევაც: გარდა იმისა, რომ მაყურებელი აღარ არის სატელევიზიო ბადეზე დამოკიდებული და თავად ირჩევს, სად, როდის და დღის რა მონაკვეთში უყუროს სასურველ კონტენტს, ხშირად ის სატელევიზიო ეთერში გასული გადაცემის ყურებას რამდენიმე წუთით განგებ გვიან იწყებს, რათა გადახვევის სერვისის დახმარებით, არასასურველ სარეკლამო ჭრას აარიდოს თავი. წლებია, ეს ფაქტორები საფრთხეს უქმნიან სატელევიზიო რეკლამის „დიქტატურას“, რადგან რეკლამის განმათავსებლები მარკეტოლოგებსა და რეკლამის დამკვეთებს უკვე ვეღარ არწმუნებენ, რომელია ყველაზე რეიტინგული დრო მათი პროდუქტისა თუ მომსახურების რეკლამირებისთვის. ამ ფონზე სულ უფრო „საეჭვო“ ხდება ძვირადღირებულ სატელევიზიო რეკლამაში მსხვილი მარკეტინგული ბიუჯეტის ინვესტირება, მით უმეტეს, რომ პოპულარული უცხოური სოციალური ქსელები, ვებპლატფორმები თუ აპლიკაციები ნაკლები დანახარჯებით მეტ შედეგზე გასვლას გვთავაზობენ.

ნაშრომი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს ის ზოგიერთი ტენდენცია, რომელიც საქართველოში კონვერგენციამ და ინტერნეტის განვითარებამ მედიასაშუალებების შემოსავლების თვალსაზრისით შექმნა.

ძირითადი ნაწილი

სატელევიზიო რეკლამის დაღმასვლა ჯერ კიდევ 2008-2009 წლებში დაიწყო, როცა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა რეკლამის ბევრ დამკვეთს რეკლამირების იაფფასიანი ხერხების ძიებისკენ საქართველოშიც უბიძგა. 2010 წელს საქართველოში ინტერნეტრეკლამებზე საძიებო სისტემების ჩათვლით, 1 მილიონ აშშ დოლარამდე დაიხარჯა[1]. სპეციალისტები მაშინვე პროგნოზირებდნენ, რომ ინტერნეტის მომხმარებლების

[1] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2011, https://transparency.ge/ge/advertising (16.01.2021)

რაოდენობის მატებასთან ერთად, სარეკლამო მედიაბაზრის ამ სექტორის ზრდა შეუქცევადი იქნებოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დახარჯული თანხის ძირითადი ნაწილი Google-სა და Facebook-ზე მოდიოდა. იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2011 წლისთვისაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დროისთვის ონლაინგამოცემების ძირითადი შემოსავალი დონორი ორგანიზაციების გრანტები იყო. ნაწილობრივ ფასიან კონტენტს მომხმარებლებს მხოლოდ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი" (interpressnews.ge) სთავაზობდა, თუმცა სხვა, არანაკლებ პოპულარულ ონლგაინგამოცემებს კონტენტის გაყიდვით შემოსავლების მიღების სტრატეგიები არ ჰქონდათ[1].

ინტერნეტსივრცისა და მულტიმედია გამოცემების პოპულარობის ზრდის მიუხედავად, საქართველოში 2012 წელს სარეკლამო დანახარჯების 72% კვლავ ტელევიზიაზე მოდიოდა, ინტერნეტ-რეკლამის წილი კი მხოლოდ 2%, ანუ 1.5 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლები იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო პორტალებს უკვე დაწყებული ჰქონდათ საბანერო სივრცის უფრო ეფექტიანი მართვა და ონლაინრეკლამაც ამ სტრატეგიას ეფუძნებოდა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობდა საიტების მთვლელი სანდო სისტემები და ონლაინრეკლამის გაყიდვის მარკეტინგული ცოდნა. სამაგიეროდ, ძალიან პოპულარული იყო რეკლამა Facebook-ზე, რომელზეც 2012 წელს საქართველოდან დაახლოებით 300 000 აშშ დოლარამდე დაიზარჯა. ონლაინგამოცემები, განსაკუთრებით რეგიონული მედიები, ვერ ახერხებდნენ სარეკლამო შემოსავლების მოზიდვას, არც მარკეტინგის გუნდი ჰყავდათ, ამიტომ ხშირად დონორების მხარდაჭერაზე იყვნენ დამოკიდებულები და კლასიკური ბიზნესორგანიზაციის მოდელით არ მოქმედებდნენ. პარალელურად, არსებობდა საპირისპირო მაგალითიც: „პალიტრა მედია", რომელიც ipn.ge-ს, ambebi.ge-ს და palitratv.ge-სა და სხვა პორტალებს აერთიანებდა. მედიაჰოლდინგმა 2012 წელს ონლაინრეკლამიდან მიღებული შემოსავლის გაორმაგება მოახერხა და საერთო სარეკლამო შემოსავლებში მისი წილი 22%-მდე გაზარდა. ამ დროისთვის ჰოლდინგის სარეკლამო შემოსავლებში ბეჭდური მედიის წილი 66%, რადიოსი კი 12%-ი იყო[2]. 2014 წელს კი „პალიტრა მედიის" ინტერნეტ სარკელამო გაყიდვებმა 83%-ით იმატა. ონლაინსივრცეში განთავსებულ რეკლამას უკვე მაშინ ჰქონდა მკაფიო უპირატესობები, რომლებსაც რეკლამის დამკვეთები კარგად ხედავდნენ: „სტატისტიკაზე წვდომა, ტარგეტინგი, მაქსიმალური ინფორმაციის მიტანა პოტენციურ მომხმარებელთან, ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობები კრეატივში, ბრენდის ეფექტური წარმოჩენა, მაღალი ხილვადობა, ყოველდღიური წვდომა დიდ და სეგმენტურ აუდიტორიაზე, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა და სხვა სარეკლამო საშუალებებთან შედარებით დაბალი ფასი"[3].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში გაჩნდა კონკრეტულად მულტიმედია პლატფორმებზე მორგებული რეკლამები, რომლებიც ტექნოლოგიურადაც, მომხმარებლის ქცევითაც და სეგმენტითაც მთლიანად ინტერნეტზე იყო გათვლილი. მაგალითად, 2012 წლის ბოლოს Myvideo-ს პლატფორმა გამოიყენა კომპანია „ლიკანმა" და შექმნა სარეკლამო რგოლი, რომელიც მოულოდნელობის ეფექტზე იყო გათვლილი. 8 საათის განმავლობაში, მომხმარებლების აქტიური გაზიარების დახმარებით, მას 120 ათასი ნახვა ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართულ ონლაინსივრცეში პირველი მასშტაბური შემთხვევა, როდესაც მომხმარებლები კონტენტის გაზიარებით თავად ჩაერთნენ რეკლამირებაში და ამ პროცესში საკუთარი წვლილი შეიტანეს[4].

2015 წლისთვის ონლაინრეკლამა კვლავ გაიზარდა, თუმცა მისი საერთო რაოდენობა მაინც მცირე იყო და 3-3.5 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობდა. ამ დროისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებულ ქართულ ვებგვერდს ვიდეოპორტალი myvideo.ge წარმოადგენდა[5].

საქართველოში ონლაინ სარეკლამო ბაზარი ზრდას 2017 წელსაც განაგრძობდა, მაგრამ ონლაინგამოცემები კვლავაც არ წარმოადგენდა კლასიკურ ბიზნესს და სარეკლამო დანახარჯები ონლაინსივრცეში ძირითადად უცხოურ პლატფორმებისკენ, განსაკუთრებით კი Facebook-ისკენ მიემართებოდა. გამონაკლისი იმ დროისთვის ისევ „პალიტრა" იყო, რომელიც ონლაინპლატფორმების წარმატებით გაყიდვას ახერხებდა[6].

ინტერნეტის გავრცელება და გავლენა დღეს კიდევ უფრო დიდია. ზოგადად ინტერნეტრეკლამის

[1] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, იქვე

[2] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს სარეკლამო ბაზარი, 2013, 31, https://transparency.ge/ge/post/report/sareklamo-bazari, (16.01.2021)

[3] მარკეტერი, რატომ ინტერნეტ რეკლამა?! 2014, https://www.marketer.ge/internet-reklamapalitra/ (16.01.2021)

[4] მარკეტერი, სენსაციური აღმოჩენა თბილისის მახლობლად - ლიკანის ახალი რეკლამა, 2012, https://www.marketer.ge/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90/ (16.01.2021)

[5] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს სარეკლამო ბაზარი, 2016, 35 https://transparency.ge/ge/post/general-announcement/sakartvelos-sareklamo-bazari-tsvlilebebi-da-gamotsvevebi/?custom_searched_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D (16.01.2021)

[6] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2017 წლის სარეკლამო ბაზრის გამოწვევები, 2018, 29 https://transparency.ge/ge/post/2017-clis-sareklamo-bazris-gamocvevebi/?custom_searched_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D (16.01.2021)

ბაზარიც ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სეგმენტად რჩება, თუმცა ფინანსები ქართულ მულტიმედია პლატფორმებზე კვლავაც არ მიედინება. რეკლამა უცხოურ რესურსებზე დამკვეთებს გაცილებით ეფექტიანად მიაჩნიათ და მათ ირჩევენ, ქართულ ონლაინმედიაში კი უპირატესობას უფრო მეტად კონტენტში უშუალოდ „შესვლას" - პროდუქტის კონტენტში განთავსებას (Product Placement) ანიჭებენ. სწორედ ამიტომ, სარეკლამო პროდუქტების ინტეგრირება მულტიმედია პლატფორმებში ბლოგპოსტების, ქვიზების და სხვა ორიგინალური კონტენტის სახით ხდება. ორიგინალურ და ერთგვარ ინოვაციურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ მედიაპლატფორმა www.on.ge, რომელიც რეკლამის დამკვეთებს განსხვავებულ გადაწყვეტას, მაგალითად, პროდუქტის ან მომსახურების ქვიზებით რეკლამირებას სთავაზობს.

სამწუხაროდ, ონლაინმედიის სარეკლამო შემოსავლები ოფიციალურად ამ ეტაპზე უცნობია და მას არც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია შეისწავლის, თუმცა კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაური ინტერნეტსივრცეში მიღებული შემოსავლების ზრდას პროგნოზირებს, მედიაკომპანიებს მულტიმედია პლატფორმების განვითარებისკენ მოუწოდებს და აღნიშნავს, რომ მულტიმედია კონტენტი სულ უფრო ვითარდება, სმარტფონებითა და გაჯეტებით კონტენტის მოხმარება კი გახშირდა, ამიტომ მედიაკომპანიებისთვის ამ ტრენდის ათვისება მიაჩნია მიზანშეწონილად. ბექაური აღნიშნავს, რომ ინტერნეტრეკლამის ბაზარი დინამიკურად განვითარდება და მედიაკომპანიებსაც ახალი კონტენტის განვითარება და მაყურებლის შეცვლილი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოუწევთ[1].

მართლაც, სატელევიზიო რეკლამა 2016 წლიდან კლების ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს იგი წინა წელთან შედარებით, 10.9%-ით შემცირდა[2]. სარეკლამო ინდუსტრიაზე ნეგატიურად აისახება COVID-19-იც. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ცნობით, ზოგადად, სარეკლამო დანახარჯებზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და შემცირება ავტომატურად აისახება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მსოფლიოში 3-6%-ით იზრდებოდა, ამიტომ 2019 წელს სარეკლამო ბაზრის მოცულობამ 646 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა[3]. თუმცა, პანდემიამ უკვე აიძულა რეკლამის დამკვეთები, გადაეხედათ საკუთარი კამპანიებისთვის და ბევრ შემთხვევაში ეს სწორედ ბიუჯეტების შემცირებასა და მარკეტინგული სტრატეგიების ოპტიმიზაციაში გამოიხატა. COVID-19-ის გამო, 2020 წელს მედიებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტები მსოფლიოს ყველა რეგიონში საშუალოდ 24%-დან 31%-მდე შემცირდა[4]. რაც შეეხება საქართველოს, უკვე მაისში, პანდემიის პირველი ტალღის ეტაპზე, მედიასაშუალებების ნაწილი შემოსავლების მკვეთრ შემცირებასა და შეჩერებულ სარეკლამო კონტრაქტებზე საუბრობდა[5]. 2020 წლის იანვარ-სექტემბერში კი ეს სატელევიზიო რეკლამის ბაზრის შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებითაც დადასტურდა. გასული წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ტელევიზიებმა 42,204,809 ლარის ოდენობის შემოსავლები მიიღეს, რაც 7%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე[6].

თანამედროვე მარკეტინგისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომხმარებლების პირად მონაცემებსა და მათ იდენტობაზე დაფუძნებული სტრატეგიების შემუშავებაა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ მათთვის უფრო მიმზიდველი გახდება ის ციფრული პლატფორმები, რომლებიც მომხმარებლების ქცევის სპეციფიკაზე დაფუძნებულ მონაცემებს ფლობენ. სპეცი-ალისტების პროგნოზით, მარკეტინგული ბიუჯეტები პანდემიამდელ ნიშნულს სავარაუდოდ 2021 წლის მეოთხე კვარტალში დაუბრუნდება[7]. ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა მედიასაშუალებებმა შეიმუშაონ გაყიდვების ოპტიმალური სტრატეგიები და მოიფიქრონ ინოვაციური, ინტერაქტიული, ვებ 2.0-სა და ვებ 3.0-ზე დაფუძნებული შეთავაზებები, რომლებიც რეკლამის დამკვეთებს მარკეტინგული კომუნიკაციის ბიუჯეტურ გადაწყვეტებს, თავად მათ კი შემოსავლებს მოუტანს.

[1] საზოგადოებრივი მაუწყებელი, კახა ბექაური - სარეკლამო ბაზარი აღარ გაიზრდება, მაგრამ ძალიან მზარდი იქნება ინტერნეტის სარეკლამო ბაზარი, 2018, https://1tv.ge/news/kakha-beqauri-satelevizio-bazari-aghar-gaizrdeba-magram-dzalian-mzardi-iqneba-internetis-sareklamo-bazari/ (16.01.2021

[2] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2019 წლის სამაუწყებლო სარეკლამო ბაზრის მიმოხილვა, 2020, 4, https://transparency.ge/ge/post/2019-clis-samaucqeblo-sareklamo-bazris-mimoxilva (16.01.2021)

[3] World Economic Forum, This is how COVID-19 is affecting the advertising industry, 2020, https://www.weforum.org/agenda/2020/06/coronavirus-advertising-marketing-covid19-pandemic-business/?fbclid=IwAR0FgsBjiyTxG4fZRHRD0JVSXnmIm_sI4F1qrm9i8ZncYd-p7l7i-XwNZXNw (01.02.2021)

[4] Statista, Reduced media budgets worldwide due to coronavirus in 2020, 2021, https://www.statista.com/statistics/1154849/media-budget-coronavirus-worldwide-by-region/ (01.02.2021)

[5] მედიაჩეკერი, როგორ შეცვალა მედიის სარეკლამო შემოსავლები პანდემიამ, 2020, https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/81743-rogor-shecvala-mediis-sareklamo-shemosavlebi-pandemiam (01.02.2021)

[6] მედიაჩეკერი, შემცირებული სარეკლამო ბაზარი და ახალი მაუწყებლები მაღალშემოსავლიანი ტელევიზიების ათეულში, 2020, https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/85679-shemcirebuli-sareklamo-bazari-da-akhali-mautsyeblebi-maghalshemosavliani-televiziebis-atheulshi (01.02.2021)

[7] Marketing Technology Insights, Consumer Spending and Marketing Budgets Set to Rebound in Q4 and 2021, 2020, https://martechseries.com/amp/mobile/mobile-marketing/e-commerce-and-mobile-commerce/study-consumer-spending-marketing-budgets-set-rebound-q4-2021/?fbclid=IwAR0XzNnp3eBy3GJaY8_gVamM4hA5BJA-CYgDgtBGtkzF0-Urslw28l2Fn3v4 (01.02.2021)

დასკვნა

ქართულმა მედია საშუალებებმა დააგვიანეს იმ ახალი ტრენდებისთვის ფეხის აწყობა და გაყიდვების სტრატეგიების შემუშავება-დანერგვა, რომლებიც კონვერგენტულ მედიაგარემოში გახდა აქტუალური. დაგვიანების მიზეზებს შორისაა მედიის მარკეტინგში საჭირო ცოდნისა და გაყიდვების მოქნილი პაკეტების არარსებობა, რის გამოც ონლაინმედიები უცხოურ პლატფორმებს კონკურენციას ვერ უწევენ და კვლავაც საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსების იმედად რჩებიან.

ქართული სატელევიზიო არხები უფრო მეტად აქცენტს პროდუქტისა და მომსახურების კონტენტში განთავსებაზე აკეთებენ, თუმცა მათი კუთვნილი ონლაინსივრცე, იგულისხმება როგორც ვებგვერდები, ისე სოციალური ქსელები, აუთვისებელია.

მეტი შემოქმედებითი მიდგომისა და მრავალფეროვანი სარეკლამო პროდუქტების შეთავაზებით, ქართულ მედიასაშუალებებს აქვთ პოტენციალი, სწორი სტრატეგიების შემუშავების შედეგად, უცხოურ რესურსებში ჩადებული თანხის ნაწილი საკუთარი პლატფორმებისკენ მიმართონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უილკოქსი დენის ლ. კამერონი გლენ ტ. „საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა, დიოგენე, 2011
2. Ambivalence Towards Convergence – Digitalization and Media Change, Anders Fagerjord & Tanja Storsul, Nordicom, Oslo, 2007
3. The Handbook of Global Online Journalism, edited by Eugenia Siapera, Andreas Veglis, Wiley-Blackwell, 2012
4. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია: www.comcom.ge
5. ონლაინგამოცემა მარკეტერი, www.marketer.ge
6. Myvideo-ს ოფიციალური ბლოგი: www.blog.myvideo.ge
7. მედიაჩეკერი, www.mediacheker.ge
8. კვირის პალიტრა, www.kvirispalitra.ge
9. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, www.transparency.ge
10. საზოგადოებრივი მაუწყებელი, www.1tv.ge
11. Word Economic Forum, www.weforum.ge
12. Reuters Institute, www.digitalnewsreport.org
13. Statista, Reduced media budgets worldwide due to coronavirus in 2020, www.statista.com
14. Marketing Technology Insights, Consumer Spending and Marketing Budgets Set to Rebound in Q4 and 2021, www.martechseries.com

Convergence Impact on Media Revenues in Georgia

Nino Natroshvili, PHD student of Georgian Technical University

Summary

Technological innovations and changes have always had a special impact on the media since Gutenberg's invention, and, certainly, journalism has not been able to avoid the impact of digital technologies and the Internet. Since the end of the 20th century and the beginning of the 21st century, researchers have been talking about the transformational changes in the media environment. These changes are primarily related to technological progress, which has introduced a completely new concept in journalism – convergence.

The processes that followed the introduction of the new concept have had a significant impact on media revenues in terms of both threats and new opportunities. Convergence has brought the need to create different media sales strategies and products, using multimedia as an opportunity. In parallel with global downward trends in the number of television viewers and advertising, the growing dynamics of Internet popularity have prompted media outlets to develop different revenue models and seek new creative ways.

In Georgia, this process is relatively behind the global trends. Despite decline in TV advertising incomes, advertising clients are heavily focusing on foreign online resources. However, with appropriate creative and strategic approaches, in a pandemic and anticipated post-pandemic economic crisis, when marketing budgets are already being optimized, the national convergent media environment has a chance to develop alternative and effective revenue models and exploit unimplemented opportunities.

Keywords: convergence, multimedia, media revenue, TV advertising, Internet advertising.

პოლიტიკური პროპაგანდის გამოყენება და ეფექტები

ცირა ჟორჟოლიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რეზიუმე

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ, გავრცელებული, პოლიტიკური შინაარსის მატარებელი, გზავნილების ან სიმბოლოების აუდიტორიაზე ზეგავლენა, არის მედიამანიპულაციის ერთი კონკრეტული მიმართულება. მედიამანიპულაციის შესწავლის პროცესი, განსაკუთრებით პოლიტიკასთან კავშირში, შეუძლებელია პოლიტიკური პროპაგანდის გარეშე.

სრული სურათის აღსაქმელად, აუცილებელია მისი განხილვა სხვადასხვა ეტაპზე. ზემოქმედება მიმდინარეობს ორ დონეზე - გავლენა საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენლებზე (ე.წ. მიკროეფექტები) და გავლენა პოლიტიკურ სისტემაზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე ან მთლიან საზოგადოებაზე (ე.წ. მაკროეფექტები). პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, გავლენა შეიძლება ატარებდეს პერიოდულ ხასიათს (არჩევნების დროს) ან მუდმივს (დაკვირვება პრეზიდენტისა და სხვა არჩეული თანამდებობის პირების ქმედებებზე, პირადი ცხოვრების ჩათვლით).

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პროპაგანდა; ფრეიმინგი; გავლენა პოლიტიკურ სისტემაზე; „ხალხის არჩევანი“ ბერელსონი; მასმედიის ფუნქცია საზოგადოებაში; დუმილის სპირალი; სიახლეების დამახინჯების ფორმები.

შესავალი

პირდებით პოეტურად, მართავთ პროზაულად...
მარიო კუომო

პოლიტიკური პროპაგანდის საკითხი ყოველთვის იყო განსაკუთრებული ინტერესის საგანი. წლების მანძილზე იცვლებოდა კვლევის მეთოდები და დასკვნები. ამომრჩეველთა ქცევებზე დაყრდნობით, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური პროპაგანდის გავლენა საზოგადოებაზე, მაგალითად 40-იან და 50-იან წლებში საკმაოდ შეზღუდული იყო.

„ხალხის არჩევანი“ ლაზერფილდის და ბერელსონის ამ ფსიქოლოგიურ-სტატისტიკურ კვლევაში აღწერილია, თუ როგორ აზროვნებენ ადამიანები საპრეზიდენტო კამპანიის დროს. ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას 1940-1944 წლის შუალედში. ავტორები იყვნენ იმ პირველთა შორის, რომლებმაც სოციალური კვლევის მეთოდ-პანელის გამოყენებით, სცადეს გაერკვიათ რა ეტაპებს გადის ამომრჩეველი 4წლის მანძილზე, რა ფაქტორებს მიჰყავთ ისინი საბოლოო გადაწყვეტილებამდე და რის მიხედვით აკეთებენ საბოლოო არჩევანს. ამ ცნობილ ნაშრომებში აღმოჩნდა, რომ მედიამ გავლენა მოახდინა აზრის ლიდერებზე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საზოგადოების სხვა წევრებზე, ინტერპერსონალური კომუნიკაციის საშუალებით.

მომდევნო წლების ნამუშევრებში საუბარია უფრო მკაფიო შინაარსის და ძლიერი ზეგავლენის შემცველი მონაცემების მიწოდებაზე და ამ ფორმით, ამომრჩეველთა ზემოქმედებაზე. ამ მხრივ, საინტერესოა გერმანელი სოციოლოგის, ელისაბედ ნოელ ნიუმანის თეორია, რომელიც მეცნიერმა მასობრივი კომუნიკაციის მეცნიერებაში„„დუმილის სპირალის“ სახელწოდებით,1974 წელსშემოიტანა. მან აღნიშნა ადამიანებისთვის დამახასიათებელი ტენდენცია, შეინარჩუნონ დუმილი სიტუაციებში, როდესაც გრძნობენ, რომმათი შეხედულება წინააღმდეგობაშია(ოჯახი, ქვეყანა, ორგანიზაცია) უმრავლების პოზიციასთან. სოციალური იზოლირების ან გარიყულობის შიში, აიძულებს ადამიანებს გაჩუმდნენ და ღიად არ დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. ტერმინი „დუმილის სპირალი“ აღნიშნავს მზარდ წნეხს, რომლის გამოც ადამიანებს ურჩევნიათ დადუმდნენ, როდესაც ხვდებიან, რომ ისინი არიან უმცირესობაში. საკუთარ თავს ზღუდავენ აზრის გამოთქმაში. დანარჩენი საზოგადოების გაღიზიანების ან დაცინვის შიშით.

ხშირ შემთხვევაში,გაბატონებული აზრი არ არის დომინანტი და უმრავლესობა, რომელიც ფიქრობს უმცირესობაშია,ფაქტობრივუმრავლესობაშია.მაშინ რასთან გვაქვს საქმე? ნიუმანის თეორიის მიხედვით, მასმედიას შეუძლია შექმნას ილუზორული რეალობა, ადამიანების მცირე ნაწილის პოზიცია, წარმოაჩინოს უმრავლესობის პოზიციად. ეს მცირე ნაწილი თავის აზრს, მიზანმიმართულად, თავს ახვევს ფართო საზოგადოებას, საუბრობს კვლევების ექსპერტების, ჟურნალისტების და არასამთავრობო ორგანიზაციების პირით. აზრის გავრცელების ძირითადი ინსტრუმენტი, არის სხვადასხვა მედია პლატფორმა.

ადამიანთა ნაწილი იცვლის პოზიციას მეორე ნაწილი, იზოლაციის შიშით ამჯობინებს დუმილს მსგავსად იქცევიან მისი თანამოაზრეები, ამ თანამოაზრეების თანამოაზრეები და ასე იქმნება დუმილის სპირალი, რომელიც შედეგად ვღებულობთ დამუნჯებული საზოგადოების დიდნაწილს. დუმილს არღვევენ მხოლოდ მძლავრი

ფინანსური ან ინტელექტუალური რესურსის მქონე ადამიანები, რომელთ რაოდენობა მცირეა. საშუალო სტატისტიკის მოქალაქეების არჩევანი დუმილია.

ძირითადი ნაწილი

მასმედიის ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში

მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებაში, მასმედია ცდილობს შეასრულოს მთელი რიგი სპეციალური ფუნქციები. მსოფლიო დონის მკვლევარებმა გურევიჩმა და ბლუმერმაგასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში განსაზღვრეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რვა ძირითადი ფუნქცია, რომელიც შემდეგ ჯ. მაკლეოდმა, გ. კოზიცკიმ და დ. მაკლედომა გადაარეფორმირეს შემდეგნაირად:

1. თანამედროვე მოვლენებისადმი თვალყური, რომლებიც მოქალაქეების კეთილდღეობაზე ახდენენ დადებით ან უარყოფით გავლენას.

2. ძირითადი განმსაზღვრელი სოციალ-პოლიტიკური პრობლემები, მათი წარმოშობის შეფასება და მოგვარების გზები.

3. იმ ადამიანებისთვის აუდიტორიის დათმობა, რომლებიც იცავენ, გამოხატავენ და წარმოადგენენ აუდიტორიის ინტერესებს.

4. სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციის გადაცემა, როგორც განსხვავებულ პოზიციაზე მყოფი მხარეებისგან და პოლიტიკური დისკურსის ჯგუფებისგან, ასევე, ინფორმაციის გავრცელება თავად ამ ჯგუფებზე; ინფორმაციის გაცვლა ხელისუფლების პოტენციურ წარმომადგენლებსა და ფართო მასებს შორის.

5. ყურადღებით მეთვალყურეობა ხელისუფლების ჩინოვნიკებისადმი, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი და ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებისადმი, მატი მოქმედებისა და პოლიტიკის კონტროლის მიზნით.

6. საზოგადოების ინფორმირებულობა და მათში აქტიური მოქმედების აღძვრა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის და არა პასიური დამკვირვებლის როლში ყოფნის მიზნით.

7. პრინციპული წინააღმდეგობის გაწევა გარეშე ძალებისადმი, რომლებიც ცდილობენ მედიის დამოუკიდებლობის საზღვრების კორექტირებას.

8. პატივსაცემი დამოკიდებულება აუდიტორიისადმი, როგორც საღად მოაზროვნე, დაინტერესებული და აქტიური მოქალაქეებისადმი.

გურევიჩის და ბლუმერის თანახმად, ეს სოციალური ფუნქციები, არის როგორც მიზანი ასევე, სტანდარტი, რომელსაც მედია საშუალებებმა უნდა მიაღწიონ დემოკრატიულ საზოგადოებაში. რეალობა სხვაგვარია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მიმართული არიან ფინანსური მოგების მიღებაზე და სხვა შემზღუდველ ფაქტორთა ზემოქმედებით, შორდებიან თავიანთ ფუნდამენტურ ბუნებრივობას. ამის საუკეთესო მაგალითია საინფორმაციო ველი, რომელიც ადამიანთა ყურადღების მისაქცევად აშუქებენ მეორეხარისხოვან ფსევდო მოვლენებსა და სხვა მთავარ საკითხთან კავშირში არ მყოფ, გასართობის შინაარსის სიუჟეტებს. მაღალ სტანდარტებთან დაახლოვების კიდევ ერთი წინაღობა, არის ახალი ამბების გავრცელების ტენდენცია- ასახონ მხოლოდ მოვლენები და არა პრობლემები. აუდიტორიისთვის განკუთვნილი ინფორმაცია, უმეტესწილად ასახავს კონკრეტული არხის მიდგომას საკითხისადმი. გარდა ამისა მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მასმედიის საშუალებებს ახასიათებთ, მოვლენების დრამატიზება, განსაკუთრებით პოლიტიკური კამპანიების გაშუქებისას. ყურადღების ცენტრში ექცევა ყოველთვის ლიდერი, იმის მიუხედავად, რომ ძირითად საქმეს ყოველთვის მათ უკან მდგომები აკეთებენ.

მედიაშინაარსი

მედიაშინაარსში განსაკუთრებული ეფექტი აქვს პროპაგანდის ორ მიმართულებას: პოლიტიკურ რეკლამასდაპოლიტიკურსიუჟეტებს.პოლიტიკური რეკლამა, არის კანდიდატების ამომრჩევლებთან კომუნიკაციის ძირითადი საშუალება. შესაბამისად, მსხვილი პოლიტიკური პარტიები, პიარკამპანიის წარმოებისას ძირითად თანხებს, სატელევიზიო რეკლამაში ხარჯავენ.

პოლიტიკური რეკლამები, რომელებიც დატვირთულია საარჩევნო პროგრამის საკვანძო პუნქტებით, მეტი ეფექტურობით გამოირჩევა დახშირ შემთხვევაში გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე. კონტენტანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკური რეკლამა ძირითადად მოიცავს ინფორმაციას საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობასა და კანდიდატზე. პოლიტიკურმა ანტი-რეკლამამ დაადასტურა, რომ იგი ეფექტურია ამომრჩეველზე გავლენის მოხდენისას, მაშინ, როდესაც ამომრჩეველი ამას სამართლიანად აღიქვამს ან როდესაც ის ეხება იმ თემებს, რომლებიც ამომრჩევლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. დადგენილია, რომ ადამიანის ფსიქოლოგიურ-ემოციონალურად ადამიანის აზროვნება მიდრეკილია დაიმახსოვროს უარყოფითი რეკლამა მეტად, ვიდრე პოზიტიური.

ახალი ამბების რეპორტაჟებში, პოლიტიკურ პროპაგანდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფრეიმინგი და ინფორმაციის დამახინჯება. ფრეიმინგი თავისი შინაარსით არის ჩარჩოს ეფექტი. ე.წ. ამბის დაჩარჩოვება. შემეცნებითი მიკერძოება, როდესაც ადამიანები ვარიანტებს იმის მიხედვით არჩევენ, თუ როგორი ტონით არის მოცემული ამბავი წარმოდგენილი, პოზიტიური თუ ნეგატიური. ეს არისაბსტრაქტული აღქმა, რომელსაც მედიის

სფეროში, თავისი თვისების გამო, აქტიურად იყენებენ ახალი ამბების გადმოცემისას.

უილიამ ჰამსონმა და კარლ ლაშმა ფრეიმინგი განმარტეს, როგორც „ცენტრალური ორგანიზებული იდეა, იმ ამბების გასააზრებლად, რომელიც დაკავშირებულია პრობლემასთან“. ფრეიმინგის მეთოდის გამოყენება, მნიშვნელოვნად მოქმედებს აუდიტორიის შეგრძნებებზე, დანახულის და გაგონილის ინტერპრეტირებით.

ფრეიმიგთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. თუმცა, ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ მედია-ფრეიმები ფოკუსირებულია პოლიტიკურ საკითზებზე და მისი თვისებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით გამოიყენება წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების დროს. ეს არის სოციალური აქტორების, (პოლიტიკური ელიტა, ახალი ამბების გამავრცელებელი ორგანიზაციები, პოლიტ.ელიტასთან გადაკშირებული ორგანიზაციები) სტრატეგიული ქცევა, რომლებიც თანამშრომლობენ და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საკითხებში.

მკვლევარები მიუთითებენ სიახლეების დამახინჯების ოთხ ძირითად ფორმაზე: ესენია: 1) პერსონალიზაცია; 2) ფრაგმენტიზაცია; 3) დრამატიზაცია; 4) ნორმალიზაცია.

პერსონალიზაციის დროს, მოვლენების გაშუქებისას, სიუჟეტური ხაზი მთელი მისი ინაარსობრივი დატვირთვით, იმ კონკრეტულ პიროვნებაზეა კონცენტრირებული, რომელიც ფართო საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს.

ფრაგმენტიზაციის დროს, სიუჟეტური ხაზი მაქსიმალურად შეკვეცილია. ინფორმაციის მიწოდება ხდება შემჭიდროვებულად.

დრამატიზაცია ხდება ყოველთვის, როცა სიახლის შერჩევა ხდება მისი დრამატული, სანახაობრივი ღირებულებიდან გამომდინარე და არა პრობლემის არსის გათვალისწინებით.

ნორმალიზაცა პრობლემას კერძო პრობლემის ჩარჩოში განიხილვას, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია არსებული პოლიტიკური სისტემის პირობებში.

პოლიტიკური პროპაგანდის ხასიათზე შესაძლებელია ამბის გამოთქმის დამახინჯებების ნებისმიერმა ფორმამ იქონიოს გავლენა.

დასკვნა

პოლიტიკური პროპაგანდის ზემოქმედება დამოკიდებულია ფაქტორებზე, რომლების პირდაპირ კავშირშია მიღებული ინფორმაციის გადამუშავების პროცესებთან. რაც უფრო მეტ ყურადღებას უთმობს პიროვნება ტელევიზორს, რადიოსა თუ პრესას, მით უფრო მეტ ინფორმაციას იღებს. სიღრმე კლასიფიცირდება სწრაფი კითხვითა და სკანირებით (პირველი დონე); დაკვირვებული, ყურადღებიანი კითხვით (მეორე დონე) და კითხვით, რომელსაც თან ახლავს მისი გააზრება და გარკვეული ინფორმაციული დიალოგი სხვა პირებთან (მესამე დონე).

პოლიტიკური პროპაგანდის ხასიათზე ზემოქმედებს რამდენიმე დინამიური ძალა. ისინი ეხება, როგორც სოციალურ სფეროს, პოლიტიკურ სიტუაციას ასევე, მედია შემადგენლობასა და მედია შინაარსს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ზემოქმედებენ, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესებზე, ასევე, რიგ სპეციალურ ფუნქციებზე, რომლებიც დინამიურობით ხასიათდება. მასობრივიინფორმაციისსაშუალებებისზემოქმედება და პოლიტიკური კომუნიაკაცია, ყველა დონეზე, ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ ძალას და ხასიათს და დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე. ჯამში, მათი მთავარი საფუძველი არის მედია ინფორმაციის გადამუშავების თავისებურებები და აღქმის პროცესები.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. Miron, D. & Bryant, J. (in press). Mass media and voter turnout. In R.A. Carveth & J. Bryant (Eds.),
2. Meta-analyses of media effects. Mahwah, NJ: Erlbaum.
3. Neuman, W.R. (1986). The paradox of mass politics: Knowledge and opinion in the American electorate.
4. Cambridge: Harvard University Press.
5. Neuman, W.R. (1976). Patterns of recall among television news viewers. Public Opinion Quarterly.
6. Cappella, J.N. & Jamieson, K.H. (1994). Broadcast adwatch effects: Afield experiment.
7. Communication Research, 21, 342—365.
8. Ericson, R.V., Baranek, P.M. & Chan, B.L. (1989). Negotiating control: A study of news sources.
9. Toronto, Canada: University of Toronto Press.
10. McLeod, J.M., Sun, S., Chi, A. & Pan, Z. (1990, August).
11. Valkenburg, P.M., Semetko, H.A. & de Vreese, C.H. (1999). The effects of news frames on readers'
12. thoughts and recall. Communication Research, 26, 550—569.
13. Devlin, L.P. (1995). Political commercials in American presidential elections.
14. Shapiro & Rieger, 1992; Newhagen & Reeves, 1991

The use and effect of political propaganda

Tsira Zhorzholiani, PHD student of Georgian Technical University

Summary

The influence of political content messages or symbols on the audience spread by the media is one of the specific spheres of influence of political media communication.The impact takes place on two levels - the impact on individual members of society (micro-effects) and the impact on the political system, public institutions or society as a whole (macro-effects).The impact of political propaganda depends on factors that are directly related to the information processing processes received. The nature of political propaganda is influenced by several dynamic forces. The media influences both political communication processes and a number of special functions that are characterized by dynamism. The influence of the media and political communication, at all levels, retains its special power. Their main basis is the peculiarities of media information processing and perception processes.

მედიასაშუალებების გავლენა ელექტორატის არჩევანზე

მაკა სვიმონიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია მედიასაშუალებების ზემოქმედების შესახებ ელექტორატის არჩევანზე, კონკრეტულად კი განხილულია ბრიტანული ბეჭდური და ელექტრონული მედიასაშუალებების გავლენა 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმზე, რომელიც ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის წევრობას ეხებოდა.

სააგიტაციო კამპანიის დროს გაერთიანებული სამეფოს მედიასაშულებების მიერ გამოყენებული საინფორმაციო ხერხების ანალიზის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სწორედ ბრიტანულმა მედიამ შეასრულა გადამწვეტი როლი Brexit-ის წარმატებაში.

მასმედიის მიერ შეთავაზებულმა პროდუქტმა, რომლის მიზანი იყო მაქსიმალურად მოეცვა ფართო მასები, ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საინფორმაციო საშუალებები ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის მომხრე პოლიტიკოების განცხადებებს საგანგებოდ ტირაჟირებდნენ, სკანდალურად და პროვოკაციულად აშუქებდნენ ევროკავშირში დარჩენის შემთხვევაში მიგრაციულ და ფინანსურ-იურიდიულ პრობლემებს. ყოველივემ კი შესაძლებლობა შექმნა ჩამოყალიბებულიყო ევროკავშირის ნეგატიური მხარე ბრიტანულ მედიასაშუალებებში, რაც გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირიდან გასვლისთვის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი იარაღი გახდა. Brexit-ის მოწინააღმდეგეთა დამაჯერებელი ტონის მიუხედავად, მედიასაშუალებებში მათი კამპანია უძლური აღმოჩნდა.

საკვანძო სიტყვები: დიდი ბრიტანეთი, Brexit-ი, მედიასაშუალებები, რეფერენდუმი, ევროკავშირი.

შესავალი

2016 წლის ივნისი გამორჩეული გახდა ეპოქალური მოვლენით - Brexit (ინგლისურად Britain's exit - დიდი ბრიტანეთის გასვლა) - რეფერენდუმით. მისი შეკითხვა, ბრიტანელების აზრით, ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხებოდა და შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „გაერთიანებული სამეფო უნდა დარჩეს ევროკავშირის წევრი თუ უნდა დატოვოს ევროკავშირი?" შესაძლებელია ითქვას, რომ ამომრჩევლთა უმეტესობისთვის Brexit-ი ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის ერთადერთი საშუალება აღმოჩნდა.

შედეგების მიხედვით ამომრჩევლების 52 პროცენტმა მხარი დაუჭირა ევროკავშირის შემადგენლობიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლას, მოწინააღმდგე იყო კენჭისყრაში მონაწილეთა 48 პროცენტი.

რეფერენდუმის წინა პერიოდი პოლიტიკურ და საზოგადო წრეებში დიდი ვნებათაღელვითა და მწვავე დაპირისპირებებით ხასიათდებოდა. ამ შემთხვევაშიც მედია პოლიტიკური დებატებისა და დისკუსიებისთვის მთავარი მოედანი გახდა. მძლავრმა მედიასაშუალებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეებზე, სწორედ მზარდმა პოპულარიზაციამ გამოხატულება ჰპოვა საბედისწერო რეფერენდუმის შედეგებზე.

ძირითადი ნაწილი

უპირველესად მნიშნელოვანია გამოვყოთ გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების ის კატეგორია, რომლებმაც ბრიუსელთან ურთიერთობის გადახედვას დაუჭირეს მხარი. სტატისტიკის ანალიზის მიხედვით, Brexit-ს მიემხრო ინგლისის სოფლების მოსახლეობა, რომელსაც დაბალი ან საშუალი დონის შემოსავალი ჰქონდა, მათი ასაკი 35 წელს ზემოთ იყო. მათგან 37 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ ევროკავშირში წვერობისგან გამოწვეული უკმაყოფილება უკვე დიდი ხანია მომწიფებული იყო.

საყურადღებოა ამომრჩეველთა პარტიებისადმი კეთილგანწყობა და სიმპატიები. ევროკავშირის დატოვებას მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის მომხრეთა 96 პროცენტმა. კონსერვატიული პარტიის მხარდამჭერთა 58 %-მა და ლეიბორისტების მომხრეთა 37%-მა.

ამგვარად, ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის მომხრე აღმოჩნდა ტრადიციული ფასულობების ერთგული ამომრჩეველი.

ხშირ შემთხვევაში მსგავსი განწყობების კატალიზატორი გახდა ბრიტანული მედია. იმის მიუხედავად, რომ დიდ ბრიტანეთში მედიასაშუალებების უმეტესობა ლიბერალური ინტელიგენციის პლატფორმაა, მაინც წარმატით შეძლო მოსახლეობაზე გავლენის მოპოვება, რომლის წყალობითაც Brexit-ი შესაძლებელი გახდა.

ტრადიციულმა მედიასაშუალებებმა და სოციალურუმა ქსელებმა ორ ნაწილად გაყვეს გაერთიანებული სამეფოს მოქალქეები - ევროკავშირიდან გასვლის მომხრეებად და მოწინააღმდეეგებად. სოციალურ ქსელ Youtube-ზე მსხვილი ტელერახები Sky News-ი და Vice News-ი ათავსებდნენ ვიდეორგოლებს, სადაც ბრიტანელ მოქალაქეებს ეკითხებოდნენ, აპირებდნენ თუ არა

რეფერენდუმში მონაწილეობას. აქტივისტები კი, რომლებიც ვიდეორგოლებში მონაწილოებდნენ, გაცხოველებულ აგიტაციას ეწეოდნენ და სააგიტაციო ბროშურებს არიგებდნენ.

რეფერენდუმის თარიღის მოახლოებასთან ერთად მატულობდა დაძაბულობა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაცია ატარებდა, აჩვენებდა, რომ Brexit-ის მომხრეთა პროცენტული რაოდენობა მცირედით ჭარბობდა მოწინააღმდეგეთა რიცხვს, რაც მედიასაშუალებებს უმძაფრებდა მოტივიაციას, სხვადასხვა ხერხით ეკონტროლებინათ ელექტორატი.

როგორც ბრიტანელი მედიამკვლევარი მაიკ ბერი წერს, მოქალაქეების ნაწილს, რომლებიც ევროკავშირის დატოვებას ემხრობოდნენ, შესთავაზეს მარტივი ინფორმაციები, რომელიც შეიცავდა ფორმულას „უკან დავიბრუნოთ კონტროლი“. ის შემუშავებული იყო კლასიკური მედიასტრატეგიით KISS (Keep it simple, stupid) – „გააკეთე მარტივად, პრიმიტიულად“, რათა მიღწეული ყოფილიყო აუდიტორიის მაქსიმალურად დიდი ნაწილის მხარდაჭერა. მედიასაშუალებები მოტივაციას აძლევდნენ მოქალაქეებს, რომლებიც პოლიტიკურად აქტიურები არასდროს ყოფილან, მისულიყვნენ საარჩევნო უბნებზე და საბოლოოდ გაერკვიათ დიდი ბრიტანეთის მომავალი და აეძულებინათ პოლიტიკური წრეები გაეგოთ მათი ხმა.

ფსონის დადებამ იმ ამომრჩევლებზე, რომლებიც არსებულ ვითარებას ვერ ეგუებოდნენ და ცვლილებებს მოითხოვდნენ, გაამართლა და Brexit-ის პოზიციები გაამყარა. რეფერენდუმზე მაქსიმალური გამოცხადება დაფიქსირდა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც არჩევნებზე იშვიათად მიდოდნენ. სტატისტიკის მიხედვით, 10-დან 7 ამომრჩეველი, რომელმაც მხარი დაუჭირა გაერთიანებული სამეფოს გასვლას ევროკავშირიდან, ყოველთვის სკეპტიკურად იყო განწყობილი არჩევნების მიმართ.

მედიასაშუალებები ასევე აქტიურად უთმობდნენ სარბიელს ბრიტანულ-ინგლისური იდენტობის პრობლემატიკის გარშემო დისკუსიას.

ეროვნული იდენტობის თემა ხშირ შემთხვევაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული თანამედროვე ევროპის ერთ-ერთ მწვავე საკითხთან - ცუდად კონტროლირებად მიგრაციის პრობლემასთან.

ბრექსიტის მომხრეების აზრით, ევროკავშირში დარჩენით ბრიტანეთი ვერ შეძლებდა იმიგრაციის კონტროლს, ხოლო მაღალი იმიგრაცია ტვირთად დააწვებოდა ქვეყნის საჯარო სამსახურებს და უარყოფით გავლენას მოახდენდა დასაქმებული ბრიტანელების ხელფასსა და სამუშაო ადგილებზე.

ასეთ პირობებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა UKIP (დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიამ და მისმა ყოფილმა ლიდერმა ნაიჯელ ფარაჯმა). პარტია ევროკავშირიდან ქვეყნის დატოვების მხარდამჭერი აგიტაციისათვის იყენებდა პლატფორმა Youtube-ს, სადაც აქვეყნებდა პატრიოტული, პროინგლისური შინაარსის კლიპებს.

ამომრჩეველები, რომლებმაც ხმა მისცეს ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან, საკუთარ თავს უწოდებდნენ „ინგლისელებს, ვიდრე ბრიტანელებს“. შოტლანდია არაერთგზის აცხადებდა, რომ სურდა ევროკავშირში დარჩენა და პირობას დებდა, რომ 2018 წლის ბოლოსა და 2019 წლის დასაწყისში დამოუკიდებლობის შესახებ ახალი რეფერენდუმის გამართვის საკითხს დააყენებდა. ჩრდილოეთ ირლანდიის ამომრჩეველთა უმეტესობამ ასევე მხარი დაუჭირა ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის დარჩენას.

რეფერენდუმის წინ მედიასაშუალებებში ყველა სააგიტაციო კაპმანია ცდილობდა მიეზიდათ ელექტორატი რეზონანსული გამოსვლების მეშვეობით, ემოციური დისკუსიებით, სკანდალური ლოზუნგებითა და პროვოკაციებით. ამ შემთხვევაშიც გამარჯვება მოიპოვეს ევროკავშირის წევრობის მოწინააღმდეგეებმა, რადგანაც მათ შეძლეს მრავალფეროვანი საინფორმაციო სივრცის უფრო ეფექტურად გამოყენება, რომელიც მიმართული იყო მიგრაციისა და ფინანსურ-იურიდიული მწვავე პრობლემების გარშემო ევროკავშირში ყოფნის პერიოდში.

ასე, მაგალითად, პოპულარული გაზეთი Daily Express-ი რეგულარულად გამოდიოდა ხმაურიანი სათაურებით „მიგრაციული კრიზისი მოკლავს ევროკავშირს“, „2 მლნ მიგრანტი ევროკავშირიდან სამუშაოს გვართმევს!“, „ფრანგები უშვებენ მიგრანტებს ბრიტანეთში“ და ა.შ. Daily Express-ის მფლობელმა მილიარდერმა რიჩარდ დეზმონდმა კი 1,3 მლნ ფუნტი შესწირა UKIP-ის (დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტია).

ამასთან, ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის დარჩენის მხარდამჭერებმა - პოლიტიკოსებმა იურისტებმა თუ ექსპერტებმა ვერ შეძლეს სრულფასოვანი მიზეზებისა და რაციონალური თუ ემოციური ლოზუნგების შეთავაზება, რომლებიც ხაზს გაუსვამდნენ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სარგებელს ბრიუსელთან მჭიდრო ურთიერთობების შედეგად.

გაზეთებში „Daily Mirror“-ი, „Daily Telegraph“-ი, „The Guardian“-ი დაიბეჭდა უფრო გაწონასწორებული პუბლიკაციები, თუმცა ყველა როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიასაშუალებაში გაკეთებული იყო აქცენტი Brexit-ის შეუქცევადობასა და მნიშვნელობაზე. მედიაში ჟღერდა ლოზუნგები: „ახალი დიდი ბრიტანეთის დაბადება“, „ჩვენ გავედით“, „Brexit-ი: თქვენი გადარჩენის გიდი“ და სხვა.

ცხადია, მედიაში რეფერენდუმის ფართოდ გაშუქებამ გააღრმავა ბრიტანეთის მოსახლეობის პოლარიზაცია, რამაც ევროკავშირის შემადგენლო-

ბიდან ქვეყნის გასვლის მომხრეთა რაოდენობის გაზრდაზე იმუშავა.

მედიამ უპირატესობა მიანიჭა ემოციურ და ხმაურიან ორატორებს, მაგალითად როგორიც იყო ნაიჯელ ფარანჯი, რომლის გამოსვლები ყოველთვის მაღალ რეიტინგს დებდა. UKIP-ის ყოფილ ლიდერს, როგორც „ალტერნატიული თვალსაზრისის“ წარმომადგენელს, აქტიურად იწვევდნენ პოპულარულ პოლიტიკურ შოუებში „Today“, „Peston's Politics“, „Question Time“, „BBC“-ის ახალ ამბებში.

დასკვნა

იმის მიუხედავად, რომ Brexit-ის მომხრეებმა რეფერენდუმში უმნიშვნელო უპირატესობას მიაღწიეს (52 % მომხრე და 48% წინააღმდეგი), ეს მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დამდგარიყო ისტორიული შედეგი და გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირი დაეტოვებინა.

ცხადია, ბრიტანული მედიის დიდმა ნაწილმა, რომელიც ტრადიციულად მხარს უჭერდა ლიბერალებს, შეცვლილი რეალიები გაითვალისწინა და კონსერვატორებსა და UKIP-ში გაჩენილი ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური განწყობების პოპულარიზაცია წარმატებით მოახდინა.

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მედიასა-შუალებების გავლენის გარეშე Brexit-ი არ შედგებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. EU Referendum «How Did You Vote» Poll Lord Ashcroft Polls. URL:
2. http://lordashcroftpolls.com/wp-content/uploads/2016/06/How-the-UK-voted-Full-tables-1.pdf
3. Berry M. Understanding the role of the mass media in the EU Referendum EU Referendum Analysis 2016: Media, Voters and the Campaign / ed. by D. Jackson, E. Thorsen, D. Wring. Poole, 2016. URL: http://www.referendumanalysis.eu/eu-referendum-analysis-2016/section-1-context/understanding-the-role-of-the-mass-media-in-the-eu-referendum
4. Lambert H. EU Referendum result: 7 graphs that explain how Brexit won The Independent. 2016. 24 June. URL: http://www.independent.co.uk/news/uk/politics/eu-referendum-result-7-graphs-that-explain-how-brexit-woneu-explained-a7101676.html
5. Scotland must have choice over future URL: https://news.gov.scot/news/scotland-must-havechoice-over-future
6. Rayner G., Foster P., Swinford S. EU accused of 'outrageous' attempt to threaten future of Union by using Northern Ireland as Brexit bargaining chip The Telegraph. 2017. 28 April. URL: http://www.telegraph.co.uk/news/2017/04/28/europe-considers-clause-allow-northern-ireland-automatic-membership

Impact of media on electorate choice

Maka Svimonishvili, PhD of Georgian Technical University

Summary

An abstract discusses impact of media on electorate choise, and specifically discusses the British printing and electronic media influences on the referendum about the UK membership in the EU in june 23, 2016.

An analysis of the methods used by the UK media during the agitation campaign suggests that the British media effected the key role in Brexit's success.

The product offered by the mass media, which aimed to reach wide masses as possible, the job observed perfecty, the statements of the politicians, who supported the UK leaving from the EU, the impression was formed, that were widely circulated by media, also, in case of the UK stayng in the EU, the migration and financial-legal problems were covered scandalously and provocatively by information systems.

All of this created an opportunity to establish the negative side of the EU in the British media, which became one of the main and important tools for the UK to leave from the EU. Despite of the persuasive tone of Brexit's opponents, their campaign proved powerless in the media.

Keywords: UK, Brexit, media, referendum, EU

არგუმენტული დისკურსის კომუნიკაციური ინტენცია ი.ცურტაველის“შუშანიკის წამების“ ინგლისურენოვან თარგმანებში

ინგა ქონიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია არგუმენტული დისკურსის ემპირიული ანალიზი ი. ცურტაველის“შუშანიკის წამების“ დიალოგების მაგალითების საფუძველზე დედანსა და თარგმანებში. კონტექსტისა და დისკურსის ურთიერთმიმართების საკითხები, კერძოდ, მეტა-ლინგვისტური გამონათქვამები, როგორც ტექსტუალიზაციის გასაღებები. სტატიაში შევეცდებით, ავხსნათ თუ როგორ არის თითოეული გამონათქვამი რეალიზებული ლინგვისტურ და სოციალურ კონტექსტში, რათა წარმოვაჩინოთ მათი შესაბამისობა ,როგორც კომუნიკაციური ინტენცია. სტატიაში ასევე საუბარია ენის სასაუბრო ინფერენციის როგორც კოგნიტიური პროცესის მნიშვნელობაზე ტექსტის თანმიმდევრული ინტერპრეტაციისთვის, რომლის ანალიზისთვის მენტალური სფეროების და დისკურსის ანალიზი ერთ-ერთი შესაფერისი საშუალებაა.

შესავალი

არგუმენტული ანუ რაციონალური დისკურსის ცნება მოიცავს დიალოგის საფუძვლების გადამოწმებას. ეს არის მიზნის, გამონათქვამის კოგნიტიური მხარის დასაბუთება.დიალოგი არის ერთ–ერთი საშუალება, რომლითაც ლინგვისტური თუ კომუნიკაციის სხვადასხვა სახეობებით ადამიანები ახდენენ გავლენას ერთმანეთზე, რათა გაიზიარონ ფაქტიური და ემოციური ინფორმაცია თავისი ნებით მეტ–ნაკლებად საერთო ინტერესების შესაბამისად. დიალოგური გამონათქვამები, ამიტომ, ქმნიან საკომუნიკაციო აქტს, რომელიც ემყარება არგუმენტულ მსჯელობას. არგუმენტაციის თეორიის მიმდევრები დაინტერესებული არიან არგუმენტაციის ზეპირი ან წერილობითი ფორმით და შესაბმისად არგუმენტული დისკურსის შეფასებით.

გავრცელებული შეხედულების თანახმად, „არგუმენტაცია არის ვერბალური, სოციალური და რაციონალური ქმედება, რომლის მიზანია დაარწმუნოს გონიერი კრიტიკოსი ამა თუ იმ შე-ხედულების სისწორესა და სანდოობაში, ამ შეხე-დულებაში გამოთქმული პროპოზიციის აღიარებით ან პირიქით, უარყოფით იდეათა კომპლექსში.“ [4] (p.1).

ყოველი დიალოგი დისკურსს ქმნის მაშინ, თუ იგი არგუმენტირებულია კონტექსტითა და ენობრივი ტექსტით, რაც, შესაბამისად, განაპირობებს დიალოგის ხარისხს. ამგვარად, დისკურსი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სხვადასხვა ენობრივ გადაწყვეტილებათა ბადე, რომელშიც თითოეული მათგანი წარმოშობს მეორეს.

შედეგად, ის, რაც მოსაუბრეთათვის ქმნის ტექსტის კონტექსტს არის არა მხოლოდ ის, რაც ნახსენებია, არამედ ის, რაც მნიშვნელოვანწილად არგუმენტირებულია და რაც, სავარაუდოდ, შესაძლებელია გაიზიარონ საუბრის აქტის მონაწილეებმა.

ძირითადი ნაწილი

„შუშანიკის წამების“ტექსტის დინამიკა განპირობებულია დისკურსის სიუხვით. კერძოდ, სახეზეა დაახლოებით თორმეტი ირიბი თქმა და თერთმეტი დიალოგი. სწორედ ამ პირდაპირი და ირიბი დისკურსის სურათებისა და სიუჟეტების სწრაფი ცვლა ბადებს შეგრძნებას იმისას, რომ „შუშანიკის წამება „ არის არა მხოლოდ პირველი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, არამედ პირველი მხატვრული რომანიც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამოდენიმე მათგანს. შუშანიკის მოსანახულებლად მისული იაკობი ამბობს :

„და ვიდრე ჩუენ ამას შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: „ ესევითარი სახლი მშჯდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!“ ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსქენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვაჲ მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.“ [1](გვ. 88–89).

მოცემული ეპიზოდი წარმოადგენს **პარციალურ დისკურსს:** სპარსი თავისი ფატიკური კომუნიკაციით, „ტირილით იტყოდა“, ცდილობს მსმენელზე, ამ შემთხვევაში შუშანიკზე და იაკობზე, სასურველი გავლენა მოახდინოს, გულშემატკივრად მოაჩვენოს თავი და ცრემლებით ევედრება შუშანიკს შინ დაბრუნებას. სპარსის რეფერენცია შუშანიკის სახლიდან წასვლასთან მიმართებაში ასეთია: იგი მწუხარებას უწოდებს შუშანიკის განდგომას, რომლის ერთ დროს სახლში ყოფნა ოდესღაც სიხარული ყოფილა. თუმცა ლოკუციურად სპარსის შემთხვევაში სხვა სურათია, რაზედაც მეტყველებს სწორედ ხუცესის, როგორც მსმენელისა და დიალოგის თანადამსწრეს, კომენტარიც: ვარსქენის განზრახვით იყო იგი და მზაკვრულად ცდილობდა შუშანიკის გულის მოგებას. შუშანიკმაც ამოიცნო იგივე და სწორედ ამან განაპირობა მისი რეტიკული ქცევაც. ისევ იაკობისავე სიტყვებით თუ ვიტყვით „ მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.“ მაშასადამე, სპარსი არც თავისი ქცევით და არც

თავისი სიტყვით გულწრფელი არაა, ვერ არწმუნებს შუშანიკს

თავისი სიტყვების გულწრფელობაში. ამრიგად, ამ სიტუაციაში გულწრფელობის პირობა მისი მხრიდან დარღვეულია, მაგრამ რაც შეეხება შუშანიკს, იგი თავისი ქცევით, რომ ახლოს არ იკარებს მას, განამტკიცებს თავისი საქციელის სისწორეს, არწმუნებს მკითხველს საკუთარი ქმედების სიმართლეში. მოცემული სიტუაციის **კოგნიტიური კონტექსტი** საყურადღებოა არა მხოლოდ კოგნიტიური ლინგვისტიკისა და **კოგნიტიური პრაგმატიკის** კუთხით, არამედ ძალზე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თავალსაზრისით და კონკრეტულად ჩვენს შემთხვევაში, **კომუნიკაციის ფსიქოლოგიის** თვალსაზრისით.

იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს ამ რეგიონის მაშინდელი ყოფა ასეთი იყო: სპარსეთი ფარულად, ძირითადად კი ვარსქენისნაირი შინაური მტრების მეშვეობით ცდილობდა საქართველოს ამ რეგიონის (ქვემო ქართლი) გამაზდეანებას. ამიტომ, შეუძლებელია, სპარსი შუშანიკის გულშემატკივარი ყოფილიყო. იგი მხოლოდ პირობითადაა ვარსქენის მოკავშირე, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ, კონტექსტის შესაბამისობის პრობლემიდან გმომდინარე, მივაქციეთ ყურადღება არგუმენტული დისკურსის მარკერების რელევანტურობას შიდა და გარეგანი არგუმენტების მოყვანის პროცესში. ამ ყველაფერს კი მივყავართ **სუბიექტური** და **ინდივიდუალური კონტექსტების** კავშირთან. სწორედ სუბიექტური კონტექსტიდან გამომდინარე, კერძოდ, სამყაროს იმ კოგნიტიური თუ ეპისტემური წარმოდგენით, და მაშასადამე, ინდივიდუალურ შეხედულებათა, (რომელიც არსებული საზოგადოების საკუთრებასაც შეიძლება წარმოადგენდეს და ასეცაა ჩვენს მიერ განსახილველ ნაწარმოებში) საფუძველზე ასკვნის იაკობი, რომ სპარსი მზაკვარია, რომ იგი ვარსქენის გამოგზავნილია, და იგი როგორც ქრიტიანობის მოდარაჯე, მკითხველს აუწყებს, რომ სპარსი საშიში ადამიანია, მისი ნდობა შეუძლებელია. სწორედ ინდივიდუალური კონტექსტიდან გამომდინარეა რომ შუშანიკი თავის არჩეულ გზას არ ღალატობს, სიმტკიცეს იჩენს, სოლიდარობას უცხადებს საკუთარი ხალხის არჩეულ რწმენას, რჯულსა და კულტურას და შორს იჭერს თავს უკეთური სპარსისაგან.

ამრიგად, გავრცელებული მოსაზრების თანახმად: „კოგნიტიური კონტექსტი არის სტრუქტურულად მრავალშრიანი კონსტრუქცია, რომელიც აუცილებელია ენის განვითრებისა და ენის მეშვეობით ნაგულისხმევის გაგების პროცესში. მის შრეებსა და

ქვე–სისტემებს შორის კავშირი კი მეტა– კომუნიკაციური და მეტა–სისტემურია."[5].

განხილული დიალოგი წარმოადგენს **ჭეშმარიტი და პარციალური დისკურსის სინთეზს.** დიალოგი ვარსქენსა და შუშანიკს შორის მიმდინარეობს შუალედური რგოლით, რომელსაც წარმოადგენენ ხუცესები. ვარსქენი მათი მეშვეობით ესაუბრება შუშანიკს.

„და ხვალისა დღჱ ვითარ აღდგა პიტიახში, გჳწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით. და სიხარულით შეგვიმთხჳვნა და გურქუა ჩვენ: „აწ ნურას მერიდებით და ნუცაღა გძაგ ." და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ." მაშინ–ღა იწყო სიტყუად და თქუა: „რაჲსა ხელიწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აქ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამხუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსულ ხარ ."

„ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა : არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მეცა დავამჴუ, ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტჴლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმინდანნი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ; მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ–ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის–ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ–ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ–გყავ და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა." ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხარით პიტიახშსა. ხოლო მან განიწყო გული და იბდღუენდა მისთჳს."[1](გვ. 89).

მოცემული ეპიზოდის პირველი აბზაცი გადმოგვცემს დიალოგს ხუცესებსა და ვარსქენს შორის: სიტუაცია მიმდინარეობს ვარსქენის სახლში. ვარსქენი სიხარულით შეეგება ხუცესთ და დაყვავებით ეუბნება: ნუ გძულვართ და ნურც თავს მარიდებთო. ამ შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ვარსქენი ცუდად იქცევა. პირიქით, მას უხარია ხუცესების დანახვა, რადგან იმედი აქვს, რომ მათ მედიატორებად გამოიყენებს შუშანიკთან ურთიერთობაში. სამეტყველო აქტის თეორიის თანახმად, მისი ყურადღება მთლიანად ფოკუსირდება ილოკუციაზე, ვინაიდან მისი მოჩვენებითი თავაზიანობის მიღმა შეფარული რისხვა და მუქარა იმალება.

ხუცესები თავის მხრივ ახდენენ არგუმენტირებას საკუთარი დამოკიდებულებისას ვარსქენისა და მისი ქმედებისადმი, როდესაც ეუბნებიან „წარსწყმიდე თავი შენი" და ჩვენც წარგვწყმიდეო. ამით ხსნიან ისინი მისგან გარიდებას. აი აქ კი გამოჩნდა ვარსქენის შელახული პატივმოყვარეობით გაღიზიანებული განწყობა პერლოკუციურად, რაც მისი ლოკუცია-ილოკუციის აქტის შედეგია. კერძოდ, იგი ითხოვს ხუცესებისგან, რომ შუშანიკი, რომელმაც

გაბედა და ქმრის წინააღმდეგ წავიდა, სახლში დაბრუნდეს. ვარსქენს წარმოუდგენლად მიაჩნია ცოლის მხრიდან მსგავსი საქციელი.

თარგმანებში მოცემული ეპიზოდი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'On rising the following day the Pitiakhsh summoned us priests, and we came to him and and he greeted us joyfully saying: 'Do not stand in owe of me, and do not despise me.' And we answered him: **' Thou hast brought damnation upon thyself and upon us too.**'.Whereupon he began to question us: 'Why has my wife acted thus towards me? Go and tell her: **' Thou hast cast down my image, and scattered ashes upon my bed, thou hast deserted thy rightful place and taken thyself elsewhere.**'[ე.ფ.] (p.196).

' On the morrow the Pitiakhsh arose and called us elders of the Church and we came unto him. He rejoiced to meet us and said: " Now I pray you, take not heed of me,neither despise me.' And we answered saying: **'Thou hast brought upon thyself destruction and upon us also.'**

And spake unto us saying: "Wherefore hath my wife dealt thus with me? Now therefore go speak unto her in this wise: **'Thou hast overthrown my altar and sprinkled ashes upon my bed for thou hast abandoned the place where thou dost belong and gone elsewhere.'**[ჯ.ჩ](pp.56-60).

ინგლისელი მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი ადეკვატური თარგმანია, კერძოდ, დაცულია მთარგმნელობითი პროცესის პრაგმატული ამოცანა შესაძლებელი ეკვივალენტობის დონეზე: ხუცესების არგუმენტირების გამოსახატავად მთარგმნელი იყენებს ფრაზას **'bring damnation upon** ',ხოლო ვარსქენის განწყობის გამოსახატავად შემდეგ ეკვივალენტებს: **cast down my image, scattered ashes upon my bed, thou hast deserted thy rightful place and taken thyself elsewhere.** ამავე დროს მიმართავს ანაფორას დისკურსის მეტი გამომსახველობისთვის: მეორდება ფრაზა : **'Thou hast .'** მთარგმნელი სწორად შერჩეული შესატყვისებისა და სტილისტური ხერხის შესაბამისობის საფუძველზე აღწევს აღწევს დისკურსის იმ კონოტაციას ,რომლის უკანაც ვარსქენის ნამდვილი ბუნება და აგრესია ჩანს.

ქართველი მთარგმნელი თითქმის მთლიანად იცავს თარგმანის ჟანრობრივ-სტილისტურ ნორმას, სახელდობრ, იგიც იმავე კონსტრუქციას იყენებს ხუცესების არგუმენტაციისას, რასაც ინგლისელი, მაგრამ სინონიმურ სიტყვას: **'bring destruction upon oncelf' ,** ხოლო ვარსქენის რეაქციის გადმოსაცემად: **Thou hast overthrown my altar and sprinkled ashes upon my bed for thou hast abandoned the place where thou dost belong and gone elsewhere.'** როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი იცავს ორიგინალი ტექსტის ენის ფუნქციონალურ სტილს და ამავე დროს, ინგლისელი მთრგმენლის მსგავსად, მიმართავს ანაფორას, რითაც აძლიერებს ეპიზოდის ექსპრესიულობას.

შემდგომ ამისა, სიტუაცია ინაცვლებს შუშანიკის სამყოფელში და დისკურსი მიმდინარეობს უშუალოდ შუშანიკსა და ხუცესებს შორის. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დისკურსი პარციალურია, რადგან მხოლოდ შუშანიკის გამონათქვამებია ცნობილი.

„ხოლო წმიდამან შუშანიკ თქვა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მეცა დავამჯუ, ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშ%ნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი: მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა,ხოლო შენ დევნი შემოიხუენ; მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა."[1](გვ.89)

ჩვენი აზრით, აქ იაკობი შუშანიკის პოზიციას ცალსახად წინა პლანზე აყენებს და საჭიროდ არ მიიჩნევს მათი, როგორც შუამავლების გამონათქვამების ჩართვას. მითუმეტეს, მკითხველისათვის ისედაც გასაგებია მათი პოზიცია და ქცევის არგუმენტები.

საკომუნიკაციო პროცესში შუშანიკის გამონათქვამები იძენენ სპეციფიკურ ფუნქციას: ისინი ერთგვარი ინსტრუმენტია შუშანიკის საქციელის გამართლებისა და მიზნის მიღწევისა და ამ შემთხვევაში შუშანიკის არგუმენტული ფრაზები მისი პროპოზიციის პირდაპირპროპორციულია – იგი ერთმანეთს უპირისპირებს ვარსქენისა და მისი წინაპრების საქმეებს და ამით ნათელჰყოფს იმ პრინციპს, რომლითაც მოტივირებულია მისი საქციელი. შუშანიკის გამონათქვამები იმდენად მწყობრად გადმოსცემენ მის პროპოზიციას, რომ ერთი შეხედვითაც ნათელია–სახეზეა არგუმენტული მსჯელობა, რომლითაც იგი იცავს თავის შხედულებას და ცდილობს გაამართლოს თავისი საქციელი და დაარწმუნოს ვარსქენი და ხუცესები ,როგორც მსმენელები, მის სისწორეში, ხოლო დიალოგის ბოლოს ერთგვარი დამაგვირგვინებელი აკორდის ფუნქციას ასრულებს მისი ბოლო სიტყვები, რომ არაფრის ფასად არ ეზიარება ვარსქენის საქმეს.

როგორც ვხედავთ, შუშანიკმა ეს შეძლო, რადგან ამან ვარსქენს საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა: „ხოლო მან განიწყო გული და იბდღუენდა მისთვის"– ო , გვიამბობს იაკობი უკვე კვლავშეცვლილ სიტუაციაში, ახლა უკვე ვარსქენთან მობრუნებული. ყოველივე ამას იაკობი გასაოცარი ოსტატობით მოგვითხრობს– არგუმენტული და სემანტიკურად ურთიერთსაპირისპირო ფრაზები ლინეარულად ისეა განლაგებული, რომ მთლიანობაში მკითხველის თვალწინ აცოცხლებს პესრსონაჟთა მეტყველებას.

თითოეული ენობრივი ნიშანი საოცარი სიზუს-

ტით ასრულებს თავის ფუნქციას: პირველი, როგორც სიმბოლოსას, რადგან იგი მიმართებაშია უშუალოდ იმასთან რაზედაც საუბარია, კერძოდ, შუშანიკი ხაზგასმით უარყოფს ვარსქენის შემოთავაზებას და წინაპრების ეროვნულ საქმეებსა და ღვაწლს ვარსქენის ძირგამომთხრელ საქმიანობას უპირისირებს.

მეორე, როგორც სიმპტომი, ამ შემთხვევაში ენობრივი ნიშნები აღნიშნავენ წარმომთქმელს, კერძოდ, შუშანიკს, რომელიც უთვლის ამბავს ვარსქენს და პირიქით, ვარსქენი, რომელიც თავის მხრივ უთვლის შუშანიკს თავის სათქმელს.

და მესამე, როგორც სიგნალი, ჩვენ შემთხვევაში ისევ შუშანიკი, როგორც ინფორმაციის, თქმულის, მიმღები.

აღნიშნული პასაჟი თარგმანებში შემდეგნაირად არის გადმოტანილი:

'And that blessed one sent word in reply:' It was not I who reaised thy image and cast it down. Thy father raised a place for prayer in the name of the holy martyrs and built a church, but thou hast dishonoured the deeds of thy father and betrayed the good which he has done. Thy father received saints under his roof, but thou-devils. He acknowledged and believed in the Lord of Heaven and Earth, but thou hast renounced the True God and bowed before the fire. And just as thou hast insulted thy creator , so I shall insult thee. And even if thou wilt torture me, I will not be party to thy deeds.'[2] (pp.197-198).

' But the saintly Shushanik said: 'Neither did I erect nor overthrow that altar. It was thy father who erected martyriums and built churches and thou hast defiled thy father's great acts and perverted the good works he wrought. Thy father gathered holy men unto him but thou -demons. He did acknowledge and believe in the god of Heaven and Earth, but thou has forsaken the True God and made obeisance to the fire. As thou hast denied thy creator so have I despised thee. And whatever tribulation and anguish mayest thou bring down upon my head I will have no part in thy deeds.'[3](pp.60-62).

ინგლისელი მთარგმნელი შეპირისპირების თარგმნისას ემფაზისთვის იყენებს "It is" კონსტრუქციას და ანაფორას ,ქართველი მთარგმნელიც მიმართავს ანაფორას, მაგრამ ემფაზისთვის იყენებს დამხმარე ზმნას მტკიცებით წინადადებაში. ამასგარდა, ქართველის მიერ შესრულებული სემანტიკური თარგმანი ბევრად ახლოს დგას ორიგინალის ენასთან, სათარგმნი ენის სწორი შესატყვისების, გრამატიკული სტრუქტურების და გამოყენების თვალსაზრისით, თუმცა ფულერისეული გადაწყვეტაც არანაკლებ საინტერესოა კულტურული ეკვივალენტების გამოყენების კუთხით. ორივე თარგმანის დედანთან შეპირისპირების საფუძველზე კი შეგვიძლია დავსკვნათ, რომ თითოეული ენობრივი ნიშნის ჰარმონიული სემანტიკური და გრამატიკული შეთავსებადობა გვაძლევს იმსაბაზისოსინტაგმატურ ურთიერთობას, რაზედაც დამყარებულია მოცემული დისკურსის დინამიკა. მაშასადამე, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით კარლ ბიულერის ორგანონის მოდელის[6] რაციონალურობაში ,რომ დისკურსი არის ორგმაგი ინსტრუმენტი მოლაპარაკისა და მსმენელისათვის ან მწერლისა და მკითხველისათვის, ხოლო ოტტო იესპერსენის მიხედვით კი ენის არსი არის ადამიანური ქმედების აქტი ან ქმედება, როცა საუბრის ერთი მონაწილე ცდილობს ისე წარმოაჩინოს სათქმელი, რომ გააგებინოს მეორეს და ქმედება მეორე მონაწილის მხრიდან, გაიგოს თუ რა ჩანაფიქრი აქვს პირველს. [7]

ჩვენს შემთხვევაში დისკურსის მონაწილეთათვის სრულიად ნათელია ურთიერთმანეთის პროპოზიცია–პრესუპოზიაცია: დახვწილი სინტაქსური კოჰერენტულობით აგებული დიალოგების მნიშვნელობა ცალსახაა და არაბუნდოვანი.

ამ ყველაფერს თუ განვიხილავთ სოციო–კულტურულ კონტექსტში, ექსტრალინგვისტურ კონტექსტთან კავშირში, უნდა გვახსოვდეს კონკრეტული დრო, ადგილი და ინდივიდი: ჩვენი ეპიზოდის მაგალითზე მონოქრონულ დროსა და პოლიქრონულ დროს შორის განსხვავება ემყარება განსხვავებას, რომელიც არსებობს ლინეარულ, რეალურ და გაყოფად კონცეფციებს შორის დროისა, სადაც მოვლენები განლაგებულია თანმიმდევრულად და სადაც ეს თანმიმდევრობა ხორციელდება ინტერპერსონალურ ურთიერთობაში.

ჩვენს შემთხვევაში ხუცესების მოხმობა ვარსქენის მიერ, მერე მათი წარგზავნა შუშანიკთან და შემდეგ შუშანიკისგან ისევ ვარსქენთან მათი დაბრუნება სწორედ ამის მაგალითია.

შუშანიკის მიერ ვარსქენისთვის მამისეული საქმეების შეხსენება და მათი მის უკეთურ ქმედებასთან პარალელის გავლება კი პოლიქრონიული დროის მაგალითია, როცა მოვლენები ერთდროულად ხდება, ანუ ერთმანეთის პარალელურად მოჰყავს წარსულისა და მისი დროის აწმყოს მიმდინარე მოვლენები და ამით მკითხველს აძლევს საშუალებას როგორც ექსტრა – ლინგვისტური პარამეტრების: დროის და სივრცის ფენომენის არსი ინდივიდისა და მათი სხვადასხვა როლის ინტერპრეტაციისას ის უჩვენებს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას, როგორიცაა დიალოგში მონაწილეობა, გამონათქვამების მნიშვნელობები, პრაგმატული მიმართულების დონეები ან არჩეული თანმიმდევრობა.

არსებობს მოსაზრება, რომ „კულტურა არის ერთგვარი ფილტრი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ სოციალური კონტექსტის ინტერპრეტაცია კონკრეტული სოციო–კულტურული

კონტექსტის მოთხოვნებისა და კონსტანტების მიხედვით.“ [5](გვ.14-15).

ამგვარად, ამ კუთხით მოცემული ეპიზოდით ჩვენთვის ცნობილია, რომ ქრისტიანობისთვის დიდი ძალისხმევაა გაწეული. ამ ძალისხმევის მხარდამჭერები არიან ხუცესები და შუშანიკი, რომელიც ამხელს ვარსქენს, რომლისთვისაც თავის მხრივ იმდროინდელი სოციალურ– კულტურული ფონიდან გამომდინარე წარმოუდგენელი იყო ცოლის ურჩობა, რაც მამაკაცისთვის თავის მოჭრის ტოლფასი იყო.

მაშასადამე, მოცემულ დისკურსში ჩანს, ჯერ ერთი, გლობალური მოვლენები, რაც განაპირობებს დიალოგს და ამ დიალოგში შესაბამის საპასუხო რეაგირების უფლებებსა და ვალდებულებებს, შესაბამისი პრობლემების წამოწევას, შესაფერის პროპოზიციებსა თუ გამონათქვამებს და მეორე, ლოკალური(ადგილობრივი) დიალოგური მოვლენები, რომლებიც არაპირდაპირაა ნათქვამი, ანუ ის, რაც განზრახულია და ითხოვს შესაბამის რეაგირებას.

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი დისკურსის მაგალითების, კონტექსტის ისტორიულ–სოციალუ-რი ფონის საფუძველზე ნათელია, რომ თითოეული გამონათქვამი რეალიზებულია ლინგვისტურ და სოციალურ კონტექსტში. ამგვარად, შესაბამისობა კონტექსტში სწორედ კომუნიკაციური ინტენციაა, რაც მენტალური რეპრეზენტაციაა, რომელსაც აქვს უნარი, რეალიზებულ იქნას მოქმედებების ფორმით.

მაშასადამე, ჩვენს მიერ წარმოდგენილი **ჭეშმარიტი, პარციალური** და **სინთეზური დისკურსის** მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომუნიკაციური ქმედების ინტენციის შედეგად ერთმანეთს ვუკავშირებთ ლინგვისტურ, სოციო–კულტურულ და კოგნიტიურ კონტექსტებს.

ლიტერატურა:

1. ცურტაველი ი. „ შუშანიკის წამება“ THE MARTYRDOM OF THE BLESSED QUEEN SHUSHANIK თბილისი, „ხელოვნება,“1983
2. Thsurtaveli, Iakob ‘THE MARTYRDOM OF THE BLESSED QUEEN SHUSHANIK ‘Trnslated by Elisabeth Fuler ,თბილისი, ‘Khelovneba,’1983
3. Thsurtaveli, Jacob ‘THE MARTYRDOM OF THE HOLY QUEEN SHUSHANIK’ translated by Jumber Cholobargia , თბილისი შპს „ სეზანი“,2006
4. Emeren Frans H. Van ‘A systemic theory of Argumentation,’ p.1. Cambridge University Press, Westryack , NY, USA, 11,2003
5. Fetzer Anita, ’Context and Appropriateness: Micro meets Macro’ John Benjamins Pub. Comp. , Amsterdam, NLD, 07/2007
6. Renkema Jan, Introduction to Discourse Studies,“ John Benjamins Publishing Company, Philadelfia, PA USA 06/ 2004
7. Бюлер, К. Теория Языка. Репрезентативная функция языка. М.: Прогресс 1993

Communicative Intention of Argumentative Discourse on the Basis of the English Versions of ‘The Martyrdom of The Blessed Queen Shushanik’ by Iakob Tsurtaveli

Inga Koniashvili, PhD student of Georgian Technical University

Summary

The article presents the empirical analysis of argumentative discourse of selected dialogues on the basis of the original text and its English versions. Relativeness between context and discourse and, in particular, meta-linguistic expressions as keys to textualization. The article will endeavor the description of each wording realized in linguistic and social contexts in order to show their relevance as a communicative intention. Also, the article deals with the importance of cognitive process of language conversational inference for the consistency of text interpretation in the respect of which the analysis of mental spheres and discourse is one of the relevant means.

ზვიად გამსახურდია და პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“

ლანა შენგელია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გაერთიანებას - ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. ზვიად გამსახურდიას გარშემო გაერთიანებულ პოლიტიკური პარტიების ბლოკის საქართველოში, რომელმაც შეასრულა გადამწყვეტი როლი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. რომელიც იყო მმართველი ძალა 1990-1991 წლებში.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „პერესტროიკის“ პოლიტიკა გარკვეულ წრეებში პოპულარობის შენარჩუნებას ახერხებდა, მაგრამ, როდესაც გამომჟღავნდა გარდაქმნის პროსაბჭოური და პროიმპერიული ხასიათი, მისი ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა. ამის პარალელურად კი მოხდა ეროვნული მოძრაობის შემდგომი დიფერენციაცია. ამ მოძრაობის ერთი ნაწილი მხარს უჭერდა ბრძოლის პარლამენტურ გზას, მეორე კი ჯერ კიდევ ძლიერი ტოტალიტარიზმის პირობებში პარლამენტურ გზას არაეფექტურად თვლიდა. ამ ეტაპზე მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდა საპარლამენტო ბრძოლის ის გზა, რომელიც საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისკენ იყო მიმართული. ეს დადასტურდა კიდეც 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, რომელშიც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, ვინაიდან ამ ბლოკმა თავისი ბრძოლის სტრატეგიაში გააერთიანა საპარლამენტო ბრძოლის გზა და ეროვნული დაუმორჩილებლობის გზა. სრულიად კანონზომიერად მოხდა სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრირება ეროვნული მოძრაობის ყველაზე მძლავრი ფრთის ხელში.

ეროვნული ხელისუფლება არჩეულ იქნა ისეთ დროს და ისეთ პირობებში, როდესაც საქართველო ფაქტობრივად სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კატასტროფის ზღურბლთან მიიყვანა საბჭოთა იმპერიალიზმმა, მისმა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ.

საკვანძო სიტყვები: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პარტია, ზვიად გამსახურდია, კონფერენცია, ,,ახალგაზრდა ივერიელი“, რეფერენდუმი, არჩევნები, დელეგატი.

შესავალი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 90-იანი წლების ისტორიისა და მოვლენების კვალდაკვალ, საზოგადოებრივი აზრის მკვლევარები ვერაფრით ვერ აუვლიან გვერდს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გაერთიანებას ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და მის უმნიშვნელოვანეს როლს ეროვნული აღმავლობის გზაზე, რომელთან დაკავშირებითაც არაერთი პერიოდული ორგანო წერდა და მათ შორის ,,ახალგაზრდა ივერიელი“ იყო ის ბეჭდური მედია, რომელიც მიუხედავად არაერთი წინააღმდეგობრივი მომენტისა აქტიურად და თამამად აშუქებდა ზემოაღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობას განვითარების ეტაპებთან ერთად.

ძირითადი ტექსტი

1989 წლის 9 აპრილს თბილისში განვითარებული მოვლენები გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოს თანამედროვე ისტორიაში. გორბაჩოვის «პერესტროიკის», ემანსიპაციისა და სიტყვის თავისუფლების ფონზე, ყოფილი საბჭოთა დისიდენტები გახდნენ დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის მოძრაობის ლიდერები: ზვიად გამსახურდია, პოლიტპატიმარი მერაბ კოსტავა, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი გიორგი ჭანტურია და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი.

ზვიად გამსახურდიასადმი დამოკიდებულება თანდათან იცვლებოდა. თავიდან, როგორც ყოველთვის, საზოგადოების „ელიტა» მას სერიოზულად არ აღიქვამდა. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ მისი ავტორიტეტი სწრაფად იზრდებოდა. 1990 წლის 2 მაისს გამსახურდიამ წაიკითხა ლექცია ”საქართველოს სულიერი მისია”, სადაც მან რადიკალურ პრიმორდიალისტული პოზიციიდან გააკრიტიკა მოდერნისტული მიდგომა ხალხების შექმნის პრობლემისადმი. მან აღნიშნა, რომ მარქსისტებმა ქართველებს ჩამოუყალიბეს არასრულფასოვნების კომპლექსი. ნიკო მარის «იაფეტური თეორიის» განხილვისას, მან ისაუბრა ევროპის პროტოიბერიულ მოსახლეობაზე, რომელმაც თითქმის მთლიანად განიცადა ასიმილაცია ინდოევროპელებთან. გამსახურდია არ შემოიფარგლებოდა იმ წლებში ტრადიციული მოწოდებით, რომელიც მდგომარეობდა დასავლური და აღმოსავლური პრინციპების სინთეზში. მან მიმართა X საუკუნის ქართველი

ბერის იოანე ზოსიმეს მისტიკურ ჰიმნს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელმაც ქართული ენა შეადარა აღდგომის მოლოდინში მყოფ ლაზარეს. ამ მეტაფორის გამოყენებით, გამსახურდიამ აღწერა ერის (მთელი იბერიული სამყაროს) მომავალი აღორძინება, რაც გამოავლენს ცოდვილ კაცობრიობას ქრისტიანული სამყაროს სულიერი ლიდერის პოზიციიდან. ყოველივე ეს მიანიშნებდა არა მხოლოდ კონკრეტულ მიზანს - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, არამედ მისი დანიშნულების ადგილს («ლაზარეს მისია»).

1990 წლის 11-13 მარტს თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღო ყველა არაფორმალურმა ორგანიზაციამ, რომლებიც თავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად განსაზღვრავდნენ. კონფერენციის მიზანი იყო კოალიციური საბჭოს შექმნა.

კონფერენციის დელეგატები, რომლებიც წარმოადგენდნენ თითქმის ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სტუდენტურ ჯგუფებს, მართლმადიდებლურ ეკლესიას მიიღეს გადაწყვეტილება უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტის შესახებ, ასევე უარი თქვეს რესპუბლიკური ფედერაციის წინადადებაზე. კონფერენციაზე შეიქმნა „ეროვნული ფორუმი“, რომელშიც ექვსი ყველაზე ძლიერი რადიკალური ორგანიზაცია შედიოდა. მისი შექმნის მიზანი იყო „ახალი (არა საბჭოთა კავშირის) პარლამენტის არჩევნების ჩატარებისთვის მზადება“.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გამოყოფის ორი სრულიად განსხვავებული გეგმა: პირველის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ქვეყანა უნდა გახდეს დამოუკიდებელი რეფერენდუმის გზით. ამით ისინი აპირებდნენ გაჰყოლოდნენ ლიტვის გზას, რომელიც 1990 წლის მარტში, ლეგიტიმური და მშვიდობიანი გზით, გამოეყო სსრკ-ს. მეორე გეგმის მიხედვით - დამოუკიდებლობის მოპოვება საქართველოდან საბჭოთა ჯარების გაყვანის გზით. ამ გეგმის მომხრეთა ლოზუნგი იყო: „ჯერ - თავისუფლება, შემდეგ კი - დამოუკიდებლობა”.

ზვიადგამსახურდიამ ამ გეგმას „ანტიეროვნული“ უწოდა და რამდენიმე პარტიასთან ერთად დატოვა კონფერენცია. ორგანიზაციებმა, რომლებმაც კონფერენცია დატოვეს, 1990 წლის მაისში შექმნეს პოლიტიკური ალიანსი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. მასში გაერთიანდა შვიდი პოლიტიკური ორგანიზაცია: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი. „მრგვალმა მაგიდამ“ დაიწყო სამოქმედო პროგრამის შემუშავება. მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა გარკვეულ საკითხებზე, ალიანსში გაერთიანებულ ორგანიზაციებს გააჩნდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთიანი პოლიტიკური პლატფორმა და სტრატეგია. მათი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიდან აღსანიშნავია კომუნისტური პარტია, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერ ძალას წარმოადგენდა და „ეროვნული კონგრესი“, რომელიც უარყოფდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. ორივე ეს ძალა იმართებოდა კრემლიდან და მისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა.

1990 წლის 11 მაისს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის რიგით მესამე შეხვედრაზე მოწონებული და მიღებული იქნა წესდება, რომლის პრეამბულაში წერია: „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიზანია დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალისტური კონცეფციის შექმნა და მის გასატარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. აუცილებელია, უმოკლეს დროში პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება საქართველოს საკითხის ჰელსინკი-2 შეხვედრაზე გასატანად. მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციებს დასაშვებად მიაჩნიათ თანამშრომლობა ყველა იმპერიალისტური სტრუქტურის უარმყოფელ არაკოლაბორაციონისტურ, მშვიდობიან, ძალადობის დამგმობ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან. ამავე დროს, გამორიცხული არ არის დიალოგი ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ან ცალკეულ პიროვნებასთან.“

იმავე წლის 15 მაისს პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია, რომლის თანახმადაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ორი გზა არსებობდა. ეს იყო:

1. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა;
2. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, შეძლებისდაგვარად ერის ნების გამომხატველი, დროებითი უმაღლესი ხელისუფლების საყოველთაო არჩევნები.

კონცეფციაში ჩამოყალიბებული იყო საქართველოში არასაბჭოური არჩევნების ჩასატარებლად შესაბამისი პოლიტიკური სიტუაციის არსებო-

ბისთვის აუცილებელი პირობები, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსის შეძენა, კერძოდ, თავსმოხვეული სახელის - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის - შეცვლა; საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება და დროებითი კონსტიტუციის შემუშავება. აღნიშნული პირობების შესრულების შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ჭეშმარიტად ეროვნული ძალებისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი საარჩევნო კომისიის შექმნა.

1990 წლის 26 მაისს გამსახურდიამ გრანდიოზული მიტინგი გამართა და საბოლოოდ დაარწმუნა მისი ოპონენტები, რომ ხუმრობები დასრულდა. „ჩვენ, ძმებო, ვეწინააღმდეგებით სატანას, დრაკონს. ან მას წმინდა გიორგის ძალისხმევით დავამარცხებთ, ან ის გადაყლაპავს ჩვენს ისტორიულ ბედს და დაგვიტკბება, ეს კოსმიური დრაკონი, ეს პლანეტურ მხეცი - ანტიქრისტე ... "- თქვა მაშინ საქართველოს სახელმწიფოს მომავალმა მეთაურმა.

ალიანსმა მოლაპარაკებები დაიწყო მთავრობასთან. ივნისის შუა რიცხვებში მოლაპარაკებები ახალი მრავალპარტიული საარჩევნო კანონის მიღებით წარმატებით დასრულდა. ეს იყო პირველი თავისუფალი, არაკომუნისტური, მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში. არჩევნებს ეწოდა არა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები", არამედ „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები", რაც მიღწეული იქნა მოსახლეობის რამდენიმედღიანი საპროტესტო აქციებისა და ეროვნული ძალების მტკიცე მოთხოვნის შედეგად. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ოპოზიციამ და ხალხმა ერთობლივი მოქმედებებით შეძლეს მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების დანიშვნა, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

არსებულ პოლიტიკურ რეალობაში საქართველოსთვის სრული დამოუკიდებლობის მიღწევა შეუძლებელი იყო გარდამავალი პერიოდის გარეშე, რომელსაც უნდა მოემზადებინა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძველები. უმაღლესი საბჭო უნდა ყოფილიყო ეროვნული ინტერესების გამომხატველი და გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით და ქართული ეროვნული ტრადიციებით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა ყოფილყო ის გარემოება, რომ საქართველოში ისტორიულად თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხები და რომ ქართული მენტალობისთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა. ბუნებრივია, ახლად არჩეულ უზენაეს საბჭოს უნდა ეხელმძღვანელა ამ ტრადიციებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებათა დასკვნების აქტებზე დაყრდნობით გაეტარებინა ღონისძიებები პოლიტიკური, რელიგიური და მოქალაქეობრივი შემწყნარებლობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის მხრივ. მას შემდეგ რაც საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოს ცნობდნენ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, გარდამავალი პერიოდი ჩაითვლებოდა დასრულებულად.

ალიანსის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" - მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება და შემდეგ ამ რეფერენდუმის საფუძველზე დეკლარაციის მიღება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას, მისი აუცილებელი პირობა იყო ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო შემდეგ უნდა განხორციელებულიყო რეფორმები ეკონომიკურ სტრუქტურებში - ძველი, საბჭოური დარგობრივი სტრუქტურები უნდა შეცვლილიყო ახალი, ერის ინტერესებისა და ნების გამომხატველი სტრუქტურებით. „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" ეკონომიკური პლატფორმა გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საკავშირო მნიშვნელობის საწარმოო ობიექტების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას, ხოლო სტრატეგიული სამხედრო ობიექტების ბედი უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს და სსრკ-ს მთავრობებს შორის მოლაპარაკებების გზით.

ქვეყანაში უნდა შექმნილიყო კერძო საკუთრება, რაც, თავისთავად, არ გულისხმობდა სახელმწიფო საკუთრების მოსპობას. ალიანსის ეკონომიკურ პლატფორმაში თავისუფალი მეწარმეობა და კერძო საკუთრება ეროვნული ეკონომიკის შექმნის აუცილებელ პირობად განიხილებოდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იშლებოდა. პირველ დემოკრატიულ არჩევნებში ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" ზვიად გამსახურდიას მეთაურობით უახლოვდებოდა გამარჯვებას, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 1990 წლის 28 ოქტომბერს. მაგრამ მომავალი მაინც მრავალფეროვანი ჩანდა - ვიღაცას სჯეროდა, რომ ეროვნული კონგრესი და მისი ლიდერები, რომლებიც გამსახურდიას ეწინააღმდეგებოდნენ, გახდებოდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანი, ხოლო ვიღაცას, კომუნისტური პარტიის აშკარა დაშლის მიუხედავად, ეგონა, რომ კომუნისტები როგორღაც შეინარჩუნებდნენ ხელისუფლებას. ოდესღაც ძლევამოსილი სისტემა

ინგრეოდა, მისი სიმბოლოები უგულებელყოფილი იყო. ერთმანეთის მიყოლებით ინგრეოდა ბოლშევიკი ლიდერების ძეგლები. 28 აგვისტოს აიღეს ლენინის ძეგლი, რომელიც დედაქალაქის მთავარ მოედანზე 34 წლის განმავლობაში იდგა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ-ში ჩატარდა პირველი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14 პოლიტიკურმა პარტიამ. ამომრჩეველთა რაოდენობა 3 444 000-ს შეადგენდა. მონაწილეობა მიიღო 67% და 5 წლის ვადით აირჩია უმაღლესი საბჭო 250 დეპუტატით. მთავრობა გადაეცა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ ორგანიზაციას - „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. მათ ხმათა 62% მიიღეს და მაჟორიტარული და პროპორციული სიით სულ 155 ადგილი მოიპოვეს. ხოლო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დაიკავა მეორე ადგილი, 25,6% და მიიღო 73 ადგილი. შექმნიდან 6 თვის შემდეგ ალიანსმა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ უდიდეს გამარჯვებას მიაღწია - მოიგო უზენაესი საბჭოს არჩევნები და საქართველოს მმართველი ძალა გახდა 1990-1991 წლებში. ეს იყო უდიდესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ სახელმწიფოებრიობას. დაემხო 70-წლიანი კომუნისტური დიქტატურა და ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ეროვნული ძალები.

საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ასეთი დამაჯერებელი გამარჯვების რამდენიმე მიზეზი არსებობს:

პირველი, გამარჯვება მოიპოვა ძირითადად პიროვნებამ ზვიად გამსახურდიამ - ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟმა, რომელიც კომუნისტების დროს მერაბ კოსტავასთან ერთად იყო დისიდენტი. საქართველოს მოსახლეობაში მას მიიჩნევდნენ როგორც ანტიკომუნისტური მოძრაობის დამფუძნებელს. კომუნისტების მიერ დევნამ გააძლიერა მოსახლეობის მიერ მისი აღქმა, როგორც კომუნისტური სისტემის მსხვერპლი და როგორც ანტიკომუნისტური გმირი. მისი გმირული წარსული განსაკუთრებით გაძლიერდა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ.

მეორე, განხეთქილების მიუხედავად, რადიკალების ბანაკი კვლავ ყველაზე ძლიერი იყო ქვეყანაში. საქართველოს მოსახლეობის მხრიდან მას ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა.

მესამე მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ კომუნისტური წყობილების მიმართ საქართველოს მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც დიდიხნის განმავლობაში მწიფდებოდა.

ძირითადად ამ მიზეზებმა განაპირობა ამომრჩეველთა სიმპათია ეროვნული მოძრაობის წევრების, განსაკუთრებით, ზვიად გამსახურდიას და მისი ”მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს” მიმართ, რომელიც იმ პერიოდში ჩანდა როგორც ერთადერთი ძალა, რომელიც ნამდვილად ეწინააღმდეგებოდა კომუნისტურ სისტემას და რომელსაც შეეძლო შეეცვალა კომუნისტური პარტია და ქვეყნისთვის მოეპოვებინა დამოუკიდებლობა.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ზვიად გამსახურდია. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნისთვის „საქართველოს რესპუბლიკის“ სახელის წოდების შესახებ და შეცვალა საქართველოს სსრ-ს ყველა წინა სახელმწიფო ატრიბუტი - ჰიმნი, გერბი, სახელმწიფო დროშა. სესიამ მიიღო დადგენილება ქვეყანაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ. ასევე შეიქმნა კომისია, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ახალი კონსტიტუციის მომზადებაში.

1991 წლის 28 თებერვალს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აკრძალა რეფერენდუმის ჩატარება სსრკ-ს შენარჩუნების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ნება დაერთო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას 1918 წლის 16 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რაც რეალურად იყო სსრ კავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება.

რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში, როდესაც მოქალაქეებს ეკითხებოდნენ აზრს. 3 672 403 მოქალაქეს უნდა გაეცა პასუხი ერთადერთ კითხვაზე: „გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?» რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ამომრჩეველთა 90,5%, აქედან 98,93% მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.

რეფერენდუმის მთავარი შედეგი არის ის, რომ იგი ჩატარდა დემოკრატიული პრინციპებით, ნების თავისუფლად გამოხატვის პირობებში. მეორე დღესვე მისი შედეგი აღიარა აშშ-ს მთავრობამ, რასაც მოჰყვა მთელი მსოფლიო საზოგადოების აღიარება. რეფერენდუმის შედეგები არის სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც შემდეგ აისახა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პირველ მუხლში.

1991 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების მეორე წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის დროით 11:56 საათზე, საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. იმავე დღეს ზვიად გამსახურდიამ გაუგზავნა შეტყობინება

მიხეილ გორბაჩოვს. მასში ნათქვამია: „1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დროს გამოთქმული საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ნებაზე დაყრდნობით, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები წყვეტს და საჯაროდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რომელიც თავის დროზე საბჭოთა რუსეთმა აღიარა ... ".

საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტის აპარატის შექმნის შესახებ. პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილებები ჰქონდა: მთავარსარდლის ფუნქციები, პარლამენტის დაშლის, მთავრობის შექმნისა და პრეფექტების დანიშვნის უფლება.

1991 წლის 14 აპრილს, უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის რიგგარეშე სხდომაზე, ზვიად გამსახურდია აირჩიეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტად; 1991 წლის 26 მაისს კი იგი აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად საყოველთაო პირდაპირი ფარული არჩევნებით - მას ამომრჩეველთა 86,5 % მისცა ხმა.

დასკვნა

70 წლიანი კომუნისტური რეჟიმის ბატონობის შემდეგ საქართველომ კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და საპარლამენტო ტრადიციები.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ 5 წლის ნაცვლად წელიწადი და 3 თვე იარსება, მისი დამხობის შემდეგ, საქართველო იყო თითქმის ყველა ქვეყნის მიერ უკვე აღიარებული, დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არჩევნები, რომელმაც საქართველოს ბედი შეცვალა: 28 ოქტომბერს პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა https://fortuna.ge/fortuna/post/archevnebi-romelmac-saqartvelos-bedi-shecvala-28-oqtombers-pirveli-demokratiuli-archevnebi-chatarda (ნანახი: 26. 01.2021)
2. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია - ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 15 მაისი, №52, გვ. 5
3. საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა - ახალგაზრდა ივერიელი, 1990, ოქტ., №112, გვ. 2-3; 1990, 18 ოქტ., №113, გვ. 4
4. გუგუშვილი ბესო. კატეხიზმო: „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" – პარტია? https://besarion.wordpress.com/2010/08/23/round_table/ (ნანახია: 26.01.2021)
5. საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა - ლიტერატურული საქართველო, 1990, 26 ოქტ. №43, გვ. 10-12
6. Мониава Дмитрий. Интелигенция и контрреволюция. https://www.ekhokavkaza.com/a/30737834.html (ნანახი: 22.01.2021)
7. Мониава Дмитрий. Лело-люстрация и тайна КГБ
8. https://www.ekhokavkaza.com/a/30813333.html (ნანახია: 21.01.2021)
9. Таркхнишвили Леван. Грузия: путь к демократии? Перевод с английского Ирины Синициной. Варшава, 1997, с. 10-11 https://case-research.eu/uploads/zalacznik/2016-12-19/9042527_109r.pdf (ნანახი: 20.01.2021)
10. https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A/ - (ნანახი: 14.02.2021)

Zviad Gamsakhurdia and political union „Round Table - Free Georgia"

Lana Shengelia, PHD student of Georgian Technical University

Summary

This article is about the most important political union of the Georgian National Liberation Movement - "Round Table - Free Georgia". The bloc of political parties united in Georgia around Zviad Gamsakhurdia, which played a crucial role in Georgia's declaration of independence. Which was the ruling power in 1990-1991.

It should be noted that the so-called. The policy of the "perestroika" was able to maintain its popularity in certain circles, but when the pro-Soviet and pro-imperial character of the transformation was revealed, its authority fell sharply. At the same time, the national movement was further differentiated. One part of this movement supported the parliamentary way of struggle, while the other considered the parliamentary way ineffective in the conditions of still strong totalitarianism. At this stage, the way of the parliamentary struggle aimed at restoring the national statehood of Georgia was supported by the majority of the population. This was confirmed even after the elections in October-November 1990, in which the bloc "Round Table - Free Georgia" won a convincing victory, as this bloc combined the path of parliamentary struggle and the path of national disobedience in its strategy. It was perfectly legal to concentrate state power in the hands of the most powerful wing of the national movement.

The national government was elected at a time and conditions when Georgia was effectively brought to the brink of socio-political, economic and cultural catastrophe by Soviet imperialism, its dictatorial-administrative system.

Keywords

National Liberation Movement, Party, Zviad Gamsakhurdia, Conference, "Young Iverian", Referendum, Elections, Delegate.

მედიის ეკონომიკური პლატფორმები ციფრულ ეპოქაში

თამარ ჭეჟია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ახალი ტექნოლოგიები და ელექტრონული პლატფორმები, განსაკუთრებით, სოციალური მედიის პლატფორმები ცვლის მსოფლიო ეკონომიკას. ნაშრომში განხილულია ციფრული მედიის განვითარების ის გლობალური ტენდენციები, რომელიც ცხადყოფს მედიის ციფრული, ეკონომიკური მოდელების გავრცელების დინამიკას, მისი დანერგვისა და გამოყენების სურათს. ,,ცივილიზაციის თანამედროვე რაუნდი'' სხვა არჩევანს არ ტოვებს ქვეყნებსა და კონტინენტზე, ის ,,ინფორმაციულ საზოგადოებას'' ინტენსიური, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზას ავალდებულებს, რაც ნიშნავს ინოვაციურ პროექტებს ინფორმაციულ გარემოში; თავისი ბუნებით - ინოვაციური, ანალიტიკური ჟურნალისტიკის, ტექნოლოგიისა და ხელსაწყოების სფეროში სამეცნიერო პროგრესის უახლესი მიღწევების დაგროვებას ხელს უწყობს, რომლის სინთეზს აფართოებს მედიასფეროსა და კრეატიული ეკონომიკის, ამ მეტად მნიშვნელოვანი სეგმენტის საკომუნიკაციო შესაძლებლობები და ზრდის მის შემეცნებით რესურსს.

საკვანძო სიტყვები: კონვერგენცია, დიგიტალიზაცია, ახალი ტექნოლოგიები, სოციალური მედია, ციფრული პლატფორმები, კრეატიული ეკონომიკა.

შესავალი

21 საუკუნე ციფრული მედიის საუკუნეა. ელექტრონული პლატფორმებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ ახლებურად ჩამოაყალიბა მედიასამყარო. მედია-ინდუსტრიის წარმოება ახალი ეკონომიკის სიმბოლო გახდა, ის თანამედროვე ეპოქის ახალი გეოპოლიტიკური რეალობაა, რომელმაც ფუნდამენტურად განსხვავებული მატერიალური საფუძველი შექმნა მედიისა და კომუნიკაციის ფუნქციონირებისთვის, ეროვნული მედიის სფეროს ბუნების შეცვლისთვის. ინტერნეტის ევოლუციამ გააერთიანა კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა და მედიასაშუალებების შინაარსი მთლიანად შეცვალა; ტერმინები - ,,საინფორმაციო საზოგადოება'' და ,,ინფორმაციული ეკონომიკა'' კაპიტალის, ქონების, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და მუშახელის ურთიერთგაცვლის ტენდენციის გამოხატულებად იქცა. ამ პროცესებმა მედიის ეკონომიკური მოდელების რადიკალური ცვლილება გამოიწვია. მედიასაშუალებებმა სრული ინტეგრირება განიცადეს ეკონომიკასთან და ის ეკონომიკური სისტემების, მედიაბიზნესის ნაწილად იქცა.

ძირითადი ნაწილი

მედიის ახალი ფორმატი, ახალი პლატფორმები, ტექნოლოგიების განვითარება, დიგიტალიზაცია და ინტერაქტიულობა მედიაში ცივილიზაციის განვითარების ახალი ისტორიული ეტაპია, სადაც ინფორმაცია წარმოების პროდუქტია. მედია-კონვერგენცია მედია-სისტემების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთიან საინფორმაციო რესურსს წარმოადგენს და ჟურნალისტური პროდუქტის, მნიშვნელოვანი გამოცემების, საინფორმაციო სისტემის საქმიანობის სრულყოფას გულისხმობს. თანამედროვე მედია-სისტემის ტრანსფორმაცია აუდიტორიასთან ახალი ურთიერთობების, ახალი კონტენტის შექმნას უკავშირდება.

კონვერგენციის კონცეფცია მედიის სფეროში ძირითადი გარდაქმნების სინონიმად მოიაზრება, ტექნოლოგიური კონვერგენციის ცენტრშია ციფრულიზაციის პროცესი. შინაარსის ციფრულ ფორმატში თარგმნა შესაძლებელს ხდის დაბეჭდილი სიტყვისა და მოძრავი სურათის გათანაბრებას, მისი გავრცელების სხვადასხვა ფორმას. ახალი მედია ტექნიკურ, ახალ შესაძლებლობებს და სხვადასხვა პლატფორმებს სთვაზობს თანამედროვე მედიასამყაროს. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ 1983 წელს გამოიკვეთა – ტექნოლოგიური პარადიგმების გამოჩენა დაფუძნებული იყო ინფორმაციულ, საკომუნიკაციო ტექნოლოგიაზე, რომელმაც საბოლოო გავლენა მოახდინა კომუნიკაციურ სამყაროზე. თანამედროვე მასმედია დღეს გლობალურ კონტექსტში განიხილება, ის წარმოდგენილია ტელესაკომუნიკაციო ქსელებით, ახალ მონაცემთა გადამცემი და შემნახავი ტექნოლოგიებით, განსაკუთრებით, ოპტიკურ–ბოჭკოვანი და გაუმჯობესებული კომპიუტერულ პროგრამებით (Cowhey and Aronson, 2009). ციფრული ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ციფრული პლატფორმების ხელში, რომელიც დღეს გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ურთიერთობებში. ის შუამავალ რგოლს წარმოადგენს სერვისის მიმწოდებლებსა და საბოლოო მომხმარებელს შორის. უმსხვილეს ციფრულ პლატფორმებს შორის გამოირჩევა საზოგადოებისთვის ცნობილი ისეთი ონლაინ–პლატფორმები, როგორიცაა Google, Facebook, Amazon, Tweeter, Apple და აშ. ყველაზე მთავარი, რაც ამ პლატფორმებს გამოარჩევს სხვა ციფრული კომპანიებისგან, არის მათ სერვერებზე აკუმულირებული მონაცემები, მონაცემთა გადამუშავებისა და ანალიზის დახვეწილი შესაძლებლობები,

შეთავაზებული უმნიშვნელოვანესი სერვისები სხვადასხვა აპლიკაციებისა და ქლაუდ-სივ-რცეების სახით. ციფრული პლატფორმების გაბატონება განპირობებულია ინფორმაციის, მონაცემების, საქონლისა და მომსახურეობის იოლი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობით, დომინანტი ციფრული პლატფორმები წარმოშობს მნიშვნელოვან სარგებელს და ღირებულებებს ეკონომიკის და საზოგადოების სხვადასხვა კლასებში. დაგროვილ მონაცემთა გავრცელება და ანალიზი წარმოქმნის უზარმაზარი სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების საქონელსა და მომსახურებას.

ციფრულიზაციამ შეცვალა სწავლა, მოხმარება და ერთმანეთთან ურთიერთობა. მედიის ციფრულ კონვერგენციას ცნობილმა მკვლევარმა, როჯერ ფიდლერმა ამავე სახელწოდების, 1997 წელს გამოქვეყნებულ წიგნში «მედიამორფოზი» უწოდა. კონვერგენციულ მედიასამყაროში კომუნიკაციისა და ინფორმაციის ყველა რეჟიმი რეფორმირებულია ტექნოლოგიების მუდმივ მოთხოვნებთან ადაპტაციით, მედია-კონვერგენციის კონცეფცია ითვალისწინებს ქსელს და წარმოადგენს პლატფორმას ინფორმაციის გაზიარებისთვის, მომხმარებელზე ორიენტირებულ დიზაინსა და მსოფლიო ქსელში თანამშრომლობისთვის, საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობდნენ და ითანამშრომლონ სოციალური მედიის დიალოგში; ,,ქსელური ჟურნალისტიკის'' კონცეფციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება TCP/IP პროტოკოლის, ცოდნის და ახალი უნარების შეძენას, პროგრამირების ენებისა და მონაცემთა ბაზის მენეჯმენტის შესწავლას, პროფესიის სიღრმისეულ განვითარებას, ინფორმაციული საზოგადოების, სოციოლოგიის, შემეცნებითი ფსიქოლოგიის, გრაფიკების და ქსელების თეორიის ცოდნას. ქსელურ ეკონომიკაში კი, თანამედროვე საკომუნიკაციო ხაზების ფართო სისტემა უზრუნველყოფს ბიზნეს-პარტნიორებისა და გამყიდველების სწრაფ ძებნას, შუამავლების გარეშე გარიგების დადებას და ელექტრონული დასახლებების გაჩენას.

ტენდენციები, რომელსაც იწვევს ტექნოლოგიური პროცესები, ინტერნეტის განვითარების ეტაპებს უკავშირდება. თანამედროვე მედიასისტემა, დაწყებული კულტურული განსხვავებულობის მქონე ტელემაუწყებლობით, დამთავრებული ვებ.2.0–ით არის კომუნიკაციური შეთანხმება (პროტოკოლი), რომელმაც იტვირთა ხიდის ფუნქცია კულტურულ წყალგამყოფებს შორის. მედიაში გაჩნდა ერთგვარი მიდგომა ,,ახალი მედიის'' კონცეფციისადმი, ეს არის web 2.0-სისტემა, web-კვადრატი, ,,მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსი'', რომელიც ახალი მედიის განვითარებისა და სტრუქტურის გარდაქმნის კონტექსტში განიხილება თავისი შემადგენელი ნაწილებით - საავტორო უფლებებით, ჟანრებით და სამართლებრივი მრავალფეროვნებით. ახალმა ციფრულმა პლატფორმებმა აჩვენეს, რომ ვებ-2.0 არის ხედვა კოლექტიური ინტელექტის გამოყენების შესახებ, რომლის სადაზვერვო პროგრამები დამოკიდებულია რეალურ დროში მომხმარებლის მიერ წარმოქმნილი მონაცემების მასიური ოდენობების მართვაზე, გაგებასა და რეაგირებაზე. მედია-პლატფორმა ვებ.2.0 ინტერნეტ-ტექნოლოგიასა და კომპიუტერულ პროგრამაზე დაფუძნებული პრინციპების ერთობლიობაა, რომელზეც მუშაობს მრავალი ვებ–ვერდი და ბლოგი. ახალმა სისტემამ შექმნა ინტერნეტის განვითარების ახალი საფეხური, აქ მთავარი პრინციპი მომხმარებლის ჩართულობაა, რომელზეც ხელმისაწვდომს ქმნის მრავალი ბრაუზერი, რითაც უფრო სრულყოფილი ხდება საკომუნიკაციო შესაძლებლობები. ვებ-2.0-ის ეპოქის მთავარი კომპეტენცია მეტამონაცემების აღმოჩენას, შემდეგ კი მონაცემთა ბაზის შექმნას გულისხმობს. ე.წ. «ჭკვიანი ელექტრო-ქსელი», რომლის დამფუძნებელმა Gavin Starks-მა და AMEE- ს ნეიტრალურმა ქსელმა არაკონსტრუქციული მონაცემებიდან და სტრუქტურირებულ მონაცემთა ნაკრებებზე შექმნა რუქა და ეს არის ვებ-კვადრატის მთავარი კომპეტენცია. მთლიანობაში, ვებ-2.0 სისტემა წარმოადგენს ისეთ სავაჭრო ადგილებს, როგორიცაა eBay და craigslist, მედია-შერეული კოლექციები, როგორიცაა YouTube და Flicker, უდიდესი, პირადი ცხოვრებისეული კოლექციები Twitter, MySpace და Facebook. პერსონალი მრავალი თვალსაზრისით არის პრეამბულა და ვებ-კვადრატის შესაძლებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ახალი მიმართულება ინტერნეტისთვის, მისი შეჯახების კურსი ფიზიკურ სამყაროსთან, ბიზნესს კი უზარმაზარ ახალ შესაძლებლობებს უხსნის მსოფლიოს ყველაზე აქტუალური პრობლემების შესაცვლელად.

დასკვნა

მე–20 საუკუნის ბოლო ისტორიული ათწლეული ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტერვენციის ხანაა. ეს იყო ერთგვარი წამოწყება საჯარო და კერძო სამეწარმეო უნარების, შესაძლებლობების და პარტნიორობის ეპოქა შეუზღუდავი კავშირების მისაღწევად, რასაც მოჰყვა თანდათანობითი ტრანსფორმაცია ინდუსტრიული საზოგადოებიდან ინფორმაციულ საზოგადოებაში. ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია დაფუძნებული კომუნიკაციის ციფრულად გარდაქმნაზე, კომპიუტერულ კავშირზე, გაუმჯობესებულ კომპიუტერულ უზრუნველყოფაზე, სადაც გამგზავნი და მიმღები – მედია და აუდიტორია (ადამიანები) ითვლებიან მედიამომხმარებლებად. ძირეული გარდაქმნები ამ სფეროში შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ფართოდ გავრცელებული მედიაკომერცია-ლიზაცია მსოფლიოს უდიდეს ნაწილში.
- გლობალიზაცია და მედიაბიზნესის კონცენ-ტრაცია კონგლომერატებსა და ქსელებში.
- მედიაბაზრის სეგმენტაცია, მაყურებლის სურვილზე/ინტერესზე მორგება .
- მულტიმედია - ბიზნეს-ჯგუფების ჩამოყა-ლიბება, რომლებიც მისწვდნენ კომუნიკაციის ყველა ფორმას, მათ შორის, ინტერნეტს.
- ტელესაკომუნიკაციო კომპანიების, ინტერ-ნეტ-კომპანიებისა და მედია-კომპანიების მზარდი ბიზნესკონვერგენცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილია ., თანამედროვე სოციალური თეორიები., ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. [305]
2. ხურცია ლალი, ციფრული პლატფორმები და ეკონომიკური გავლენები., ივ, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები., ,,ეკონომიკა– XXI საუკუნე.
3. თანამედროვე უცხოური ჟურნალისტიკა: გლობალიზაცია დასავლეთ ევროპის მედიის პრაქტიკაში / რედ. A. S. Puyu. SPb., 2010 წ.
4. Василий Гатов., Будущее Журналистики ., как новые медиа изменили Журналистику. http://newmedia2016.digital-books.ru/kniga/budushhee-zhurnalistiki/
5. Белякова Людмила., ,,Медиаиндустрия информационной эры: тенденции трансформации”., Национальные медиахолдинги в контексте реализации государственной информационной политики : материалы науч.-практ. конф. / [под общ. ред. канд. филол. наук, доц. С.В. Дубовика]. – Минск : Изд. центр БГУ, 2014.
6. www.cukashmir.ac.in Central University of Kashmir Nowgam, Srinagar, J&K- 190015. Course Title: Introduction to Convergent Journalism Course Code: MACJ- 101 Department: Convergent Journalism Year: 2016
7. By:RogerFidlerIn:Mediamorphosis:UnderstandingNewMedia DOI:http://dx.doi.org/10.4135/9781452233413.n1Subject: MassCommunication
8. /web2009_websquared-whitepaper. pdf., web2summit.com .Web Squared: Web 2.0 Five Years On.

Economic platforms of media in the digital age

Tamar Chejia, PhD student of Georgian Technical University

Summary

New technologies and electronic platforms, especially social media platforms are changing the world economy. The paper discusses the global trends in the development of digital media, which reveals the dynamics of the spread of digital, economic models of media, the picture of its introduction and use. The “modern round of civilization” leaves no choice for countries and continents, it obliges the “information society” to introduce intensive, new technologies, which means innovative projects in the information environment; By its very nature - it contributes to the accumulation of the latest scientific advances in the fields of innovation, analytical journalism, technology and tools, the synthesis of which expands the communication capabilities of the media and creative economy, this very important segment and increases its cognitive resource.

Keywords: Convergence, Digitalization, New Technologies, Social Media, Digital Platforms, Creative Economy.

ფილოლოგია

PHILOLOGY

სასპორტო ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“

ვაჟა დანელია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უკავია „ერის მამად“ წოდებულ სახელმწიფო მოხელესა და მეიგავე სულხან-საბა ორბელიანს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაშიც. მისი „სიტყვის კონა“, რომელიც ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, სამი ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. თავად ავტორი ბრძანებს, რომ ქართველებს დაკარგვოდათ ლექსიკონი, უდიერობით ფურცლები ქარისთვის გაუტანებიათ და „ახლად შევკრიბე, შევაწყვე, ჩემი ვიშრომე სულ ხანი / საბამან ორბელიანმან, ვის ერად ერქვა სულხანი“ [1, 654].

ლექსიკონის პირველი რედაქტორი ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი 1884 წელს გამოცემული „სიტყვის კონის“ წინასიტყვაობაში წერს: „ამ ლექსიკონის დანიშნულება არის ახსნა და განმარტება ქართულისავე გაუგებარი სიტყვებისა“ (გვ. XV), ანუ ლექსიკონი ძირითადად განმარტებითია, თუმცა, ილია აბულაძის თქმით, „ის რამდენადმე არაა მოკლებული ენციკლოპედიურსა და თარგმნით ხასიათსაც“ [2, 5]. თანაც ლექსიკური მასალა განლაგებულია ანბანის მიხედვით და სემანტიკური ბუდეც არ არის უცხო, რაც, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ნაკარნახევია მოსწავლეთა ინტერესით და სასწავლად აქვს შეტანილი.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, სულხან-საბას ლექსიკონიდან ცალკე წარმოაჩინოს სპორტისა და სპორტთან მიახლოებული ტერმინები, რომელთა მეცნიერული კვლევა-ძიება მეჩვიდნეტე-მეთვრამეტე საუკუნეების მიჯნისა და უფრო ადრინდელი პერიოდის ფიზიკური აღზრდისა და „ზნენი სამამაცონის“ არსისა და ლექსიკური ფონდის გაცნობა-შესწავლაში დაგვეხმარება.

საკვანძო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, „სიტყვის კონა“, სპორტის ტერმინები, „ანდერძნამაგი“, გაზეთი „დროება“, ფუნდრუკი, სხვათა ენა, „ვეფხისტყაოსანი“, სახელსახება, ნასესხები სიტყვები.

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საგლეხო რეფორმის მერე მეფის რუსეთის მთავრობამ, რომელსაც ხალხის თავშეყრისა და „ბუნტის“ ეშინოდა, საქართველოში სახალხო გართობების ჩატარება აკრძალა, რის წინააღმდეგაც ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა გაილაშქრეს. აკაკი წერეთელი 1880 წლის „დროებაში“ წერდა: „ნათლისღებას ზურნა აუკრძალიათ, მეზურნეები დაუპატიმრებიათ... რა ქნას ჩვენმა ხალხმა... ნუთუ იმის ნება არ უნდა ჰქონდეს, რომ კვირაში ერთხელ შრომისა და ოფლის ღვრის შემდეგ გული გაიმხიარულოს“?

კრიტიკული პუბლიკაციების მიუხედავად, რუსეთის მთავრობას პოზიცია არ შეუცვლია. გართობა-ასპარეზობანი და ფიზიკური ვარჯიშობები, როგორც მაშინ უწოდებდნენ შეჯიბრებებს, თანდათან დავიწყებას მიეცა. „იქამდე მივიდა საქმე, რომ თამაშის წესებიც კი სრულიად აღარ ახსოვს ხალხსა. საჭიროა ვინც კარგად იცის რომელიმე თამაშობა, დაწვრილებით აღწეროს, რომ გავავრცელოთ“ [3, #53].

ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა სწორედ იმ პერიოდში - 1882 წლის 17 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ ეთნოგრაფ ივანე გვარამაძის წერილის დაბეჭდვა მესხურ თამაშებზე. ამ ინფორმაციას ჯერ პროფესორმა ავთანდილ ციბაძემ, მერე კი ნოდარ გუგუშვილმა და პაატა ნაცვლიშვილმა მიაქციეს ყურადღება.

გვარამაძის თქმით, მესხური თამაშების პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა; მჯიღვით ბრძოლა; მხარდავედრა; ქოფი; ქალის გაქცევანი; ბურთობანი; რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ

ეტლებით; თუღოწრე; ქვის სროლა ფიქალისა ორი ხელით თუ ლოდებისა აწევ-დაწევა; ისრის სროლა; ჯირითი; კუნძის თრევა; მძიმე ნივთების აწევა; ხტომა; თავმოვლა; ჯორებუნა; ციხებუნა და სხვა მრავალი, რომელთა ნაწილი მაშინაც „ხმარებული“ იყო, მაგრამ ხალხისთვის სასარგებლო ჩვეულება დღითი დღე დავიწყებას ეძლეოდა, რადგან გლეხობას ათასგვარი გასასახადი მძიმე ტვირთად აწევა და „სათამაშო სავარჯისოდ სადღა სცალია“?.. [4, #217]. ავტორი გრძნობს, რომ კორესპონდენციაში დასახელებული ვარჯიშობების ზოგი სახეობის მნიშვნელობა მკთხველისთვის გაუგებარი იქნებოდა, ამიტომ მათ თავად განმარტავს:

ჭიდაობა. „ჯერ ტანისამოსით და შემდგომ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. ზეთს წაისვამდნენ წელ-ზემოდ და წმიდა სილას (ქვიშას) შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შესძლებოდათ ხელის მოკიდება“.

მჯიღვით ბრძოლა. „მაგარ ტყავის თათმანებს ჩაიცვამდნენ თითბერით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ ერთმანეთს თავ-პირში“.

მხარდავედრა. „ორად გაიყოფებოდნენ ხელ-ფეხ მარჯვე ვაჟნი. ერთი რიგი წრეს შიგნით იყო, მეორე წრეს გარედ. უკანასკნელნი ცდილობდნენ საშუროდ ჩაჩი [გრძელი ქუდი - საბა, 1. 316] მოეტაცათ შიგანაებისგან და ისინიც მოოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცხემდნენ, წრეს გარედ თუ მოერტყმიათ, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა. მაშინ გარენი წრეში შედიოდნენ და შიგანაები გარედ მოექცეოდნენ“... აშკარად ჩანს, რომ ლახტის (საბას განმარტებით, უმკვეთელო საცემი საომარი) მსგავსი თამაშობაა.

ქოფი. „აქაც წრეში შესულთ მხარესა ერთი წრეს შუა ამოთხრილს ფოსში ჩასდგამდა ფეხს; გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცვლევინებდა და თვითან ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა“ [4, #217].

თუღოწრე განუმარტავია. ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვის დაწერილობაში გვარამაძეს ან რედაქციას აქვთ კორექტურული შეცდომა დაშვებული - ალბათ, უნდა ეწეროს **თულოწრე,** რადგან „თუღოწრის“ განმარტებას ვერსად მივაკვლიეთ. „თულო“ კი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „ფუნდრუკია ერთი“ [2, 313], რაც „არს ვაჟებთა მიერ თამაშობა, რომელნი რბიან, ხლდებიან და დღისით და ღამით მრავალთა რასმე იქმენ სხვადასხვაობათა“ (2, 298). „ხლდომა“ კი, საბას განმარტებითვე, „ხლტომას, მაღლა შეხლტომას“ (1, 425) ნიშნავს. გამოდის, რომ მესხური თამაშების პროგრამაში რბენებთან ერთად ხტომებიც (სიგრძეზე, სიმაღლეზე) შედიოდა.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, გარდა ფუნდრუკისა, ხლტომა-ხლდომისა თუ თულოსი, თავმოყრილი და განმარტებულია 617 სასპორტო ან მასთან მიახლოებული ტერმინი, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის იმ ეპოქის ფიზიკურ აღზრდაზე, სასპორტო საქმიანობასა თუ საბრძოლო ხელოვნებაზე. ლექსიკონისთვის წამძღვარებული საბასეული „ანდერძნამაგით“ ნათელი ხდება, რომ მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად ზრუნავდა. ერის მოამაგე მწერლისთვის გიორგი მეფეს დაუვალებია ლექსიკონის შედგენა: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ხელყოფა“, - გვამცნობს სულხან-საბა. მიზეზი კი ის იყო, რომ „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ“ [2,27].

სულხან-საბას მიაჩნია, რომ ლექსიკონის უმთავრესი დანიშნულება მშობლიური ენის დაცვა და გაფრთხილებაა, ამიტომაც უტვირთია მის შესადგენად უმძიმესი საქმე. ქართულ ენაზე მსგავსი რამ რადგანაც არა „იპოებოდა“, „ბაძად“ სომხური ბარგირქისათვის მიუმართავს. ამასთან დაკავშირებით ილია აბულაძე ბრძანებს: „საბა თავისი ლექსიკონისთვის სომხურ ბარგირქს მხოლოდ აღნაგობის, ტექნიკის მხრივ იყენებს მისაბაძავად“ [5, 253-270].

ცნობილია, რომ გამზრდელისა და სულიერი მოძღვრის ნამუშაკევით ფრიად დაინტერესებული ყოფილა ვახტანგ მეექვსე და დიდად აფასებდა მას. უთქვამს კიდეც - „ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი“ [1, 653]. მეტიც - აღფრთოვანებული ყოფილა მისი ლექსიკონით: „შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე სიბრძნე მეცა, სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მევლო გინდა მე ცა“, - ამბობს ვახტანგ მეფე საბას ნაღვაწზე [1, 653].

ქართველთათვის დამაშვრალი „ერის მამა“ გრძნობდა, რომ მისი ნაამაგარით ყველა მადლიერი არ იქნებოდა. ერთ-ერთ მათგანს იხსენიებს კიდეც - თბილისის წინამძღვარ იობს, სწავლულ პიროვნებას, მწერალსა და მგალობლობით ქებულს, რომელიც ლექსიკონზე მუშაობისას საბას გმობდა და კიცხავდა, თურმე. „სიტყვის კონის“ დასრულების შემდეგ წიგნი უნახავს, მოსწონებია და გადაუწერია, ოღონდ ორბელიანის სახელი ყველან ამოუშლია და თავისი ჩაუწერია. ალბათ, ამიტომაც „ანდერნამაგში“ ავტორი გულდაწყეტით ამბობს: „არა თუ კიცხევისათვის აღმიწერია, რათა საქირდალად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვსწერე... ენა-გარყვნილებათაგან სწავლულნი მრავალთა აქა წერილთა სიტყვათა იუცხოებენ და შორად განიშორებენ... ვიცი, მრავალნი საბასრობელად დასდებენ ნაშრომთა ამათ ჩემთა. მათ თუცა წერილი უყვარან. მრავალნი სხვანი წერილნი არიან, საღმრთონი და საერონი, და რომელიც ენებოსთ, იგი

იკითხნენ. ხოლო ესე ჩემებრ უცებისათვის აღიწერა, და დაუტეონ“ [2,30].

საბას გარდაცვალების შემდეგ „სიტყვის კონას“ მრავალი გადამწერ-ჩამსწორებელი გასჩენია; ბევრი ნუსხა დღეს გამოცემულიცაა. მათში თავმოყრილი სასპორტო ლექსიკის უკეთ წარმოსაჩენად და საანალიზოდ 1991 და 1993 წლებში ილია აბულაძის გამოკვლევითა და განმარტებებით, შევსებული და განახლებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ 640 და 656-გვერდიანი ორტომეული გამოვიყენეთ.

ძირითადი ნაწილი

ქართველი ენათმეცნიერის, ლექსიკოლოგისა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიკოს სოლომონ იორდანიშვილის აზრით, სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში მოგზაურობის (1713-1716) შემდეგ გასცნობია სხვა ლექსიკონებსაც. თავად ბრძანებს: „მე უწინარეს ლათინური და ელენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკეთესის რიგით აღვწერდი. მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გავმართე“ [2, 29]. აქედან გამომდინარე, იორდანიშვილს მიაჩნია, რომ საბა როგორც აღ-მოსავლელი, ისე დასავლელი ლექსიკოლოგების გამოცდილებას ითვალისწინებს. ამდენად, ლექ-სიკონში შეტანილი სპორტის ტერმინების გაანა-ლიზებისას რამდენიმე თავისებურებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება:

1.ავტორი ზმნებისთვის ამოსავალ ფორმად საწყისს იყენებს: დგომა, მღერა, რბევა, ტყორცა, სრბოლა, ჭენება. ამავე დროს ლექსიკონში უხვად არის ზმნის პირიანი ფორმებიცა და მიმღეობებიც. მაგალითად: **ჭენება** - გაქცევა, რბოლა; ნ. აჭენა, გააჭენა, გაჭენებული, მჭენებელი, სიარული, სვლა; **რბენა** - სირბილით სლვა, ნ. აარბენინე (აღმა აჭენე), ვირბინე, ირბინა (სირბილი ყო), ნარბენი (სირბილნაქნარი), სიარული, სლვა: შდრ. რბევა; უფრო გამოკვეთილია პირველი პირის ფორმები როგორც აწმყოში, ისე უწყვეტელში. ეს, ცხადია, ლექსიკონში ზრდის ზმნურ ერთეულებს. საბაც გრძნობს ამგვარ სიჭარბეს და ზოგიერთ ხელნაწერში მსგავსი რიგების ბოლოს გადამეტებულ ფორმებზე შენიშვნებსაც ურთავს.

2.სახელზმნასთან ერთად უხვად არის წარ-მოდგენილი ანბანის რიგზე გაწყობილი ზმნების უზმნისწინო და ზმნისწინიანი (ა-ა, გა-ა, და-ა, შე-ა, წა-ა) ფორმები: აიკარვა, დაიკარვა, წააგო, წაადევნა; აარბენია... რომლებიც უფრო ევროპიდან დაბრუნების შემდგომ რედაქციებშია. ს. იორ-დანიშვილს მიაჩნია, რომ ეს განსაკუთრებული თავისებურება (ზმნების პირიელი ფორმების შე-ტანა) არის ლათინური და ელინური ლექსიკონე-ბის ნახვისა და „ქართული სიტყვის კონის“ მათი მიბაძვით გამართვის მცდელობა [6, IX].

3. ლექსიკონში ზოგად სახელთან თავმოყრილია სხვადასხვა სახეობა, ანუ, საბას თქმით, „განყო-ფილება“. მაგალითად: **ისარი** - ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართაი. ხოლო განიყოფ(ვ)იან სხვა და სხვად სახელებითა (ჩამოთვლილია თითოეული განმარტებითურთ ან განუმარტავად): ფრთე-და-ბალი და პირ-წვრილი, რომელსა ყივჩაყნი და თურქნი იქონებენ, არს **საყალნო;** ზომიერ(ი) ისარი, ფრთე-მობრტყე, და პირ-მობრტყე არს **სარჩა;** მისგან უგრძესი პირ-დიდი და ფრთე-მაღალი არს **ქეიბური;** ისარი სარჩის მსგავსი პირ-განპებული მომცრო(ი) არს **ქიბორჯი;** ისარი ქეიბურის მსგავსი პირ-დიდი განპებულ არს **ბოძალი;** ისარი სარჩის ტოლი სამ-ფრთოსანი, უპირო, წვერ-მგრგვალი არს **ყოდალი;** ყოდლის(ა) უგრძესი, წვერ-მწვეტი ჯვარედად ცხირ-დასხმული არს **ღრჯა;** ფრთე-მაღალი, გრძელი გრკალ-შემობმული არს **სეფქა;** უფრთო, უპირო ისარი არს **გეზი; სამალი** არს ღარი რკინისა (სა)სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი (სამალი არს მოკლე ისარი ღარით სასროლი). სხვანიც რამ ისარნი არიან, რომელსამე **ბორბ(ა)ლად** უწოდენ და სხვასა, ხოლო ყრმათა ისარცუდასა - **წინწკიტელა.** ნ. მეისარი, მოისარი, ნაისრი

ცხენი - გამოითარგმანების ცქვიტმავალი და მახვილმორბედი (მამალსა ცხენსა ეწოდების **ახტა** და დედალსა - **ხრდალი** და **ჭაკი**, შვილთა მათთა **კიცვი,** რომელსა მსოფლიონი კვიცად უწოდენ; ხოლო კიცვსა ახტასა **ურა** და ხრდალსა **ფაშატი** ეწოდების, სარემაესა კურატსა - **აჯილღა,** გამოყვერულსა (გამოყვერილსა) - **ტაიჭი,** აღსაჯდომელსა ცხენსა - **სახედარი,** გვარიანსა და კეთილსა (+ცხენსა) - **ჰუნე** და **ჯინიბი,** რომელ არს მარქაფა; უმწყსა ცხენსა - **რემა**, ასაკმცირესა (+ცხენსა) - **გერგე**, ვირთა და კერძოვირთა, რომელ არს ჯორი, - ახტა და ხრდლობა ითქმის; ხოლო კიცვთა მათთა (მისთა) - **მუტრუკი**, აღსაჯდომელსა ვირსა - **კარაული;**

4. ზოგად სახელებთან ერთად, საბას უცდია „ერთგვარი გრამატიკული შემოკრებულობანიც, ე.ი. გრამატიკულად ახლოს მდგომ ნაწარმოებ სიტყვე-ბის მათ ძირითად სიტყვის „ბუდეში“ შემოკრებუ-ლად დაწერა სათანადო ახსნა-განმარტებით“, - წერს იორდანიშვილი [6, XIII]. ზოგჯერ ზმნის მარტივ საწყისთან განუმარტებლად თავმოყრილია მისი ზმნისწინიანი ფორმები: ჯრა - მრავალ კაცთ ვიწრო(დ) ყოფ(ნ)ა - გაჯრა, მიჯრა, მოჯრა, შეჯრა, ჩაჯრა, ბმა - დაბმა - მობმა - გამობმა - ჩამობმა.

„სიტყვის კონაში“ უამრავი უცხოური სასპორტო ტერმინია. ზოგ მათგანთან ზუსტად არის მითი-თებული, თუ რომელი ენიდანაა შემოსული, ზოგან კი ავტორი ამას ვერ არკვევს ან წარმომავლობაა აღრეული. „ანდერნამაგში“ სულხან-საბა თავად წერს: „რომელნიცა ვიცოდი დავწერე, და რომლნიცა

ძნელნი სიტყვანი არა ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვპოე. და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე. რომელიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“ [2, 28]. ამ რეალობიდან გამომდინარე, ორბელიანის ლექსიკონში აღნუსხული სასპორტო ლექსიკა, შეიძლება, რამდენიმე რიგად დაჯგუფდეს:

1.ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული სასპორტო ტერმინის აღმნიშვნელი უცხური სიტყვები, რომელთა წარმომავლობასაც ზუსტად გვამცნობს ავტორი;

აჯი - ნ. აჯის მშვილდი - როსტომიანში მოუყვანიათ, ფალაურის ენით რქის მშვილდი (არაბულს მშვილდს იტყვის, არაბულს იტყვის). მართალია, ლექსიკოგრაფთა დიდ ნაწილს აჯი არაბული Áǧ-იდან (სპილოს ძვალი) მომდინარე მიაჩნია, თუმცა ზოგიერთის ვარაუდით, ეს სიტყვა საქართველოში სპარსულის გზით დამკვიდრდა;

ქამანდარი - სპარსულია, ქართულად ჩუბინი ჰქვიან (განმარტ. ლექს., ქამანდარი - [სპ.] (ძვ.) – 1. იგივეა, რაც მექამანდე, 2. (კუთხ.) კარგი მსროლელი);

იპოდრომი - ბერძნულია, ცხენთ სარბიელი (განმარტ. ლექს., იპოდრომი [ბერძ.] - საგანგებოდ მოწყობილი მეოდანი ცხენების საჭენებლად, შესაჯიბრებლად);

2. უცხოური ტერმინები, რომელთა წარმომავლობა უცნობია ავტორისთვის და ქართულ ლექსიკურ ერთეულად არის წარმოდგენილი; გერმანელი ქართველოლოგ ჰაინც ფენრიხის აზრით, ნასესხები სიტყვები ისე მიემსგავსა ქართული ენის ლექსიკურ ფონდს, ქართული ენის სისტემას, რომ ხშირად ისინი აღიქმება არა როგორც ნასესხებები, არამედ როგორც ქართული სიტყვები:

ალაფობა - ნ. რბევა - დარბევა არს ერთისა ანუ ორისა კაცისა ხვასტაგთა წარტაცება; რბოდეს, გინა ჭენება, 2. რბენა - სირბილით სლვა; **ალაფი** კი ძველად ნადავლს, არაბულად კი საქონლის საკვებს - ფურაჟს ან მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარს ნიშნავდა;

ბაზიერი - მექორე, მეშავარდნე(ნი), **იბაზიერა** - ბაზიერობა ქნა; **საბაზიერო** - სახლი ბაზთა და ბაზიერთა, საქორე სახლი (განმარტ. ლექს.: **ბაზიერი** სპარსულია, ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველი);

კამათელი - ნარდზე(დ) საგორ(ვ)ებელი (მკვლევართა ვარაუდით, კამათელი არაბულია, ქა'ბ სიტყვიდან - ძვალი, ქვა, სათამაშო ძვალი; ქა'აბათაინ ka'batayni- ორი სათამაშო ქვა, კამათლები. ასეთი ფორმით შესულა ის სპარსულში. „ვეფხისტყაოსანში“ – „ადრე გამიტყდა სოფელი მართ ვითა კაბათენია“ [7, 506]. კაბათენი-კამათენი-კამათელი);

ულაყი - საკიდარი ცხენი, ჯორი დს მისთანანი (ესე არს საკიდარი ცხენი, ჯორი, აქლემი, ვირი, აზავერი და მისთანანი); განმარტ. ლექს.: ულაყი [თურქ.] - მამალი ცხენი (აგრეთვე, ვირი და მისთანანი);

ქიში - (ჭადრაკის მღერის-ა) წადი (ადეგ); (განმარტ. ლექსიკ.: სპ.-თურქ., ჭადრაკის თამაშში ისეთი მდგომარეობა, როდესაც მეფეს მოწინააღმდეგის რომელიმე ფიგურით ან პაიკით თავდასხმა ელის);

სავარაუდო იყო, რომ „სიტყვის კონაში“ შეტანილი იქნებოდა საჭადრაკო ტერმინი **შამათიც** (სპ., არაბ.), რომელიც, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ჭადრაკში ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ერთ-ერთი მხარის მეფეს აღარ შეუძლია თავდაცვა მოწინააღმდეგის ქიშისგან (ნიშნავს წაგებას). საბას ლექსიკონში ტერმინი შამათი არ არის, არადა, ეს სიტყვა ჯერ კიდევ შოთა რუსთაველს აქვს გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“: ინდოეთში დაბრუნებულ ტარიელს დედოფალი ეუბნება: „ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩვენნი, ვერ დაგცემენ ყოლ შამათსა“ [7, 509], ანუ ვერ დაგვაშამათებენ, ვერ მოგვერევიანო.

3. „სხვა ენა“ თუ „სხვათა სიტყვა“ (უცხოური სიტყვები), რომლებსაც კონკრეტულობა აკლია (არ არის მითითებული, რომელი ენა იგულისხმება):

თარეში - სხვათა ენაა, ქართულად მარბიელი ჰქვიან (ეს სიტყვა თურქული წარმოშობისაა);

ვაზნა - თოფის წამლის ჭურჭელი. სხვათა ენაა, ქართულად მუხტი ჰქვიან (ვაზნა არაბულია, წონას, მნიშვნელობას აღნიშნავს: არაბულად - wazn, თურქულად - vezne);

ნალი - სხვათა ენაა, ქართულად საჭედარი და ლუმბა ჰქვიან (არაბულია - ცხენს ნალი დააჭედა, ჩაცვა ფეხსაცმელი);

მეედანი - მეიდანი, სხვათა ენაა, ქართულად მერე მინდორი და ფორე ჰქვიან, ნ. ასპარეზი (მეიდანი არაბულია - მოედანი, არენა);

ავზი - ავაზანი - წყლის სადგური, წყლის (წყალთ) საგუბარი (არაბული ჰავზ - წყალი მოაგროვა);

4. ტერმინები, რომელთა წარმომავლობა აღრეულია. მაგალითად, სპარსული წარმოშობის ასპარეზი ავტორს მიჩნეული აქვს სომხურად.

ასპარეზი - სომხურად სტადიონს ჰქვიან, ხოლო ქართულად მინდორსა, რომელ არს მეიდანი (ასპარეზი არს სტადიონი, გინა უტევანი, მინდორადაც ითქმის სამღერელად ჭაბუკთა). ნ. ეასპარეზა, მაასპარეზე, ნაასპარეზევი; შდრ. უტევანი [განმარტ. ლექს.: ტერმინი სპარსულია - მოქმედების, მოღვაწეობის არე, - სარბიელი];

ალამი - სპარსულად დროშა, ქართულად - სამხრე ზორტი, გინა ნიშანი რამე შუბთა და მისთანათა (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი მითითებულია, რომ არაბულია, კვალის, ნიშნის, დროშის მნიშვნელობით. მისგან ნაწარმოებია სპარსულში (-**დარ** სუფიქსით) **ალამ-დარ**-ი, რაც მედროშეს ნიშნავს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ არაბული ალამი ქართულში სპარსულის გზით შემოვიდა);

განჯაფა - სამღერელია (+ტყაპუნა), განჯაფა თურქთა ენაა, ქართულად **ბიანქო** ეწოდების (იოსებ გრიშაშვილის ქალაქური ლექსიკონის მიხედვით, **განჯაფა** სპარსეთიდან შემოტანილი ბანქოს მსგავსი თამაშობაა).

„სიტყვის კონაში“ შეტანილი ბევრი ლექსიკური ერთეული დღეს არქაიზმია, თუმცა ამჟამად ზოგიერთის გააქტიურება ხდება. მსგავსი პროცესი ნიშანდობლივია რაგბიში. უწინ სპორტის ამ სახეობის ქართული ტერმინოლოგია სტიქიურად დგინდებოდა და „მეტწილად რუსულის უხეირო კალკი ან უგემოვნო ჟარგონი იყო“. ახლა მორაგბეები ინგლისურ-ფრანგულიდან ტერმინების თარგმნასთან ერთად ძველ სიტყვებსაც აცოცხლებენ. მაგალითად, სულხან-საბასთან **აბრაგანი** განმარტებულია, როგორც „ბურთის ჩოგნის აღმა აკვრა; ბურთის ჩოგნის კრვა, ბურთის კვრა ჩოგათა“. ტერმინისთვის ყურადღება მიუქცევია აწგანსვენებულ პროფესორ ავთანდილ ციბაძეს. მას შემდეგ ეს სიტყვა აიტაცეს მორაგბეებმა და ფანდი, რომელსაც ინგლისურად **„აპ ენდა ანდა, ჰაი ბოლ, გარიოუენ“** ჰქვია, ქართულად „აბრაგანად“ მონათლეს; ინგლისურ **reserves-ს** ქართულად შეუფარდეს **მარქაფა**, რომელიც, საბას განმარტებით, ჯინიბი, მეორე ცხენი (მეორე ცხენი აკაზმული), ანუ სათადარიგო მოთამაშეა.

„თამაშის წესებში ჩაწერეს მორაგბეთა დასარწყულებლად მოედანზე შემავალი კაციც. ინგლისურად მას **„ვოთერ ქერიერ“** ჰქვია, ჩვენ კი ტფილისური **თულუხჩი** შევუსაბამეთ“, - წერს ერთ-ერთ ნაშრომში ზაალ გიგინეიშვილი [8, 74-79].

„ტფილისური თულუხჩი“ თურქული სიტყვაა [9, 242] და მეთულუხეს [9, 288], ანუ თულუხით წყლის მზიდავს ნიშნავს. თულუხიც თურქულია - წყლის საზიდავი (ცხენით და მისთანათი) რუმბი, კასრი ან დიდი თუნგია [9, 242]. ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინ **მერწყულის** ან **მერწყულეს** (სიტყვიდან „არწყულებს“ ხელობის მე-ე თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები) გამოყენება, რაც, საბას განმარტებით, **წყალთ მზიდავია** (წყლის მზიდავი) ან **ზოდიაქო** (ესენი არიან სახელნი და ნიშანნი მათ(თა)ნი და რომელთა თთვესა მიითვალავს მზე მათ: მერწყული - იანვარსა 20). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის [10, 233] მიხედვითაც **მერწყული, მერწყულე** წყლის მომტანს ნიშნავს („იყვნენ იგინი **მრეშველი**ი (მრეშველი - მეშეშე) და **მერწყულე**“; „არა მოგაკლდეს თქუენგან მონა, **მრეშველი** და **მერწყული**“; **M. ისუ ნ. 9.21 და 23**). თულუხს, თულუხჩსა და მეთულუხეს საბას და აბულაძის ლექსიკონები არ იცნობს.

ასი წლის წინათ, 1920 წელს, დაიბეჭდა ქართული სპორტის ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი - „რუსულ-ქართულ ტეხნიკურ ლექსიკონზე“ დართული და შემდეგ ტანვარჯიშის მოყვარულთა საზოგადოება „შევარდენის“ მიერ ხელნაწერის უფლებით ცალკე გამოცემული საშევარდენო ტანვარჯიშის 15-გვერდიანი სახელსახება (ტერმინოლოგია) - რუსულ-ქართული სიტყვარი [11, 263-278], რომელიც, ფაქტობრივად, გიორგი ნიკოლაძის შედგენილია. მან შემოიღო **ტერმინის** ნაცვლად **სახელსახი, ტერმინოლოგიისა - სახელსახება, კატეგორიისა - თანრიგი, შტანგისა - ორბირთა;** მასვე ძველი ქართული სიტყვებიდან ახალი ტერმინები შეუქმნია. მაგალითად, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან სიტყვა **„მიჯრის“** („ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა“) გამოყენებით დაუმკვიდრებია ახალი სატანვარჯიშო ტერმინები - **„მიიჯერ“** და **„გაიჯერ“.**

ცხადია, ამ მოსაზრების მართებულობაში ვერ დავეჭვდებით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ტერმინი **გაჯრა** აღნუსხული და ახსნილი აქვს სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონაში“: **ჯარ** - ნ. გაჯრა (გაჭედასავით), მიჯრა, მოჯრა, შეჯრა (შეტკეცა), ჩაჯრა (ღრმაში გაჯრა), **ჯრა** - მრავალ კაცთ ვიწრო(დ) ყოფ(ნ)ა; ნ. ჯარი - მრავალი-კაცნი, მიჯრა - ჯარის შეტკეცა (მიჯრა), მოჯრა; **ჯგლითი** - ჯრა. არა გვგონია, რომ გიორგი ნიკოლაძისთვის სულხან-საბა ლექსიკონი უცხო ყოფილიყო.

რადგან ზემოთ „ვეფხისტყაოსანი“ ვახსენეთ, ამ თხზულებიდან ორ სიტყვაზეც გავამახვილებთ ყურადღებას. ესენია **დგენა** და **დგრიალი.** ფატმანი ეუბნება ავთანდილს: „ათ დღემდე ისმის ყოველგნით ხმა წინწილისა, ებნისა, / მოედანს მღერა, ბურთობა, **დგრიალი** ცხენთა **დგენისა**“ [7, 368]. კომენტარებში ნათქვამია: **მღერა** - 1. თამაში, 2. სიმღერა; **დგენა** - დოღი ან მარულა), **დგრიალი** კი განუმარტავია. სიტყვის კონაში კი ეს ტერმინები ასეა ახსნილი: **დგენა** - ორთა სამჯობინარ(ო)თა გამოცდა, [ორთ(ა) გამოცდა სამჯობინ(ა)რად); **დგერა** - ფე(რ)ხის ხმა(ი), ფერხის ხმა და მისთანანი]; **დგრიალი** - მრავალ ფე(რ)ხის ხმა(ი) [ფერხთ მრავალხმა; ფერხთა მრავალ ხმანი].

დასკვნა

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული სასპორტო ლექსიკის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანი წყაროა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“, რომელშიც სპორტთან დაკავშირებული ექვსასზე მეტი ლექსიკური ერთეულია შესული. როგორც ილია აბულაძე ბრძანებს, „მწერალ სპარსოფილების ბარბარიზმებსა და აღმოსავლური ყაიდით წერის მანერას საბამ დაუპირისპირა პურიზმი და ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი სისადავე“. ლექსიკონში შემავალი ქართული თუ უცხოური სიტყვები მკვლევართა მიერ მრავალმხრივ არის შესწავლილი, თუმცა ფონეტიკური და

სემანტიკური ტრანფორმაციების ანალიზის, ნასესხობის შემოსვლის გზების დადგენის თვალსაზრისით სასპორტო ტერმინებს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ამიტომ ამ კუთხით „სიტყვის კონის“ გაანალიზება ქართული სასპორტო ტერმინოლოგიის გამდიდრებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი, 1993;
2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, „მერანი, 1991;
3. „ივერია“, #53, 1894;
4. „დროება“, #217, 1882;
5. ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები. თბ., სახ. უნივერსიტეტის შრომები. ტ. III, 1938, გვ. 253-270;
6. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელი არს ლექსიკონი (ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1949;
7. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ), გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1992;
8. ზაალ გიგინეიშვილი, რაგბის ქართული ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიის საკითხები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2014, გვ. 74-79;
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), არნ. ჩიქობავას რედაქციით, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1986;
10. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1973 [M. ისუ ნ. 9.21 და 23 - მცხეთის ბიბლია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-51 ხელნაწერი, წიგნი ისუ ნავესი, 9.21 და 23];
11. საშევარდენო ტანვარჯიშის სახელსახება (ტერმინოლოგია) - რუსულ-ქართული სიტყვარი, თბ., 1920, გვ. 263-278;

Sports Vocabulary in Sulkhan-Saba Orbeliani's «Speech Cone»

Vaja Danelia, Doctor of Social Sciences

Summary

Sulkhan-Saba Orbeliani, a state official called the «Father of the Nation» and his successor, also made a great contribution to the development of Georgian lexicography. His «word box» has been created and refined for over three decades. The author himself orders that Georgians lose their dictionary and that is why he started this difficult task. The Lesikon compiles and explains 617 sports terms or approaches that give us an idea of the physical upbringing, sports activities, or martial arts of that era. Our goal is to present, analyze and study this lexical fund more clearly, to identify ways of entering the loan, which will contribute to the enrichment of Georgian sports terminology.

Keywords: Sulkhan-Saba Orbeliani, Dictionary, «word box», sports terms, «testament», «Droeba» newspaper, fundruk, other people's language, «tiger-skinned», name, borrowed words.

ვამეყ დადიანი და მისი ოჯახი ე.წ. „აბდულმესიანსა“ და ფეშანგის „შაჰნავაზიანში“

მურმან თავდიშვილი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ე.წ. ,,აბდულმესიანი” არ არის მე-XII საუკუნის ცნობილი პოეტის შავთელის ქმნილება. ეგ 107-სტროფიანი ხოტბა დაუწერია იაკობ მიტროპოლიტს 1661 წელს იმერეთის ტახტზე ასული ნორჩი ხელმწიფის, არჩილ ბაგრატიონის ავტორიტეტის ასამაღლებლად.

1661 წელს ნორჩი მეფის გახელმწიფებას წინ უძღოდა დრამატული ამბავი: მამამისმა ვახტანგ V შაჰნავაზმა, პირი შეკრა სამეგრელოს მთავარ ვამეყ დადიანთან, გაიყვეს ტერიტორიები და კიდევაც დამოყვრდნენ. ვამეყის ასული ცოლად უნდა მოეყვანა არჩილს. სასიმამრომ პირობა ურცხვად გატეხა, ასული სხვას მიათხოვა, ბაგრატიონებს პირისწყალი დაუღვარა. განრისხებულმა შაჰნავაზმა სასტიკად დასაჯა ორგული და მოღალატე: ვამეყი სვანეთში მოკლეს; მისი ცოლი და ქალ-ვაჟი კი შაჰნავაზმა თბილისში გაგზავნა დედოფალ მარიამთან. დედოფალმა ტყვეები მოწყალედ მიიღო, ხოლო ვამეყს საფლავიც არა ღირსებია. მისი სხეული ყვავ-ყორნებმა ჯიჯგნეს.

ეს სამწუხარო ამბავი არეკლილია როგორც ე.წ. ,,აბდულმესიანში”, ანუ ,,არჩილ მეფის ქებაში”, ისე უფრო ვრცელ პოემაში ,,შაჰნავაზიანი”. ,,შაჰნავაზიანი”-ს ხოტბის შექმნიდან (1661წ.) სამი-ოთხი წლის შემდეგ დაწერა ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ.

ეს ფაქტი, რომ ე.წ. ,,აბდულმესიანსა” (უფრო მოკლედ) და ,,შაჰნავაზიანში” (უფრო ფართოდ) არის ასახული ვამეყ დადიანის ოჯახის მწარე ხვედრი, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაა შენიშნული.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ამტკიცებს: ჩვენს ხელთარსებული 107-სტროფიანი ქება არის არა ,,აბდულმესიანი”, არამედ ,,ქება მეფისა არჩილისა”.

საკვანძო სიტყვები: ე.წ. ,,აბდულმესიანი“, იაკობ მიტროპოლიტი, ,,ქება მეფისა არჩილისა“, ფეშანგი, პოემა ,,შაჰნავაზიანი“, ვამეყ დადიანი, მისი ოჯახის ტრაგედია.

შესავალი

წინა მასალებში უკვე ვნახეთ, რომ ე.წ. ,,აბდულმესიანი” და არჩილ მეფის ,,გაბაასება“ აირეკლავს 1661 წელს დასავლეთ საქართველოში მომხდარ ამბებს; იგივე ხდება ,,გაბაასებაზე“ გაცილებით ადრე შეთხზულ ,,შაჰნავაზიანში“. თუ არჩილის შედევრი 1681-1682 წლებშია შექმნილი, ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ ,,შაჰნავაზიანი“ დაწერა 1664 წელს.

მაშასადამე, ფეშანგის პოემა ე.წ. ,,აბდულმესიანის“, ანუ იაკობ დუმბაძის ,,არჩილ მეფის ქების“ (1661), შეთხზვისთანავე არის დასრულებული.

ბუნებრივია, იგი 1661 წელს მომხდარ ამბებსაც აღწერს და აღწერს უფრო ვრცლად და დაწვრილებით, ვიდრე - იაკობის ხოტბა და არჩილის შედევრი.

2. ძირითადი ნაწილი:

იდეოლოგია აქაც იგივეა: ვახტანგ V შაჰნავაზი არის საქართველოს გამაერთიანებელი, გმირი მეფე და თვითმპყრობელი: ,,მამაცი და გულოანი“ - იგი გმირთა დასადარი; მათსა ხმალსაც ვერ დაუდგამს, კლდეცა იყოს მეტად სალი“; ,,მეუნებლე მოამდაბლა, მტერნი მისცა დია სრასა“ (1, გვ. 34); ,,მეფე შაჰნავაზ ყაენსა მიაჩანს ძმად და ძმობილად“ (იქვე, გვ. 40); ის არის უხვი, მდიდარი, პატიოსანი და სამართლიანი, სიტყვის კაცი.

სამუქფოდ, სულ სხვაგვარია მისი მოპირისპირე და ქვეგამხედვარი ფეოდალი ვამეყ III დადიანი. როგორც ე.წ. ,,აბდულმესიანსა“ და არჩილის პოემაში, ისე აქაც მითითებულია ვამეყის ეს უკუღმართი თვისებები:

ვამეყ დადიანს მოესმა
ლაშქრობა დიდთა მეფეთა;
მოწყენა შექმნა ასეთი,
თუ სთქვა, ლახუართა ეფეთა (იქვე, გვ. 55).

ფეოდალმა ჯერ პირი შეკრა ვახტანგ მეხუთესთან და აგრე გაურიგდა:

ჩვენ გავიყოთ საპატრონო,
რადგან ასე ცუდად ძესა;
პირი დავსდუათ მოყურობისა,
ქალი მოვსცა მაგა ძესა (გვ. 56).

მაშასადამე, მიწები გაინაწილეს და დადიანმა თავისი გრძელცხვირა და არცთუ სასიამოვნო შესახედაობის ასული არჩილ მეფის საცოლედ გამოაცხადა. პოემაში მერე ასე წერია:

მოყურობა შექმნა ლომგულმა, ვინ-ა
შუქ-დაუფარავი (გვ. 57).

ლომგულმა შაჰნავაზმა დადიანის მოყვრობაზე თანხმობა განაცხადაო, მაგრამ მორიელი მორიელობას არ მოიშლის, ძაღლის კუდი არ გასწორდება.

დადიანი შემოვიდა, გულსა ჰქონდა სხვა
დარიგი,
აქუს სიმრუდე, თქმა და რჩევა... (გვ. 62).

მალე ფეოდალმა ღვთივგვირგვინოსანს პირი შეუშალა, სიტყვა გაუტეხა, უღალატა:

ხანი გამოხდა, არჩივეს მათ დიდთა ფიცთა
ტეხანი,

არ გაიმართვის კაცთაგან საქმის უკუღმა
გრეხანი (გვ. 62).

ასე ხელყოო მუხთალმა დიდი მეფის ღირსება და პატივი, მაგრამო

ვინ ხელყოს დიდთა ძაგება, ის მოიპოვნებს
ისარებს (გვ. 63).

ერთი სიტყვით, დიდ ხელმწიფესო

უჭკუოთა ქალი წაართვეს... (გვ. 63).

ამის შემდეგ მოდის მთელი სტროფი, სადაც გაშლილია მსჯელობა ვამეყის ვერაგობაზე:

ვამეყ გატეხა ზენარი, ფიცი, სიმტკიცე სრულია;
ვეზირი უჯდა რეგვენი, ჭკვისაგან გარდასულია;
არჩივა ძნელი საქმარი, მით წაიწყმიდა სულია;
მან მოაოხრა ქვეყანა, მოჰგვარა აღსასრულია (გვ. 64).

რაც ამ სტროფშია ნათქვამი, ყველაფერი ეს უფრო მოკლედ და სხარტად ასახულია ე.წ. ,,აბდულმესიანში", რომელიც ამ თხზულებასთან შედარებით 3-4 წლით ადრეა შეთხზული. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა 32-ე სტროფი:

ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო ამან ქვეყანით,
აღმოფხვრა სული - ძე და ასული;
რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!
ვნახეთ-ა სერი: მაზედა სერი -
მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისევნით!
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით (5).

პოემაში დაწვრილებით არის აღწერილი ის, რაც ნათქვამია ხოტბაში: ვამეყი შაჰნავაზმა და არჩილმა იავარყვეს, ამა ქვეყნის სიამეს გამოასალმეს, მისი ოჯახი გაანადგურეს და მის მძორზე მხეცები და ფრინველები ახეირესო; პროვინციის მეფედ ამაღლებული უძალო ყვეს და გლახაკს, ძონძებით მოსილს, დაამსგავსესო.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი აქ ერთი რამეა: ხოტბაში გაკვრით არის ნახსენები ვამეყის ოჯახის ორი წევრი - დადიანის ძე და ასული:

აღმოფხვრა სული - ძე და ასული.

ფეშანგის პოემიდან ირკვევა, რომ ვამეყ III დადიანს ჰყოლია ცოლი და ორი შვილი - ძე და ასული. აი, როგორაა ეს გადმოცემული: ვახტანგ მეხუთე ბრძანებს: ,,ვამეყს არ დავარჩენ, თუღა მახსოვს მისგან ქმნული!" (გვ. 72). დამნაშავე სვანეთში გადაიხვეწა: ,,ვამეყ მთხრელმა ქვეყნისამან გუარი ასრე მოაყივნა" (გვ. 82). მოღალატე არც სვანეთში დაინდეს, მოკლეს და ეს სასიხარულო ამბავი ხელმწიფე შაჰნავაზს ახარეს:

თქუა: ,,მოკლესო დადიანი, სუანეთს იყო იგ
მაშინა;
ვამეყ წახდა ფიცთა ტეხით, ღვთისგან აროს
შეეშინა,
ოხრად დაურჩა სამყოფი, უანგარიშო რა მალი...
აწ ნახეთ მისად სანაცვლოდ ვით ჰპოა
აღსასრულები (გვ. 86).

ყოველივე ეს, როგორც ითქვა, მოკლედ აღწერილია ხოტბის 32-ე სტროფში, მაგრამ საგულისხმოა, რომ პოემაში ამის შემდგომ გამოჩნდება ვამეყის ,,ძე და ასული". ხოტბაში რომ ასე მოკლედ წერია ,,ძე და ასული", აქ, პოემაში, ეს ამბავი გაშლილია - ვამეყის ცოლი, ძე და ასული მიჰგვარესო შაჰნავაზს:

შუილი მიჰგუარეს შაჰნავაზს, ვამეყთან
გაყოლილია,
შიშს დაებნიდა ყმაწვილი, არსად მოსულოდა
ძილია;
გაოხრდა მათი ქონება, სამყოფთათ
გარდავლილია;
დედოფალი და ასული, თან მოჰყავ ვაჟიშვილია
(გვ. 86).

სამივე მათგანი - ვამეყის ცოლი, ძე და ასული - შაჰნავაზმა თბილისში გაგზავნა, თავის მეუღლესთან.

მარიამ დედოფალმა მიიღო ტყვეები. ფეშანგი გვიმხელს ვამეყ დადიანის ცოლის სახელსაც - ელენე რქმევია.

ელენემ ნახა სამეფო, იმა დედოფალ ყოფილმან (გვ. 95).

ამრიგად, მივაგენით იმას, რასაც ვეძებდით:

ე.წ. ,,აბდულმესიანში", ანუ იაკობ დუმბაძის ,,არჩილ მეფის ქებაში", გაკვრით რომაა ნახსენები - ,,აღმოფხვრა სული - ძე და ასული", ეს ძე და ასული ფართოდ ჩანს ფეშანგის პოემაში. ისინი ვამეყ III დადიანისა და დედოფალ ელენეს შვილები არიან.

მაშასადამე, ფეშანგის პოემა შეიძლება წარმოვიდგინოთ გაშლილ კომენტარად ხოტბის 32-ე სტროფისა, სადაც ძალიან ზოგადად არის მინიშნებული ვამეყის, როგორც ბოროტი ირანელი ვისის მსგავსის, საქმენი ,,საგმირონია" და მერე აღწერილია მისი ვისისამებრ ავი აღსასრული: ამან (არჩილმა) იგი და მისი ოჯახი იავარყო; აღმოფხვრა სული - ძე და ასული. ესე იგი, თავიანთ სამკვიდროს მოსწყვიტა და გადაასახლა, ტყვედ ჩაიგდო ხელში ვამეყის ვაჟი და ასული, ასევე, მისი ცოლი ელენე. ხოტბის მიხედვით, ,,რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით!" ისე საშინელ დღეში ჩააგდო, ენაც ვერ გამოთქვამსო; მის მძორს მხეცები და ფრინველები ძიძგნიანო; ოჯახის დანარჩენი წევრები კი ,,ქმნა უძალოდ", სამეფო ტანსაცმლის ნაცვლად ძაძებში გამოახვიაო.

ამ ორ ნაწარმოებს შორის იძებნება სხვა პარალელებიც, ოღონდ უმთავრესია შემდეგი: ხოტბაში ნახსენებია ვამეყი, ირანელი ვისის მსგავსი ვერაგი პიროვნება, და მისი ორივე შვილი - ძე და ასული.

დასკვნა

ეს ამბავიც იმას დასტურყოფს, რომ ე.წ. ,,აბდულმესიანი" გახლავთ არა მეთორმეტე საუკუნის მგოსნის შავთელის, არამედ მეჩვიდმეტე ასწლეულის მოღვაწის იაკობ დუმბაძის ნაშრომი და მისი ნამდვილი სახელია ,,ქება მეფისა არჩილისა".

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1. ფეშანგი, შაჰნავაზიანი, თბილისი, 1935.
2. 2. ქართული მწერლობა, 3, თბილისი, 1988, ე.წ. ,,აბდულმესიანი“.

Vamek Dadiani and his family in a so called "Abdulmesiani" And in a Peshangi's "Shakhnavaziani"

Murman Tavdishvili, professor of Gerogian Technical University

Summary

The so-called "Abdulmesiani" is not written by the famous poet of the 12th century Shavteli. The praise with 107 verses was written by Metropolitan Jacob in 1661 to raise the authority of young king of Imereti Archil Bagrationi.

A dramatic story was preceded the reign of the young king in 1661: his father, Vakhtang V, Shakhnavazi, collusion together with the governor of Samegrelo Vamek Dadiani, they divided the territories and even related by marriage. Archili had to married to Vameki's daughter. Future father-in-law broke the promise, forced her daughter to get married to another man. The enraged Shakhnavazi severely punished the betrayer and traitor: Vameki was killed in Svaneti; Shakhnavazi sent his wife, a daughter and son to the Queen Mariami in Tbilisi. The queen mercifully received the captives, and Vameki doesn't even have a tomb. Her body was torn by raven and spades.

This sorrowful story is written in the so-called "Abdulmesiani", or in other words "Praise of the king Archili", and more broadly in the poem "Shakhnavaziani." Peshangi Pashvibertadze created "Shahnavaziani" 3-4 years after the creation of the praise (1661).

In a scientific literature has not yet noted the fact that in ,,Abdulmesiani" (shorter) and ,,Shakhnavaziani" (more broadly) there is written the bitter destiny of the Vamek Dadiani's family.

The above mentioned once again proves: that the praise with 107 verses is not "Abdulmesiani", but "Praise of the King Archili."

Key words: so called "Abdulmesiani", Iakob metropolitan, "Praise of the King Archil", Peshangi, poem "Shakhnavaziani", Vamek Dadiani, tragedy of his family.

On the Structure of Electronic Texts

Tamar Mebuke, professor
Georgian Technical University

Astract

The paper examines the structure of the fictional electronic texts that belong to the first two generations of electronic literature on the example of Michael Joyce`s texts, who was the innovator of this trend in literature. Being created on a computer, and designed to be read on a computer, electronic literature, having retained many features of print literature, modifies them under the influence of computer-associated culture creating syncretic forms by taking advantages of the web.

Key words: electronic literature, hypertext, digital culture, lexia, link.

Introduction

Electronic literature is a recent trend in the development of literature that exploits the potentials and advantages of computers and network. As opposed to digitized print literature, it comprises literary works that were created on a computer, were designed to be read on a computer, evolved together with digital computers and is the result of man`s interaction with computers that provide us with access to abundant information from around the world. Although electronic literature retains many features of print literature, such as fonts and many print conventions, it also transforms them under the influence of digital art, graphic design, animation, computer games, computer -associated culture in general and is intermediate, syncretic, "hybrid" by nature. In contrast with printed literature, electronic literature can be accessed if its code is executed.

According to N.K.Hayles (2008: 5), **The immediacy of code to the text`s performance is fundamental to understanding electronic literature, especially to appreciating its specificity as a literary and technical production. Major genres in the canon of electronic literature emerge not only from different ways in which the user experiences them, but also from the structure and specificity of the underlying code.**

The first electronic fiction texts were written according to the linking structure of a hypertext. The term "hypertext" was coined by Theodor H. Nelson in the 1960s to refer to a form of electronic writing that is best read on an interactive screen and is non-sequential, a text that branches and allows possibility of choices to the reader. Hypertext as a term denotes a text that is composed of blocks of text, which R. Barthes (1974) calls "lexia", and electronic links that join them. Lexia is a part of a text that has a different meaning or effect from the neighbouring units. The significance of a lexia depends on the reader`s ability to recognize it as a meaningful unit and interpret it according to a certain semantic code. Semantic codes are based on what composes "common culture", i.e., everything that has been previously read, heard, and generally experienced prior to the reading.

The Main Part

This literary trend was initiated by Michael Joyce`s hypertext "**afternoon, a story"** (1987). It tells the story of a recently divorced technical writer, Peter, who one afternoon suddenly remembers a car crash he had seen in the morning. Later, recalling the witnessed accident and two bodies on the ground, he suspects that the wrecked car belonged to his former wife Lisa, and that the victims of the accident might have been she and their son Andy. Psychological by nature, the story features the narrator, who fears he has lost his son in a car accident.

The haunting recollections of the scene by the protagonist are objectified as a change of the main plot line if a reader chooses a different path, and express a stream of consciousness of disquieted mind. While the main lexia: **"I felt certain it was them. I recognized her car from that distance, not more than a hundred yards off along the road to the left where she would turn if she were taking him to the County Day School.** …" is repeated five times; other memories also haunt his mind, such as by association remembered a snowmobile accident. His memory goes back to some episodes of his matrimonial life, images of winter and summer landscape they observed together **"… all these indices pointing somewhere, and the thing becomes a web."** Various layers of hypertextuality reflect the protagonist`s bereavement, feelings of guilt and failed responsibility, as well as general inability to come to terms with the existential situation This anxiety of mind is expressed through a recurrent sentence **«I want to say I may have seen my son die this morning»,** which is the loop that brings a reader to this lexia again and again. «**I sit here, unable to dream»** is another recurring lexia that indicates to a numbed state of Peter`s feelings. The feeling of guilt evokes thoughts about Wert (Desmond Leary), his wife's lover, whom he later calls in hope to find out the truth, and some other women (Giulia, Nausicaa, Lolly) with whom, as we may suggest, the protagonist had had some relations. Clicking on the name of Wert`s secretary, Lolly, we read

a question "Love or Death?" – the main question the answer to which Peter is trying to find.

Though the hypertext centers around the accident, it also reveals the mess the characters had made of their lives, which is seen as a symbolic cause of the disaster. Recollection of a film about **"a delightfully mad scientist"** who

devotes his life to attempting to clone his dead wife from the cells of her preserved brain seems to be extremely important for understanding the state of mind of the narrator. Quotations from and allusions to literary texts by Cortazar, Sterne, Tolstoy, and references to the films of Michelangelo Antonioni add meaningful dimensions to the text. However all these links return readers to the main lexia:"I may have seen my son die this morning." Nevertheless the reader does not get an answer to the question of what had actually happened.

The work is traditionally attributed to Postmodern, poststructuralist literature due to such tenets as decentralization, de-linearization, non-closure and rhizomatic nature, i.e. it gives access to various, non-hierarchical possibilities of entry and exit to the representation and interpretation of the data.

Among other remarkable works belonging to the first Storyspace hypertext fiction are generally named Stuart Moulthrop's **Victory Garden,** Shelley Jackson's **Patchwork Girl** and Deena Larsen's **Marble Springs.**

Electronic literature has been changing together with the development of the Web incorporating graphics, colour, sound, animation and other multiple capabilities of the Web. Instead of links, that were the distinguishing feature of the first electronic works, authors of later works started to "use **various navigation schemes and interface metaphors that tend to deemphasize the link as such**

(Hayles 2008:7)." This has led to a so-called "hybrid forms" of literature that activate different possibilities of human perception and may be explained by the role the computer has started to play in the life of man. As N.K. Hayles asserts, **"the evolution of Homo sapiens has co-developed with technologies** (ibid. 112)." Nowadays people spend more of their time in virtual reality than in the real world. In the real world our perception of reality comes from our senses. Inclusion of colour, sound and other visual aids into electronic media makes interaction with computer more natural and life less estranged from reality by incorporating the work of human senses into interaction with the Web. With the creation of literary works especially for tablets and smartphones that require a touchscreen**, the third sense – touch – was added to the interaction between man and electronic media, thus activating three out of five** basic human **senses:** sight, hearing, touch, smell and taste. This way both virtual and real worlds merge making the virtual world even more exciting by the possibilities it offers the users.

These possibilities come not only from the overwhelming abundance of information accessible via net in a matter of seconds, but also from activated function of its users. Electronic media, and electronic literature in particular, developed alongside with computer games and acquired their gambling element. Possibility to choose different links or navigation schemes turns a user from a passive reader into an active user, and even into a co-author, co-creator of the work he or she is reading by activating not only senses, but also their mental abilities. This means that the reader does not merely interpret the text but **performs actions such as active choice and decision-making through navigation options** (Meifert-Menhard, Felicitas 2013: 27.) Existence of a feedback loop between the reader and the text plays an important role in the process of reading (Eskelinen 2012: 22). This represents the main attraction of what Espen J.Aarseth (1977) called Ergodic Literature (from the Greek words **ergon** and **hodos**, meaning "work" and «path»), or literature that requires nontrivial efforts from the reader to traverse the text in contrast to conventional linear literary texts that on a surface level need eye movement and periodic or arbitrary turning of pages in order to be read.

This led to the second generation of electronic literature. In the book **Electronic Literature. New Horizons for the Literary** (2008: 7-8) Katherine N.Hayles gives a list of the most interesting examples of literary works of this period, Michael Joyce`s "Twelve Blue" among them, which was disseminated on the Web through the Eastgate Hypertext Reading Room.

Contrary to the first generation works of electronic literature where a screen was seen just as a page of a printed book, "Twelve Blue" is a flow of associational thinking expressed via surfing the Web. The hypertext includes 269 links in 96 spaces. A column on the left displays coloured threads representing links in the network of the StorySpace passing through eight points on a grid. The reader moves on by clicking on the threads, or on hyperlinks within the text which appears as light blue segments on a dark blue background on the right, larger part of the screen. Each page is named splitting the story into separate poetic fragments, each of them repeating the word "blue". The narration in nonlinear, links bring to various associations of characters connected with people, events and places. The epigraph taken from William Gass`s **On Being Blue** expresses the structure of this hypertext: "**So a random set of meaning has softly gathered around the word the way lint collects. The mind does that."**

The twelve threads on the left are the coloured silk threads from which one of the main characters, Lisle was weaving a quilt of the river "twelve feet long and eight feet wide, the covering for a giantess" – the symbol of the flowing life, and at the same time an exact replica of the hypertext's grid. Browsing the text in a random way of selection, the reader assembles interlaced segments into a coherent whole, a story told from twelve different perspectives, and psychologically deep characters with complex inner lives begin to appear before his imaginative eye.

The style of the story is mostly indirect and reports actions, speeches and thoughts of characters.

The beginning of one part of the story **"Many ways to go over Niagara Falls"** is applicable both to the struc-

ture of the hypertext, and to its content, as well as several mentions of different roads all **leading to Rout 9.** The hypertext may be read in different ways and still retain its original meaning. The duality of life is expressed through the structure as well as through described events. Randomness of life events is paralleled with randomness of reading options we choose by clicking on arbitrary selected links, however the story remains the same thus likening life with a hypertext.

Another parallel with life is expressed through flowing water of the river that sometimes branches in different directions, sometimes flows smoothly, and at times goes over the falls either keeping men afloat, or overpowering and even drowning them. **"Life is a river that flows both ways, it doesn`t do to get caught up in the threads the water weaves."** Important decisions are compared with passing over the falls **("There were many ways to go over the Falls").**

Ability to stay afloat is compared with strength to overcome life difficulties, dividing characters into minor and central, while failures are associated with drowning. Lisle speaks of all people as swimmers, **"night swimmers"** and thinks of herself and her daughter Samantha as not of minor characters, but as of the center of something flowing through them. **"That is why they lived by the water."** While minor characters have an **"understandable and ordinary desire to take a central place in someone`s story."** Several scenes describe experiences of drowning. The beautiful wife of a scientist gets entangled in weeds and drowns. **"Somehow her scuba gear tangled and she wasn`t able to free herself. The scientist himself joined the police divers. They found her easily, she shone like a goddess. He said she was perfectly framed by the ropes of seaweed, herself cruciform, calm at the last, caught like a bright moth in the drab web and the blue sea, the spiny creatures still alive in the mesh bag at her waist."** Her daughter, who eventually became a strong swimmer out of grief, as she grew used to stand on the shore for hours searching for her mother. A deaf boy drowns in a creek. A dead swan floated among the lilies **"the long white neck trailing through the black water."** The repetitions indicate to the importance of this meaning-laden recurring lexia, **the signifier for some unstated, abstract, perhaps inarticulable signification (Ibid.).** The motive of flowing water, swimming, floating and drowning create a symbolic background for the described events with water becoming a metaphor for the transience of human life.

Reading of the story is like approaching a river, or a flow of several lives from a bank and seeing them in their mid-flow without beginning and end, like seeing the water of a river flowing by. Illustrations of a riverbank are incorporated into the text. We read about a group of characters, their entangled relations, recollections of episodes from past life, fatal accidents, and murder. We learn who they are, what their relationships are to one another, but, as Lisle tells her daughter, their stories only have beginnings, tell us episodes from the middle, but have or endings.

The hypertext is mainly about personal life that does not go the right way, and the sufferings it brings to both protagonists and their children. Each of the twelve characters has to tell a sad and emotional tale. Lisle`s is the first thread. She is a virologist and has a daughter named Samantha from a man she never married and who left them when Samantha was three. **" Her father and her mother unmarried. It happened"** is a lexia which is recurrent for Samantha`s story and points to her childhood trauma. Lisle tells Samantha that his name was Henry, but his friends called him Corky, which was a better name for him as he floated away like a cork; that is why their story had only a beginning. After Samantha`s parents split, she went into a shell of "jaunty but ultimately false happiness" fooling everyone, herself included. Finally she began to smile and talk easily, but decided to fall in love "as often as possible so as to avoid the inevitable distrust which afflicts an orphan or the child of divorced parents." She began to understand that at times life was hard for everybody. But her mother was always by her side whenever she needed it. Samantha`s story is of a young girl`s observations and reflections of her life experiences connected with maturation and its parallels that she finds in nature.

Lisle is in love with a doctor Javier, the next thread in the story. He is described as "a drowning man, speechless and in love too late in life." Javier was once married to Aurelie and has a daughter named Tevet. Javier makes unsuccessful attempts to understand Samantha, **"his heart`s half-daughter, the distant and improbable sister to his own grown girl."** He adores his daughter Tevet, who prefers to be called Beth, because **"it seemed right for the story that flows"** and is terrified at the thought lest some terrible accident should terminate her life. She was **"his chicory flower, his margin, his everpresent beauty, the measure of miles."** His former wife, with whom they once composed a "three legged stool" – Javier, Aurelie, Tevet: doctor, doctor`s wife, daughter, after the divorce became "Ms. Undoctor" and started seeing a woman named Lisa.

When Samantha and Tevet meet, they are grown enough to understand their parent`s feelings, and they laugh about some stuff, look at old pictures and play their favourite CDs. Before Beth and her father left, Samantha told her how she had once resolved to fall in love as often as possible so as to avoid "the inevitable distrust which afflicts an orphan or the child of divorced parents." And called herself both, a divorced child and an orphan. Beth liked the term "a divorced child."

The next thread belongs to Eleanor, who once had a baby with Javier, but the baby passed away. She lives a simple life with Ed Stanko, her landlord with whom she trades herself for rent. The thread of Ed Stanko tells about

an evil character, who took advantage of everyone and everything, and who "was gnarled as a crabapple, knobbed and hard. He hated too many people to remember them all." Eventually Eleanor murdered him.

The only bright episode in the story is connected with Lisle`s recollection of a happy family of a girl she knew in Ontario. In spite of her name, Delores Peters (sad stones), she was from a complete and happy family. Lisle liked to remember how Delores`s father purchased a carnival ride and brought it home on a trailer, and together with his wife decided to make something festive for Delores`s friends. The girls whirled on blue cars and were treated to a cake and lemonade.

Conclusion

Greg Ulmer considers that though in **Twelve Blue the events, characters, places, and objects have their own interest: incomplete in themselves, they accumulate into an evocation of something beyond themselves--an image, a figure (**Ulmer G. 1997). As Michael Joyce tells us: „**12 Blue isn't anything. Think of lilacs when they are gone."**

As a remarkable example of electronic literature fictional text Twelve blue reveals its main features. As a hypertext it does not culminate with a resolution, or denouement; the plot line is not unravelled. The very notion of the end is missing. the hypertext reading is never finished and the reader is constantly involved in the process of rereading and either "exhausts the text, or the text exhausts the reader." Possibility of entry and exit the text at multiple points gives an opportunity to reconstruct the text adding a game element to the process of reading and the feeling of co-creation of the text.

References:

1. Aarseth, Espen 1997. Ergodic Literature. Baltimore, Maryland: The Johns Hopkins University Press.
2. Barthes, Roland. 1988.The Semiotic Challenge. Trans. Richard Howard. New York: Hill and Wang.
3. Barthes, Roland 1974. S/Z. Blackwell Publishing. New York, USA.
4. Bolter, J., Michael Joyce, and John B. Smith. 1990. Storyspace. Watertown, MA: Eastgate Systems.
5. Eskelinen, Markku 2012. Cybertext Poetics: The Critical Landscape of New Media Literary Theory. London: Bloomsbury Publishing USA.
6. Gass, William.1976. On Being Blue: A Philosophical Inquiry. Boston: David Godine.
7. Hayles N.Katherine 2008. Electronic Literature. New Horizons for the Literary. University of Notre Dame Press. Notre Dame, Indiana.
8. Joyce, Michael. Afternoon, a story. Eastgate Systems Inc; Mac/Win edition (June 1, 1987)
9. Joyce, Michael.1996. Twelve Blue. http://www.eastgate.com/TwelveBlue.
10. Meifert-Menhard, Felicitas 2013. Playing the Text, Performing the Future: Future Narratives in Print and Digiture. Berlin: Walter de Gruyter.
11. Ulmer, Greg 1997. A Response to Twelve Blue by Michael Joyce. The Johns Hopkins University Press.

ელექტრონული ტექსტის სტრუქტურა

თამარ მებუკე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ელექტრონული ლიტერატურის პირველი და მეორე თაობის მხატვრული ტექსტების სტრუქტურა მაიკლ ჯოისის ნაწარმოებების მაგალითზე, რომელიც დგას ამ ლიტერატურული მიმართულების სათავეში.

ელექტრონული ლიტერატურის ნაწარმოები არის ისეთი ტექსტი, რომელიც იქმნება და იკითხება კომპიუტერის მეშვეობით. თუმცა ელექტრონული ლიტერატურა ინარჩუნებს ბეჭდვითი ლიტერატურის ბევრ ნიშან-თვისებას, ის ცვლის მათ კომპიუტერთან დაკავშირებული კულტურის გავლენით და ქმნის სინკრეტულ ფორმებს ინტერნეტ ქსელის საშუალებების გამოყენებით.

„ცისა და ქვეყნის შემკვრელი“ - ფიქრები აკაკის ნეშტთან

თამარ შაიშმელაშვილი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია აკაკი წერეთლის გარდაცვალებით დამწუხრებული ქართული საზოგადოების მიერ განცდილი და ნააზრევი. ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, ილია ჭავჭავაძის სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ, ძვირფას ნეშტთან შეკრებილი ერი და ბერი აკაკი წერეთელს ემშვიდობება. ეს არის წიწამურის ტრაგედიაზე ჩაფიქრებული, სევდითა და მაინც სასოებით გაერთიანებული საქართველოს გამოსათხოვარი...

სტატიაში ამ ნაფიქრის ფონზე ნაჩვენებია თავად აკაკის პიროვნება, დიდი მგოსნისა და მამულიშვილისა, ცისა და ქვეყნის რჩეულისა... სწორედ ცისა და ქვეყნის შემამკობელს ეკისრებოდა ამ გრძნობის სიმაღლემდე ასვლა და მისი შეცნობა. პოეტის სიტყვას უნდა ეტვირთა დიდი მისია ერის გამოღვიძებისა და ღვთის რწმენის სიმტკიცისა.

საკვანძო სიტყვები: მიწა, ცა, იუბილე, ნეშტი, რჯული, ხატი, სანთელი

შესავალი

ილიას მკვლელობიდან ზუსტად ერთი წლის თავზე - 1908 წელს, 70 წლის აკაკი წერეთელს ქართველმა ხალხმა 50-წლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი და მამულიშვილური მოღვაწეობისთვის იუბილე გადაუხადა. იუბილე ოთხი წლის განმავლობაში, 1912 წლამდე, გრძელდებოდა.

რა იყო ეს, ზეიმი თუ ილიას სიკვდილის შემდეგ გაჩენილი შიშის გადაფარვა? თუ გაცნობიერება იმისა, რომ ილიას და აკაკის მსგავს პიროვნებებს მოფრთხილება და დაფასება უნდოდათ? ან იქნებ, როგორც გიორგი ლეონიძე აღნიშნავდა, ეს პროცესია ეროვნული შეგნების გამოღვიძება იყო, ილიას სიკვდილმა ჩვენში ეროვნული შეგნების გაღვიძება დააჩქარაო (გ. ლეონიძე, „ბახტრიონი», 1922, №10, გვ.1).

შესაძლოა, ეს იყო, მართლაც მთელი ერის პროტესტი, რომელიც სწორედ ილიას მკვლელობის წლისთავს დაემთხვა და ქართველთა ეროვნული მთლიანობა და ილიას იდეებისთვის ბრძოლის სურვილი უნდა ეჩვენებინა...

საგულისხმოა, რომ ზემოხსენებული იუბილეს შემდეგ, რომელმაც მთელი ერი მოიცვა და რომელსაც თავად აკაკი ხანგრძლივ სახალხო დღესასწაულად აფასებდა, საქართველო მეორედ უკვე აკაკის ცხედრის ირგვლივ გაერთიანდა.

იოსებ იმედაშვილი წერდა: აკაკის „...ცხედრის ირგვლივ მთელი საქართველო შემოიკრიბა... უცხო ტომთაც კი მიუსამძიმრეს ქართველ ერს... თბილისს არ ენახა ისეთი დიდებული სანახაობა, ხალხის ერთის გრძნობით აღტყინება მიმართულების, ეროვნულობისა და სარწმუნოების განურჩევლად... აქ იყო მთელი ერი“ (ი. იმედაშვილი, „ჩემი ცხოვრების წიგნი“, 1978, გვ.206)

ძირითადი ნაწილი

აკაკის წმინდა ნეშტთან ცა და ქვეყანა ერთ გრძნობას მოეცვა - „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“... ამ სასოებას მთელი საქართველო მოეყვანა ძვირფას ცხედართან. იაკობ გოგებაშვილის სიტყვები მართლდებოდა, აკაკი პატარა საქართველო იყო, მისი მაღალი ბუნება იტევდა თავის წიაღში არა ერთ კუთხეს ჩვენი სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს. იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა 1894 წელს დაწერილი სტრიქონებისა -„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“.

სამშობლოს, როგორც ხატად აღქმა, ქართული ეკლესიის რუსიფიკაციის პირობებში მართლაც დიდ გამბედაობას მოითხოვდა პოეტისგან. ეს იყო ლექსიც, შეძახილიც, გამოფხიზლებაც იმ ხალხისა, ვინც დასცილდა ეკლესიას, სადაც რუსულ ენაზე ძალდატანებით შესრულებული ღვთისმსახურება აღევლინებოდა. მაშინ, როდესაც ეკლესიები ცარიელი იყო, პოეტისთვის მთელი ქვეყანა სახატედ გადაქცეულა... ხატის წინ კი სანთელი ენთო, მარადიული ნათელი, ქრისტეს სიმბოლო.

ზნეობრივ-სარწმუნოებრივი იდეალები, ქრისტიანობა აკაკის შემოქმედების უმთავრესი თემაა, რადგან უამისოდ საქართველოს აღორძინება ვერ წარმოედგინა. ამის დასტურია თუნდაც პოემა „მომაკვდავის ჩვენება“.

„ქართველობასლექსადუამბობდასაქართველოს გაქრისტიანების ისტორიას, ლექსითვე ყვებოდა ქრისტეს ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. ამით მას დაკარგული რწმენის დაბრუნება უნდოდა. მისი აღორძინება სურდა“ (აკ. ბაქრაძე, „ილია და აკაკი“, 1992, გვ.180).

დაკარგული ღმერთის ძიების მძლავრ სურვილს მოეცვა მისი არსება. მთელ ქვეყანას დაეკარგა სარწმუნოება, დაეკარგა ქრისტე - სიყვარული - „ცისა და ქვეყნის შუა კავშირი“. იქნებ იმიტომ იყო, რომ გრიგოლ რობაქიძის თქმით, აკაკის ხალისიან სიცილში შავი სევდის კვალიც ილანდებოდა. „ივერიის ტურფა ასულის სევდის ჩრდილი, სევდას რო ურევდა მგოსნის ღიმილს“ („აკაკის სამრეკლო“, 1990. გვ. 54).

ივერიის ასული - სამშობლოს სული იყო, ლერ-

წმის სალამურით დაჰმღერდა „ივერიის მწვანე მდელოთა ტურფა ასულს“. ეს სიმღერა იყო ტანჯვაც, სასოწარკვეთაც, სევდაც...

„...ის (და მასთან ერთად ილია ჭავჭავაძეც) ამ დიდ სულიერს, ამ დიდ არსებას - თავის საყვარელ სამშობლოს, ისეთის ენით ელაპარაკება, თითქო ნამდვილი, გულ-წარმტაცი და მომხიბვლელი სატრფო უსხდეს გვერდით“ (კ. აბაშიძე, „თავადი აკაკი წერეთელი (სალირიკო პოეზია)“, 1908, გვ. 17).

ამ სატრფოსთვის მზად იყო სიკვდილისთვის... მისი სიცოცხლე ნელი მსხვერპლშეწირვა იყო მამულისთვის, სწორედ პოეტის სიტყვას ეკისრებოდა დიდი მისია - ერის გამოღვიძებისა და ღვთის რწმენის სიმტკიცისა. ეს იყო შინაგანი წვა და ფარული სისხლდენა, რომელიც სტრიქონ-სტრიქონ წვეთავდა და მინიჭებული ჰქონდა „სასწაულთმოქმედი ძლიერება“ (ი. ჭავჭავაძე, „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“, ტომი III, 1986, გვ.222).

ქრისტეს და სიყვარულს ერთნაირად მიმართავს აკაკი და ორივე ცისა და ქვეყნის კავშირია და შუამავალი.

„შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო“ („ქებათა-ქება“).

მაგრამ მხოლოდ ცისა და ქვეყნის რჩეულს, ცისა და ქვეყნის შემამკობელს ეკისრებოდა ამ გრძნობის სიმაღლემდე ასვლა და მისი შეცნობა.

გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა: „ღმერთებმა მიაფრქვიეს მას ყოველი: დიდი ნიჭი, სწორუპოვარი სილამაზე, გვაროვანება, სიმდიდრე… ჭეშმარიტად იგიც იყო „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთა“ („აკაკის სამრეკლო“, 1990, გვ.53).

ათი წლის ლევან გოთუას მახსოვრობაში კი აკაკი ღმერთივით დარჩა. ხის კენწეროდან მზირალ ბავშვს სულში სამუდამოდ აღებეჭდა სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც „როგორც ალამთ ალამი, ახალი მთაწმინდელის ნეშტი მიჰქონდა... ეს „ცა-ფირუზზე“ ამაღლება უფრო იყო, ვიდრე დაკრძალვა!... მე თვალი მომჭრა მისმა ნათელმა. მაშინ კიდევ ვსწავლობდით საღვთო სჯულს და მე ღმერთი მხოლოდ ასე წარმომედგინა“ (ლ. გოთუა, „უფოთლო ხის ჩრდილი“).

„ის, რაც ათეულმა საუკუნეებმა ვერ შესძლო: ამერ-იმერეთის შეკავშირება, სამ სამეფოსა და შვიდ სამთავროს ერთ მთელად გადაქცევა, სრულიად საქართველოს გაერთიანება, - შენ შესძელ, შენ, ხალხის ფიქრთა მესაიდუმლევ, მშობელი ერის სულის მეუფევ“... - მიმართავდა მას იოსებ იმედაშვილი (ი. იმედაშვილი, „ჩემი ცხოვრების წიგნი“, 1978, გვ.207).

ამ განცდის დასაბამი ჯერ კიდევ 1908 წელს აკაკის საიუბილეო დღეები იყო, როდესაც გრ. რობაქიძემ საგანგებოდ ხაზი გაუსვა ერთ ამბავს მრავალთა გასაგონად - აკაკის საიუბილეო დღესასწაული მხოლოდ იმიტომ კი არ ტარდებოდა, რომ აკაკი პოეტი იყო, „არამედ იმისთვისაც, რომ აკაკი ქართველობის იდუმალი თან მეტყველი სახეა. ქართლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნობაშიაც სდევს“ (გაზ. „აკაკის დღე საქართველოში“, 1908, N1).

სწორედ ქართლის მომავალ ბედს აცნაურებდა აკაკის დაკრძალვაც, „აწმყოს მოციქულისა და მომავლის წმინდა წინასწარმეტყველისა“ (ვ. კოტეტიშვილი, „აკაკის სამრეკლო“, 1990, გვ.73).

დასკვნა

„მისი მარად ახალგაზედა გული სავსე იყო სიყვარულით, რომელსაც „ცისა და მიწის კავშირს“ უწოდებდა. „ხან მიწისა ვარ, ხან ცისაო“, - თქვა მან ერთხელ და როგორც ვხედავთ, ცა და მიწა მას მკვეთრად არ ჰქონია გათიშული, სიყვარული იყო მათი შემაერთებელი და ამდენად პოეტის ცხოვრების ჰარმონიის წყაროც“ (თ. ჭილაძე, „აკაკის სამრეკლო“, 1990, გვ.313).

დიდი სურვილი ჰქონდა, სიკვდილის წინ გედივით ემღერა, მართლაც, მისმა სიკვდილმა, როგორც გედის ერთი ლამაზი სიმღერის გაელვებამ, როცა ცა და ქვეყანა ერთიანდება, ძვირფასი ნეშტის ირგვლივ შეკრა მთელი ერი. აკაკის ნეშტთან მდგარი ყოველი ადამიანი აცნობიერებდა რაღაც დიდსა და უთქმელს, ეს ტკივილიც იყო და იმის შეგრძნებაც, რომ მგოსნის წასვლით იწყებოდა ახალი ერა, რომლის ნაწილიც თითოეული მათგანი იყო...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე კ., „თავადი აკაკი წერეთელი (სალირიკო პოეზია)“, ქუთაისი, ელექტრომბეჭდავი ი. კილაძისა, 1908.
2. „აკაკის სამრეკლო“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1990.
3. ბაქრაძე ა., „ილია და აკაკი“, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1992.
4. გოთუა ლ., „უფოთლო ხის ჩრდილი“, http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=9240
5. იმედაშვილი ი., „ჩემი ცხოვრების წიგნი“, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1978.
6. ლეონიძე გ., „ბახტრიონი», 1922 წ. №10.
7. რობაქიძე გრ., „აკაკის ბუნება“, სალიტერატურო მხატვრული ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“, N1, 1908 წ.
8. ჭავჭავაძე ი., „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986. ტ. III.
9. წერეთელი ა., კრებული (პოეზია) https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/04/64-akaki-tseretheli-krebuli-poezia.pdf

„Connector heaven and earth“ - thoughts with the remains of Akaki

Tamar Shaishmelashvili, Academic Doctor of Philology
Georgian Technical University

Summary

The article tells about the feelings and thoughts of great Georgian personalities who were saddened by the death of Akaki Tsereteli. These are the farewells to Akaki Tsereteli - seven years after the death of Ilya Chavchavadze, at the dawn of the new century, all the people gathered at the dear corpse...

Georgia, thoughtful about the Tsitsamuri tragedy, united with sadness and still hope... Against the background of this thought, the personality of Akaki, the great poet and patriot, the chosen one of heaven and earth, is revealed...

The poet’s word was supposed to carry the great mission of awakening the nation and strengthening faith in God.

სოციალური მეცნიერებები

SOCIAL SCIENCES

ინფორმაციული საზოგადოების ევოლუცია

წანული ღიბრაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

იზოლდა ყურაშვილი, ასისტ. პროფ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინფორმაციული საზოგადოების არსი და მნიშვნელობა, მისი განვითარების ეტაპები და ინფორმაციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. აგრეთვე განხილულია, 1960-1978 წწ., ინფორმაციული საზოგადოების ეპოქის ჩამოყალიბების საკვანძო მოვლენები და თეორიული ცოდნის მნიშვნელობის ცენტრალური როლის და ტექნოლოგიური მიღწევების და თეორიული კვლევების სიმბიოზის შედეგად, ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის პირობების შექმნა.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული საზოგადოება, ინფორმაცია-მნიშვნელოვანი რესურსი, სიმბიოზი, სოციალური და ეკოლოგიური გარემო.

შესავალი

ინფორმაციული საზოგადოება (ის) არის ისეთი საზოგადოება, რომელშიც ინფორმაციის წარმოება და მოხმარება წარმოადგენს საქმიანობის მნიშვნელოვან სახეობას. ინფორმაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი, ახალი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ტექნიკა ხდებიან საბაზო ტექნოლოგიებად და ტექნიკად, ხოლო ინფორმაციული გარემო სოციალურ და ეკოლოგიურ გარემოსთან ერთად – ადამიანის ცხოვრების ახალ გარემოდ.

აღნიშნულ სტატიაში მოცემულია ინფორმაციული საზოგადოების ევოლუცია, მისი დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი და მთავარი განმასხვავებელი ნიშნები, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ეტაპები.

საზოგადოება მაშინ ითვლება ინფორმაციულ საზოგადოებად თუ:

- ქვეყნის ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ინდივიდი, ადამიანთა ჯგუფი, საწარმო ან ორგანიზაცია, შეძლებს შესაბამის ანაზღაურების ან უფასოდ, ავტომატიზირებულ წვდომის და სხვა სახის კავშირგაბმულობის სისტემის საფუძველზე, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია და ცოდნა, მათი საქმიანობისა და პირადი ინტერესების და სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;
- საზოგადოებაში იწარმოება, ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ინდივიდისათვის ან ადამიანთა ჯგუფისათვის და ორგანიზაციისათვის, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთ მოყვანილი ფუნქციების შესრულებას;
- არსებობენ განვითარებული ინფრასტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ინფორმაციული რესურსების იმ მოცულობას, რომელიც აუცილებლად მუდმივია მზარდი მეცნიერულ-ტექნოლოგიური და სოციალურ-ისტორიულ პროგრესისათვის;
- საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს სიცოცხლისათვის საჭირო, ყველა აუცილებელი ინფორმაცია, უპირველეს ყოვლისა სამეცნიერო;
- საზოგადოებაში ხდება მართვის, ყველა სფეროსა და წარმოების დარგებში დაჩქარებული ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის პროცესები;
- ხდება რადიკალური ცვლილებები სოციალურ სტრუქტურებში, რომელთა შედეგადაც შესაძლებელია, საინფორმაციო საქმიანობისა და მომსახურებათა გაფართოება;

ძირითადი ტექსტი

ინფორმაციული საზოგადოების დამახასიათებელი ძირითადი თავისებურება არის, მის ინფორმატიზაციაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში კომპიუტერების და კავშირგაბმულობის საშუალებათა დანერგვა.

ინფორმატიზაცია არის – ორგანიზაციული, სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროცესები, ინფორმაციული რესურსების ფორმირებისა და გამოყენების საფუძველზე, მოქალაქეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის, ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, უფლებების რეალიზაციისა და ინფორმაციული მოთხოვნილებების მიზნით, ოპტიმალური შექმნა.

ინფორმაციული საზოგადოება არის, თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების საფეხური, რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში ხასიათდება ინფორმაციისა და ცოდნის როლის ზრდა. ინფოკომუნიკაციათა, ინფორმაციული პროდუქტების და მომსახურებების შიდა ერთიან პროდუქტში წილის ზრდით; გლობალური ინფორმაციული სივრცის შექმნით, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადამიანთა შორის ეფექტიურ ინფორმაციული ურთიერთქმედებებს, მათ მისაწვდომობას.

მსოფლიო ინფორმაციულ რესურსებთან და მათ სოციალურ და პიროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ინფორმაციულ პროდუქტებსა და მომსახურებებში. **ინფორმაციული საზოგადოების მთავარი განმასხვავებელი ნიშნებია:** ინფორმაციული ეკონომიკა (ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების წეს-ჩვეულებათა დომინირება) დაფუძნებულია, ქსელურ ინფორმაციულ ტექნოლოგიების, პერსპექტიული გამოთვლითი ტექნიკის და სატელეკომუნიკაციო საშუალებების მასობრივ გამოყენებაზე.

აღსანიშნავია, საზოგადოების ყველა წევრის ინფორმაციული მოთხოვნილებათა მაღალი დონე და მოსახლეობის ძირითადი მასის მოთხოვნილებათა ფაქტიური დაკმაყოფილება;

აუცილებელია მაღალი ინფორმაციული კულტურა;

ასევე, საზოგადოების თითოეული წევრის ინფორმაციისადმი თავისუფალი წვდომა, რომელიც იქნება შეზღუდული მხოლოდ პიროვნების, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და მთელი საზოგადოების უსაფრთხოების კუთხით;

უნდა იყოს ერთიანი ინფორმაციული სივრცე;

ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და განვითარების პროცესში სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გავრცელების თვალსაზრისით, შესაძლებელია გამოვყოთ ხუთი ძირითადი ეტაპი და აგრეთვე დავაკავშიროთ ისინი იმ ამოცანებთან, რომლებიც გადაჭრილი უნდა იყოს დროის გარკვეულ მონაკვეთში (იხ. ნახ.)



ნახ. 1. ინფორმაციული საზოგადოების ევოლუცია

I ეტაპი. ცნება **„ინფორმაციული საზოგადოება“** გამოჩნდა პირველად 1960 წწ. მეორე ნახევარში. თვით ტერმინს _ „ინფორმაციული საზოგადოება“ მიაწერენ, ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს ი. ხაიაშს. ანგარიშებში: „იაპონური ინფორმაციული საზოგადოება: თემები და მიდგომები“ (1969 წ); „იაპონური საზოგადოების ინფორმატიზაციის ხელშეწყობის პოლიტიკის კონტურები“ (1969 წ); „ინფორმაციული საზოგადოების გეგმა“ (1971 წ).

ჩამოთვილ ანგარიშებში მაღალინდუსტრიული საზოგადოება განისაზღვრებოდა როგორც ისეთი საზოგადოება, სადაც კომპიუტერიზაციის განვითარება, ადამიანებს საშუალებას მისცემდა, მათთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო ინფორმაციული წყაროები და მათ თავი დაეღწიათ რუტინული საქმიანობიდან. ყოველი ეს კი უზრუნველყოფდა წარმოების ავტომატიზაციის მაღალ დონეს, ამასთან საგრძნობი ცვლილებები შეეხებოდა მხოლოდ უშუალოდ თვით წარმოებას, რომლის შედეგადაც მისი პროდუქტი გახდებოდა უფრო „ინფორმაციულად ტევადი“, რაც გაზრდიდა მის ღირებულებას, ინოვაციას, დიზაინის და მარკეტინგის წილს. ავტორთა აზრით, სწორედ ინფორმაციული პროდუქტის წარმოება და არა მატერიალური პროდუქტის წარმოება, გახდებოდა საზოგადოების შექმნისა და განვითარების მამოძრავებელ ძალად.

ძალიან სწრაფად პოსტინდუსტრიალური პრობლემატიკა ხდება ერთ-ერთ პოლიტოლოგიაში წამყვან პრობლემად, ამ დროის კვლევებში ძირითადი აქცენტი კეთდება ინფორმაციის მიღების, დამუშებისა და გავრცელების საშუალებათა სრულყოფის აუცილებლობაზე ეკონომიკურ სფეროში. მათი გამოყენების საშუალებით მიღებულ

შედეგებზე. ყოველივე ეს განპირობებული იყო ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციურ ტექნოლოგიების მზარდი განვითარებითა და კონვერგენციით, რამაც გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე რევოლუციური ცვლილებები. ახალი საზოგადოების ფორმირების ჰუმანიტარული ასპექტები, კერძოდ კი სოციალური პრობლემები, აქტიურად შეისწავლებოდნენ მხოლოდ იმის გააზრების შედეგად, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში ეს ხარისხობრივი ნახტომი, რომელსაც აკვირდებოდნენ, წარმოშობდა ახალ გლობალურ სოციალურ რევოლუციას, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა წინა რევოლუციებს, ადამიანურ საზოგადოებაზე მათი გავლენის სიძლიერის კუთხით.

გლობალურ ინფორმაციული საზოგადოების იდეების შემდგომი განვითარებისათვის სერიოზული ბიძგი წარმოადგინა 1973 წ. ამერიკელი სოციოლოგის დ. ბელლს წიგნმა „მომავალი პოსტინდუსტრიალური საზოგადოება. სოციალური პროგნოზირების გამოცდილება“ (Bell D. The Coming of post-industrial Society A. Venture in Social Forecasting. N.Y., Basic Books, Inc., 1973). მასში ავტორი ადამიანური საზოგადოების ისტორიას **ყოფს სამ ძირითად სტადიად: აგრარულ, ინდუსტრიალურ და პოსტინდუსტრიალურად.** ტ. ვებლენისა და ინდუსტრიალიზმის სხვა თეორეტიკოსების ნაირად იგი განიხილავდა ინდუსტრიალურ საზოგადოებას, როგორც, საზოგადოებას რომელშიც მთავარ ამოცანად დაყენებულია მაქსიმალური რაოდენობის მანქანების და საგნების (ნივთების) წარმოება. მთავარი ნიშანი პოსტინდუსტრიალურ სტადიაზე გადასვლისა არის დ. ბელლის აზრით საგნების წარმოებიდან იმ მომსახურებათა წარმოების განვითარებაა, რომლებიც დაკავშირებულები არიან განათლების, ჯანდაცვის კვლევებსა და მართვასთან.

გადაწყვეტილებათა და კოორდინაციის მიმართულების ცვლილების მისაღებად, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება თეორიულ ცოდნას. ნებისმიერი თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს ინოვაციისა და ცვლილებებზე სოციალური კონტროლის ხარჯზე. იგი ცდილობს განსჭვრიტოს მომავალი და განახორციელოს დაგეგმვა. სწორედ, ცვლილება ინოვაციათა ბუნების შემეცნებაში, წარმოადგენს თეორიული ცოდნის გადამწყვეტ ფაქტორს. ამ მიმართულების მოძრაობა უკვე ძალას იძენს, მეცნიერების, ტექნიკის და ეკონომიკის თავისებურ გაერთიანებაში.

ცოდნას და რეალიზაციას, ამერიკელი მეცნიერი დ. ბელლი თვლის არა მხოლოდ ეფექტურ **კატალიზატორად** პოსტინდუსტრიულ საზოგადოების ტრანსფორმაციაში, არამედ მის **სტრატეგიულ რესურსად.** ამ დროისათვის შეიქმნა მრავალი კონცეფციები, რომლებიც დაფუძნებული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების, მიღწევებსა და შემუშავებებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ინფორმაციული საზოგადოების განვითარებას, როგორც ციფრული ეკონომიკის საფუძველს წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ჩამონათვალში.

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქის (1960-1978 წწ) საკვანძო მოვლენები, მისი განვითარების ეტაპი შემდეგია:

- პირველი ქსელის შექმნა (1960);

აშშ თავდაცვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა სამხედრო უწყების კომპიუტერების ქსელი, რომელსაც ეწოდა ARPANET (Advanced Research Projects Agency Network);

- საავიაციო, სარკინიგზო და საავტომობილო ოთხი ინდუსტრიალური სტანდარტის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა მომსახურების შესახებ მართვის სისტემაში, მონაცემთა გაცვლას;
- ელექტრონული კომერციის პირველი სისტემის შექმნა (1960): American Airlines and IBM შექმნეს ავიარეისებზე ადგილების რეზერვირებისათვის ავტომატიზირებული სისტემა-SABRE (Semi Automatic Business Research Enivironment).

ადგილების რეზერვირებისას ტარიფების გათვლის პროცესის ავტომატიზირება.

- მონაცემთა პაკეტურ გადაცემის თეორიის შემუშავება (1961) – ლ. კლეირნოკმა (მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი), შეიმუშავა მონაცემთა გადასაცემად პაკეტების კომუტაციის თეორია:
- „გალაქტიკური ქსელის“ (Galactis Network 1962), შექმნის პირველი მცდელობა;

ჯ. ლიკლაიდერმა გამოქვეყნა ნაშრომი „Galactis Network“, რომელშიც იგი ხედავდა ურთიერთკავშირებული კომპიუტერების გლობალური ქსელის შექმნას, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი შეძლებდა სწრად წვდომას ყველა კომპიუტერების მონაცემებთან და პროგრამებთან:

- EDI და EFT სისტემების გამოყენება (1970 წ. დასასრული). პირველად დაიწყეს მონა-ცემთა ელექტრონული გაცვლისათვის (EDI-Electronic Data Interchange) და ფინანსური სახსრების ელექტრონული გზავნილების (EFT-Electronic Funds Transfer) განხორციელება;
- ფორმულირებული იქნა MRP II კონფერენცია (1970).
- ო. უაიტმა და დ. პლოსლმა ჩამოაყალიბეს (საწარმოოს რესურსების დაგეგმვა) MRP II კონცეფცია.
- შემუშავდა ელექტრონული ფოსტის გაგზავნის პროგრამა (1971).

შემუშავებული იქნა ქსელის საშუალებით ელექტრონული ფოსტის გადაგზავნის პირველი

პროგრამა, 1971 წ. 2 ოქტომბერს გაგზავნილი იქნა პირველი ელექტრონული წერილი. ეს თარიღი ითვლება ელექტრონული ფოსტის, როგორც კავშირგაბმულობის საშუალების დაბადების დღე.

- პირველი მიკროპროცესორის შექმნა (1971 წ.) კომპანია Intel-ში, ახალგზარდა ინჟინრის მ.ე. ხოფის მიერ, გამოგონებული იქნა, პირველი მიკროპროცესორი;
- შემოთავაზებული იქნა შრომის ორგანიზაციის კონცეფცია (1972) ჯეკ ნიკოლსონის (აშშ) მიერ შეთავაზებული იქნა, შრომის ორგანიზაციის (ტელეწვდომა) კონცეფცია;
- შეიქმნა, საბანკო ჩეკების აღრიცხვის ცენტრალიზებული ელექტრონული ქსელი (1972 წ);
- პირველად მსოფლიოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა, საბანკო ჩეკების აღრიცხვის ცენტრალიზებული ელექტრონული ქსელი;
- შეიქმნა პირველი პერსონალური კომპიუტერი (1975 წ);
- შემუშავებული იქნა პირველი პერსონალური კომპიუტერი „Altair“
- შეიქმნა მეხსიერების ელექტრონული ბარათი (კარტა 1975 წ);
- რ. მორენომ შექმნა და დააპატენტა მეხსიერების ელექტრონული ბარათი;
- FOREX-მა შექმნა ელექტრონული ბაზარი (1978 წ);
- ტექნოლოგიური მიღწევების და თეორიული კვლევების სიმბიოზის შედეგად ჩამოყალიბდა ინფორმაციული საზოგადოების აშენების პირობები, რომლებსაც შესაძლებელია მივაკუთვნოთ: ერთიანი მსოფლიო ინფორმაციული სივრცის ფორმირება, რეგიონების, ქვეყნების და ხალხების, ინტეგრაციის ინფორმაციულ და ეკონომიკურ პროცესებში ჩაღრმავება;
- ეკონომიკაში, ახალი ტექნოლოგიური წესწყობილების ჩამოყალიბება და შემდგომში მისი დომინირება დაფუძნებულები იქნებიან ტელეკომუნიკაციური ტექნიკის და ტექნოლოგიების მასობრივ გამოყენებაზე;
- დამატებით: ბუნებრივი რესურსების, შრომის და კაპიტალის ბაზრებისა, ინფორმაციისა და ცოდნის, როგორც წარმოების ფაქტორების ბაზრის შექმნა, აგრეთვე საზოგადოების ინფორმაციული რესურსების გადასვლა რეალურ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რესურსებად. გამოიწვევს ინფორმაციული პროდუქტების და მომსახურებაში საზოგადოების მოთხოვნილებების ფაქტიურ დაკმაყოფილებას;
- ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო და პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- მოქალაქეთა და სოციალური ინსტიტუტების უფლებების უზრუნველყოფას, ინფორმაციის მიღების, გავრცელების კუთხით, ეფექტური სისტემის შექმნას, როგორც დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმთავრეს პირობად.
- ასევე, საერთაშორისო, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე ინფორმაციული სისტემების განვითარების გაცვლის ხარჯზე, განათლების დონის, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლებას.
- კვალიფიკაციის როლის, პროფესიონალიზმის, როგორც შრომის მნიშვნელოვანი მახასიათებლების გაუმჯობესება შედეგია ინფორმაციული საზოგადოების ევოლუციისა.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ განხილულიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდის თავისებურებაა ინფორმაციული საზოგადოების პრინციპების ჩამოყალიბება. პირველად დეტალურად შემუშავებულ იქნა კომპიუტერული ქსელის კონცეფცია და აგრეთვე შექმნილ იქნა მონაცემთა გაცვლის სტანდარტები. ამ პერიოდში იქმნებოდა ძირითადი ტექნოლოგიური სიახლეები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ინფორმაციულ ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას: შეიქმნა მიკროპროცესორები, მეხსიერებათა ბარათი (კარტა), ქსელის განვითარების კონცეფცია, ელექტრონული ხელმოწერის შექმნის იდეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Л. В. Лапидус-Цифровая Економика (Управление електронным бизнесом и електронной коммерцией) Москва-2019 г. Московский государственный университет им. М. В. Ломоносова.
2. И. А. Хасаншин, А.А.Кудряшое и др. Цифровая Економика. Москва 2020 г

The evolution of the information society

Nanuli Gibradze, professor
Elisabed Khakhutashvili, assoc. prof.
Izolda Kurashvili, assistant-professor

Summary

This paper discusses the essence and important of the Information Society, the stages of its development and the characteristics of the Information Society. It also discusses the key events in the formation of the Information Society era in 1960-1978 and creating the conditions for the formation of the Information Society as a result of central role of the importance if theoretical knowledge, technological advances and the symbiosis of theoritical research.

Keywords: information society, simbioz, telecommunication texnology, social and ecology environment

სოციალური ტელერეკლამა და სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში

არსენ ბურჯალიანი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსი

მირანდა ბორცვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

რეკლამის სხვა ტიპებისგან განსხვავებით, სოციალურ რეკლამას აქვს საგანმანათლებლო-შემეცნებითი დანიშნულება, რომელიც საზოგადოების სამოქალაქო კულტურის ამაღლება–განვითარებას ემსახურება. განსაკუთრებით დიდია მისი როლი დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამომდინარე იქედან, რომ სოციალურ რეკლამას შესწევს ძალა, ვიზუალურ-გამომსახველობითი ხერხებით უკეთ დაარწმუნოს მაყურებელი იმ საჭიროებებში, რაც, პირველ ყოვლისა, დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში საკუთარი როლის გაცნობიერებასა და სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობას უკავშირდება. სწორედ სოციალური რეკლამის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე მსურს გავამახვილოთ ყურადღება სტატიაში.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო აქტივიზმი, სოციალური ტელერეკლკამა, მედია.

შესავალი

უნდა ითქვას, სოციალური რეკლამა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სტრუქტურების დაკვეთით იქმნება და ძირითადად, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საზოგადოებრივ არხებზეა წარმოდგენილი. თუმცა, მათ ზოგჯერ კომერციული მაუწყებლობების ეთერშიც ვხვდებით. ჩვენს მედიასივრცეში, უმეტესად, გავრცელებულია რეკლამები, რომელთა მიზანია, წარმოაჩინოს სოციალურ სფეროში მიმდინარე რეფორმები, სიახლეები; ასევე: გაზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, განსაკუთრებით ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მნიშვნელობის თაობაზე, გაათვითცნობიეროს ისინი საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებში, გააააქტიუროს საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რითაც მათ შეუძლიათ გარკვეული სოციალური პრობლემების მოგვარება, უმწეოთა და მიუსაფართა თანადგომა-დახმარება. ეს ძალისხმევა კი ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების ირგვლივ საზოგადოებრივი კონსენსუსის შექმნას. პრობლემას განვიხილავთ ქართულ სატელევიზიო სივრცეში დროის კონკრეტულ მონაკვეთში (ექვსთვიანი ინტერვალი - 2015 წლის ივნისი-ნოემბერი)

ქართულ სატელევიზიო სივრცეში წარმოდგენილი სოციალური რეკლამის ნიმუშები ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესში საზოგადოების ცოდნის ამაღლებასა და სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას, განსაკუთრებით, ლიბერალურ ღირებულებათა განმტკიცების კუთხით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური რეკლამის მიზანია, შეახსენოს საზოგადოებას საკუთარი უფლებები და მოვალეობები; პროპაგანდა გაუწიოს ისეთ პოზიტიურ მოვლენებს, როგორიცაა, ვთქვათ, მანქანის მართვა ფხიზელ მდგომარეობაში, ჯანსაღი წესით ცხოვრება და სხვ. ასევე, უბიძგოს გააქტიურებისკენ იმ ადამიანებს, რომელთაც სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ქველმოქმედება შეუძლიათ. სოციალური რეკლამები გადის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ არხებზე და მათი გავრცელება უფასოა. ჩვენთან სოციალური რეკლამა, ძირითადად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცემა. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტიპის სარეკლამო პროდუქციას ეთერს სულ უფრო ხშირად უთმობენ კომერციული ტელეარხებიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სოციალური რეკლამა შინაარსობრივი მრავალფეროვნებითა და შესრულების მაღალი ოსტატობით გამოირჩევა. იგი კომერციულზე მეტად დახვეწილია და კონკრეტული პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული. გავიხსენოთ, სოციალური რეკლამის ნიმუშები, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ წარმატებით გადაიცემოდა და გადაიცემა ქართული ტელეარხებით. მაგალითად,ამეთი წლის განმავლობაში კომერციულ თუ საზოგადოებრივ არხზე ტრიალებს სოციალური რგოლი კოვიდ 19 -ის შესახებ,არაჩვეულებრივად არის წარმოდგენილი, თუ რაფორმით უნდა დავიცვათ თავი და გარშემომყოფები საშინელი ვირუსისგან. ლაკონური, ტევადი და მრავლისმთქმელი სარეკლამო რგოლი მიეძღვნა ნარკომანიის პრევენციის თემას. კადრში ჩანს ტვინის გამოსახულება, რომელიც ინექციის შემდეგ იცვლის ფერს, ფორმას, ზომაში თანდათან მცირდება და კვდომის ეფექტს ქმნის. რეკლამის სლოგანიც მოკლე და გამოსახულების შესატყვისია - ,,შენ გგონია, ვენაში იკეთებ?!". ამ რეკლამის ნახვის შემდეგ ეს დაავადება შეიძლება არ შემცირდეს, მაგრამ პრევენციისთვის საკმაოდ ეფექტიანი ხერხი იქნება, თუკი ჯანმრთელ ადამიანებს კიდევ ერთხელ დააფიქრებს, ახალგაზრდებს გააფრთხილებს ამ საშინელი სენის დამღუპველობის შესახებ. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, რეკლამა წარმატებულად ჩაითვლება. სულ ახლახანს ტელეეთერით გამოჩნდა სარეკლამო რგოლი, რომელიც მოძრაობის

უსაფრთხოებაზე ამახვილებს ყურადღებას. რეკლამა ორიგინალური სცენარითაა გადაღებული - შენელებული კადრებით, „დაყოვნებული სათქმელის“ პრინციპით, მთავარის გაცხადებამდე თანდათანობითი სვლით მჟღავნდება ჩანაფიქრი - ფეხით მოსიარულეთათვის და ავტომანქანის მძოლთათვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანია სიფხიზლე (პირდაპირი- თრობისა და გადატანითი - მეტი ყურადღებიანობის მნიშვნელობით!) და საგზაო წესების დაცვა - ეს გახლავთ დენოტაციური მხარე ამ სარეკლამო პროდუქციისა, რომლის კონოტაციული შეფერილობა გამოკვეთს კანონისა და კანონიერებისადმი ჩვენი დამოკიდებულების არცთუ სახარბიელო გამოცდილებას და მისი დაცვის აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს, რაც ძალზე შთამბეჭდავად გამოიხატება ეფექტიანი ენდინგი-მოწოდებით - „ნუ გაუსწრებთ. ძალზე საინტერესო სოციალური სარეკლამო კამპანია შემოგვთავაზა „არტარეამ“ – „წერე ქართულად!“ - ასეა დასათაურებული რეკლამათა ციკლი, რომელიც მშობლიურ ენის დაცვა-გაფრთხილებისკენ მოუწოდებს აუდიტორიას. სოციალური აქტივობისკენ მოუხმობენ თანამოქალაქეებს ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, რიგითი მოქალაქეები. ვფიქრობთ, ამგვარი კამპანია ძალზე სასარგებლო და შედეგის მომტანია. თანაც, რეკლამის შემქმნელებს სათქმელი ორიგინალურად, ანიმაციური სიუჟეტებითა და სხვადასხვა მხატვრული საშუალებებით აქვთ წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ზრდის მაყურებლის დარწმუნების ხარისხს. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ევროინტეგრაციის პროცესში მისი უკეთ ინფორმირებულობისთვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ტიპის სარეკლამო კამპანიას, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი გვთავაზობს მინი-ფილმების სახით, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე მოგვითხრობს და ამ ქვეყნების ევროპულ ოჯახში გაწევრიანების სიკეთეებზე ამახვილებს ყურადღებას. რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, სარეკლამო სიუჟეტებში ხაზგასმულია ის ეკონომიკური წარმატებები, რასაც ევროინტეგრაციის შედეგად ამა თუ იმ ქვეყანამ მიაღწია. როგორც ვიცით, ტელეკომპანია „ბიბისი“ მსოფლიოში ერთადერთი მაუწყებელია, რომლის ეთერშიც კომერციული რეკლამა არ გადის. ჩვენშიც იყო ამგვარი ნება გაცხადებული, მაგრამ საზოგადოებრივ მაუწყებელზე კომერციული რეკლამებიც გამოჩნდა, რამაც, თავისთავად, შეამცირა სოციალური რეკლამების განმეორებადობა. ამასთანავე, არსებობს რეგულაცია ევროინტეგრაციის თემაზე სავალდებულო სარეკლამო ტიხვრის შესახებ. საერთოდ, საქართველოში სარეკლამო ბიზნესში არსებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონით ,,რეკლამის შესახებ”, რომელიც პარლამენტმა 1998 წლის 18 თებერვალს დაამტკიცა და მასში პერიოდულად შედის ცვლილებები. მოცემული კანონი შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა საკანონმდებლო აქტებისგან. რეკლამის სფეროში მიმდინარე პროცესებს არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურიც. მას აქვს უფლება, ხელშეკრულება დადოს რეკლამის დამკვეთებთან, მწარმოებლებსა და გამავრცელებლებთან, მათ მიერ სარეკლამო საქმინობაში მიღებული წესების დაცვის უზრუნველყოფისთვის. ასევე, აღსანიშნავია საქართველოში მოქმედი შემდეგი კანონები: ,,მაუწყებლობის შესახებ”, „რეგულირების საფასურის შესახებ”, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ” თანამედროვე ეტაპზე მსგავსი კანონების სიმრავლეც რეკლამის მნიშვნელობისა და გავლენის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია. მაგრამ, სარეკლამო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების გარდა, არსებობს ე.წ. ,,დაუწერელი კანონი”, ეთიკური ნორმები, რომლებსაც უნდა იცავდნენ, როგორც რეკლამის დამკვეთები, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამ მხრივ დღევანდელ ქართულ სატელევიზიო სივრცეში მართლაც რომ სავალალო ვითარებაა. რეკლამირებისას ხშირია პროდუქციის განსაკუთრებულობაზე, გამორჩეულობაზე აქცენტირება, საამისოდ გამოიყენება ისეთი ეპითეტები, როგორიცაა: „საუკეთესო”, ,,ლიდერი“, ,,ლიდერი ლიდერთა შორის“ და ა.შ. მართალია, კანონი არ კრძალავს, საუკეთესო უწოდო საკუთარ პროდუქციას, მაგრამ ეთიკურობას თავი რომ დავანებოთ, ეს ხომ არადამაჯერებელია! მსგავსი ეპითეტებით შემკობა ნებისმიერს შეუძლია. რეკლამა ისე უნდა იყოს მოწოდებული, მაყურებელი თვითონ მივიდეს დასკვნამდე, რომ მოცემული პროდუქცია მართლაც საუკეთესოა. ასევე არაეთიკურია კონკურენტის დამცრობა. უთუოდ გვემახსოვრება, მინერალურ წყალს ,,ლიკანი” ჰქონდა შემდეგი შინაარსის რეკლამა: ,,ლიკანის” გვერდით იდო რამდენიმე განსხვავებული ფორმის ბოთლი. ისინი ერთგვარი შეჯიბრის რეჟიმში ცდილობდნენ ,,გატოლებოდნენ” ,,ლიკანს”, თუმცა, მარცხდებიან მასთან ჭიდილში. მართალია, ბოთლებს არ ჰქონდა ეტიკეტი, მაგრამ ფორმის მიხედვით რთული არაა, თითოეულ მათგანში ადვილად ამოიცნოთ ,,ლიკანის” კონკურენტი ქართული მინერალური წყლების პროდუქცია.

დასკვნა

ის ფაქტი, რომ ზემოთ განხილული რეკლამები არ ეწინააღმდეგება კანონს, არ ამართლებს მათ არსებობას. მსგავსი არაეთიკური და ნაკლებად

ესთეტიკური შინაარსის სარეკლამო პროდუქცია საზოგადოების ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამიტომ, რეკლამის დამკვეთებს, შემქმნელებსა და ასევე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, გააზრებული უნდა ჰქონდეთ ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობა, რადგანაც ამ სახის რეკლამირებას შედეგის ნაცვლად, ხშირად უკუეფექტი მოაქვს. აღნიშნულ თემაზე საზოგადოების რეაქციაც ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ მოქალაქეთა მიერ სამართლიანად გამოთქმული დასაბუთებული პრეტენზიები შეუწყობს ხელს მსგავსი არაეთიკური კონტენტის შემცველი სარეკლამო პროდუქციის ტრანსლირების შეზღუდვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარტირ. (2011). მითოლოგიები. თბილისი: გამომცემლობააგორა.
2. Chandler D. (2007). Semiotics The Basics. (Second Edition). England: Taylor & Francis Group. https://analepsis.files.wordpress.com/…/69249454-chandler-s…
3. Harrison C. (2003). Visual Social Semiotics: Understanding how still images make meaning. Technical Communication, Volume 50, Number 1, 46-60. http://www.caea.net/…/Design…/Sketchbook_files/Semiotics.pdf 4. ბელჩიჯ.ი., «რეკლამა და პრომოცია»,2009.

Social TV advertising and civic activism in Georgia

Arsen Burjaliani, professor of Gerogian Technical University
Miranda Bortsvadze, PhD student of Gerogian Technical University

Summary

The Social ads have the special role in the civil society development. In this paper, we discussed thecontent of the Social ads broadcasted in the Georgian TV and how they were focused on increasing public awareness. We used a semiotic analysis of the study. We more or less displayed clear picture of the commercials' social purpose broadcasted in Georgian TV; There was outlined its thematic diversity and effectiveness ofthe expressive means for ensure the society. All this serves to confirm our hypothesis that the samples of Social ads presented in Georgian TV actually contribute to thedevelopment of civic activism and public awareness during the democratization process.

Keywords: Civic activism, Social TV, Media.

დემოგრაფიული აფეთქების მოგვარების მექანიზმები

(მოსახლეობის გამრავლების კონტროლი და სოფლის მეურნეობის მეცნიერული მართვა თუ - ეპიდემიები, აგრესიები, ომები და ეკოლოგიური კატასტროფები?)

როზა გაფრინდაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მეოცე საუკუნეში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა დემოგრაფიულმა აფეთქებამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა.

განვითარებულ ქვეყნებში (ევროპაში და რუსეთშიც! ალბათ საქართველოშიც! - რ.გ.). სპეციალისტები პროგნოზირებენ, რომ, თუ მოსახლეობის გამრავლება თანამედროვე ტემპით გაგრძელდა, დაახლოებით 130-180 წლის შემდეგ იქ მკვიდრი მოსახლეობიდან აღარავინ დარჩება.

განვითარებად ქვეყნებში კი, პირიქითაა - მოსახლეობის გამრავლების ტემპი ისე უკონტროლოდ იზრდება, რომ ბევრი გლობალური პრობლემა შეიქმნა - ეკოლოგიური კატასტროფები, ომები, ეპიდემიები და ავადმყოფობები, მოსახლეობის მიგრაცია, მათი სურსათით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო მიწების დეფიციტი და ა.შ.

ამიტომ, საჭირო გახდა მოსახლეობის ზრდის ტემპების რეგულირებაზე ზრუნვა, რაც მეოცე საუკუნიდან გაერომ იკისრა.

ცხადია დემოგრაფიული აფეთქების საფრთხის თავიდან აცილებაში სპეციალისტები ზნეობრივი („პოზიტიური“) თავშეკავების იმედით კაცობრიობის შეგნებულ ჩართვასაც ვარაუდობენ.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული აფეთქება; ჭარბი მოსახლეობა; მალთუსის თეორია; მოსახლეობის გამრავლება; მოთხოვნილებები, სურსათი; დისბალანსი; აგრესია, ომები; ეპიდემიები; ვაქცინაცია; ახალი ტექნოლოგიები; პოზიტიური თავშეკავება.

შესავალი

თანამედროვეობის ერთ-ერთ მტკივნეულ გამოწვევად - დემოგრაფიული აფეთქება ითვლება; იგი “ჭარბ მოსახლეობასთან“ დაკავშირებულ პრობლემებს და **თომას მალთუსის** სახელს უკავშირდება (მალთუსი - 1766-1834 წელს დაბადებული, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სახელმწიფოს მოქალაქე, იესოს კოლეჯის, კემბრიჯის უნივესიტეტისა და უორინგსტონის აკადემიადამთავრებული).

თომას მალთუსის ცნობილმა თეორიამ და მისმა შრომამ - „ტრაქტატი მოსახლეობაზე“, სადაც ავტორი დემოგრაფიული აფეთქების მიზეზებზე და მის დამღუპველ შედეგებზე აფრთხილებდა კაცობრიობას, დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

კერძოდ, ის ამტკიცებდა, რომ „კაცობრიობა გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება, მისი საარსებო საშუალებები - არითმეტიკული პროგრესიით. ამიტომ, პერიოდულად, კაცობრიობის მოთხოვნილებებსა და მისი დაკმაყოფილების საშუალებებს შორის დისბალანსი წარმოიშიბა ხოლმე - მწვავდება კონკურენცია, აგრესიები, ადამიანთა, ჯგუფებსა და ქვეყნებს შორის ინტერესთა ურთიერთშეუსაბამობა, კონფლიქტები, ეპიდემიები, ომები, კლიმატური პრობლემები და ბუნებრივი კატაკლიზმები, რასაც თან ახლავს მოსახლეობის საგრძნობი შემცირება და შესაბამისად, ხალხთა შორის დროებითი სიმშვიდე ისადგურებს!

ფართო საზოგადოებისთვის მალთუსის თეორია დიდხანს იყო მივიწყებული; კორონა რომ არა, იქნებ ის სულაც დავიწყებას მისცემოდა, მაგრამ როგორც იტყვიან, „კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“ და აი - ეპიდემიაც!

„ეპიდემიის“ ხსენებაზე მიშელ ფუკოს ცნობილი ნაწარმოები - „შეშლილთა ხომალდები“ გვახსენდება, როცა მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში გავრცელებული ეპიდემიები - კეთრი, ათაშანგი, შეშლილობები - „აზანზარებდა ევროპას!“ და როგორც მიშელ ფუკო აღნიშნავს, მან სამ მილიონამდე ადამიანი შეიწირა!

კეთრის ადგილი კი ახლად აღმოჩენილ ვენერიულ დაავადებებს, შემდეგ კი შეშლილობებს დაუკავებია. დასნებოვნებას ხელს უწყობდა მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე, არასაკმარისი კვება და ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რის გამოც ის მეოცე საუკუნემდე შემორჩენია კაცობრიობას. (1990 წელს, საქართველოში, 21 მოქალაქე ყოფილა კეთრით დაავადებული; ისინი მკურნალობას ბასქოში და ასრახანში გადიოდნენ); 1991 წლიდან, საქართველოში, კეთრი აღარ დაფიქსირებულაო, წერენ სპეციალისტები. დღეს კეთრით დაავადების რისკი დაბალია, ვინაიდან 95 პროცენტზე მეტ ადამიანს, მსოფლიოში, „უკვე აქვს ბუნებრივი იმუნიტეტი“; ზოგიერთ ქვეყანაში კი, 2011-2015 წლებში მსოფლიოში, კეთრის 1000 ახალი შემთხვევა აღირიცხა (ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აფრიკაში - კონგო, ეთიოპია, მადაგასკარი, მოზამბიკი, ნიგერია, ტანზანია. აზიაში - ბანგლადეში, ინდოეთი, ინდონეზია, ნეპალი, ფილიპინები, შრილანკა. სამხრეთ ამერიკაში - ბრაზილია).

თავის დროზე მათთვის შენობების აგებაც საჭირო გამხდარა (გარეუბნებში, მოსახლეობისაგან განცალკევებით), რაკი ისე მომრავლებულან, რომ

ეკლესიები ვეღარ აუდიოდნენ მათ მკურნალობას; „ისინი თავისუფლად დაწანწალებდნენ ახლომახლო სოფლებში; მათ იძულებით გააყოლებდნენ ხოლმე ვაჭართა ან მომლოცველთა რომელიმე ჯგუფს ან მეზღვაურებს; რომელთაც თურმე სადმე, დაუსახლებელ კუნძულებზე გადასვამდნენ ზოგ-ჯერ კი გემებიანად ძირავდნენ ზღვებსა და ოკეანე-ებშიო - წერს მიშელ ფუკო.

ვენერიული დაავადებების მკურნალი-სპეცი-ალისტები ათამდე სახეობას ჩამოთვლიან, რის მიზეზებად ისევ მოსახლეობის უკონტროლო გამ-რავლება-სიმჭიდროვეს, სიღატაკეს და დაბალ კულტურას ასახელებენ.

რაც შეეხება ფსიქიკური შეშლილების მიზე-ზებს, იგი „ინტელექტუალური და მორალური ფსიქოზებით დატვირთული მემკვიდრეობით“ არის ახსნილი (რაც ასევე მოსახლეობის სიმ-ჭიდროვის, ანუ - დემოგრაფიული მიზეზი ყოფილა) და ცნობიერების აბნევა, ჭკუასუსტობა, მორალურ აშლილობაში, ზრდასრულთა შორის ზნეობრივი გრძნობების გაუკუღმართებასა და, ანტისოციალური ქცევებისადმი მკვეთრად გამო-ხატულ მიდრეკილებაში გამოიხატებოდა (იხ. მემკვიდრეობითი დეგენერაციის კონცეფცია!).

მიშელ ფუკოს თქმით - მალეის, კეთროვნებისაგან განსხვავებით, მედიცინის საგანი გამხდარა. დღეს ეპიდემიის ეს სახეობები კაცობრიობის მეხსიერებასღა შემორჩა, მაგრამ გაჩნდა ეპიდემიების ახალი სახეობები, რომელთაც „თავზარი დასცეს დედამიწის მოსახლეობას და ჯერაც პრობლემებს უქმნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით განებივრებულ და გათამამებულ კაცობრიობას“!

ძირითადი ნაწილი

სპეციალისტები წერენ, რომ 2020 წლის მონაცე-მებით „ათმა საშიშმა ვირუსულ-ბაქტერიულმა და-ავადებამ, საერთო ჯამში მილიარდამდე ადამიანი იმსხვერპლა“.

ესენია:

ტიფი; პირველი მსოფლიო ომის დროს, მან დაახლოებით 20-30 მილიონი ადამიანი შეიწირა (დღეს ეს მაჩვენებელი ხუთ მილიონ გარდაცვლილს უდრის).

ემბოლა: ის 1976 წელს, აფრიკაში, სუდანსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გავრცე-ლებულა და ასზე მეტი ადამიანი შეუწირავს.

შიდსი - პირველად 1981 წელს დაფიქსირებულა; ეს დაავადება, სქესობრივი გზით გადადის და იმუნურ სისტემას აავადებს. დღეს, შიდსით 75 მილიონამდე ადამიანი ყოფილა დაავადებული.

ცოფი - ცხოველის ნაკბენით ან ნაკაწრით ვრცელდება. ამ დაავადებით ყოველწლიურად, 55 ათასი ადამიანი კვდება აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

გრიპი - ჰაერ-წვეთოვანი გზით გადადის; „მისი 200 ქვეტიპი არსებობს; უმეტესობა ერთ კვირაში იკურნება, უექიმოდ; თუმცა, მისი მიზეზით წელიწადში ნახევარი მილიონი ადამიანი მაინც იღუპება“. 1918 წელს ყველაზე დიდი პანდემია დაწყებულა, რასაც „ესპანური გრიპის“ სახელით ცნობილი 50 დან 100 მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა.

ქოლერა: მას ჭარბი მოსახლეობის რეგიონებში წყლის ფეკალური დაბინძურება იწვევს; მისი საწინააღმდეგოვაქცინისეფექტურობადაახლოებით 85 პროცენტს უდრის. ქოლერით ყოველწლიურად 4-მილიონამდე ადამიანი ავადდება, რომელთაგან 140 ათასზე მეტი იღუპება.

ჭირი: მისი ბაცილა, ადამიანის ოტგანიზმში, რწყილის ნაკბენით ხვდება; მეექვსე საუკუნეში, მას 100 მილიონი ადამიანი შეუწირავს. მეთოთხმეტე საუკუნეში კი შავი ჭირით, ევროპის მოსახლეობის 30-დან 60 პროცენტამდე ადამიანი დაღუპულა!

ყვავილი: მისი პირველი გამოჩენა, ეგვიპტურ მუმიებში, ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნით თარიღდება 30 პროცენტიანი სიკვდილიანობა; მეთვრამეტე საუკუნეში, ყვავილით, წელიწადში 400 ათასი ადამიანი იღუპებოდა, მათი მესამედი - ბრმავდებოდა. მან, სულ, 300 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მისი უკანასკნელი შემთხვევა 1977 წელს დაფიქსირებულა.

ტუბერკულოზის ბაცილა, ანუ „კოხის ჩხირები“, ჩვენს წელთ აღრიცხვამდე ხუთი ათასი წლის წინ ადამიანის ჩონჩხში აღმოუჩენიათ. 2018 წელს, ტუბერკულოზით 10 მილიონი ადამიანი ყოფილა დაინფიცირებული, მათგან 1.5 მილიონი კი გარდაცვლილა.

მალარია - ადამიანის ორგანიზმში კოღოს ნაკბენით ხვდება. გავრცელებული ყოფილა სუბტროპიკულ რეგიონებში; 2018 წელს 228 მილიონი შემთხვევა აღირიცხა. მათგან 400 ათასზე მეტი - სიკვილით დამთავრებულა, უმეტესად მცირეწლოვანი ბავშვები.

ეპიდემიების მიზეზების კვლევის შედეგად დემოგრაფები დაასკვნიან, რომ მისი ერთ-ერთი **მთავარი მიზეზი ჭარბი მოსახლეობაა** (ამიტომ დამდგარა ჯერ კიდევ საუკუნეების წინ მოსახლეობის გამრავლების ტემპის შემცირების/ მართვის საჭიროება).

- როგორც დემოგრაფიულ სამეცნიერო ლიტე-რატურაში ვეცნობით, კაცობრიობა გამრავ-ლების „ვერც მუდმივ ზრდას შეურიგდება და ვერც მის მუდმივ შემცირებას! მისთვის ორივე დამღუპველია!“ ... („რაკი სამყაროული წესრიგის გარანტი - წონასწორობაა! რ.გ.).

ეს პრობლემა ცხოველებსაც აწუხებთ, მაგრამ მათთან გამრავლების პროცესი ინსტინქტურად რეგულირდება - იზრდება უნაყოფო მდედრების

რიცხვი, იბადებიან ავადმყოფი ნაშიერები, ფრინველების ზოგიერთი სახეობა ბარტყებს ბუდეებიდან ყრის, ზოგგან მამრები ქრებიან და ა. შ.

მალთუსი, კაცობრიობის გამრავლების კონტროლის ბუნებრივ საშუალებად მიიჩნევდა ეპიდემიებს, ომებს, ავადმყოფობებს, შიმშილს, ძალადობას; ხოლო მოსახლეობის ზრდის ტემპების შესაჩერებლად - სექსუალური ცხოვრებისაგან თავშეკავებას, გვიან ქორწინებას ზნეობრივ შეზღუდვებს და ა. შ. დღეს, როგორც დემოგრაფი-მეცნიერები ვარაუდობენ, ამ მხრივ მსოფლიო დიდი გამოწვევების წინაშე დგას!

- დემოგრაფიულ სემეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ 50 ათასი წლის წინ, დედამიწა მხოლოდ 500 ათას ინდივიდს ითვლიდა. ჩვენი ერის დასაწყისისთვის - 50-300 მილიონს მიაღწია; 1825 წლისათვის - 1 მილიარდი გახდა; ბოლო 200 წლის განმავლობაში - 6 მილიარდი! 2050 წლისათვის - 9.7 მილიარდი გახდება, ხოლო თუ ასე გაგრძელდა - მაშინ, 7 საუკუნის შემდეგ, თითოეული ადამიანისთვის, დედამიწაზე საცხოვრებლად და საარსებოდ, მხოლოდ 1 კვ.მ. ფართობი დარჩებაო! (რასაც, ალბათ „ცხოვრებაც“ აღარ ერქმევა!).

რა პერსპექტივებს ხედავენ მეცნიერები „მუდმივად მზარდი მოსახლეობის“ სურსათით უზრუნველყოფის მიზნით?

დღეისათვის ამ პრობლემაზე მრავალი მეცნიერი და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. ისინი „სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაზე“, „წარმოებული პროდუქტის უსაფრთხობაზე“, „უვნებელი სურსათის მიწოდებაზე“ და მოსახლეობის ზრდის ტემპების დარეგულირების მეთოდებზე ზრუნავენ.

ჯერ კიდევ 1967 წელს, გაეროს ინიციატივით მოსახლეობის ფონდი შექმნილა, რომელიც „განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს შობადობაზე კონტროლის განხორციელების საქმეში დახმარებას დაპირდა“ - ვკითხულობთ გიორგი გოგსაძის წიგნში „მოსახლეობის გეოგრაფია“, თავი - დემოგრაფიული პოლიტიკა, 2019 წ.

...განვითარებულ ქვეყნებში კი (ევროპა, ამერიკა, რუსეთი და ალბათ საქართველოც - რ.გ.), პირიქითაა! დემოგრაფების ვარაუდით, „არსებული დემოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნებით, 130-180 წლის შემდეგ მკვიდრი მოსახლეობიდან, აქ აღარავის დარჩება... ამ ქვეყნებში სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბავშვთა ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს“ (იხ. ზემოთ დასახელებული ნაშრომი).

დემოგრაფიულ პრობლემებზე ზრუნვა ჯერ კიდევ 1778 წელს დაწყებულა (იხ. გიორგი კიკაძის სტატია - „კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობის საფრთხე“, Google. Ge), სადაც საუბარია სურსათზე გაზრდილი მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად საჭირო წარმოების გაფართოებაზე და მწარმოებელთა მოტივაციის ამაღლებაზე, სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაზე, წარმოებული პროდუქტის უსაფრთხოებაზე, ტექნოლოგიების სიმძლავრეების გაზრდაზე და ა. შ.

მეცნიერები გარემოსთვის ყველაზე დიდი ზიანის მომტანად ქვანახშირის წვას მიიჩნევენ, რის გამოც 2018 წელი ქვანახშირის მომპოვებელი ორგანიზაციების გაუქმების ბოლო ვადად ყოფილა დასახელებული. მისი შეცვლა კი შესაძლებელი ყოფილა „მიწის ელემენტების რადიოაქტიური ელემენტების გახლეჩით“, ქარის ტურბინებით, მზის პანელებით და ა. შ. ამ სფეროებში დასაქმებას კი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ (დიდ ინვესტიციებს ჰპირდებიან) და განვითარებად ქვეყნებს ამ აქტივობისთვის მზაობას ურჩევენ!

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ამ პრობლემებზე მრავალი მეცნიერი და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს; თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ იმედით მოსახლეობის „ზომიერად გამრავლება“ ილუზია უფროა, ვიდრე რეალურად მოსალოდნელი შედეგი; ანუ, რაკი/სანამ დედამიწაზე ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის მხოლოდ სხეულებრივი სიამოვნებაა ხელმისაწვდომი (მეტწილად აქ იგულისხმება როგორც სმა-ჭამის, ისე გამრავლების პროცესის სიამოვნება) ხოლო სულიერი სიამოვნებანი (მშვენიერების, უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტების სიყვარულები) მათთვის უცხო ან ხელმიუწვდომელია, მოსახლეობის გამრავლების ტემპების შემცირების ჰუმანურ მეთოდებში, განათლებისა და აღზრდის სისტემების ამოცანებიც უნდა იქნას განსაზღვრული და გათვალისწინებული!

ანუ, რაკი ეპიდემიებმა, მეცნიერებას შობადობის კონტროლი, ეკოლოგიაზე, შიმშილის მაჩვენებლის შემცირებაზე და სურსათზე მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საშუალებებზე ზრუნვა უკარნახა, **მე - სოციალური შეგნებულობის გაზრდას და „პოზიტიურ თავშეკავებას“ დავუმატებდი.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კორნად ლორენცი, ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა, „შესავალი აზროვნებაში“ ტ. 4; „ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2007.
2. თომას მალთუსი, „ტრაქტატი მოსახლეობაზე“, Google.ge
3. გაფრინდაშვილი რ., თომას მალთუსი და ერთსქესიანთა ქორწინების დემოგრაფიული ეფექტი; სტუ-ს სამეცნიერო-საერთაშორისო ჟურნალი „მსოფლიო და კავკასია“, N 33, 2016.
4. gtuc.ge/klimatis cvlileba da globaluri datbobis/ . . .
5. SOCIUM.ge “protosocteoria” maltusis Tesisebi Socium.ge
6. მიშელ ფუკო, „შეშლილთა ხომალდი“;
7. გოგსაძე გ., „დემოგრაფიული პოლიტიკა“ წგნიდან - „მოსახლეობის გეოგრაფია“, „ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2019.

Demographic explosion resolution mechanisms

(Population control and scientific management of agriculture or - epidemics, aggression, wars and ecological disasters?)

Roza Gaprindashvili, associated professor of Gerogian Technical University

Summary

The twentieth century was particularly aggravated by the demographic explosion and the problems associated with it.

In developed countries (Europe and Russia! Probably in Georgia too! - RG). Specialists predict that if population growth continues at a modern pace, after about 130-180 years no one from the indigenous population will remain there.

In developing countries, the opposite is true - the rate of population growth is growing so uncontrollably that many global problems have arisen - ecological catastrophes, wars, epidemics and diseases, population migration, food security, agricultural land shortages, and so on.

Therefore, it became necessary to take care of the regulation of population growth rates, which has been undertaken by the UN since the twentieth century.

Clearly, experts in avoiding the threat of a demographic explosion also suggest the conscious involvement of humanity in the hope of moral («positive») restraint.

Keywords: demographic explosion; Surplus population; Malthusian theory; Population growth; Needs, food; Imbalance; Aggression, wars; Epidemics; Vaccination; new technologies; Positive restraint.

სოციოლოგია ძველ აღთქმაში ანუ ძველი აღთქმა სოციოლოგიაში

ომარ ტაბუცაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება სოციოლოგიის საკითხებს ძველ აღთქმაში, მისი ზოგიერთი წიგნის მიხედვით („ეკლესიასტე“, „იგავნი სოლომონისა“, „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ზირაქისა“). ყურადღების ცენტრში ადამიანთა ყოფიერების, ინდივიდებს შორის ურთიერთობების, რეალური სოციალური ურთიერთობების და საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიური ხასიათი. ასევე თანამედროვეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობების საკითხები. ჩართულია ნიკოლაი ბერდიაევის, ი. კანტის თვალსაზრისები სოციალური ურთიერთობების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სოციოლოგია, ძველი აღთქმა, „ეკლესიასტე“, „იგავნი სოლომონისა“, „სიბრძნე სოლომონისა“, „სიბრძნე ზირაქისა“.

შესავალი

სოციოლოგია როგორც სოციალურის შესახებ მეცნიერება თავის ისტორიას იწყებს ფრანგი ფილოსოფოსი ოგ. კონტიდან (1798-1857). მაგრამ საზოგადოების, ადამიანთა ურთიერთობების შესახებ წარმოდგენები და თვალსაზრისები გაცილებით ძველია, მას ვხვდებით ძველი დროის მითოდოლოგიაში, იგავ არაკებში, აფორიზმებში, ხალხურ თქმულებებში, რელიგიურ სისტემებში (შვედური რელიგიური ჰიმნები ბუდისტური ლიტერატურა, ძველი ჩინური ფილოსოფიური სისტემები, ძვ. ბერძნული ფილოსოფია, ახალი საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრებები და სხვ.). სოციოლოგიური მიმართულებით უხვი მასალაა ძვ. აღთქმაში.

ძვ. აღთქმას თავისი სტრუქტურა და შინაგანი ლოგიკა, შინაარსი და ფორმა გააჩნია. ის მხოლოდ რელიგიური წიგნი არ არის. მისი შინაარსი ამოუწურავია. ის ერთგვარი წყაროა ძველი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიისა და გეოგრაფიისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, სოციოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებისათვის და სხვ.

ძირითადი ნაწილი

რელიგია მსოფლმხედველობაა. ზოგადად აღებული ისაა მოძღვრება ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ. ძველ აღთქმაში ყურადღების ცენტრშია ღმერთსა და ადამიანებს შორის ურთიერთობები, ადამიანებს, სოციალურ ჯგუფებს, სოციალურ ურთიერთობებს შორის ურთიერთმოქმედებანი, ოჯახის დ ოჯახური ურთიერთობების, ზნეობრივი-ყოფითი და სამართლებრივ-ყოფითი საკითხები და ა. შ.

სოციოლოგიებისათვის საყურადღებო მასალა ძველი აღთქმის ყველა ნაწილშია: მოსეს ხუთი წიგნი, მეფეთა და მსაჯულთა წიგნები, წინასწარმეტყველთა წიგნები. სტატიაში შევეხებით მხოლოდ „ეკლესიასტეს“, სოლომონის „იგავებს“ და „სიბრძნეს“ და „სიბრძნე ზირაქისას“

„ეკლესიასტე“ გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება და დაწერილია ძვ. ბერძნული ფილოსოფიის (უფრო სწორად, დიალექტიკის) გავლენით.

„ეკლესიასტეში“ ადამიანთა ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათია ნაჩვენები. ხაზი გაესმის მოვლენათა მუდმივ ცვალებადობას, „არაფერი არაა მარადიული“. დასმულია ადამიანის ცხოვრების, მისი ყოფიერების საზრისი საკითხები. მართალია „ეკლესიასტეს“ ავტორის მიერ ყოველივე ამაოებადაა ჩათვლილი, მაგრამ ეს სკეპტიციზმი მხოლოდ მეთოდოლოგიური ამოსავალია მისთვის. თვალსაზრისი განვითარებულია ცხოვრების საზრისის გადაწყვეტის ძიებისაკენ. ნ. ბერდიევი ადამიანის ყოფიერების საზრისის შესახებ წერდა, რომ ისტორიულად ადამიანები სოციალური რევოლუციების საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ცხოვრების საზრისის მიგნებას ვერ ახერხებდნენ. მხოლოდ ქრისტიანობამ უჩვენა ადამიანებს ცხოვრების საზრისი (7. 51).

მაშასადამე, ასკვნის ბერდიევი, ადამიანებისათვის მხოლოდ მატერიალური უზრუნველყოფა არ ყოფილა უმთავრესი, როგორც იესო ამბობდა: „დაწერილია, რომ არა პურითა და ერთითა ცოცხლობს კაცი“ (მათ. 4.4). აქ ხაზი ესმის იმას, რომ ცხოვრების მატერიალური მოწყობის გარდა უმთავრესია აგრეთვე ადამიანის სულიერი სრულყოფა, სწორედ აქ წინა პლანზე იწევს ქრისტიანული პრინციპი: „რწმენა, სიყვარული, იმედი“. ეკლესიასტეს ავტორი წერ: „შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი, რომ ამასაც არა აქვს აზრი“ (ეკლ. 1. 17). შედარებისათვის შეიძლებოდა გაგვეხსენა ნეტარი ავგუსტინეს (354-430) მიერ „ღვთის ქალაქში“ ნაჩვენები საკუთარი ცხოვრების პირველი წლების სულიერი მდგომარეობა, როდესაც ის ვერსად და ვერაფერში ნახულობს სულიერ სიმშვიდეს და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეძებს სხვადასხვა ფილოსოფიურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებში. დაახლოებით

ანალოგიური „ეკლესიასტეს“ ავტორის მდგომარეობა, რომელიც პარადოქსად თვლის, იმას, რომ ადამიანი იძენს სიბრძნეს, ქმნის ღირებულებებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, „ყოველივე დაივიწყება“, „კვდება ბრძენი კაცი უგუნურივით“, „ნაღვაწი სხვას ხვდება წილად, ვისაც არასდროს უღვაწია“ (ეკლ. 2. 12-16). ამ მსჯელობაში თაობათა ურთიერთობების დინამიზმია ასახული. ზოგი მეტს აღწევს, ზოგი – ნაკლებს, საბოლოო ჯამში კი ისტორია იკვლევს გზას. „ეკლესიასტე“-ში სოციალური ცხოვრების რეალური დიალექტიკური ბუნებაა ნაჩვენები. „ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ცის ქვეშეთში. ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა; ჟამი დანგრევისა და ჟამი დანგრეულის აღმოფხვრისა. ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა; ჟამი რღვევისა და ჟამი შეკვრისა; ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ და სხვ. (ეკლ. 3. 1-4; 7). აქ დასმულ კითხვებზე, თუ რაღა აზრი აქვს ყოველგვარ სიბრძნესა და ადამიანის მიერ ღირებულებათა შექმნას უკვე გაცემულია პასუხი, რომ ადამიანის ცხოვრება, მისი მოღვაწეობა არაა სწორხაზობრივი, რომ ის წინააღმდეგობებითაა აღსავსე და ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებს შორის მიმდინარეობს, რომ ადამიანის ყოფიერების საზრისი, ამ წინააღმდეგობათა ორომტრიალში თავის გართმევაშია. და როგორც არისტოტელე იტყოდა ეს საზრისი ანუ ადამიანის დანიშნულება გონების შესაბამისად მოქმედებაშია ანუ სიკეთის ქმედებაში. ბუნებამ ადამიანი გონებით დააჯილდოვა, რათა სწორი არჩევანი გააკეთოს თავის ქმედებებსა და ცხოვრებაში. „კიდევაც ვნახე საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამის ძეთ მათ სატანჯველად. მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისათვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო. ვუწყი, რომ რადგან არაფერია კაცისათვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხალია“ (ეკლ. 3. 10-12).

„ეკლესიასეტეში“ ერთმნიშვნელოვან მომენტზეა მითითებული, რაც სოციოლოგიისათვისაა საინტერესო: „სიბეჯითე ყველა საქმეში მხოლოდ ურთიერთის შურით არის გამოწვეული“ (ეკლ. 4. 4). აქ შურის ქვეშ ადამიანთა მცდელობა უკვე არსებულზე უკეთესი და ბევრი შექმნას, პროგრესიც სწორედ ამაშია. კანტი ნაშრომში „საყოველთაო ისტორიის იდეა მსოფლიო – სამოქალაქო პლანში“ ისტორიული პროგრესის საფუძველს ანტაგონიზმსა და წინააღმდეგობათა (ჯიბრი, შური, ბრძოლა და გამარჯვება) დაძლევაში ხედავდა (6. 11-12). აქ შეგვიძლია გავიხსენოთ აგრეთვე ანტიკური ფილოსოფოსი ემპედოკლე (490-430 ძვ. წ.), რომელიც პროგრესის საფუძველს მტრობასა და სიძულვილში ხედავს და (34). შრომაში წარმატებების საფუძვლად შური და შეჯიბრია გაგებული ჰესიოდესთან „შრომანი და დღენიში“ (2. 68).

„ეკლესიასტეში“ წინა პლანზეა წამოწეული ურთიერთობები. მიუხედავად სკეპტიციზმისა, ეკლესიასტე მაინც მარტოობის წინააღმდეგია. „მარტო ყოფნას სჯობს ორნი იყვნენ, რადგან კეთილად მოეზღვევათ მათ საშრომელში. თუ დაეცნენ, ერთი მაინც წამოაყენებს თავის ამხანაგს. მაგრამ, ვაი მარტომყოფს, თუ დაეცა ვინღა უშველის?“ (ეკლ. 4. 9-10). სოციოლოგიაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად სადაც ორი ადამიანი (ურთიერთობაში), იქ უკვე მცირე სოციალური ჯგუფია და სოციოლოგიის საგანი. მიგვაჩნია, რომ ერთი ადამიანიც კი შეიძლება სოციოლოგიის საგანი იყოს. სოციოლოგიის საგანია მცირე და დიდი სოციალური ჯგუფები, ამ ჯგუფებში ადამიანთაშორისო ურთიერთობები, ურთიერთობები ჯგუფის ცალკეული წევრთა და სოციალურ ჯგუფს (კოლექტივს) შორის, მაგრამ, სოციალურ ჯგუფს გარეთ მყოფი ადამიანიც მთლიანად არაა მოკლებული ინდივიდებს შორის ურთიერთობებს. არავინ არაა სრულებით იზოლირებული საზოგადოებისაგან, რაც არ უნდა იყოს, ის ხომ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია“, „სოციალური არსებაა“ (არისტოტელე), რელიგიისა და მორალის მქონე არსებაა (ფოიერბახი). ადამიანი მარტოკაც რომ იყოს, ეს მარტოობა პირობითია, რადგან ის საზოგადოებაშია, თავის ერშია, ეთნოსშია, ვიღაცის მეზობელია და ა. შ. „განდეგილიც“ კი არაა აბსოლუტურად „განდეგილი“, „გაქცეული“ საზოგადოებისაგან, საზოგადოების მიერ შექმნილი „სიკეთით“ სარგებლობს. თვით ეგზისტენციალიზმში (კირკეგორი, დოსტოევსკი, ბერდიაევი), სადაც მარტოობის პრობლემაა ძირითადი, საკითხი სულიერ და არა მატერიალურ ურთიერთობებს ეხება.

ძვ. აღთქმაში: „ეკლესიასტეში“, ასევე „იგავებში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოჯახს. „ეკლესიასტეში“ ოჯახი გაგებულია როგორც ერთად ყოფნის, ურთიერთთანადგომის, მარტოობის აღმოფხვრის საშუალებად. „სიბრძნე ზირაქისას“ თანახმად, „ცოლის მომყვანი საუკეთესო ქონებას იძენს – შესაფერის დახმარებას და შების საყრდენს, „სადაც ცოლი არ არის იკვნესებს მოხეტიალე კაცი“, „რომელსაც არა აქვს ბუდე და სადაც დაუღამდება იქ ეძებს სადგურს“ (ზირ. 36. 34, 35, 37); ოჯახი ხომ ერთ-ერთ უწმინდეს ფენომენადაა აღიარებული ქრისტიანობაში, სადაც ქორწინება ერთ-ერთი საიდუმლოებათაგანია. იგივე „სიბრძნე ზირაქისას“ თანახმად, „ბედნიერია კარგი ცოლის ქმარი...“, „ერთგული ცოლი ახარებს თავის ქმარს“, „კარგი ცოლი კარგი ხვედრია“ (ზირ. 26. 1-3). ამავე დროს, არაერთგული ცოლის თვისებებზეცაა მინიშნებული. „სხვენის კუნჭულში ცხოვრება სჯობია ანჩხლ

დედაკაცთან ერთ ჭერქვეშ ყოფნას (იგავ. 21. 9). „უმალ ლომთან და ურჩხულთან ერთად ვიცხოვრებდი ვიდრე ავ ცოლთან“ (ზირ. 25. 16). ცხადი ხდება, რომ ოჯახურ ურთიერთობებში, განსაკუთრებით მეუღლეებს შორის ურთიერთობებში წინა პლანზე, თითოეული მათგანის მაღალი სულიერი თვისებებია წამოწეული. საერთოდ, როდესაც საუბარია სოციალურ ჯგუფებზე (განსაკუთრებით მცირე სოციალურ ჯგუფებზე) და მის წევრებს შორის ურთიერთობებზე აქაც იგულისხმება არა მხოლოდ მწარმოებლური, მმართველობითი ურთიერთობები, არამედ მათ ურთიერთობებში სულიერ, მორალური, ემოციურ-განცდითი მხარეებიც. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებითაა მორენოს (1892-1974) მიერ წინა პლანზე მცირე ჯგუფი აქვს წამოწეული (9. 126). ამ მხრივ უფრო მეტი ითქმის „ოჯახზე“, რადგან ის, ურთიერთობათა უფრო მეტ სპექტრს მოიცავს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის მცირე ჯგუფი. სწორედ ამიტომ, როგორც არაერთხელ თქმულა კონფუციმ ოჯახი პატარა სახელმწიფოდ ჩათვალა, ხოლო არისტოტელემ სახელმწიფოს წარმოშობა და სტრუქტურა, ოჯახიდან, როგორც მისი ჩანასახოვანი ფორმიდან დაიწყო (8, 380). „იგავებში“ ყურადღება ექცევა ურთიერთპატივისცემაზე აგებულ ოჯახს, როგორც სოციალურ ერთეულს. „უკეთესია მწვა-ნილეული საზრდო და სიყვარული, ვიდრე ნასუქი ხარი და სიძულვილი“ (იგავ. 15. 17); „ერთი ლუკმა ხმელი პური სიმშვიდეში უკეთესია, ვიდრე სალაფავით სავსე სახლი უთანხმოებაში“ (იგავ. 17. 2). ოჯახის უმთავრესი სოციალური ფუნქციაა შვილების აღზრდა და მათი სოციალიზაციისათვის სწორი მიმართულების მიცემა. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი „იგავებში“. „ბრძენი შვილი მამას ახარებს“ (იგავ. 15-20): „ბრიყვი შვილი მშობლის სადარდებელია“ (იგავ. 17. 21); „გყავს შვილები? ასწავლე მათ და ყრმობიდანვე მოახრევინე ქედი“ (ზირ. 7. 27); „დასაჯე შვილი, სანამ იმედია, და ნუ შეგაშინებს მისი ღრიალი“ (იგავ. 19. 18); „ყმაწვილის დასჯა ნუ დაგენანება; ჯოხითაც რომ სცემო არ მოკვდება“ (იგავ. 23. 13-14). ოჯახი მცირე სოციალური ჯგუფია, მაგრამ თავისი ფენომენით საკმაოდ რთულია. მატერიალური დოვლატის წარმოების მხრივ ოჯახი ეკონომიკური უჯრედიცაა. ეკონომიკური ფაქტორი ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს მის წევრთა თანაცხოვრებაზე და ურთიერთობებზე.

ისტორიაში მრავალგვარი ოჯახია ცნობილი: პოლიგამიური და მონოგამიური, პატრიარქალური და მატრიარქალური, პოლიანდრიული და მონოანდრიული, ოჯახები მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში, მდიდართა თუ ღარიბთა, მონათა და ყმათა, განათლებულთა და გაუნათლებელთა და ა. შ. ოჯახები.

თითოეულ მათგანში თავისებური იყო მის წევრთა ეკონომიკური და რეალური ურთიერთობები, თაობათა შორის, შვილებს შორის მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები, რასაც დიდი ადგილი ეთმობა ძველ ებრაელთა სოციალურ ცხოვრებასა და სულიერებაში. მოსეს კანონებში ნათქვამია, რომ ვინც დედას ან მამას ფიზიკურ (ანდა სიტყვიერ) შეურაცხყოფას მიაყენებს ის უნდა მოიკლასო (გამ. 21. 15). სოლომონის იგავებში კი აღნიშნულია, რომ „ვინც მამაზე ძალმომრეობას და დედას დევნის, იგი უტიფარი და შემარცხვენელი შვილია“ (იგავ. 19. 26). აქედან გამომდინარე „იგავში“ აღნიშნულია, რომ „გონიერი მონა შემარცხვენელ შვილზე იხელმწიფებს და ძმებს შორის წილს დაიმკვიდრებს“ (იგავ. 17. 2). წინა პლანზე იწევს აგრეთვე ძმებს შორის ურთიერთობები. ეს საკითხი დგას „ახალ აღთქმაშიც“, სადაც ნათქვამია, რომ „თუ შენ მიუტანდ შენს ძღვენს სამსხვერპლოსთან და იქ გაიხსენებ, რომ შენს ძმას რაიმე აქვს შენს წინააღმდეგ, დატოვე იქ შენი ძღვენი სამსხვერპლოსთან და წადი, ჯერ შენს ძმას შეურიგდი, შემდეგ მოდი და შესწირე შენი ძღვენი“ (მათ. 5. 23-24). რადგან, „განდგომილი ძმა ციხე-სიმაგრეზე უფრო მეტად მიუდგომელია და უთანხმოებანი კოშკის ურთულს ჰგავს“ (იგავ. 18. 10). ძმებს შორის ზოგი სოციალურად უფრო აქტიურია, მეტი წარმატებები აქვს, ვიდრე სხვებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ერთი მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილად ცხოვრობდეს, ვიდრე – მეორე. რაც, ხშირად გარკვეულ გავლენას ახდენს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებზე. „იგავნ-ში“ ხაზი ესმის სოციალური აქტიურობის აუცილებლობას და აღნიშნულია, რომ „ღარიბ-ღატაკი მის ძმებსაც კი ეჯავრება“ 9იგავი. 19. 7). მოზარდი თაობის სოციალიზაციაში წამყვანი წვლილი მიუძღვით ხოლმე ხანდაზმულებს. მათ ხომ ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ. ამიტომ უძველესი დროიდან დიდად ფასობდა გონიერ მოხუცთა და საერთოდ ხანდაზმულთა რჩევა-დარიგებები, „სიბრძნე ზირაქისაში“ აღნიშნულია, თუ „რარიგ შეშვენით ხანდაზმულთ განკითხვა და მოხუცებულთ მიცემა რჩევისა!“ „რარიგ უხდება მოხუცებს სიბრძნე და დიდებულებს აზრი და რჩევა!“ (ზირ. 25. 4-5).

როგორც ითქვა, ოჯახის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციათაგანია თაობათა აღზრდა, სოციალიზაციის პროცესში მათთვის სწორი მიმართულების მიცემა. „იგავებში“ არის რჩევა „შვილო ჩემო სჯული არ დაივიწყო, ჩემი მცნებები დაიმარხოს შენს გულში, დღეგრძელობას, სიცოცხლის წლებს და ჯანმრთელობას შეგძენენ“ (იგავი, 3. 1-2). ამ სიტყვებში მეტად დიდი შინაარსია ჩადებული. სოციოლოგიის ენაზე თუ გამოვხატავთ, ესაა ადამიანთა ცხოვრებაზე და ურთიერთობებზე, პიროვნებათა ფორმირების პროცესზე ათასწლობის

განმავლობაში ღრმად დაკვირვების, ანალიზისა და განზოგადების შედეგი. ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ „სოციალური შემეცნების“ სპეციფიკაზე, მის მეთოდებზე. ძველი დროის მოაზროვნეები სოციალურის გააზრებას გამოხატავდნენ იგავებში, აფორიზმებში, ხალხურ თქმულებებში და ა. შ. ჩვევების, სიბრძნისა და გამოცდილების შესახებ ნათქვამია, რომ „შეეცადე მის შეცნობას ყოველ შენს გზაზე და ის გაგისწორებს სვლას“ (იგავი. 3. 6). „... არ დაკარგო განსჯის უნარი. ეს სიცოცხლე იქნება შენი სულისთვის..., მაშინ უდარდელად ივლი შენს გზაზე და არ წაიფორთხილებ“ (იგავი. 3. 21-23). „შენი მამა-პაპის გავლებულ მიჯნას ნუ შეცვლი“ (იგავი 22. 28). რადგან „ლამპარია ანდერძი და სინათლეა რჯული, სიცოცხლის გზაა სამხილებელი შეგონება (იგავი 6. 23). „ნუ შეურაცხყოფ კაცს მის სიბერეში, რადგან ყველანი დავბერდებით“ (ზირ. 8. 6). „ნუ იხარებ მკვდარზე, გახსოვდეს, ყველანი მოვკვდებით“ (ზირ. 8. 7). „წინ ნუ აღუდგები ჭეშმარიტებას და მდინარის დინებას ნუ შეაჩერებ“, „უგნ ურ კაცს თავს ნუ დაუმორჩილებ და შემლებულს ნუ მუკერძოები“. „ნუ იქნები ლომივით შენს სახლში და შარიანი სახლეულებთან“, „ნუ გექნება ხელი გაწვდილი მისაღებად და მომუწული გასაცემად“ (ზირ. 4. 25-31). სოციალიზაციის მიმართულებით მსგავსი სწავლებანი უსაზღვროა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მოვიყვანეთ. სოციალიზაცია, ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების აუცილებელი პროცესია. კაცობრიობის მთელი ისტორია ადამიანების მიერ სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის, საკუთარი თავის ქმნადობისა და ფორმირების, გამოცდილებისა და ცოდნის გაფართოების, არსებულ წეს-ჩვეულებათა, ტრადიციათა და ცხოვრების წესების სწავლისა და დახვეწის პროცესია.

თუ სოციოლოგიური მივუდგებით, ვნახავთ, რომ ადამიანთა ურთიერთობები ურთიერთგადაჯაჭვულია და ქმნიან ერთიან სოციალურ ურთიერთობებს. ძველ აღთქმაში გარკვეული და მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პირადი ურთიერთობების არსის წვდომას. ხალხური სიბრძნე ათასწლების მანძილზე იჭრებოდა აღნიშნულ ურთიერთობათა საიდუმლოებებში, მათ სიღრმეებში, ადამიანების ყოველდღიური „ნიღაბის“ მიღმა არსებულ „განწყობებსა“ და ჩანაფიქრებში. ამ მხრივ და ამ მიმართულებით უხვი მასალაა „იგავებსა“ და „სიბრძნეებში“. ხომ არსებობს ხალხური გამოთქმებიც: „ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო“, „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენო“, „ხარი ხართან დააბი და ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“ და ა. შ. ყოველივე ეს ათასობით წლების მანძილზე ადამიანთა ურთიერთობებზე დაკვირვების შედეგია. ესაა ის, რასაც დღეს სოციოლოგიურ შემეცნებას ვუწოდებთ. „სიბრძნე ზირაქისაში“ ვკითხულობთ: „ვინც ფისს შეეხება, გაისვრება და ვინც ამპარტავანს დაუახლოვდება, მას დაემსგავსება“ (ზირ. 13. 1). ამიტომ „სიბრძნე“ რჩევას იძლევა, ადამიანები ყურადღებით იყონ ერთმანეთთან ურთიერთობაში, იცოდნენ ვის დაუახლოვდნენ და ვისთან უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა, რომ მეგობარია არა ის, ვინც ლხინის დროსაა შენთან, არამედ ის, ვინც გაჭირვების დროსაც შენთანაა. „არ გამოიცნობა მეგობარი სიკეთეში და არ დაიფარება მტერი გასაჭირის ჟამს“ (ზირ. 12. 8). „თუ მეგობრის შეძენა გსურს, განსაცდელში შეიძინე, და მყისვე ნუ მიენდობი მას, რადგან ზოგი მეგობარი თავისთვის ზრუნავს, გასაჭირის დღეს მხარში არ ამოგიდგება. ზოგი მეგობარი მტრად გადაგექცევა და იბრძოლეს შენს დასამცირებლად. ზოგი მეგობარი პურს გატეხს შენთან, მაგრამ გასაჭირის დღეს მხარში არ ამოგიდგება. შენს მოკეთეთა შორის შენსავით მოიქცევა და შენს სახლეულებთან გულწრფელად ისაუბრებს, მაგრამ თუ დაეცემი გადაგიდგება და აღარ დაგენახვება“ (ზირ. 6. 7-12). ამავე დროს ისიცაა აღნიშნული, რომ „ერთგული მეგობარი მტკიცე სიმაგრეა, მისი მპოვნელი საგანძურის მპოვნელია „ერთგულ მეგობარს ვერავინ შეცვლის და მისი სიკეთე არ განიზომება“ (ზირ. 6. 14-16). „ნუ მიატოვებ ძველ მეგობარს, რადგან ახალი მას ვერ შეედრება, ახალი მეგობარი ახალი ღვინოა“ (ზირ. 9. 10). მსგავსი ადგილები უხვადაა და მათ ჩამოთვლას აღარ შევეცდებით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ნებისმიერი დონის ურთიერთობებში (ოჯახური, მეზობლური, მეგობრული, ეთნიკური, სამეწარმეო, შემოქმედებითი, რელიგიური და ა. შ.) პირადული თვისებები არანაკლებ მნიშვნელოვანია და შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს მასზე.

როგორც ითქვა, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს სოციოლოგიისათვის შესასწავლი საგანი იყოს მხოლოდ ისეთი ურთიერთობები, რასაც ადგილი აქვს ოფიციალურ სამეწარმეო, შემოქმედებით და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ სოციალურ ჯგუფებში და სოციალურ ურთიერთობებში.

სოციოლოგიისათვის მნიშვნელოვანია „ნებისმიერი“ ადამიანთაშორისო ურთიერთობები, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებაში, სოციალურ, პოლიტიკურ და ა. შ. ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში ამოსავალია პრინციპი: „სოციოლოგიისათვის წვრილმანი არ არსებობს“, რომ დიდი სოციალური ურთიერთობები და პროცესები „წვრილმანიდან იწყება“ (არისტოტელე). ამ მიმართულებითაც „იგავში“ და „სიბრძნეებში“ უხვი მასალაა. მხედველობაშია პირადი ხასიათების მნიშვნელობა სოციალურ ურთიერთობებში. ჯერ კიდევ მაკიაველი სახელმწიფოს მართვაში მნიშვნელოვნად თვლიდა ხელმძღვანელის პირადულ თვისებებს. ანტიკური დროიდან მომდინარეობს ადამიანების განსხვავება მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლების

(ტემპერამენტების) შესაბამისად. „მშვიდი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს“; „ტკბილი ენა სიცოცხლის ხეა, ცბიერი კი სულის შემუსვრა“; „კაცის სიხარული მის ბაგეთა პასუხშია; რა კარგია დროულად ნათქვამი სიტყვა!“ (იგავი 15. 1, 4, 23); „როგორ წყალში სახე სახის პირისპირაა, ასევე კაცის გული კაცის პირისპირაა“ (იგავი 27. 19); „ფიცხი კაცი ცდილობას ტეხს, სულგრძელი კი დავას აცხრობს (იგავი. 15. 18); „უკუღმართი კაცი შუღლს აღვივებს და ცილისმწამებელი მეგობრებს აშორებს“ (იგავი. 16. 28). მსგავს სწავლებებს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა როგორც იმდროინდელი თაობების სოციალიზაციისათვის, არამედ მომდევნო ეპოქების შემოქმედებითი დიდაქტიკური აზროვნებისათვის.

თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ძირითადი პრობლემაა ადამიანის ყოფიერების საზრისი, წინააღმდეგობებით, სოციალური კატაკლიზმებითა და კატასტროფებით აღსავსე ცხოვრებაში ადამიანის ბედი, მის მიერ საკუთარი თავის გააზრება და ცხოვრებისეული ორიენტაციები. ჯერ კიდევ ბუდამ თქვა „ცხოვრება ტანჯვაა“, ანტიკური დიოგენე კასრში ემალებოდა სოციალურ ცხოვრებას, რელიგიებში „მწირობაც“ ამ პრობლემამა წარმოშვა. ეს თემაა აქტუალური კირკეგორთან, ნიცშესთან, დოსტოევსკისთან, ბერდიაევთან და სხვ. ამ მხრივ მიუთითებენ ხოლმე (ადამიანის ორიენტაციების) რამდენიმე საშუალებაზე: ცხოვრების სატანჯველში საკუთარი (გონივრული, ცხოვრებისეული ქმედებებით) თავის გატანას; მისდამი შეგუებას (ადაპტაციას) ანდა განდგომას (პასიურ პროტესტს); ანდა ნერვიულ სტრესს. ბერდიაევი ასეთი მდგომარეობიდან უკიდურეს გამოსავალს“ სიგიჟესა და სიკვდილში ხედავდა. აქედან გამომდინარე, ადამიანები სოციალურ ურთიერთობებში თავიანთი ხასიათებითა (ტემპერამენტებით) და თავიანთი პირადი ფსიქოლოგიური თავისებურებებით შედიან. ზოგიერთისათვის ყველა არაადექვატურად მსჯელობს და არასწორად იქცევა. ასეთები, ყველგან და ყველაფერში უარყოფითს და პირადად მისთვის მიუღებელს ხედავენ; სოციალურ ჯგუფში, ადამიანთა ურთიერთობებში დაძაბულ და ნერვიულ სიტუაციას ქმნის. „რადგან არ ეძინებათ თუ არ იბოროტეს; ძილი უფრთხებათ, თუ არ შეაცდინეს ვინმე“ (იგავი. 4. 16). აქედან გამომდინარე, „იგავნი“ მიგვითითებენ, რომ „სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჭკუის მოხვეჭა ვერცხლზე – უმჯობესი“ (იგავი. 16. 16); „ნუ უგულებელყოფ მოხუცთა მონათხრობს, რადგან მათაც თავიანთი მამებისაგან ისწავლეს; მათგან ისწავლი განსჯას და პასუხის გაცემას ჟამის შესაფერისად“ (ზირ. 8. 8).

როგორც მატერიალური ასევე სოციალური უნივერსუმი დაპირისპირებულ მხარეთა, პროცესთა, ტენდენციათა, მოძრაობათა და ა. შ. დიალექტიკური ერთიანობაა. ასევეა ადამიანთა აზროვნებაცა და ქმედებებიც, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებაც, რაც გავლენას ახდენს ყველა სახის სოციალურ ურთიერთობებზე. ყოველივე ეს ასახულია აგრეთვე „იგავებსა“ და „ სიბრძნეებში“.

დასკვნა

სოციოლოგიაში ერთ-ერთ პრობლემათაგანია პიროვნებების მიერ სხვა ადამიანებთან, ანდა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობებში, გარკვეული როლის შესრულება. აქ საკითხი ეხება იმას, ინდივიდი თავის საქმიანობასა და ურთიერთობებში რეალურად ავლენს თუ არა შინაგან, ნამდვილ „მე“-ს. ჯერ კიდევ კანტი შემდეგ კ. იუნგი მიუთითებდა, რომ ინდივიდები ურთიერთობაში გარკვეულ ნიღაბს ატარებენო. უარყოფით თვისებადაა მიჩნეული ბრმა მიმბაძველობა.

ლიტერატურა:

1. არისტოტელე. მეტაფიზიკა. თბ., 1964;
2. ყაუხჩიშვილი ს. ანტიკური ლიტერატურის ისტორია;
3. ფილოსოფიის ისტორია, თბ.,
4. შჩეპინსკი იან. სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები
5. ბიბლია (ძვ. და ახ. აღთქმა).

Sociology in the Old Testament or Old Testament in Sociology

Omar Tabutsadze, professor of Gerogian Technical University

Summary

The article is related to Sociological issues in the Old Testament, according to some books (Ecclesiastes, The Proverbs of Solomon, The Wisdom of Solomon, The Wisdom of Ziraq). The focus is on the nature of human existence, Relationships between individuals, The dynamic nature of real social relationships and public life. As well as issues of family and family relations that are especially important for modernity. Includes Nikolai Berdyaev’s, I. Kant's views on social relations.

Keywords: Sociology, Old Testament, "Ecclesiastes", "Proverbs of Solomon", "Wisdom of Solomon", "Wisdom of Ziraq".

არის კი ლოქდაუნი პანაცეა?!

ბათუნა საგინაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეძღვნება დასავლეთის ქვეყნების მაგალითსა და პარალელს შვედეთთან, რომელმაც პანდემიის ორივე ტალღისას უარი განაცხადა ლოქდაუნზე. შვედურ მოდელზე პასუხისმგებელ პირად მიიჩნევენ ქვეყნის მთავარ ეპიდემიოლოგს ანდრეს ტეგნელს. ეს 64 წლის ექიმი, პრაქტიკულად, გახდა შვედური გზის სიმბოლო. შვედების უმრავლესობა მას ნდობასა და პატივისცემას უდასტურებს. „ჩვენ შევისწავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყნის პრაქტიკა, რომლებმაც ასეთი ღონისძიებები გაატარეს, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ამ მეთოდების ეფექტურობის დამამტკიცებელი ფაქტები," - განაცხადა მან, რის გამოც საზღვრების დაკეტვას მან „სასაცილო ღონისძიება" უწოდა. „პანდემია არაა მოკლევადიანი. მისი დამარცხება შეუძლებელია ერთი რაიმე ღონისძიებით. ჩვენ მოგვიწევს ამ დაავადებასთან ბრძოლა წლების მანძილზე და ამიტომ უნდა შევქმნათ მყარი სისტემები საამისოდ. ეს იგივეა, სცადო ბუზის მოკვლა ჩაქუჩით,"- განაცხადა მან. ტეგნელის აზრით, საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგია, რომე-ლიც საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს არაერთი წელი.

სტატიაში ასევე საუბარია ბელორუსიის სტრატეგიასა და შედარებაზე ლოქდაუნიან და ულოქდაუნო ქვეყნების სტატისტიკებს შორის - აი, საკითხების ჩამონათვალი, რის საფუძველზეც ვცდილობთ პასუხი გავცეთ მთავარ შეკითხვას: არის კი ლოქდაუნი პანაცეა პანდემიისას?!

საკვანძო სიტყვები: ლოქდაუნი, პანაცეა, დასავლეთის ქვეყნები, შვედეთი; ბელორუსია.

შესავალი

შვედეთი დასავლეთ ევროპის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ლოქდაუნი არ გამოაცხადა პანდემიის არც პირველი და არ მეორე ტალღის დროს. რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ეს სტრატეგია?

ამის შესახებ აზრები გაიყო. ზოგიერთები თვლიან, რომ შვედები სადაცაა აღმართავენ თეთრ ბაირაღს და მარცხს აღიარებენ, მეორენი კი მიიჩნევენ - ჯერ არაფერია დაკარგული და შვედები თავის ინდივიდულაურ გზას გააგრძელებენ.

ძირითადი ნაწილი

შვედურ მოდელზე პასუხისმგებელ პირად მიიჩნევენ ქვეყნის მთავარ ეპიდემიოლოგს ანდრეს ტეგნელს. ეს 64 წლის ექიმი, პრაქტიკულად, გახდა შვედური გზის სიმბოლო. შვედების უმრავლესობა მას ნდობასა და პატივისცემას უდასტურებს, კერძოდ, 2020 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში შვედების 59 % ტეგნელს უცხადებდა ნდობას. შვედების ნახევარზე მეტი - 52% ასევე ენდობა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას.

შვედეთის მთავარი ეპიდემიოლოგი თითქოს საკულტო პიროვნებაც კი გახდა, რომლის პოპულარობა ქვეყნის ფარგლებს გასცდა: ბრიტანეთისა და აშშ-ს მემარჯვენე ძალებიც კი მასში იმგვარი თავისუფლების სიმბოლოს ხედავენ, რომლებიც მათ საკუთარმა ხელისუფლებებმა წაართვეს.

ტეგნელმა საკუთარი სტრატეგია Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ჩამოაყალიბა - ის წინააღმდეგია რთული პრობლემების მარტივი და უბრალო გადაწყვეტისა: „პანდემია არაა მოკლევადიანი. მისი დამარცხება შეუძლებელია ერთი რაიმე ღონისძიებით. ჩვენ მოგვიწევს ამ დაავადებასთან ბრძოლა წლების მანძილზე და ამიტომ უნდა შევქმნათ მყარი სისტემები საამისოდ", - აღნიშნა ტეგნელმა. ამავე კონტექსტში შვედეთში ნიღბების ტარებაც არ არის სავალდებულო.

აღსანიშნავია, რომ შვედური კანონი ჯანდაცვის შესახებ ავალდებულებს ხელისუფლებას, რომ იმოქმედოს მხოლოდ მეცნიერულად დადასტურებული მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით ტეგნელი ამბობს, რომ არ არსებობს ლოქდაუნისა და საზღვრების დაკეტვის ეფექტურების მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულებები: „ჩვენ შევისწავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყნის პრაქტიკა, რომელებმაც ასეთი ღონისძიებები გაატარეს, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ამ მეთოდების ეფექტურობის დამამტკიცებელი ფაქტები," - განაცხადა მან, რის გამოც საზღვრების დაკეტვას მან სასაცილო ღონისძიება უწოდა.

შვედეთის ხელისუფლება არ აპირებს ევროპის სხვა ქვეყნების, მათ შორის სკანდინავიელების მსგავსი შეზღუდვების დაწესებას. ამ ქვეყანაში უფრო მეტად აპელირებენ მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებაზე - ასაკოვანი ადამიანები უნდა მოერიდონ მასობრივი თავშეყრის ადგილებს; დანარჩენები შეძლებისდაგვარად უნდა გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე, რეგულარულად უნდა დაიბანონ ხელები და უარი თქვან არააუცილებელ მგზავრობაზე. ამასთან, საზღვრებიცა და ბარ-რესტორნებიც ღიად რჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლებას საკუთარი მოსახლეობის კეთილგონიერების იმედი აქვს და არა მკაცრი აკრძალვებისა.

ლოქდაუნი და მსგავსი შეზღუდვები მთავარმა

ინფექციონისტმა შეაფასა ფრაზით: „ეს იგივეა, სცადო ბუზის მოკვლა ჩაქუჩით.“ მისი აზრით, საჭიროა გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს არაერთი წელი. ლოქდაუნების ჩართვა და გამორთვა კი, ისე როგორც ხდება ევროპის სხვა ქვეყნებში, ავნებს როგორც მოსახლეობას, ასევე ბიზნესს. ტეგნელის რეკომენდაციით, არ დახურულა სპორტული დარბაზები, რაც ემსახურება კიდევ მოსახლეობის ჯანდაცვას.

ამგვარი მიდგომა დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ძირითადად ამ დისკუსიებს აქვს ორი მიმართულება : ჯანდაცვითი და ეკონომიკური.

კოვიდ 19-სგან გამოწვეული სიკვდილიანობა შვედეთში უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ სკანდინავიურ ქვეყნებში, კერძოდ: 100 000 მოსახლეზე შვედეთში სიკვდილიანობა 4-ჯერ მაღალია, ვიდრე დანიაში და 8-10-ჯერ მაღალი, ვიდრე ფინეთსა და ნორვეგიაში. თუმცა სიკვდილიანობის ყველაზე მეტი შემთხვევა ეპიდემიის პირველ თვეს დაფიქსირდა, მოხუცებულთა სახლებში ვირუსის გავრცელების გამო.

სამაგიეროდ პანდემიის მეორე ტალღისას შვედეთის დაავადებათა სტატისტიკა არ იყო დიდად განსხვავებული მეზობელი დანიისგან, სადაც შეზღუდვები მოქმედებდა, ბოლო დროს კი დანიის მაჩვენებლებმა გაუსწრო კიდეც შედეთისას, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ტეგნელის მოსაზრებების ჭეშმარიტება, რომ ლოქდაუნი პანაცეა არაა.

რაც შეეხება ადამიანების გადაადგილების შეზღუდვას, აქაც იყოფა აზრები: Apple Maps მიერ შესაძლებელი გახდა შემდეგი მონაცემების მიღება: შვედების გადაადგილება, შეზღუდვების არარსებობის მიუხედავად, არაა უფრო ინტენსიური, ვიდრე მეზობელი ქვეყნების მოსახლეობისა, ხოლო ნორვეგილებთან შედარებით კი უფრო ნაკლებიც. ანუ მოსახლეობის თვითშეგნებაზე გათვლილმა ნაკლებმა შეზღუდვებმა გაამართლა. ტეგნელის თქმით, „შვედები ბევრ რამეში იგივენაირად იქცევიან, როგორც სხვები, მაგრამ ამას აკეთებენ შეგნებითა და ნებაყოფლობით.“

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შვედეთის ეკონომიკური მდგომარეობა, შეზღუდვებზე უარის თქმის მიუხედავად, დიდად არ განსხვავდება მეზობელი ქვეყნების მდგომარეობისგან, რაც შეიძლება იყოს გლობალიზაციის ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი, როცა ქვეყნები ვერ არსებობენ იზოლირებულად და სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესები (ამ შემთხვევაში ლოქდაუნი) გავლენას ახდენს მათ პარტინიორ ქვეყნებზე. ასე მაგალითად, პანდემიისას, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შვედეშიც, მეზობლების მსგავსად, დაეცა; უმუშევრობის დონეც მეზობლების მსგავსია.

შვედურ მოდელს მრავლად ჰყავს კრიტიკოსები, რომელთა მთავარი ბრალდება ისაა, რომ შვედური მოდელი გათვლილია საზოგადოების კოლექტიური იმუნიტეტის გამომუშავებაზე. ამის შესახებ არაა თანხმობა სამეცნიერო წრეებშიც კი. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეპიდემიის დამარცხებისთვის საჭიროა, რომ იმუნიტეტი გამოუმუშავდეს მოსახლეობის 40% -70%. მათი აზრით, ვაქცინაციის გარეშე ამის მიღწევა შესაძლებელია დიდი მსხვერპლის ფასად.

კორონავირუსთან დაკავშირებით შვედეთში შეიქმა დამოუკიდებელი კომისია, რომელმაც მოითხოვა პასუხები რიგ კითხვებზე, მათ შორის იმაზე, თუ რატომ იყო დიდი მსხვერპლი მოხუცთა სახლებში. თუმცა შვედეთში მოხუცთა პანსიონებში სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელი არაა დიდად განსხვავებული მეზობელი ქვეყნებისგან, მაგრამ, კომისიის აზრით, მისი შემცირება იყო შესაძლებელი, დროულად რომ მომხდარიყო იქ სამედიცინო პერსონალის დამატებითი ძალების გაგზავნა, რაც არ მოხდა. საბოლოო დასკვნას კომისია 2021 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნებს.

შვედეთის სამეფო კარმა, კერძოდ მეფე კარლ გუსტავ მე-16-მ გამოთქვა შეშფოთება კოვიდ-19-სგან შვედეთში მაღალი სიკვდილიანობის გამო. ქვეყნის მთავარი ინფექციონისტი მაინც შეუვალია: - “სანამ ეპიდემია არ დასრულებულა არავის შეუძლია ამტიკოს, რომ შვედურმა მოდელმა არ გაამართლა,” - ამბობს იგი. იქიდან გამომდინარე, რომ მსოფლიო უკვე ალაპარაკდა პანდემიის შესაძლო მესამე ტალღაზე, რომელიც შეიძლება მოსალოდნელმა ვაქცინაციამაც არ ჩაშალოს, რთული პრობლემების იოლად გადაწყვეტა, როგორიცაა ნიღბები და ლოქდაუნები, მართლა ძნელად დასაჯერებელი ხდება.

2020 წელს ევროპა დარჩა ტრადიციული საშობაო დღესასწაულის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა მკაცრი შეზღუდვები დააწესეს, იქ იზრდება კოვიდ 19-ის სტატისტიკა.

ბრიტანეთში, ახალი შტამის სამშობლოში, კვლავ ანტირეკორდი დაფიქსირდა. ბრიტანეთში ლოკდაუნი გაახანგრძლივეს კიდევ მინიმუმ 3 კვირით. პოლიციამ გაამკაცრა პატრულირება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და იმუქრება, რომ დააკავებს საზოგადოებივი წესრიგის ყველა დამრღვევს.

გერმანიაში რბილი ლოქდაუნი შეცვალეს მკაცი შეზღუდვებით. ხელისუფლების იმედები, რომ შეამცირებდა ინფიცირებულების რიცხვს, არ გამართლდა. 2020 წლის 16 დეკემბრიდან დახურეს ყველა გასართობი დაწესებულება, სასურსათოს გარდა ყველა მაღაზია; სკოლები გადაყვანილ იქნენ დისტანციურ სწავლებაზე. იქ ლოქდაუნს გეგმავდნენ 10 იანვრამდე, თუმცა შემდგომ გაახანგრძლივეს. მთავრობის სხდომაზე კანცლერმა მერკელმა განაცხადა: აუცილებელია კიდევ მკაცრი

შეზღუდვების 8-10 კვირა. ამიტომ ევროპაში კარანტინი, სავარაუდოდ, მინიმუმ აღდგომამდე გაგრძელდება.

ნიდერლანდებში სრული ლოკდაუნი იანვრის ბოლომდე იყო გამოცხადებული. 17 მილიონიანი ქვეყანა ასევე რეკორდცმენია ინფიცირების გავრცელებით: 900 000 ინფიცირებული და 13 000 გარდაცვლილი. პრემიერმინისტრმა მარკ რიუტემ არ გამორიცხა, რომ ამგვარი დინამიკის გამო შესაძლოა შემოიღონ კომენდანტის საათი.

ხელისუფალთა გადაწყვეტილებებს შეზღუდვებთან დაკავშირებით არ ეთანხმებიან ევროპელები, განსაკუთრებით ისინი, ვინც შეზღუდვების გამო დაკარგეს შემოსავალი. მაგალითად, იტალიაში საპროტესტო აქციებს მართავენ ტურისტული სფეროს წარმომადგენლები. ბევრმა სააგენტომ თავი ბანკროტად გამოაცხადა. ზარალი მილიონობით ევროა, ზოგადად კი ქვეყანა მილიარდობით ევროს შემოსავალს კარგავს.

იტალია სამ რეგიონად იყო დაყოფილი: „ყვითელი“ - მსუბუქი რეჟიმი; „ნარინჯისფერი“ - უფრო მკაცრი რეჟიმი და „წითელი“ - ტოტალური ლოქდაუნი. თუკი 2020 წლის ნოემბერში იტალიის ძირითადი ნაწილის შეფერილობა იყო ყვითელი, ამჟამად ნარინჯისფერი და წითელი სჭარბობს. ტოსკანას მაცხოვრებლის მოწმობით, მისი ქალაქი წითელი ზონაა და მათ ეკრძალებათ სახლიდან გამოსვლა, გარდა პროდუქტებისა და წამლების შეძენის შემთხვევისა. სხვა რეგიონებში კომენდანტის საათი მოქმედებს 22-დან 5 საათამდე. დაშვებულია პარკების, სკვერების, ბაღების მონახულება, მაგრამ ხალხმრავლობის და შექუჩების გარეშე. მუზეუმები, კინოთეატრები, საკონცერტო დარბაზები დაკეტილია ყველგან. აკრძალულია დღესასწაულების მოწყობა როგორც შენობებში, ასევე ღია სივრცეებში, აგრეთვე, ფოლკლორული ფესტივალები, ბაზრობები და მსგავსი ღონისძიებები. ასევე დახურულია სპოსტული კლუბები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ესპანეთში საგანგებო რეჟიმი გამოცხადებულია 2021 წლის 9 მაისამდე. მოქმედებს კომენდანტის სააათი 23 -დან 6 საათამდე. ზოგან ის ერთი საათით უფრო ხანგრძლივია. სახლიდან გამოსვლა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზით. ჯგუფური შეკრებებისთვის დაშვებულია 6 ადამიანი. 11 რეგიონში აკრძალულია გადაადგილება მუნიციპალიტეტებს შორის.

კატალონიაში ასევე დაკეტილია კაფეები, ბარები, თეატრები, კინოდარბაზები, მუზეუმები. ცოტა ნაკლებია შეზღუდვბი მადრიდში. თუმცა ცალკეული რაიონები გამოცხადებულია „წითელ“ ზონად.

სრული ლოქდაუნი გამოაცხადეს ავსტრიაში. დაიხურა სილამაზის სალონები, მაღაზიები, გარდა პირველადი მოხმარების საქონლისა. მუშაობს ბანკები, ფოსტა და აფთიაქები.

ამრიგად, ერთადერთი ქვეყანა დასავლეთ ევროპაში, რომელმაც უარი თქვა ლოქდაუნზე, შვედეთია - მას ქვეყანა-დისიდენტიც კი შეარქვეს.

ეკონომიკური ვარდნის ასაცილებლად ლოქდაუნზე უარი განაცხადა ბელორუსიამაც. ონლაინ მუშაობის შესახებ ბელორუსიის პრეზიდენტის ფრთიანი გამოთქმა - ჩვენ გვაქვს მეცხოველეობა და ძროხებს კომპიუტერით ვერ მოვწველით - ირონიანარევ მწარე სინამდვილედ იქცა. მან არ დაკეტა საზღვრები, არ გააჩერა საწარმოები, არ დაიხურა რესტორნები, მუზეუმები, სკოლები და უნივერსიტეტები. მსოფლიო ჯადაცვის ორგანიზაციის გაფრთხილების მიუხედავად, ბელორუსიამ არ შეაჩერა საფეხბურთო ჩემპიონატი. ასევე ჩაატარა სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი აღლუმი 2020 წლის 9 მაისს. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც დააწესა ქვეყნის ხელისუფლებამ - ესაა 2 კვირიანი კარანტინი იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც იმოგზაურეს სხვა ქვეყნებში. თუკი შვედეთმა ასეთი გზა კოლექტიური იმუნიტეტის გამომუშავებისთვის აირჩია, ბელორუსიისთვის ამის მიზეზი ეკონომიკის გადარჩენა იყო. „ჩვენ უარვყავით ძლიერი ქვეყნების პროტექტორატის გზა, ამიტომ არ გავაჩერეთ ეკონომიკა,“ - განაცხადა ლუკაშენკომ. მისივე თქმით, კორონავირუსის საშიშროებაზე საუბარი ძალიან გაზვიადებულია. მან მიმდინარე პროცესებს „ფსიქოზი“ უწოდა, რამაც მსოფლიოს ეკონომიკა გააჩერა. ერთადერთი შეზღუდვა მინსკსა და ვიტებსკში შეეხო ადამიანებს მკეთრად გამოხატული რესპირატორული დაავადების ნიშნებით - მათ სამსახურში სიარული აეკრძალათ. ასევე შეზღუდულია გასართობი დაწესებულებების მუშაობის საათები.

2021 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით ბელორუსიაში კოვიდ 19-სგან გარდაცვლილია 1755 ადამიანი; მოსახლეობა - 9, 85 მილიონია. თუმცა კრიტიკოსები ეჭვს გამოთქვამენ, რომ ბელორუსიის ხელისუფლებას ხელოვნურად აქვს შემცირებული კოვიდ-სტატისტიკა. მაგალითად, ზოგიერთი დათვლებით ბელორუსიაში კოვიდისგან უკვე არის გარდაცვლილი 20 000 ადამიანი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდებია და არა ფაქტობრივი მასალა.

დასკვნა

თუმცა მსოფლიო სტატისტიკა გარკვეულ ცდომილებას შეიცავს იმის გამო, რომ ზოგ ქვეყანაში კოვიდისგან დაღუპულ ადამიანთა ბაზაში მხოლოდ უშუალოდ ამ დაავადებისგან გარდაცვლილი ადამიანები ჰყავთ აღნუსხული, ზოგან კი - ასევე ვირუსის ფონზე სხვა ქრონიკული დაავადებებისგან გარდაცვლილებიც, მაინც

ოფიციალური ზოგადი მონაცემების თანახმად 5 თებერვლის მდგომარეობით ასეთი სურათია:

ქვეყანა	მოსახლეობა	გარდაცვლილთა რაოდენობა	მილიონ ადამიანზე გარდაცვლილთა რაოდენობა
აშშ	327 000 000	456 000	1394
დიდი ბრიტანეთი	63 181 775	110 000	1833
იტალია	61 016 804	90 241	1479
საფრანგეთი	66 237 000	77 952	1176
გერმანია	83 166 711	60 634	1371
შვედეთი	10 380 245	12 028	1158
ბელორუსია	9 850 000	1755	178

თუ ბელორუსიის ოფიციალურ მონაცემებს არასარწმუნოდ მივიჩნევთ, მის მიმართ გამოთქმული უნდობლობის გამო, მაშინ უნდა დავეყრდნოთ ულოქდაუნო შვედეთის მონაცემებს, რომელთა თანახმადაც იქ მილიონ მოსახლეზე კოვდით გარდაცვალებულთა რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მკაცრი შეზღუდვების მქონე აშშ-ში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში.

და სწორედ აქედან გამომდინარე სრულიად სამართლიანად ისმის შეკითხვა: არის კი ლოქდაუნი თანამედროვე პანდემიისას მართლაც პანაცეა?!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Google - კოვიდ სტატისტიკა
2. «Это как пытаться прихлопнуть муху молотком»: почему Швеция не ввела локдаун и к чему это привело (forbes.ru)
3. Смертность от ковида в Беларуси: ученый о занижении статистики в 15 раз | Беларусь: взгляд из Европы - спецпроект DW | DW | 02.02.2021

Is Lockdown a panacea?!

Khatuna Saginashvili, Doctor of Social Sciences

Summary

This article is dedicated to the example of the West and the parallel with Sweden, which rejected Lockdown during both waves of the pandemic. The person responsible for the Swedish model is considered to be the country's chief epidemiologist Andres Tegnel. This 64-year-old doctor has practically become a symbol of the Swedish way. Most Swedes affirm his trust and respect for him. «We have studied the practices of several European countries that have taken such measures, but we have not found any evidence of the effectiveness of these methods,» he said, calling the border closure a «ridiculous measure.» «A pandemic is not short-lived. It is impossible to defeat it by anyone's measure. We will have to fight this disease for years and therefore we need to create solid systems for that. «It's like trying to kill a fly with a hammer,» - he said. According to Tegnel, a long-term strategy is needed that will work for a number of years if needed. The article also discusses Belarus' strategy and comparisons between locksmith and non-locksmith statistics - here is a list of questions that will help us answer the main question: Is Lockdown a panacea for a pandemic ?!

Keywords: Lockdown, Panacea, Western countries, Sweden; Belarus;

სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალისტური მოდელები კანონის სისტემის წინაშე

ოთარ გველესიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

პასუხისმგებლობის ორი სფეროს - პირადი მონაწილეობისა და თვითგამორკვევის ძირითადი უფლებებით სანქცირებული პასუხისმგებლობის - გამიჯვნისა და სისტემატიზაციის ფარგლებში, სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება განვიხილოთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც სახელმწიფო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სახელმწიფო ურთიერთობათა კატეგორიაში. ონტოლოგიური სტატუსი და მისი გამოვლენის მნიშვნელობა / შინაარსი მნიშვნელოვანი პრობლემაა სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის სოციალური ურთიერთობების შესწავლაში. სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალისტური მოდელების გაჩენა მნიშვნელოვანი საკითხია კანონის, კანონის სისტემის დაქვემდებარების იდეაში.

სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხობრივი მახასიათებლები მეტწილად განისაზღვრება სახელმწიფოში ძალაუფლების ურთიერთობის ხასიათით. სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალისტური მოდელების გაჩენა მნიშვნელოვანი საკითხია კანონის, კანონის სისტემის დაქვემდებარების იდეაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში სოციალური პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებულ ქმედებებზე. წარმომადგენლობითი დემოკრატია სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფართო არეალია, მაგრამ ამავდროულად, მოქალაქე მიუთითებს თავის კონკრეტულ პასუხისმგებლობაზე სახელმწიფოში, მუდმივად გარკვეულ მანძილზე სავალდებულო გადაწყვეტილებების სფეროდან, სახელმწიფოსგან.

საკვანძო სიტყვები: სოციალური პასუხისმგებლობა, სახელმწიფო, საზოგადოება. ძალაუფლება.

შესავალი

სოციალური პასუხისმგებლობა გაანალიზებულია, როგორც სახელმწიფო ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სახელმწიფო ურთიერ-ერთობების კატეგორიაში. მისი გამოვლენის ონტოლოგიური სტატუსი და მნიშვნელობა/ შინაარსი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის სოციალური ურთიერთობების კვლევისას. სოციალური პასუხისმგებლობის ფორმალისტური მოდელების გაჩენა მნიშვნელოვანი საკითხი არის კანონის, კანონის სისტემის მიმართ დაქვემდებარების იდეაში.

ძირითადი ტექსტი

სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემა ჩნდება რენესანსისა და ახალი თაობის ფილოსოფოსების მიერ სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ძალაუფლების ინსტიტუტების გარჩევის პირველ მცდელობებთან ერთად. ძალაუფლების და ევროპული კულტურის განვითარებაში მისი როლის ინტერპრეტაციისას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ონტოთეოლოგიურ არგუმენტს.

აღორძინების ხანაში ადამიანი არღვევს ანთროპომორფიზმს და უპიროვნო პრინციპი ხდება სახელმწიფო პასუხისმგებლობის შემთხვევა [1. 310-311]; [3].

ამ ფაქტის შედეგები აისახება სოციალური ცნობიერების ყველა სფეროში და თანდათან იწვევს საზოგადოების სეკულარიზაციას, მოგვიანებით თავად ადამიანის მხრიდან ხდება საკანონმდებლო ნორმების სასაქონლო ნიშნის გაცნობიერება.

ფონ გირკე წერდა: „სუვერენიტეტი ბუნებითი სამართლის თეორიაში ის ნიშნავს პოლიტიკურ ძალაუფლების არა მხოლოდ სპეციფიკურ ფორმას ან ხარისხს, არამედ ის ნიშნავს თვით პოლიტიკურ ძალაუფლებას თავის არსებით შინაარსში“ [2. 40-41].

ჟან ბოდენი წერს მონარქია, ტრადიციულ სამართალის ინსტანციიდან იქცევა აბსტრაქტულ, უნივერსალური სამართლიანობის ინსტანციად, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის უფრო უნივერსალურ იუსტიციას. პასუხისმგებლობა სახელმწიფო ურთიერთობების სფეროში უფრო იურიდიული და ფორმალური ხდება.

დეკარტეს ფილოსოფიაში, ძალაუფლების გაგება ასოცირდება გეომეტრიზმის პრინციპებთან, ანრი ლეფებვრემ ყურადღება გაამახვილა სოფლისა და ქალაქის ლანდშაფტების „ჰეტეროტოპიის“ როლზე სახელმწიფო ურთიერთობების სფეროში ძალაუფლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ორგანიზებაში, XVII საუკუნის მეტაფიზიკის დამახასიათებელი ნიშანია ნივთიერების უძრაობა. ჰეგელის „...უსასრულო ფორმა...“ შეიძლება მივაკუთვნოთ მთლიანობაში აბსოლუტიზმის ეპოქის აზროვნებას [4. 21]; [5]. 360].

ხელისუფლების ევოლუციამ აჩვენა, რომ

სოციალური პასუხისმგებლობა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ნამდვილად მექანიკურ უპიროვნო ფორმად იქცევა. ამასთან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სოციალური ურთიერთობების ასეთი ევოლუცია ხელს უწყობს სოციალური დაძაბულობის ზრდას და ადამიანის გაუცხოებას საზოგადოებისგან.

ადამიანის წინაშე ძალაუფლების პასუხისმგებლობის ახალი ფილოსოფია იყო მოცემული ი. კანტისა და მისი მიმდევრების სწავლებებში, რომლებმაც გავლენა მოახდინეს სახელმწიფო ურთიერთობების ახალი სისტემის ჩამოყალიბებაზე [6.267].

ი. კანტის ზნეობის ახალი მოდელი გულისხმობს პასუხისმგებლობას არა საზოგადოების, არამედ სახელმწიფოს წინაშე. ამავე დროს, სახელმწიფო არ მოქმედებს, როგორც მთელი ხალხის ნების მატარებელი, იგი ხდება ტრანსცენდენტური და უპიროვნო. ასეთი დამოკიდებულება გულისხმობს მხოლოდ იურიდიულ პასუხისმგებლობას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, ხოლო სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელია კანონის პრინციპების დაცვაზე.

სახელმწიფოს, როგორც ხალხის ნების გამომხატველის, როგორც მთელი საზოგადოების პროტოტიპის წარმოდგენის მცდელობა იწვევს მხოლოდ სახელმწიფოს და საზოგადოების ურთიერთ-პასუხისმგებლობის ორი ფორმის - იურიდიული და სოციალური პასუხისმგებლობის აღრევას.

მიუხედავად იმისა, რომ ი.კანტისთვის მოვალეობის გრძნობა (კანონი, ზნეობა, მორალი) თავისუფლების პირობაა, იგი არ აუქმებს მათ ანტინომიულ დამოკიდებულებას. ჰეგელის სამართლის სისტემა წარმოდგენილია, როგორც რეალიზებული თავისუფლება, თავისუფალი ნება ხდება შუამავალი სამართალსა და თავისუფლებას შორის და განსაზღვრავს მათი დიალექტიკური სინთეზის მიმართულებას [7. 28].

თავისუფალი ნების განვითარების თითოეულ ეტაპს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი უფლება, პრაქტიკაში განახორციელოს ეს თავისუფლება. ამ გაგებით, სახელმწიფო ხდება კანონის უზენაესი მატარებელი, მისი განმახორციელებელი და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა შეიძლება განხილულ იქნეს ზუსტად ისე, როგორც იურიდიული.

სახელმწიფო ურთიერთობების თანამედროვე მოდელი ითვალისწინებს სოციალურ პასუხისმგებლობას მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის დამატებით, არააუცილებელი და გვერდით ფორმას, ხოლო სახელმწიფოს ბირთვი არის იურიდიული და პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რომლებიც ემყარება ტრანსცენდენტული სამართლის მოდელს.

გააცნობიერა რა, ანარქიისა და ტოტალიტარიზმის საფრთხეები, ა. ტოკვილი ამტკიცებს, რომ საჭიროა სახელმწიფოს სამართლებრივი მოდელის გაძლიერება [8. 481].

ეს მოდელი არ იცავს საზოგადოებას კაპიტალიზმის ხარჯებისგან, რესურსების უსამართლო განაწილებისაგან და, შესაბამისად, უფლებებისა და შესაძლებლობების თანასწორობა კლასობრივი უთანასწორობის იურიდიულ კონსოლიდაციად იქცევა.

ჯ. დიუი გთვაზობს ლიბერალური დემოკრატიის სოციალურად ორიენტირებულ მოდელს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი საერთო სარგებელთან ერთად აღიარებულია, როგორც ზოგადი ეკონომიკური ინტერესები [9. 127]; [10. 69].

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში გერმანიის პოლიტიკური ფილოსოფიის მრავალ წარმომადგენელს, კლასიკური გერმანული ფილოსოფიის იდეებზე დაყრდნობით, კვლავ მიაჩნიათ, რომ სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა უნდა გახდეს თანამედროვე დემოკრატიულად ორიენტირებული სახელმწიფოს ბირთვი.

მ. კრილე გამოყოფს დემოკრატიული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის შექმნის იერარქიას. სახელმწიფოს მშენებლობის პროცესის ანალიზისას სხვადასხვა ქვეყანაში ამ მოდელის პოზიციიდან, ასკვნის, რომ შეუძლებელია სოციალური უფლებების მიღწევა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების დამკვიდრების გარეშე [10. 30-31].

მაგრამ ხელისუფლების ლეგიტიმურობა არ გულისხმობს სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების ნაწილს. ამგვარი იერარქია, რომელსაც სათავეში უდგას პოლიტიკური უფლებები, სამართალი ემყარება საერთო იმპერატივის იდეას,

ჩვენი აზრით, მ. კრილე მიუთითებს იმაზე, რომ სოციალური უფლებების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო სამართალის განხორციელების შედეგად. სამოქალაქო სამართალი და თავისუფლება ემყარება უნივერსალური კანონის იდეას. საზოგადოების კონკრეტული ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა კანონის პრინციპებს. საზოგადოება ყოველთვის არ ისწრაფვის თავისუფლებისა და თანასწორობისკენ, ხშირად თავისუფლება და თანასწორობა წარმოადგენს ბარიერს კეთილდღეობისა და საზოგადოებრივი ინტერესების გზაზე.

თუ ვივარაუდებთ, რომ სოციალური უფლებები მიზნად ისახავს სამოქალაქო უფლებების შენარჩუნებას, მაშინ სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა იგივე „ჰიპოთეტურ“ ფორმას იღებს. ამ მიდგომით, სოციალური უფლებები კარგავს თავის არსს, წყვეტს იყოს სოციალური. თუ სოციალური პასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და მისი ინტე-

რესები, ხოლო იურიდიული სისტემა ემყარება საერთო სიკეთის იდეას, მაშინ საჭიროა დადგინდეს განსხვავებები საზოგადოებრივ სიკეთესა და ინტერესებს შორის.

მამარდაშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „...კანტის პრაქტიკული ფილოსოფია უარყოფს როგორც ჭეშმარიტების, ისე ქცევის ზნეობის კრიტერიუმს გარე სამყაროსთან გონივრული შეთანხმების მიღებას და ამ კრიტერიუმს ამტკიცებს საკუთარ კანონებთან შესაბამისობის გათვალისწინებით“ [11. 352].

თუ აბსოლუტური სიკეთის იდეას თანამედროვე იურიდიული სისტემის საფუძვლად დავაყენებთ, მაშინ ამ სისტემას არასრულყოფილ სამყაროში შეიძლება ინდივიდუალური ან სოციალური ჯგუფების ინტერესების უგულებელყოფა, ამ მიზნის სიკეთის მოტივაციაზე დაყრდნობით.

თავისუფლება განისაზღვრება მოვალეობასა და ინტერესს შორის მუდმივ ზნეობრივ არჩევანში. არასრულყოფილ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის დამყარების მცდელობა ყველა სხვა ინტერესზე, იწვევს ამ ანტინომური წონასწორობის დარღვევას და თავისუფლების აღკვეთას. ამ არასრულყოფილების გამო დაინერგა ერთი ადამიანის თავისუფლების სხვისი თავისუფლებით შეზღუდვის პრინციპი.

გ. კრინტსი კანონის იდეისა და მისი საზღვრების დაკავშირებისას ასკვნის, რომ: „საიმედოობის ნამდვილი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი, საკუთარი სურვილით, თავისუფლად გადაწყვეტს დაიცვას გარკვეული წესები და სტანდარტები და თავად უზრუნველყოს მათი დაცვა“ [10. 42].

სწორედ ამ პრინციპს ემყარება დღეს უმრავლესი განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების სამართლებრივი სისტემა.

ოტო დეპენჰოერმა „სამოქალაქო პასუხისმგებლობა დემოკრატიულ კონსტიტუციურ სახელმწიფოში“, თავისუფლებისა და მოვალეობის პრობლემის ბალანსის, ინტერესთა და საერთო სიკეთის პრობლემების გადაჭრისას შემოგვთავაზა სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრაგმატულ და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ფორმების გამიჯვნა [10. 305].

პირველ შემთხვევაში, მოქალაქე არაპირდაპირ პასუხისმგებელია სახელმწიფოზე, იყენებს ფუნდამენტურ უფლებებს საკუთარი კერძო ინტერესებისთვის, ეს პასუხისმგებლობა განსხვავებულად დიფერენცირებულია, მაგრამ კონკრეტულია, ეფუძვნება ფუნქციებს; მეორე შემთხვევაში, ეს არის პირდაპირი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა უწყვეტი გაცნობიერებისთვის, მათი პოლიტიკური ერთიანობის ფორმის შესახებ; იგი დიფუზურად ვრცელდება სახელმწიფოს ერთიან მთლიანობაზე და ემყარება პიროვნებას, მის მოვალეობის გრძნობას. „სამოქალაქო პასუხისმგებლობის“ ერთი და იგივე კონცეფციის ეს ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია ემყარება სახელმწიფოს ფუნდამენტური კანონის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

როგორც დეპენჰოერი განმარტავს, „ორივე პოზიციის ერთმანეთში გადასვლა შეუძლებელია, პირიქით ისინი ერთმანეთს ძირს უთხრიან. სწორედ იმის გამო, რომ კონსტიტუციის ტექნიკური გაგება გადამწყვეტი მნიშვნელობით არ არის დამოკიდებული სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, წარმომადგენლობითი დემოკრატია შეიძლება გადაიზარდოს „მაყურებელთა დემოკრატიად“, გაიაროს მოქალაქეებისგან ემოციური გაუცხოების პროცესი. საპირისპირო პოზიცია, რომელიც მოქალაქეს პირდაპირ აკისრებს მოვალეობას მთელი საზოგადოებისთვის, ამით ანეიტრალებს კონსტიტუციის დიფერენცირებულ რეგულაციებს: ინტეგრაცია ყველაფერია, კონსტიტუციური კანონი არაფერია“ [10. 305].

გარდა ამისა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის პათეტიკური გაგება ანეიტრალებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებულ განსხვავებას - ეს არის სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელიც აგებულია შრომის დანაწილების პრინციპზე და ასევე ხსნის ხელისუფლების დანაწილებას, რომლის მიზანია ზუსტად აღკვეთოს ინდივიდუალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მონოპოლია და თითოეული მათგანის პოლიტიკური საქმიანობის უზრუნველყოფა მხოლოდ მათი კომპეტენციის ფარგლებში და სხვებთან ურთიერთობისას.

ადამიანი თავისი ბუნებით არის სოციალური არსება, საზოგადოება და კულტურა ქმნის ადამიანს, განსაზღვრავს მისი ღირებულების ორიენტაციას, რომელსაც იგი იღებს და ცვლის. ყოველგვარი საერთო ღირებულებითი ორიენტირებებისა და ინტერესების მიღმა, კანონი თავის მნიშვნელობას კარგავს. თუ ყველა მხოლოდ თავისუფლების საფუძველზე გადაწყვეტს რომელი ნორმები და წესები მიიღოს, მაშინ ყველას შეეძლება საკუთარი კანონების კრებულის მიღება. შედეგად, საზოგადოების მარტივი სასიცოცხლო ინტერესების უარყოფით, ერთიანი სამართლებრივი სისტემის შენარჩუნების მიზნით, საჭიროა დავუბრუნდეთ ერთი პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას მეორის თავისუფლებისთვის.

სუბიექტს, ამგვარი ამკრძალავი - ნებადართვის სისტემის ფარგლებში, სურვილისამებრ შეუძლია უარყოს ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა, რაც იწვევს ინდივიდუალური და სოციალური კავშირების სოციალიზაციის შესუსტებას, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა განვითარებული

სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნებში.

საზოგადოების ინტერესი არ არის ის, რაც საზოგადოებას სურს, არამედ არის ის, რაც მისთვის სასარგებლო იქნება. საზოგადოებისთვის რაიმეს სარგებლობა ინდივიდუალური (ჯგუფური) ინტერესსა და საერთო სიკეთეს შორის პარიტეტის შედეგია. სოციალური უფლებები საერთო სიკეთისა და საზოგადოებრივი სიკეთის ჰარმონიზაციის ოპტიმალური გზების ძიების შედეგია, მაგრამ სოციალური უფლებებით არ ამოიწურება სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

ევროპის სახელმწიფოები, ძლიერი სოციალური მხარდაჭერისა და მოქალაქეების სამართლებრივი დაცვის მიუხედავად, უგულებელყოფენ საზოგადოების ინტერესებს. უმცირესობის, ცალკეული სოციალური ჯგუფების ან ხალხის უმრავლესობის ინტერესებს შორის დაბალანსებისას, სახელმწიფო კარგავს საზოგადოებრივი სარგებლობის იდეას, რაც ასახავს გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც სასარგებლო იქნება მოცემული სახელმწიფოს მთელი საზოგადოებისათვის.

დასკვნა

დემოკრატიულ კონსტიტუციურ სახელმწიფოში მოქალაქეთა პასუხისმგებლობა შეიძლება გავიგოთ კონსტიტუციური და სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრული პრაგმატული აზრით. ანუ, თითოეული საპასუხისმგებლო ქმედება, იქნება ეს საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართული თუ კერძო ინტერესისკენ, - კონსტიტუციური და სამართლებრივი თვალსაზრისით - სოციალური პასუხისმგებლობის ტოლფასი გამოხატულებაა. მოქალაქე ატარებს ჭეშმარიტ დემოკრატიულ პასუხისმგებლობას დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოს წინაშე, როგორც ამომრჩეველი, ახორციელებს თავის აქტიურ დემოკრატიულ სამოქალაქო უფლებებს ძირითადი უფლებებით ლეგიტიმირებული ხალხის ნების ფორმირების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, იგი მონაწილეობს საჯარო თანამდებობებზე არჩეულთა დემოკრატიულ ლეგიტიმაციაში და, მათი მეშვეობით, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში.

სამართლიანია ავღნიშნოთ, რომ მოქალაქე-თა პოლიტიკური აქტივობა შეზღუდულია: მათ შეუძლიათ მხოლოდ გააკრიტიკონ დემოკრატიულად არჩეულები, მათ შეუძლიათ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობით, აგრეთვე „საზოგადოებრივი აზრის“ დახმარებით შეეცადონ გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე და, შესაბამისად, შეცვალონ იგი არაპირდაპირი გზით. მაგრამ სამოქალაქო აქტივიობას არ შეუძლია პირდაპირ მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები და განახორციელოს სახელმწიფოებრივი საქმიანობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Алигъери Д., Монархия (I, 6-9) [Текст] / Алигьери Данте // Малые сочинения. - М.: Наука, 1968. 652 с.
2. Gierke O.б Natural Law and the Theory of Society 1500-1800 [Text] /O. Gierke. - Cambridge : Cambridge University Press, 1934.
3. Kantorowicz, E. Frederick the Second, 1194-1250 [Text] / E.Kantorowicz. - London: Constable, 1931.
4. Lefebvre, H. Les contradictions de l'Etat modern [Text] / H. Lefebvre. Paris: UGE, 1978.
5. Гегель Г.В.Ф., Лекции по истории философии [Текст] / Г.В.Ф.Гегель. - М. : Директмедиа Паблишинг, 2005. - 269 с.
6. Кант, И. Основы метафизики нравственности. Критика практического разума. Метафизика нравов [Текст] / И. Кант. - СПб., 1995. – 528 с.
7. Нерсесянц, В.С. Философия права: либерально-юридическая концепция [Текст] / В.С. Нерсесянц // Вопросы философии. №3. - С. 3-15. 2002.
8. Токвиль, А. Демократия в Америке [Текст] / предисл. Гарольда Дж.Ласки. -М. : Прогресс, 1992. - 554 с.
9. Дьюи Д., Общество и его проблемы [ელექტრონული რესურსი] John Dewey. The Public and its Problems. Denver, 1927. Дьюи Дж. Общество и его проблемы; пер. с английского: И.И. Мюрберг, А.Б. Толстов, Е.Н.Косилова // Центр гуманитарных технологий. - М., 2002. http://gtmarket.ru /laboratory/ basis/6268. (გადამოწმებულია: 12.12.2019).
10. Дьюи Дж., Либерализм и социальные действия [Текст] / пер. В.Нагдасевой // Демократия и XX век: Хрестоматия по курсу гражданскогообразования для педагогических университетов. - Ниж. Новгород, 1997. - 70 с.
11. Мамардашвили, М.К. Сознание и цивилизация [Текст] / М.К.Мамардашвили. - М. : Азбука, 2011. - 288 с.

Formalist models of social responsibility before the legal system

Otar Gvelesiani, PhD student of Gerogian Technical University

Summary

Within the framework of the separation and systematization of the two areas of responsibility - the responsibility of personal participation and the responsibility sanctioned by the fundamental rights of self-determination - the issue of social responsibility can be considered from a constitutional-legal point of view.

Social responsibility is analyzed as one of the main problems of state relations in the category of state relations. The ontological status and significance / content of its detection is a significant problem in the study of social relations between the state and civil society. The emergence of formalistic models of social responsibility is an important issue in the idea of subordination to the law, to the system of law.

The qualitative characteristics of social responsibility are largely determined by the nature of the power relationship in the state. The emergence of formalistic models of social responsibility is an important issue in the idea of subordination to the law, to the system of law.

Social responsibility in the field of public relations is responsibility for actions related to the public interest. Representative democracy is a wide area of civil liability, but at the same time, the citizen points to his specific responsibility in the state, constantly at a certain distance from the state, as a whole, from the sphere of binding decisions.

Keywords: social responsibility, state, society. power.

გლობალიზაცია და კულტურა

ინა ეგიევი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კულტურა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია. საუკუნეების მანძილზე ხალხები თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნებას საკუთარი ეროვნული კულტურის შენარჩუნების ფასად ახერხებდნენ. სწორედ ეროვნული კულტურა და ეროვნული ენა იყო ის განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ ხალხს სხვისგან გამოარჩევდა და ეროვნული იდენტიფიკაციის საშუალებას იძლეოდა. ამდენად, ეროვნება და ეროვნული კულტურა თითქმის გაიგივებულ ცნებებად აღიქმებოდა და პიროვნება მაშინ ითვლებოდა გარკვეული ეროვნების წარმომადგენლად, როცა ამ ეროვნული კულტურის მატარებელი იყო.

გლობალიზაცია კი პირიქით, სწორედ ეროვნული განსხვავებებისა და საზღვრების წაშლის პროცესია დააქ მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები არ იგულისხმება. გლობალიზაციის პროცესმა ისეთითითქოსდა ხელშეუხებელი სფეროც მოიცვა, როგორიც კულტურაა. ე.წ. გლობალისტების აზრით, თანდათან ქრება ეროვნული კულტურების უნიკალური მრავალფეროვნება და ყალიბდება გლობალური, ზეეროვნული მასობრივი კულტურა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის სუროგატული კულტურის მთელ მსოფლიოში გავრცელება. ე. ი. ეროვნული კულტურების ნაცვლად ყალიბდება კოსმოპოლიტური კულტურა, სადაც ყველაფერი ეროვნული იკარგება. სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას აცვია ერთნაირად, ჭამს ერთსა და იმავე საჭმელს (მაკდონალდსიზაცია), სვამს ერთსა და იმავე სასმელს (`კოკაკოლიზაცია~), უსმენს ერთსა და იმავე მუსიკას, უყურებს ერთსა და იმავე ფილმებსა და ტელეგადაცემებს და ყოველივე ამის შედეგად აქვს ერთნაირი ღირებულებები და ერთნაირად ფიქრობს. მოკლედ, ყალიბდება უეროვნებო, კოსმოპოლიტი, მსოფლიო მოქალაქე.

ბევრი არ იზიარებს ასეთ უკიდურეს თვალსაზრისს და მიაჩნია, რომ ეროვნული კულტურა კვლავაც რჩება ადამიანის ეროვნული იდენტიფიკაციისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ფაქტორად. ხდება მხოლოდ სხვადასხვა კულტურის ურთიერთგაცნობა და არა ერთიანი კოსმოპოლიტური კულტურის ჩამოყალიბება. არიან ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კულტურებს შორის განსხვავება უფრო და უფრო აღრმავებს წინააღმდეგობას და ცივილიზაციათა შეჯახებისკენ მივყავართ.

ფაქტია, რომ მიმდინარეობს ეროვნული კულტურების ტრანსფორმაცია. სადავო არ არის, რომ ისინი გლობალიზაციის პირობებში სერიოზულ ცვლილებებს განიცდიან, მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ და რა მიმართულებით იცვლება კულტურა. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ სამ ძირითად ფორმას – ჰომოგენიზაციას, პოლარიზაციას, ჰიბრიდიზაციას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, კულტურა, ვესტერნიზაცია, ამერიკანიზაცია, ჰომოგენიზაცია, ჰიბრიდიზაცია.

შესავალი

ბოლო საუკუნეებში დასავლეთის დაწინაურებამ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და კულტურულად, ჩამოაყალიბა ღირებულებათა სისტემა, რომელიც დასავლეთში აღიქმება უნივერსალურ და ერთადერთ ჭეშმარიტ სისტემად. ამიტომ ყველა სხვა შეხედულება, რომელიც ეწინააღმდეგება დასავლურს, ითვლება უცხოდ და მიუღებლად. ამოცანა სწორედ ისაა, რომ მოხდეს დასავლური აზროვნების, დასავლური ფასეულობების და დასავლური ცხოვრების სტილის საყოველთაო, გლობალური გავრცელება. მსოფლიოს უნდა ეცვას, ჭამდეს, ფიქრობდეს, აფასებდეს ისე, როგორც დასავლეთი. რა თქმა უნდა, ამას ძალით არავინ აკეთებს, მაგრამ დღევანდელი კომუნიკაციის პირობებში (და ესეც დასავლეთის მიღწევაა) უბრძოლველად, უსისხლოდ, შეპარვით და შეუმჩნევლად ხდება დასავლური ცხოვრების სტილის დამკვიდრება.

მაგრამ თვითონ დასავლეთიც არ არის ჰომოგენური და დასავლურ ეროვნულ კულტურებს შორისაც საკმაო განსხვავებაა. ამიტომ თვით დასავლურ კულტურებს შორის დაპირისპირებისას უპირატესობა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყნის – აშშის მხარეზეა. შესაბამისად, ამერიკული კულტურის დომინანტი უდავოა და ვესტერნიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ამერიკანიზაციაა. ამერიკელები ამაში არაბუნებრივს არაფერს ხედავენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ამერიკული კულტურა უკვე თვითონვე წარმოადგენს სინთეზურ კულტურას, რომელიც სხვადასხვა (მათ შორის – ზოგიერთი არადასავლური) კულტურის შერწყმის შედეგად წარმოიშვა.

ცხადია, სულ სხვაგვარად აღიქვამენ დასავლური და, კერძოდ, ამერიკული კულტურის მოძალებას არადასავლური ცივილიზაციები. მათთვის ამერიკული მუსიკა თუ ტელესერიალები,

`მაკდონალდსი~ თუ `კოკა-კოლა~, ჰოლივუდი თუ CNN და, რაც მთავარია, ამერიკული ლიბერალიზმი და დემოკრატია არის ის იარაღი, რომლითაც ნადგურდება მათი ცივილიზაცია, ეროვნული კულტურები, რელიგია, თვითმყოფადობა და იდენტურობა. ამიტომაც სულ უფრო და უფრო მეტ ქვეყანაში ჩნდება აშკარად ექსტრემისტული ნაციონალისტური თუ რელიგიური ჯგუფები, რომელთა მიზანი ამერიკის და საერთოდ დასავლეთის გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ ბრძოლაა. მარტო ისლამისტური ორგანიზაციების გახსენებაც კი საკმარისია, რათა წარმოვიდგინოთ ის მასშტაბები, რაც დასავლური კულტურული იმპერიალიზმის გავრცელებას და მის საწინააღმდეგო მოქმედებებს მოჰყვა.

ძირითადი ნაწილი

კულტურის ჰომოგენიზაცია გულისხმობს კულტურების გაერთიანებას, იმგვარ შერწყმას, რომ წარმოიშობა ერთი, არაეროვნული, კოსმოპოლიტური, გლობალური კულტურა. ხდება კულტურის გაერთფეროვნება და ხალხები თავიანთი კულტურით სულ უფრო და უფრო ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სწორედ ასე ესახებათ გლობალისტებს კულტურის მომავალი.

მაგრამ ბუნებრივია კულტურების ჰომოგენიზაცია შეუძლებელია ისე მოხდეს, რომ რომელიმე კულტურის დომინანტი არ ფიგურირებდეს. სწორედ ამიტომ, როცა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში კულტურის ჰომოგენიზაციაზეა ლაპარაკი, ბევრის მიერ ის აღიქმება, როგორც დასავლეთის კულტურული იმპერიალიზმი – ვესტერნიზაცია, უფრო კონკრეტულად კი – ამერიკანიზაცია.

ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემიდან გამომდინარე, ბევრი მკვლევარი, კერძოდ, ისინი, ვინც სკეპტიკურად უყურებენ გლობალიზაციას, მიიჩნევენ, რომ კულტურის ჰომოგენიზაცია ჩვეულებრივი მითია, რეალურად კი ხდება სულ სხვა პროცესი, რომელსაც კულტურის პოლარიზაცია შეიძლება ეწოდოს.

კულტურის პოლარიზაცია პოლარიზაციის ცნება გაიგება, როგორც კულტურების არათუ დაახლოების და შერწყმის პროცესი, არამედ პირიქით, მათი მზარდი ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთწინააღმდეგობა. ამ მიმართულების მიმდევრები მიიჩნევენ, რომ გლობალიზაციის პროცესმა უკუშედეგი მოიტანა და ეროვნული კულტურები ერთმანეთს დააშორა, მეტიც, ისინი ერთმანეთის მიმართ მტრულად ჩამოაყალიბა.

იმ ავტორთა შორის, რომლებიც გლობალიზაციაში კულტურის პოლარიზაციას ხედავენ, პირველ რიგში სამუელ ჰანტინგტონი და ბენჯამენ ბარბერი უნდა ვახსენოთ. ჰანტინგტონის `ცივილიზაციათა შეჯახება~ ერთ-ერთ პოპულარულ წიგნად იქცა, სადაც ავტორი მსოფლიოს მთავარ საფრთხეს ცივილიზაციათა ომში, კერძოდ, დასავლურ და ისლამურ-კონფუციურ ცივილიზაციათა დაპირისპირებაში ხედავს. ბარბერი კი თავის მონოგრაფიაში `ჯიჰადი და Mc მსოფლიო~ (აქ Mc მაკდონალდსის მნიშვნელობითაა და მსოფლიოს `მაკდონალდსიზაციას~, ანუ ამერიკული ფასეულობის გლობალურ გავრცელებას გულისხმობს) თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დინამიკას იმ წინააღმდეგობაში ხედავს, რომელიც, ერთი მხრივ, გლობალურ მომხმარებლობით კაპიტალიზმს, კომერციულ ეშმაკობებს, ტექნოლოგიას, პოპკულტურასა და დისნეის, ხოლო, მეორე მხრივ, ტომობრიობას, ეთნიკურობას, რელიგიურობას და გამორჩეულობის თვითრწმენას შორის წარმოიშვა.

ამ ორი, თითქოსდა ემოციების დონეზე დაწერილი, ნაშრომის საფუძველი არის მკაცრი ნორმატიული და ფასეულობაზე ორიენტირებული მიდგომა. ბარბერისათვის მაკმსოფლიოსა და ჯიჰადს შორის პოლარიზაციის პრობლემა ისაა, რომ ორივე ძალა მტრულად არის განწყობილი დემოკრატიზაციისადმი: პირველი – გლობალური ეკონომიკური სიძლიერის, მეორე კი – ყოველივე განსხვავებულისადმი ფუნდამენტური მიუღებლობისა და სიძულვილის გამო. ჰანტინგტონისთვის კი გამორიცხულია სხვადასხვა ცივილიზაციას შორის მორალური თანაბარუფლებიანობა.

ჰანტინგტონი გვერდს უვლის იმ ფაქტებს, რომ ყველაზე უფრო ექსტრემისტი ანტივესტერნისტებიც კი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იყენებენ დასავლურ ტექნოლოგიებს – კომპიუტერს, ინტერნეტს, მობილურ ტელეფონებს, ვიდეოაპარატურას, ტელევიზორს, რომ არაფერი ვთქვათ დასავლურ სამედიცინო ტექნოლოგიებზე და, რაც მთავარია, სამხედრო ტექნიკაზე, რომლითაც ისევ დასავლეთს უნდა ებრძოლონ.

ბარბერი პირიქით, ხაზს უსვამს დაპირისპირებული მხარეების ურთიერთგადახლართვას და ურთიერთშეღწევას. იგი აღწერს როგორ აქვს ირანელ ფანატიკოსს ერთი თვალი მიპყრობილი მოლასაკენ, რომელიც საღვთო ომისკენ მოუწოდებს, მეორეთი კი ამერიკულ სერიალებს მისჩერებია. ჩინელი მეწარმეები ერთმანეთს ეცილებიან, რომელი მიიპყრობს პარტიული ხელმძღვანელობის ყურადღებას და იმავდროულად თვალს ადევნებენ დასავლური კორპორაციების პრივილეგიებს. რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც იბრძვის ძველი სარწმუნოების ნებისმიერი განახლების წინააღმდეგ, კალიფორნიელ ბიზნესმენებთან ერთად ჩაბმულია ნატურალური წყლების ჩამოსხმასა და გაყიდვაში, ორთოდოქსი ჰასიდები და პირწავარდნილი ნეონაცისტები, ორივენი, როკმუსიკას მიმართავენ, როცა ახალი თაობის წინაშე წარსდგებიან ხოლმე.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ კულტურების სრული პოლარიზაცია ისევე შეუძლებელია, როგორც სრული ჰომოგენიზაცია. ამიტომ საკმაოდ ბევრი მკვლევარი უარყოფს რა კულტურის ჰომოგენიზაციასაც და პოლარიზაციასაც, მხარს უჭერს მესამე გზას, რომელსაც კულტურის ჰიბრიდიზაციას უწოდებენ.

კულტურის ჰიბრიდიზაციაში იგულისხმება ცალკეული კულტურების დაახლოება, ურთიერთგამდიდრება და ურთიერთშერწყმა ისე, რომ ეროვნული ხასიათი არ იკარგება. იგი უბრალოდ ინოვაციას განიცდის და სხვა ეროვნული კულტურების ელემენტებით ივსება.

ასეთი კულტურის ჩამოყალიბების მიზეზი ხალხთა, იდეათა და ღირებულებათა ინტენსიური მოძრაობაა, რომელიც პოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს არ ცნობს. იგი ზოგჯერ იძულებითია (მაგ., მონებით ვაჭრობა, რამაც აფრიკული მუსიკალური ტრადიციები შეიტანა ამერიკაში), ზოგჯერ ბაზარი მართავს (ნებაყოფლობითი მიგრაციები, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოუტანა ამერიკულ, ევროპულ თუ ავსტრალიურ კულტურას). კულტურული ჰიბრიდიზაციის მაგალითებია ბანგრა მუსიკა ბრიტანეთის აზიური წარმოშობის ახალგაზრდებში, რომელიც ინდური მუსიკისა და ევროპული საცეკვაო რიტმების კომბინაციაა, ანდა რაი მუსიკა, რაც არაბული სიმღერებისა და დასავლური პოპის სინთეზია.

კულტურის ჰიბრიდიზაცია არ ნიშნავს კოსმოპოლიტიზაციას და დეტერიტორიზაციას. ჰიბრიდიზაციის დროს კულტურა ეროვნულობას ინარჩუნებს. დღევანდელი ფრანგული კულტურა უკვე უხვად შეიცავს არაბული (მაღრიბული) და აფრიკული კულტურების ელემენტებს. სავსებით სხვა მდგომარეობა იყო ასი წლის წინ, როცა ფრანგულ კულტურაში ამ ელემენტებზე საუბარს უბრალოდ უაზრობად ჩათვლიდნენ. მაგრამ მაშინაც და დღესაც ეს არის ფრანგული ეროვნული კულტურა და არავის მოუვა აზრად იგი კოსმოპოლიტურ კულტურად მიიჩნიოს.

იგივე შეიძლება ითქვას დეტერიტორიზაციაზე. ევროპასა და ამერიკაში მიგრირებული აზიელები თუ აფრიკელები, მიუხედავად თავიანთ კულტურაში ევროპული ელემენტის შემოსვლისა, ხშირად უფრო ნაციონალისტური იდეებით და მოქმედებებით გამოირჩევიან, ვიდრე სამშობლოში დარჩენილი მათი თანამემამულეები (მაგ. ქურთები, სომხები და ა. შ.). ამრიგად, კულტურის ჰიბრიდიზაცია, რომელიც ხელს არ უშლის ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებას და ხშირად განმტკიცებასაც, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო შეეფერება კულტურული გლობალიზაციის დღევანდელ სურათს.

კულტურის გლობალიზაციის სამი თავისებურება მკვლევრები გლობალურ კულტურაში, რომელიც ახლა ყალიბდება და, ბევრის აზრით, მომავალში მართლაც საყოველთაო, გლობალურიგახდება, სამ თავისებურებას ხედავენ. ესაა მისი **უნივერსალურობა,** ტექნიკურობა და დროის გარეშე არსებობა. უნივერსალურობა გამოიხატება მის საყოველთაოობაში. ვერც ერთი აქამდე არსებული იმპერიული და, ერთი შეხედვით, `კოსმოპოლიტური~ კულტურა უნივერსალურობას ვერ დაიჩემებს. ჩინეთის, რომის, ბიზანტიის თუ საბჭოთა იმპერიების კულტურები ანდა მსოფლიო ცივილიზაციები (ბუდისტური, ისლამური, ქრისტიანული) გარკვეულ საზღვრებში იყო მოქცეული და თავიანთი დრო დაადგილი ჰქონდა. დღევანდელი და ხვალინდელი გლობალური კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ რიგში დასავლეთ ევროპასთან და ჩრდილოეთ ამერიკასთან ასოცირდება, ძნელად ექვემდებარება დროსა და სივრცეში განსაზღვრას.

ტექნიკურობაში იგულისხმება, რომ დღევანდელი გლობალური კულტურა პირველი წმინდა ტექნიკური ცივილიზაციაა. კულტურის ეთნიკური და ნაციონალური ელემენტების მიმართ იგი ძირითადად ნეიტრალურია. იგი ემყარება თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს, ტექნოლოგიურ ბაზას, კომუნიკაციურ სისტემებს, რაც ქმნის ერთმანეთზე დამოკიდებულ სოციალურ ქსელებს, რომელიც თავის გამოხატულებას სტანდარტიზებული, ტექნიკური, ხშირად რაოდენობრივი ფორმით პოულობს. ამით აიხსნება ტექნიკური ინტელიგენციის გადამწყვეტი როლი თანამედროვე (უფრო სწორად, გვიანი მოდერნიზმის) ეპოქაში და მის მიერ ჰუმანიტარული და ნაციონალისტური ინტელექტუალების შევიწროება.

გლობალური კულტურა **დროის გარეშე** კულტურაა. მას არ აქვს ისტორიული ფონი, განვითარების რიტმი, არა აქვს დროის და თანამიმდევრობის გრძნობა. ასეთმა ხელოვნურმა, არაბუნებრივმა გლობალურმა კულტურამ შეიძლება წარსული უბრალოდ ილუსტრაციის მიზნით და ეკლექტიკური კაპრიზების დასაკმაყოფილებლად გამოიყენოს, თვითონ კი უარს ამბობს ადგილზე ისტორიაში. უარყოფს რა განვითარების ისტორიულ ფესვებს, გლობალური კულტურა არის უფორმო, ყველგან არსებული და ზედაპირული.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ეს შეფასება საკმაოდ კატეგორიულია. ბუნებრივია, ასეთი მკვეთრი დასკვნები არ შეიძლება არ იწვევდეს საწინააღმდეგო მოსაზრებებს. განსაკუთრებით საკამათოა იმის მტკიცება, რომ გლობალურ კულტურას არ აქვს ისტორიული ფესვები. მრავალი ავტორი პირიქით ამტკიცებს, რომ კულტურის გლობალიზაციას მრავალი ისტორიული ანალოგი მოეძებნება. ამდენად, საინტერესო იქნება ამ საკითხზეც შევჩერდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бенхабиб С. Притязания культуры. М., 2004.
2. Вебер М. Избранные произведения. М., 1990.
3. Гердер Й.Г. Идеи к философии истории человечества. М., 1977.
4. Зиммель Г. Философия культуры. М., 1996.
5. კოდუა ე. კულტურის სოციოლოგია. თბ., 2001

Globalization and culture

Ina Egieva, PhD student of Georgian Technical University

Summary

Culture is one of the most important features of national identity. For centuries, peoples have maintained their identity at the cost of preserving their own national culture. It was the national culture and the national language that were the distinguishing mark that distinguished this or that people from others and allowed national identification. Thus, nationality and national culture were perceived as almost identical concepts, and a person was considered to be a representative of a certain nationality when he was the bearer of that national culture.

Globalization, on the other hand, is a process of erasing national differences and borders, not just political and economic borders. The process of globalization has embraced an almost inviolable field, such as culture. According to globalists, the unique diversity of national cultures is gradually disappearing and a global, supranational mass culture is being formed that is nothing more than the spread of the surrogate culture of the West, particularly the United States, throughout the world. Instead of national cultures, a cosmopolitan culture is formed, where everything national is lost. People in different countries wear the same clothes, eat the same food (McDonald's), drink the same drink ("Coca-Cola"), listen to the same music, watch the same movies and TV shows, and as a result have the same values and the same thoughts. In short, a non-national, cosmopolitan, world citizen is formed.

Many do not share such an extreme view and believe that national culture remains a key factor in a person's national identity and public life. There is only the mutual acquaintance of different cultures and not the formation of a unified cosmopolitan culture. There are those who believe that the difference between cultures deepens the resistance more and more and leads to the clash of civilizations.

The fact is that national cultures are being transformed. It is not disputed that they are undergoing serious changes in the context of globalization, but it is interesting to see how and in what direction the culture is changing. In this regard, there are three main forms - homogenization, polarization, hybridization.

ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა შრომითი ორგანიზაციებისათვის

მაია თოიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

„სოციალური კაპიტალი“ გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების რამდენიმე შემადგენელს – სოციალურ ქსელებს, ნორმებსა და ნდობას, რაც შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს უფრო ეფექტურად იმოქმედონ ერთობლივად საერთო მიზნების მისაღწევად.

სოციალური კაპიტალის უაღრესად დიდი მნიშვნელობა როგორც გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის, ისე კონკრეტული საზოგადოებისა და სოციალური სუბიექტების სიჯანსაღის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საყოველთაოდაა აღიარებული და მისი დეფიციტი საზოგადოებისა და სახელმწიფოების მდგრადი განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის მნიშვნელობის გააზრება შრომითი ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

კვლევებით დადასტურებულია სტატისტიკური მნიშვნელობის კავშირის არსებობა ორგანიზაციაში არსებულ ნდობის დონესა და პერსონალის მოტივაციას შორის. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული ნდობის ისეთ ფორმაზე როგორიცა ინსიტიტუციური ნდობა ანუ ნდობა ორგანიზაციის სტრუქტურის, პროცესებისა და პოლიტიკის მიმართ.

ორგანიზაციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პერსონალის ნდობა გამყარებული იყოს არა პირადი ურთიერთობებით, არამედ ჩამოყალიბებული ჰქონდეთ ინსტიტუციური ნდობა რომელიც დაფუძნებული იქნება სტრუქტურულ გარანტიებზე, კომპანიაში არსებულ რეგულაციებსა თუ შრომით ხელშეკრულებებზე, რომლითაც გარანტირებული იქნება მათი შრომითი უფლებების დაცვა.

მიზანშეწონილია კომპანიებში დაინერგოს თანამშრომელთა ორგანიზაციული ნდობის შესწავლის კულტურა, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება ადამიანური რესურსის ეფექტური მოტივირების სისტემის დანერგვის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ნდობა, ინსტიტუციური ნდობა, სოციალური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი, მოტივაცია

შესავალი

გლობალური ცვლილებების ფონზე, რაც გამოწვეულია COVID-19 პანდემიით, შრომითი ორგანიზაციები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან. სახეზეა ორგანიზაციისათვის სწრაფად მობილური გარემო, სადაც კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს ცვლილებებისადმი მოქნილობას, ადაპტურობას, განვითარების ახალი გზების ძიებას. ბიზნესის გადარჩენისათვის ბრძოლაში ყველაზე ხშირად ორგანიზაციების თანამშრომლები ზარალდებიან, რადგან კომპანიათა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ განიხილავს ადამიანურ რესურსს როგორც მათ მთავარ აქტივს, რომელსაც გააჩნია მაქსიმალური პოტენციალი ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად.

განუსაზღვრელობის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნდობა ორგანიზაციის მიმართ. თანამშრომლების, მენეჯმენტის მიმართ ნდობის არსებობა აუმჯობესებს მორალურ კლიმატს და შრომით მოტივაციას, ხელს უწყობს თანამშრომლობას, სამუშაოს მიმართ კმაყოფილებას და ორგანიზაციულ ერთგულებას, ვინაიდან ორგანიზაციის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, როგორიცაა ნდობა, სამუშაო კმაყოფილება, სამართლიანობა, ერთგულება და მოტივაცია [1].

ძირითადი ნაწილი

პერსონალის ქმედითი მოტივაციის ფორმირებას სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორგანიზაციული ნდობისა და პერსონალის მოტივაციის შესწავლის საკითხებს.

ნდობა წარმოადგენს სოციალური კაპიტალის თეორიის საკვანძო ცნებას. სოციალური კაპიტალი საზოგადოების ან მისი ნაწილის პოტენციალია, რომელიც წარმოიქმნება, როგორც მის წევრებს შორის ნდობის შედეგი. ფრენსის ფუკუიამას აზრით, სწორედ ნდობა განსაზღვრავს პროგრესს. „ერის კეთილდღეობა, ისევე როგორც მისი კონკურენტუნარიანობა, განპირობებულია ერ-თადერთი ყოვლისმომცველი კულტურული მახასიათებლით - ნდობის დონით, რომელიც გააჩნია საზოგადოებას“ [2].

სოციალური კაპიტალი მოიცავს როგორც სოციალურ კავშირებსა და ქსელებს, სოციალურ ნორმებს, საზოგადოებრივ ურთიერთქმედებასა და შეჭიდულობას, ისე ნდობის, შინაგანი ფსიქიკური დისპოზიციების, ატიტუდებისა და მოლოდინების ერთობლიობას, რომლებიც საზოგადოების ერთიანობას, თანამშრომლობასა და,

ამგვარად, პროგრესს უწყობს ხელს. პუტმანის განსაზღვრებით, სოციალური კაპიტალი ,,არის სოციალური ცხოვრების თავისებურებები - გაერთიანებები, ნორმები და ნდობა - რომლებიც მონაწილეებს აძლევს საშუალებას, ერთობლივად უფრო ეფექტურად იმოქმედონ, საერთო მიზნების მისაღწევად“ [3].

ნდობა დადებითი ვალენტობის მქონე დისპოზიციური განწყობაა, რომლის კომპონენტებია ნდობის გაცემა და ნდობის მიღება, აგრეთვე უსაფრთხოების, დაცულობის მოლოდინი. ნდობა სხვა ადამიანების მიმართ პოზიტიურ დისპოზიციურ განწყობას გულისხმობს და ორიენტირებულია ამ დამოკიდებულების ორმხრივობაზე (კოგრუენტულობაზე) ანუ ნდობა, როგორც რთული ფსიქოლოგიური ფენომენი, სამართლიანობის მოლოდინსაც ეფუძნება.

განასხვავებენ ორგანიზაციული ნდობის ორ ასპექტს: ლატერალური ნდობა, როგორც თანამშრომელთა შორის არსებული ნდობა და ვერტიკალური ნდობა, რომელიც ეხება ნდობას თანამშრომლებსა და ლიდერებს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით ორგანიზაციული ნდობა განისაზღვრება, როგორც პოზიტიური მოლოდინები, რომლებიც აქვთ ინდივიდებს ორგანიზაციის წევრების, საიმედოობასა და კეთილგანწყობასთან დაკავშირებით, და აგრეთვე ორგანიზაციის შიგნით არსებული ინსტიტუციური ნდობა (Mayer et al., McKnight et al.,). ინსტიტუციური ნდობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მისი წევრების ნდობა ორგანიზაციის ხედვას და სტრატეგიას, მის ტექნოლოგიურ და კომერციულ კომპეტენციებს, პროცესების სამართლიანობასა და HR პოლიტიკასთან მიმართებაში [4].

ატკინსონისა და ბატჩერის მოსაზრებით, არსებობს პიროვნული და არა პიროვნული ნდობა. არა პიროვნული ნდობა ემყარება როლებს, სისტემებსა და რეპუტაციას. ხოლო პიროვნული ნდობა ძირითადად კონკრეტულ ურთიერთობებზეა დამოკიდებული [5].

მიჩნეულია, რომ სოციალური სისტემის მიერ დაგროვილი ნდობა მისი «სოციალური კაპიტა-ლია». როგორც კორპორატიული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, ნდობა უდავო ღირებულებაა. ცნობილი ამერიკელი ბიზნეს კონსულტანტი რობერტ ბრიუს შოუ (Robert Bruce Shaw) წერს, რომ დღევანდელ კონკურენტულ ეკონომიკაში უნდობლობა ხდება უფრო დიდი პრობლემა, ვიდრე მხოლოდ პერსონალის პრობლემა. უნდობლობის მაღალი ხარისხის მქონე ორგანიზაციები არ არიან კონკურენტუნარიანი და აშკარაა, რომ ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, პერსონალის პროფესიული საქმიანობის მოტივაციის განადგურებაა.

რ. ბ. შოს მიერ შემუშავებულია ორგანიზაციაში არსებული ნდობის დონის შეფასების მეთოდი. ნდობა ფასდება ოთხი კომპონენტის მიხედვით: ნდობა, ეფექტურობა (შედეგიანობა), წესიერება და ზრუნვა.

ნდობის კომპონენტის ფარგლებში ფასდება ორგანიზაციაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანამშრომლობა, ცვლილებებისადმი მოქნილობა, სამუშაოს შესრულების პროცესში თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. ნდობა თავის თავში მოიცავს რწმენას, რომ ადამიანები რომლებზეც ვართ დამოკიდებულნი ამ ნდობას გაამართლებენ.

შედეგიანობა (ეფექტურობა) განისაზღვრება ხელმძღვანელის იმ უნარ-ჩვევების კომპლექსით, რომლებიც უკავშირდება მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ორგანიზებას. კერძოდ, ესაა თანამშრომლებისათვის ამოცანების დასახვა, მათი საქმიანობის კონტროლი და შედეგის შეფასება. ეფექტურობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც მენეჯერის პროფესიული კომპეტენციის განზოგადებული კრიტერიუმები, ლიდერობის, სტრატეგიული აზროვნების, სამუშაო დროის ორგანიზების უნარები, მოქნილობა პრობლემებისა და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას.

პერსონალის ნდობა მენეჯერისადმი, უპირველეს ყოვლისა, ემყარება საქმიანობის გარკვეული, კონკრეტული შედეგების მიღწევის უნარს. უნდობლობა, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც ლიდერები ვერ ასრულებენ დაპირებულ შედეგებს, იპყრობს მთელ ორგანიზაციას. თანამშრომლები აღარ თვლიან საჭიროდ რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ორგანიზაციის წინაშე.

ხელმძღვანელის წესიერება გულისხმობს მისი ქცევის თანმიმდევრობას, სამართლიანობასა და საკუთარი ვალდებულებების შესრულებას. დასაქმებულთა სრულ ინფორმირებას მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, წესიერება გულისხმობს არა მხოლოდ თანამშრომლებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ კომპანიისა და თანამშრომლების საქმიანობის ობიექტურ შეფასებას.

დასაქმებულის მოტივაციისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება რომ კომპანია, მისი ხელმძღვანელობა მასზე ზრუნავს. ამის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ ხდებოდეს თანამშრომელთა შესაძლებლობებისა და კომპანიაში განვითარებაში შეტანილი მათი წვლილის აღიარება. რ. შოხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე პირობებში ზრუნვა გამოიხატება თანამშრომლებისთვის პროფესიული წინსვლის ხელშეწყობაში, დაწინაურებაში და ა. შ. [6], [7].

არმსტრონგისა და ტეილორის მიხედვით, მაღალი ნდობა განაპირობებს: თანამშრომელთა ეფექტიანობის ზრდას, მაღალი დონის მოტივაციას, პროდუქტიულობის გაზრდის შედეგად ხარჯე-

ბის შემცირებას, კადრების დენადობისა და მოცდენების შემცირებას. მაღალი ნდობის პირობებში იზრდება სოციალიზებული ქცევა და ურთიერთანამშრომლობის დონე [8].

ნდობა ორგანიზაციული ერთგულების სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორს განეკუთვნება [9], რომელიც, თავის მხრივ, მოტივაციურ ცვლადს წარმოადგენს. შესაბამისად, ორგანიზაციაში ქმედითი მოტივაციის სისტემის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლები ენდობოდნენ ორგანიზაციას, მის ხელმძღვანელობას.

ტურიზმის სექტორში, განთავსების ობიექტებში პერსონალის პროფესიული მოტივაციისა და ორგანიზაციაში არსებული ნდობის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში დადასტურებულია სტატისტიკური მნიშვნელობის კავშირი პროფესიულ მოტივაციასა და ნდობას შორის [10].

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ორგანიზაციული ნდობის მაღალი დონე და მისი მნიშვნელოვნება შესაძლოა აიხსნას იმ გარემოებით, რომ კვლევაში ჩართული კომპანიების მენეჯმენტი საერთაშორისო ქსელური სასტუმროების მენეჯმენტის ნაწილია და აღნიშნულ კომპანიებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნდობას და პერსონალის მოტივირებას. შესაბამისად, დასაქმებულებთან დადასტურებულია ოპტიმალური მოტივაციური კომპლექსის არსებობა და ნდობის მაღალი დონე.

დასკვნა

ორგანიზაციაში არსებულ ნდობის დონესა და პროფესიულ მოტივაციას შორის დადასტურებული სტატისტიკური კავშირის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომპანიებში დაინერგოს თანამშრომელთა ორგანიზაციული ნდობის შესწავლის კულტურა, რომლის შედეგებიც გათვალისწინებული იქნება ადამიანური რესურსის ეფექტური მოტივირების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში.

შრომითი ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ ხელი უნდა შეუწყოს კომპანიებში ნდობის კლიმატის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ნდობის ჩამოყალიბება ანუ ნდობა ორგანიზაციის სტრუქტურის, პროცესებისა და პოლიტიკის მიმართ. მიზანშეწონილია შემუშავდეს გამჭვირვალე პოლიტიკა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვასთან მიმართებაში და მართვის სტრატეგია დამყარებული უნდა იყოს ზრუნვაზე, ეფექტური მართვის, პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. E. Demirdağ Ş. A., Organizational Trust and Job Satisfaction: A Study on Hotels. Business Management Dynamics Vol.4, No.1, Jul 2014, pp. 12-28
2. Fukuyama F. Social Capital and Institucional Development. 2004, p.129
3. Putnam R.D. The Strange Disappearance of civic America, The American Pospect, Winter, .1996, pp 34-48
4. Ellonen R. et al., The role of trust in organisational innovativeness, European Journal of Innovation Management 2008, Vol. 11 No. 2, pp. 160-181
5. Atkinson, S. and Butcher, D, "Trust in managerial relationships", Journal of Managerial Psychology, 2003, Vol. 18 No. 4, pp. 282-304.
6. Shaw Robert B. Review of Trust in the Balance: Building Successful Organizations on Results, Integrity, and Concern. 1997, P.272
7. Boerchi D. Trust in the balance; Building successful organizations on results, integrity and concern, International Journal Of Selection and Assessment, 1999,
8. არმსტრონგი მ, ტეილორი ს, ადამიანური რსურსების მართვის სახელმძღვანელო, გამომცემლობა პალიტრა L, 2020; 575 გვ.
9. Lee C, Chen Z, Aryee S. Test of a mediation model of perceived organizational support. Test of a mediation model of perceived organizational support. Journal of Vocational Behavior. 2005, 66(3). p. 457-470
10. Toidze M. Kopaliani K., The Relationship Between The Motivation of The Staff Employed in The Accommodation Objects and The Level of Trust in The Organization. 7th International Conference on Social Researches and Behavioral Science. p.338-342

The importance of trust as social capital for labor organizations

Maia Toidze, PhD student of Georgian Technical University

Summary

,,Social capital" refers to several components of social life - social networks, norms and trust, which enable participants to act more effectively to achieve common goals together. The great importance of social capital as solving global economic and political problems, as well as for ensuring the health of specific societies and social formations is universally recognized, and its deficit is a serious obstacle to the sustainable development of societies and states. The main goal of the article is to understand the importance of trust as social capital for the effective functioning of labor organizations. Studies have confirmed the existence of a statistically significant relationship between the level of trust in the organization and staff motivation. The paper focuses on a form of trust such as institutional trust or trust in the structure, processes and policies of an organization. For the development of the organization, it is important that employee confidence is not strengthened by personal relationships, but by the creation of institutional trust based on structural guarantees, company regulations or employment contracts that will ensure that their labor rights are protected. It is recommended to introduce a culture of studying the organizational trust of employees in companies, the results of which will be taken into account when introducing an effective system of motivating human resources.

Keywords: trust, institutional trust, social capital, human capital, motivation

სოციალური კეთილდღეობა თანამედროვე საზოგადოებაში

სულხან ინაიშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტის სტაბილიზაციის და რეკონსტრუქციის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით (2009), სოციალური კეთილდღეობა არის საბოლოო მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია და ხალხს შეუძლია მშვიდობიანი თანაარსებობა განვითარების შესაძლებლობების მქონე საზოგადოებაში. ის ხასიათდება ძირითადი საჭიროებების (წყლის, საკვების, თავშესაფრისა და ჯანმრთელობის სერვისების) თანაბარი ხელმისაწვდომობითა და მიწოდებით, დაწყებითი და საშუალო განათლების უზრუნველყოფით, ძალადობრივი კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებით, სოციალური სტრუქტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აღდგენით.

კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ საზოგადოებებში, სოციალური კეთილდღეობის ძირითადი გამომწვევი ფაქტორია ჰუმანიტარული კრიზისი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სამოქალაქო საზოგადოებას. ეს კრიზისი მოიცავს წყლის, საკვებისა და თავშესაფრის მწვავე დეფიციტს, მოსახლეობის გადაადგილებას და კრიტიკული სამედიცინო სერვისების არარსებობას. ასეთ დროს, სოციალური სტრუქტურა თემებს შორის იშლება. დავის მიზეზი შეიძლება გახდეს მიწის, წყლის, მოსავლის, საძოვრების, ქორწინების, მემკვიდრეობის და სხვა მსგავსი საკითხები, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობას. სკოლები შეიძლება დაიხუროს და ბავშვები წლების განმავლობაში განათლების გარეშე დარჩნენ. ამან შეიძლება გამოიწვიოს ძირითადი სერვისების ინფრასტრუქტურის დაზიანება, მათ შორის პორტების, გზების და ძირითადი კომუნალური საშუალებების.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კეთილდღეობა, სამოქალაქო საზოგადოება, ჰუმანიტარული კრიზისი

ძირითადი ნაწილი

სოციალური კეთილდღეობის განსაზღვრა სხვადასხვა სოციალური თეორიის მიხედვით. მსოფლიოში მუდმივი და საკმაოდ რთული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ცვლილებების პირობებში იზრდება მეცნიერების და საზოგადოების ინტერესი ადამიანის სოციალური კეთილდღეობის პრობლემისადმი. დღესდღეობით, ნაციონალური და რეგიონული საზოგადოებების უმეტესობა მიზნად ისახავს სოციალური კეთილდღეობის მიღწევას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ზოგადად საზოგადოებაში. სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტია და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ არ დაკარგოს იგი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს ნდობას მისი მოქალაქეების მხრიდან და ვერ შეძლებს უზრუნველყოს მათი სოციალური დაცვა, რის გარეშეც სოციალური კეთილდღეობა შეუძლებელია.

სოციალური პოლიტიკის მთავარ ინსტრუმენტს და სოციალური კეთილდღეობის ყველაზე მნიშვნელოვან მარეგულირებელს, წარმოადგენენ სოციალური კანონები, პრიორიტეტული ეროვნული პროექტები და სოციალური პროგრამები. გარდა ამისა, სახელმწიფო ადგენს სოციალურ სტანდარტებს, რომლებიც წარმოადგენენ ნორმებს და სოციალური მომსახურების ნორმატივებს. (Мерзлякова И.В, 2007).

სუბიექტური კეთილდღეობა. სოციალური კეთილდღეობა, სხვადასხვა კუთხიდან შეიძლება შეფასდეს, თუმცა მე (ინდივიდების) პერსპექტივიდან - ეს ყველაზე ხშირად მოიხსენიება როგორც «სუბიექტური კეთილდღეობა». ამ თვალსაზრისით, კეთილდღეობა განიხილება, როგორც ის, რაც ხდება ინდივიდში (Carruthers and Hood, 2004). «კეთილდღეობის ჰომეოსტაზის» თეორია არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება აიხსნას სუბიექტური კეთილდღეობა ვიწრო პერსპექტივიდან. ამ თეორიის თანახმად, ინდივიდუალური სუბიექტური კეთილდღეობა შენარჩუნებულია ფსიქოლოგიური ჩანაფიქრით, მსგავსად სხეულისა, რომელიც ინარჩუნებს სისხლის ტემპერატურას და არტერიულ წნევას (Cummins, Eckersley, Pallant, Van Wugt, & Missajon 2003).

სოციალური ინდიკატორების მთავარი სიძლიერე, როგორიცაა გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ჰუმანური განვითარების ინდექსი, არის აღიარება, რომ "კეთილდღეობას" ბევრად მეტი სარგებელი აქვს, ვიდრე ეკონომიკას. ამასთან, ეს ინდექსი, ასევე აცნობიერებს, რომ საერთო კეთილდღეობის ძირითადი კომპონენტია „ეკონომიკურ რესურსებზე წვდომა". მიუხედავად იმისა რომ, ეროვნული შემოსავლის აღრიცხვის მეთოდები, ზოგჯერ არ ეთანხმება ეკონომიკური კეთილდღეობის ტენდენციების პოპულარულ შეხედულებებს. ერთ სულ მოსახლეზე ერთი მთელი შიდა პროდუქტი წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსის სამ ძირითად კომპონენტს, როგორიცაა ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება, ცოდნის შეძენა და რესურსების ხელმისაწვდომობა, რაც საჭიროა ღირსეული ცხოვრებისათვის "(UNDP,

2004, p. 127).

ჯონ როულსის სოციალური სამართლიანობის თეორიის (1995) ძირითადი პრინციპებიდან, ორი მთავარი წესია გამოყოფილი: თავისუფლების პრიორიტეტი და სამართლიანობის პრიორიტეტი კეთილდღეობასა და ეფექტურობასთან შედარებით. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ადამიანებისათვის შეთავაზებული შესაძლებლობები, მხოლოდ მათი ინტერესების თანხვედრით უნდა ხორციელდებოდეს.

სამართლიანობის ორი პრინციპი საშუალებას იძლევა კონფლიქტი ჩაანაცვლოს თანამშრომლობით. როულსის ინტუიციური წარმოდგენა სამართლიან თანამშრომლობაზე მიანიშნებს, რომ თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სამართლიანი, თუ ის ყველასთვის სასარგებლო იქნება. სამართლიანობა არ ნიშნავს თანაბარ გაცვლას, არამედ ზუსტად არათანაბარ გაცვლას, რაც სუსტებს და დაუცველებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა. ამრიგად, თანასწორი კეთილდღეობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთქმედების მნიშვნელობას, რაც სოციალური მისწრაფებების იდეალად იქცევა.

მთავარი იდეა მდგომარეობს მოქალაქეების ფუნდამენტურ თანასწორობაში, რის შედეგადაც, სამართლიანობის შესახებ მსჯელობა უნდა დაიწყოს პრეზუმფციით, რომ თანამშრომლობით წარმოებული პროდუქტი თანაბრად უნდა განაწილდეს. აქედან გამომდინარე, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ნებისმიერი უთანასწორობა სარგებლის მომტანი უნდა იყოს ყველა მოქალაქისათვის და, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ყველაზე ნაკლებს მიიღებენ. თანასწორობა ადგენს საწყის წერტილს, რომლისგანაც, ნებისმიერმა უთანასწორობამ უნდა გააუმჯობესოს ყველას მდგომარობა, და განსაკუთრებით, მათი, ვისაც ყველაზე ცუდად აქვთ საქმე. თანასწორობისა და ორმხრივი უპირატესობის ეს მკაცრი მოთხოვნები არის როულსის სამართლიანობის თეორიის ნიშნები.

ეკონომიკური ფაქტორებისა ზემოქმედება კეთილდღეობაზე. ლიტერატურა ეკონომიკურ ფაქტორებსა და კეთილდღეობას შორის კავშირის შესახებ ძალზე წინააღმდეგობრივია. ზოგიერთმა მკვლევარმა (Headey and Wearing, 2006; Diener and Biswas, 2002) დაადგინა, რომ ეკონომიკური ცვლადები, როგორიცაა შემოსავალი და დასაქმების სტატუსი, მცირე გავლენას ახდენს კეთილდღეობაზე. ამის საწინააღმდეგოდ, სხვებმა დაადგინეს, რომ «შემოსავლის უთანასწორობამ შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს კეთილდღეობაზე» (Hamilton, 2003: 145). მიუხედავად ამისა, სხვები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ბედის (მაგალითად, მის მშპ) და მისი მოსახლეობის ზოგადი ბედნიერების შორის სუსტი კავშირი არსებობს (Amárach Consulting, 2002).

ზოგიერთი ეკონომიკური ანალიზისთვის საჭიროა ნეოკლასიკური მოდელის გამოყენება, რომელიც ძალიან მჭიდროდ ამახვილებს ყურადღებას თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობაზე პროდუქტიული ეფექტურობის მისაღწევად. ამ მოდელის მიერ დაწესებული შეზღუდვა არის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების შევიწროების უგულებელყოფა, ისეთი ვიწრო ფოკუსით, სადაც ის სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტებს აზიანებს (იხ. Piderit, 1998). მართლაც, სხვა ფაქტორებმა (გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა) შეიძლება გავლენა იქონიოს კეთილდღეობის აღქმაზე.

ეკონომიკური ფაქტორების კეთილდღეობაზე მრავალრიცხოვანი ეფექტის ხაზგასასმელად, ჰიდისა და უორინგის (1988) მიერ ჩატარებულმა კვლევამ მიუთითა, რომ სამუშაო ძალის მონაწილეობამ დადებითი გავლენა იქონია ხანდაზმული ქალების ჯანმრთელობაზე, უარყოფითი გავლენა იქონია ახალგაზრდა მამაკაცების ჯანმრთელობაზე და მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს სხვა სამუშაოზე მყოფთა ჯანმრთელობაზე. სხვა კვლევამ მიუთითა, რომ დაბალი სამუშაო კმაყოფილების მქონე დასაქმებამ უფრო ნეგატიური გავლენა მოახდინა ადამიანის სიცოცხლის კმაყოფილებაზე, ვიდრე უმუშევრობამ (Dockery, 2003)

სხვა ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა კი აჩვენა, რომ მდიდარი ადამიანები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე ღარიბი ადამიანები, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების კმაყოფილება უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. შემოსავლისგან განსხვავებით, ინდივიდების სოციალურ დაცვაზე უმუშევრობის გავლენის ვექტორი არ არის საკამათო. მეცნიერები თანხმდებიან, რომ ეს ამცირებს ცხოვრების კმაყოფილებას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ფინანსურ სირთულეებს იწვევს. ძალიან ხშირად ეს არის დაკავშირებული არამატერიალურ ზიანთან.(Sacks, Stevenson, Wolfers 2012)

უმუშევრობას თან ახლავს სოციალური სტატუსის და თვითშეფასების ვარდნა, სოციალური კავშირების გაწყვეტა, ხვალინდელი დღისადმი ნდობის და მომავლის პერსპექტივებს დაკარგვა. ამ ყველაფერმა შეიძლება დამანგრეველი გავლენა მოახდინოს ფსიქიკაზე, გამოიწვიოს დეპრესია და ზოგჯერ ადამიანი უკიდურეს წერტილამდე, თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. როგორც წესი, ხანგრძლივი უმუშევრობა ამძაფრებს უარყოფით ემოციებს.(Clark, Oswald 1994)

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც გლობალიზაციის პროცესში ყალიბდება, ადამიანები არაერთგვაროვნად აღიქვამენ სოციალურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში იზრდება

არასტაბილურობის შემთხვევები და ადამიანისათვის მნიშვნელოვანია გაიგოს თუ როგორ უნდა აიცილოს სოციალური არასტაბილურობა და როგორ უნდა მიაღწიოს სოციალურ კეთილდღეობას.

სხვადასხვა სოციალური თეორიის მიხედვით, სოციალური კეთილდღეობა მხოლოდ სუბიექტური ფაქტორით ფასდება და ის არ არის პირდაპირ დამოკიდებული ეკონომიკის განვითარებასთან. საზოგადეობის დიდი ნაწილისათვის, შეთავაზებულ შესაძლებლობაში, უფრო მნიშვნელოვანია თანასწორობა და სამართლიანობა, ვიდრე ფინანსური სარგებელი. აქედან გამომდინარე, სოციალური სამართლიანობა მოითხოვს სამართლიან თანმშრომლობას, სადაც ყველას ინტერესი არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, არ შეიძლება ეკონომიკური ფაქტორების უგულებელყოფა, ვინაიდან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში რეალობის ობიექტური და სუბიექტური შეფასებების მექანიზმები შეიძლება განსხვავდებოდეს. აქ ძირითადი პუნქტები დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ყალიბდება იდეები და განსჯები გარკვეულ ფენომენზე. შესაბამისად ეკონომიკური ცვლადი, როგორიც არის დასაქმება, ან ფინანსური სარგებელი, შეიძლება ნაკლებად დაკავშირებული იყოს კეთილდღეობის აღქმასთან და, შეიძლება პირდაპირ ზემოქმედებდეს ადამიანის სოციალურ სტატუსზე. ადამიანები, რომლებსაც აქვთ საკმარისი რესურსი (ჯანმრთელობა, განათლება, შემოსავალი და ა.შ.), როგორც წესი, რთულ სიტუაციას ნაკლებად მკვეთრად აღიქვამენ, ვიდრე ისინი, ვინც არახელსაყრელ გარემოში იმყოფებიან. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა, უკეთესი ინსტიტუციებით, ბევრად ოპტიმისტურად აფასებს სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. როულსი, სამართლიანობის თეორია, ნოვოსიბირსკი, 1995
2. Guiding Principles for Stabilization and Reconstruction (The Web Version) – United States Institute for Piece, Publications, November 1, 2009, - https://www.usip.org/guiding-principles-stabilization-and-reconstruction-the-web-version/social-well-being
3. [Carruthers, C. P., & Hood, C. D. (2004). The power of the positive: Leisure and well-being. Therapeutic Recreation Journal, 38(2), 225–245.
4. Cummins, R.A., Eckersley, R., Pallant, J. et al. Developing a National Index of Subjective Wellbeing: The Australian Unity Wellbeing Index. Social Indicators Research 64, 159–190 (2003). https://doi.org/10.1023/A:1024704320683
5. «UNDP. 2004. Human Development Report 2004: Cultural Liberty in Today's Diverse World. New York. http://hdr.undp.org/en/content/human-development-report-2004»
6. Subjective Well-Being: Revisions to Dynamic Equilibrium Theory Using National Panel Data and Panel Regression MethodsBruce Headey, Social Indicator Research , Vol. 79, No. 3 (Dec., 2006), pp. 369-403 (35 pages) , Published By: Springer
7. Diener, E., Biswas-Diener, R. Will Money Increase Subjective Well-Being?. Social Indicators Research 57, 119–169 (2002). https://doi.org/10.1023/A:1014411319119
8. Hamilton, Environment, Development and Sustainability: A Multidisciplinary Approach to the Theory and Practice of Sustainable Development, 2003, vol. 5, issue 3, 419-436
9. Amárach Consulting (2002) Quality of Life in Ireland, Guinness UDV: Dublin, Ireland
10. Sacks, D. W., Stevenson, B., & Wolfers, J. (2012). The new stylized facts about income and subjective well-being. Emotion, 12(6), 1181–1187. https://doi.org/10.1037/a0029873
11. Clark, A.E. and A.J. Oswald, 1994a, Unhappiness and Unemployment, Economic Journal 104,. 648-659

Social Welfare in Modern Society

Sulkhan Inaishvili, PhD Student of GTU

Summary

In reality of constant unstable social, cultural and economic changes in the world, there is a big interest of science and society in the problem of social welfare. Most national and regional societies today are focused on achieving social welfare in various spheres of life and in society as a whole, considering it as a serious achievement.

According to various social theories, social welfare is measured by a subjective factor and it is not directly dependent on the development of the economy. For a large part of society, equality and fairness are more important in offered opportunity, than financial benefits. Therefore, social justice requires fair cooperation where everyone's interests are taken into account.

Keywords: Social Welfare, Humanitarin Crisis, Social Justice

მოსწავლის თვითაღქმის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის მაგალითზე

მარიამ პაპიაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში ,,მოსწავლის თვითაღქმის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ასპექტები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის მაგალითზე" წარმოდგენილია მასწავლებელთა თვალსაზრისით სპორტის გაკვეთილის მნიშვნელობა მოსწავლის თვითაღქმის განვითარების პროცესში. კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდით, მიზნობრივ შერჩევას წარმოადგენდნენ მოქმედი სპორტის მასწავლებლები, სულ განხორციელდა 15 სპორტის მასწავლებლის სიღრმისეული ინტერვიუ. მიღებული შედეგების ანალიზით სპორტის გაკვეთილი მოსწავლეს სასკოლო სივრცეში აძლევს საკუთარი თავის ღიად გამოვლენის საშუალებას, გუნდურ და ინდივიდუალურ თამაშობით აქტივობებში ჩართულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა დააკვირდეს საკუთარ უნარებს, განვითარების ციკლს, ჩამოაყალიბოს დადებითი ინტერაქცია თანაკლასელებთან და მასწავლებელთან. აქტიური გარემო, რომელშიც მოსწავლე ჩართულია აძლიერებს მოსწავლის თვითაღქმის პროცესს და ეხმარება პიროვნების ფორმირების პროცესს

საკვანძო ტერმინები: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილი, თვითაღქმა.

შესავალი

სასკოლო პროცესში მოსწავლე ყალიბდება სამოქალაქო პიროვნებად. თანაკლასელებთან, (სოციუმთან) თუ პედაგოგებთან ურთიერთობა, დიდ მნიშვნელობას ასრულებს მოსწავლის თვითაღქმის ჩამოყალიბების პროცესში. თვითაღქმა გულისხმობს საკუთარი თავისადმი გარკვეული პიროვნული ნიშნების მიწერას. ადამიანი დაბადებიდანვე ცდილობს თავი დაიმკვიდროს და საკუთარი პიროვნება შექმნას, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდი. სკოლის პერიოდში სპორტის გაკვეთილზე ბავშვები ბევრს მოძრაობენ, ახასიათებთ მრავალფეროვანი რეაქციების თავისუფალი გამოხატვა, რომლის განმავლობაშიც პიროვნებას ექნება შესაძლებლობა დააკვირდეს, როგორც საკუთარ თავს ასევე სხვა მოქმედ პირებსაც. ყოველივე ეს ხელს უწყობს სპორტის გაკვეთილს გახდეს სასკოლო გარემოში ინდივიდის თვითაღქმის განვითარების საუკეთესო შესაძლებლობა.

ძირითადი ნაწილი

აღნიშნული საკითხის ზოგადი აქტუალურობიდან გამომდინარე ჩატარდა კვლევა საჯარო სკოლების მასწავლებლებზე. კვლევამ მოიცვა 15 მასწავლებელი. ქალი 8 მამაკაცი 7 კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდებით. განხორციელდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ.

როგორ ავითარებს მოსწავლის თვითაღქმას სპორტის გაკვეთილი?

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილზე მოსწავლე ათვითცნობიერებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობას და გამოიმუშავებს შესაბამის უნარ-ჩვევებს. ესენია: სამართლიანი თამაში, გუნდური სულისკვეთება. მოსწავლე აკვირდება, როგორც თავის შესაძლებლობებს, ისე თანაკლასელისას. რაც ხელს უწყობს თვითდაკვირვების პროცესის განვითარებას და საკუთარი შესაძლებლობების აღქმას, სპორტის აქტივობები, გუნდურობა და მიზნისკენ სწრაფვა ავითარებს მოზარდის იმ უნარებს რომელიც შემდგომ დაეხმარება საკუთარი პიროვნების შექმნის პროცესში როგორც დამოუკიდებელი ინდივიდი და ჩამოუყალიბებს მზაობას ცხოვრების სხვადასხვა ეტაპების გადასალახავად. სპორტის გაკვეთილს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი გამოამჟღავნოს საგაკვეთილო პროცესში ინდივიდის მახასიათებლები და ხელი შეუწყოს მის დახვეწა გაუმჯობესებას.

რა გავლენას ახდენს მასწავლებელი მოსწავლის თვითაღქმის განვითრების პროცესში?

მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობა, ნიჭი, შესაძლებლობები და ამის შესაბამისად წარმართოს სასწავლო პროცესი. თუ მასწავლებელს სურს, პოზიტიური გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა თვითშეფასებაზე, იგი თითოეულ მოსწავლეს კარგად უნდა იცნობდეს და იცოდეს მისი საჭიროებები და ინტერესები. მან უნდა დაარწმუნოს ის საკუთარ შესაძლებლობებსა და უნიკალურობაში. პედაგოგს მოსწავლეების მოსმენა და პრობლემების იმგვარად გადაჭრა უნდა შეეძლოს, რომ ყველას ღირსება და პატივისცემა შეუნარჩუნდეს.

- **როგორ ვითარდება მოსწავლის თვითაღქმას სპორტის გაკვეთილზე და თანაკლასელებთან ურთიერთობის პროცესში?**

მასწავლებელთა მოსაზრებით თვითაღქმის განვითარებას მნიშვნელოვნად ემსახურება გუნდური თამაშები, მოსწავლეები სწავლობენ გაითვალისწინონ სხვისი და საკუთარი შესაძლებლობები, იმუშაონ ერთობლივად მიზნის მისაღწევად, ისწავლონ ლიდერობა და ასევე სხვა მოთამაშეთათვის მოდენის დათმობა. მოსწავლეები

სწავლობენ გამოხატონ დადებითი ემოციები, შეაქონ ერთმანეთი, გაცვალონ ობიექტური მოსაზრებები.

დასკვნა

უშუალოდ მოსწავლის თვითაღქმა სპორტის გაკვეთილზე შეიძლება დახასიათდეს რამდენიმე მნიშვნელოვანიფაქტორით,საგაკვეთილოპროცესში გამოიყენება თამაშობითი და შეჯიბრებითი მეთოდები, ხოლო სტრუქტურით თამაში შეიძლება იყოს გუნდური და ინდივიდუალური.

შესაბამისად მოსწავლე სპორტის გაკვეთილზე იძენს დამოუკიდებლობის გრძნობას, ის გამოხატავს საკუთარ თავს და ითვალისწინებს სხვა პიროვნებებსაც, ადარებს საკუთარ შესაძლებლობებს, ხედავს საკუთარი თავის განვითარების ციკლს სწავლობს პატივისცემის გრძნობის გამოხატვას. ყოველივე ეს აღმზრდელობით-სოციალური ურთიერთობები ეხმარება მოსწავლეს თვითაღქმის ჩამოყალიბებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გერიგი; ზიმბარდო (2009) ფსიქოლოგია და ცხოვრება. თსუ, თბილისი
2. ლორა ბერკი (2010) ბავშვის განვითარება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. ვულფორკი ანიტა (2009) განათლების ფსიქოლოგია. ილიასუ სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი

Important Aspects of Student's Self-perception Through the Prism of Physical and Sport Education at School'

Mariam Papiashvili, PhD student of GTU

Summary

In the article, ,,Important Aspects of Student's Self-perception Through the Prism of Physical and Sport Education at School'', the standpoint of teachers on the importance of above-mentioned disciplines during the development process of adolescents' self-perception is highlighted. The research was conducted through a qualitative research method. Target audience was the sub-group of physical and sport education practice teachers. To specify, in-depth interviews were held with 15 teachers of physical education and sport. According to the analyzed results, physical education and sport classes are providing students with the open space for self-expression at school. Teenagers involved in Individual and/or team-working sport competitions and other activities, are able to observe their mental and physical abilities, development cycle and last but not least, to shape positive interaction with their classmates and teachers. Environment where teenagers are actively engaged, reinforces students' self-perception, and massively contributes to the process of personal development.

Keywords: Self-perception, Physical and Sport Education

ქალი ისლამში

სოფიო ფაჩულია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მუსლიმ ქალთა საკითხი არ კარგავს აქტუალობას. მუსლიმი ქალების ვითარების «პროგრესის» ან «პრობლემების» ჭრილში შეფასებისას აშკარად თვალშისაცემია ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორო მდგომარეობა. ყურანი მამაკაცებს წარმოაჩენს როგორც ქალების მფარველებს და დამცველებს, რაც სინამდვილეში მამაკაცებისადმი მორჩილებაში გამოიხატება. მუსლიმი აპოლოგე-ტების მხრიდან ქალებისადმი დამოკიდებულება ლოიალურობითაა წარმოდგენილი, თუმცა რეალურად ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ქალის უფლებების ძირითადი განმსაზღვრელი რელიგია და ქვეყნის ტრადიციებია. თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი მოთხოვნებით კი აშკარად გადახედვას საჭიროებს აწ უკვე ფესვებგადგმული და მავნე ტრადიციები.

სტერეოტიპული დამოკიდებულება აღმოსავლელი მუსლიმი ქალების მიმართ მამაკაცების წარმოდგენათა ნაკრებია და მსოფლიო მასშტაბით მათი თანასწორობის მოთხოვნათა მოთვინიერებას უწყობს ხელს. ორიენტალისტური და უარყოფითი სტერეოტიპები დასავლური დომინანტური კულტურის მექანიზმებია, რომლითაც ის ხელახლა ქმნის და ინარჩუნებს რწმენას იმისას, რომ უპირატესია და შეუძლია იბატონოს.

საკვანძო სიტყვები: ისლამი, ისლამური ფემინიზმი, ჰიჯაბი, ტერორიზმი, შაჰიდი, თვითმკვლელი ქალები

შესავალი

„ქალი თუ კაცი ყველა ადამიანი ღმერთის წინაშე სავარცხლის კბილებივით თანაბარნი არიანო", ამბობს მუჰამმედ შუამავალი.

მუსლიმანური გადმოსახედიდან, ისლამი ქალებს მოკრძალებით და პატი-ვისცემით ეპყრობა, წინასწარგანსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით. ყურანი ახდენს სამართლებრივ დაცვას ქორწინების, განქორწინებისა და მემკვიდ-რეობის სფეროებში, რაც პრეისლამურ საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების წინაპირობაა. მიუხედავად ამისა, საუკუნეების განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა მავნე კვალი დატოვეს მუსლიმი ქალის მდგომარეობაზე. დამკვიდრებულმა ტრადიციებმა და მამაკაცების პრიორიტეტულობამ საზოგადოებრივ წყობაში, ავტორიტეტმა შეუზღუდა ქალებს ყურანით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა. ამ კუთხით განხორციელებულმა რეფორმებმა და განათლების დონის ამაღლების შესაძლებლობამ გამოიწვია ქალთა ემანსიპაცია. თუმცა კვლავ მწვავედ დგას დღის წესრიგში ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა განქორწინება, დასაქმება, პოლიტიკურ სფეროებში ჩართულობა. მუსლიმი ქალების ვითარების «პროგრესის» ან «პრობლემების» ჭრილში შეფასებისას აშკარად თვალშისაცემია ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორო მდგომარეობა. ყურანი მამაკაცებს წარმოაჩენს როგორც ქალების მფარველებს და დამცველებს, რაც სინამდვილეში მამაკაცებისადმი მორჩილებაში გამოიხატება. თანამედროვე მუსლიმანურ მწერლობაშიც კი ჰპოვა ასახვა ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობებმა. განსაკუთრებული აქცენტი მათ მკაფიოდ განსაზღვრულ როლებზე კეთდება, გამიჯნულია შესაძლებლობები, წინა პლანზეა წამოწეული მამაკაცის ფუნქციები და ძლევამოსილება ქალებთან მიმართებაში. მათი სომატური და ფსიქოლოგიური განსხვავებებით გამოკვეთილია თითოეული მათგანის მკაფიო, მაგრამ დამატებითი ფუნქციები. მუსლიმ ქალებშიც გამოჩნდნენ ისლამის მიერ დაწესებული შეზღუდვების მიმართ კრიტიკულად განწყობილნი და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლნი, რომლებიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს დასავლური ფემინიზმის განვითარებას. ისინი აპროტესტებენ მოსაზრებას, რომ ქალი გაჩენილია ოჯახისთვის და არ არის აღქმული საზოგადოების წევრად. ქალის როლის დაკნინებამ გამოიწვია შემდგომი მანიფესტაციები და პროტესტი. ეს პროცესები დაედო საფუძვლად ისლამისტურ ფემინიზმს, რამაც გარკვეულწილად შეასუსტა დამკვიდრებული დოგმები და რელიგიური ნორმები. ისლამური ფემინიზმი დასავლურისგან განსხვავებით ცდილობს საზოგადოებრივ ცხოვრებას მოარგოს და შეუთავსოს რელიგიური წარმოდგენები და ხელი შეუწყოს ამ მოძრაობაში ისლამის მიმდევარი და არა მიმდევარი ქალების ჩაბმას.

ისლამური ფემინიზმი - ფემინიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დაკავში-რებულია ქალების როლთან ისლამში. ის მიმართულია ყველა მუსულმანის თანასწორობისკენ, განუსაზღვრელად სქესისა, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრებისა. ისლამური ფემინისტები გამოდიან ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის დასაცავად ისლამზე დაფუძნებით. ამ მიმართულების წარმომადგენლები მიისწრაფვიან ხაზი გაუსვან სწავლების ღრმა ფესვებს თანასწორობაზე რელიგიაში და შექმნან თანასწორი და სამართლიანი საზოგადოება.

მაშინ, როდესაც საუბარს და ფიქრს მაჰმადიან ქალზე ვიწყებთ ჩვენს წარმოსახვაში თავშებურული, შესაძლოა სულაც სახედაფარული ადამიანი წარმოგვიდგეს თვალწინ. ჩადრის თუ თავსაფრის ტარების წესს მუსლიმანურ ქვეყნებში ზოგან ძალიან მკაცრად იცავენ, ზოგან კი - ნაკლებად. რაც შეეხება დასავლეთს თავსაბურავს და ტანსაცმელს სიცივისა და სიშიშვლისგან დამცავი ფუნქცია აქვს, თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ მათ შორის გამოერია ისეთებიც, ვისაც თავსაფრის ტარება უფლებად მიაჩნია და იბრძვის თავისი უფლებების დასაცავად. ეს მათი ბრძოლაა თავდაჯერებული მუსლიმური თემის იდენტობის და არსებობის გაჟღერებისთვის, სრულფასოვანი სოციალური და პოლიტიკური აღიარების მოთხოვნისთვის. ისლამში უმნიშვნელოვანესია როგორც ქალთა განათლების, გენდერული თანასწორობის, სოციალური, პოლიტიკური უფლებების, დედობის, ქალთა ჩაცმულობის და განსაკუთრებულად მძაფრად დგას ტერორიზმის პრობლემა. მიუხედავად, იმისა, რომ მუსლიმი აპოლოგეტები ქალებისადმი დამოკიდებულებაში ლოიალურ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ, რეალურად ეს არ შეესაბამება სიმართლეს. ქალის უფლებების ძირითადი განმსაზღვრელი რელიგია და ქვეყნის ტრადიციებია. თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი მოთხოვნებით კი აშკარად გადახედვას საჭიროებს აწ უკვე ფესვებგადგმული და მავნე ტრადიციები.

იმისათვის, რომ გავერკვიოთ თუ რა შეცვალა რელიგიამ ქალთა ცხოვრებაში, მართებულია განვიხილოთ თუ როგორ მდგომარეობაში იყვნენ ქალები ისლამის დამკვიდრებამდე და მისი დამკვიდრების შემდეგ.

ინდოეთის მანიპალის უნივერსიტეტის გეოპოლიტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნადავ დას ნალაპატი ამბობს, VII საუკუნეში, როცა ისლამი წარმოიშვა, არაბეთის ნახევარკუნძულზე ქალი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ის კაცების ხელში სრულიად უუფლებო სათამაშო იყო და მხოლოდ წინასწარმეტყველ მუჰამედის მიერ ღვთიური გამოცხადების მიღების შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა ქალების მდგომარეობა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურანში ქალებზე საუბრისას მათ მიმართ მოწყალებისა და ზომიერებისკენ მოგვიწოდებსო. სიმკაცრე, რაც ქალების მიმართ ვლინდება სრულიად დაშორებულია წინასწარმეტ-ყველის მიერ მიღებული ღვთის სიტყვისაგან.

როგორც რელიგია, ისლამი ქალის ყველა უფლებას იცავს, ისეთ ადგილს უმკვიდრებს, რომლის მიცემაც ქალისთვის არცერთ რელიგიას არ შეუძლია. ყურანის ერთ-ერთ აიათში წერია: „... უფლებამოსილება ისეთივეა ცოლების ქმრებისადმი, როგორც ქმრებისა ცოლებისადმი“. „გეშინოდეთ ალლაჰის იმასთან დაკავშირებით, რაც მან დაგაკისრათ მათ უფლებებთან მიმართებაში! თქვენ ხომ ისინი (ცოლებად) ალლაჰის შუამდგომლობით მოიყვანეთ“- სწორედ ამ სიტყვებით შეახსენებს მამაკაცებს თავიანთ მისიას შემოქმედის და მის მიერ დაკისრებული ვალდებულების წინაშე. „გამოკვებეთ ისინი იმით, რასაც თქვენ ჭამთ, ჩააცვით, მათ ისევე, როგორც თქვენ იცვამთ, არ სცემოთ ისინი, არ უთხრათ, რომ ისინი ულამაზონი არიან და არ შეურაცხყოთ ისინი.“ უზენაესმა ალლაჰმა მამაკაცს ძალა, გამძლეობა, სიძნელეთა გადალახვისა და საკუთარ ემოციათა შეკავების უნარი, წინდახედულობა, თავშეკავებულობა, ურყეობა, მეომრული სული, გონებასა და ნებაში უპირატესობა მისცა, ხოლო გამჩენმა ღმერთმა ქალებს გრძნობათა სიღრმე, შემბრალებლობა, გულმოწყალება, სიყვარული, ბავშვებზე ზრუნვის უნარი და გვარის გაგრძელების მიმართ პასუხისმგებლობა უწყალობა. იმის გამო, რომ ისინი უფრო ემოციურნი და გულმოწყალენი არიან, მათ არასახარბიელო ცხოვრებისეული სიტუაციის გადატანა უფრო მეტად უჭირთ.

ძირითადი ნაწილი

მუსლიმ ქალთა საკითხი არ კარგავს აქტუალობას. დინა მაჰნაზ სიდიქის კვლევა ბანგლადეშში გაუპატიურების სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორ მახინჯდება ისტორიები, როცა ისინი გლობალურ ხასიათს ატარებს. სიდიქის აღმოჩენით ბევრ საკამათო შემთხვევაში, როცა მოსამართლეები აცხადებდნენ, რომ ქალები საკუთარ მოძალადეებზე უნდა დაქორწინებულიყვნენ, ქალებთან საუბარმა და იურისტთა ახსნა-განმარტებებმა აჩვენა, რომ თანხმობაზე დაფუძნებულ ურთიერთობასთან გვქონდა საქმე, რომელმაც არასწორი განვითარება ჰპოვა. დადანაშაულება გაუპატიურებისა და ცდუნებისთვის აქტუალური ხდებოდა მაშინ, როცა საქმე ფეხმძიმობის შედეგად გამოვლინდებოდა, ან როდესაც ურთიერთობა არ სრულდებოდა დაპირებული ქორწინებით. ქალების წარმოჩენა გაუპატიურების უმწიკვლო მსხვერპლად ქალს საზოგადოების წინაშე უნარჩუნებდა სახეს და სოციალურ ღირსებას, კაცს კი აიძულებდა თავის თავზე აეღო ვალდებულება და ქორწინებით გადაერჩინა შებღალული ღირსება. პრობლემა ხომ ამ შემთხვევაში ქალის ღირსების სოციალური იდეალი, სექსუალობაზე სტიგმა და სამართლებრივი სისტემის შეზღუდულობა იყო, რომელიც ქალთა თავისუფლებას ზღუდავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ მუსლიმანურ ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური უფლებები კონსტიტუციებით არის გამყარებული (სირია,

ეგვიპტე, ირანი, ტუნისი, იემენი, ერაყი და სხვ.) მათი პოლიტიკური აქტიურობა საკმაოდ დაბალია. პრაქტიკა თეორიისაგან შორს დგას არა მარტო ქალების აქტიურობის, არამედ საზოგადოებაში მათი მდგომარეობის და სტატუსის თვალსაზრისით. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა თვით მუსლიმანი ქალების მცდელობები თანამედროვე საზოგადოებაში შეცვალონ თავიანთი მდგომარეობა. სულ უფრო იზრდება ქალთა ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაცია «ქალთა პლატფორმაში» არიან გაერთიანებულნი.

ქალთა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ყურანში აღნიშნულია, რომ შვილებთან მიმართებაში „ერთი მამაკაცი ორი ქალის ტოლია". ისლამში ფინანსური პასუხისმგებლობა მხოლოდ მამაკაცის მხრებზე. ამ მიზეზით ალაჰი ასეთი სამართლიანია და დიდი მემკვიდრეობით აჯილდოებს მამაკაცებს და ქალებს. ეს შესაძლებლობა მისცემს მათ საშუალებას შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. იმდენად, რამდენადაც ოჯახის მთელი ტვირთი მამაკაცზეა ქალს მემკვიდრეობიდან ორჯერ ნაკლები ერგება. ყურანი მოწმობს, რომ ჯიჰალიის პერიოდში (წინაისლამური პერიოდი) არსებობდა სისხლაღრევითი ქორწინება, ახლადდაბადებული გოგონების მიწაში ჩაფვლის პრაქტიკა, აგრეთვე სისხლის აღების წესი. ქალებს ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ, ჩუქნიდნენ, როგორც მონებს, აგირავებდნენ, სანამ ქმარი ან მამა ვალს არ დაფარავდა. ტომების ბელადებს უფლება ჰქონდათ ერთდროულად ათი ცოლი ჰყოლოდათ, გარდა მონა ქალებისა, რომლებიც სათვალავში არ შედიოდნენ. ქალიშვილის კარგად გათხოვება კი სარფიან ხელშეკრულებასთან იყო გაიგივებული. ლამაზი გოგონების გათხოვება 13 წლის ასაკიდან შეიძლებოდა. აღნიშნული ჩვეულება ყურანშიც დაფიქსირდა და მუსლიმანურ ქვეყნებში დღემდე არის შემონახული, თუმცა სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.

აღსანიშნავის მუსლიმი ქალის განსაკუთრებული შემოსილობა. გარდა იმისა, რომ ტანსაცმელი სხვადასხვა კლიმატურ პირობებში ადამიანთა საბაზისო საჭიროებებს აკმაყოფილებს, ის ასევე მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტია, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური და არავერბალური კომუნიკაცია მყარდება. ტანსაცმელი არა მხოლოდ გენდერისა და ცხოვრების ეტაპის გამოსახატად იქმნება, არამედ სოციალური ჯგუფისა და გეოგრაფიული არეალის ამოსაცნობადაც. საბურველის ტარება კი გადაჯაჭვულია ისლამურ ეთიკასთან, რაც მას კიდევ უფრო რთულ ინსტიტუტად აქცევს.

მუსლიმების მიხედვით, ქალებმა თმა და სხეული უნდა დაიფარონ, როცა იმყოფებიან იმ ზრდასრული კაცების გვერდით, რომლებიც ახლო ნათესავები არ არიან. ამგვარად, როცა ქალები თავს იფარავენ ან არ იფარავენ, ამით განსაზღვრავენ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ნათესავად და ვინ – არა. დამატებით, რამდენადაც საბურველის ტარება, საბურველის ტარებით ან არტარებით, შემოსაზღვრავს სექსუალობას – ქალებმა შეიძლება განსაზღვრონ, თუ ვინ არის კაცი და ვინ – არა. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო მაღალი წოდების ქალს თავსაბურავი არ მოეხვია დაბალი წოდების კაცის თანდასწრებით. ქალის ეს ჩაცმულობა დაკავშირებულია კარჩაკეტილობასთან, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ჯერ კიდევ ისლამის გაჩენამდე იყო გავრცელებული. შემოსვის უმთავრესი პრინციპი კი მოკრძალებულობასა და ზომიერებას ეფუძნება, რაც ყოველმა მუსლიმმა უნდა გაითვალისწინოს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმთა სამოსი ისლამური კულტურის განუყოფელი ნაწილიცაა. ტრადიციას ადგილობრივი მორალური და ეთიკური ნორმები განსაზღვრავდა, რომლებიც სიბრძნისა და სულიერი სიწმინდის პრინციპებთან იყო დაკავშირებული. კარჩაკეტილობა გავრცელებული იყო ქალაქის ელიტაში, მათ შორის იუდეველებშიც და ქრისტიანებშიც, ახლა ასე ინდუისტების უმაღლესი კასტები ცხოვრობენ.

თავდაპირველად "ჰიჯაბის", ანუ ჩადრის" ტარება ევალებოდათ მოციქულ მუჰამადის ცოლებს, შემდგომ კი ყველა თავისუფალ მუსლიმ ქალს შეეხო. ყურანი მოუწოდებს მოციქულს მოსთხოვოს თავის ქალიშვილებს და მორწმუნეთა ცოლებს მჭიდრონ მოიხვიონ საბურველი (33:59) (სანიკიძე 1999ბ: 235).

ყურანში წერია, რომ მორწმუნე ქალებმა "არ უნდა გამოაჩინონ თავიანთი მშვენებანი, სიტყვა „მშვენება" არის ფართოდ განმარტებული, ანუ მასში შეიძლება ვიგულისხმოთ თმა, მხრები, მკლავები, თუმცა მრავალი რეფორმისტი ამტკიცებს, რომ ეს მიუთითებს ქალთა დაფარულ ნაწილებზე (ჰოუვი 2000:104).

XXI საუკუნეში ისლამურ ქვეყნებში ღირებულებების გადაფასების შედეგად შეხედულება ქალის, როგორც სოციალური ჯგუფის წევრის შესახებ შეიცვალა. ტერორიზმში მონაწილე ქალთა რაოდენობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მათ მხოლოდ ბავშვების აღზრდა და ქმრისადმი მორჩილება ევალებოდათ. დღეს კი ყველაზე საშიშად აღქმული ტერორისტული ორგანიზაციები როგორებიცაა ალ-ქაიდა, ისლამური სახელმწიფო, ჰამასი, ასევე აფრიკული ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ქალებს თავის ტერორისტულ საქმიანობაში.

ჯიჰადის ქალ მონაწილეებთან დაკავშირებით არსებობს დილემა: მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალები არ არიან ჩართული კონფლიქტში, ჯიჰადის სხვადასხვა ჯგუფთან მათი სრული

თუ ნაწილობრივი აფილირების გამო, ისინი ვერ ჩაითვლებიან მშვიდობიან მოქალაქეებად. თვითმკვლელ ტერორისტი ქალებისთვის როგორც არსებული მასალებით დასტურდება ძირითადი მოტივი მათი სასოწარკვეთილი მდგომარეობაა, მათ აერთიანებთ ოჯახის წევრების დაკარგვა, უმეტესობა მათგან ქვრივია, რაც აძლევს მათ საბაბს იგრძნონ თავი უიმედოდ და საზოგადოებისგან იზოლირებულად.

მარგარეტ გონსალეს პერესი თავის შედარებით ანალიზში ასკვნის, რომ საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფების წევრი ქალები ნაკლებად მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში და თითქმის არ გვხვდებიან მეთაურ ან მმართველ პოზიციებზე. მისი აზრით, ორგანიზაციის მამაკაცი წევრების გენდერული კონტროლი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს ქალთა ფუნქციას ორგანიზა-ციაში. ნელი ლაჰუდი მიმოიხილავს ალ-კაიდას საკვანძო იდეოლოგების მოსაზ-რებებს. ალ-კაიდას ერთ-ერთი დამფუძნებელი, აბდულაჰ აზამი, ქალებს ჯიჰადში მონაწილეობის ნებას რთავდა - მათ შეეძლოთ საჭმლის მომზადება, ექიმობა და სხვა ამგვარი აქტივობა. მეორე მხრივ, კიდევ ერთ გავლენიან „ავღანელ არაბს“ - დოქტორ ფადლს მიაჩნდა, რომ ქალებს საკუთარ ქალაქზე შეტევისას ჰქონდათ თავდაცვის უფლება. არაბეთის ნახევარკუნძულზე ალ-კაიდას ერთ-ერთი ლიდერი იუსუფ ალ-უიაირის აზრით, ქალის უმთავრესი მოვალეობა უნდა იყოს ჯიჰადში მამაკაცთა მონაწილეობის წახალისება. ალ-კაიდას ცნობილი იდეოლოგი ანვარ ალავლაკი ხაზს უსვამდა ომის დროს ქალთა მხარდაჭერის მნიშვნელობას და ჯიჰადში ქალთა ჩართულობას მიესალმებოდა: „მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ჯიჰადი ძირითადად კაცთა ფუნქციაა, ჩვენმა დამაც მეუღლესთან ერთად მუჯაჰიდის ცხოვრებით უნდა იცხოვროს. მან მას მხარი უნდა დაუჭიროს, თუკი ის ჯიჰადში მიდის. უნდა იყოს კმაყოფილი, თუკი ის შაჰიდი გახდება და მომთმენი - თუკი ის ტყვედ აიყვანეს“.

მია ბლუმის მიხედვით, არსებობს მოტივაციის ხუთი ძირითადი საკითხი, რაც უბიძგებს ქალებს გაწევრიანდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებში. ესენია: შურისძიება, ცოდვებისგან განწმენდა, პირადი ურთიერთობა, პატივისცემა და გაუპატიურება.

«შაჰიდი, თვითმკვლელები, ცოცხალი ბომბები - ამ ქალებს სხვადასხვაგვარად უწოდებენ, მაგრამ მათი ქმედებების სქემა ყოველთვის ერთნაირია: ფეთქებადი ქამარი, ხალხმრავალი ადგილი, მომაკვდინებელი აფეთქება. შედეგი: ასობით უდანაშაულო ადამიანზე სიცოცხლის წართმევა. თუმცა, ცოტა ხნის წინ, ქალთა ტერორიზმი გამონაკლისი იყო, ვიდრე წესი და, შესაბამისად, არ იყო აღიარებული სამეცნიერო საზოგადოება, როგორც სპეციალური ფენომენი, რომელიც მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. ასე რომ, 1960-იან და 1970-იან წლებში გამოიცა მთელი რიგი კვლევები, რომელთა ავტორები აცხადებდნენ, რომ «... ფსიქიურად ჯანმრთელი ქალებს არ შეიძლება მოუვიდეს აზრად უდანაშაულო ადამიანების, მათ შორის ბავშვების მკვლელობა ბარბაროსული ტერორისტული მეთოდების დახმარებით“. როგორც კვლევებიდან ირკვევა, გოგონებს, რომელთა გამოყენებასაც „ადამიანის ბომბებად“ აპირებდნენ, თავიდანვე ყოფდნენ კატეგორიებად: ისინი, ვინც უნდა დააშინონ, და ვინც ნებაყოფლობით ირჩევს სიკვდილს. დაშინების გარდა პირველ კატეგორიაზე ზემოქმედებდნენ ძლიერი ნარკოტიკული საშუალებებით. აღნიშნული დასკვნა დადასტურებულ იქნა კრიმინალისტების მიერ თვითმკვლელი ტერორისტის ტვინის გამოკვლევით. მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში ქალთა როლი ტერორისტულ სტრუქტურებში შემოიფარგლებოდა შემოწირულობების შეგროვებაზე, უსაფრთხო სახლების ორგანიზებასა და ფურცლების გავრცელებაზე, მაგრამ დღესდღეობით ყველა ტერორისტული ორგანიზაცია ქალებს სამხედრო ქმედებების დროს იყენებს.

ისლამური ტერორისტული ორგანიზაციები მათი ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად დასავლური მოდის მიმართ მუსულმან თვითმკვლელ ქალებს ოპერაციის წარმატების მიზნით რთავდნენ ნებას თავსაბურავის გარეშე უმაღლეს დონეზე შემოსილიყვნენ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით და თანამედროვე ვარცხნილობით ევლოთ.

ქალის შედარებითი სტატუსს იმდენი მნიშვნელობა გააჩნია რამდენი მკვლევარიც იკვლევს, ზოგისთვის ძალაუფლების ან უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით განსხვავებასთან ასოცირდება. მრავალი მეცნიერის ყურადღება მიიქცია ქალების სტატუსის განსხვავებულობამ სხვადასხვა საზოგადოებაში ანუ გენდერული სტრატიფიკაციის მხრივ.

დასკვნა

ისლამის აყვავების ხანაში მუსლიმურ ქვეყნებში ქალს თავისუფლად და მშვიდად შეეძლო დაეკავებინა მისთვის შესაფერისი თანამდებობა” (უჩოკი 1982:19). მართალია ეს ხანგრძლივი პროცესი იყო, მაგრამ ისლამის ევოლუცია ქალის უფლებების მკვეთრი შეზღუდვით გაგრძელდა. სტერეოტიპული დამოკიდებულება აღმოსავლელი მუსლიმი ქალების მიმართ მამაკაცების წარმოდგენათა ნაკრებია და მსოფლიო მასშტაბით მათი თანასწორობის მოთხოვნათა მოთვინიერებას უწყობს ხელს. ორიენტალისტური და უარყოფითი სტერეოტიპები დასავლური დომინანტური კულტურის მექანიზმებია, რომლითაც ის ხელახლა ქმნის და ინარჩუნებს რწმენას იმისას, რომ უპირატესია და შეუძლია იბატონოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. International Congress on Islamic Feminism
2. ისლამური ფემინიზმი (ლინკი მოქმედია 13.02.2021 მდგომარეობით)
3. სტატია: რუხაძე ო., „ისლამი ქალებს არ ატყვევებს“, 2010
4. მუსლიმი, ტომი IV, გვ. 385ერსან ო., ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ისლამში, ქალი ისლამში: მისი უფლება და ღირსება, ბათუმი, 2020. გვ.50
5. „ სჭირდებათ თუ არა მუსლიმ ქალებს ხსნა?“, აბუ-ლუღოდი ლ. acqueline Aquino Siapno, “Shari’a Moral Policing and the Politics of Consent in Aceh,” Social Difference Online 1(2011): 17– 29.(ლინკი მოქმედია 13.02.2021 მდგომარეობით)
6. კიკნაძე თ., დონაძე ნ.. გენდერი. სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი. თბილისი. 2006 გვ.55, 56-57
7. ჰუდფარი, ჰუმა. 2019. „საბურველი მათ გონებაში და ჩვენს თავებზე: თავის დაფარვის პრაქტიკები და მუსლიმი ქალები.“ წიგნში სამხრეთიც არსებობს. გვ. 8 . თბილისი: EMC
8. სტატია: აღმოსავლური კულტურა-ჰიჯაბი, ტიელიძე მ. (ლინკი მოქმედია 16..01.2021 მდგომარეობით)
9. Gonzalez-Perez, M. (2009). Women and terrorism. London: Routledge, p. 128
10. Lahoud, N. (2014). The Neglected Sex: The Jihadis’ Exclusion of Women From Jihad. Terrorism and Political Violence, 26(5),p.
11. Bloom, M. (2011). Women and Terrorism. Bombshell. Pennsylvania Press. pp.234-235
12. სუჯაშვილი დ., „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.57.
13. გელოვანი. ნ.,ქალი ისლამში (VII-X საუკუნე)-, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005. გვ. 13.
14. Женское лицо террора. Призрачный рай для шахидок [Электронный ресурс]/С. Хакимова. – 2011. (ლინკი ხელმისაწვდომია 16.01.2021 მდგომარეობით)
15. The History of Terrorism, Zalman A., Ph.D.

Woman in Islam

Sophio Pachulia, PhD student of Georgian Technical University

Summary

The issue of Muslim women is not losing its urgency. When assessing the situation of Muslim women in terms of «progress» or «problems», the unequal situation between women and men is clearly noticeable. The Quran portrays men as protectors and defenders of women, which is actually manifested in obedience to men. Attitudes towards women are portrayed by Muslim apologists as loyalty, although in reality, this is not in compliance with truth. The main determinants of women’s rights are religion and country traditions. The already rooted and harmful traditions need to be clearly revised with the demands the modern world is facing.

The stereotypical attitude towards Eastern Muslim women is a set of male perceptions. And helps neutralize their equality demands around the world. Orientalist and negative stereotypes are the mechanisms of the Western dominant culture. Through which it recreates and maintains the belief that it is superior and able to dominate.

Key words: Islam, Islamic Feminism, Hijab, Terrorism, Shahid, Suicidal Women

ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის გავლენა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე

სანდრო ცოცხალაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ეროვნული იდენტობის საკითხს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სოციალურ მეცნიერებებში, საზოგადოებრივ ქცევის ნორმებში და ასევე, საერთაშორისო ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, ჩინეთი არ არის გამონაკლისი და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესის შესწავლა საინტერესოა იმ კუთხით, რომ გავიაზროთ ჩინური საზოგადოების პრინციპები და ასევე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქმედების საფუძველი საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე. სტატიაში განხილული არის ნაციონალური სენტიმენტების როლი ჩინური იდენტობის ჩამოყალიბებაში, რომელიც თავისებურებებით განსხვადება სხვა საზოგადოებების პრინციპებისგან.

აღსანიშნავია, რომ ნაციონალიზმი შეიძლებოდა ნაკლებად გავრცელებული ყოფილიყო ჩინურ საზოგადოებაში, რომ არა ისტორიული წყენის მოგონებები იმპერიალისტური იაპონიის მიმართ, რომლის მიერ ჩადენილმა დანაშაულებრივმა ქმედებებმა წლების განმავლობაში გავლენა იქონია და ჯერ კიდევ აქვს თანამედროვე ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე ჩინეთში. სტატიაში ვცდილობ წარმოვაჩინო თუ რამდენად დიდია იაპონიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩინეთის მოსახლეობაში მიუხედავად იმისა, რომ საკმაოხანი გავიდა. ამ ნეგატიურ დამოკიდებულებას კი აღვივებს ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი კონფლიქტური ზონები აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, სადაც ჩინეთი და იაპონია ერთმანეთის პირისპირ არიან. თემა საინტერესოა ასევე იმიტომ, რომ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი ჩინეთში ჯერ არ დამთავრებულა.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ეროვნული იდენტობა, ნაციონალიზმი, იაპონია, ამერიკა

შესავალი

ვფიქრობ, რომ ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ასპექტების შესწავლა სხვა ქვეყნების საგარეო პოლიტიკასთან შედარებით ბევრად რთულია, რადგანაც ოდითგანვე ჩინეთი ყველა სფეროში თავისი სპეციფიკურობით გამოირჩევა. თუმცა, დღეს არის რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ჩინეთის საგარეო პოლიტიკის დაგეგმვასა და მის განხორციელებაზე ახდენს. დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური არენა საკმაოდ ცვალებადია და მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღმოჩენა, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში გააქტიურად, არის ჩინეთი. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია საკითხის შესწავლა, რათა მსოფლიომ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს ჩინეთის გლობალურ ძალად გადაქცევა საფრთხე არის თუ სარგებელი? აქ კი დიდი როლი ამერიკას უკავია, რომლის გარეშეც პოლიტიკური სურათის განხილვა შეუძლებელია.

ძირითადი ნაწილი

ამერიკას აქვს დიდი გავლენა ჩინეთში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, რაც თავის მხრივ ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში აისახება. ამასთან ერთად, არანაირი ნიშანი არ არსებობს, რომ მომავალში ამერიკა აღარ იქნება ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის მეშვეობით ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ობიექტი. საყურადღებოა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავის მხრივ ამერიკისთვის თუ რა გავლენას იქონიებს ნაციონალიზმი ჩინეთის ქცევაზე საერთაშორისო არენაზე, რადგანაც არსებობს ბევრი სადაო საკითხები ამერიკასა და ჩინეთს შორის. შესაბამისად, ნაციონალიზმი ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება რეგიონალიზაციის პროექტის განხორციელებაში, რაც თავის მხრივ დაბრკოლება არის სამხედრო კონფრონტაციისთვის, რომელიც არავის ინტერესში არ დგას.

ზემოთხსენებული კონკურენციის გამო, ამ ორი ძლიერი სახელმწიფოს პოლიტიკა ყალიბდება თითოეულის ქმედებების პასუხად. თუმცა, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ საბოლოოდ რა შედეგებს გამოიწვევს ნაციონალიზმის გავლენა ჩინეთის პოლიტიკაზე, როდესაც ჩინეთი თავისი ძლიერების პიკს მიაღწევს? მეორეს მხრივ, ჩინეთს არ სჭირდება, რომ ბოლომდე დაეწიოს სხვადასხვა კუთხით ამერიკას, რათა მისთვის პრობლემები შექმნას. ჰანს მორგენტაუს აზრით, როდესაც ქვეყნები ერთმანეთს „თვალებში უყურებენ“, მათი ქმედებები თითოეულის ქმედებაზეა დამოკიდებული, რაც ძირითადად ყველა ძლიერ სახელმწიფოს ახასიათებს. რადგანაც ეს ციტატა ჩინეთს უკვე შეესაბამება, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე საკმარისად ძლიერ ქვეყანაზე ვლაპარაკობთ, რომლის წარმატებაში ყველა სხვა ფაქტორთან ერთად საზოგადოების საზოგადოებრივმა აზრმაც იქონია ჩინური თავისებურებებით.

იაპონიას უჭირავს დიდი ადგილი ჩინური იდენტობის ჩამოყალიბებაში, რაც თავის მხრივ ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში აისახება. ამასთან ერთად, არანაირი ნიშანი არ არსებობს, რომ მომავალში იაპონია აღარ იქნება ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის მეშვეობით ჩინეთის

საგარეო პოლიტიკის ობიექტი. საყურადღებოა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავის მხრივ იაპონიისთვის თუ რა გავლენას იქონიებს ნაციონალიზმი ჩინეთის ქცევაზე ჩინეთის ზღვების კონფლიქტების მიმართ, რადგანაც ამ კონფლიქტებში იაპონია(მასთან ერთად ამერიკაც) ჩართულნი არიან. შესაბამისად, ნაციონალიზმი ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება რეგიონალიზაციის პროექტის განხორციელებაში, რაც არის აუცილებელი მშვიდობიანი თანაარსებობისთვის, რომელიც ამერიკისა და იაპონიის ინტერესებში ნამდვილად არის.

დასკვნა

ნათლად ჩანს, რომ ჩინეთის აქტიური პოლიტიკის ერთ-ერთი მიზეზი არის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც არა კოსმოპოლიტური აზროვნების კუთხით ვითარდება, არამედ მძლავრად ეფუძნება ნაციონალიზმს. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმზე დაფუძნებული ეროვნული იდენტობა მიმაჩნია როგორც რისკი ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომელშიც ჩინეთი მხარედ გვევლინება და ამიტომ წარმოადგენს საფრთხეს იგი მსოფლიოსთვის. საყურადღებო კი ის არის, რომ არანაირი ნიშანწყალი არ ჩანს იმისა, რომ მომავალში ნაციონალისტური მიდგომები შენელდება ან სულაც გაქრება და აღარ იქონიებს გავლენას ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე. ძირითადად, კომუნისტური პარტიის მმართველობის პირობებში პირიქით მოსალოდნელია პარტიის ინტერესებისთვის და ლეგიტიმაციისთვის ნაციონალიზმის სათავისოდ გამოყენება. თუკი გლობალიზაცია იწვევს ნაციონალისტურ სენტიმენტებზე უარის თქმას, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში რეგიონალიზაციის პროცესიც კი არ მიმდინარეობს და შესაბამისად, საბოლოო ჯამში ჩინეთში ნაციონალისტურ სენტიმენტებზე ეროვნული იდენტობის აღმოცენება გარდაუვალ პროცესს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Werner Meissner, « China's Search for Cultural and National Identity from the Nineteenth Century to the Present », China Perspectives, 68 | 2006, 41-54.
2. He, Baogang, China's National Identity:A Source of Conflict between Democracy and State Nationalism (December 7, 2014). in Leong H. Liew Shaoguang Wang(eds). Nationalism, Democracy and National Integration in China, 2012, Routledge., Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=2535127
3. Friedman, E. (1994). Reconstructing China's National Identity: A Southern Alternative to Mao- Era Anti-Imperialist Nationalism. The Journal of Asian Studies, 53(1), 67-91. doi:10.2307/2059527
4. Irgengioro, John. (2018) China's National Identity and the Root Causes of China's Ethnic Tensions. East Asia, 35. DOI: 10.1007/s12140-018-9297-2
5. Dittmer, Lowell & Kim, Samuel S. (eds.) (1993), China's Quest for National Identity. Ithaca, Cornell University Press.

The influence of national identity and nationalism on China's foreign policy

Sandro Tsotskhalashvili, PhD student of Georgian Technical University

Summary

National identity issues have an important place in social sciences, in the behavior of society and also in international relations. China is not an exception and studying the case of PRC in that regard is interesting to be able to define the principles of Chinese society and the basis of actions on international political arena. In this article, the role of nationalistic sentiments is discussed in regards to the establishment process of national identity, which has its own Chinese characteristics.

We can not skip the role of imperial Japan in the establishment process of national identity in China, since throughout the years China was invaded by Japan and even today, Chinese society has historical grievances towards the Japanese. In the article, I am trying to prove how big is the negative perception of Japan in Chinese society and how recent conflict zones in East China Seas between the two countries deepens the negative attitude and also gives way to nationalistic sentiments.

Keywords: China, National identity, Nationalism, Japan, USA

სელფის ცნება მეცნიერებაში და მისი განვითარება

გიორგი წიკლაური, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ზოგადად სელფი, ადამიანის საკუთარი თავი, საკუთარი მე, ძალიან ფართო ცნებაა მეცნიერებაში. ათასწლეულების მანძილზე ადამიანი ცდილობდა და ცდილობს შეისწავლოს საკუთარი თავი, ჩაწვდეს მის გონებაში დამალულ საიდუმლოებებს, შეიმეცნოს საკუთარი ბუნება. ამ ხნის განმავლობაში უამრავი იდეა, მოსაზრება და მიდგომა ჩამოყალიბდა ადამიანის მეობასთან დაკავშირებით.

მაგრამ ამდენი ხნის და მცდელობის მიუხედავად ჯერ კიდევ არ არის ერთი ჩამოყალიბებული პასუხი შეკითხვაზე თუ რა არის სელფი, საკუთარი მე.

ამ საკითხის აქტუალობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მომდინარეობს რომელიც გამოიხატება ფრაზით, რომელიც დელფის ტაძარზე იყო გამოსახული, „შეიცან თავი შენი“ და ეს ბევრისთვის ცხოვრების გზადაც კი იყო ქცეული.

სიტყვა სელფი (selfie) „ოქსფორდის ლექსიკონების“ მიხედვით 2013 წელს წლის სიტყვად დასახელდა [10] რაც მიანიშნებს ამ სიტყვის აქტუალობაზე (ეს სიტყვა უფრო ფოტოგრაფიას ეხება), მაგრამ ეს კიდევ ერთხელ გამოხტავს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ჩვენი მე, მე-ხატი (სელფი).

საკვანძო სიტყვები: სელფი, მეცნიერება, მეობა, იდენტობა, უნიკალობა, ინდივიდუალობა, პიროვნულობა.

შესავალი

სელფის ცნების თანამედროვე გაგება

სელფი, მეობა, საკუთარი მე. ეს ცნებები ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება.

სელფი - ესაა ცნება, რომელიც ადამიანის რაობას გამოხატავს, მაგრამ ქართულ ენაში მისი ზუსტი თანმიმდევრული თარგმანი არ მოიპოვება, სელფი (SELF) - საკუთარი მე-ს ნიშნავს [1]. მეობა, იდენტობა, უნიკალურობა, ინდივიდუალობა, პიროვნულობა, ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმებია. ზოგადად სელფ სუფიქსი (myself, yourself…) რაიმეს თვითონ, დამოუკიდებლად კეთებისას გამოიყენება ინგლისურ ენაში, რის გამოც მისი თარგმანი კიდევ უფრო რთულდება.

ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის საკუთარი „მე“, სელფი, საკუთარ თავზე დაკვირვების შედეგად ისევ საკუთარი თავის გააზრებაა.

უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ განსხვავებით ფილოსოფიისა, სადაც ადამიანი განიხილება გარკვეული მოცემულობის მქონდე ინდივიდად და მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანი ამ მსჯელობის ობიექტია, ფსიქოლოგიაში საქმე სხვაგვარადაა - ფსიქოლოგიაში ადამიანის მეობა, სელფი, საკუთარი მე, განიხილება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს ადამიანს გააზრებული მისი „მე“, ანუ რამდენად იცნობს საკუთარ თავს, რამდენად იცის რა ნიშან-თვისებები ახასიათებს და ა.შ. ანუ ადამიანის მეობა უმეტესწილად მისი სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარეობს საკუთარი თავის შესახებ.

ფსიქოლოგიაში თანამედროვე შეხედულებით საკუთარი „მე“, სელფი მოიცავს საკუთარი პიროვნული, ემოციური და ფიზიკური მახასიათებლების გააზრებას. ანუ საკუთარი მე, სელფი, საკუთარი თავის განცდაა, ეს კი სხვადასხვა კულტურებში განსხვავებული ხასიათისაა [4]. საკუთარი მე-ს, მნიშვნელოვანი ნაწილი ინდივიდის გონებაშია, ესაა ინფორმაცია. ანუ მარტივი განმარტებით ესაა საკუთარი თავის გაგება, გააზრებაა [3].

შედარებით განსხვავებულად უყურებს სელფის ფენომენს მაიერსი. მაიერსისთვის სელფი პიროვნულობის ცენტრია, აზრების, განცდებისა და ქცევის მაორგანიზებელი კომპონენტი [6].

მეობა (სელფი) საკუთარი თავის განცდაა [11].

სელფი ესაა ინდივიდის ყველა მახასიათებელი ტოტალურად, ეს მოიცავს მის მენტალურ და ფიზიკურ მახასიათებლებს (ცნობიერსაც და არაცნობიერსაც) [12]. ამ შემთხვევაში სელფი არ მოიცავს გააზრებულ მახასიათებლებს, არამედ ყველა იმ ნიშან-თვისებას რაც ადამიანს აქვს.

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი მე, სელფი, ეს არის ყველაფერი ის რაც ადამიანს ეხება (მისი მიზნები, შიშები, გამოცდილება, ატიტუდები...) ყველაფერი ის რაც ადამიანის გონებაშია მოცემული, და ასევე მისი ფიზიკური მახასიათებლები, ანუ ყველაფერი ის რაც სუბიექტს უკავშირდება, თუნდაც მიუხედავად იმისა იაზრებს თუ არა იგი მას.

რაღათქმაუნდა, როგორც უკვე ვახსენე ფსიქოლოგიის კვლევის საგანი უფრო მეტად პირველი გაგებაა.

როცა ადამიანს ეკითხებიან თუ ვინ არის, ადამიანი გარკვეულ ინფორმაციას გასცემს საკუთარი თავის შესახებ (სახელი, პროფესია...) ეს კი იმაზე მეტყველებს რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს საკუთარ თავზე გარკვეული ცოდნა და წარმოდგენა, ანუ მე-კონცეფცია. ეს აზრი საკუთარ თავზე კი ხშირ შემთხვევაში რეალობას არ შეესაბამება.

ძირითადი ნაწილი

სელფის ცნების ისტორიული მიმოხილვა

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, ადამიანი ოდითგანვე ცდილობდა გაეგო ვინ არის. და რას ნიშნავს იყო ადამიანი. საკუთარი თავის, სელფის გაგება ისტორიულად ცვალებადობდა, ბაუმეისტერს ქრომოლოგიურად აქვს მიმოხილული თუ რა გზა გაიარა სელფის გაგებამ დღევანდლამდე, სადაც ის მიანიშნებს, რომ საუკუნეების განმავლობაში, შუა საუკუნეებში, სელფის გაგება უფრო საკუთარი ღირსებისა, მორალური კუთხით, და ასევე მემკვიდრეობიტ მიღებული სტატუსით იყო გაგებული. დროთა განმავლობაში ეს გაგება შეიცვალა, 19-20 საუკუნეებში წინა პლანცე უფრო სოციალური მხარე გადმოვიდა და მემკვიდრეობით მიღებული სოციალური სტატუსი არც ისე აქტუალური გახდა.

20-ე საუკუნის ბოლოსკენ ეს ცნება უფრო სოციოეკონომიკური სტატუსის მნიშვნელობით ხდება დატვირთული და პიროვნება არა მორალური (როგორც საუკუნეების წინ) მხრიდან განიხილება, არამედ საზოგადოებაში მისი ადგილიდან გამომდინარე [2]..

ზოგადად, თვალს თუ გადავავლებთ სელფის ცნების ისტორიულ განვითარებას, თამამად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ცნების მეცნიერული კვლევა უილიამ ჯეიმსის ნაშრომებიდან მომდინარეობს, რომელმაც ერთგვარად საფუძველი ჩაუყარა სელფის კვლევის სამომავლო მიმართულებას, როცა მან სელფი ორ ნაწილად დაყო: მე - როგორც სუბიექტი, და მე, როგორც ობიექტი.

ჯეიმსისთვის საკუთარი მე, სელფი, არის იმ ყველაფრის ჯამი, რასაც ადამიანი თავისად მიიჩნევს (არა მხოლოდ სხეული და გონებრივი შესაძლებლობები, არამედ მისი ტანსაცმელი, მეგობრები, სამსახური, რეპუტაცია...). ჯეიმსმა სელფი დაყო 4 ნაწილად:

მატერიალური მე - სხეული, ტანსაცმელი და ა.შ.

სოციალური მე - ის აღიარება რომელიც ადამიანს აქვს სხვებისგან.

სულიერი მე - ადამიანის შინაგანი ფსიქიკური მახასიათებლები, რომელიც მისი მეობის ყველაზე ინტიმური ნაწილი.

„სუფთა მე“ რომელიც ადამიანისთვის მიუწვდომელია. [5].

სელფის კვლევის მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა მეცნიერებაში იყო ჩარლზ კული, რომელსაც შედარებით განსხვავებული მიდგომა ჰქონდა სელფთან დაკავშირებით. მისთვის სელფის ფორმირებაში გადამწყვეტი გარშემომყოფები და მათი სუბიექტის ქმედებებისადმი რეაქციებია, რომელიც შემდეგნაირად წარიმართება:

1 - სუბიექტი წარმოიდგენს როგორ გამოიყურება ის სხვის თვალში, 2 - სუბიექტი წარმოიდგენს სხვა როგორ აფასებს მას და მის ქმედებებს, 3 - სუბიექტს ამ წინამდებარე ორი პროცესიდან გამომდინარე ექმნება განცდები და წარმოდგენები საკუთარი თავის მიმართ. ანუ ზუსტად გარშემომყოფი საზოგადოებაა სადაც ადამიანი თითქოს აირეკლება და ასე იგებს ადამიანი საკუთარ თავს. ამიტომაც ეწოდება კულის თეორიას „სარკისებური მე“-ს თეორია.

კიდევ ერთი სიმბოლური ინტერაქციონიზმის წარმომადგენელი და მნიშვნელოვანი ფიგური სელფის კვლევაში იყო ჰერბერტ მიდი, რომელიც გონებას არა მოცემულობად, არამედ პროცესად განიხილავდა, რომელიც მთლიანად სოციალური ფენომენია. ხოლო სელფი განიხილება, როგორც ადამიანის უნარი საკუთარი თავის სუბიექტიც იყოს და ობიექტიც. გონება კი სოციალურ პროცესში ვითარდება. [8]. მიდისთვის სელფი საკუთარი თავის სუბიექტად და ობიექტად გახდომის უნარია. ჯეიმსის მსგავსად მიდსაც სელფი ორ დაკავშირებულ ნაწილად ესმოდა: მე-სუბიექტი რომელიც აქტიურია და მოქმედებს, და მე-ობიექტი, როცა ადამიანი საკუთარი თავის ობიექტი ხდება..

ფროიდმა ადამიანის სელფი, მისი პიროვნების მარეგულირებელ ცენტრად წარმოაჩინა და ფსიქიკური პროცესები დაყო იდი ეგო და სუპერეგოდ. დღესდღეისობით ყველაზე მეტად „მესთან“ დაკავშირებული ცნებაა ეგო. მან ეგო ფუნქცია წარმოაჩინა, როგორც იდსა და სუპერეგოს შორის გამაშუალებელი ნაწილი [7].

თანამედროვე ფილოსოფოსის თაგარტის მიხედვით კი ადამიანის სელფი მრავალდონიანი სისტემაა რომელიც ქვესისტემებისგან შედგება. მარტივად რომ მიმოვიხილოთ მისი მიდგომა სელფთან დაკავშირებით აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ მისთვის სელფი 4 დონეზე მოქმედებს: სოციალური, ინდივიდუალური, ნეირონული და მოლეკულური [9]. ეს ფილოსოფოსი სელფს მხოლოდ იმის მიხედვით არ განიხილავს რაც ადამიანმა იცის საკუთარი თავის შეახებ, ის უფრო მრავლისმომცველი თეორიით შემოიფარგლება და მოლეკულურ დონემდე დაყავს სელფის მოქმედება.

დასკვნა

ყველაფერ ზემოთქმულიდან გამომდინარე სელფის ცნებასთან დაკავშირებით, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი მე, სელფი, ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება, რომელიც ფსიქოლოგიაში პირველ რიგში საკუთარ თავზე დაკვირვების უნარის შედეგად საკუთარი თავის, პიროვნული, ემოციური და ფიზიკური მახასიათებლების განცდა გააზრებას ნიშნავს. ეს არის იმ ყველაფრის (ნიშან-თვისებათა...) ჯამი, რითაც ერთი ადამიანი მეორისგან განსხვავდება და უნიკალური ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გვარჯალაძე თ: ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. საქართველოს მაცნე. გვ.807
2. Baumeister, R. F. (1987). How the self became a problem: A psychological review of historical research. Journal of Personality and Social Psychology, 52(1), 163–176
3. Baumeister, R. Finkel, E: ADVANCED SOCIAL PSYCHOLOGY. THE STATE OF THE SCIENCE. Oxford University Press. 2010.
4. Baumeister, R. Vohs, K. D: Encyclopedia of Social Psychology (2 Volume Set)-Sage Publication. 2007.
5. James, W: The Principles Of Psychology. Vol.1. NEW YORK HENRY HOLT AND COMPANY. 1890.
6. Myers, D. J: Psychology.9ed. WORTH PUBLISHERS. 2010.
7. Pajares, F. Schunk, D. H: SELF AND SELF-BELIEF IN PSYCHOLOGY AND EDUCATION: AN HISTORICAL PERSPECTIVE: In J. Aronson (Ed.), Improving Academic Achievement: New York: Academic Press. 2002
8. Ritzer, G: sociological theories> McGraw Hil. 8ed. 2011, p.355-380
9. Thagard, P. Wood, J: Eighty phenomena about the self: representation, evaluation, regulation, and change. Frontiers in Psychology. 6: 334. 2015
10. bbc.com/news/uk-24992393
11. dictionary.cambridge.org/dictionary/english/self.
12. https://dictionary.apa.org/self

Concept of self in science and its development

Giorgi Tsiklauri, PhD Student of Gerogian Technical University

Summary

In general, the self is a very wide concept in science. For millennia, people have been trying to understand themselves, to solve the mysteries hiding in their minds and perceive their human nature. Dozens of ideas and attitudes toward a human self were formed during this time.

But after all these time and effort, there is not a universal answer to the question about the nature of the “self” yet.

As we have already mentioned, concept of self was an object of interest even in the antique era, and this interest was expressed in the Delphi Temple – “Know Thyself”, and this was a way of life for many people as well.

According to Oxford Dictionaries, the word “selfie” was the word of the year in 2013. [10]. This fact once again emphasizes how widely used this word is (this usage is about photography), and this once again shows how important our self-image (selfie) is for each of us.

Keywords: selfie, science, godliness, identity, uniqueness, individuality, personality.

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი და იმპლემენტაცია 2014- 2020 წლებში

ბაჩო ბითარი ხუროშვილი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბუბა ხუცურაული
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა წარმოადგენს 14-29 წლის პირების განვითარებასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის პოლიტიკის და მონაწილეობის საკითხებს. სახელმწიფო ღიად დეკლარირებს, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას. თავის მხრივ კი, ეს გარემო, ღირებულებრივ კონტექსტში მოიცავს ახალგაზრდის სოციალური ფუნქციონირების უზრუნველყოფას, თუმცა ერთია რას დეკლარირებს საკანონმდებლო და ინსტიტუციური წესრიგი, მეორეა რამდენად ხორციელდება პრაქტიკაში ნახსენები პრინციპები. ამდენად, აღნიშნული კვლევის მიზანი იყო საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის შესწავლა და ურთიერთმიმართების დადგენა განხორციელებულ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ დიზაინს შორის. კვლევისას გამოიკითხა 400 ახალგაზრდა ქვეყნის მასშტაბით და გაანალიზდა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ცენტრალური მნიშვნელობის დოკუმენტები. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, სახელმწიფოს სურს სრულყოს ახალგაზრდული პოლიტიკა, მისი ფოკუსი ძირითადად ინკრიმენტალისტურია და ცდილობს გადაჭრას ოპერაციული პრობლემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდების აზრით, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. ამასთან ერთად, გამოკითხულთა 62.5% თვლის, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ყველაზე მეტად სიღარიბესა და ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე დგანან. ამის მიუხედავად, გამოკითხული ახალგაზრდების ძირითად ნაწილს არ აქვს მძიმე უპერსპექტივობის განცდა, რადგან ისინი თვლიან, რომ უახლოესი 10 წლის განმავლობაში შეგვიძლია მივაღწიოთ ახალგაზრდული პოლიტიკის იმანენტურ ღირებულებას "ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდებთან ერთად, ახალგაზრდების მიერ".

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო პოლიტიკა, პოლიტიკის მიზნები, ახალგაზრდული პრობლემები, ახალგაზრდის განვითარება.

შესავალი

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტსა და პოლიტიკის პრიორიტეტს ახალგაზრდა წარმოადგენს. შესაბამისად, თავად სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას თითოეული ახალგაზრდის კეთილდღეობასა და სოციალურ ფუნქციონირებაზე. სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკა ყველაზე უკეთ სცემს პასუხს დიდაქტიკურ კითხვებს იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ უნდა აღზარდოს თავად პოლიტიკურმა სისტემამ, ამიტომ მომავალ თაობაზე პასუხისმგებლობის ძირითადი ხაზი სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკის კურსებზე გადის. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ეხმიანება 14-29 წლის პირების განვითარებასა და ხელშეწყობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს, რომელიც ერთი მხრივ მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების ჩართულობასა და პოლიტიკას, მეორე მხრივ კი, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მონაწილეობას.[1] საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის საკითხი აქტუალური 2010 წლიდან ხდება, როდესაც იქმნება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რაც დეკლარირებულ დონეზე მიუთითებს ახალგაზრდის პრიორიტეტად წამოწევის მცდელობაზე. ახალგაზრდული პოლიტიკის ფუნდამენტური განვითარება იწყება 2014 წლიდან, როდესაც სახელმწიფომ მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა", სადაც აისახა სახელმწიფო მიზ-ნები, სამთავრობო ამოცანები, პოლიტიკის პრიორიტეტები. აღნიშნული დოკუმენტი კონცეპტუალური ხასიათისაა და ის საფუძვლად უდევს მთავრობის მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ ქმედებათა განხორციელებას. 2015 წლის 5 მარტს საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წ.წ.)", რომელმაც კიდევ უფრო მკაფიოდ განსაზღვრა სტრატეგიული

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი", პრეამბულა, გვ.1, 2014.

მიმართულებები და სამოქმედო გეგმა გახადა ხილვადი საპროექტო აქტივობბების დონეზე. ამის შემდგომ საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 17 ივლისს დაამტკიცა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია". ამავე კონცეფციის მიღებას საფუძვლად დაედო ახალგაზრდობის სფეროში პრობლემების მყისიერად გადაჭრისთვის ამოცანათა შესრულება. აგრეთვე, საფუძველს წარმოადგენდა სათანადო სახელმწიფო რესურსის 14–29 წლის მოზარდებისა და ახალგაზრდების ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება.[1]

ძირითადი ნაწილი

ახალგაზრდულ სფეროში პოლიტიკური კურსებისა და ინსტიტუციური დიზაინის ცვლილება, მიღებული სახელმწიფო დოკუმენტები და სამთავრობო აქტივობები, თავის მხრივ, მოწმობს ახალგაზრდული პოლიტიკით დაინტერესებაზე. ამასთან ერთად, ახალგაზრდული პოლიტიკის აქტუალურობასა და პრობლემატურობას ადასტურებს უკვე არსებული კვლევები და ანგარიშები მაგალითად, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკის საბაზისო კვლევა", რომლის მიზანს წარმოადგენდა პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მტკიცებულებებსა და საჭიროებებზე დაფუძნებული, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2018-2020წწ) შემუშავების ხელშეწყობა[2]. ასევე, „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში",[3] რომელიც კონცენტრირდებოდა ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდული საჭიროებების გამოვლენაზე. ბოლო წლებში შევხვდებით კვლევებს რეგიონულ დონეზე, [4] რომელთა ფოკუსი კონცენტრირებული იყო დაედგინა ახალგაზრდული პოლიტიკის ინკლუზიურობის საკითხი, შეეფასებინა პოლიტიკის წარმოება მუნიციპალურ დონეზე. განსხვავებით ნახსენები კვლევებისგან, ნაშრომში მოცემული კვლევა აქცენტს აკეთებს ერთი მხრივ, ახალგაზრდული პოლიტიკის შესწავლაზე, ხოლო მეორე მხრივ, ურთიერთმიმართების დადგენაზე განხორციელებულ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ დიზაინს შორის. ამავე კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს განხორციელებული პოლიტიკის შეფასება და ახალგაზრდული პოლიტიკის სერვისების მომხმარებელთა მდგომარეობის შესწავლა. ამდენად, მოცემული შედეგები კიდევ უფრო ნათელს გახდის ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში არსებულ პრობლემებს, საჭიროებებსა და გამოწვევებს. ეს ყოველივე კი მოგვცემს საშუალებს მივიღოთ პასუხი კითხვაზე, თუ სად გადის ზღვარი ახალგაზრდული პოლიტიკის დეკლარირებასას და იმპლემენტაციას შორის ?

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის შესწავლა და ურთიერთმიმართების დადგენა განხორციელებულ პოლიტიკასა და ინსტიტუციონალურ დიზაინს შორის. აღნიშნულ მიზანს კი გააჩნია ორი ქვემიზანი, ესენია: აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს განხორციელებული პოლიტიკის შეფასება და ახალგაზრდული პოლიტიკის სერვისების მომხმარებელთა მდგომარეობის შესწავლა. კვლევის ამოცანებს კი წარმოადგენს შემდეგი: აღნიშნულ სფეროში ეროვნული სტრატეგიებისა და პოლიტიკის დოკუმენტების მიმოხილვა, დეკლარირებული სახელმწიფო მიზნებისა და სამთავრობო ამოცანების შესწავლა, ახალგაზრდული პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლა. ამის გათვალისწინებით, კვლევის კითხვაა, თუ როგორ იმპლემენტირდება საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკა 2015-2020 წლებში? ჰიპოთეზას კი წარმოადგენს შემდეგი, რომ საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნები რჩება მიზნებად და მას უჭირს პოლიტიკის დონეზე იმპლემენტაცია. ნაშრომის ფარგლებში მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, გამოყენებულია სოციალურ მეცნიერებათა კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, თვისებრივი კვლევისას დოკუმენტების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი 2014; საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა 2015-2020; საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია 2020-2030. რაოდენობრივი კვლევის მეთოდად კი გამოვიყენეთ ანკეტირება, ელექტრონული თვითადმინისტრირებადი კითხვარების მეშვეობით, სადაც შერჩევა გახლდათ არაალბათური, მიზნობრივი. კვლევის ობიექტის კი წარმოადგენდნენ: 16-19 წლის ახალგაზრდული პროექტების მონაწილეები. ნახსენები კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 400 ახალგაზრდა, ხოლო საველე პერიოდი წარიმართა 2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში. კვლევის დესკრიპტული მნიშვნელობიდან გამომდინარე გამოყენებულია ერთგანზომილებიანი ანალიზი.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული

[1] საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია", შესავალი.

[2] „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკის საბაზისო კვლევა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის
სიტუაციური ანალიზი", 2017.

[3] „ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოში, ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი". 2014 წელი.

[4] „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე:იმერეთი და თბილისი", 2020.

პოლიტიკა - მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების პრიზმა

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ღიად დეკლარირებს, რომ მისი მთავარი მიზანია ახალგაზრდების განვითარებისთვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა, სადაც ისინი საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას შეძლებენ. ამ მიზნის მისაღწევად კი, ის სახავს 4 პრიორიტეტის უზრუნველყოფას:

1. საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობა;

2. ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა;

3. ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობილ გარემოში.

4. სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლება, ახალგაზრდებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მათი უფლებების დაცვა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა. [1]

ასეთია მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი. თავის მხრივ, პრინციპების დეკლარირებას თან მოსდევს მისი განხორციელება. სწორედ იმპლემენტაციის დონეზე 2015 წლის 5 მარტს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წ.წ.), სადაც ასახულია ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმარება და ღვრა 5 სტრატეგიული პრიორიტეტი:

1. მონაწილეობა;
2. განათლება, დასაქმება და მობილობა;
3. ჯანმრთელობა;
4. სპეციალური მხარდაჭერა და დაცვა;
5. ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და მონიტორინგი. [2]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი ღირებულებების თვალსაზრისით, დეკლარირებულ დონეზე ასახავს ახალგაზრდების საჭიროებებს, პრობლემებსა და გამოწვევებს, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, თუ რამდენად ეფექტურია ის განხორციელების დონეზე; და არის თუ არა საკმარისი ნახსენები პრიორიტეტები და ამოცანები ახალგაზრდებისათვის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად?

ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება - ზღვარი დეკლარირებასა და იმპლემენტაციას შორის.

იმისათვის, რომ ეფექტურად შეფასდეს ახალგაზრდული სერვისებისა და პოლიტიკის განხორციელება მნიშვნელოვანია ის, თუ თავად რა პოზიცია აქვთ მოცემული საკითხისადმი ამავე პოლიტიკის სერვისთა ბენეფიციარებს. ამდენად, აღნიშნულ კვლევაში ახალგაზრდების ჩართულობა გამოკითხვის გზით იყო ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი კომპონენტი. კვლევისას გამოიკითხა 400 ახალგაზრდა საქართველოს მასშტაბით, სადაც მამრობით სქესს - 37,5%, ხოლო მდედრობითს - 62,5% წარმოადგენდა. გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია სხვა სქესის (ინტერსექსი) წარმომადგენლებს. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით - მათი 70,75% გახლდათ ქ. თბილისის მკვიდრი, ხოლო საქართველოს რეგიონებიდან გამოკითხულთა რაოდენობამ შეადგინა 29,25%.



დიაგრამა 1

<u>განხორციელება</u>. ნახსენები დოკუმენტით განისაზ-

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, ახალგაზრდული პოლიტიკის მიზანი და ამოცანები, გვ.2, 2014.

[2] საქართველოს მთავრობის განკარგულება, „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წ.წ.), სტრატეგიული პრიორიტეტები, 2015.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხული ახალგაზრდების 54,5% -ს შვიდ და მეტ ახალგაზრდულ აქტივობაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული, რაც მოწმობს გამოკითხულთა აქტიურ ჩართულობაზე ახალგაზრდულ სერვისებში. იმისათვის, რომ განხორციელებული პოლიტიკა შეგვეფასებინა თავად ახალგაზრდებს დავუსვით კითხვები დეკლარირებული მიზნების განხორციელების შესახებ.

გამოკითხულთა 40,25% სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გარემოს უფრო შეუსაბამოდ, ხოლო 16,50% სრულიად შეუსაბამოდ მიიჩნევს, რაც მოწმობს, იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მთავარი მიზანი "ახალგაზრდების განვითარებისათვის სრულფასოვანი გარემოს შექმნა" ვერ ხორციელდება პრაქტიკაში ეფექტურად.



დიაგრამა 2

გამოკითხულთა 54,75% აღნიშნულ პრინციპს უფრო მიუღწევლად, ხოლო 6,25% სრულიად მიუღწევლად მიიჩნევს, ამდენად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის, მეოთხე ამოცანა, „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლება" ვერ მიიღწა.



დიაგრამა 3

ახალგაზრდების 42,75% მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა უფრო არ უზრუნველყოფს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობას, ვიდრე უზრუნველყოფს, ხოლო 17% მიიჩნევს, რომ მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა საერთოდ ვერ ხდება. გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, სახელმწიფო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობას არ/ვერ იძლევა. ამდენად საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის პირველ ამოცანას უჭირს იმპლემენტაცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო იძლევა ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობა;



დიაგრამა 4

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, მისი მთავარი მიზნის მისაღწევ მეორე ამოცანას წარმოადგენს: „ახალგაზრდებისათვის შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობა" ამდენად გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ვერც ეს ამოცანა ხორციელდება პრაქტიკაში.



დიაგრამა 5

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების აზრით, სახელმწიფო ვერ ახერხებს ახალგაზრდების დასაქმებასა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რაც ასევე მიუთითებს მეორე ამოცანის იმპლემენტაციურ სისუსტეზე (დიაგრამა 5).

ახალგაზრდებს მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპებიდან პრაქტიკაში ყველაზე მეტად განხორციელება უჭირს 2 პრინციპს. პირველი, ეს გახლავთ უფლებების აღიარების, პატივისცემა და დაცვა, ხოლო მეორე სარწმუნო მონაცემებზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება. ასევე, პრობლემატურია თანამშრომლობისა და ჩართულობის, თანასწორობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების იმპლემენტაციის საკითხი (დიაგრამა 6).

მიუხედავად ახალგაზრდების ნეგატიური განწყობებისა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი 10 წლის განმავლობაში მიღწევადად მიიჩნევენ შემდეგ ღირებულებას: „ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ". ეს გულისხმობს იმას, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ მძიმე უპერსპექტივობის განცდა (დიაგრამა 7).

სახელმწიფოს ინკრიმენტალისტული პოლიტიკის ნარატივი და რეაგირების ოპერაციული დონე

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული



დიაგრამა 6



დიაგრამა 7

პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, სადაც საპროექტო დონეზეა ასახული აქტივობები, რომლებიც ეხმიანება ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნების მიღწევას. თავის მხრივ, ნებისმიერი აქტივობის დაგეგმარება, რომელიც ცდილობს აღმოფხვრას რაიმე პრობლემა ადასტურებს ამავე პრობლემის არსებობს. მაგალითისთვის, ნახსენები დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფო პრიორიტეტულად მიიჩნევს ახალგაზრდების დახმარებას პროექტების მართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებაში [1]. ვინაიდან და რადგანაც, მოცემული საკითხი დეკლარირებულად პრიორიტეტულია, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ არსებობს პრობლემა. ეს პრობლემა კი მდგომარეობს შემდეგში, რომ სახელმწიფოში ახალგაზრდების ძირითად ნაწილს უჭირს პროექტების მართვა და არ აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები/შესაძლებლობები, რათა წარმატებულად წარმართოს პროექტი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფო, ნახსენები დოკუმენტის მიხედვით, სახავს გადაჭრის გზას, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: „პროექტის მართვისა და ფონდების ძიების შესახებ ტრენინგების ჩატარება“, ჩატარებული ტრენინგებისა და ამ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა კი უცნობია. იგივე შემთხვევა გვაქვს საკითხზე, სადაც სახელმწიფო პრობლემურად მიიჩნევს “საგანმანათლებლო სისტემიდან სამსახურზე გადასვლას“, მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ის საპროექტო დონეზე საჭიროდ მიიჩნევს დასაქმების ფორუმების

[1] საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა(2015-2020წ.წ.), 1.4.1, 2015

ორგანიზებას. ორგანიზებული დასაქმების ფორუმებისა და ამ ფორუმებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა კი დოკუმენტის მიხედვით კვლავ უცნობია. ეს ყოველივე ხაზს უსვამს, ერთის მხრივ გაუმჭვირვალობის პრობლემაზე, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნული კურსები ზის ინკრიმენტალისტურ ფოკუსში. მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ადასტურებს ფართო მასშტაბიანი პრობლემის არსებობას, თუმცა ამავე პრობლემის მოგვარების გზებს სახავს ოპერაციულად. ანუ ის კონცენტრირებულია სტატუს კვოს+1 პათოსზე, სადაც აუჩქარებლად, ტექნიკურად, საპროექტო დონეზე ცდილობს რაღაც უკეთესობისაკენ შეცვალოს. თავის მხრივ, ასეთი პოლიტიკა მოქნილი და რისკებისაგან შედარებით დაცულია, რაც ნაკლებ ზიანთან არის კავშირში. [1] ლოგიკურია, რომ ინკრიმენტალისტური ნარატივი მიმართულია უფრო გონივრული საკმარისობის, ვიდრე მაქსიმალური ეფექტისაკენ, მაგრამ ფუნდამენტური პრობლემის ოპერაციულ დონეზე აღქმა შესაძლოა მეტი პრობლემის გამომწვევი გახდეს. ეს იმის ფონზე, როდესაც დასაქმების ფორუმის ან ტრენინგის ჩატარების რესურსობრივი შესაძლებლობა სახელმწიფოში ასობით ორგანიზაციას გააჩნია. მაშინ ჩნდება რიტორიკული შეკითხვა, რით განსხვავდება სახელმწიფო პოლიტიკის კურსის მასშტაბი ახალგაზრდული ორგანიზაციის რესურსების მასშტაბთან?

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დიზაინი ღირებულებრივ დონეზე ცდილობს შექმნას ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემო, სადაც ისინი შეძლებენ ეფექტურ სოციალურ ფუნქციონირებას. სახელმწიფო დეკლარირებს ფუნდამენტურად მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც სავსებით მიღწევადია ძლიერი და ინკლუზიური ახალგაზრდული პოლიტიკა. მიუხედავად მოცემული ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების დეკლარირებისა, ნახსენები პრაქტიკაში ეფექტურად ვერ ხორციელდება. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის ფუნდამენტურ მიზანსა და მის 4 ამოცანას პრაქტიკაში უჭირს რეალიზება, რაც გულისხმობს იმას, რომ ის ეფექტურად ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდებისათვის სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცოდნის ამაღლებას, მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, შესაბამისი და მაღალხარისხიანი განათლების მიღების, დასაქმებისა და პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს. ყურადსაღებია ისიც, რომ პრობლემურია ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპების პრაქტიკაში იმპლემენტაცია, განსაკუთრებით კი უფლებების აღიარების, პატივისცემისა და დაცვის, ასევე სარწმუნო მონაცემებზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების საკითხებთან მიმართებით. ამის ფონზე ახალგაზრდებს არ აქვთ მძიმე უპერსპექტივობის განცდა და მათ სწამთ, რომ 10 წლის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ 2020-2030 წლების ახალგაზრდული პოლიტიკის მთავარ გამოწვევას „ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდებთან ერთად ახალგაზრდების მიერ“. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის დაგეგმარების დონეზე სახელმწიფოს პოლიტიკის ფოკუსი ძირითადად მოქცეულია ინკრიმენტალისტური ნარატივის ქვეშ, სადაც ის კონცენტრირებულია სტატუს კვოს+1 პათოსზე. ამდენად პოლიტიკის კურსები მიმართულია აუჩქარებლი, ტექნიკური და საპროექტო დონის, ოპერაციულ ცვლილებებზე. ეს ერთი მხრივ, წარმოადგენს მოქნილ და დაბალრისკიან პოლიტიკას, რაც ნაკლებ ზიანთან არის კავშირში, მეორე მხრივ კი გონივრული საკმარისობის პოლიტიკა ამ შემთხვევაში არ არის ეფექტური, რადგან ის ვერ აგვარებს ფუნდამენტურ პრობლემებს. ეს იმის ფონზე, როდესაც სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის კურსები ხშირად, რესურსობრივად, მასშტაბისდონეზეწ�აგავსმზარდიახალგაზრდული ორგანიზაციის საქმიანობას. ამდენად ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნები რჩება მიზნებად და მას უჭირს პოლიტიკის დონეზე იმპლემენტაცია გამართლდა.

[1] Bailey, John J., and Robert J. O'Connor. "Operationalizing Incrementalism: Measuring the Muddles, 1975

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება, „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, 28/03/2014
2. საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, 17/07/2020, 7054-რს.
3. ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოში, ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი. გაეროს ბავშვთა ფონდი, 2014 წელი
4. „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდული სახელმწიფო პოლიტიკის საბაზისო კვლევა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სიტუაციური ანალიზი“ , ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტი, 2017
5. „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2020
6. საქართველოს მთავრობის განკარგულება, „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა (2015-2020 წ.წ.), 05/03/2015, N349.
7. Bailey, John J., and Robert J. O'Connor. «Operationalizing Incrementalism: Measuring the Muddles.» Public Administration Review 35, no. 1 (1975): 60-66. Accessed February 16, 2021. doi:10.2307/975202.

Georgian youth policy design and implementation in 2014-2020

Bacho Bitari Khuroshvili, bachelor's students of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Buba Khutsurauli
Bachelor's student of IvaneJavakhishvili Tbilisi State University

Summary

Georgian youth policy represents the wide spectrum of issues in regards to development and the assistance of young fellows 14-29 of age, which encompasses the matters of state structures, civil society, and private sector. The state openly makes an official declaration that the goal of youth policy is to assist in the establishment of an appropriate environment for youth development. For one's part, this environment in the context of values includes ensuring the social functioning of a young person. But the declarations made by the legislative and institutional agenda are different from those present in practical principles. Therefore, the goal of the research is to study Georgian youth policy and establish interrelationships between the policy and interinstitutional design. In the research 400 young adults were questioned and state youth policy documents of central importance were analyzed. The results of the study reveal that in spite of the will of the state to have a perfect youth policy, its focus is mainly incremental and tries to solve operational problems. It's worth mentioning that based on the opinion of youth the state fails to provide quality education, employment, and carrier development opportunities. Also, 62.5% of those questioned think that the youth living in Georgia are mainly troubled by the issues of poverty and economical condition. In spite of this the principal portion of those questioned do not have the feeling of lack of perspective, because they think that in the next 10 years we are able to achieve the immanent value of the youth policy: "For the youth, with the youth, by the youth".

Keywords: State Policy, Policy Goals, Youth Problems, Youth Development.

ფილოსოფია-ფსიქოლოგია

PHILOSOPHY-PSYCHOLOGY

მოტივაციური სფეროს როლი და მნიშვნელობა მედიცინაში

ლია სვანიძე, პროფესორი
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

ჯანმრთელობის სფეროს შესწავლისათვის ჩვენი საუკუნის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო რეფორმა, რომელიც ობიექტური (შეიცვალა ფორმაცია, დაიწყო პრივატიზაცია) ვითარების გამო, მეცნიერულ ნაშრომად ვერ გაფორმდა. მაგრამ დაისახა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა სისრულეში მოყვანაც ნაშრომის ავტორმა გადაწყვიტა.

ღრმა ანალიზის და დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის საფუძველზე ლია სვანიძემ წარმოადგინა ნაშრომი „მოტივაციური სფეროს როლი და მნიშვნელობა მედიცინაში“, სადაც განხილულია ის ფსიქოლოგიური ფენომენი, რაც უზრუნველყოფს კაცობრიობის გადარჩენას მოსალოდნელი წარღვნისგან, რომელიც ამ საუკუნეს მოევლინა – ეს არის „მოტივაცია“. მან თავისი სფეროც შექმნა „მოტივაციური სფეროს“ სახით, რომელსაც არნახული ძალა აქვს და ღვთაებრივ შესაძლებლობებს ფლობს.

„მოტივაცია“ არის ფრანგული, ინგლისური და ლათინური წარმოშობის სიტყვა და ნიშნავს „მოძრაობაში მოყვანას“ – მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. ფსიქოლოგიაში ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პლანის დინამიკური პროცესია, რომელიც მართავს ადამიანის ქცევას, განსაზღვრავს მის მიმართულებას, ორგანიზებულობას, აქტიურობას და მდგომარეობას. იგი შინაგანი და გარეგანი პირობების ერთობლიობაა, რომელიც იწვევს სუბიექტის აქტივობას; გაცნობიერებული მიზეზია, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების ქმედებას, ქცევას, მოქმედებას, საქციელს.

ფუნქციური მოტივი – საქციელის, საქმიანობის, სურვილების ისეთი გაცხოველებაა, რომლის დროსაც თვით საქმიანობის პროცესს მოაქვს ემოციური კმაყოფილება და არა მხოლოდ მისაღწევ შედეგს.

მრავალგზის, ბევრი ფაქტორის და შესაძლებლობის კვლევა-შესწავლა იყო საჭირო, რომ მედიცინის სფეროს გადასარჩენად ავტორს – ლია სვანიძეს „მოტივაცია“ ჩაეთვალა და რა როლს შეასრულებს იგი მედიცინაში კარგად ჩატარებული რეფორმის შემთხვევაში (იხ. ნაშრომი).

ნებისმიერი რანგის სამედიცინო პერსონალი და საქართველოს მოსახლეობა სისტემატურად უნდა იყოს ჯანმრთელობის რეფორმის უმაღლეს დონეზე ჩატარების, მიმდინარეობის და მისი ცალკეული ეტაპების განხორციელების შედეგების საქმის კურსში. ეს ხელს შეუწყობს მედპერსონალის საქმიანობის მოტივაციური სფეროს განმტკიცებას.

ავტორს სურვილი აქვს, რეზიუმეში მოკლედ და თვალხილულად წარმოადგინოს რეფორმის არსი და იმედი აქვს, რომ საქართველოში მისი ჩატარება არ დაყოვნდება.

კაცობრიობის პრობლემათა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ჯანმრთელობის პრობლემას უკავია. ამ პრობლემის კვლევის აუცილებლობის ნათელსაყოფად საჭიროა კვლევის ობიექტის არსის, მისი ფუნქციების გაშუქება.

„მკურნალი“ სულხან-საბამ განმარტა როგორც „სულისა“ და „სხეულის“ მლხენელი“, რაშიც დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი. აღსანიშნავია, რომ ადამიანის სომატურ მდგომარეობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი ფსიქიკური მდგომარეობა და, პირიქით, ფსიქიკური მდგომარეობა უშუალოდ არის დამოკიდებული სომატურ მდგომარეობაზე.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, სოციალური გარემო, მედიცინა, სომატური მდგომარეობა, გადაწყვეტილების მიღება.

შესავალი

„მკურნალი“ სულხან-საბამ განმარტა როგორც „სულისა“ და „სხეულის“ მლხენელი“, რაშიც დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი. აღსანიშნავია, რომ ადამიანის სომატურ მდგომარეობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი ფსიქიკური მდგომარეობა და, პირიქით, ფსიქიკური მდგომარეობა უშუალოდ

არის დამოკიდებული სომატურ მდგომარეობაზე.

„სულისა“ და „სხეულის“, ანუ ფსიქიკური და სომატური პროცესების ურღვევი კავშირი დღეისათვის სრულიად აშკარაა. აქედან გამომდინარე, საზოგადოების შეფასება მისი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის საფუძველზე არის შესაძლებელი. ფსიქოლოგიურად დაბეჩავებული ერი – ავადმყოფი ერია: ნარკომანია, გულსისხლძარღვთა დაავადებები, ათასგვარი პათოლოგია, სიკვდილიანობის მაღალი დონე – ერს განადგურებით ემუქრება. საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ჯანმრთელობის პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული ექიმის, მედპერსონალის სახელთან. მათი საქმიანობის „ღერძს“ ზნეობა წარმოადგენს. იგი გულისხმობს ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის ქცევის პრინციპებს, ანუ იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ მათ დამოკიდებულებას ურთიერთშორის, ავადმყოფებთან და სხვა ადამიანებთან.

ძირითადი ნაწილი

უძველესი დროიდან ჩვენამდე მოღწეული სამედიცინო ეთიკის პირველი პროგრესული კონცეფციები ჩამოყალიბებულა ძველ ინდურ წიგნში „აიურვედა“ (ცხოვრების ცოდნა, ცხოვრების მეცნიერება), რომელშიც სიკეთისა და თანაგრძნობის პრობლემების განხილვასთან ერთად მოცემულია ექიმისათვის რჩევებიც: იყოს თანამგრძნობი, კეთილის მსურველი, მომთმენი, მშვიდი და თავშეკავებული. ექიმის მოვალეობაა მუდამ იზრუნოს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, მედიცინის მუშაკმა სიცოცხლის ფასადაც კი უნდა დაიცვას ავადმყოფის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ძველ საბერძნეთში უმაღლეს საფეხურს მიაღწია სამედიცინო ეთიკამ, რაც კარგად ჩანს ჰიპოკრატეს ფიცში. სამედიცინო ეთიკა მიმართული იყო გამომძალველების, თაღლითების, მომხვეჭლების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ავადმყოფის ხარჯზე გამდიდრებას. სამედიცინო ეთიკის კატეგორიებია: მოვალეობა, ღირსება, სინდისი, პატიოსნება, ერთგულება. ეს ცნებები ათასწლოვანია.

მედიცინის მუშაკებს უდიდესი საზოგადოებრივი მოვალეობა აკისრიათ – ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ავადმყოფთა გამოჯანმრთელება, მათ აბარიათ ადამიანის სიცოცხლე.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებაში მითითებულია, რომ ჯანმრთელობა სოციალური კეთილდღეობაა. სწორი დიაგნოზის დასმა, სათანადო მკურნალობა, ავადმყოფის პროცესის დინამიკაზე თვალყურის დევნება, ექიმისაგან და საშუალო სამეიდიცინო პერსონალისაგან დიდ პასუხისმგებლობას და მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს.

მედპერსონალის მოვალეობაა არასოდეს, არავითარი საბაბით არ მიიღოს მონაწილეობა ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საწინააღმდეგო, ან მათი სიცოცხლისათვის საშიშ საქმიანობაში. მედიცინის პერსონალისათვის უმნიშვნელოვანესი თვისებაა ჰუმანურობა და კაცთმოყვარეობა.

სოციალური გარემო, ქვეყნის იდეოლოგია, პოლიტიკური წყობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მედპერსონალის ძირითადი ფუნქციების შესრულებაში, მის სამართლიანობაში.

უფასო სამედიცინო მომსახურება ჩვენი საზოგადოებისათვის გუშინდელი დღეა. მედიცინა, იმ დროს, მისაწვდომი იყო ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის უკლებლივ. არც ის არის საიდუმლო, თუ რა სახით, რა ფორმით ხორციელდებოდა სამედიცინო მომსახურება სხვა ქვეყნებში. კაპიტალისტურ წყობაში მედიცინა, არსებითად, ბიზნესის ობიექტს წარმოადგენდა, მედიცინის მუშაკი „მეწარმის“ როლს ასრულებდა. ხშირად, ექიმის მოვალეობა კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებოდა კერძო პრაქტიკის მქონე მედპერსონალის ინტერესებთან.

დასამალი როდია და ცხოვრების პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ საერთოდ ფასიანი სამედიცინო მომსახურება, კონკურენცია მედიცინის მუშაკებს შორის უარყოფით ზეგავლენას ახდენს ექიმის ჰუმანურობაზე. სამედიცინო დახმარება მედიცინის მუშაკსა და ავადმყოფს შორის ყიდვა-გაყიდვაზე იყო დაყვანილი. ექიმი დახმარების აღმოჩენისათვის განსაზღვრულ გასამრჯელოს მოლოდინშია, ავადმყოფი კი დახმარების მიღებისათვის იძულებულია თავისი მატერიალური შესაძლებლობები გაითვალისწინოს. ასეთი მდგომარეობა ტრაგიკულია არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არამედ, რაც ყველაზე სავალალოა, იგი ამსხვრევს მედიცინის, როგორც ნებისმიერი საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი დარგის ფუნდამენტს, იწვევს სამედიცინო პერსონალის – ექიმის, საშუალო მედპერსონალის ძირითადი ფუნქციების შესრულების დეფორმაციას, თვალნათელი ხდება პროფესიული დეფექტები. ასეთ დეფექტებს ეწოდება ფსიქიკური იატროპათოლოგია, შემოკლებით ფსიქოგენია.

ფსიქოგენია წარმოადგენს ავადმყოფის წარმოშობისა და განვითარების ფსიქოგენურ მექანიზმს, ე.ი. ავადმყოფის განვითარება განპირობებულია ფსიქიკური ზემოქმედებით.

ფსიქიკური იატროგენია თავის თავში შეიცავს ექიმის მავნე ფსიქიკურ ზემოქმედებას ავადმყოფზე. მაგალითად, როდესაც ექიმი ხელს არ კიდებს ავადმყოფს, სანამ გასამრჯელოს არ მიიღებს ან თანხის გადახდის ქვითარს არ გადასცემენ.

ასეთ შემთხვევაში ექიმი მოქმედებს არა როგორც წამალი, არამედ როგორც შხამი, რაც უკიდურესად ართულებს ავადმყოფის მდგომარეობას.

სომატურ მდგომარეობას ემატება დეპრესიული ნევროზი, ჰიპოქონდრიული მდგომარეობა, დაბინდული აზრები, ინტერესი ეკარგება მკურნალობისადმი და ეკარგება საკუთარი თავის პატივისცემა.

მედიცინის დარგის მოკლე ექსკურსი ნათლად გამოხატავს ამ დარგის განუყოფელ კავშირს ადამიანის არსებობასთან და ადასტურებს საკვლევი ობიექტის კვლევის აქტუალობას.

ამ ასპექტით განვიხილეთ საქართველოში ჯანდაცვის რეფორმის მთლიანი პროცესი, მისი მსვლელობა.

რამდენიმე სიტყვით აუცილებელია თვით რეფორმის არსსა და მნიშვნელობაზე ითქვას. საერთოდ რეფორმის სრულყოფილი გატარება კარგად მომზადებული სპექტაკლის დადგმას ჰგავს, რომელიც მაყურებელთა აღფრთხოვანებას ან იმედის გაცრუებას იწვევს. სპექტაკლის წარმატებას სამი ფაქტორი განაპირობებს:

– დრამატურგია;

– რეჟისურა;

– და მსახიობი.

კარგი დრამატურგის გარეშე ვერც რეჟისორი – სპექტაკლის „კონსტრუქტორი“ და ვერც მსახიობი, რომელიც სიცოცხლეს შემეცნებით მიმზიდველობას აძლევს სპექტაკლს, ვერ შეასრულებენ თავიანთ ფუნქციებს.

როგორიც არის რეფორმის „დრამატურგი“, ისეთივეა მისი განხორციელების ბედი, ხოლო თუ რეჟისორი გონივრულად გამოიყენებს თანამედროვე მეცნიერული მენეჯმენტის იდეოლოგიას და მსოფლმხედველობას, ცხადია, „მსახიობებს“ შესაძლებლობა მიეცემათ, მაღალ დონეზე გამოავლინონ თავიანთი ტალანტი, უნარი და მაღალპროფესიულად შეასრულონ თავიანთი როლები, ასევე გამოიყენებენ გამოცდილებას, კარგი მენეჯმენტის დახმარებით.

იდეოლოგიის ცნება უნივერსალურია. მისი წყალობით ხდება ჩვენი ცხოვრების ინტელექტუალურ სივრცეში მიმოფანტული იდეების ორგანიზება. **ნებისმიერ საქმიანობას თავისი იდეოლოგია აქვს. იგი განაპირობებს ამ საქმიანობის მიმართ შეგნებული დამოკიდებულების დონეს, განსაზღვრავს შრომის მოტივაციის შინაგან დეტერმინირებას.**

რა ძალა აქვს იმ სასწაულებრივ ფსიქოლოგიურ ფენომენს, რომელსაც მოტივი ეწოდება? რა არის ერთად შეკრული, რამდენიმე მოტივი, მოტივთა სფერო, რომელიც ჩვენ ქცევას და მოქმედებას წარმართავს? სწორედ ასე, ამგვარად, და არა ისე, სხვაგვარად.

მოტივი – ფრანგული, ინგლისური, ლათინური წარმოშობის სიტყვაა, ნიშნავს „მოძრაობაში მომყავს“. მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. ფსიქოლოგიაში: ფიზიოლოგიური და ბიოსოციალური პლანის დინამიკური პროცესია, რომელიც მართავს ადამიანის ქცევას, განსაზღვრავს მის მიმართულობას, ორგანიზებულობას, აქტიურობას და მდგრა-დობას. ეს არის გარეგანი და შინაგანი პირობების ის ერთობლიობა, რომელიც იწვევს სუბიექტის აქტიურობას. გაცნობიერებული მიზეზი, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების მოქმედებებსა და საქციელს.

ფუნქციონალური მოტივი – საქმიანობის, სურვილის ისეთი გაცხოველებაა, რომლის დროსაც თვით საქმიანობის პროცესს მოაქვს ემოციური კმაყოფილება და არა მხოლოდ მისაღწევ შედეგს.

მოტივაცია – „მოძრაობაში მოყვანა“ – მოქმედების სურვილის გაცხოველებაა. ეს მოტივით განპირობებული ფსიქოფიზიოლოგიური პროცესია; ადამიანის თვისებაა, საქმის კეთებით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ეს მდგრადი მოტივების ერთობლიობაა, რომლებითაც განისაზღვრება საქმიანობის ამოცანები, შინაარსი და ხასიათი.

გადაწყვეტილების მიღებისათვის, რაც აზროვნების ურთულეს პროცესს წარმოადგენს, სათანადო მოტივი უნდა არსებობდეს. გადაწყვეტილების მიღებას მოტივი განსაზღვრავს. ადამიანის აქტივობის მიზეზს ან საფუძველს ქცევის მოტივი წარმართავს.

როდესაც ადამიანის აქტივობის მიმართ დგება საკითხი, თუ რატომ იქცევა ინდივიდი ამგვარად, უნდა გაირკვეს მისი ქცევის მოტივი. ქცევის მოტივის განხილვა ქცევის საფუძვლის ან მიზეზის გარკვევას ნიშნავს. ფსიქოფიზიკურ მოვლენათა ის ერთობლიობა, რომლითაც განპირობებულია ადამიანის კონკრეტული ქცევა, მოტივს წარმოადგენს. მრავალი შესაძლო მოქმედებიდან ერთ, გარკვეულ მოქმედებაზე შეჩერება ამა თუ იმ მოტივით ხდება.

მაშასადამე, მოტივი არის ის რეალური ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზეც ადამიანი ნებისმიერ განსაზღვრულ საქციელს ჩაიდენს. ე.ი. მოტივი არის მოქმედების, ქცევის გამომწვევი ანუ წამქეზებელი მიზეზი, რომელიც დაკავშირებულია მოთხოვნების დაკმყოფილებასთან.

ადამიანის ქცევის მოტივთა შესახებ არა მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით შეიძლება მსჯელობა, არამედ ქცევის მოტივის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით იმ ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობის ბუნების შესწავლას, რომელიც პიროვნების მიერ ქცევის აღმძვრელ სულიერ მოვლენად განიხილება და რაც მოტივში გვირგვინდება.

ადამიანი თავისი ქცევის მოქმედების, დამო-

კიდებულებების, პროცესის არჩევის და ყოველ-გვარი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში საფუძვლად და მიზეზად ასახელებს ისეთ განცდებს, როგორიცაა: სურვილი, მიზანი, წვდომა, საჭიროება, ინტერესი, სამშობლოს სიყვარული, სარგებლობის მოტანა სხვა ადამიანებისათვის, ალტრუიზმი და სხვ. ამიტომ გარკვეული ქცევის არჩევის და განხორციელების შემთხვევაში ხდება მოტივთა შერჩევა.

მოტივთა საკითხის განხილვისას პიროვნების მიერ გარკვეული ქცევის შერჩევისა და განხორციელების კანონზომიერებები უნდა ვიგულისხმოთ.

მოტივის აუცილებლობა მაშინ დგას, როდესაც ადამიანი არჩევანის, სხვადასხვა ქცევების შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდება.

მაშასადამე, ქცევის მოტივთა შესახებ არა მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით შეიძლება მსჯელობა. როგორც აღვნიშნეთ, ქცევის მოტივის განხილვისას, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტებს და ფსიქიკური მდგომარეობების შესწავლას, რომლებსაც პიროვნება თავისი ქცევის აღმძვრელ სულიერ მოვლენად განიცდის, ე.ი. შესაბამის მოტივს მიყავს იქეთკენ!

ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ჭრილში, პირველად ჩვენს სინამდვილეში, ჩვენ ჩავატარეთ სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა, სამედიცინო პერსონალის საქმიანობის მოტივაციური სფეროს უმნიშვნელოვანესი საკითხების შესწავლის მიზნით. თუმცა, ობიექტური ვითარების გამო ვერ მოხერხდა რეფორმის ჩატარება. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული კვლევა დაგვეხმარება ახალი რეფორმის ჩატარებაში, რადგან განსახილველი საკითხები ამჟამადაც ძალზე მნიშვნელოვანია და განაპირობებენ სამედიცინო სფეროს საქმიანობის წარმატებას ან წარუმატებლობას.

წინა პერიოდში ნაწილობრივ ჩატარებული რეფორმა, ჩვენი ღრმა რწმენით, ახალი რეფორმის მოწყობის საფუძვლად შეიძლება გამოვიყენოთ.

რეფორმამ უაღრესად სერიოზული პრობლემები იკვლია და მეტად საინტერესო ისტორიული ცვლილებების პერიოდს დაემთხვა; შეიცვალა საკუთრების ფორმები – სახელმწიფო საკუთრება კერძო საკუთრებით. ვფიქრობთ, მომავალი რეფორმა, რომელიც უმოკლეს დროში განხორციელდება, გამოიყენებს იმ გამოცდილებას, რომელიც კვლევამ გვიჩვენა. ბრძენს უთქვამს: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ საკითხები, რომლებიც ვიკვლიეთ, მეტად საინტერესო იყო და ყველა დროის სამედიცინო სფეროს საქმიანობის მნიშვნელოვან და არსებით საკითხებად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც ითქვა, აღნიშნული პრობლემის კვლევამ უპასუხა უმნიშვნელოვანეს კითხვას – როგორ ახერხებდნენ ექიმები, საშუალო მედპერსონალი და ამ დარგის სხვა მუშაკები ურთულეს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში თავიანთი ფუნქციების შესრულებას?

მოტივის შესწავლა ქცევის საფუძვლის ან მიზეზის, სამედიცინო მისიის განხორციელებას ნიშნავს. მოტივი არის ის რეალური ფსიქოლოგიური საფუძველი, რომლის ნიადაგზეც ადამიანი ნებისმიერ გააზრებულ საქციელს ჩაიდენს. იგი არის მოქმედების, ქცევის წამქეზებელი მიზეზი. მაშასადამე, ადამიანის მოტივაციური სფერო არის აქტუალობის წყარო, რამაც განაპირობა აღნიშნული პრობლემის ამჟამად წინ წამოწევისა და ახალი რეფორმის ჩატარების აუცილებლობა.

დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია, რომ სუბიექტისათვის ობიექტურ ღირებულებას აქტუალურ ღირებულებად მოტივი აქცევს: იგი ამ მოქმედებას, რომელიც სუბიექტისათვის ამჟამად არაფერს მიმზიდველს არ შეიცავს, ფსიქოლოგიურად ისეთ მოქმედებად გარდაქმნის, რომელიც მისთვის აქტუალური ღირებულების მატარებლად იქცევა. მოტივი ადამიანის ქცევას პიროვნების ძირითად მოთხოვნილებათა სისტემაში რთავს.[1]

ჩვენს მიერ 2005 წელს დაწყებულმა გამოკვლევამ მოიცვა მაღალი რანგის პროფესიონალი მედპერსონალი, რომლის უმეტესობასაც თავისი სპეციალობით თხუთმეტ წელზე მეტი მუშაობის სტაჟი ჰქონდა. გათვალისწინებული იყო რესპონდენტთა სქესი, ასაკი, ეროვნება, განათლება, სპეციალობა, პროფესია, მუშაობის სტაჟი და სხვ.

რესპონდენტები იყვნენ შემდეგი კატეგორიის მედპერსონალი: ექიმები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ავადმყოფებს (56,3%), საშუალო მედპერსონალი, რომელიც აგრეთვე უშუალოდ ავადმყოფს ემსახურებოდა (8,4%), სამკურნალო და დიაგნოსტიკური კაბინეტის ექიმები (6,3%), სხვა სამსახურის ექიმები (6,3%). უმეტესობას უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული (87,5%), ხოლო გამოკითხულთა 12,5%-ს – სამედიცინო განათლება. გამოკითხულთა 53,1% იყო ქალები, 46,9% – მამაკაცები.

ყველაზე კარგად ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია შემდეგი სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდებით: ინტერვიუ, ანკეტირება, ინტერვიუ-ანკეტირება (ნაჯერი მეთოდი) და დაკვირვება, რომელთა პროფესიული ცოდნა აუცილებელია მრავალფეროვანი და ხარისხიანი პრობლემების შესაკრებად და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. კვლევის დაწყებამდე მომზადდა სრულყოფილი პროგრამა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ქვეყანაში ღრმა სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია. მყარად ჩამოყალიბებულის ნგრევამ

[1] დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბ., 1998, გვ. 210.

და ახალი სტრუქტურების წარმოშობამ საკმაოდ ძლიერი სოციალური დაძაბულობა შექმნა მედიცინის დარგში. შრომისა და ცხოვრების პირობებში ადამიანთა ინტერესების შეცვლამ ხელი შეუწყო ამ დაძაბულობის გაღრმავებას. ჩვენს თვალწინ მოულოდნელად აღიმართა სახეშეცვლილი მოთხოვნილებები, ინტერესები, ადამიანურ ღირებულებათა მთელი სისტემა შეიცვალა.

სოციალური დაძაბულობის წარმოშობის ხელშემწყობი ფაქტორები ძირითადად სამ ჯგუფად იყოფა: **ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-მმართველობით და სოციალურ-ფსიქოლოგიურ** ჯგუფებად. კვლევის მოწყობამდე, შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ აღნიშნული ფაქტორები საგანგებოდ შედგენილი ანკეტის მეშვეობით, რომელშიც მოცემული იყო ჩვენთვის საჭირო საკითხები (მოსალოდნელი კვლევისათვის გამოვიყენებთ ასევე ჩვენს გამოცდილებას).

1. **ეკონომიკური ფაქტორები.** ამ ბლოკში შემავალ პრობლემათა შორის გამოვლინდა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: სპეციალისტების დამოკიდებულება მატერიალური უზრუნველყოფის, მატერიალური სტიმულირების სისტემისადმი. რა აღელვებს, რა აწუხებს სპეციალისტებს თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებით; ფასდება თუ არა სამედიცინო დარგის მუშაკთა შრომა სათანადოდ? (სპეციალისტების საშუალო თვიური ანაზღაურება); ჯანმრთელობის დაცვის **რეფორმის** პროცესში გაიზარდა თუ, პირიქით, დაქვეითდა სამედიცინო პერსონალის შრომითი საქმიანობისადმი შემოქმედებითი ინტერესი? რა როლი ითამაშა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციამ დაწესებულებათა მუშაობაში? და სხვა კვლევის შედეგები წარმოდგენილია სკალა 1-ში (ამ ინფორმაციას გამოვიყენებთ ამ უახლოეს დროში ჩატარებულ რეფორმაში.

კითხვაზე: „კმაყოფილი ხართ თუ არა შრომის მატერიალური უზრუნველყოფით, რესპონდენტთა 96,9% უარყოფით პასუხს იძლევა, მხოლოდ 3,1%-ია კმაყოფილი ამ პოზიციით. აღნიშნულ პასუხებს ადასტურებს შემდეგი – ჯერ ერთი, გამოკითხულთა 50%-ს ხელფასი ჰქონდათ 30 ლარი, 21,9%-ს – 50 ლარი, მხოლოდ 3,1%-ს ჰქონდა 150 ლარი, 6,3%-ს – 100 ლარი, მხოლოდ 28,2%-ს ჰქონდა შედარებით მაღალი ხელფასი.

მეორეც, აღნიშნულ ხელფასსაც არ იღებდნენ დროულად, რაც დაძაბულობას წარმოშობდა.

მოუგვარებელი იყო მატერიალური სტიმულირების საკითხიც. კითხვაზე – „არსებობს თუ არა თქვენს სამსახურში მატერიალური სტიმულირება?“ – რესპონდენტთა 75%-მა უარყოფითი პასუხი გასცა.

აღნიშნული მდგომარეობა, ბუნებრივია, იწვევდა შრომითი საქმიანობისადმი ინტერესის დაქვეითებას და გულის ტკივილს.

შეკითხვაზე – „გაიზარდა თუ, პირიქით, დაქვეითდა შრომისადმი ინტერესი?“ – 43% პასუხობდა „დაქვეითდა“, 40%-ს უჭირდა პასუხის გაცემა. კვლევის მოწყობის დროს ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ჯანდაცვის დაწესებულებების პრივატიზაციის პრობლემა.

სახელმწიფოდან საკუთრების უფლების გადაცემა კერძო სუბიექტზე უამრავ სირთულეებს ქმნიდა, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ეკონომიკურად და სოციალურად, ვინაიდან იგი უაღრესად რთული და ფაქიზი პროცესი აღმოჩნდა, 23,0%-მა თავი აარიდა პასუხს და ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. რატომ? – ეს ცალკე ფუნდამენტურ გამოკითხვას საჭიროებს.

2. **ორგანიზაციულ-მმართველობითი ფუნქციები.** იმ ფაქტორებიდან, რომლებიც აღნიშნული ბლოკის საქმიანობას განაპირობებდა, შემდეგი საკითხები იქნა შესწავლილი, რაც მომდევნო კვლევისას იქნება მნიშვნელოვანი, რეფორმის გატარების პროცესშიც გამოგვადგება: სამსახურში ფუნქციების და თანამდებობრივი მოვალეობების განაწილების; კვალიფიკაციის ამაღლების და დახელოვნების; სამედიცინო საქმიანობის ახალი ფორმების და მეთოდების ათვისების საკითხებიც და სხვა.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ფუნქციების და თანამდებობრივი მოვალეობების სწორი და ობიექტური განაწილება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ორგანიზაციულ-მმართველობითი ფუნქციების შესრულების პროცესში. იგი ხელს

სკალა 1. უმნიშნელოვანესი ეკონომიკური პრობლემები ჯანდაცვის სფეროში

	კითხვები	დადებითი		უარყოფითი		ნეიტრალური	
		რაოდ.	პროც.	რაოდ.	პროც.	რაოდ.	პროც.
1	კმაყოფილი ხართ თუ არა შრომის ანაზღაურების პირობებით?	2	3,3	62	96,9	-	-
2	არსებობს თუ არა თქვენთან მატერიალური სტიმულირების სისტემა?	12	18,8	48	75,0	4	6,3
3	გაიზარდა თუ დაქვეითდა შრომითი საქმიანობისადმი შემოქმედებითი ინტერესი?	10	15,6	28	43,8	26,	40,6
4	როგორ ფიქრობთ, პრივატიზაციამ გააუმჯობესა თქვენი დაწესებულების მუშაობა?	0	0	20	77,0	6	23,0

უწყობს ხელმძღვანელებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთობების ოპტიმიზაციას, ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას, პროფესიულ დახელოვნებას.

საზოგადოების განვითარების ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი მედიცინის დარგში, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების პრობლემებს. ცნობილმა გერმანელმა მედიკოსმა მ. ბალინტმა ხატოვნად ჩამოაყალიბა თავისი აზრი: „ექიმი უკვე თავისთავად გვევლინება სამკურნალო საშუალებად, ოღონდ აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული მისი პიროვნების „დოზირება“ და „უკუჩვენება“, არც ერთი სპეციალისტი არ საჭიროებს დახელოვნებას და მაღალ კვალიფიკაციას ისე, როგორც ექიმი“.

მეოცე საუკუნეში მედიცინამ არნახულ წარმატებას მიაღწია. ქართველ მედიკოსებს, რომლებსაც ისტორიულად ყოველთვის უდიდესი წვლილი შეჰქონდათ მსოფლიო მედიცინის აღორძინებაში, ბუნებრივია, დღესაც არ აქვთ უფლება ჩამორჩნენ სიახლეებს. ამ მხრივ სასიამოვნო იყო მიღებული კვლევის შედეგები.

შეკითხვაზე, როგორ მიგაჩნიათ, თქვენს სამსახურში გაუმჯობესდა თუ არა კვალიფიკაციის ამაღლების და დახელოვნების საკითხი, რესპონდენტთა 62,5% მიიჩნევს, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია, რაც მოითხოვს საგანგებო ყურადღებას!

რეფორმის განხორციელების ყველა საკითხი, საბოლოო ანგარიშით სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების სისტემაში აკუმულირდება და გავლენას ახდენს რეფორმის მთელ მიმდინარეობაზე – დაწყებიდან საბოლოო შედეგებამდე. სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ნაწილობრივ ჩატარდა იმ წლებში, შესწავლილი იყო არსებითად შემდეგი საკითხები: პიროვნებათაშორისი ურთიერთობები (ვერტიკალზე და ჰორიზონტალზე), სპეციალობისადმი დამოკიდებულება, კადრების დენადობა და სხვ.

კვლევის შედეგები აისახა სკალა 2-ში.

როგორც სკალა 2-შია მოცემული, სამედიცინო დაწესებულებებში რესპონდენტთა დიდ უმეტესობას - 96,9%-ს მოსწონს თავისი სპეციალობა; კარგი ურთიერთობა სუფევს მათ სამუშაო დაწესებულებაში (75,0%), კარგი დამოკიდბეულება არის ამხანაგებთან (84,4%), ხელმძღვანელებთან (71,9%). შეკითხვაზე: „აპირებთ თუ არა ამ ცოტა ხანში სამსახურის გამოცვლას“ – პასუხი იყო უარყოფითი, მხოლოდ 6,3%-ს უჭირდა პასუხის გაცემა.

მკვლევრებს სიამოვნებას გვრიდა ასეთ რესპონდენტებთან მუშაობა.

მთელ სამყაროში უდიდესი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ცვლილებები ხდება, რაც იწვევს ფსიქო-სოციალურ დაავადებათა სახეცვლილებებს; ახალი დაავადებების წარმოშობას, ადრე სრულიად უცნობი დაავადებების აღმოჩენას, ავადმყოფობების ადაპტირებას სამკურნალო საშუალებებისა და პრეპარატებისადმი და ა.შ.

ამ დროისათვის დღის წესრიგში იდგა ახალი, მედიცინაში ჯერ არარსებული მკურნალობის ფორმების და მეთოდების ათვისების საკითხები, რაც ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის მნიშვნელოვანი არსებითი პრობლემაა.

2021 წლისათვის, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი სამყაროსთვის, გადასაწყვეტ პრობლემათა შორის ცენტრალური ადგილი დაიკავა სიტუაციამ, რომელსაც თუ არ ეშველა, კაცობრიობას უდიდეს ზიანს მიაყენებს.

ეჭვგარეშეა, ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ უკვე ჩატარებული დიდი შრომა აღნიშნული პრობლემის სიღრმისეულ კვლევაში თავის სიტყვას იტყვის და წინამძღვრის როლს შეასრულებს უმოკლეს დროში მოწყობილ სამედიცინო რეფორმაში.

3. სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები

ამ ფაქტორთა როლი და მნიშვნელობა განუზომლად დიდია კაცობრიობის არსებობის და განვითარების ყველა დროში და ყველა ეტაპზე – წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ამიტომაც წლების წინ, როდესაც მეოცე საუკუნე დასრულდა და ამჟამადაც და მომავალშიც ახალი საუკუნის ჟამგრძელ ეპოქაში სამაგალითოდ იქნება

სკალა 2. პიროვნებათაშორისი ურთიერთობები, სპეციალობისადმი დამოკიდებულებები, კადრების დენადობის პრობლემები

	კითხვები	1	2	3	4	5	6
		დიახ		არა			
1	მოგწონთ თუ არა თქვენი სპეციალობა?	62 რაოდ.	96,9 პროც.	2 რაოდ	3,1 პროც.	0 რაოდ	0 პროც.
		კარგი		მისაღებია		მიჭირს პასუხის გაცემა	
2	როგორი ურთიერთობა სუფევს თქვენს დაწესებულებაში?	48	75,0	2	3,1	2	3,1
		კარგი		მისაღებია		მიჭირს პასუხის გაცემა	
3	როგორი დამოკიდებულება არის ხელმძღვანელთან?	46	71,9	2	3,1	2	3,1
		კარგი		მისაღებია		მიჭირს პასუხის გაცემა	
4	როგორი დამოკიდებულება არის ამხანაგებთან?	54	84,4	2	3,1	0	0
		არა, არ ვაპირებ		შესაძლოა		მიჭირს პასუხის გაცემა	
5	აპირებთ თუ არა, ამ ცოტა ხანში სამსახურის გამოცვლას?	56	87,5	4	6,3	4	6,3

წინ წამოწეული რეფორმა მედიცინაში, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის საკაცობრიო მეცნიერების დარგში.

რადგან კვლევის ობიექტიც და სუბიექტიც ადამიანია, რომელიც ფლობს როგორც სომატიკას, ისე ფსიქიკას – როგორც სხეულს, ისე, სრულყოფილად, სულიერ მოვლენებს, რეფორმა მედიცინაში მოიცავს როგორც სომატიკას, ასევე ფსიქიკურ მოვლენებს თავისი მრავალფეროვნებით, მათ ერთიანობაში, რომელიმე მათგანის გარეშე არ არსებობს კვლევის ობიექტის შესწავლა.

სოციალური გარემო გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში: როგორიცაა ეს გარემო, ისეთივეა ადამიანთა ქცევა და მოქმედება.

სოციალური გარემოს სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია პიროვნებათა შორის ურთიერთობებს. სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის დროს აღნიშნული საკითხი საგანგებოდ იყო შესწავლილი.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა – 75,0% (იხ. სკალა 2) თვლიდა, რომ მათ დაწესებულებაში საერთოდ კარგი ურთიერთობა სუფევდა, რამაც დაამეგობრა მთელი კოლექტივი.

ჯანმრთელობის სფეროში დიაგნოსტიკისათვის საჭირო ფაქტორები, რომლებიც კვლევამ მოიცვა, იმ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კომპლექსის გამოვლენას ითვალისწინებდა, რომელთა მოწესრიგებაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო დარგის ნორმალური ფუნქციონირების თვალსაზრისით.

მოწყობილი კვლევის მრავალმხრივი შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის საქმიანობა იმ დიფუზურ სიტუაციაში, მართლაც, გმირობის ტოლფასი იყო.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც გაუსაძლის ვითარებაში, სრულ გაურკვევლობაში (როდესაც ჩვენთვისსრულიადუცნობფორმაციაშიმოგვიწევდა ცხოვრება), როდესაც შრომითი საქმიანობისადმი შემოქმედებითი ინტერესის გაღვიძება არცთუ ისე ადვილი იქნებოდა, პროფესიონალთა დიდ უმეტესობას – 96,9% მოსწონდა თავისი სპეციალობა, ხოლო 71,9% პასუხობდა: „მე მიყვარს ჩემი პროფესია“, უცნაურად ჩანდა!

ყოველივე ზემოთქმულმა მკვლევარი მეცნიერი ფსიქოლოგი მიიყვანა ცხოვრებისეულ უმნიშვნელოვანეს შეკითხვაზე მოსალოდნელი პასუხის აუცილებლობამდე, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

1) რა იყო ის უმძიმესი სენი, რომელმაც ლამის ჩაკლა მედოკლსთა შემოქმედებითი ინტერესი, მედიკოსის მისია, ყოფილიყო სულით ხორცამდე ნამდვილი მკურნალი? და 2) რა არის ის სასწაული, უძლიერესი ძალა, რომელიც მედიკოსების და სამედიცინო დარგის ყველა მუშაკის საქმიანობას წამითაც კი არ წყვეტს, უდიდესი სირთულეების მიუხედავად?

სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებმა შესაძლებლობა მომცა წარმომეჩინა ის მიზეზები (გამოუთქმელი შრომის შედეგად), რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ და მომავალშიც ითამაშებენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და ქმნიან მედიცინის სრულყოფის მოტივაციურ სფეროს (იხ. სკალა 3).

სკალა 3. მედიცინის მუშაკთა მოტივაციური სფერო

	მოტივების დასახელება	რესპონდენტთა პასუხები	
		რაოდ.	პროც.
1	მე მიყვარს ჩემი პროფესია	46	71,9
2	მე მომწონს ჩემი სპეციალობა	62	96,9
3	მე ბედნიერებას მანიჭებს, როდესაც ავადმყოფს ვუვლი	22	34,4
4	მე მიმაჩნია, რომ ეს სპეციალობა ჩემი მოწოდებაა	22	34,4
5	ძალიან მიჭირს ეკონომიურად, მაგრამ მე სხვანაირად ვერ ვიცხოვრებ	30	46ნ,9
6	იმედი მაქვს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება	30	46,9

იყოს სხვადასხვა დროში და სხვადასხვა სიტუაციაში, მაგრამ კვლევის შედეგად გამოვლენილი „ფორმულა“ უმნიშვნელვნეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რომლებიც იმ დროისათვის იყო ჯანდაცვის სისტემაში, მედიცინის მუშაკები არ აპირებდნენ სამსახურის შეცვლას. კითხვაზე: „აპირებთ თუ არა მოკლე დროში სამსახურის გამოცვლას?“, გამოკითხულთა 87,5%-მა უპასუხა „არა“, 6,3%-მა არ იცოდა, როგორ მოიქცეოდა შემდეგში.

გამოკვლევაში საინტერესოდ გამოიყურება ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ეკონომიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები გარკვეულ მატრიცებს ქმნიან და ურთიერთქმედებების ნათელ სურათს წარმოგვიდგენენ.

მატრიცა 1. შრომითი საქმიანობისადმი შემოქმედებითი ინტერესის კავშირი მატერიალურ უზრუნველყოფასთან

კმაყოფილი ხართ თუ არა მატერიალური უზრუნველყოფით?			როგორ ფიქრობთ, გაიზარდა თუ პირიქით დაქვეითდა შრომითი საქმიანობისადმი შემოქმედებითი ინტერესი?					
			დიახ, გაიზარდა		დაქვეითდა		მიჭირს პასუხის გაცემა	
	რაოდ.	პროც.	რაოდ.	პროც.	რაოდ.	პროც.	რაოდ.	პროც.
დიახ	2	3,1	2	3,1	-	-	-	-
არა	62	96,9	8	12,5	28	43,8	26,	40,6
მიჭირს პასუხის გაცემა	-	-	-	-	-	-	-	-

მატრიცა 2. რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ მედიცინის მუშაკების საქმიანობას ორგანიზაციაში

	კითხვები	1 რაოდ	2 პროც	3 რაოდ	4 პროც	5 რაოდ	6 პროც
1	როგორი ურთიერთობა სუფევს თქვენს სამუშაო ადგილზე?						
	კარგი	48	75,0				
	მისაღებია			14	26,3		
	მიჭირს პასუხის გაცემა					2	3,1
2	მოგწონთ თუ არა თქვენი სპეციალობა?						
	დიახ, ძალიან	62	96,9				
	მისაღებია			12	18,8		
	მიჭირს პასუხის გაცემა					2	3,1
3	საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა მკურნალობის ახალი მეთოდების და ფორმების ათვისება						
	დაუყოვნებლივ	50	87,5				
	აუცილებლად			48	75,0		
	მიჭირს პასუხის გაცემა					12	20,5
4	ხომ არ აპირებთ მოკლე დროში სამსახურის გამოცვლა?						
	არავითარ შემთხვევაში	50	87,5				
	ჯერჯერობით არ ვიცი			4	6,3		
	მიჭირს პასუხის გაცემა					4	6,3

წარმოდგენილ მატრიცა 2-ში აისახა ის ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს შრომის მატერიალურ უზრუნველყოფასა და საქმიანობის შემოქმედებითი ინტერესის გაზრდა-დაქვეითებას შორის.

ის რესპონდენტები, რომლებიც აღიარებდნენ, რომ შრომითი საქმიანობისადმი ინტერესი აუცილებლად უნდა გაიზარდოს, სამსახურიდან წასვლას არ აპირებდნენ. ასევე, ის მედიცინის მუშაკები, რომლებსაც მოსწონთ თავიანთი სპეციალობა (96,9%), აღნიშნავენ, რომ მათ თავიანთ საქმიანობაში დიდ დახმარებას გაუწევთ ახალი მკურნალობის ფორმებისა და მეთოდების ათვისება (78,1%).

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ღია შეკითხვებიც – „გთხოვთ, ბრძანოთ, რა არის თქვენი ოცნება?“, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა თავიანთი სურვილები და განწყობები გამოეხატათ: „მე მინდა ჩემი სამშობლო ვიხილო დამშვიდებული და ბედნიერი“, „იყოს მშვიდობა, პროგრესი და ურთიერთპატივისცემა“. განსაკუთრებით ბევრმა მსგავსი პასუხი გაგვცა, რამაც პრობლემის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნა: „მედიცინის მუშაკებს, ექიმებსა და ვისაც ევალება ურთიერთობა ავადმყოფებთან და მათ პატრონებთან, არავითარი ეკონომიკური, მატერიალური ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეთ მათთან, ამაზე უნდა მუშაობდნენ სადაზღვევო კომპანიები“, „ერის სიჯანსაღე არის ყველა ექიმის ოცნება“.

ტექსტში რესპონდენტთა პასუხები უცვლელად მოგვყავს, რადგან პასუხთა მრავალფეროვნება შესაძლებლობას არ იძლეოდა დაგვეჯგუფებინა ან ჩარჩოში ჩაგვესვა, მათი ოცნებები ალტრუისტული გახლდათ.

ბევრი ინფორმაციის მოპოვების საშუალებით, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, იმ ურთულეს პერიოდში, როდესაც ახალი ფორმაცია მოაბიჯებდა საქართველოში, შემდეგი დასკვნა გაგვეკეთებინა: დიდი იმედი გვაქვს ეხლა – უცხო დაავადებათა გამოჩენის პირობებში, იმ კვლევის შედეგებით ვისარგებლოთ და ადეკვატურად გამოვიყენოთ რეფორმის შედეგები, რომლებმაც იმ პერიოდში ობიექტური მიზეზებით შეწყვიტა ფუნქციონირება.

როდესაც სამყაროს სრულიად უცნობი, მაგრამ მეტად საშიში დაავადება თავს დაატყდა, ორთაბრძოლაში დაემუქრა და დიდი ზიანიც მიაყენა თავისი უკიდურესი განადგურების მუქარით, სადაც ჯანმრთელ და ავადმყოფ ადამიანთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გაიმართა, გამოსავალი უნდა ვეძებოთ. დღის წესრიგში წამოიწია სამედიცინო სფეროში რეფორმის ჩატარების აუცილებლობამ, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო დაგეგმილი, დიდი მუშაობაც ჩატარდა, მაგრამ

ობიექტური მიზეზის გამო – ახალი ფორმაცია შემოვიდა, სასწრაფოდ დაიწყო პრივატიზაცია, „სამედიცინო დარგის რეფორმა“ შეწყდა.

ამჟამად ერთმნიშვნელოვნად დადგა სამედიცინო რეფორმის მოწყობის საკითხი, გამოცდილების გამოყენება თანამედროვე სიტუაციაში და ახალი საშუალებების შეჯერებით.

დრომ გაიარა, მაგრამ საკვლევი პრობლემის აქტუალობას არ დაუკარგავს თავისი მისია – გადარჩეს ეს ლამაზი სამყარო და დაუღალავი შრომის შედეგად შევძლოთ და დავამტკიცოთ უდიდესი სიახლე, რომელიც აღმოვაჩინე (როგორც ზემოთ აღვნიშნე...), სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი, რომელსაც მოტივაცია უწოდეს, მან თავისი სფეროც ჩამოაყალიბა და ადამიანში ჩატია, „მოტივაციური სფეროს“ სახით. მას არნახული ძალა გააჩნია – ეს ძალა გადაარჩენს მედიცინას. იგი პიროვნებას მოევლინა ღვთაებრივი შესაძლებლობებით. მინდა მოკლედ გავიმეორო მისი ცნება: მოტივი არის ფრანგული, ინგლისური და ლათინური ენებიდან წარმოშობილი და ნიშნავს – „მოძრაობაში მოყვანას“, მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. ფსიქოლოგიაში: ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პლანის დინამიკური პროცესია, რომელიც მართავს ადამიანის ქცევას, განსაზღვრავს მის მიმართულობას, ორგანიზებულობას, აქტიურობას და მდგომარეობას. ეს არის გარეგანი და შინაგანი პირობების ის ერთობლიობა, რომელიც იწვევს სუბიექტის აქტივობას; გაცნობიერებული მიზეზი, რომელიც საფუძვლად უდევს პიროვნების ქმედებებს და ქცევას, საქციელს; ფუნქციური მოტივი – საქმიანობის, სურვილის ისეთი გაცხოველებაა, რომლის დროსაც თვით საქმიანობის პროცესს მოაქვს ემოციური კმაყოფილება და არა მხოლოდ მისაღწევ შედეგს. სწორედ მოტივაციური სფეროა ის უდიდესი სიახლე, რომლის როლი და მნიშვნელობა სიცოცხლის ტოლფასია მედიცინაში.

ძალიან დიდი შრომაა საჭირო, რომ კაცობრიობამ გამოსავალი იპოვოს. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს სამედიცინო დარგის მუშაკთა **მოტივაცია,** გაიზარდოს მოტივაციური სფერო. მხოლოდ დაუღალავი გონებრივი და ფიზიკური შრომა ამ დარგში მოღვაწე ადამიანებში მოიტანს იმ შესაძლებლობებს, რომელიც დაიცავს სამყაროს უხილავი დაუნდომელი თავდასხმისაგან.

ნებისმიერი რანგის სამედიცინიო პერსონალი და საქართველოს მოსახლეობა სისტემატურად უნდა იყოს ჯანმრთელობის რეფორმის, უმაღლეს დონეზე ჩატარების, მიმდინარეობის და მისი ცალკეული ეტაპების განხორციელების შედეგების საქმის კურსში. ეს ხელს შეუწყობს მედპერსონალის საქმიანობის მოტივაციური სფეროს გაფართოებას და განმტკიცებას.

ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსება შუქს მოჰფენს ბევრ პრობლემას და სარგებელს მოუტანს სამედიცინო რეფორმის მაღალ დონეზე განხორციელებას. ავტორმა საკითხის სიღრმისეული შესწავლის შედეგად აღმოაჩინა, თუ როგორ შეიქმნა მოტივაციური სფერო და რა როლს შეასრულებს იგი მედიცინაში.

ავტორმა ძირფესვიანად იკვლია და შეისწავლა დაწვრილებით ის ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ მოტივაციურ სფეროს და უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებენ მედიცინაში კარგად ორგანიზებული რეფორმის ჩატარების შემთხვევაში (იხ. ნაშრომი). ვიმედოვნებთ, რეფორმის ჩატარება საქართველოში დიდი ხნით არ დაყოვნდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე. შრომები, ტომი IX, თბ., 1986, გვ. 144-171 და სხვ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.
2. შ. ნადირაშვილი. განწყობის ანტროპული თეორია. თბ., 2017.
3. Т. Шибутани. Социальная психология. М., 1969.
4. Д. Майерс. Социальная психология. Н., 2007.
5. ლ. სვანიძე. ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში. შემეცნებითი სწავლება. თბ., 2016, გვ. 209-275 და სხვ.
6. დიმიტრი ნადირაშვილი, თეა გოგოტიშვილი. გეშტალტთერაპია. თეორია და პრაქტიკა. თბ., 2018.

The role and importance of motivation sphere in medicine

Lia Svanidze, Professor
Doctor of Psychological Sciences

Summary

In order to study the healthcare sphere a reform had to be carried out in the beginning of our century, which was not transformed into scientific work due to objective reasons (change of formation, start of privatization). However, very important problems were set out, and the work author decided to put them into effect.

On the basis of in-depth analysis and study of big volume of important issues, Lia Svanidze represented the work "The role and importance of motivation sphere in medicine", which deals with "motivation" – the psychological phenomenon that can provide the mankind salvage from the expected catastrophe that poped up this century. She created her own area in the form of "motivation sphere", which has unprecedented power and fabulous opportunities.

"Motivation" is the word of French, English and Latin origin and means "to put in motion". It is a notion of multiple meanings. In the psychology, it represents the dynamic process with physiological and psychological aspects, which manages human behavior, determines its direction, orderliness, activity and state. It is the unity of internal and external conditions causing the activity of subject; a conscious reason being the foundation of the person's action, behavior, act, conduct.

Functional motive is such vitalization of conduct, activity, and desires, during which not only the result to be achieved, but even the activity process brings emotional satisfaction.

It has taken the research and study of numerous factors and many opportunities to the effect that the author – Lia Svanidze had considered "motivation" as the savior of the medicine sphere, and to understand what a role it will act in case of well-implemented reform in medicine (see the work).

The medical personnel of any rank and Georgian population has to be systematically well-informed about carrying-out of healthcare reform at highest level and its course, as well as about results of implementation of its separate stages. This will promote strengthening of motivation sphere of medical personnel activity.

Author has a desire to represent briefly and illustratively the essence of the reform in this abstract and she hopes that its implementation in Georgia will not be hindered.

საერთაშორისო ურთიერთობები

INTERNATIONAL RELATIONS

ევროკავშირის და ახლო აღმოსავლეთი: საგარეო პოლიტიკა, ძალთა ბალანსი და თანამედროვე საფრთხეები

მადლენა კოწოწაშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ **.ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების გლობალური სტრატეგია მეტად** ამბიციური სახელწოდებით „გაზიარებული ხედვა, ერთობლივი მოქმედება - ძლიერი ევროპა", 2016 წლის 28 ივნისს, ევროპულმა საბჭომ ერთწლიანი მუშაობის შემდგომ დაამტკიცა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკასაც ეხება, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რათა გაერთიანებულ ევროპას მართლაც ქმედითი როლი ეთამაშა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებში. ცხადი გახდა, რომ ევროკავშირს ჯერ კიდევ არ აქვს თანმიმდევრული, დეტალური და რეალისტური სტრატეგია ამ რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი ევროკავშირის ქტიური პოლიტიკის მიღმა დარჩა.

ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური კონფიგურაციის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ რეგიონი შედგება თანაბარი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის მრავალი ცენტრისგან, რომელთა იდეოლოგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობები იმდენად ღრმაა, რომ მათთვის უკიდურესადრთულიაერთმანეთთანთანაარსებობა უკონფლიქტო რეალობაში. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, რეგიონი მუდმივი დაძაბულობის რეჟიმშია, მუდმივი ბალანსის ძიებაში ომისა და მშვიდობის ზღვარზე; ხოლო მეორეს მხრივ, ის გლობალურ აქტორთა ყურადღების ცენტრშია, რომლებიც მნიშვნელოვან დიპლომატიურ და სამხედრო ძალისხმევას ხარჯავენ რეგიონში, რათა სასურველი სარგებელი მიიღონ მსოფლიოს ენერგეტიკული ცენტრიდან.

ამდენად დროა დასავლეთმა და პირველ რიგში ევროკავშირმა გააქტიუროს თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და უფრო ქმედითი ნაბიჯები განახორციელოს რეგიონის ქვეყნებში განვითარებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისა და მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის. მეტი ჩართულობა, მეტი კომუნიკაცია და მეტი ინვესტიციაა საჭირო, რათა არ მოხდეს პოლიტიკური ისლამის გაძლიერება და რადიკალიზაცია, ასევე საჭიროა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება არაბული ქვეყნების მხარდაჭერის უზრუნველყოფით. ევროკავშირს უზარმაზარი გამოცდილება აქვს კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესების მედიაციასა და მხარდაჭერაში, ასევე დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობაში და მიუხედავად პანდემიური კრიზისის და და საიმიგრაციო კრიზისით გამოწვეული სირთულეებისა, არ უნდა დაიშუროს მცდელობები, რათა მისი უშუალო მეზობელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონი კვლავ არ გაეხვიოს ომის ქარ-ცეცხლში.

საკვანძო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთი, ევროკავშირი, საგარეო პოლიტიკა, ძალთა ბალანსი, კონფლიქტი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ. **ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების გლობალური სტრატეგია მეტად** ამბიციური სახელწოდებით „გაზიარებული ხედვა, ერთობლივი მოქმედება - ძლიერი ევროპა", 2016 წლის 28 ივნისს, ევროპულმა საბჭომ ერთწლიანი მუშაობის შემდგომ დაამტკიცა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკასაც ეხება, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რათა გაერთიანებულ ევროპას მართლაც ქმედითი როლი ეთამაშა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესებში. ცხადი გახდა, რომ ევროკავშირს ჯერ კიდევ არ აქვს თანმიმდევრული, დეტალური და რეალისტური სტრატეგია ამ რეგიონში საკუთარი

გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. უკრაინასა და სირიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს, ჯერ მიგრაციის კრიზისი დაერთო, შემდეგ კი, დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის მოულოდნელი შედეგები. ამ უკანასკნელმა, მთლიანად გადაფარა სტრატეგიული დოკუმენტის გამოქვეყნების ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა დოკუმენტის ისედაც მოკრძალებული გეგმების განხორციელების შესაძლებლობა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ევროკავშირის გლობალური სტრატეგია მაინც რჩება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმნიშვლელოვანეს დოკუმენტად, რომელიც სულ მცირე მომდევნო ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავს საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის მოქმედების სტრატეგიულ მიმართულებებს. ევროკავშირის გლობალურ სტრატეგიაში ნათქვამია, რომ "ხმელთაშუაზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკის სამხრეთ-საჰარის ნაწილი ჯერ კიდევ არასტაბილურია, რომელთა შედეგი, სავარაუდოდ, მხოლოდ ათწლეულების განმავლობაში გამოჩნდება". ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ევროკავშირი განზე გადგა, აღიარა, რომ ის არ აპირებს მნიშვნელოვნად შეცვალოს სიტუაცია რეგიონში[1] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირი მზადაა რეაგირება მოახდინოს, მაგრამ არა იმოქმედოს. ამის მთავარი მიზეზი რეგიონში ძირითად მოთამაშეთა განსხვავებული ინტერესებია. ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: შეესაბამება თუ არა ეს პოზიცია ევროკავშირის გლობალურ ამბიციებს.

თუ გავიხსენებთ 2018 წელს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში არ ემყარებოდა რაიმე თანმიმდევრულ და ეფექტურ სტრატეგიას. უფრო მეტიც, 1993 წლიდან ევროკავშირს არ მიუღია პროგრამული ხასიათის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელზეც იქნებოდა დამყარებული ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მისი დიპლომატიური და ეკონომიკური ნაბიჯები. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეგიონი ევროკავშირის ქტიური პოლიტიკის მიღმა დარჩა. მართალია საერთო პოლიტიკის შემუშავება რთული იქნება გერმანიის, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს შორის არსებული განსხვავების გათვალისწინებით, მით უფრო Brexit- ის შემდეგ. თუმცა მთავარი პრობლემა, როდესაც საქმე ახლო აღმოსავლეთს ეხება, არის ის, რომ ევროკავშირი უბრალოდ არ არის აქტიური.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთი მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ ორმხრივი ურთიერთობები უდევს კვლავ საფუძვლად მისი დიპლომატიური ქმედებების უმეტესობას. შედეგად, ევროკავშირის პოლიტიკა რეგიონის მიმართ განისაზღვრება მისი ცალკეული წევრი ქვეყნების მიერ და არა ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ.

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის თანახმად, ევროკავშირის პოლიტიკა «ჩრდილოეთ აფრიკისა და შუა აღმოსავლეთის მიმართ მიზნად ისახავს თითოეული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების წახალისებას, მისი სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით და რეგიონის ქვეყნებს შორის დასავლური ღირებულებების პოპულარიზაციას და დემოკრატიზაციის მხარედაჭერას. ამ გზით ევროპელები ცდილობენ გაუმკლავდნენ ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა მიგრაცია, ბირთვული შეთანხმება ირანთან, სირიასა და იემენში მიმდინარე კონფლიქტები, პალესტინის საკითხი, ევროკავშირთან და თურქეთთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები და ყურის თანამშრომლობის საბჭოს (GCC) კრიზისი. არაბული გაზაფხულის შემდგომ დიდი პაუზა გაჩნდა პრე-ლიბერალური დემოკრატიიდან. ფაქტობრივად მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის ნულიდან დაიწყო, თუმცა ევროკავშირიც და რეგიონის ქვეყნებიც კარგად აცნობიერებენ, რომ ეს იოლი და უმტკივნეულო არ იქნება და რომ ამ პროცესს ხანგრძლივი და სერიოზული გამოცდა ელის.

რეგიონში საერთო პარტნიორული პოლიტიკა ემყარება თანამშრომლობის დოკუმენტებს ან ინიციატივებს, როგორიცაა ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP), ხმელთაშუა ზღვის კავშირი (UfM), EU-GCC შეთანხმება (1988) და არაბული ქვეყნების ლიგასთან, ასევე ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან პირდაპირი თანამშრომლობა. შედეგად, ახლო აღმოსავლეთში ევროპული პოლიტიკა ფრაგმენტულია და ხშირად არათანმიმდევრული. არცერთი დოკუმენტი არ ეხება ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყანას, როგორც ვთქვათ, ცენტრალური აზიის (2007), ცენტრალური ამერიკის (2007), არქტიკის (2016), აზიის (2014) და აფრიკის (2007) დაკავშირებით მიღებული ევროკავშირის სტრატეგიების შესაბამისად.

ბირთვული შეთანხმება ირანთან მხოლოდ ერთი მაგალითია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული გამოწვევებისა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელებმა ღიად გააკრიტიკეს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მისი გადაწყვეტილების გამო აღედგინა სანქციები ირანის წინააღმდეგ, ევროკავშირმა ცოტა რამ გააკეთა ამ ნაბიჯის საწინააღმდეგოდ და ირანში მსხვილი ევროპელი ინვესტორების დასაცავად. თუ უსაფრთხოების გლობალური სტრატეგიას ვნახავთ, ევროკავშირი აპირებს შემდგომი თანამშრომლობის განვითარებას როგორც GCC- ს წევრ ქვეყნებთან, ასევე ირანთან(2).

ამასთან, სტრატეგიის ამ ნარატივმა შეიძლება მალე დაკარგოს თავისი აქტუალობა, ვინაიდან აშშ-ს ამჟამინდელი ადმინისტრაცია თვალს არ დახუჭავს ირანთან ევროპული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობაზე.

ევროკავშირის დიპლომატიის მსგავსი მარცხი ჩანს სირიის შემთხვევაშიც. ევროპის გავლენა ამ ომგამოვლილ ქვეყანაზე ძალზე შეზღუდულია. ჩინეთის მთავრობასაც კი უფრო მეტი აქვს სათქმელი სირიაში და უფრო ძლიერი დიპლომატიური ბერკეტები აქვს ასადის რეჟიმზე, ვიდრე ევროკავშირს. რუსეთმა წარმატებით მოახდინა ევროკავშირის მარგინალური როლის განეიტრალება სირიაში და შედეგად ბრიუსელი დღეს მნიშვნელოვან ფიგურანტს არ წარმოადგენს ქვეყანაში. მას თითქმის არ ჰყავს პოლიტიკური მოკავშირეები სირიის საკითხში. თუ ამერიკული ჯარები სირიას დატოვებენ, როგორც პრეზიდენტმა ტრამპმა თქვა, მაშინ ევროპის პოზიციები კიდევ უფრო შესუსტდება.

ეჭვგარეშეა, რომ ევროკავშირს ბევრად უფრო აქტიური და მნიშვნელოვანი როლი შეეძლო შეესრულებინა ახლო აღმოსავლეთში. ევროკავშირი უფრო აქტიური უნდა იყოს ირანთან ბირთვული შეთანხმების საკითხში, ასევე სირიის, იემენისა და სხვა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული კონფლიქტების შემთხვევაშიც. და თუ ეს ასე არ არის, როგორც ჩანს, ამ დროისთვის მთავარი პრობლემა სტრატეგიული ხედვის არარსებობაა. ამის გათვალისწინებით, ევროკავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა და ძირითადი წევრი ქვეყნების ლიდერებმა ასეთ დოკუმენტზე მუშაობა უნდა დაიწყონ და რაც შეიძლება დროულად. გლობალურმა პანდემიამაც გარკვეულწილად ნეგატიური გავლენა იქნია ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებაზე, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

გეოპოლიტიკურ ძალთა ბალანსი ახლო აღმოსავლეთში

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებს, ეგვიპტეს, ისრაელს, იორდანიას, ირანს, ერაყს, კვიპროსს, ლიბანს, პალესტინის მიწებს, სირიასა და თურქეთს. სწორედ ეს ტერიტორია წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე დაძაბულ ზონას, სადაც კონფლიქტები უკვე 70 წელია ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა. თუ XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე ბალკანეთი სამართლიანად ითვლებოდა ევროპის «დენთის კასრად», რადგან აქ წამოჭრილ კონფლიქტებს შეეძლოთ წამყვანი სახელმწიფოების ჩართვა მსოფლიო ომში, ახლა უკვე ახლო აღმოსავლეთი ასრულებს ანალოგიურ როლს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, როგორც თავის დროზე, ბალკანეთის სახელმწიფოები, მიუხედავად იმისა, რომ ფლობდნენ დიდ ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებს, ფაქტობრივად, არ შედიან იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო წესრიგს. ამავდროულად, ახლო აღმოსავლეთში არსებული სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების რეგიონალური არქიტექტურა ქმნის უნიკალურ პოლიტიკას, რომელშიც ერთდროულად კლასიკური ევროპული ძალთა ბალანსის ელემენტები, ბიპოლარული დაპირისპირება და შუასაუკუნეების რელიგიური მსოფლიო წესრიგის პოვნაა შესაძლებელი.

ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე პოლიტიკური კონფიგურაციის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ რეგიონი შედგება თანაბარი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის მრავალი ცენტრისგან, რომელთა იდეოლოგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობები იმდენად ღრმაა, რომ მათთვის უკიდურესად რთულია ერთმანეთთან თანაარსებობა უკონფლიქტო რეალობაში. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ, რეგიონი მუდმივი დაძაბულობის რეჟიმშია, მუდმივი ბალანსის ძიებაში ომისა და მშვიდობის ზღვარზე; ხოლო მეორეს მხრივ, ის გლობალურ აქტორთა ყურადღების ცენტრშია, რომლებიც მნიშვნელოვან დიპლომატიურ და სამხედრო ძალისხმევას ხარჯავენ რეგიონში, რათა სასურველი სარგებელი მიიღონ მსოფლიოს ენერგეტიკული ცენტრიდან. შესაბამისად მდგომარეობა - «ყველა ყველას წინააღმდეგ» - ახლო აღმოსავლეთში მუდმივად შენარჩუნებულია.

ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავლენიანი ძალა წარმოდგენილია არაბეთის ნახევარკუნძულის სუნიტური სახელმწიფოების ბლოკით, რომლის სათავეშიც რეგიონის ყველაზე მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო სახელმწიფო საუდის არაბეთია. სწორედ ის განსაზღვრავს პოლიტიკას მისი სატელიტებით. არაბული პოლიტიკის მიზანი მარტივია: შეინარჩუნოს და გააძლიეროს ნავთობის უდიდესი ექსპორტიორის სტატუსი, გავლენა მოახდინოს მსოფლიო ფასებზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია საუდის არაბეთისთვის, როგორც მუსულმანური სალოცავების მფლობელმა (მექა და მედინა), უზრუნველყოს გახდეს მსოფლიო ისლამის სულიერი ცენტრი [3]. ამ კუთხით რიადისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ძლიერი რეგიონული პოზიციის დაცვა, რადგან კარგად ესმის, რომ ერთდროულად რამდენიმე ძალა მოქმედებს მის წინააღმდეგ, რომელთა მიზანია დაანგრიოს მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური დომინირება.

საუდის არაბეთის მთავარი მეტოქე ახლო აღმოსავლეთში არის ირანი. მისი პოლიტიკური და

ეკონომიკური შესაძლებლობები გარკვეულწილად შემცირდა ძირითადად მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების რეჟიმის გამო. ირანი, მიუხედავად იმისა, რომ საუდის არაბეთი 2016 წლის მონაცემებით, მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იყო თავდაცვის სფეროში გაწეული ხარჯების სიდიდის მიხედვით [4], ჯობნის კონკურენტს სამხედრო პოტენციალით. გარდა ამისა, გაძლიერდა ირანის პოზიციები არაბულ მონარქიებთან დაპირისპირებაში 1978-1979 წლების ისლამური რევოლუციის შემდეგ, როდესაც ჩართული იყო საკუთარი პოლიტიკური ბლოკის ფორმირებაში შიიტური იდეოლოგიის მიმდევარი ხალხების მონაწილეობით [5].

საუდის არაბეთსა და ირანს შორის სუნიტ-შიიტების ყოვლისმომცველი დაპირისპირების შედეგად ახლო აღმოსავლეთის რუქაზე რამდენიმე ცხელი წერტილის გაჩნდა - ერაყში, იემენში, ლიბანსა და სირიაში - სადაც, შესაბამისად, თითოეულმა მხარი დაუჭირა პოლიტიკურად მასთან ახლოს მყოფ ძალებს. დიდი ხნის განმავლობაში ირანი, რომელიც იძულებული იყო ერთდროულად გამკლავებოდა ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ზეწოლას, მარცხდებოდა მეტოქეზე. 2015 წელს საუდის არაბეთმა შექმნა ისლამური სამხედრო კოალიცია, 34 სუნიტური სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფრონტი შიიტური ძალების წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში [6]. ამასთან, 2015 წლიდან ასეთი სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში რადიკალური შემობრუნება მოხდა ირანის სასარგებლოდ.

ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობს «არაბული გაზაფხულის» შემდეგ წარმოქმნილ პოლიტიკურ რეალობაში, რომლის გავლენას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებებზე ზრდის ნახშირწყალბადების ფასების შემცირების ეკონომიკური ეფექტი. ჟურნალ The Economist-ის ექსპერტების აზრით, სამოქალაქო არეულობით და ქაოსით ისარგებლა ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსის («KUDS») სპეციალურმა ფრთამ და შეძლო პრო-ირანული ძალების ხელისუფლებაში მოყვანა ახლო აღმოსავლეთის ოთხ დიდ დედაქალაქში - ბაღდადში, ბეირუთში, დამასკოსა და სანაში, რამაც, ფაქტობრივად, საუდის არაბეთს ალყა შემოარტყა შიიტური ქვეყნების სარტყლით [7]. ირანის წარმატება რეგიონალურ პოლიტიკაში განპირობებული იყო 2015 წელს მიღებული ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის მიღებით, რომლის თანახმადაც უნდა დაიწყოს ირანთან სანქციების ეტაპობრივი გადადება, რასაც საუდის არაბეთი, მისი მოკავშირეების (და პირველ რიგში ისრაელის) დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მოლაპარაკებების პროცესის დაწყებიდანვე.

ამას გარდა, 2017-2018 წწ. საუდის არაბეთსა და ყატარს შორის მნიშვნელოვნად გამწვავდა კონფლიქტი, ყატარი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ცდილობდა არაბეთის ნახევარკუნძულზე ერ-რიადის ხელმძღვანელობის პოზიციების შერყევას. ყატარის მიერ ნავთობისა და გაზის რესურსების ოსტატურად მართვამ ქვეყანა გააძლიერა. ყატარმა ააშენა ძლიერი ეკონომიკა, რომლის საშუალო წლიური მშპ 150 მილიარდი დოლარი იყო, მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა შეერთებულ შტატებთან, რომელმაც უდიდესი სამხედრო ბაზა ააშენა მის ტერიტორიაზე; ასევე ირანთან, რომელთანაც ყატარი სიმდიდრეს ინაწილებს გაზის საბადოდან ჩრდილოეთ / სამხრეთ ფარში; ასევე კარგი ურთიერთობები აქვს ისრაელსა და თურქეთთან და მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტიც, რომ დაიწყო ალ ჯაზირამ თავისი მაუწყებლობა, რომელიც ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ისლამური ამბების მაუწყებლობას დღეისათვის. ყატარის პოლიტიკის ეფექტურობა ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა არაბული გაზაფხულის დროს, როდესაც ირანის მსგავსად, მან შეძლო წარმატებით შეეჯიბრებოდა საუდელებს რიგ სახელმწიფოებში (ლიბია, ეგვიპტე, იემენი, სირია) პოლიტიკური გავლენის მოპოვებთვის. ამან საბოლოოდ დაარწმუნა ერ რიადი მეზობლის საშიშროებაში. 2017 წელს, საუდის არაბეთმა შეერთებულ შტატებს მხარდაჭერა გამოუცხადა, დაარწმუნა მისი სატელიტი არაბული ქვეყნები ყატარისთვის დიპლომატიური ბლოკადა გამოეცხადებინათ, რამაც მხოლოდ გააძლიერა ორმხრივი ანტაგონიზმი და აიძულა ყატარი ირანთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობისკენ [8].

ამასთან, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ სუნიტ-შიიტური დაპირისპირებით ირანში, საუდის არაბეთსა და ყატარში, რომლებიც მას შეუერთდნენ. თურქეთი კიდევ ერთი გავლენიანი მოთამაშეა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში. 2000-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. სამართლიანობისა და განვითარების პარტიისა და ქვეყანაში პრეზიდენტ ერდოღანის ხელში ძალაუფლების ეტაპობრივი კონცენტრაციისთვის, თურქეთმა დაიწყო რეგიონალური და საერთაშორისო როლის გაზრდის კურსი აიღო. რა თქმა უნდა, ამან გაართულა თურქეთის ურთიერთობები მეზობლებთან. ერთი მხრივ, ეს ეკონომიკურ სფეროში ირანთან მჭიდრო კეთილმეზობლურ ურთიერთობას უკავშირდება, მეორეს მხრივ, რეგიონში პოლიტიკური ამბიციების გამო, თურქეთი მისი მოწინააღმდეგეა და ცდილობს შეზღუდოს ირანის გავლენა [9]. ამ მიზეზების გამო, ანკარამ უნდა განავითაროს პოზიტიური

ურთიერთობები სპარსეთის ყურის მონარქიებთან და, განსაკუთრებით, საუდის არაბეთთან, თუმცა ისლამურ სამყაროში ამბიციების გამო და, მაგალითად, სირიის კონფლიქტში საკუთარი ხაზის გატარების მიზნით, რომელიც მიზნად ისახავს თურქომანების მხარდაჭერას, სუნიტებთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები ჩნდება. გარდა ამისა, თურქეთი არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აქტიური წევრი, რაც ასევე იწვევს რიგ შედეგებს რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობაში.

სერიოზულ ყურადღებას იქცევს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი, რომელიც დაახლოებით 70 წელია მიმდინარეობს, რომელშიც გლობალურ აქტორთა ინტერესები იკვეთება ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში. რიგი ექსპერტების აზრით, კონფლიქტმა უკვე დიდი ხანია ამოწურა თავი და ნელ-ნელა ქრება, მაგრამ ზოგჯერ აქტიურ ფაზაში გადადის. თუმცა ეს მიდგომაც არ შეიძლება მართებულად ჩავთვალოთ. წლების განმავლობაში კონფლიქტის მასშტაბი მნიშვნელოვნად შეიცვალა და არაბ-ისრაელის კონფლიქტიდან ტრანსფორმირდა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტად. ისრაელის მთავარი მოწინააღმდეგე, არაბული ქვეყნების ლიგა დღეისათვის თითქმის ქმედუუნაროა, რადგან მის შიგნით დიდია დაპირისპირება და წინააღმდეგობები წევრებს შორის. მისი მთავარი კონკურენტი იყო ირანი (რომელსაც თავდაპირველად არანაირი კავშირი არ ჰქონდა კონფლიქტთან) და მის მიერ მხარდაჭერილი ლიბანური ორგანიზაცია „ჰეზბოლა“.

ისრაელი, თავის მხრივ, აქტიურად არის ჩართული ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში, აქვს საკუთარი ინტერესები ენერგორესურსების ბაზრებში, ახდენს მილსადენების ლობირებას, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ნახშირწყალბადებს ევროპულ ბაზრებს აწვდის, აყალიბებს სტრატეგიულ პარტნიორობას თურქეთთან, პოულობს საერთო ენას საუდის არაბეთთან და, რა თქმა უნდა , ინარჩუნებს რთულ დიალოგს თავის სტრატეგიულ პარტნიორთან, შეერთებულ შტატებთან.

დაბოლოს, ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე რეგიონალური პოლიტიკის წარმოდგენა, არის შეერთებული შტატები. მსოფლიო რუკაზე ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული პოზიციისა და ნავთობისა და იარაღის ბიზნესისადმი ინტერესების გამო, შეერთებულმა შტატები ყოველთვის გამოხატავდა აქტგიურ ინტერესს ამ რეგიონის მიმართ, რაც განსაკუთრებით მწვავედ გამოჩნდა ცივი ომის დროს. გლობალურმა ბიპოლარულმა დაპირისპირებამ სსრკ-სთან უკარნახა საკუთარი პოლიტიკური ლოგიკა, რომელიც ითვალისწინებდა ერთგული რეჟიმების მხარდაჭერას და პროკომუნისტურ რეჟიმებთან ბრძოლას. ამასთან, ცივი ომის დასრულების შემდეგაც ვაშინგტონის ქცევის სქემა ოდნავ შეიცვალა. იმის ნაცვლად, რომ უზარმაზარი რესურსები გამოიყენოს და გლობალური გავლენა მოახდინოს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და სტაბილური მსოფლიო წესრიგის უზრუნველსაყოფად, ვაშინგტონს მაინც ურჩევნია დაიჭიროს კონფლიქტის მონაწილე რომელიმე მხარის პოზიცია, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს.

ამ პოლიტიკის მთავარი შედეგია ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობების გაღრმავება ძალაუფლების მთავარ ცენტრებს შორის და მთლიანად რეგიონის კონფლიქტური პოტენციალის გაძლიერება. ამ თვალსაზრისით ყველაზე ნათელი მაგალითია სირიის კონფლიქტი. ვაშინგტონის მკაცრი დამოკიდებულების გამო პრეზიდენტ ბ. ასადის რეჟიმის მიმართ, რომელიც ირანის მოკავშირე და საუდის არაბეთის მოწინააღმდეგეა, სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც არაბული გაზაფხულის ფონზე დაიწყო, შვიდი სისხლიანი წელი გაგრძელდა. სირიის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი განადგურებული და უკაცრიელი გახდა, ლტოლვილთა დიდმა ნაწილმა დატოვა საკუთარი სახლი და გაემგზავრა ევროპაში, მშვიდობიანი მოსახლეობის ადგილი დაიკავეს სხვადასხვა რადიკალურმა ჯგუფებმა, რომლებიც მზად იყვნენ ქიმიური იარაღიც კი გამოიყენებინათ დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რათა კიდევ ერთხელ მიეყენებინათ ჩრდილი ბაშარ ალ ასადის რეჟიმისთვის. ამას მთელი მსოფლიო აკვირდებოდა 2017 წლის აპრილში ხანა შეიხუნში.

ბ. ობამას სუსტი და არათანმიმდევრული კურსის შემდეგ, ბევრს, მათ შორის შეერთებულ შტატებშიც, განსაკუთრებით სამხედროებს შორის, სჯეროდა, რომ პრეზიდენტი დ. ტრამპი უფრო აქტიურ პოზიციას დაიკავებდა ახლო აღმოსავლეთში და თუ არ გადაწყვეტდა პრობლემას მინიმუმ მნიშვნელოვანი პროგრეს მაინც მიაღწევდა რეგიონული პრობლემების დარეგულირებაში. თუმცა ტრამპის პრეზიდენტობის პირველმა წელმა აჩვენა, რომ ასეთი მოლოდინები ნაადრევი იყო. პირიქით, ტრამპმა ყველაზე რადიკალი რესპუბლიკელების ფართო მხარდაჭერით, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საბოტაჟი გაეწია წინა ადმინისტრაციის ერთადერთი მნიშვნელოვანი მიღწევისთვის - რომელიც ბირთვული შეთანხმებაა ირანთან. ამან მხოლოდ გააძლიერა რეგიონალური კონფლიქტი ირანსა და საუდის არაბეთს შორის [10]. ტრამპის მიერ ერრიადის მხარდაჭერამ და მისმა დაპირებამ საუდისტებისათვის 100 მილიარდი დოლარის იარაღის მიწოდების თაობაზე ყატარ-საუდის კონფლიქტის დროს, არა

მხოლოდ საფრთხეში ჩააგდო არაბეთის მთელი ნახევარკუნძულის უსაფრთხოება, არამედ კვლავ შეუწყო ხელი ყატარისა და ირანის კონსოლიდაციას და შედეგად სუნიტურ- შიიტური დაპირისპირების აღზევებას [11].

ამასთან, ამისგან გაკვეთილები არ ისწავლეს. არსებული მონაცემებით, აშშ – ს ახლო აღმოსავლეთის სტრატეგია დ. ტრამპის დროს ამ ლოგიკის შესაბამისად შეიქმნება [12]. ვარაუდობენ, რომ დ. ტრამპი შეეცდება დისტანციურად შეინარჩუნოს რეგიონული პრობლემები აშშ – ს ხარჯებისა და პასუხისმგებლობის შემცირებით, ხოლო აშკარაა, რომ იგი გაზრდის კლასიკური ამერიკელი პარტნიორების - ისრაელისა და საუდის არაბეთის მხარდაჭერას. ვაშინგტონის მთავარი მოწინააღმდეგეარისარასაერთაშორისოტერორიზმი ან «ისლამური სახელმწიფო» (ტერორისტული დაჯგუფება აკრძალულია რუსეთში), არამედ ირანი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანის დასაკავებლად, შეერთებული შტატები აპირებს დიალოგის დამყარებას თურქეთთან და შეეცდება ანტიირანული პოლიტიკის გატარებას ევროპის ქვეყნებზე, რომლებმაც, ამავე დროს, არაერთხელ განაცხადეს თავიანთი ინტერესი ირანთან ურთიერთობების განვითარებაში და დიალოგის გაგრძელების მზადყოფნა. მასთან ერთად, რაც შექმნის დამატებით ამერიკელ-ევროპულ წინააღმდეგობებს შუა აღმოსავლეთში.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი შეიძლება მალე გახდეს დიდი მეტოქეობის ნაწილი სხვა დიდი აქტორებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა დიდი ხანია დაიწყეს ბრძოლა ამ დომინირებისთვის ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთი შედარებით ახალი მოთამაშეარეგიონში. ადრეპეკინიორიენტირებული იყო მხოლოდ ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებზე, დღეს იგი სხვაგვარად უყურებს რეგიონს და ცდილობს გაზარდოს მისი პოლიტიკური და სამხედრო მონაწილეობა. აშკარაა, რომ რუსეთსა და ჩინეთს სურს შეამცირონ აშშ-ს გავლენა რეგიონში, მაგრამ გაუგებარია, როგორ იმოქმედებს ამ ორი დიდი სახელმწიფოს ინტერვენციის მოდელი მათ ორმხრივ ურთიერთობებზე.

ისტორიულად, ახლო აღმოსავლეთს (ან დასავლეთ აზიას, როგორც ამას ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უწოდებს) ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკისთვის. დღეს კი ჩინეთი მეტეორივით გამოჩნდა რეგიონში, რადგან გლობალურმა ძალებმა შეიცვალა სტრატეგიული პოზიცია და მისი ამბიციები გაფართოვდა დასავლეთისკენ.

ჩინეთს აქვს ძლიერი სტრატეგიული ინტერესები ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ რეგიონში მდებარეობს ჩინეთის ნავთობის პირველი ათი წყაროდან ექვსი, რაც მისი ეკონომიკური ზრდის კრიტიკული რესურსია. ნავთობის დიდი მადის გამო, შიდა წარმოებით უკმაყოფილო, ჩინეთს ახლა უფრო მეტი ნავთობის იმპორტი აქვს, ვიდრე შეერთებულ შტატებს; ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ კონკრეტულ მონაცემებს: შეერთებულმა შტატებმა საუდის არაბეთიდან შემოიტანა 1,03 მილიარდი დოლარი, ჩინეთში კი 9,34 მილიარდი დოლარი [13] ამრიგად, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, პეკინის მთავარი ინტერესი რეგიონში იყო საიმედო და თავისუფალი ნაკადის უზრუნველყოფა. რეგიონში ელექტროენერგიის პროექტირებისას ჩინეთის შესაძლებლობის შეზღუდვა, ზღუდავს ჩინეთის შანსებს, როდესაც ის ახლო აღმოსავლეთში გლობალური კონკურენტების წინაშე აღმოჩნდება, როგორიცაა შეერთებული შტატები და რუსეთი. ამრიგად, ჩინეთი შემოიფარგლა მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, პრეზიდენტ სი ძინპინის პოლიტიკის ფარგლებში, ჩინეთმა თანდათან შეცვალა მისი მისწრაფებები. მან დაამყარა სამხედრო პარტნიორობა არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, რათა ერთობლივად განავითარონ მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიები. გარდა ამისა, რადგან ჩინეთი ახორციელებს ინვესტიციებსრეგიონში,მრავალისახელმწიფომიმართავს მას მაშინ, როდესაც იბლოკება იარაღის გაყიდვა აშშ-დან ან ევროპიდან. ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის იარაღის მზარდმა გავრცელებამ შეიძლება პეკინი მოსკოვთან დაპირისპირებამდე მიიყვანოს ახლო აღმოსავლეთში, რადგან რუსეთი დომინირებს იარაღით ვაჭრობაში.

დასკვნა

ამასობაში, ახლო აღმოსავლეთში ვითარება საშიშია არა მხოლოდ კონკრეტული გამოვლინებებით, რეგიონული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების სახით, არამედ ზოგადად მსოფლიო პოლიტიკისთვის და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის. შეზღუდული მიზნების მისაღწევად და რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ძალზე ადვილია ინტერესთა საკმაოდ მყიფე ბალანსის დარღვევა და შეუქცევადი დესტრუქციული პროცესების დაწყება რეგიონში. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ენერგორესურსებით მდიდარ ამ რეგიონშია თავმოყრილი გლობალურ აქტორთა ინტერესები და ეს ინტერესები ხშირ შემთხვევაში ასიმეტრიულია და დიდი ალბათობა გლობალური კონფლიქტისა. ,,ისლამური სახელმწიფო“ არ არის სირიის კონფლიქტის განსაკუთრებული შემთხ-

ვევა, მაგრამ ბევრად უფრო ფართო ფენომენია. ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობის შენარჩუნება ახლო აღმოსავლეთში, რასაც ევროკავშირის უმოქმედობა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე პოლიტიკა უწყობს ხელს, უკიდურესად ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური ისლამის აყვავებისთვის, რომელსაც სხვა ცივილიზაციებისა და კულტურების მიმართ თავისი უკომპრომისო და ღიად მტრული დამოკიდებულება აქვს. სწორედ ახლო აღმოსავლეთშია ტერორისტული ორგანიზაციების დიდი ნაწილი თვმოყრილი. ეს საშიშროებას ქმნის უპირველესად რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნებისთვის და რა თქმა უნდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი გამოწვევაა ევროკავშირისთვის.

ამდენად დროა დასავლეთმა და პირველ რიგში ევროკავშირმა გააქტიუროს თავისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და უფრო ქმედითი ნაბიჯები განახორციელოს რეგიონის ქვეყნებში განვითარებისა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისა და მშვიდობისა და თანამშრომლობისთვის. მეტი ჩართულობა, მეტი კომუნიკაცია და მეტი ინვესტიციაა საჭირო, რათა არ მოხდეს პოლიტიკური ისლამის გაძლიერება და რადიკალიზაცია, ასევე საჭიროა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება არაბული ქვეყნების მხარდაჭერის უზრუნველყოფით. ევროკავშირს უზარმაზარი გამოცდილება აქვს კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესების მედიაციასა და მხარდაჭერაში, ასევე დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობაში და მიუხედავად პანდემიური კრიზისის და და საიმიგრაციო კრიზისით გამოწვეული სირთულეებისა, არ უნდა დაიშუროს მცდელობები, რათა მისი უშუალო მეზობელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონი კვლავ არ გაეხვიოს ომის ქარ-ცეცხლში.

პასიური როლი, რომელიც დასავლეთმა, ჯერ აშშ-მ და შემდეგ ევროკავშირმაც აირჩიეს ბოლო 10 წლეულის მანძილზე ნეგატიურად აისახა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და ისეთი გიგანტების დომინირებას შეუწყო ხელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში როგორიც არიან ჩინეთი და რუსეთი. ამდენად დროა დასავლეთმა შეიმუშაოს ახალი რეალისტური სტრატეგია ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის მიმართ და დააბალანსოს აგრესიული აღმოსავლეთ აქტორების თამამი რეაქციული პოლიტიკა, რათა თავიდან იქნას აცილებული ახალი გლობალური კონფლიქტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European Union: A Global Strategy on Foreign and Security Policy for the European Union, June 2016, available at https://eeas.europa.eu/top_stories/pdf/eugs_review_web.pdf
2. თ. ზურაბიშვილი ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გლობალური სტრატეგია და საქართველო. 2016, http://gip.ge/wp-content/uploads/2016/09/analizi-zurabashvili.pdf
3. Косач Г.Г. Саудовская внешняя политика: «Арабская весна» и время региональных потрясений // Ближний Восток и современность. 2015. № 49. С. 55-57.
4. Tian N., Fleurant A., Wezeman P.D., Wezeman S.T. Trends In World Military Expenditure, 2016. Stockholm: SIPRI, 2017. P. 2.
5. Alabbasi M. Iran continues to boast of its regional reach // Middle East Eye. 10.03.2015 URL: http://www.middleeasteye.net/news/iran-continues-boast-regional-reach-944755422
6. Aydin M. The Iran question // Hurriyet Daily News. 28.01.2016 URL: http://www.hurriyetdailynews.com/opinion/mustafa-aydin/the-iran-question-94428
7. The long arm. Iran is doing better than its rivals at expanding its influence in an unstable region // The Economist. 22.01.2015 URL: https://www.economist.com/news/middle-east-and-africa/21640382-iran-doing-better-its-rivals-expanding-its-influence-unstable
8. Fisher M. How the Saudi-Qatar Rivalry, Now Combusting, Reshaped the Middle East // The New York Times. 13.06.2017 URL: https://www.nytimes.com/2017/06/13/world/middleeast/how-the-saudi-qatar-rivalry-now-combusting-reshaped-the-middle-east.html
9. Свистунова И.А. Турция и Иран в новых геополитических реалиях // Ближний Восток и современность. 2016. № 50. С. 148.
10. Stevenson J. Washington's wayward Middle East policy // International Institute for Strategic Studies. 07.12.2017 URL: https://www.iiss.org/en/iiss%20voices/blogsections/iiss-voices-2017-adeb/december-aeac/washingtons-wayward-middle-east-policy-f9c1
11. German foreign minister accuses US of stirring up Middle East conflict // Deutch Welle. 06.06.2017 URL: http://www.dw.com/en/german-foreign-minister-accuses-us-of-stirring-up-middle-east-conflict/a-39138183
12. Jeffrey J.F. U.S. Policy and Strategy in the Middle East // The Washington Institute for Near East Policy.

14.12.2017 URL: http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/u.s.-policy-and-strategy-in-the-middle-east
13. Danny Citrinowicz, Roie Yellinek . Middle East - a zone of conflict between China and Russia? The Middle East Journal 2021
14. https://www.mei.edu/publications/middle-east-conflict-zone-between-china-and-russia

EU and the Middle East: Foreign Policy, Balance of Power and Modern Threats

Madlena kotsotsashvili, Associate Professor of Georgian Technical University

Summary

Although in the EU's Global Foreign and Security Strategy, entitled «Shared Vision, Joint Action - A Strong Europe», on 28 June 2016, after a year of work, the European Council approved Middle East policy, it was not enough for to bring about a united Europe to Played a really effective role in the ongoing processes in the Middle East region. It has become clear that the EU does not yet have a coherent, detailed and realistic strategy for achieving its geopolitical goals in the region.

The main reason for the modern political configuration of the Middle East is that the region consists of many centers of equal political and economic potential, whose ideological and political contradictions are so deep that it is extremely difficult for them to coexist with each other in a conflict-free reality. Therefore, on the one hand, the region is in a state of constant tension, in search of a permanent balance on the brink of war and peace; On the other hand, it is the focus of global actors who are making significant diplomatic and military efforts in the region to reap the desired benefits from the world energy center.

It is time for the West, and first and foremost the European Union, to intensify its policies in the Middle East region and take more effective steps to promote development and democratic processes in the countries of the region, and for peace and cooperation. More engagement, more communication and more investment are needed to prevent the strengthening and radicalization of political Islam, as well as the need to intensify the fight against terrorism with the support of Arab countries. The EU's vast experience in mediating and supporting the peaceful settlement of conflicts, as well as in promoting Western values and democratization, and despite the pandemic crisis and the difficulties caused by the immigration crisis,

The passive role chosen by the West, first by the US and then by the EU over the last 10 years, has had a negative impact on international security and contributed to the dominance of giants in the Middle East such as China and Russia. Thus it is time for the West to develop a new realistic strategy towards Middle East policy and to balance the bold reactionary policies of aggressive Eastern actors in order to avoid a new global conflict.

Keywords: Middle East, EU, Foreign Policy, Balance of Power, Conflict, Middle East Countries

პრეზიდენტის ინსტიტუტი საფრანგეთში

ავთანდილ კალმახელიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია საფრანგეთის ამჟამინდელი საპრეზიდენტო ინსტიტუტის კომპეტენცია და პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი საფრანგეთის რესპუბლიკაში და საფრანგეთის მოქმედი კანონმდებლობა პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ, სადაც პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციური ბერკეტები, რომლებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს პირველი პირის თანამდებობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. რაც აშკარად შეიმჩნევა, როდესაც პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მთავრობისა და პალატების სახელით, როდესაც ისინი არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. საფრანგეთში პრეზიდენტი მხოლოდ მთავრობის ფორმირების პროცესშია, მაგრამ ეროვნული ასამბლეის წინაშე ანგარიშვალდებულება აიძულებს სახელმწიფოს მეთაურს დანიშნოს მთავრობა, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, პრეზიდენტი, მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლება

შესავალი

სახელმწიფოს არსებობის სოციალური, ისე როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და იურიდიული მხარე, ერთ მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც მარტივი და ძირითადი ელემენტებისაგან შედგება. ხოლო იმ დამოუკიდებლობის დასახასიათებლად რომელიც ამ ორ ჯაჭვურ მოვლენათა შორის არსებობს, საჭიროა ზემოაღნიშნული ელემენტების ანალიზი და იმ კანონზომიერებების შესწავლა, რომელიც უკვე ხსენებული ელემენტების დამოუკიდებლობას განსაზღვრავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მოგვეხდინა შედარებითი ანალიზი, პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით საფრანგეთის მაგალითზე.

ძირითადი ნაწილი

სამართლებრივ სახელმწიფოში, საჯარო ხელისუფლების დანაწილება განიხილება, როგორც კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთი საფუძველი. სწორედ ეს აზრია გატარებული საფრანგეთის კონსტიტუციაში. მმართველობის ფორმის მიხედვით ის, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფო მმართველობის სიტემაში ხელისუფლების აღსრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც თავისი საერთო კომპეტენციით მოწოდებულია მეთაურობდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მთლიან სისტემას და უზრუნველყოფდეს მათ შეთანხმებულ საქმიანობას. სწორედ ამ მხრივ იმსახურებს მკვლევართა დიდ ინტერესს საფრანგეთში არსებული, შერეული ტიპის მმართველობა.

დროთა განმავლობაში კლასიკური საპრეზიდენტო პრაქტიკის ანალიზის ფონზე, მმართველობის ეს ფორმა არასაკმარისი აღმოჩნდა სახელმწიფოსათვის მთელი რიგი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების დასაძლევად. გამომდინარე აქედან მართებული გახდა აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში ერთდროულად ყოფილიყო მნიშვნელოვანი პოლიტიურ-სამართლებრივი ბერკეტებით აღჭურვილი ძლიერი პრეზიდენტი და ქმედითი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც რეალური ფუნქციები ექნებოდა მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე (როგორც ეს საპარლამენტო რესპუბლიკაშია). ამასთან აუცილებელი იყო ხელისუფლების მოქნილობის უზრუნველმყოფელი გარანტიებიც, კერძოდ, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთკონტროლის ისეთი ეფექტური მაქანიზმი, როგორიცაა ურთიერთდათხოვნის შესაძლებლობა. ამან განაპირობა საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების სინთეზის ფონზე, ე. წ. შერეული მმართველობის ფორმის - რესპუბლიკის გაჩენა, რომელიც პირველად მეცნიერულ დონეზე მმართველობის დამოუკიდებელ ფორმად გამოყო და გააანალიზა ფრანგმა სამართალმცოდნემ, კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტმა, მ. დივურჟემ 1980 წელს. ამ თვალსაზრისით, საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა პირველ რიგში, საფრანგეთში ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის არსებობის პრაქტიკა. დივურჟეს აზრით, ეს მოდელი არის მმართველობის ორი ფორმის (საპრეზიდენტო და საპარლამენტო) სინთეზი, ამასთან განავითარებს ფრანგული ბონაპარტიზმის, ამერიკული პრეზიდენციალიზმის და ძლიერი პრემირ-მინისტრის ბრიტანული კონცეფციის ისტორიულ გამოცდილებას.

საფრანგეთის კონსტიტუციური გამოცდილება, იმის გათვალისწინებით, რომ ორი საუკუნის მანძილზე აბსოლუტურად, განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ქმნიდა, ფრანგული კონსტიტუციონალიზმის თეორიულ და პრაქტიკულ მრავალფეროვნებას,

იქ დამკვიდრებული ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი დღეისათვის მსოფლიოს ოცდახუთ ქვეყანაში ფუნქციონირებს. 1789 წლი-

დან დღემდე, დე გოლის კონსტიტუცია, ქვეყანაში, ოცდამეორე პოლიტიკური რეჟიმის რიგით მეჩვიდმეტე ძირითადი კანონია. მათ შორისაა ხუთი რესპუბლიკის 1491, 1848, 1875, 1946, 1958 კონტიტუციებიც.

კონსტიტუცია, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს საფრანგეთის ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, ძალაში შევიდა 1958 წლის 4 ოქტომბერს. სწორედ აქედან იწყება მეხუთე რესპუბლიკის ჟამთა სვლა. მისი აღიარება ერთი კვირით ადრე 28 სექტემბერს მოხდა რეფერენდუმზე და ფაქტიურად კონსტიტუციონალისტთა უმრავლესობის მიერ ეს თარიღი მიიჩნევა საფრანგეთის კონსტიტუციის დაარსების დღედ.

1958 წლის კონსტიტუციამ დააწესა სიახლე საფრანგეთის კონსტიტუციურ ისტორიაში ,,პრემიერ-მინისტრის" ტერმინის სახით, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად წარმოადგენს მთავრობის თავმჯდომარეს. მისი დანიშვნა ხორციელდებოდა სახელმწიფო მეთაურის მიერ საკმაოდ რთული პროცედურის დაცვით. პრეზიდენტი შეარჩევს და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. ის ამ დროისთვის ითვალისწინებს პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღებაში ერთპიროვნული და შეუზღუდავია. თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ პრემიერ-მინისტრი აყალიბებს მთავრობის შემადგენლობას და წარუდგენს დასამტკიცებლად პრეზიდენტს. აღსანიშნავია ის, რომ პრეზიდენტი ვალდებულია დაამტკიცოს თანამდებობაზე პრემიერის მიერ წარდგენილი პირები, მსგავსად საპარლამენტო რესპუბლიკებისა. ამასთან დაკავშირებით ფრანგი იურისტი ჟ. ბიურდო აღნიშნავს, რომ ,,მთავრობის დაკომპლექტებისას პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის უნდა არსებობდეს თანხმობა მინისტრთა კანდიდატურების ირგვლივ და ამიტომ მისი აზრით, მთავრობის ჩამოყალიბებისას პრეზიდენტი მაინც გადამწყვეტ როლს ასრულებს".

მეხუთე რესპუბლიკაში, მთავრობა იურიდიულად არსებობას იწყებს მისი დანიშვნის მომენტიდან. იგი არ საჭიროებს ეროვნული კრებისაგან თანხმობის მიღებას. მიუხედავად ამისა მთავრობის ეფექტური და ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა ეროვნული კრების ნდობა, რომლის მოსაპოვებლად ახლად დანიშნული მთავრობა მართავს საპარლამენტო დებატებს სამთავრობო პროგრამის ირგვლივ. ნდობის საკითხზე კენჭისყრისას მთავრობა შეიძლება გადაყენოს პარლამენტმა, ან კიდევ მხარი დაუჭიროს მის მიერ წარმოდგენილ სამთავრობო პროგრამას. თუ პარლამენტი მოითხოვს მთავრობის გადაყენებას, ამ შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის თავიდან აცილების მიზნით უფლებამოსილია ეროვნული კრების მიმართ გამოიყენოს დათხოვნის მუქარა.

საფრანგეთის კონსტიტუციიდან გამომდინარე რესპუბლიკის პრეზიდენტის განსაკუთრებით დიდი გავლენა მინისტრთა საბჭოს საქმიანობაზე პრემიერის როლს ნაკლებეფექტურად აქცევს და შემთხვევითი არაა, რომ ბევრი მინისტრი მნიშვნელოვან საკითხებზე პრემიერის გვერდის ავლით რესპუბლიკის პრეზიდენტთან მოლაპარაკებას ცდილობს. პრემიერ-მინისტრი და მისი პირადი კანცელარია ძირითადად დაკავებულია სხვადასხვა მინისტრების მიმდინარე ადმინისტრაციული საქმიანობის კოორდინაციით, კომპეტენციათა გადანაწილებით, კანონპროექტების მომზადებით, რომლებიც უნდა შევიდეს პარლამენტში განსახილველად, მათ შორისაა ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი და ა.შ. პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის ფორმულირების და რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის მისი აზრის მოხსენების უფლება პრეზიდენტის მიერ ეროვნული კრების ვადამდელი დაშლის საკითხზე ან მე-16 მუხლის გამოყენებაზე. ეს აზრი პრემიერ-მინისტრის პირადი მოსაზრებაა და ის არ ბოჭავს სახელმწიფოს მეთაურს. პრემიერ-მინისტრმა შეიძლება მიმართოს საკონსტიტუციო საბჭოს საპარლამენტო კანონის ან საერთაშორისო ხელშეკრულების საკითხზე, რომლებიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. პრემიერ-მინისტრის პირად უფლებამოსილებებში შედის აგრეთვე ყველა სამთავრობო ქვედანაყოფის საქმიანობის კონტროლი და კოორდინირება, თუ ამას დავამატებთ პრემიერ-მინისტრთან მჭიდრო კავშირში მყოფ სამსახურებს (დირექციას დოკუმენტაციის საკითხებში, დირექციას საჯარო სამსახურის საკითხებში, ატომური ენერგიის კომისარიატს, ეროვნული თავდაცვის სამდივნოს და ა.შ.) ნათელი გახდება, რომ „იურიდიულად და ფაქტიურად პრემიერ-მინისტრი მთავრობის ძირითადი ღერძია". თუმცა ამ „სამთავრობო ღერძის" მიმართულებისა და მოძრაობის იმპულსს იძლევა სახელმწიფოს მეთაური.

საფრანგეთის სახელმწიფო ორგანოთა სისტემის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ამ ორგანოთა ცენტრალურ ფიგურას, რომელსაც პრეზიდენტი წარმოადგენს. საინტერესოა განვიხილოთ, პრეზიდენტის განსაკუთრებული პრეროგატივები, მთავრობასთან ურთიერთქმედების სფეროში. პრეზიდენტის, როგორც ძლიერი ფიგურის არსებობას, საფუძველშივე განაპირობებს მისი ლეგიტიმურობის წყარო _ ხალხი, რომლისგანაც მას ენიჭება მთავარი წარმმართველი როლი, რომელსაც ის წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში.

პრეზიდენტს საფრანგეთში საკმაოდ ფართო უფლებამოსილებანი გააჩნია, რომელთაგან უმრავ-

ლესობას დამოუკიდებლად ასრულებს, ხოლო ნაწილის განხორციელება საჭიროებს პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების კონტრასიგნაციას. კონტრასიგნაციას ექვემდებარება პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგენილი კაბინეტის წევრების დანიშვნის აქტი, კონტრასიგნაციას ექვემდებარება, აგრეთვე, სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირთა დანიშვნა.

სხვა საჯარო ხელისუფლებების უფლებამოსილებებთან შედარებით, პრეზიდენტის პრეროგატივების უპირატესობა V რესპუბლიკის დამფუძნებლებმა უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო პრინციპის ხარისხში აიყვანეს მაშინაც კი, როდესაც ოფიციალური პროპაგანდა და დეგოლისტური მოძრაობისადმი სიმპათიურად განწყობილი მეცნიერები ცდილობდნენ სახელმწიფოს მეთაურის მისთვის უჩვეულო `ზეპარტიული არბიტრის~ როლში წარმოდგენას, მისი პირადი პრეროგატივებიდან გამომდინარე.

ფრანგი იურისტები განასხვავებენ პრეზიდენტის „საკუთარ“ და „მთავრობასთან ერთად განსახორციელებელ“ უფლებამოსილებებს. პირველნი რეალიზდება მის მიერ კონტრასიგნაციის გარეშე. მეორენი მოითხოვენ პრემიერ-მინისტრისა და ცალკეულ შემთხვევებში მინისტრთა კონტრასიგნაციას. თუმცა მათ შორის განსხვავებები ყოველთვის მკაფიო არ არის, რაც იწვევს კანონისა და სინამდვილის დაშორებას.

პრეზიდენტის უფლებამოსილებებს მიეკუთვნება პარლამენტისადმი მიმართვის უფლება. III და IV რესპუბლიკებში პრეზიდენტის პარლამენტისადმი მიმართვას თან ახლდა აუცილებელი კონტრასიგნაცია. ის იყო სახელმწიფოს მეთაურის არა პირადი დემარში, არამედ მთავრობის აქტი, რომელიც გამოიწვევდა უკანასკნელის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე. V რესპუბლიკაში პრეზიდენტის მიმართვას არ სჭირდება მთავრობის თანხმობა, რის გამოც უკანასკნელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა პრეზიდენტის ამ აქტზე პარლამენტის წინაშე.” ამ სიახლემ ძირეულად შეცვალა პრეზიდენტის მიმართვის ინსტიტუტის არსი.

პარლამენტის დათხოვნის უფლება სახელმწიფოს მეთაურის ჩვეული უფლებამოსილებაა. V რესპუბლიკაში პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნა არ ემორჩილება ადრე არსებულ შეზღუდვებს, არ არის საჭირო არც სენატის თანხმობა. სახელმწიფოს მეთაურს მისი დათხოვნა შეუძლია, როდესაც მას მოესურვება. ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ ორ თანამიმდევარ დათხოვნას შორის უნდა გავიდეს მინიმუმ 1 წელი. საპარლამენტო რეჟიმის ქვეყნებში სახელმწიფოს მეთაურის მიერ პარლამენტის დათხოვნის უფლება მხოლოდ ფორმალურია, რადგან დათხოვნას ფაქტიურად მთავრობა ანხორციელებს, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის აქტის კონტრასიგნაციას ახდენს. V რესპუბლიკის პრეზიდენტს ქვედა პალატის დათხოვნა შეუძლია მთავრობის თანხმობის გარეშეც. „უეჭველია, - წერს მ. დიუვერჟე, - სახელმწიფოს მეთაურს უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობითი კონსულტაციები პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის პალატათა თავმჯდომარესთან, მაგრამ მას შეუძლია არ გაითვალისწინოს მათი აზრი“. ამასთან დათხოვნის უფლების გამოყენება არ უკავშირდება პარლამენტის მთავრობისადმი ნდობის შემცირებას.

რესპუბლიკის პრეზიდენტი შეარჩევს და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს. სახელმწიფოს მეთაური პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის შერჩევისას, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს პარლამენტში პარტიულ ძალთა თანაფარდობას, თუმცა საბოლოოდ ის თავისუფალია არჩევანში. პრემიერ-მინისტრი შეარჩევს მინისტრებსა და სახელმწიფო მდივნებს და წარუდგენს მათ სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც განახორციელებს დანიშვნას.

საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია მინისტრებად დანიშნოს პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებული კანდიდატები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის პირად დამოკიდებულებას შემოთავაზებულ კანდიდატებთან იურიდიულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. V რესპუბლიკაში კონსტიტუციის დებულებას რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წინადადებით მთავრობის სხვა წევრების დანიშვნის შესახებ (მუხლი 8-ე), აიხსნება იმით, რომ სახელმწიფოს მეთაურსა და პრემიერ-მინისტრს შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება შემოთავაზებულ კანდიდატებთან დაკავშირებით.

კონტრასიგნაციას დაქვემდებარებული პრეზიდენტის უფლებამოსილებები, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც კონტრასიგნაცია სუფთა ფორმალობას წარმოადგენს (მაგალითად, შეწყალებისას), კონტრასიგნაციას დაქვემდებარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტები პრეზიდენტისა და მთავრობის, ან უკიდურეს შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული აქტებია.

საპარლამენტო კანონების პრომულგაცია და მათი მეორედ მოსმენაში დაბრუნების უფლება რესპუბლიკის პრეზიდენტის ტრადიციული პრეროგატივაა. პრომულგაცია გულისხმობს კონტრასიგნაციას, თუმცა ასეთ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა ხელმოწერები სუფთად ფორმალურია. 1958 წლის კონსტიტუციამ უარი თქვა დაჩქარებული პრომულგაციის პროცედურაზე. პარლამენტის მიერ მიღებული ტექსტის მთავრობისათვის გადაცემიდან შემდგომი 15 დღის მანძილზე V რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს კანონის ახალი განხილვა, რაზეც მას პარლამენტი ვერ ეტყვის უარს. ახალი მოსმენა შეიძლება მოთხოვნილი

იქნას მხოლოდ სარედაქციო ხასიათის შეცდომების აღმოსაფხვრელად. 1958 წლის კონსტიტუციის ერთადერთი სიახლე ამ სფეროში იყო დაზუსტება, რომ მეორე მოსმენის მოთხოვნა შეიძლება გავრცელდეს კანონის ზოგიერთ მუხლზე. ინსტიტუტს ეს ანიჭებს მოქნილობას და შესაბამისად, უფრო ადვილად მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მეორე მოსმენის მოთხოვნა უნდა იყოს განმტკიცებული პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით. ფორმალურად პრემიერ-მინისტრმა კონტრასიგნაციაზე შეიძლება უარი თქვას. შესაბამისად, საუბარია უფლებამოსილებაზე, რომელსაც ერთობლივად განახორციელებენ სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მეთაური.

პრეზიდენტის უფლებამოსილებას წარმოადგენს ასევე, პარლამენტის საგანგებო სესიის მოწვევა. საგანგებო საპარლამენტო სესიები მოიწვევა ან პრემიერ-მინისტრის, ან ეროვნული კრების წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით. ეს სესიები იხსნება და იხურება პრეზიდენტის დეკრეტით, რომელიც ექვემდებარება კონტრასიგნაციას. ამ სფეროში პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ზუსტი საზღვრების დადგენა საკმაოდ რთულია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება კონტრასიგნაციას. ასე ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, ელჩებისა და საგანგებო დესპანთა აკრედიტირება (კონსტიტუციის 14-ე, 52-ემუხლები). უცილებლობას წარმოადგენს, რომ პრეზიდენტი ინფორმირებული იყოს მიმდინარე ყველა მოლაპარაკების თაობაზე, რომლებიც მიმართულია ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისაკენ, რომლებიც არ ექვემდებარებიან რატიფიცირებას.

დასკვნა

ამრიგად, საფრანგეთის პრეზიდენტის ძლიერების უშუალო საფუძველს იძლევა ის კონსტიტუციური ბერკეტები, რომლებიც საგრძნობლად ამყარებს ქვეყნის პირველი პირის პოზიციებს, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში. რაც აშკარად თვალშისაცემი ხდება მაშინ, როცა პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მთავრობისა და პალატების ნაცვლად, როცა ისინი ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუცია მასში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ტრადიციების შესაბამისად, რომელშიც გაერთიანდა სტანდარტული საპარლამენტო დემოკრატიისა და საპრეზიდენტო მმართველობის ნიშნები, სრულიად ინდივიდუალურია, რაც აიხსნება მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

ამრიგად, საფრანგეთის აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოადგენს საერთო კომპეტენციის ორგანოს, რომელსაც პრაქტიკულად ყველა დარგის ხელმძღვანელობა, სოციალურ-კულტურული და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სფეროების წარმართვა ევალება, რა თქმა უნდა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება პოლიტიკური სისტემის მამოძრავებელი ძალად გველვინება, ხოლო კანონპროექტები ხდება მისი საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხერხებული ინსტრუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Крутоголов М.А. „Президент Французской Республики” М., «наука», 1980 г.
2. M. Shugart. S. Carey “Presidents and Assemblies” /Cambridge University Press 192/
3. Handbook of British Chronology, 3 rd edition, 1986.
4. კვერენჩხილაძე გ., მელქაძე . საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა. თბ», 1997;
5. დემეტრაშვილი ა. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბ., 1992;
6. Мишин А.А. – Государственное право – США. М. 1976 г.
7. Ансел. М. – Методологические проблемы сравнительного права. М. Прогресс, 1981 г..
8. Серебренников В.П. „Конституционное право Франции” Минск, Р.Г.У. 1976 г.
9. საფრანი უ. მმართველობის პრინციპები აღმასრულებელი ხელისუფლება. კრებული «რესპუბლიკა» საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო. თბ., 1996.
10. „Конституционное право Франции” „Проблемы эволюции государственных правовых институтов и республик” 1958-1977 г.г. Минск. 1976 г.
11. Серебренников В.П. – Конституционное право Франции. Минск, 1976 г.
12. „Конституция Французской Республики” «Конституции зарубежных стран», М. 2001 г.
13. Крутоголов М.А. Парламент Франции. М. «Наука», 1988 г.
14. Duverser M. Le systeme politique Francais, Paris, 1990.
15. Национальное собрание во Франции (его состав и роль в системе верховной власти). Российско-французская серия «Информационные и учебные материалы», №18б М. 1993 г.
16. J. Linz “Presidential or Parliamentary Democracy: Does it make difference?” J. Linz (A. Valenzuela /eds/, The favour of Presidential Democracy /John Hopkins University/ 1994).
17. Ильинский И.П. Стратун Б. А Топорин Б.Н. „Г Д Р Основы государственного строя” Москва, 1971 г.
18. Фурман А.А. «О чем мечтают канцлеры: политические портреты глав правительств ФРГ». Киев, 1990 г.
19. Балгая М.В. Лейбо М.И. Ентина Л.М «Конституционное право зарубежных стран», Москва, 2002 г. г.
20. Конституционное право зарубежных стран /под редакцией М.В. Баглая, Ю.И. Лейбо/, Москва, 2005 г.
21. Сравнительное конституционное право, Москва, 2002 г.
22. Pierre Pactet, Ferdinand Merlin – soucramanien. Droit constitutionnel, 26-e edition a Sour aout 2007, edition Palloz 2007.

Presidential Institute in France

Avtandil Kalmakhelidze, PhD sdudent of GTU

Summary

Thus, the present article discusses the competence of the current French Presidential Institution and the role of the Presidential Institution in the French Republic and the current legislation of the French state regarding the institution of the President, where the President has constitutional levers that significantly strengthen the position of the first person in the executive branch. Which is clearly noticeable when the president is empowered to make decisions on behalf of the government and the chambers when they fail to perform their duties. In France, the president is solely in the process of forming a government, but accountability to the National Assembly forces the head of state to appoint a government that enjoys the support of a parliamentary majority.

Keywords: State, President, Government, Executive

რელიგიური ორგანიზაციები საერთაშორისო ურთიერთობებში

ნინი კიკვაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ თემას – რელიგიის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში, კერძოდ, რომის კათოლიკური ეკლესიისა და ზოგიერთი პროტესტანტული ორგანიზაციის პოლიტიკურ საქმიანობას. აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიური ორგანიზაციების როლი და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა, ერთის მხრივ, არ იცვლებოდა რელიგიურ ორგანიზაციათა ეკონომიკური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი საფუძვლების მდგომარეობის შესაბამისად, მეორე მხრივ, საერთაშორისო პოლიტიკაში მათი მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობების არსებობით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვატიკანის (საეკლესიო სახელმწიფოს) პოლიტიკურ პოზიციებს XX საუკუნის 70-იანი წლების მომდევნო პერიოდისათვის.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, რელიგიური ორგანიზაციები, საერთაშორისო ურთიერთობები, ცალკეული კონფესიები, ავტოკეფალია.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების ცნება მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს თავისი თავის მრავალმხრივი მიმართულებებით, არამედ ხალხებს, ეთნოსებს, ერებს შორის კულტურული, მათ შორის რელიგიურ ურთიერთობებსაც, დიპლომატიური და ოფიციალური შეხვედრების (სამიტები, ფორუმები, კონფერენციები და ა. შ. არსებობს სხვა სახის ურთიერთობებიც - წიგნის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, კინოკონკურსები, მხატვრული კოლექტივების გასტროლების სახით, სპორტის, ტურიზმის, განათლების, მეცნიერების სფეროში, ცალკეული ფირმებისა და კომპანიებს შორის ურთიერთობები და სხვ. ასეთივე ურთიერთობები არსებობს რელიგიის სფეროში, რელიგიური ორგანიზაციების, ცალკეული კონფესიების, უცხო ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობების მიმართულებით. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ურთიერთობები აქვს უცხოეთის მრავალ მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებთან, გარდა ამისა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიები მოქმედებენ დასავლეთ ევროპაში და აშშ-ში, იქ მცხოვრები ქართველებისათვის, მაგრამ ამ ტაძრების საშუალებით საქართველოს გააქვს ქართული კულტურაც. ქართულ მართლმადიდებლობას გააჩნია ტელეარხი, რომლის გადაცემებიც შეუძლია ნახოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა უცხოელმა. ქართულ მართლმადიდებლობას ურთიერთობები აქვს ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ეუთოსთან და ევროსაბჭოსთან. ქართულ ეკლესიას გააჩნია სასულიერო აკადემია, უნივერსიტეტი, სადაც სურვილის შემთხვევაში სწავლა შეუძლიათ უცხოეთის მოქალაქეებსაც და ა. შ. ყოველივე ეს, რაც ჩამოვთვალეთ არის თუ არა საერთაშორისო ურთიერთობების სფერო? ქართულ ეკლესიას აქვს უცხოეთთან ურთიერთობების, პრესისა და ინფორმაციის განყოფილებები.

ძირითადი ნაწილი

რომის კათოლიკური ეკლესია მსოფლიოს კათოლიკეთა ცენტრია, ვატიკანი, რომის პაპის მეთაურობით. კათოლიკური ეკლესიები მოქმედებენ ისლამური ქვეყნების გარდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, აფრიკაში და სხვა. კათოლიკურ ეკლესიას გააჩნია საინფორმაციო საშუალებები, ჟურნალები, გაზეთები, გამომცემლობები, უმაღლესი სკოლები, სამრეწველო საწარმოები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ეს რელიგია, ერთიანი სულიერებით ერთმანეთთან აკავშირებს მრავალი ერების წარმომადგენლებს.

კათოლიციზმი რელიგიაა, ვატიკანი – საეკლესიო სახელმწიფო. სიტყვა Catolicismus, ბერძნ. – საყოველთაო, ყოვლისმომცველი), ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიმართულება ქრისტიანობაში. ქრისტიანობა, რომელიც IV საუკუნეში ხდება გაბატონებული რელიგია რომის იმპერიაში, გაიყო ორ ძირითად მიმართულებად (აღმოსავლეთ და დასავლეთ). დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ორი მთავარი (ძირითადი) დამოუკიდებელი ქრისტიანული სარწმუნოება: მართლმადიდებლობა (აღმოსავლეთ ანუ ბერძნულ-კათოლიკური სარწმუნოება) და კატოლიციზმი (დასავლეთ ანუ რომის კათოლიკური) თავისი თავისებურებებით დოგმატიკასა და წეს-ჩვეულებებში, დამოუკიდებელი ორგანიზაციებით (ეკლესიებით). ეკლესიათა საბოლოო განცალკევება (გაყოფა) ხდება 1054 (1. 272).

ეკლესიის სათავეში დგას პაპი. კათოლიკური მოძღვრების თანახმად, ისაა ქრისტეს ნაცვალი დედამიწაზე, უცოდველი რწმენისა და ზნეობის საკითხებში. ამავე დროს პაპი არის საეკლესიო-სახელმწიფოს – ვატიკანის მეთაური.

რელიგიური ლოზუნგებით პაპების ინიციატივით XI-XIII სს. მოეწყო ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთ, XVII-XVIII საუკუნეებში თვით ევროპაშიც.

პაპობა კათოლიკური ეკლესიის რელიგიური ცენტრი.

ისტორიულად პაპობა ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობის გავრცელებასა და ცენტრალიზებული კათოლიკური საეკლესიო ორგანიზაციის წარმოქმნის (შექმნის) პროცესში. ქ. რომის ეპისკოპოსები ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ხდებიან (მოიპოვებენ) რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის ქრისტიანულ ეკლესიებზე, საეპისკოპოებზე მეთაურობის უფლებას. ამ სახელწოდებაზე (პაპი) მონოპოლია, რომის ეპისკოპოსებზე მყარდება V საუკუნიდან. 330 წელს რომის იმპერიის დედაქალაქის გადატანამ კონსტანტინოპოლში, იმპერიის გაყოფამ IV საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთ (ბიზანტიის) და დასავლეთად, ხოლო შემდეგ დასავლეთი იმპერიის დაშლა V საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთ (ბიზანტიის) და დასავლეთად, ხელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა რომის ეპისკოპის ამაღლებას, უზრუნველყო მისი დამოუკიდებლობა საერთო ხელისუფლებისაგან და დაეხმარა წარმატებაში, ეკლესიაში პირველობისათვის ბრძოლაში.

პირველობაზე თავისი პრეტენზიის დასაბუთებისათვის რომის ეპისკოპოსებმა წარმოაყენეს დებულება, თითქოს რომის ეპისკოპატი არის მოციქული პეტრეს მემკვიდრე, რომელსაც ქრისტე შეჰპირდა მთელ ეკლესიაზე მეთაურობას (5. 11-14). 756 წლის საფრანგეთის მეფემ პიპინ მოკლემ, რომელსაც რომის პაპი დაეხმარა სამეფო ტახტის მოპოვებაში, პაპს აჩუქა ლანგობარდებისაგან წართმეული იტალიური მიწები. ამ საჩუქრით საფუძველი დაედო განსაკუთრებული პაპის სახელმწიფოს, დედაქალაქით რომში (იქვე, 54-55).

პაპი თავის თავს უკვე თვლიდა საერო მეფედ, მაშინვე უკვე საერთო ხელისუფლების გასამართლებლად შექმნილი იქნა ყალბი დოკუმენტი „კონსტანტინესეული ნაჩუქარი“, ხოლო IX საუკუნის შუა ხანებში ჩნდება ე. წ. ცრუ ისიდორეული დეკრეტალია – სიყალბე, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა პაპის პრეტენზია მთელ კავკასიაზე ბატონობისა, ასევე პაპის ძალაუფლების პირველობა იმპერატორებზე (4. 232). ამავე დროს პაპმა მიაღწია დამოუკიდებლობას საერო ხელისუფლებისაგან, რაშიც დროდადრო აღწევდა წარმატებას. თუმცა, პაპი მაინც იყო დამოკიდებული ისეთ ძლიერ სახელმწიფოებზე, როგორებიც იყვნენ საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი.

ეკლესიათა საბოლოოდ გაყოფის (1054) შემდეგაც, პაპს არ შეუწყვეტია აღმოსავლეთ ეკლესიაზე ბატონობის მცდელობა. ეკლესიათა „გაერთიანების“ საბაბით ჩვენს დროშიც ცდილობს მთელ ქრისტიანობაზე მეთაურობის მიღწევას. ჯერ კიდევ XI საუკუნის დასასრულისათვის პაპი ცდილობდა რუსეთში ფეოდალური შინაშლილობით ესარგებლა და ცდილობდა კათოლიკობის გავრცელებას რუსეთში.

XVI საუკუნის ქვეყნებში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანტიკათოლიკური მოძრაობები, რომელიც რეფორმაციის სახელითაა ცნობილი. რის საფუძველზეც, როგორც ზემოთ ითქვა, საფუძველი დაედო პროტესტანტული მიმდინარეობების წარმოშობას ქრისტიანობაში. 1870 წელს იტალიის გაერთიანებით პაპს ჩამოერთვა როგორც ოლქი, ისე ქ. რომიც, შერჩა მხოლოდ რეზიდენცია. მხოლოდ 1929 წელს მას ქ. რომში გამოეყო 40 ჰა ტერიტორია, სადაც შეიქმნა პატარა საეკლესიო სახელმწიფო – ვატიკანი. ამდენად, რომის პაპი არის როგორც კათოლიკური ეკლესიის, ისე ვატიკანის (პატარა საეკლესიო სახელმწიფოს) მეთაური. ვატიკანს აქვს დიპლომატიური ურთიერთობები მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოსთან.

რომის კათოლიკური ეკლესიის (საპაპოს) საქმიანობა მტკიცედ იყო დაკავშირებული მრავალნაირ ორდენებთან (დომინიკანელთა, ფრანცისკანელთა, ავგუსტინიანელთა (XIII ს.) და მოგვიანებით დაარსებულ კაპუციანელთა (1525), იეზუიტების ორდენებთან. კათოლიკურ ეკლესიას მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ასევე ე. წ. სამხედრო-ბერმონაზვნული ორდენები“) ჰოსპიტალერები (XII ს.), ტამპლიერები (1118 წ.), ლივონიის (1202) და სხვა.

როგორც ითქვა, რომის ეკლესიას დასავლეთის ბევრ ქვეყანასთან ჰქონდა რელიგიური და პოლიტიკური ურთიერთობები. პაპი პიუს IX-ს (1846-1878) ურთიერთობები ჰქონდა რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი I-თან. ისინი თანამოაზრეები იყვნენ და მოკავშირეები რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. 1847 წ. დადებული იყო კონკორდატი (ხელშეკრულება) ვატიკანისა და მეფის რუსეთთან, რომელიც გაგრძელდა 20 წელიწადს (5, 20).

1863 წლის 22 აპრილს, რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ პირად წერილში პაპი გმობდა რუსეთის იმპერიაში კათოლიკეებს შორის ყოველგვარ რევოლუციურ პროპაგანდას.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო ჩამოყალიბებული დიდ სახელმწიფოთა ბლოკები, რომლებიც მსოფლიოს გადანაწილებისათვის იბრძოდნენ, პაპი ლეო XIII (1878-1903) გამოვიდა სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედების მომხრედ, არსებული წესრიგის შენარჩუნებისა და რევოლუციის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ვატიკანს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა გერმა-

ნიასთან (5, 48). უფრო მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა ვატიკანს ავსტრია-უნგრეთთან.

არჩევიდან სულ მალე პაპი პიუს X (1903-1914) ეუბნება ავსტრია-უნგრეთის ელჩს საპაპოში, რომ ის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ავსტრია-უნგრეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას და მზად იქნება შესაძლებლობისდაგვარად შეასრულოს ყველა მისი სურვილები (50, 48-49). ვატიკანის კავშირი ავსტრია-უნგრეთთან მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო სამხრეთ სლავების განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ინტერესებით. პაპი მოუწოდებდა ავსტრია-უნგრეთს ალბანეთში პროტექტორატის შენარჩუნებისაკენ (1913). პაპი პიუს X მხარს უჭერდა აგრეთვე ავსტრია-უნგრეთის პრეტენზიებს ჩერნოგორიასა და ბულგარეთში.

ვატიკანი-გერმანიის და ვატიკანი-ავსტრია-უნგრეთის კავშირების განმტკიცებასთან ერთად, გამწვავდა ურთიერთობები საფრანგეთთან და რუსეთთან. ამ ურთიერთობების გამწვავებას ხელს უწყობდა აგრეთვე საფრანგეთის რესპუბლიკური წყობილებისადმი პაპის უარყოფითი განწყობილება. 1904 წლის 30 ივლისს საფრანგეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ვატიკანთან. 1905 წლის 5 დეკემბერს საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, რასაც პაპმა დაუპირისპირა (1906 წ. თებერვალში, შემდეგ – აგვისტოში) ენციკლიკა, საფრანგეთში მიღებული აღნიშნული კანონის დაგმობით. საფრანგეთის მოსახლეობის გულის მოსაგებად რომის პაპმა 1909 წლის აპრილში, „ნეტართა რიგში“ (5, 51) ჩარიცხა ფრანგი გოგონა ჟანა დ’არკი, რომელიც 1431 წელს 3010 ინკვიზიციამ სრულიად უდანაშაულოდ კოცონზე დაწვა (2. 210).

ვატიკანსა და მეფის რუსეთს შორის ერთხანს კარგი ურთიერთობები (პიუს X-ის დროს) თანდათანობით 1907 წლიდან თანდათანობით უარესდება. პოლონეთში მდგომარეობის შესახებ საუბარში, ვატიკანში რუსეთის წარმომადგენლისათვის პაპს უთქვამს: „ისინი პირველ რიგში პოლონელები არიან, შემდეგ კვლავ – პოლონელები, და მესამედ – კვლავ პოლონელები და მხოლოდ ამის შემდეგ ცოტაოდენ კათოლიკეები“ (5, 52). კიდევ უფრო უარესდება ვატიკანთან ურთიერთობები 1912 და 1913 წლებში. ვატიკანმა რუსეთის მთავრობას წარუდგინა მემორანდუმი რუსეთში კათოლიკური ეკლესიების მდგომარეობის შესახებ, სადაც ვატიკანი მოითხოვდა კათოლიკური ეკლესიებისა და მიტროპოლიტთა კათედრების საქმიანობის უფლებების გაფართოებას. თუმცა, ფიქრობენ, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება მსოფლიო ომის წინ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ვატიკანის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობებთან გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან.

რომის პაპები (პიუს X, ლეო XIII) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კარგ ურთიერთობებს აშშ-სთან, სადაც სულ უფრო იზრდებოდა კათოლიკური ეკლესიები.

ვატიკანის საერთაშორისო პოლიტიკა რადიკალურად იცვლება პაპის თანამდებობაზე იოანე XXIII-ის მოსვლიდან. ახალი პაპი რადიკალურად განსხვავებული ხედვით (და პოზიციებით) მიუდგა თანამედროვეობის საკითხებს, კერძოდ, ომსა და მშვიდობას, ასევე განსხვავებული სოციალური სისტემების სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს. თავის პირველ ენციკლიკაში 1959 წლის 9 ივლისს პაპი იოანე XXIII წერდა, რომ ახალი ომი მსოფლიოს გადააქცევს ნანგრევებად. მოუწოდებდა ყველა ადამიანს, განსაკუთრებით მათ, ვინც სახელმწიფოს სათავეში არიან მიაღწიონ შეთანხმებას და შეინარჩუნონ მშვიდობა. იოანე XXIII 1961 წლის სექტემბერში თავის რადიოთი გამოსვლაში მოუწოდებდა სახელმწიფოთა მეთაურებს, გააცნობიერონ ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობა და სადავო საკითხები გადაწყვიტონ არა ძალით, არამედ გულწრფელი და თავისუფალი მოლაპარაკებებით (5, 118).

პაპი იოანე XXIII თვლიდა, რომ ვერავითარი რელიგიური მიზნები ვერ გამოდგება ატომური ომის გასამართლებლად. მართალია, პაპი მიუთითებდა სოციალისტურ ბანაკში არსებული ეკლესიისადმი შეზღუდვების შესახებ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის ყოველთვის გამოდიოდა მშვიდობის მომხრედ და ომის წინააღმდეგ.

1965 წლის 8 დეკემბერს დამთავრდა ვატიკანის მეორე საეკლესიო კრება (დაიწყო 11.10.1062 წელს), რომელიც დროგამოშვებით 3 წელს გრძელდებოდა.

მეორე საეკლესიო კრების შემდეგ ვატიკანი განსაკუთრებით არის დაინტერესებული თავისი პოზიციების განმტკიცებით განვითარებად ქვეყნებში. ვატიკანის დიპლომატიის მიზანი ხდება გააფართოოს მისიონერული საქმიანობა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში. გააძლიეროს თავისი გავლენა ამ ქვეყნების პოლიტიკაზე. 1967 წელს აფრიკის ხალხისადმი მიმართვაში პაპი პავლე VI გამოვიდა რასიზმის წინააღმდეგ, ხალხების დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის.

1969 წელს უგანდის დედაქალაქ კამპალეში ჩატარდა აფრიკაში კათოლიკური ეკლესიების ეპისკოპოსთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა პაპი პავლე VI. აფრიკაში თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის, ვატიკანი ყურადღებას აქცევს სასულიერო კადრების მომზადებას ადგილობრივი მოსახლეობიდან.

საეკლესიო კრების შედმეგ უფრო აქტიური ხდება ვატიკანის დიპლომატიური ურთიერთობები.

პავლე VI პაპობის პირველი ათი წლის განმავ-

ლობაში დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 24 ქვეყანასთან. 1976 წელს ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა 76 ქვეყანასთან, აქედან 25 აფრიკაში, 19 ლათინურ ამერიკაში, 18 ევროპაში, 14 აზიასა და ჩრდ. ამერიკის კონტინენტზე. გარდა ამისა, 23 ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობა, რომლებთან დიპლომატიური კავშირი არ აქვს. ვატიკანში 77 სახელმწიფოს ჰყავს ელჩები, 44 ქვეყანას კი ვატიკანში ჰყავს წარმომადგენლობა.

ვატიკანს ჰყავს დამკვირვებლები და დელეგატები გაეროში, იუნესკოში, შრომის საერთაშორისო ბიუროში (ჟენევა), ევროსაბჭოში (სტრასბურგი), რომის პაპმა იოანე პავლე II 1978 წლიდან მთელი მსოფლიო შემოიარა. ვატიკანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამერიკის კონტინენტის კათოლიკურ ეკლესიებს, მის მიმდევართა რაოდენობა ყველაზე მეტი სწორედ ამ კონტინენტზე მოდის.

საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია პროტესტანტიზმი და მისი ნაირსახეობანი. ყოველი მათგანი თითქმის მსოფლიო მასშტაბისაა. თვით ანგლიკანობაც კი, რომელიც ინგლისური მოვლენაა, მაგრამ ისიც გასცდა კუნძულების ფარგლებს, გავიდა ინგლისის კოლონიურ ქვეყნებში.

პროტესტანტიზმი, მართლმადიდებლობის შემდეგ, ქრისტიანობის მესამე სახესხვაობაა, წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში რეფორმაციული მოძრაობების პერიოდში (XVI ს.), წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეკლესიებს (რელიგიურ ორგანიზაციებს), რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან დოგმატებისა და საკულტო პრაქტიკის ცალკეულ საკითხებში.

რეფორმაციული მოძრაობების პირობებში წარმოშობილ პროტესტანტული მიმართულებებია: ლუთერანობა, ანგლიკანობა, ცვინგლიანობა, კალვინიზმი, ანაბაპტიზმი, უნიტარობა; ძირითადად ამ მიმართულებათა საფუძველ წარმოიქმნა რიგი ეკლესიები. მთლიანად აღებული თანამედროვეობის მსხვილ (დიდ) პროტესტანტულ რელიგიებს წარმოადგნენ ლუთერანობა (დაახ. 70 მლნ. მიმდევარი), კალვინიზმი (დაახლ. 40 მლნ), ანგლიკანობა (დაახლ. 30 მლნ.), მეთოდიზმი (30 მლნ), ბაპტიზმი (დაახ. 25 მლნ.) და სხვ. მთლიანად აღებული პროტესტანტების საერთო რაოდენობა 200 მლნ-ზე მეტია. პროტესტანტიზმის გავრცელების ძირითად რეგიონებს წარმოადგენენ სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, აშშ. თუმცა, მეტად თუ ნაკლებად, ფაქტობრივად თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია. მათი ორგანიზაციები, ყოველი მათგანი, გარკვეული საერთაშორისო ორგანიზაციადაა გაერთიანებული დარელიგიურად (იდეოლოგიურად) მრავალი ერისა და ეთნოსის ხალხებს აერთიანებს და ურთიერთ აკავშირებს თავისი საინფორმაციო საშუალებებით, ასევე გამოცემებით (ლიტერატურა). ბევრ მათგანს გააჩნია საერთაშორისო ხასიათის უმაღლესი სკოლები და კოლეჯები, როგორც თეოლოგიური ისე საერო ფაკულტეტებითა და სპეციალობებით. ერთი სიტყვით, ისინი საერთაშორისო კულტურულ ურთიერობებში არიან ჩართულნი.

მოკლედ შევეხები ზოგიერთ მათგანს და მათ ადგილს საერთაშორისო ურთიერთობებში. ჩვენ უკვე ვიცით ლუთერანობის წარმოშობის შესახებ (რეფორმაციული მოძრაობის დახასიათებიდან), რომ მისი წარმოშობა უკავშირდება ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორი 1517 წელს პაპის გერმანიაში გამოსვლას, რომის ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ ინდულგენციების გაყიდვას. ეს იყო ფაქტობრივად გერმანული ეროვნული მოძრაობა რომის ეკლესიის, პაპობის გერმანიაში სულიერ და ალბათ კიდევაც პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგ, პირველ რიგში, უნდა შევეხო ლუთერანობას. მართალია, რეფორმისტული მოძრაობა ყველაზე ადრე ინგლისში და ჩეხეთში (ჰუსისტური მოძრაობის სახით) იწერება (XIV ს. დასასრ. და XV ს.), მაგრამ ჩამოყალიბებულ რელიგიურ ორგანიზაციად ჩნდება ლუთერანობა. კათოლიციზმიდან მხოლოდ ზოგიერთი რამ შემოინახა ლუთერმა: ნათლობა, ზიარება (თუმცა ეს უკანასკნელიც გარკვეული ცვლილებებით). კათოლიციზმისგან ძირითად განმასხვავებლად ითვლება თეზისით „მხოლოდ რწმენით გამართლების“ შესახებ, „ხსნა“ პირადი რწმენით, ეკლესიის ბურჟუაზიულ მოთხოვნებს, რელიგიურობა გაგებულ იქნა როგორც ადამიანის შინაგანი მრწამსი, შინაგანი სამყარო (1. 168). განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა გერმანიაში (დაახ. 40 მლნ. ლუთერანი), შვეიცარიაში (დაახლ. 7 მლნ.), დანიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, ისლანდიაში, აშშ (8,5 მლნზე მეტი), გავრცელებულია 60-ზე მეტ ქვეყანაში, მიმდევართა საერთო რაოდენობით 70 მლნ. მეტიც, 1923 წელს შეიქმნა ლუთერანთა მსოფლიო კონვენცია, რომელიც 1947 წელს გარდაიქმნა ლუთერანთა მსოფლიო ფედერაციად. დიდ სახელმწიფოებში აქვთ უნივერსიტეტები და კოლეჯები, გამოსცემენ საღვთისმეტყველო წიგნების, ჟურნალების, საინფორმაციო ხასიათის მასალას, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მშვიდობის დაცვის, ადამიანთა უფლებების და ა. შ. სფეროებში მოკლედ შევეხები აგრეთვე ბაპტიზმის (ანუ როგორც უწოდებენ სახარებისეულ-ქრისტიან ბაპტიზმს).

სიტყვა ბაპტიზმი ბერძნულიდან (baptize- წყალში ჩაშვება, წყლით მონათვლა). პროტესტანტიზმის მსხვილი (დიდი) ნაირსახეობა. წარმოიშვა დაახლ. 1609 წ. ჰოლანდიაში, ინგლისელ ემიგრანტებში (კონგრეგაციონალისტებთან) მენონიტების გავლენით (კონგრეგაციონალისტი – კალვინიზმის

ერთ-ერთი მიმართულება; მენონიცები – ანაბაპტისტების ნაირსახე). პირველი ბაპტისტური თემები ინგლისში ჩნდება 1611-1612 წ., 1639 წ. ჩრდ. ამერიკაში. აშშ-ში ეწეოდნენ მისიონერულ საქმიანობას. ითვლება, XX ს, 60-იანი წლებისათვის აშშ-შ იყო 19 მლნ. ბაპტისტი. 1905 წელს შეიქმნა „ბაპტისტთა მსოფლიო კავშირი". 1957 წელს შეიქმნა „ევანგელისტ-ქრისტიან ბაპტისტთა მსოფლიო კავშირი". მთელ მსოფლიოში პაბტისტთა რაოდენობა 25 მლნზე მეტია. ბაპტიზმში კულტი უფრო შეზღუდულია (გამარტივებულია). ბაპტისტთა თემს მართავს არჩევითი პრესვიტერი და თემის საბჭო. ყველა მორწმუნე რელიგიასთან (თემთან) მიმართებაში ითვლებიან თანასწორად და თავისუფლად. აქაც იცავენ პრინციპს „ხსნა მხოლოდ პირადი რწმენის საფუძველზე". ძირითადი აქცენტი გადატანილია შინაგან რელიგიურ მრწამსზე და რელიგიური მორალის ქადაგებაზე, ბიბლია აღიარებულია „ღმერთის გამოცხადებად". შენარჩუნებულია ქრისტიანული „რწმენის სიმბოლოს" ყველა დოგმატი: სამება, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვიანობა, ქრისტეს მსხვერპლთა გამოსყიდვა, ქრისტეს მეორედ მოსვლა, მკვდრეთით აღდგომა. საქართველოში არატრადიციული რელიგიები შესწავლილი აქვს თ. მენაბდიშვილს.

ლიტერატურა:

1. Всемирная история в 10 томах. Т. 4. М., 1959;
2. Григулебоч И. Р. История инквизиции (XIII-XX вв). М., 1970;
3. Крывелев И. Д. История религии. т 2. М., 1975;
4. Лозигский С. Г. История папства. М., 1986;
5. Шеймон М. М. От Пия IX до Павла VI. М., 1979;
6. Винтер Э. Папство и царизм. М., 1964;
7. Токарев С. А. Рулигия в истории народов мира. М., 1960.

Religious organizations in international relations

Nini Kikvadze, Phd student of GTU

Summary

The article is related to the one of the most actual topic – the factor of religion in international relations, in particular, the political activities of the Roman Catholic Church and some Protestant organizations. It is noted that the role of religious organizations in international relations has not always been the same. On the one hand, the economic, political and religious foundations of religious organizations did not change, on the other hand, with the necessary conditions for their participation in international politics, special attention is paid to the political positions of the Vatican (ecclesiastical state) for the period following the 1970s.

Keywords: Religion, Religious Organizations, International Relations, Separate Confessions, Autocephaly.

ევროკავშირის კრიზისი: ბრექსიტი და თანამედროვე გამოწვევები

ბექა ნამორაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა. ყურადღება გამახვილებულია იმ მიზეზებზე, რომლებიც Brexit– ის ფუნდამენტური ფაქტორები იყო, რა არგუმენტები ჰქონდათ Brexit– ის მომხრეებსა და ოპონენტებს. ასევე სტატიაში განხილული ერთ-ერთი თემაა ის, თუ რა გავლენას მოახდენს Brexit ევროკავშირის ეკონომიკაზე. გააძლიერებს Brexit რუსეთის გავლენას ევროპის კონტინენტზე. რა გავლენას მოახდენს ბრექსიტი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი, ბრექსიტი, კრიზისი

შესავალი

ბრიუსელში გაგზავნილი წერილით, რომლის ავტორი ბრიტანეთის პრემიერია, ოფიციალურად დაიწყო ბრექსიტი, ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გასვლის პროცედურა. რეფერენდუმმა გადაწყვიტა ამ ქვეყნის ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის ბედი, რომელიც 1975 წლის კენჭისყრამ განსაზღვრა. მაშინ ბრიტანელების 67 პროცენტი მიემხრო მათი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას, ბლოკიდან გასვლის მომხრე კი, 2016 წლის რეფერენდუმის შედეგებით, 51.89 პროცენტი იყო.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ, მაასტრიხტის ხელშეკრულების 50-ე პარაგრაფის შესაბამისად, ბრიუსელს ამცნო, რომ მისი ქვეყანა ევროკავშირიდან გასვლას იწყებს. მისი წერილის უშუალო ადრესატი იყო ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი, დონალდ ტუსკი, რომელმაც გამოაცხადა, ექვსგვერდიანი დოკუმენტის მიღების შესახებ ტერეზა მეისგან.

შესაბამისად, ხელშეკრულების თანახმად, ორწლიანი მოლაპარაკების შემდეგ (ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ 27-ვე წევრი მიემხრობა ამას), 2019 წლის 29 მარტს, ევროკავშირთან ბრიტანეთის საბოლოო გასვლა გაფორმდება. ტერეზა მეიმ, ამზადებდა რა ბრიუსელში გასაგზავნი წერილის წინაპირობებს, „მკაცრი ბრექსიტის“ 12-პუნქტიანი გეგმა წარადგინა. ამ გეგმით, დიდი ბრიტანეთი წყვეტს წევრობას ევროკავშირში, გამორიცხავს ყოველგვარ ნაწილობრივ თუ ასოცირებულ წევრობას, ქვეყანა ეთიშება ევროპის შიდა ბაზარს, ევროპის სასამართლოს, საბაჟო კავშირს. ორწლიანი მოლაპარაკების შედეგზე შემდგომ ბრიტანეთის პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და დაამტკიცოს ის. ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლას არაერთი პოლიტიკოსი მნიშვნელოვან დღედ მიიჩნევს. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა, დონალდ ტუსკმა, განაცხადა: „თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოს ეს ბედნიერი დღე იყოს ან ბრიუსელში, ან ლონდონში. ასეა თუ ისე, ევროპელების უმრავლესობა - მათ შორის, ბრიტანელი ამომრჩევლების თითქმის ნახევარი - ერთად დარჩენას ისურვებდა და არა ერთმანეთისაგან დაშორებას. რაც შემეხება მე, არ მოგატყუებთ, თითქოს დღეს ბედნიერი ვიყო“.

ევროკავშირის ლიდერები აცხადებენ, რომ არ აქვთ განზრახული დასაჯონ ბრიტანეთი იმისთვის, რომ ევროკავშირის დატოვება გადაწყვიტა, თუმცა მათი სურვილია, ევროკავშირიდან გასვლა არ გახდეს მიმზიდველ შესაძლებლობად სხვა ქვეყნებისთვის, სადაც გარკვეულ ძალებს არაერთხელ გამოუვლენიათ ანტიევროპული გრძნობები. ტუსკმა თავის გამოსვლაში ახსენა ერთი პარადოქსი, რომ ბრექსიტში არის რაღაც დადებითიც: „ბრექსიტმა ჩვენ, დარჩენილი 27 სახელმწიფო, უფრო მიზანდასახული გაგვხადა და მეტად გაგვაერთიანა, ვიდრე მანამდე ვიყავით. ამაში დარწმუნებული ვარ განსაკუთრებით რომში მიღებული დეკლარაციის შემდეგ. დღეს მინდა ვთქვა, რომ ჩვენ კიდევ უფრო მიზანდასახულები ვიქნებით და მეტად გავერთიანდებით მომავალში, მოლაპარაკების რთული პერიოდის მანძილზე“. ტუსკი გულისხმობდა განცხადებას, რომელიც ევროკავშირის 27-მა ქვეყანამ მიიღო რომში ბლოკის ხელშეკრულების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

ისტორიულ დღედ მიიჩნია ბრექსიტის დაწყება ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბორის ჯონსონს: „ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი და ისტორიული დღეა და ვფიქრობ, ჩვენს ევროპელ მეგობრებსა და პარტნიორებს აქვთ საფუძველი პოზიტიურად შეაფასონ წინადადებები, რომლებსაც ჩვენ ვთავაზობთ. დარწმუნებული ვარ, ასეც მოიქცევიან. ვფიქრობ, მოლაპარაკებებისას, გვაქვს საფუძველი, ძალიან იმედიანად მოველოდეთ შედეგს, რადგან ჩვენ ბრიუსელს ვთავაზობთ შეთანხმებას, რომელიც ორივე მხარისათვის მომგებიანია“.

ძირითადი ტექსტი.

დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებს ევროკავშირის შესაძლო დატოვებასთან დაკავშირებით, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ბევრი ითქვა იმ უარყოფით გავლენაზეც, რაც შეიძლება მოჰყვეს

ბრექსიტს როგორც დიდი ბრიტანეთისათვის, ასევე ევროკავშირისათვის. ბრექსიტის მომხრეების მხრიდან გავრცელებული არაერთი არასწორი ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საეჭვოა ბრიტანეთის ყველა მოქალაქეს გააზრებული ჰქონდეს რეფერენდუმის პოტენციური შედეგები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი უდავო გარემოება, ამ პერიოდმა კარგად გამოაჩინა ბევრი პრობლემა და გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას ევროკავშირი. შესაძლებელია, რომ ევროკავშირმა ეს მოვლენა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და წინსვლის შესაძლებლობა დაინახოს. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რომ დიდი ბრიტანეთი ყოველთვის იყო ევროკავშირის "ურჩი შვილი", რასი დასტურიც ისტორიულ წარსულშიც მოიძებნება. ბრექსიტი შესანიშნავი შესაძლებლობაა, რომ მოლაპარაკებები დაიწყოს ევროკავშირის ხელშეკრულებებზე და გატარდეს ფუნდამენტური რეფორმები. აგრეთვე უნდა ითქვას, რომ იმ დადებით შედეგებს რაც შეიძლება ბრექსიტმა ევროკავშირს მოუტანოს, შესაძლოა თან ახლდეს უარყოფითი გავლენა საქართველოზე.

რეფერენდუმის შედეგებმა კიდევ ერთხელ გაგვახსენა არასასურველი სიმართლე: კერძოდ ის, რომ ბრიტანეთის მოსახლეობას არამცთუ არ გაუზიარებია ევროპული ღირებულებები როგორც საკუთარი, არამედ ბოლომდე არასდროს დათანხმებულა ევროპულ ღირებულებებს. ევროკავშირი, ბევრი ბრიტანელისათვის იყო ეკონომიკური ერთობა და იმ ფონზე, როდესაც ახლა ევროკავშირი ერთდროულად მრავალი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, ბრიტანეთმა გადაწყვიტა მისი დატოვება. ეს პროცესი არის დემოკრატიული და ევროკავშირმაც პატივი უნდა სცეს წევრი სახელმწიფოს გადაწყვეტილებას.

ფუნდამენტური განსხვავებების გამო, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო საკითხებს, დიდი ბრიტანეთი ყოველთვის უპირისპირდებოდა ევროკავშირის სრულ ინტეგრაციას და ხელს უშლიდა მას წინსვლაში. 1946 წელს ჩერჩილის მიერ ევროპის შეერთებულ შტატებზე საუბარი სულაც არ გასდევდა ძირითად მოტივად ევროკავშირისა და ბრიტანეთის ურთიერთობას, პირიქით ისტორიას შემორჩა არაერთი მტკიცებულება დაძაბული უერთიერთობის არსებობისა. 1973 წელს, როდესაც ინგლისი ეკონომიკურ გაერთიანებაში შევიდა 1973 წელს, მუშათა პარტიამ დაიწყო ამ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა. ამბობდნენ, რომ მიუხედავად გეოგრაფიული მდებარეობისა, რომელმაც მათი ქვეყანა ევროპის ნაწილად მიიჩნია, დიდი ბრიტანეთი ამ გაერთიანების სრულად მაინც ვერ მიიღებდა. ის ფაქტი, რომ არც კონსერვატორები „ატარებდნენ გულით" ევროკავშირს, დაადასტურა მარგარეტ ტეჩერმა რომელმაც, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 1979 წელს გააკეთა შემდეგი განცახდება: „I want my money back" (მე მსურს დავიბრუნო ჩემი ფული). იგი ფიქრობდა რომ ბრიტანეთის შენატანი აღემატებოდა იმ შემოსავალს ევროკავშირიდან, რასაც ქვეყანა იღებდა და სურდა კიდეც ამ თანხის დაბრუნება. მარგარეტ ტეტჩერმა ევროსაბჭოს წინაშე არაერთხელ განაცხადა, რომ უპირსპირდებოდა ფედერალურ ევროპას და იდეას ევროკავშირის შესაძლო საკუთარი რესურსების თაობაზე. კრიტიკის ობიექტი იყო აგრეთვე საერთო მონეტაც.

ბრიტანეთი არ ყოფილა ევროზონის და არც შენგენის მხარე . უფრო მეტიც, რეფერენდუმამდე ჩატარებული მოლაპარაკებები რაც კამერონმა აწარმოა 27 ქვეყნის ლიდერთან, მხოლოდ და მხოლოდ ადასტურებს ბრიტანეთის ორმაგ პოლიტიკურ სტანდარტებს. (მოლაპარაკებები შეეხებოდა მიგრაციის, ეკონომიკისა და სუვერენიტეტის საკითხებს და ბრიტანეთმა მოლაპარაკებების ბოლოს თითქმის მიაღწია სასურველ შედეგს.)

ევროკავშირმა დიდი ბრიტანეთის გასვლა განვითარების შესაძლებლობად უნდა გამოიყენოს და განახორციელოს თავისი ამბიციური გეგმები ბრიტანეთის გარეშე. „კონტინენტურ ევროპას" აქვს უკეთესი შესაძლებლობა მიაღწიოს იმ ამბიციურ პროექტებს რომელიც დაისახა და გახდეს მეტად ინტეგრირებული. მაგალითისთვის ავიღოთ გაერთიანებული ფისკალური პოლიტიკა (ევროზონაში ასიმეტრული შოკების მოსაშორებლად), რაზეც თანხმობას ბრიტანეთი არასოდეს გასცემდა. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ევროპოლის გაძლიერება მისი კომპეტენციის გააზრდით და ა.შ. ეს იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალია, რომლის მიმართულებითაც შეიძლება ჩატარდეს რეფორ-მები, ევროლიდერებმა კი ეს შესაძლებლობა კარგად უნდა გაანალიზონ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანების შემქნიდან, დიდი ბრიტანეთი დაახლოებით 20 წლის შემდეგ შემოუერთდა მათ და სულაც არ აქვს ფუნდამენტალური როლი ევროკავშირის მშენებლობაში, პირიქით, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ის ყოველთვის უპირისპირდებოდა სრულ ინტეგრაციას.

დიდი ბრიტანეთმა არჩევანი გააკეთა გამხდარიყო „ისევ კუნძული", ეს დემოკრატიული პროცესია და ევროკავშირმა უნდა ისწავლოს მის გარეშე ცხოვრება.

შექმნილი მდგომარეობა კრემლისთვის ალბათ სასიამოვნოა. „მოსკოვი" უკვე დიდი ხანია ეძებს შესაძლებლობას რომ იხილოს დასუსტებული ევროკავშირი, ბრექსიტით კი მისი ეს მიზანი ადვილად მიღწევადია, ისე რომ თავად არანაირი

მოქმედება არ მოუწევს.

„დანაწევრებული“ ევროპა უახლოეს მომავალში დაკავებული იქნება მხოლოდ საკუთარი შიდა პრობლემებით, უკეთესი ინტეგრაციისათვის ზომების მიღებით, ეს კი პუტინს აძლევს საშუალებას, ძალები გაიმაგროს. ასევე ალბათობა იმისა რომ ევროკავშირის რუსეთისადმი მკაცრი დამოკიდებულება შეიცვალოს დიდია. მოსკოვის მერმა სერგეი სობინინმა აღნიშნა – **„დიდი ბრინატეთის გასვლის შემდეგ, ევროკავშირში არავინ დარჩება ვინც რუსეთისადმი სანქციების გამკაცრების იდეას დაიცავს .“** რუსეთის მიმართ გერმანიისა და საფრანგეთის დამთობი პოლიტიკის ფონზე, ბრექსიტს შესაძლოა მოჰყვეს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯები.

ბრიტანეთი საქართველოსთვის ერთ-ერთი მტკიცე მოკავშირე და მხარდამჭერი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იყო. მისი საგარეო პოლიტიკიდან აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებულ სადამკვირვებლო მისიაში (EUMM Georgia) გაერთიანებულმა სამეფომ ევროკავშირის მისიებში მონაწილეობის საკუთარ ისტორიაში ერთ-ერთი დიდი შენატანი გაიღო (კოსოვო – 40 კაცი, საქართველო – 19, ავღანეთი - 9). იმ გარემოებამ, რომ საქართველომ ბრიტანეთის სახით მხარდამჭერი დაკარგა, ახლო მომავალში სავარაუდოდ მოახდენს ჩვენს სახელმწიფოზე უარყოფით გავლენას.

შოტლანდიაში ევროკავშირის მომხრეები აცხადებენ, გარდაუვალია გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მდგომარეობას თუ მივიღებთ მხედველობაში, შოტლანდიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ შესაძლოა ბიძგი მისცეს მსგავს ტენდენციას სხვა ქვეყნებში და მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავდება, შოტლანდიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ შეიძლება დააზიანოს საქართველოს ეროვნული ინტერესები. განსაკუთრებით სახიფათოა ეს ტენდენცია იმ ფონზე როდესაც ევროკავშირი უფრო შიდა პრობლემების მოგვარებით იქნება დაკავებული და სავარაუდოდ ჩვენთვის არ ეცლება. ასეა თუ ისეა ფაქტია რომ ევროკავშირი თავისიი ისტოორის მანძილზე ერთ-ერთ სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას და მხოლოდ დრო გვანახებს რამდენად მოახერხებენ ევროპელი ლიდერები არსებული კრიზისის დაძლევას.

23 ივნისს რეფერენდუმში მცირე უპირატეობით ბრიტანელებმა ბრექსიტს მისცეს ხმა. ამომრჩეველთა 51.9 პროცენტმა დიდი ბრიტანეთის ევროკავშირდან გამოსვლას, 48.1%-მა კი ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი. წინასარეფერენდუმო პერიოდი უმძიმესი პოლიტიკურ-სოციალური ექსცესების ფონზე მიდიოდა ბრიტანეთში. საზოგადოება გახლეჩილი იყო მომხრე-მოწინააღმდეგეებად, კამათი და დიალოგი აბსოლუტურად ყველა სოციალური ფენისა თუ ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის უმწვავესი დაძაბულობის ფონზე მიდიოდა. კუნძულზეც ვერ მალავდნენ შეშფოთებასა და მძიმე მოლოდინს ამ ამბის გამო. ბრექსიტი დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტურ ევროპაში სერიოზული, ტურბულენტური რყევების მომტანი იქნება მომავალში: ეს ეხება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თუ გეოპოლიტიკურ პროცესებს. თუმცა, ეს მომავალი უკვე დადგა: დღეს ფუნტი საგრძნობლად დაეცა დოლართან მიმართებაში - მთელი 10 პროცენტით, ასეთი მაჩვენებელი 1985 წლიდან არ ყოფილა.

ბრექსიტის მომხრეების არგუმენტები, ძირითადად, ოთხ პუნქტად იყო ჩამოყალიბებული: დიდი ბრიტანეთი არის მესამე ყველაზე დიდი გადამხდელი ქვეყანა ევროკავშირის ბიუჯეტში. მათი აზრით, ეს ჰაერში გაშვებული 5 მილიარდია.

ევროკავშირიდან ემიგრირებულები ამძიმებენ სოციალურ სისტემას: 3.3 მილიონი ევროკავშირის მოქალაქეა ბრიტანეთში ემიგრირებული. მათი დიდი ნაწილი პოლონეთიდანაა. ისინი ართმევენ სამუშაო ადგილებს ადგილობრივებს.

ლტოლვილთა კრიზისი მათ მიერ აღქმულია, როგორც ევროკავშირის მიერ ინიცირებული პრობლემა. თურქეთის ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივის სრული მიუღებლობა.

ევროკავშირი აღიქმება, როგორც ბიუროკრატიული მონსტრი, რომელიც ბრიტანეთის ნაციონალურ სუვერენიტეტს აზიანებს.

ბრექსიტის მოწინააღმდეგები მოსახლეობას აფრთხილებდნენ უპირატესად ეკონომიკური შედეგების თაობაზე:

- ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, ბრექსიტის შემდგომ ყოველი ბრიტანული ოჯახი 4300 ფუნტს დაკარგავს წელიწადში.
- 2020 წლისათვის იქნება სავარაუდოდ, 100 მილიარდი ფუნტის ეკონომიკური ზარალი.
- 950 000 სამუშაო ადგილს შეექმნება საფრთხე. პროფესიული გაერთიანებების ვარაუდი უფრო დრამატულია: 4 მილიონი სამუშაო ადგილი საფრთხის ქვეშაა, განსაკუთრებით კი, ექსპორტთან დაკავშირებულ სფეროებში, საავტომობილო და ქიმიურ ინდუსტრიაში.
- ბევრი ფირმა კონტინენტურ ევროპაში გადავა. შემცირდება პირდაპირი ინვესტიციები.

ვაჭრობის სფეროში თავისუფალი ბაზარი, რასაკვირველია, დარჩება, თუმცა, ევროპულ ბაზარზე მოხდება ბრიტანული საქონლის მიწოდების შეზღუდვა, ან ამ უფლებისათვის მათ უფრო

მეტის გადახდა მოუწევთ ევროკავშირის ბიუჯეტში. ისევე როგორც პირიქით, ეს პროცესები ძალიან დამაზიანებელი იქნება კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაც. გერმანიისთვის დიდი ბრიტანეთი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია ევროპაში. ლონდონში, როგორც ფინანსური მეტროპოლი, დაკარგავს ევროკავშირთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებსაც, მას „ჩამოართმევენ“ ამ დატვირთვას, რაც, რა თქმა უნდა, სამუშაო ადგილების შემცირების ხარჯზე მოხდება.

ასევე, თუ ლონდონი შეზღუდავს ევროკავშირიდან მიგრაციის პროცესებს, ანალოგიურ საწინააღმდეგო დინებებსაც უნდა ელოდოს მეორე მხრიდანაც.

მომავალში დიდი ბრიტანეთის მიმართება კონტინენტურ ევროპასთან, შესაძლოა, რამდენიმე უკვე ცნობილი მოდელის მიხედვით დარეგულირდეს:

- ♦ ნორვეგიის მოდელი: ევროპული ბაზრის თავისუფალი ხელმისაწვდომობა, ოღონდ, დიდი გადასახადების პირობებში. ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს დაანგარიშებით, ეს ბრიტანულ ეკონომიკას წელიწადში დაახლოებით, 4 პროცენტ დანაკარგად დაუჯდება.
- ♦ შვეიცარიის სცენარი: შემთხვევიდან შემთხვევამდე ყოველ კონდიციაზე ცალკეული შეთანხმება. ეს ექსპერტთა აზრით შეამცირებს შიდა პროდუქტს 6 პროცენტით.
- ♦ WTO -ს სცენარი: დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტურ ევროპას შორის ვაჭრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პირობებით, რაც წლიურად 7.5 პროცენტის ზარალს მოუტანს ბრიტანეთის ეკონომიკას. ბაჟის გადახდა იქნება აუცილებელი პირობა.

ჯერ კიდევ უცნობია, თუ რომელ მოდელზე შეთანხმდებიან ბრიტანეთი და ევროკავშირი. თუმცა, დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარისათვის ეს მხოლოდ დანაკარგებს ნიშნავს. ბიუროკრატიისთვის კი კოლოსალურ შრომას: მესამე ქვეყნებთან მინიმუმ 50 თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ექნებათ დასადები, 80 000 საკანონმდებლო აქტის ჩათვლით.

როგორც ჩანს, ბრექსიტის შედეგები მალე დადგება როგორც ბრიტანული, ასევე ევროკავშირის ეკონომიკებისათვის, რაც სერიოზულ რყევებს, საზიანო ცვლილებებსა და დანაკარგს გულისხმობს ორივე მხარისათვის. იმედი ვიქონიოთ, რომ არა ფატალური შედეგებით.

ვფიქრობ, ბრექსიტი სწორედ ის ეპოქალური მოვლენაა, რომელიც ადასტურებს, რომ აუცილებელია გლობალიზაციის ახალი სახეობის ფორმირება, გლობალიზაციისა, რომელიც შეიძლება ბევრად უკეთესი იყოს, ვიდრე სტატუსკვო, რომელსაც ბრიტანელმა ამომრჩველება უარი უთხრეს.

თავისი არსით, ბრექსიტი ასახავს რეალობას, რომელიც გავრცელებულია მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში: მზარდი მხარდაჭერა პოპილისტური პარტიებისადმი, რომლებიც მიგრაციის პოლიტიკის გამკაცრება ემხრობიან. ევროპის და შეერთებული შტატების მოსახლეობის თითქმის ნახევარს, დიდწილად ამომრჩევლებს მუშათა კლასიდან, მიაჩნიათ, რომ მიგრაციის პროცესი უკონტროლო გახდა, რითაც საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგს და კულტურულ ნორმებს.

ბრექსითის კამპანიის აქტიურ ფაზაში, გავრცელდა ცნობა, რომ 2015 წელს დიდ ბრიტანეთსი, სუფთა იმიგრაციამ 333 000 ადამიანი შეადგინა, რაც სამჯერ აღემატება მთავრობის მიერ მანამდე გამოცხადებულ მონაცემებს 100 000 ადამიანის შესახებ. ეს ინფორმაცია დაემთხვა სირიელ დევნილებთან დაკავშირებულ კრიზისის პიკს, სირიელი მიგრანტების და პირველი მიგრანტების იმედგაცრუებული შვილების მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტებს, ასევე გერმანიასა და სხვა ქვეყნებში ემიგრანტების მხრიდამ ქალებსა და გოგონებზე თავდასხმების შესახებ გახმაურებულ ცნობებს.

ბრექსიტის მოკლევადიანი შედეგები უკვე აშკარაა. ფუნტი 31 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ მიშნულამდე დაეცა, უახლოესს მომავალში. ლონდონის სიტი აღმოჩნდება სერიოზული გაურკვევლობის, სამუშაო ადგილების დაკარგვის და ბონუსების ჩამოშლის პირისპირ, უძრავი ქონების ფასი ლონდონში დასტაბილურდება, ევროპაში დიდია დომინოს ხანგრძლივი ეფექტის რისკი, მათ შორის შოტლანდიის დამოუკიდებლობა, შესაძლოა კატალონიის დამოუკიდებლობაც, ევროკავშირის ფარგლებში ადამინების თავისუფლად გადაადგილებაზე უარი, ანტიიმიგრაციული პოლიტიკოსების სწრაფი აღზევება, სხვა ქვეყნებმაც შეიძლება ჩაატარონ რეფერენდუმი და ზოგიერთმა მხარი დაუჭიროს ევროკავშირიდან გასვლას.

ევროპაშიიზრდება მოწოდებები დასაჯონ დიდი ბრიტანეთი - სიგნალი მათთვის, ვინც მსგავს ნაბიჯზე ფიქრობს, ეს იქნება ევროპული პოლიტიკის გამოვლინება მისი ყველაზე სუსტი სახით, ვინაიდან ვფიქრობ ამის ნაცვლად, დანარჩენმა ევროკავშირმა უნდა გაანალიზო საკუთარი შეცდომები და გამოასწოროს ის. დიდი ბრიტანეთის დასჯა, მაგალითად მისი არდაშვება ერთიან ევროპულ ბაზარზე, მხოლოდ ევროკავშირის ნგრევის გაგრძელებით დასრულდება.

არსებობს რამდენიმე ნაბიჯი იმისთვის, რომ შევასუსტოთ შემდგომი კატასტროფული საპასუხო ჯაჭვური რეაქციები მოკლევადიან პერსპექტივაში და იმავდროულად რეფორმისგან მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს ნაბიჯები შეიძლება იყოს შემდეგი: პირველ

რიგში, სირიაში ომის სასწრაფოდ დასრულება და ამით დევნილების ტალღის შეჩერება; ამერიკის CIA-ს და საუდის არაბეთის ალიანსის შეწყვეტა, რომელიც ბაშარ ასადის დამხობას ისახავს მიზნად, რაც ასადს (რუსეთის და ირანის მხარდაჭერით) საშუალებას მისცემს დაამარცხოს „ისლამური სახელმწიფო“ და სირიაში სტაბილურობას მიაღწიოს. ევროპაში დევნილების კრიზისის მნიშვნელოვანი მიზეზია ამერიკის ვნება შეცვალოს რეჟიმები (ავღანეთში, ერაყში, ლიბიასა და სირიაში). ამ ვნებისგან განთავისუფლება ხელს შეუწყობდა ახალი დევნილების სახლებში დაბრუნებას.

მეორე, შეწყდეს ნატოს გაფართოება. ახალი ცივი ომი რუსეთთან, ამერიკის მიერ მოფიქრებული და ევროპულ გულუბრყვილობასთან ნაზავი, კიდევ ერთი შეცდომაა. ნატოს გაფართოების შეწყვეტა ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შემცირებას და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას, უკრაინის სტაბილიზაციას, ასევე ყურადღების კონცენტრირებას ევროპული ეკონომიკისა და ევროპულ პროექტზე.

მესამე, ბრიტანეთის დასჯაზე უარის თქმა. ამის ნაცვლად, უნდა გამკაცრდეს კონტროლი ეცროკავშირის სახელმწიფოების საზღვრებზე არალეგალი მიგრანტების შესაჩერებლად. ეს არის არც ქსენოფობია, არც რასიზმი და არც ფანატიზმი. ეს საღი აზრია, როდესაც მსოფლიოს იმ სახელმწიფოებმა (დასაცლეთ ევროპა), რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის უფრო გულუზვი პირობები აქვთ უარი უნდა უთხრან მილიონობით პოტენციურ მიგრანტს.

მეოთხე, საართლიანობისა და შესაძლებლობების განცდის დაბრუნება უკმაყოფილო მუშათა კლასში და იმ ადამიანებში, რომელთა საარსებო სახსრები განულდა ფინანსური კრიზისებით და სამუშაო ადგილების შემცირებით. ეს ნიშნავს სოცუალურ-დემოკრატიული სულისკვეთებით მოქმედებას, მნიშვნელოვანი სოციალური ხარჯების გაწევას ჯანდაცვაზე, განათლებაზე, პროფესიულ სწავლებზე და ოჯახის მხარდაჭერაზე, რაც ფინანსდება მდიდრების გადასახადების ხარჯზე და საგადასახადო თავშესაფრების დახურვა, რომელიც ზღუდავს სახელმწიფო სახსრებს და ამწვავებს ეკონომიკურ უსამართლობას. და ბოლოს ეს ნიშნავს, საბერძნეთისათვის ვალის ტვირთის შემსუბუქებას და ამით ევროზონის გაჭიანურებული კრიზისის დასრულებას.

მეხუთე, რესურსების მათ შორის დამატებითი დახმარების მობილიზება ეკონომიკურ განვითარებაზე და არა ომებზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. უკონტროლო მიგრაცია დღევანდელი ღარიბი და კონფლიქტებით მოცული რეგიონებიდან გადაულახავი გახდება მიუხედავად მიგრაციის სფეროში პოლიტიკის წარმოების, თუკი კლიმატის ცვლილება, უკიდურესი სიღარიბე, უნარების და განათლების არარსებობა ძირს უთხრის აფრიკის, ცენტრალური აზიის განვითარებას.

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული პოზიტიური მოვლენების მიუხედავად (როგორიცაა უვიზო მიმოსვლის მინიჭება საქართველოსთვის), ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების მომავლის პერსპექტივა მაინც არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურება. გაურკვეველია, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. უფრო მეტიც, ბრექსიტის, გამო ევროკავშირი-საქართველოს მომავალი ურთიერთობები, შესაძლოა, მომდევნო წლებში უფრო მეტად ბუნდოვანი გახდეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ბევრი რამ ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობებზეცაა დამოკიდებული.

დასკვნა. შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც „ბრექსითის“ პროცესი მთლიანად დასრულდება, საქართველო დაკარგავს თავის ერთ-ერთ მთავარ მხარდამჭერს ევროკავშირში. ტრადიციულად, ბრიტანეთი საქართველოს ინტერესების დიდი მხარდამჭერი იყო. მაგალითად, 2008 წელს პრემიერმინისტრმა გორდონ ბრაუნმა დაგმო აგვისტოს ომი, როგორც რუსეთის “უწყვეტი აგრესია”, ხოლო საგარეო მდივანმა დევიდ მილიბანდმა ევროკავშირი-რუსეთის პარტნიორობაზე მოლაპარაკებების შეჩერებაზე არაერთი მოწოდება გააკეთა. ასევე, ბრიტანეთი მხარს უჭერდა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების რატიფიკაცია რიგის 2015 წლის სამიტის წინ მოახდინა, რითაც მან თავისი მხარდაჭერა აჩვენა. უკანასკნელ პერიოდს რაც შეეხება, მაგალითად, 2016 წელს საგარეო მდივანმა ფოლიპ ჰამონდმა საქართველოს “უსაფრთხოების საკითხებში მნიშვნელოვანი საერთაშორისო პარტნიორი და რეგიონული დემოკრატიის მისაბაძი მაგალითი” უწოდა და, ამასთანავე, რუსეთის მიერ მის მეზობლებზე განხორციელებული ძალადობა დაგმო. თუმცა გადაჭრით ძნელია თქმა მომავალში რა გავლენას მოახდენს ბრექსიტი საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე ს. „ევროკავშირის პოლიტიკა“. თბილისი 2006 წ.
2. ლომთაძე გ. „ვიზალიბერალიზაციის პროცესი და მისი შეფერხების მიზეზები“. თბილისი 2016 წ.
3. სარჯველაძე მ. „საქართველოს ვიზალიბერალიზაცია და გერმანია - გაჭიანურების პოლიტიკა და მისი მიზეზები“. თბილისი 2016
4. გეგეშიძე ა. „გეოპოლიტიკა“, თბილისი; 1999
5. მ გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი და დაძაბულობის ესკალაცია რეგიონში, ჟურნ. „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“, (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი) თბილსი 2013
6. კუპატაძე ა. „რას ნიშნავს “ბრექსითი” ევროკავშირისთვის, რუსეთისა და საქართველოსთვის?“ თბილისი 2017 წელი.
7. ტაბატაძე მ. „ბრექსიტის დადებითი შედეგები“ თბილისი 2016 წ.
8. ბენ რაილ სმიტი „ევროკავშირის დატოვებისა და დარჩენის მომხრეთა არგუმენტები“ ლონდონი 2016
9. გრიგოლია ი. „ბრექსიტი და მისი ეკონომიკური შედეგები“ თბილისი 2016 წ.
10. დოლიძე თ. „საქართველოს მოწყვლადობა ევროკავშირის გაურკვეველი მომავლის მიმართ“ თბილისი 2017 წ.
11. შეთანხმება ევროპის კავშირსა და საქართველოს შროსი ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შესახებ.
12. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც თან ახლავს დოკუმენტს „მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“. ბრიუსელი , 18 დეკემბერი, 2015.

EU Crisis: Brexit and Modern Challenges

Beka Namoradze, PhD student of Gerogian Technical University

Summary

Great Britain’s withdrawal from the EU is discussed in the article. The focus is on the causes which were the fundamental factors behind the brexit, what arguments did brexit supporters and opponents had. Also one of the topic discussed in the article is what impact will Brexit have on the EU economy. Will Brexit strengthen the influence of Russian Federation on the European continent. What influence will Brexit have on Georgia-EU relations.

Keywords: EU, UK, Brexit, crisis

თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირში.

მარიამ ღაჭავა, მაგისტრი
პომპეუ ფაბრა, ბარსელონა, ესპანეთი

რეზიუმე

ნაშრომში გადმოცემულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიდან მომდინარე საფრთხეები, რომელთა არსებობაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ და სტაბილურ განვითარებას. უშუალოდ, განხილულია ტრანსნაციონალური დანაშაულის არსი და მისი დამახასიათებელი თვისებები, გაეროს კონვენციის მიხედვით, რომელიც მიღებულია 2000 წლის 15 ნოემბერს. წარმოდგენილია საქართველოში არსებული მდგომარეობა და გააანალიზებულია სახელმწიფო გამოწვევები, რომელიც უკავშირდება გეოპილიტიკურ მდებარეობას და კონფლიქტურ რეგიონებს. ნაშრომში ადგილი ეთმობა, ევროავშირში ადაფტირებულ მიდგომებს, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებაში. გამოყოფილია რეფორმები, რომელიც ევროკავშირმა დროთა განმავლობაში განახორციელა და ევროკავშირში შესვლის მსურველ სახელმწიფოთა შესასრულებელ კრიტერიუმებად აქცია. შედარების შედეგად, ნაშრომში გააანალიზებულია საქართველოსა და ევროკავშირის დამოკიდებულება ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან, სადაც განსაზღვრულია მსგავსება და განსხვავება მიდგომებთან მიმართებში.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული; საერთაშორისო დანაშაული; საზღვარი; ტერორიზმი.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობათა გაფართოებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის მეთოდების დახვეწას. ამისდა საპასუხოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2000 წლის 15 ნოემბერს მიღებული იქნა კონვენცია ,,ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ", რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხელის შეწყობა თანამშრომლობას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის უფრო ეფექტურად თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კონვენციის მიხედვით, დანაშაული ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს, თუ იგი: ა)ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში; ბ) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში; გ)ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; ან დ) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება სხვა სახელმწიფოში. კონვენციის მე-5, მე-6 მე-8 და 23-ე მუხლებში კრიმინალიზირებულ ქმედებად მიიჩნევა: დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობა, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია (გათეთრება), კორუფცია, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა[1]. ტრანსნაციონალური დანაშაული თავისი არსით დაკავშირებულია სახელწმიფოთა გეოგრაფიულ მდებარეობასთან, რომელსაც თან ახლავს საზღვრის კვეთის უკანონო ქმედებანი. დანაშაულებრივ ქმედებათა ერთობლიობით იქმნება გაუკონტრილირებელი ზონები ან რეგიონები, რომელთა კონტროლი სახელმწიფოთა იურისდიქიას სცდება. ტრანსნაციონალური დანაშაულის ხასიათიან გამომდინარე, რომ არა სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივი თანამშრომლობა, შეუძლებელი გახდებოდა, დამნაშავეთა კანონის წინაშე წარდგენა და შესაბამისი სასჯელის დაკისრება.

ძირითადი ნაწილი

გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, საქართველო წარმოადგენს იმ ტერიტორიას, სადაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონისთვის,რაცდაკავშირებულიასაქართველოს სატრანზიტო ფუნქციასთან, რასაც თან ერთვის, საშიშროება, ოკუპირებული ტერიტორიებს არალეგალური საქმიანობისათვის გამოყენებასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომაც, ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" მე-3 თავის ,,საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები" მე-8 ქვეთავში ,,საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა" გარკვეული აქენტებია გაკეთებული ტერორისტების მიერ საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით გამოყენების საფრთხეზე, რის გამოც, სახელმწიფო ორგანოების, მიერ

[1]https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0

გაძლიერებულია საზღვრის დაცვა და საბაჟო კონტროლი, ასევე აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს მეზობელ სახელმწიფოებთან - თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან - კონტრტერორისტული და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში[1].

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე სათანადო რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და დადებით შედეგებზე ორიენტირებული მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. საქართველო არის უსაფრთხოების სფეროში არსებული არაერთი საერთაშორისო კონვენციის მონაწილე მხარე. ამ მხრივ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს 2016 წლის ივნისში ხელმოწერილ შეთანხმებას „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“[2]. შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ყველა მიმართულებით საკუთარი უსაფრთხოების გაძლიერება, რომელიც საერთო ინტერესს ეფუძნება და რეალური შედეგის მომტანი იქნება, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში, ასევე სხვა გლობალური პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისას[3].

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გაფართოებასთან ერთად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დაიწყეს მუშაობა უსაფრთხოებაზე, რომელსაც მოასწავებდა დანაშაული, ტერორიზმი, ნარკოტიკები და გარემოს დაბინძურება. უსაფრთხოების პოლიტიკა შეიქმნა 1980 – იანი წლების ბოლოს და 90 – იანი წლების დასაწყისის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც არ სცნობდა ეროვნულ საზღვრებს და საერთო უსართხოებას ემსახურებოდა. ევროპის მასშტაბით შეიქმნა შესაბამის სტრუქტურები და სპეციალური სააგენტოები, რომელთა კომპეტენციაც ვრცელდება ევროპის მთელ რეგიონზე და მათ აქვთ ლეგიტიმაცია უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. რაც შეეხება ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების მოდელს, აწყობილია ორ მიმართულებაზე. პირველმა მიმართულებამ მოიცვა, საერთო მყარი საზღვარი, რომელიც გაართულებდა ნარკომანიისა და სხვადასხვა სახის დანაშაულის შეღწევადობას შენგენის ზონაში, ხოლო მეორე მიმართულება იყო ევროკავშირის თანამშრომლობა საპოლიციო და სასამართლო სფეროებთან. ევროკავშირში გაწევრიანების მსურველმა სახელმწიფომ ან ასპირანტმა სახელმწიფომ, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გავრცელების საპრევენციო ზომების გატარების მიზნით, უნდა განახორციელოს რეფორმები შიდა კანონმდებლობაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სტრუქტურებში, პოლიციისა და საბაჟო სამსახურებაში, რაც საბოლოოდ გარკვეული გარანტიების მომცემი იქნება საერთო უსაფრთხოების კუთხით[4].

საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმების“ პრაქტიკული შესრულების შესაძლო ვარიანტი, გაწერილია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგში, რომელიც ეყრდნობა 2014-2016 წლებში განხორციელებულ დღის წესრიგს. 2017-2020 წლების დღის წესრიგის სხვა პრიორიტეტებთან ერთად მოიცავს, მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების მიმართულებებს. საზღვრის დაცვისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელ წინაპირობად არის მიჩნეული, საქართველოს სახელმწიფოს 2014-2018 წლების ინტეგრირებული სტრატეგიის და მისი თანმხლები სამოქმედო გეგმის ეფექტური შესრულება, ასევე სასაზღვრო შემოწმებებისა და სასაზღვრო ზედამხედველობის მაღალი დონის შენარჩუნება სასაზღვრო მიგრაციის ადმინისტრირებისა და ანგარიშგების სისტემის (BMARS) დახმარებითა და სასაზღვრო ოპერაციების მართვის სისტემის (BOMS) პროექტის იმპლემენტაციით. საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორგანიზებულ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს გარდაუვალ აუცილებლობას, ხოლო ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტიანად გამკლავების მიზნით, დაგეგმილია თანამშრომლობის შემდგომი განვითარება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს შორის, მათ შორის, ევროპის პოლიციის სამსახურთან (EUROPOL) თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაცია და CEPOL-თან თანამშრომლობის გაგრძელება სამართალდამცავი ორგანოების ტრენინგის მიზნებისთვის. გარკვეული ადგილი უკავია უკანონო ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც მოიცავს ნარკოტიკული საშუალებების საკითხთან დაკავშირებით დაბალანსებული და ინტეგრირებული მიდგომის უზრუნველყოფის გაგრძელებას, რათა შესაძლებელი გახდეს ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ჯანმრთელობისა და სოციალურ პრობლემებთან გამკლავება. გეგმის მიხედვით, მიზანშეწონილია რეგულარული დიალოგის გაგრძელება აღმოსავლეთ პარტნი-

[1] საქართველოს ეროვნული უსფრთხოების კონცეფცია - https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

[2] https://ssg.gov.ge/page/info/international-cooperation

[3] შეთანხმება ,,საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“

[4] Organised Crime, Security and the European UnionDraft Paper for the ESRC Workshop, Grenoble Dr Wyn Rees, University of Leicester. Page 13-15

ორობის ფარგლებში ნარკოტიკული საშუ-ალებების შესახებ, რომლის რეალურ სახესაც წარ-მოადგენს თანამშრომლობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შემდგომი განვითარება, მათ შორის, ევროპის ნარკოტიკული საშუალებებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრსა (EMCDDA) და იუსტიციის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის ადაფტაცია არსებულ რეალობასთან. გეგმის საპრევენციო ზომები, ეხება ასევე ფულის გათეთრებასა და ტერორიზის დაფინანსების საკითხს. აღნიშნული მიმართულების დანერგვა პირველ რიგში ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებას გულისხმობს, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ბაზის განვითარებას. ტერორიზმის დაფინანსების თაობაზე ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციით გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის გაგრძელებას. ჩამორთმევის, ქონების აღდგენისა და ქონების განკარგვის საკითხებზე ოპერატიული თანამშრომლობის გაუმჯობესებას საქართველოს შესაბამის ორგანოებსა და ევროკავშირის ქონების აღდგენის სამსახურს შორის ეფექტიანი კომუნიკაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაცვლის გზით. ტერორიზმი, როგორც ფენომენი მსოფლიო მასშტაბით მეტად მნიშვნელოვანს საფრთხეს წარ-მოადგენს. ამიტომაც ცალკე პუნქტად არის შესული გეგმაში, ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობა. თანამშრომლობის სახე განსაზღვრულია შეთანხმებით, რომელიც ევროკავშირის სამართლებრივ თანამშრომლობის სააგენტოსთან (Eurojust) ოპერატიულ თანამშრომლობას გულისხმობს, ეფექტიანი და ინტენსიური ზომების მიღების მიზნით[1].

დასკვნა

მეცნიერები ცდილობენ შესაბამისი შეფასება მისცენ, საფრთხეთა მასშტაბებსა და ხარისხს, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიდან მომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი დანაშაულის ამგვარ სახეს განიხილავენ არა როგორც ორგანიზებული დანაშაულის "ტრადიციული" ფორმების მოდიფიკაციას, არამედ, როგორც საქმიანობის პრინციპულად ახალ სახეობას. დანაშაულის მრავალსახოვანი ბუნება შესაძლებლობას აძლევს დამნაშავეებს, სწრაფად გაზარდონ კრიმინალური შემოსავლები, რაც აისახება სახელმწიფოთა ეკონომიკურ სტაბილურობასა და დემოკრატიის განვითარებაზე[2].

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული თავისი არსით მრავალმხრივ ქმედებასთან ასოცირდება და სცდება ერთი ქვეყნის საზღვარს. შეიძლება ითქვას, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლასთან მიმართებაში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ვითარდება იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც ევროკავშირმა ათეული წლების უკან გაიარა და შემდგომ გარკვეული კრიტერიუმები დააწესა ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. ფაქტობრივად ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შედგენილი 2017-2020 წლის დღის წესრიგი იდენტურია ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ და-ნაშაულთან ბრძოლის მეთოდების შედარების შედეგად ვხედავთ, რომ მეთოდებს შორის განსხვავება თითქმის არ არსებობს. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციამ და გაერთიანების სწრაფვამ, საქართველოს უნდა მოუტანოს მინიმუმ დემოკრატიული ინსტიტუციების დახვეწა და განვითარება, თუმცა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დროს აუცილებელია გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ქვეყნის წინაშე წარმოდგენილი საფრთხეების გათვალისწინება, კონფლიქტური რეგიონების თვალსაზირისით.

[1] Association agenda between the European Unionand Georgia 2017-2020 Page 28-32.

[2] Edwards A. and Gill P. 2003. Transnational Organized Crime; Perspectives on Global Security. London: Routledge. Page 34

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კონვენცია ,,გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ 2000 წ. 15 ნოემბერი; https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485286?publication=0
2. საქართველოს ეროვნული უსფრთხოების კონცეფცია; https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf
3. ინფორმაციული ცნობა ,,საერთაშორისო თანამშრომლობა“; https://ssg.gov.ge/page/info/international-cooperation
4. შეთანხმება ,,საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ 2016 წ. 23 ივნისი; https://matsne.gov.ge/ka/document/view/3572943?publication=0
5. Organised Crime, Security and the European UnionDraft Paper for the ESRC Workshop, Grenoble Dr Wyn Rees, University of Leicester. Page 13-15 ;
6. ASSOCIATION AGENDA BETWEENTHE EUROPEAN UNIONAND GEORGIA 2017-2020 Page 28-32. ;
7. Edwards A. and Gill P. 2003. Transnational Organized Crime; Perspectives on Global Security. London: Routledge. Page 34;

International legal framework for co-operation and comparative analysis of methods for combating transnational organized crime in Georgia and the European Union

Mariam Ghachava, Master Pompeo Fabra, Barcelona, Spain

Summary

The paper outlines the dangers posed by transnational organized crime, which existence obstruct the economic and sustainable development of the country. The essence of transnational crime and its characteristics are discussed, according to the UN Convention adopted on November 15, 2000. It is presented the current situation in Georgia and is analyzed the state challenges related to geopolitical location and conflict regions. The paper focuses on EU-adapted approaches to transnational organized crime. Reforms implemented by the EU over time and made by the criteria for countries wishing to join the EU are highlighted. As a result of the comparison, the paper analyzes the attitudes of Georgia and the EU towards transnational organized crime, which identifies similarities and differences in approaches.

Keywords: Transnational Organized Crime; International crime; Border; Terrorism.

სამართალმცოდნეობა

LAW

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სირთულეები კერძო და საჯარო სექტორში ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს

ლია აბლოთია, სტუდენტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკატერინე დემეტრაშვილი, იურისტი

რეზიუმე

პერსონალურ მონაცემთა დაცვა XXI-ე საუკუნის ნამდვილ გამოწვევად იქცა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს ვიდეოთვალთვალის განხორციელების დროს ბალანსის შენარჩუნება ერთი მხრივ, საჯარო ინტერესებსა და მეორე მხრივ, პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას შორის. ნაშრომში დასმულია კონკრეტული პრობლემები, როგორიცაა მონაცემთა დამმუშავებლის მხრიდან ვიდეოსათვალთვალო სისტემის უკანონო ან ფორმალურად კანონიერი, თუმცა არაპროპორციული გამოყენება როგორც კერძო და საჯარო სექტორში. პრობლემატურია ვიდეომონიტორინგის განხორციელების რეალური მიზენების გაუთვიცნობიერებლობაც. ვიდეოთვალთვალის განხორციელების ზოგადი მიზნებია: დანაშაულის თავიდან აცილება, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისგან დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვა.[1] სწორედ ამიტომაა აუცილებელი, ვიდეოთვალთვალი აღქმული და გამოყენებული იქნეს როგორც მონაცემთა დამუშავების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი საშუალება. ამასთან, ვიდეოთვალთვალის სისტემა აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ კანონით დადგენილი მიზნებით. სხვა, პირადი და კანონისგან განსხვავებული მიზნებით ამ სისტემის გამოყენება დაუშვებელია. ასევე, უმნიშვნელოვანესია ვიდეოთვალთვალის სისტემის, როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი საშუალების განხილვა და იმ პრობლემების თუ ხარვეზების გამოყოფა, რაც ამ პროცესებთანაა დაკავშირებული. ასევე, კვლევა ემსახურება ამ ხარვეზების გამოსწორების ეფექტური გზების მოძიებას და რეკომენდაციების გაცემას.

საკვანძო სიტყვები: ვიდეოთვალთვალი, პერსონალური მონაცემების დაცვა, კერძო დაწესებულებები, საჯარო დაწესებულებები, პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი.

შესავალი

დღეს ვიდეოსათვალთვალო სისტემა, როგორც პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი გზა, აქტიურად გამოყენებადია, როგორც კერძო და საჯარო დაწესებულებების, ისე ფიზიკური პირების, თუ სამართალდამცავი ორგანოების მიერ. იქიდან გამომდინარე, რომ ვიდეოთვალთვალი მიჩნეულია პირად ცხოვრებაში ჩარევად, რომელიც აქტიურად უპირისპირდება პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნებს, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაანალიზოს საჭიროება და დაასაბუთოს ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენების აუცილებლობა, კერძოდ უნდა შეფასდეს: მონაცემთა დამმუშავებლის რეალური საჭიროება და მიზანი, სისტემის გავლენა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე და სხვა საშუალებებით მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.[2] თუმცა ფაქტია, რომ ხშირად ვიდეოთვალთვალი ხორციელდება კანონით დადგენილისგან განსხვავებული მიზნებით. სტატიის მიზანია მიმოიხილოს საჯრო და კერძო სექტორში ვიდეოთვალთვალის განხორციელბისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპების რეალიზების პრობლემები და შემოთავაზებულ იქნეს

[1] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი, მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[2] file:///C:/Users/user/Downloads/video-surviellance-ecommendation-final.pdf, გვ. 4.

რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა იქნეს თავიდან აცილებული მსგავსი დარღვევები.

ძირითადი ნაწილი

საჯარო და კერძო დაწესებულებათა შენობების ვიდეო თვალთვალი

სახელმწიფო ორგანოების და პირადი უსაფრთხოების მიზნის გარდა, მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა დამსაქმებლების მიერ ვიდეოსათვალთვალო სისტემის გამოყენება. ეს ეხება როგორც კერძო სექტორის, ისე საჯარო სექტორის დაწესებულებებს. მაგალითისთვის შეიძლება მოყვანილ იქნეს ავსტრალია, რომელმაც ვიდეოთვალთვალის აღჭურვილობაზე დახარჯა ყველაზე მეტი თანხა ერთ მოსახლეზე, ვიდრე სხვა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, აღნიშნული კი დაარეგულირა „სამუშაო ადგილებზე ვიდეოთვალთვალის 1998 წლის აქტით“.[1] [2]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიდეოთვალთვალი ხორციელდება მხოლოდ შენობის გარე პერიმეტრსა და შესასვლელში, მონაცემთა დამმუშავებლის მიერ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსებით.[3] ამავე კანონის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, თუ რა შემთხვევაში და რა მიზნებით შეუძლია დამსაქმებელს ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაწესებულებაში. მაგრამ, ფაქტია, რომ დამსაქმებლის მიზანი ძალიან ხშირად არის არის არა კანონით დადგენილი, არამედ სხვა, არამართლზომიერი ინტერესები, როგორიცაა, მაგალითად: თანამშრომლების და მათი ქცევების კონტროლი და სხვა. აღნიშნულ ადასტურებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიშებიც. მაგალითად,[4] 1) ერთ-ერთი კომპანია დასაქმებული პირების აუდიო-ვიდეოთვალთვალს სამუშაო ადგილზე ახორციელებდა მათი ქცევისა და კლიენტებთან მომსახურეობის ხარისხის გასაკონტროლებლად; 2) ერთ-ერთი კომპანია ახორციელებდა როგორც სამუშაო, ასევე საერთო სივრცეების (სამზარეულო და სხვა საერთო სარგებლობის ოთახები) აუდიო-ვიდეოთვალთვალს. კომპანიამ ვერ შეძლო დაესაბუთებინა ვიდეოთვალთვალის საჭიროება მომსახურების, შეხვედრების, ტრენინგებისა; 3) საკუთრების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით ერთ-ერთი კომპანიის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდესათვალთვალო კამერები იწერდნენ გამვლელ პირთა საუბარსაც.

აღნიშნული მაგალითებიდან ცხადი ხდება, რომ დამსაქმებლები ხშირად ცდილობენ კანონისმიერ მიზნებით შეფარონ სხვა არამართლზომიერი ინტერესები, ანდაც საერთოდ არ იცავენ კანონის დანაწესებს და სრულიად არაპროპორციული მიზნებით ახორციელებენ ვიდეოთვალთვალს დაწესებულებებში. კომპანიებს აქვთ ხოლმე ისეთი არგუმენტები, როგორიცაა მომსახურების ხარისხზე მონიტორინგი, კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესება და სხვა, მაგრამ ფაქტია, რომ მსგავსი მიზნებით ვიდეოთვალთვალი დაუშვებელია. კანონის ერთ-ერთი მოთხოვნაა ასევე, რომ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის დაყენება შეიძლება მხოლოდ გამონაკლისო შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისთვის და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის და გამოცდის მიზნებისთვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალები მიღწევა შეუძლებელია.[5] დამსაქმებელები ხშირად საერთოდ არ იცავენ ამ მოთხოვნებს ან ავიწყდებათ კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომ სამუშაო ადგილას აუდიო თუ ვიდეოთვალთვალი დაშვებულია მხოლოდ როგორც გამონაკლისო შემთხვევა, როდესაც სხვა საშუალებით კანონში მოცემული მიზნების მიღწევა არ შეიძლება, ეს კი ხშირად დამსაქმებლებს „ავიწყდებათ“. ამასთან, ხდება ხოლმე ისეც, რომ სამუშაო ადგილას დაყენებულია სათვალთვალო მოწყობილობა და ამის შესახებ თანამშრომლები არ არიან ინფორმირებულები, რაც დაუშვებელია. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ამ შემთხვევევაში დასაქმებულთა წერილობითი ინფორმირება აუცილებელია. ხდება ხოლმე ისეც, რომ მართალია დასაქმებული წერილობითი ფორმით არის ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის შესახებ, მაგრამ მათ არ ეცნობათ მათი კანონით გათვალისწინებული უფლების შესახებ, რომ შეუძლიათ მოითხოვონ მონაცემთა გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა ან განადგურება.[6] ასევე, აღსანიშნავია, რომ კანონის დანაწესით[7], დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოთვალთვალი, რა მიზნითაც არ უნდა იყოს ეს განპირობებული.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი საჯარო და კერძო დაწესებულებებში ვიდეომონიტორინგთან ერთად არ ითვალისწინებს აუდიოჩაწერის პირდაპირ შესაძ-

[1] არჩუაძე თ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის დამუშავებისას, 2016, გვ. 41.

[2] Privacy-Law of Civil Liberties, Edited by: Sally Ramage, NY, iUniverse inc., 2007. გვ. 122

[3] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

[4] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ. 52.

[5] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი

[6] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ. 53

[7] პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი

ლებლობას, რაც გარკვეულწილად ხარვეზადაც შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული კანონმდებლობით შექმნილი „ვაკუუმი“ შეიძლება კერძო და საჯარო დაწესებულებების მიერ ბოროტად იქნეს გამოყენებული და მოხდეს მაგალითად, სრულიად არაპროპორციულად კერძო, პრივატული საუბრების ჩაწერა, რაც სრულიად არ შეესაბამება ვიდეოთვალთვალის დაშვებისთვის დადგენილ მიზნებს და აჭარბებს მას. ამიტომაც, აუცილებელია, ნორმაში დაკონკრეტდეს, დასაშვებია თუ არა ვიდეოთვალთვალთან ერთად აუდიოჩაწერაც. აშშ-ის ფედერალურმა სასამართლომ თითქმის ერთსულოვნად დაადასტურა, რომ ხმის ჩაწრის გარეშე განხორციელებული ვიდეოთვალთვალი არაა აკრძალული შესაბამისი კანონით; თუმცა ვიდეოთვალთვალი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, რომ ჩაწერილ იქნეს საუბრები არაკანონიერია.[1]

საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალი

უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე დღეს ძალიან გახშირდა ფიზიკური პირების მიერ სათვალთვალო სისტემების გამოყენება, მათ შორის, საცხოვრებელ შენობებში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება დასაშვებია მხოლოდ პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისთვის. მაგრამ ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის დროს მონაცემთა დამმუშავებელმა დასახელებულ მიზნებს მიაღწიოს, ისე რომ საცხოვრებელი შენობის თანამესაკუთრეებმა ან/და იმავე ეზოსა და სივრცეში მცხოვრებმა პირებმა შეძლონ საკუთარი საცხოვრებელი სივრცით სარგებლობა კონტროლის გარეშე. მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის დასაყენებლად აუცილებელია ამ შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა, ხოლო შენობაში მცხოვრებთ უნდა ეცნობოთ ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების შესახებ. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ვიდეოთვალთვალი შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა პირმა, თუნდაც ის შენობის მესაკუთრე არ იყოს.

ფაქტია, რომ ამ სფეროში ძალიან ბევრი დარღვევა ფიქსირდება ხოლმე, მაგალითად; ფიზი-კური პირები არ იცავენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ვიდეოთვალთვალის სიტემებს აყენებენ შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობის გარეშე; შენობაში მცხოვ-რები პირები არ არიან ინფორმირებულნი ვიდე-ოთვალთვალის სისტემის განთავსებაზე; მისი მეშვეობით მონიტორინგი ხორციელდება არა მხოლოდ საკუთარ შესასვლელზე და საერთო სივრცეზე, არამედ სხვა მესაკუთრეთა ბინების შესასვლელებზე მათი წერილობითი თანხმობის გარეშე (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები) და სხვა.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს კონკრეტული შემთხვევა, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დადგენილ იქნა, რომ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ვიდეოთვალთავლის განმახორციელებელ პირს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საცხოვრებელ შენობაში განთავსებული ჰქონდა 6 კამერა, რომელთა ხედვის არეალი, შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობის არარსებობის მიუხედავად, მოიცავდა სადარბაზოს საერთო შესასვლელს, ლიფტს, საერთო სარგებლობის კიბეებს და მის საკუთრებაში არსებულ ბინის შესასვლელს.[2] ბუნებრივია, მსგავსი ქმედებები კანონსაწინააღმდეგოა და ითვალისწინებს კიდეც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

რეკომენდაციები:

რეკომენდაციის სახით შეიძლება მოყვანილ იქნეს პრობლემების გადაჭრის რამდენიმე ეფექტური გზა:[3] ა)ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაანალიზონ აუდიო-ვიდეოთვალთვალის მიზნები და მონაცემთა დამუშავების აღნიშნული ფორმა არ გამოიყენონ ისეთ შემთხვევებში, როცა მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა ნაკლებ შემზღუდავი საშუალებების გამოყენებითაც; ბ) ზუსტად შეაფასონ არსებული საჭიროებები და ვიდეოთვალთვალი განახორციელონ მხოლოდ კონკრეტული მიზნის პროპორციული და შესაბამისი მოცულობით; გ) განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ სამუშაო ადგილას ვიდეოთვალთვალს და ეს საშუალება გამოიყენონ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მიზნით და იმ დათქმით, რომ ჯეროვნად შესრულდება კანონით განსაზღვრული, დასაქმებულთა წერილობითი ინფორმირების ვალდებულება; დ)მიიღონ ყველა შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა, რომლებიც, ერთი მხრივ, დაიცავს მონაცემებს ნებისმიერი ფორმის შემთხვევითი ან უკანონო დამუშავებისგან, ხოლო მეორე მხრივ, კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს ფაქტთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლას.

დასკვნა:

ნაშრომში წარმოდგენილ იქნა ვიდეოთვალთვალის განხორციელებასთან დაკავშირებული

[1] Privacy-Law of Civil Liberties, Edited by: Sally Ramage, NY, iUniverse inc., 2007. გვ. 122

[2] ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ. 54.

[3] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, გვ. 56

პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას მონაცემთა დამუშავების (აქ ვიდეოთვალთვალის განხორციელების გზით) და მონაცემთა სუბიექტის დაცვის გარანტიების კუთხით, ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი აქვს, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ გასულ წლებთან შედარებით უკეთესი მდომარეობაა და თუნდაც სახელმწიფო ინსპექტორის ანგარიშები იძლევა იმედის ქონის საშუალებას, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ამ კუთხით პრობლემათა უმეტესი ნაწილი აღმოფხვრილი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩუაძე თ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის დამუშავებისას, თბილისი, 2016
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019
3. Privacy-Law of Civil Liberties, Edited by: Sally Ramage, NY, iUniverse inc., 200
4. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ
5. file:///C:/Users/user/Downloads/video-surviellance-recommendation-final.pdf

Difficulties in protecting personal data during video surveillance in the private and public sectors

Lia Ablotia, student of Tbilisi state University
Ekaterine Demetrashvili, Lawyer

Summary

Protecting personal data has become a real challenge in the 21st century. In this regard, it is especially difficult to maintain a balance between public interests on the one hand and non-interference in private life during the implementation of video surveillance. The paper addresses specific issues, such as the illegal or formally lawful, albeit disproportionate, use of video surveillance systems by data processors in both the private and public sectors. The lack of awareness of the real goals of video monitoring is also problematic. The general objectives of video surveillance are: to prevent crime, to protect the safety and property of the person, to protect public order and the harmful influence of minors, to protect the disclosure of confidential information. That is why it is necessary to perceive and use video surveillance as the only means of data processing, but one of them. However, the video surveillance system must be used only for purposes prescribed by law. This system may not be used for purposes other than personal and legal. It is also important to consider the video surveillance system as one of the means of processing personal data and to identify the problems or shortcomings associated with these processes. Also, the research serves to find effective ways to correct these shortcomings and make recommendations.

Key words: Video surveillance, personal data protection, private institutions, public institutions, law on personal data.

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS

ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფია

ელისაბედ ხახუტაშვილი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნანული ღიბრაძე, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფიის შესწავლა როგორც მართვის ობიექტი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატების ფაქტორს.

ხარისხი მენეჯმენტის ფილოსოფიური გაგებით წარმოადგენს „თვისებების ერთობლიობას“, რომლის დროს გასათვალისწინებელია „ადამიანური ფაქტორი“ გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი, ინტელექტუალური, კულტურული და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა რთული კომპლექსით.

ასევე მნიშვნელოვანია „ადამიანურ ფაქტორთან“ ერთად ა. მასლოუს „მოთხოვნილებათა იერარქია“, რომელიც საშუალებას იძლევა გაცნობიერებულად აიგოს ადამიანის ქცევის მართვა.

ხარისხის მენეჯმენტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „გუნდურ მუშაობას“ და პერსონალის მოტივაციას, ორ ალტერნატიულ მოდელთან ერთად.

ყველა ზემოთ ხსენებული საკითხები განხილულია მოცემულ სტატიაში, რაც გასათვალისწინებელია ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფიის განხილვისას.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, მენეჯმენტი, ფილოსოფია, ადამიანური ფაქტორი, გუნდური მუშაობა, ფსიქოლოგია, მოტივაცია.

შესავალი

ხარისხის მენეჯმენტის არსის სრულყოფილი გაგებისათვის საჭიროა ხარისხის ფილოსოფიაში ღრმად ჩაწვდომა. ხარისხი, როგორც მართვის ობიექტი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის წარმატების ფაქტორს.

ხარისხი ნეიტრალური ცნებაა, ის არ ახასიათებს პროდუქტს არც კარგი და არც ცუდი მხრიდან. ხარისხი ვლინდება რამდენად აკმაყოფილებას მომხმარებელს. ანუ ხარისხი – ეს ობიექტურად არსებული თვისებების და მახასიათებლების ნაერთია.

ხარისხის ფუნდამენტალური განსაზღვრა ჰეგელის ფილოსოფიური მეცნიერებათა ენციკლოპედიაში შემდეგია: „ხარისხი, ეს ობიექტურად თვისებების ერთიანობა“.

ხარისხი – ზოგადად სრულყოფილების გარკვეულ დონეს აღნიშნავს. **ხარისხი „ეს პროდუქტის ან მომსახურების მახასიათებლის და თვისებების ერთობლიობაა, რომელიც განაპირობებს მის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა.**

ხარისხი რთული უნივერსალური კატეგორიაა, რომელსაც აქვს მრავალი განსხვავებული ასპექტი.

ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ასპექტია ფილოსოფიური. მისი თვალსაზრისით ხარისხი გამოსახავს ადამიანის მიერ ობიექტის რეალობის შეცნობის შესაბამის საფეხურს.

ხარისხის მენეჯმენტის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით დემინგს, ჯურანს და კროსბის ფილოსოფიებს, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება „ადამიანურ ფაქტორს“, რასაც ეძღვნება აღნიშნული სტატია.

ძირითადი ნაწილი

მთავარი რაც მნიშვნელოვანია, ხარისხის მენეჯმენტის მართვაში, უდიდესი როლი ენიჭება „ადამიანურ ფაქტორს“, რაშიც ხელი შეუწყო ფსიქოლოგიის განვითარებამ [1].

მისმა მიღწევებმა განაპირობეს ადამიანის ყოფაქცევის და ქმედების მოტივების გაგებამ და გათვალისწინების შესაძლებლობამ.

ადამიანის ფსიქიკა უკიდურესად რთულია, მის ქმედებებს საფუძვლად უდევს გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი, ინტელექტუალური, კულტურული და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა რთული კომპლექსის მუდმივი ურთიერთშერწყმის შედეგი, რომლებიც იმყოფებიან სოციალური

ფაქტორების და გარემოს პარამეტრების ზემოქმედების ქვეშ [1].

სწორედ ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებას ხარისხის მენეჯმენტის ეფექტურობის ამაღლებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინგლისელი მეცნიერის ა. მასლოუს (Abraham Maslow) „მოთხოვნილებათა იერარქიის თეორიას“, რომელიც მან წამოაყენა 50-იან წლებში. იგი ვარაუდობს, რომ მოთხოვნილებების კომპლექსი საფუძვლად უდევს ადამიანის მოტივაციას, თანაც კონკრეტული ინდივიდის საჭიროებები განლაგებულია გარკვეული იერარქიული თანმიმდევრობით. ა. მასლოუს თეორია დაფუძნებულია **სამ ძირითად დებულებაზე – მოთხოვნილებათა იერარქიის, დეფიციტისა და პროგრესის პრინციპზე.** იერარქიის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მასლოუს მიხედვით არსებობს მოთხოვნილებათა 5 ჯგუფი, ანუ დონე.

სქემატურად, სამკუთხა პირამიდის **ქვედა დონე** ითვლება ძირითადი, რომელიც გულისხმობს **ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, ისეთს როგორიცაა საკვები, სამოსი, საცხოვრებელი** და ა.შ., რომელიც განისაზღვრება ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე. შედარებით მაღალი დონეა – „ბედის დარტყმისგან“ დაცულობის მოთხოვნილება, ისეთი როგორიც არის უბედური შემთხვევები, ავადმყოფობა, ინვალიდობა, სიღატაკე და სხვა, რომელთაც შეუძლიათ დაარღიონ წინა დონის (ფიზილოგიური), მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებულობის შესაძლებლობას.

ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებზე უფრო მაღალი დონე – **სოციალური მოთხოვნილებები,** ანუ ურთიერთობა, სხვა ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულება. მასლოუს მიხედვით, მოთხოვნილებათა თითოეული დონე, დაკავშირებულია წინა დონის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობასთან და სოციალური მოთხოვნილება **გამოწვეულია მისწრაფებით სრულად დააკმაყოფილოს მოთხოვნილება დაცულობაში. შემდეგი დონე – აღიარების მოთხოვნილებაა,** ანუ მოთხოვნილება „ეგო“ („მე“): პრესტიჟი, გარშემომყოფთა პატივისცემა, დიდება და ა.შ. **მოთხოვნილებების ყველაზე მაღალი დონე არის – საკუთარი თავის სრულყოფა, თვითრეალიზა-ცია, განვითარების მოთხოვნილება.**

„დეფიციტის“ პრინციპი მოთხოვნილებას ხსნის როგორც დეფიციტის შეგრძნება, რომელსაც თან ახლავს სწრაფვა მოახდინოს მისი ლიკვიდაცია. თეორიის მიხედვით, დეფიციტის შეგრძნება ადამიანში იწვევს ფსიქოლოგიური წონასწორობის დარღვევას.

მასლოუს თეორია საშუალებას იძლევა გაცნობიერებულად აიგოს ადამიანის ქცევის მართვა. მისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების **ხარისხის ანალიზზე** დაყრდნობით, ამიტომ მისი გამოყენება წარმოადგენს ინსტრუმენტს მენეჯერის საქმიანობაში. მისი გამოყენების პერიოდში გაკეთებული იქნა თეორიისადმი რიგი დაზუსტებები, რომელთაგან მნიშვნელოვანს წარმოადგენს შემდეგი:

მასლოუს მიხედვით, მოთხოვნილების გადანაცვლება უფრო მაღალ დონეზე ხდება მაშინ, თუ წინა დონის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია 100%-ით; თანამედროვე ფსიქოლოგები კი თვლიან, რომ ეს პროცენტი უფრო დაბალია – 70% და ხანდახან ნაკლებიც;

კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილების იერარქია უმეტესად განისაზღვრება მისი ფსიქიკის განვითარების დონით, ის იცვლება ადამიანიდან ადამიანამდე და ერთიდაიგივე ადამიანისათვის განსხვავებულია მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდშიც კი.

ფსიქოლოგიური წონასწორობის აღდგენაში მნიშვნელოვანია პროგრესის პრინციპი, რომელიც მდომარეობს იმაში, რომ ადამიანის მოთხოვნილების ყველა სახეობა კმაყოფილდება თანმიმდევრობით, მოთხოვნილებათა დაბალი იერარქიული დონიდან – პირველადი მოთხოვნილებიდან-მოთხოვნილებათა უფრო მაღალ დონემდე. მაგალითად, თუ პირველადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მაშინ საქმიანობა მარტივად შესაძლებელია ჩაითვალოს შემდეგი დონის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით. – უსაფრთხოების მოთხოვნილება. თუ ამ დონეზე არ არსებობს მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, მაშინ ადამიანის აქტიურობა გადადის შედარებით მაღალ დონეზე, მეოთხე დონემზე – აღიარების მოთხოვნილებამდე; ან „საკუთარი მე“-ს მოთხოვნილებამდე.

ხარისხის მართვის ფილოსოფია ბაზირდება არამარტო ადამიანურ ფაქტორზე, არამედ **„გუნდურ მუშაობაზე“ და მუშაკთა მოტივაციაზე. იყენებენ ორ ალტერნატიულ მოდელს: 1. დიუპონის (DCIC) და 2. ფერანტის (DIR). პირველი, დიუპონის მოდელის კრიტერიუმებია:** 1. ლიდერობა; 2. ინფორმაცია და ანლიზი; 3. ხარისხის სტრატეგიული დაგეგმარება; 4. პერსონალის თვისებების და პროფესიონალიზმის შეფასება; 5. მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად სისტემური მუშაობა; 6. შედეგების რაოდენობრივი შეფასება; 7. მომხმარებლის დაკმაყოფილების ხარისხი.

მეორე, ფერანტის (DIR) კონცეფცია მოითხოვს ალგორითმის 6 ძირითადი ეტაპის შესრულებას: 1. სწავლება და დაწყება; 2. სტრატეგიული ამოცანების მიმოხილვა; 3. მომხმარებელთა შესწავლა; 4. პერსონალის თვისებების რეალიზაციის დონის შესწავლა; 5. პრიორიტეტული ღონისძიებათა გეგმის შემუშავება; 6. ხელისმოწერა – უმაღლესი იერარქიის დონის ხელმძღვანელთათვის და

გეგმების პრეზენტაცია.

ამრიგად, ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფია დგას ციკლზე **„დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“,** რომელსაც ხშირად მათ უწოდებენ „დემინგის ციკლს“.

„დაგეგმვის“ ეტაპი ეხება კონკრეტული მიზნებისა და მოქმედების გეგმის განსაზღვრას.

„შესრულების“ ეტაპზე რეალიზაციას ვუკეთებთ იმას, რაც დაგეგმილი გვქონდა.

„შემოწმების“ ეტაპზე ვაფასებთ ჩვენი მოქმედებების სისწორეს და ეფექტურობას.

ხარისხის მართვის ფილოსოფია მჭიდრო კავშირშია პერსონალის მოტივაციასთან და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ეს არის მომუშავეთა წაქეზება აქტიური მოქმედებისაკენ მოთხოვნილი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის ფსიქიკა უკიდურესად რთულია და ჯერ კიდევ არ აგებულა მოტივაციის სრულყოფის თეორია, რომელიც ადამიანების ქმედებებს უდევს საფუძვლად. ითვლება რომ მოტივაცია არის გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი, ინტელექტუალური, კულტურული და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებათა რთული კომპლექსის მუდმივი ურთიერთშერწყმის შედეგი, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ.

„მასლოუს მოთხოვნათა პირამიდა“ კარგად ასახავს ადამიანის ქცევის მართვას მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხის ანალიზზე დაყრდნობით. ის მჭიდრო კავშირშია მოტივაციის მართვასთან.

მოტივაციის საფუძველი ეს არის ხელფასი, მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის – პრემიები, ჯარიმები და სანქციები წუნი პროდუქციისათვის.

მოტივაციის თეორია, რომელიც ეყრდნობა მომუშავეთა შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ითვალისწინება ადამიანთა ქმედების მოტივებს სამუშაო ადგილზე (არსებობს ე.წ. მოლოდინის და სამართლიანობის თეორიები) როგორც **ტეილორი** აღნიშნავს მოტივაციის თანახმად ანაზღაურება მოხდეს გამომუშავების პროპორციულად.

არსებობს მოტივაციის უმარტივესი მოდელი, რომელიც შედგება **სამი ძირითადი განყოფილებისაგან: მოთხოვნილების; ქცევის და დაჯილდოებისაგან.** თითოეულ მასზე დაყრდნობით მენეჯერს საშუალება აქვს მიაღწიოს ორგანიზაციის მიზნების შესაბამის ქცევას. ასევე მიაღწიოს ხარისხის ამაღლებას, მათ სტიმულირებას უფრო ნაყოფიერი შრომისკენ.

დასკვნა

ამრიგად, ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფია საფუძველია საბაზრო ეკონომიკის და ბიზნესის წარმატების.

ხარისხი სრულყოფილების გარკვეულ დონეს აღნიშნავს. ხარისხის ფილოსოფიაში ხარისხი გამოსახავს ადამიანის მიერ ობიექტის რეალობის შეცნობის შესაბამის საფეხურს.

ხარისხის მართვაში, უდიდესი როლი ენიჭება **„ადამიანურ ფაქტორს“,** რაშიც ხელი შეუწყო ფსიქოლოგიის განვითარებამ. მისმა მიღწევებმა განაპირობეს ყოფა-ქცევის და ქმედების მოტივების გაგებამ და გათვალისწინების შესაძლებლობამ.

გაითვალისწინება ინტელექტუალური, კულტურული და ფიზიოლოგიური მოთხოვნები, სოციალური და გარემოს ფაქტორების ზემოქმედება, „ადამიანური ფაქტორი“ ითვალისწინებს ადამიანის მოტივაციას თავისი მოთხოვნებით. სწორედ ეს არის ჩადებული ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფიაში „გუნდურ მუშაობასთან“ ერთად.

ასეთია ხარისხის მენეჯმენტის ფილოსოფია, რომლის ყველა კონცეფციები გასათვალისწინებელია ბიზნესის წარმატებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ღიბრაძე, ე. ხახუტაშვილი. ტელეკომუნიკაციის კომპანიათა ხარისხის მენეჯმენტი. სტუ, თბ. 2015, (ლექციების კურსი), 155 გვ.

Philosophy of Quality Management

Elisabed Khakhutashvili, Associate Professor of Georgian Technical University
Nanuli Gibradze, Professor of Georgian Technical University

Summary

The study of philosophy of quality management as an object of management is a factor of success of market economy and business.

Quality management in the philosophical sense is a “set of traits” in which the “human factor” is considered in a complex set of conscious and unconscious, intellectual, cultural and physiological needs.

It is also important in conjunction with the “human factor” A. Maslow’s “hierarchy of needs” that allows to consciously construct the management of human behavior.

In quality management great importance is granted to “teamwork and staff motivation”, along with two alternative models.

All of the abovementioned issues are discussed in this article, which should be considered when discussing the quality management philosophy.

Keywords: quality, management, philosophy, human factor, teamwork, psychology, motivation

ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები

ასმათ ფიფია, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო ომანაძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში საუბარია ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებზე. აღნიშნულია, რომ ისინი წარმოადგენენ ცალკეულ მომუშავეზე და მომუშავეთა ჯგუფებზე ზემოქმედების საშუალებებს. მეთოდების საშუალებით ორგანიზაციაში შესაძლებელია მოწესრიგდეს კომპანიის მართვის პროცესის სისტემის ფუნქციონირება. ჩამოთვლილია და აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა მეთოდი: ანალოგიის, სტიმულირების ანუ ეკონომიკური, ინფორმაციის, იძულებითი (ადმინისტრაციული), სისტემური ანალიზის, დეკომპოზიციის, შედარების და ა.შ.

თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ეს მეთოდები ჯგუფდება და იგი ხელს შეუწყობს ადამიანთა შესაძლებლობების სრულ გამოვლენას, რომელიც უშუალოდ მიმართული იქნება ორგანიზაციის წინსვლისა და დასახული მიზნის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მეთოდები, მართვა, ბრძანება, პრემია, სიგელი.

შესავალი

ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები ცალკეულ მომუშავეზე და მომუშავეთა ჯგუფებზე ზემოქმედების საშუალებებია, ორგანიზაციის ფუნქციონირებისას მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. მენეჯმენტის მეთოდები საშუალებას იძლევა შემცირდეს მართვის ინტუიციური ხასიათი, მოწესრიგდეს, დასაბუთდეს და ორგანიზებულ იქნას კომპანიის მართვის პროცესის სისტემის აგება და ფუნქციონირება.

ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების სამ ჯგუფს გამოყოფენ, ესენია:

- ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული;
- ეკონომიკური;
- სოციალურ-ფსიქოლოგიური.

ძირითადი ნაწილი

„ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მეთოდების ჯგუფი ემყარება ძალაუფლების გამოყენებასა და შრომითი საქმიანობის ნორმატიულ უზრუნველყოფას. მართვის აღნიშნული მეთოდების

ცხრილი 1. ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები

მეთოდების სახეები	გამოვლინების ფორმები	ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ხასიათი
ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული	ბრძანებები, განკარგულებები, თათბირები, რეგლამენტები, ინსტრუქციები	პირდაპირი
ეკონომიკური	პრემიები, დანამატები, დამატებითი შვებულებები, საგზურები, ფასიანი საჩუქრები და ა.შ.	პირდაპირი
სოციალურ-ფსიქოლოგიური	პირადი მაგალითი, დარწმუნება, საყვედური, მადლობა ქების სიგელი, დაწინაურება და ა. შ.	პირდაპირი და ირიბი

წყარო: მახარაშვილი ი., ბარათაშვილი ე., ჩეჩელაშვილი მ. და სხვები „მენეჯმენტის ინტეგრირებული სისტემები“ თბ 2018

რეალიზაცია ხდება ორგანიზაციული და ნორმატიული ზემოქმედების ფორმით.[1]

განკარგულებითი ზემოქმედება გამოიხატება ბრძანების, განკარგულების ან მითითების ფორმაში, რომელიც არანორმატიული ხასიათის სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. იგი სამმართველო გადაწყვეტილებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით გამოიცემა.

ბრძანებები საწარმოს ხაზობრივი ხელმძღვანელების, ხოლო განკარგულება და მითითება ქვეგანყოფილების ხელმძღვანელების მიერ გამოიცემა. ბრძანება - ესაა ხელმძღვანელის მიერ წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნა გარკვეული ამოცანის გადასაჭრელად. განკარგულება გახლავთ ზეპირი ან წერილობითი მოთხოვნა დაქვემდებარებული პერსონალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია დასახული დავალებების შესრულებასთან.

ეკონომიკურ მეთოდებში იგულისხმება ეკონომიკური მექანიზმის ელემენტები, რომელთა დახმარებითაც კომპანიის ფუნქციონირება და განვითარება მიიღწევა. ადამიანური რესურსების მართვის ეკონომიკური მეთოდების როლი გარკვეული შედეგების მიღწევისათვის მდგომარეობს შრომითი რესურსების მობილიზაციაში. ამ დროს მნიშვნელოვანია შრომითი საქმიანობის მოტივაცია, რომელიც უმეტესწილად გამოიხატება

1 თორია მ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ.: „მერიდიანი“. 2014, გვ.26.

მომუშავეების მატერიალურ სტიმულირებაში, რადგან ძირითად სამოტივაციო ფაქტორს ხელფასი წარმოადგენს. გარდა ამისა, პერსონალის სტიმულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია დანამატებისა და შეღავათების სისტემის არსებობა. ეკონომიკურ მეთოდებს ასევე მიეკუთვნება: ჯანმრთელობის დაზღვევა, უფასო მგზავრობა და ა.შ.

პერსონალის მართვის სოციალურ-ეკონომიკური მეთოდები ემყარება სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიდგომების გამოყენებას. მისი არსი ინდივიდისა და მთლიანი კოლექტივის ინტერესებზე ზემოქმედებაში მდგომარეობს. ცალკეულ მომუშავეზე ზემოქმედებისათვის ფსიქოლოგიური, ხოლო მთლიანად პერსონალის ზემოქმედებისათვის გამოიყენება სოციოლოგიური მეთოდები.

ფსიქოლოგიური მეთოდების შედარებით თვალსაჩინო მეთოდს წარმოადგენს ფსიქოლოგიური კონფლიქტების მინიმუმამდე შემცირება, თითოეული მომუშავის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით კარიერის ფორმირების მართვა, კოლექტივში ჯანსაღი კლიმატის შექმნა, იდეალური მომუშავის ქცევის ნორმებისა და მაგალითის საფუძველზე ორგანიზაციული კულტურის ფორმირება.

სოციოლოგიური მეთოდები შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ყოველი ინდივიდის ადგილი და დანიშნულება კოლექტივში, გამოვლინდეს ლიდერი, მოხდეს მოტივაციისა და შრომის საბოლოო შედეგების ერთღმანეთთან დაკავშირება, უზრუნველყოფილ იქნას ეფექტიანი კომუნიკაციები, გადაიჭრას კონფლიქტები. სოციოლოგიური მეთოდები საშუალებას იძლევა პერსონალის შესახებ აუცილებელი მონაცემების შევაგროვებისა.

ანალოგიის მეთოდი ითვალისწინებს ცნობილი მმართველების თვისებების უცნობზე, ან სხვა მმართველებზე გადატანა-გავრცელებას და მათ შორის საერთოს, ანუ ანალოგიურობის დადგენას.[1]

სტიმულირების ანუ ეკონომიკური მეთოდი არის ისეთი მეთოდი, რომელიც პერსონალის კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან არის დაკავშირებული;

ინფორმაციის მეთოდის დროს პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო ინფორმაციით, რაც მას საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად მართოს ორგანიზაციული ქცევა.

იძულებითი (ადმინისტრაციული) მეთოდი დაფუძნებულია შიშზე და მენეჯერის მხრიდან პერსონალის მიმართ განხორციელებული სანქციების გამოყენებაზე.

სისტემური ანალიზი ორიენტირებულია შეისწავლოს ადამიანური რესურსის მართვის სისტემა, როგორც მთლიანად, ასევე მისი შემადგენელი ელემენტების მიხედვით: მიზნები; ფუნქციები; ორგანიზაციული სტრუქტურა; პერსონალი; მართვის ტექნიკური საშუალებები; ინფორმაცია; ადამიანების მართვის მეთოდები; მართვის ტექნოლოგია; მმართველობითი გადაწყვეტილებები. სისტემური მიდგომა ასევე გულისხმობს ჩამოთვლილი კომპონენტების, როგორც ერთმანეთთან, ასევე გარე გარემოსთან კავშირების გამოვლენას და შესამაბისად არსებული ურთიერთობების შესახებ მთლიანი სურათის შექმნას. [2]

დეკომპოზიციის მეთოდი გულისხმობს რთული მოვლენების მარტივ მოვლენებად დანაწევრებას, რისი საშუალებად მარტივად ხდება კონკრეტული მოვლენის სიღრმისეულად შესწავლა და ძირითადი არსის განსაზღვრა.

შედარების მეთოდი გულისხმობს ადამიანური რესურსების მართვის არსებული სისტემის შედარებას წარმატებული კომპანიების მართვის სისტემების მიმდინარე ან წარსული პერიოდის მდგომარეობასთან.

მიზნების სტრუქტურიზაციის მეთოდის დროს მიმდინარეობს ორგანიზაციის და ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მიზნების ხარისხობრივი და რაოდენობრივი დასაბუთება: მიზნების ანალიზი, მათი განაწილება იერარქიულ სისტემაში, სამუშაოს შესრულების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი ქვეგანყოფილებების დადგენა.

მიზნების სტრუქტურიზაციისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა დონეების მიზნების ურთიერთკავშირი და ურთიერთშესადარისობა.

ადამიანური რესურსის მართვის სრულყოფის ექსპერტულ-ანალიტიკური მეთოდი ეფუძნება ადამიანური რესურსის მართვის სფეროში მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტების მოზიდვას. ამ მეთოდის გამოყენების დროს მნიშვნელოვანია ექსპერტების დასკვნები და შეხედულებები.

ექსპერტულ-ანალიტიკური მეთოდი საშუალებას იძლება გამოვლინდეს ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები, შეფასდეს ანალიზის შედეგები და ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზები. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი ხშირ შემთხვევაში არ არის ზუსტი და ობიექტური, რადგან ექსპერტებს შეფასების ერთიანი კრიტერიუმები არ გააჩნიათ.

მთავარი კომპონენტის მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ათეულობით მაჩვენებლის თავისებურებების ერთი კომპონენტით (მაჩვენებლით) შეცვლა. ამავე მეთოდის საშუალებით ასევე შესაძლებელია შედარდეს ორი მსგავსი ადამიანური რესურსების მართვის სისტემის არა ბევრი, არამედ

[1] ლომაია ც. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2014, გვ. 23.

[2] თორია მ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ.: „მერიდიანი“, 2014, გვ.55.

მხოლოდ ერთი (2 ან 3) მაჩვენებელი.

შემოქმედებითი თათბირების მეთოდში იგულისხმება მენეჯერებისა და პერსონალის მიერ ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების მიმართულებების კოლექტიური განხილვა. ამ მეთოდის შემთხვევაში ერთი პიროვნების მიერ გამოთქმული იდეები იწვევს სხვა ადამიანის მიერ ახალი იდეების წარმოშობის საშუალებას, რაც თავის მხრივ იწვევს კიდევ ახალი მოსაზრებების წამოყენებას, რაც განაპირობებს ამ მეთოდის ეფექტიანობას. შემოქმედებითი თათბირების მიზანი ადამიანური რესურსის მართვის სისტემის განვითარების ალტერნატიული ვარიანტის გამოვლენაში მდგომარეობს.

„6-5-3“ მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: ექსპერტთა ჯგუფის ექვსი წევრიდან თითოეული მათგანი ქაღალდის ცალკე ფურცელზე წერს სამ-სამ იდეას და გადასცემს მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს, რომლებიც თავის მხრივ, უკვე წარმოდგენილი ვარიანტების საფუძველზე წერენ კიდევ სამ-სამ იდეას და ასე გრძელდება დასრულებამდე. ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ ყოველ ფურცელზე იქნება პრობლემის გადაჭრის 18 ვარიანტი, ხოლო საბოლოო ჯამში 108 ვარიანტი.[1]

მორფოლოგიური ანალიზის მეთოდი - ამ მეთოდის დროს რთული ამოცანის მცირე ნაწილებად დაყოფა ხდება, რისი საშუალებითაც მარტივდება ამოცანის გადაჭრის ხერხების და გზების პოვნას. ადამიანური რესურსების ყველა ფუნქციის ერთ სცეტში ჩამოწერისას, ასევე თითოეულ მათგანთან პირდაპირ მითითებას მისი შესრულების ყველა შესაძლო ვარიანტის შემთხვევაში მივიღებთ მორფოლოგიურ მატრიცას.

დასკვნა

ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები შეიძლება დაჯგუფდეს მართვის ფუნქციებიდან გამომდინარე (ნორმირება, დაგეგმვა, ორგანიზაცია, კოორდინაცია, სტიმულირება, კონტროლი, ანალიზი, აღრიცხვა). ამ ნიშნით შეიძლება გამოიყოს:

ორგანიზაციის თანამშრომლებით უზრუნველყოფა; პერსონალის შეფასება; შრომის ანაზღაურების მართვა; კარიერის მართვა; ტრეინინგი; დისციპლინარული ურთიერთობების მართვა და შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა.

ადამიანური რესურსების მართვა გულისხმობს ისეთი ორგანიზაციული სისტემის შემუშავებას და გამოყენებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა თავისებურებების და შესაძლებლობების სრულად გამოვლენას და ეფექტიან დასაქმებას ორგანიზაციის მიზნების მიღწევის მიმართულებით.[1]

ადამიანური რესურსების მართვის მეთოდები საშუალებას იძლევა შემცირდეს მართვის ინტუიციური ხასიათი, მოწესრიგდეს, დასაბუთდეს და ორგანიზებულ იქნას ორგანიზაციის მართვის პროცესის სისტემის აგება და ფუნქციონირება. შესაძლებელია წარმატებული მეთოდის დამუშავება, რომელიც „ადამიანური კაპიტალის“ წარმატების განმსაზღვრელი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თორია მ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ.: „მერიდიანი“, 2014, გვ. 59
2. ლომაია ც. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბილისი, 2014, გვ. 22
3. ბერძნიშვილი კ. კორპორატიული კულტურის სრულყოფა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში. 2013, გვ. 20.

Human Resource Management Methods

Asmat Pipia, Doctor of Business Administration
Georgian Technical University
Nino Omanadze, Doctor of Business Administration
Georgian Technical University

Summary

The article talks about human resource management methods. They are said to be a means of influencing individual workers and groups of workers. Through the methods it is possible to regulate the functioning of the company's management process system in the organization. Different methods are listed and described: Analogy, stimulation or economic method, information, coercive (administrative), system analysis, decomposition, comparison, etc. methods.

Keywords: human resource management, methods, management, command, award, deed.

[1] თორია მ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თბ.: „მერიდიანი“, 2014, გვ.58

[1] ბერძნიშვილი კ. კორპორატიული კულტურის სრულყოფა ადამიანური რესურსების მენეჯმენტში. 2013, გვ. 20.

გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე

მარიამ მარგიანი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია გლობალიზაციის თანამედროვე აქტუალური საკითხები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. გლობალიზაცია წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში. გლობალიზაციას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი ამიტომაც ის მოიცავს ადამიანთა საზოგადოების როგორც განვითარების, ასევე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება. გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე, მათ შორის უმუშევრობაზე. სტატიაში დეტალურადაა გაანალიზებული გლობალიზაციის ეროვნულ სახელმწიფოსა და ეკონომიკაზე გავლენის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, ასევე, მისი გავლენა უმუშევრობაზე განვითარებულ, განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეროვნული ეკონომიკა; უმუშევრობა; საერთაშორისო შრომის ბაზარი.

შესავალი

ტერმინი - გლობალიზაცია წარმოდგება სიტყვისგან _ „გლობე" (დედამიწა) და წარმოადგენს საბოლოოდ დედამიწის ერთიან ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ერთობად ჩამოყალიბების პროცესს, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პირობებში.

გლობალიზაციას აქვს საერთოპლანეტარული ხასიათი. გლობალიზაცია არის რეალური ობიექტური პროცესი, მისი წარმოშობის მიზეზებია: 1. ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების შინაგანი მოთხოვნები - ამაღლდეს მოსახლეობის ცხოვრების რეალური დონე; 2. ბიზნესის მოტივაცია, მიიღოს რაც შეიძლება მეტი მოგება; 3. მსოფლიოში გადაუჭრელი გლობალური (ენერგეტიკული, სასურსათო, უსაფრთხოების, მშვიდობის, სიღარიბის დაძლევის, ჭარბმოსახლეობის, ავადმყოფობის, ეკოლოგიური, სანედლეულო, ოკეანისა და კოსმოსის ათვისებისა და სხვ.) პრობლემების არსებობა, რომელთა გადაწყვეტაც ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ და რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო გადაჭრას. აღსანიშნავია, რომ დანახარჯები გლობალურ პრობლემათა გადასაჭრელად ყოველწლიურად შეადგენს მსოფლიო მშპ-ის (გაანგარიშებულს მსყიდველობითი პარიტეტის მიხედვით) 2,5 %.

ძირითადი ნაწილი

გლობალიაციის დაჩქარებას ხელი შეუწყო: 1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საერთაშორისო ვაჭრობა საქონლითა და მომსახურებით; კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია; სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია; ცოდნისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემა; საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშო ურთიერთობები) განვითარებამ, რაც თავისთავად განაპირობა საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბებამ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, მანქანური წარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებამ; 3. საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზარის ჩამოყალიბებამ; 4. განვითარებული ქვეყნების შესვლამ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებამ, რასაც მოყვა თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება (ახალი საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული სისტემები, ინტერნეტი, თანამგზავრული ტელევიზია, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები და ა. შ.) და რამაც ახალი ბიძგი მისცა დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბებას; 5. რეგიონალიზაციის პროცესების დაჩქარებამ, რის საფუძველზეც ძლიერდება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი; 6. მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირებამ და მათმა არნახულმა დივერსიფიკაციამ; 7. ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროების უნიფიკაციის ტენდენციის გაძლიერებამ. გლობალიზაცია არაერთგვაროვან გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოებზე, გლობალიზაციის პროსში მთავარ როლს განვითარებული ქვეყნები თამაშობენ, ვინაიდან სწორედ ისინი ფლობენ ჭარბი რაოდენობისა და შესაბამისი ხარისხის წარმოების ფაქტორებს, ისინი აწარმოებენ მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქციას. ასეთი მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ განვითარებული ქვეყნები

მსოფლიო მასშტაბით: 1. იყენებენ გაცილებით იაფ სამუშაო ძალასა და რესურსებს 2. იზიდავენ მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას 3. ხშირ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში გააქვთ დაბალი ხარისხის პროდუქცია 4. აწარმოებენ ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის გატანას 5. ექმნებათ ხელსაყრელი პირობები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ამისათვის საჭირო უზარმაზარი რესურსების მოზიდვის საფუძველზე მსოფლიო მასშტაბით. აუცილებელია სავალუტო კურსის საერთაშორისო რეგულირება, რაც მხოლოდ შესაბამისი ორგანოების არსებობით იქნება შესაძლებელი. არ შეიძლება უარი ვთქვათ პროტექციონისტურ პოლიტიკაზე და კარი გავუღოთ ნებისმიერ მოვარდნილ ქარს, გამოწვეულს გლობალიზაციის პროცესებით. ქვეყნისათვის საჭიროა პრეფერენციები, ზომები, რომელიც ქვეყანას ანიჭებს გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობას. იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც საქონლისა და მომსახურების, ასევე წარმოების ფაქტორთა გატანას ძირითადად ადგილი აქვს განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, ადასტურებს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მშობელი კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. ამასთან, ტრანსნაციონალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ინვესტიციებს, ვინაიდან ისინი ღებულობენ თავისუფალ დაშვებას სხვა ქვეყნების ბუნებრივ და შრომით რესურსებზე, უერთებენ რა მათ თავიანთ საკუთარ რესურსებს–კაპიტალს, ცოდნას, ტექნოლოგიასა და მეწარმეობრივ უნარს. გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე და, მაშასადამე, უმუშევრობაზეც. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე. თუ მსოფლიო ეკონომიკა გამართულად ფუნქციონირებს, მაშინ ეროვნული ეკონომიკებისათვისაც ხელსაყრელი გლობალური პირობები იქმნება და პირიქით. თუმცა, ცალკეულ ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ პირობებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ჩართულობის ხარისხზე გლობალიზაციის პროცესებში, ასევე მოცემული ქვეყნის რესურსებით უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენა განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის დაბალი დონე, მაგრამ გლობალიზაცია მაინც დიდ გავლენას ახდენს მასზე. შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის ორი დიდი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს უმუშევრობის ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებში: პირველი, მაღალი ტექნოლოგიების (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების) ფართომასშტაბიანი დანერგვა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს ყოველ შექმნილ ახალ პროდუქციაზე, რაც თანდათან წარმოებიდან დენის დაბალკვალიფიციურ მუშახელს და რაც მოქმედებს უმუშევრობის დონის ზრდის მიმართულებით. მეორე, გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნები მიისწრაფიან თავიანთი წარმოება გაიტანონ საზღვარგარეთ იქ არსებული იაფი სამუშაო ძალისა და ბუნებრივი რესურსების გამო. შედეგად, ბუნებრივია, ეს პროცესი იწვევს დასაქმების შემცირებას ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით, გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამიტომ, სამუშაო ადგილები მცირდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია გარე სამყაროზე და იზრდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია შიგა მოხმარებაზე. შესაძლებელია ეკონონიკის ამ ორ სფეროს შორის დასაქმების მიმართულებით ბალანსი დაირღვეს და დიდი უმუშევრობა გამოიწვიოს. ამ პროცესს, ამავე დროს, მოსდევს სამუშაოს პოვნის გაძნელება დაბალი კვალიფიკაციის მქონე უშევრებისათვის, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი შესაბამისი სამუშაო ადგილების გატანა ხდება საზღვარგარეთ. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ანუ უმუშევრობის ზრდის ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტორის კომპენსაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნა უმთავრესად მომსახურების სფეროში. განვითარებად ქვეყნების ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ღებულობენ რა უზარმაზარ შემოსავლებს ნავთობის რეალიზაციის შედეგად, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეძლეს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ცხოვრებისა და განათლების დონის ამაღლება.გგლობალიზაციის მეშვეობით ნავთობის ექსპოტიორმა ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალ ტემპებს მიაღწიეს, ამიტომ ისინი სულ უფრო უახლოვდებიან მდიდარ ქვეყნებს. დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილები იქმნება აქ ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ, იაფი მუშახელისა და ბუნებრივი მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობის გამო. ამდენად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმ-

ცირე, სიღარიბე, ძლიერ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, დაბალ ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირედაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სუსტად არიან ჩართული გლობალიზაციის პროცესებში და მათზე გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც უმუშევრობისა და შემოსავლების უთანაბრობის დონე მაღალია. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიული საზოგადოების აშენება. ამისათვის აუცილებელია როგორც შიგა, ასევე გარე რეზერვების ამოქმედება. ამასთან, სწორედ უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს მათი განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე იძულებითი უმუშევრეობის დონე ძლიერ მაღალი იყო, შემდეგ თანდათან შემცირდა მეტნაკლები წაემატებით, რაშიდაც გლობალიზაციამ დიდი როლი ითამაშა როგორც საერთაშორისო მატერიალური და მეთოდოლოგიური დახმარებების, ისე ინოვაციების გადაცემის გზით (აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. 2012).

დასკვნა

როგორც ჩანს, გლობალიზაცია მოიცავს როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების, ასევე მისი არსებობის საფრთხის არნახულ შესაძლებლობებს. ამდენად, აუცილებელი ხდება გლობალიზაციის პროცესის სწორად წარმართვა, ანუ სამართლიანი გლობალიზაციის განხორციელება. ამაში უდიდესი წვლილი ეკუთვნით ლიდერ (დიდ) სახელმწიფოებს. სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გლობალიზაციის ბედი.

გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია რეალური პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია. გლობალიზაციის პროცესი არის მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს და სახელმწიფოებს შორის დიდი კონკურენციის, მაგრამ ამავე დროს დიდი ურთიერთდახმარების პროცესი. ამიტომ, საჭიროა გლობალიზაციის არაუარყოფა, არამედ თითოეული სახელმწიფოს მისწრაფება, რათა ეს პროცესი წარმართოს თავისი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. თითოეულმა ქვეყანამ უნდა იბრძოლოს გამარჯვებისათვის დიდ კონკურენციულ ბრძოლაში, მაგრამ, რასაკვირველია, არა ძალით, არამედ ცოდნით, მეცნიერების განვითარებით, უმაღლესი ტექნოლოგიების შექმნით, კულტურის სრულყოფით, ინტელექტის ამაღლებით და ა.შ. გლობალიზაციის შედეგად ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს სხვა ქვეყნის სიკეთით. ამავე დროს შენარჩუნებული იქნეს ეროვნული თვითმყოფადობა (ენა, ტრადიციები, სარწმუნოება, ტერიტორია და ა. შ.).

გლობალიზაცია, ბუნებრივია, გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე, მის ეკონომიკაზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმებზე, მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფო შეწყვეტს არსებობას, ვინაიდან მისი ფუნქციები დაიკარგება. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. მართალია, გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია იზღუდება, მაგრამ ის იძენს უფრო დიდ, საერთაშორისო ფუნქციას, რომელიც მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განეიტრალების, დახმარებების ეფექტიანი გამოყენების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და მისი შემდგომი სრულყოფისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ. გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.5, თბ., თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.
2. Алле М. Глобализация: разрушение условий занятости и экономического роста. М., ТЕИС, 2003.
3. Владимирова И.Г. Глобализация мировой экономики: проблемы и последствия / И.Г.Владимирова // Менеджмент в России и за рубежом. 2001. №3.
4. Грошева Т.А. Мировая экономика: учебное пособие / Т.А.Грошева, Ж.А.Ермушко, О.Ю. Корнева. - Томск: ТПУ, 2007. - 155 с.
5. Spence M. Globalization and Unemployment // Foreign affairs. – N.Y., 2011. – Vol. 90, N 4. //http://www.Foreignaffairs.com/articles/67874/michaelspence/globalization-and-unemployment

Globalization and its Impact on the National Economy

Mariam Margiani, PhD student of Georgian Technical University

Summary

The article deals with modern actual issues of globalization and its impact on the national economy. According to the author's explanation, theglobalization is the process of formation the world as an economic, technological, political and cultural entity through conditions of maintaining the statehood and national identity of the concrete countries. Globalization has objective as well as subjective features. That's why the globalization includes unprecedented possibilities fordevelopment of human society as so as it threats of its existence. The positive results have been achieved only when any exposures of abuse are excluded and all decisions are received as a result of common consensus. The other trends of globalization might be ended with disaster. Globalization influences all sectors of national economy, including unemployment. In the article into detailed form are discussed the positive and negative sides of influence that globalization has on the national state and economy. The influence of globalization that affects to the unemployment depends on the circumstances that have been existing in the world and in national economies. The article analyzes the influence of globalization on unemployment in developed, developing and post-communist countries as so as it's influenceon the international labor market at the current stage.

Key words: Globalization; national economy; unemployment; international labor market.

მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად თანამედროვე კორპორატიული მეთოდოლოგიის გამოყენება

ჩანჩიბაძე ვალერიან, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებს ორგანიზაციაში ხელმძღვანელობის ახალი სტილის შემოღების აუცილებლობას. იერარქიული მართვა, რომელიც ფორმალური ბრძანებების აღსრულებით შემოიფარგლება და თანამშრომლებთან დისკუსიას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, ვერ უპასუხებს მართვის ახალი მოდელის მოთხოვნებს. აუცილებელია ხელმძღვანელსა და თანამშრომელს შორის ინტერაქციული მუშაობა და არა მხოლოდ ქაღალდზე გაწერილი ხელმძღვანელობის ძირითადი მიმართულებები.

როგორც ირკვევა ძირითად პრობლემას წარმოადგენს მოტივაცია, სუსტი კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულება. საქმისადმი შემოქმედებითი, ინოვაციური მიდგომა ზრდის თანამშრომელთა მოტივაციას. დეცენტრალიზებული პასუხისმგებლობის შემოღებით, რომელიც თითოეული თანამშრომლისთვის მეტი მოქმედების ასპარეზს უზრუნველყოფს, იზრდება დასაქმებული პერსონალის კმაყოფილება. მენეჯმენტთან ერთად მიზნებზე შეთანხმება და ხშირი უკუკავშირი ხელს უწყობს იმას, რომ თითოეულმა თანამშრომელმა უკეთ გაიგოს საკუთარი საქმიანობის არსი და აღიქვას ის, როგორც ერთიანი პროცესის განუყოფელი ნაწილი. კლიენტზე ორიენტაცია და სხვა ადმინისტრაციასთან კონკურენცია ამაღლებს პერსონალის შემოქმედებით პოტენციალს და მისი მომსახრების ხარისხს.

თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით მართვის პროცესი უფრო ეფექტიანი გავხადოთ. აღნიშნულ ნაშრომში მიმოხილული იქნება კონკრეტული მეთოდოლოგია Agile, ნაჩვენები იქნება ორგანიზაციული თეორიები და ის გამოწვევები რაც მართვის პროცესს ხელს უშლის და აგრეთვე სხვადასხვა რეალური მაგალითის განხილვისას წარმოთქმული იქნება მოსაზრებები.

საკვანძო სიტყვები: ეჯაილ მეთოდოლო-გია; სქრამი; ჩანჩქერის პრინციპი; პროდუქტის მფლობელი; ვერტიკალური იერარქია; ჰორიზონტალური იერარქია;

შესავალი

Agile ტრანსფორმაცია არის მართვის მეთოდოლოგია, რომელიც სათავეს იღებს ეტაპზე software პროდუქტიდან. 2001 წელს შეიქმნა მანიფესტი, სადაც გაერთიანდა 17 პროგრამისტის იდეები. მე-20 საუკუნის ბოლომდე ყველაზე პოპულარული იყო ე.წ.იყენებდნენ ჩანჩქერის **(Waterfall)** მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს პროდუქტის შექმნის რამდენმე ეტაპს. ერთი ეტაპის დასრულების შემდეგ იწყება მეორე ეტაპი და მათი მიმდინარეობა არ არის პარარელურად. ხდება წინასწარ სრული რესურსის და გეგმის გაწერა.ერთი ეტაპის დასრულება არის მეორე ეტაპის დაწყების საწინდარი. მას შემდეგ რაც კომპლექსური გახდა სამყარო და ასეთი მიდგომა არ იყო შესაბამისობაში. წინასწარ შეუძლებელი იყო დაგეგმვა, გეგმის დროის გაწერა რთულ სისტემებზე. ყოველთვის იყო აცდენა როგორც რესურსებში, ისე მოთხოვნასა და დროში. ხშირად საწყის და საბოლოო პერიოდში, დამკვეთი იყო შეცვლილი ან დაკვეთა შესაცვლელი. მსგავსი მეთოდოლოგია ფაქტობრივად წარუმატებლობისთვის იყო განწირული.

ძირითადი ნაწილი

Agile მეთოდოლოგია პრინციპულად სხვა მიდგომებს ითვალისწინებს და მისი ამოსავალი წერტილი არის **კროსფუნქციური** გუნდის არსებობა. კროსფუნქციური გუნდი აერთიანებს გუნდის წევრებს, რომლებსაც გადანაწილებული აქვთ სხვადასხვა როლი და პასუხისმგებლობა. ისინი პროდუქტის თავიდან ბოლომდე შექმნაზე არიან პასუხისმგებლები. დაგეგმარების პროცესი არის უფრო პატარა დროის მონაკვეთებზე ორიენტირებული. შესაბამისად მარტივია შედეგების გაზომვა. მოლოდინები და აქცენტი კეთდება უფრო მცირე ამოცანებზე. კლიენტიც პირდაპირ რეჟიმში აკვირდება პროდუქტის განვითარებას და ის უფრო მალე იღებს აღნიშნულ პროდუქტს. **Agile** მეთოდოლოგია მომხმარებელზე მორგებული მიდგომა, რადგან მომხმარებელი პროცესში ამოწმებს და არასასურველი შედეგის შემთხვევაში „გადაწყობა“ სირთულეს ნაკლებად წარმოადგენს. პროცესი არის მუდმივად განვითარებადი და პროდუქტიც შესაბამისად ვიტარდება. **Agile** მეთოდოლოგია წარმოადგენს ღირებულებების და პრინციპების ერთიანობას.

არსებობს სხვადასხვა სახის ინსტრუმენტი, წესები თუ პრინციპები, რომლებიც **Agile** მეთოდოლოგიის დანერგვაში გვეხმარება. რა თქმა უნდა სხვადასხვა პრინციპი არის გასათვალისწინებელი სხვადასხვა პროდუქტის დროს. ყველაზე პოპულარული არის სკრამი **(Scrum)** - სადაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია მიზანი, ვიდრე კონ-

კრეტული დავალება. სკრამში მიზნის არსებობაა მნიშვნელოვანი განსხვავებით ჩანჩქერის პრინციპისგან. იქთუ ადამიანები არიან პასუხისმგებლები ეტაპების დასრულებაზე, აქ გუნდია პასუხისმგებელი. კროსფუნქციური გუნდი, სადაც წაშლილია ფუნქციები და ყველას ერთი მიზანი აქვს და გუნდი აკეთებს ყველაფერს საერთო მიზნის მისაღწევად. ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს სტრუქტურა - კროსფუნქციური გუნდი, რომლსითვისაც ერთად ყოფნა მნიშვნელოვანია, რადგან კომუნიკაციის დრო არ იკარგება. ოთახიდან გაუსვლელად იღებენ გადაწყვეტილებას. მნიშვნელოვანი რგოლია სქრამ მასტერი - ადამიანი, რომელიც პროცესების გადალახვაში ეხმარება, თან პასუხისმგებელია პროცესი დაიხვეწოს, აჩქარდეს და ა.შ. ლოკალური „მწვრთნელი" რომელიც ზრუნავს ხარისხზე. მნიშვნელოვანი რგოლია ე.წ. Product Owner, რომელიც მიწოდებაზეა პასუხისმგებელი. აღნიშნული პიროვნება ამოცანებებს პრიორიტეტების მიხედვით ალაგებს.

ადამიანი საკუთარი დროის დაახლოებით 1/3-ს სამსახურეობრივ საქმიანობას უთმობს. შესაბამისად, არ არის გასაკვირის ის ფაქტი, რომ სამსახური მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების ყოველდღიურობაზე, მის განწყობაზე და ა.შ. უძველესი დროიდან მოყოლებული არაერთ ფილოსოფოსს გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება **ბედნიერების** შესახებ. არისტოტელე მიიჩნევდა, რომ ადამიანის მთავარი მიზანი ბედნიერებაა. შესაბამისად, თანამედროვე მენეჯმენტის ფარგლებში მოტივაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ადამიანი ბედნიერების გარეშე ნაკლებად მოტივირებულია, რაც პირდაპირპროპორციულად ისახება მის შედეგიანობაზე.

კომპანიები განვითარების ისტორიის განმავლობაში ძირითად ძალისხმევას ახმარენ კონტროლის მექანიზმის შემოღებას და ადმინისტრაციული ინსტიტუტების გაძლიერებას. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ მოდელი ვერ უზრუნველყოფს პიროვნების განვითარების შესაძლებლობას. საქმიანობა ემსგავსება რუტინას, იკლებს მოტივაცია და შესაბამისად იკლებს ეფექტიანობა. აღნიშნული პრობლემის საკმაოდ კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს კომპანია **Microsoft**-ის ისტორია. 90-იან წლებში კომპანიას სურდა შეექმნა ელექტრონული ენციკლოპედია **Encarta**. კომპანიამ დაიქირავა გამოცდილი მენეჯერები, რედაქტორები, სტატიის ავტორები, რამდენიმე ათეულ მილიონიანი ბიუჯეტიც არ დაინანა. ძირითადად გუნდი შემოიკრიბა იმის გამო, რომ აეღო ჰონორარი და პროექტზე მუშაობა დათქმულ დროში დაესრულებინა. პარალელურ რეჟიმში, მსგავს იდეაზე მუშაობა დაიწყო ენთუზიასტების ჯგუფმა, რომელსაც არ ჰქონდა წინასწარ განსაზღვრული გეგმა, უბრალოდ მათ აერთიანებდათ ყველაზე მნიშვნელოვანი - მიზანი. გავიდა რამდენიმე წელი და 2009 წელს **Encarta-მ** არსებობა შეწყვიტა და გზა დაუთმო ყველაზე წარმატებულ ელექტრონულ ენციკლოპედიას **Wikipedia**-ს. აღნიშნული მაგალითების ანალიზის შედეგად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გეგმაზომიერი, რაციონალური და წინდახეული პროექტი უფრო წარუმატებელი აღმოჩნდა ვიდრე ენთუზიაზმი. შინაგანმა მოტივაციამ დაამარცხა გარეგანი წახალისება.

ბედნიერების საკითხი თანამედროვე მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. დიდი კორპორაციების წარმატება დღეს ნამდვილად დგას თანამშრომლების ბედნიერების უზრუნველყოფაზე. ჯეფ საზერლენდი, საკუთარი წიგნის ერთ-ერთ თავს უთმობს სწორედ ბედნიერების ნაწილს და რეკომენდაციას უწევს ბედნიერების ინდექსის შემოღებას. ამ მეთოდს წარმატებით იყენებს Google, McDonalds, Facebook და ა.შ.

აგრეთვე თანამედროვე მართვისთვის მნიშვნელოვანია მოტივაციის ფაქტორიც, რაზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის ეფექტური მუშაობა. სტრუქტურა, მართვის იერარქია და მოტივაცია ერთიანად ქმნის პოზიტიურ შედეგს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, მათ სჭირდებათ ინდივიდუალური მიდგომა. ხშირი კონტაქტი, მუდმივი უკუკავშირი დადებითად მოქმედებს თანამშრომლების მოტივაციაზე. იქმნება ე.წ „ვერტიკალური" იერარქია, სადაც თავის წარმოჩენა გაცილებით მარტივია და შედეგიც უფრო ჩანს. მოტივირებული თანამშრომლების ზრდა გავლენას ახდენს მათ პროდუქტიულობაზე (Armstrong 2017, 5-10).

თანამედროვე მართვის გამოწვევებს ახასიათებს რამდენიმე, საერთო ფაქტორი: კომუნიკაცია, მართვის უნარი, რესურსების მართვის უნარი, სხვადასხვა მეთოდოლოგიების ცოდნა/გამოყენება, რისკის შეფასება, განვითარებაზე ფოკუსირება, საერთაშორისო გამოცდილება და ა.შ. Agile მეთოდოლოგი ასევე გულისხმობს კომუნიკაციის თანამედროვე ინსტრუმენტების გამოყენებას. მხოლოდ და მხოლოდ ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია წარმატების საწინდარი ვერ იქნება

მნიშვნელოვანია ასევე პოსტპანდემიური პერიოდის მიმოხილვაც. სრულიად ახალი დღისწესრიგის წინაშე დადგა სამყარო, ახლიდან გადაფასდა მმართველობის ფორმები და მიდგომები. ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან მართვის ისეთი ფორმა, რომელიც მორგებული იქნება თანამშრომლებზე და მარტივად ადაპტირების საშუალებას მოგვცემს.

დასკვნა

ორგანიზაციაში, კერძო იქნება ის თუ საჯარო, საქმიანობას მენეჯერები და პროცესები

წარმართავენ. რამდენად წარმატებული, სასარგებლო და კონკურენტუნარიანი იქნება ამ ორგანიზაციის მუშაობა, სწორედ მენეჯმენტზეა დამოკიდებული. თანამედროვე ეკონომიკურ სამყაროში, კონკურენციის ზრდასთან ერთად იცვლება მენეჯერების მნიშვნელობაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ ადრე კარგი მენეჯერი აპრიორი იყო კომპანიის წარმატების, ახლა პირველ რიგებში გადმოინაცვლა პროცესებმა. არსებობს ახალი ტერმინი „ჩუმი ლიდერი", რომელიც გულისხმობს პროცესის ისეთ მმართველს, რომელიც საერთოდ არ ჩანს.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა, სხვადასხვა პროცესების გადააზრებამ შექმნა სხვადასხვა მეთოდოლოგიის შექმნის აუცილებლობა. უფრო და უფრო პოპულარული ხდება ე.წ. ჰორიზონტალური მართვის ვერტიკალი, სადაც თანამშრომლების ფუნქციური როლი გაცილებით გაზრდილია. შესაბამისად, გაზრდილია მათი მოტივაცია და შედეგიც უფრო ხილვადი და გაზომვადი გახდა.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მეთოდოლოგია ელვისებური სისწრაფით იცვლება, შესაბამისად დღესდღეობით წარამტებულად მიჩნეული ინსტრუმენტი შესაძლებელია მომავალში კვლავ გადაიხედოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Agile Manifesto - https://www.sciencedirect.com/topics/computer-science/agile-manifesto
2. Michael Armstrong, Human Resource Management Practice, 2017 (5-10)
3. David and Goliath: How Wikipedia, Nike, and Dollar Shave Club beat the odds - https://medium.com/swlh/david-and-goliath-how-wikipedia-nike-and-dollar-shave-club-beat-the-odds-b7a47bfcd3cf
4. What is Scrum, How it Works - https://www.atlassian.com/agile/scrum
5. To be a Horizontal and Vertical leader at the same time - https://www.forbes.com/sites/brookmanville/2017/06/28/how-to-be-a-horizontal-and-vertical-leader-at-the-same-time/

Using modern corporate methodology to increase management efficiency

Valerian Chanchibadze, PhD student of Georgian Technical University

Summary

Modern challenges create a new agenda and a new style of leadership and management. Hierarchical management, which is limited to execute of formal orders and makes less discussion between employees cannot match the requirements of the new management model. Communication between the supervisor and the employee is essential and not just the main directions of the guidance written on paper. As it turns out the main problem is motivation, poor communication and accountability. A Modern approach to employee motivation increases their job satisfaction. Introducing decentralized responsibility, which provides more scope for action for each employee, increases employee satisfaction and performance. Matching on goals with the management and periodic meetings help each employee better to understand the essence of their work and perceive it as an important part of the overall process. Modern technologies allow us to make the management process more efficient using special tools. In this Article we will review the agile methodology, discuss the organizational theories and challenges that hinder the management process.

Keywords: Agile; Scrum; Waterfall; Product Owner; Vertical Hierarchy; Horizontal Hierarchy

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა

A R C H E O L O G Y

სასამართლო-საექსპერტიზო არქეოლოგია და ანთროპოლოგია

ირაკლი ანჩაბაძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სასამართლო-საექსპერტიზო პროცესში არქეოლოგებისა და ანთროპოლოგების (ოსტეოლოგები) მასობრივად გამოყენება დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში (ჩილე, არგენტინა, კოლუმბია, მექსიკა) და სამხრეთ აფრიკაში, სადაც სამხედრო რეჟიმების, სამოქალაქო ომებისა და მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის გამო მრავლად იყო უგვზოუკვლოდ დაკარგული ადამიანი და ე.წ. „ძმათა სასაფლაოები". მომდევნო ეტაპია XX ს-ის 90-იანი წლების ბალკანეთის კონფლიქტი, სადაც ეთნიკურმა კონფლიქტებმა ათიათასობით ადამიანი შეიწირა. აღნიშნულ რეგიონში არქეოლოგები და ანთროპოლოგები სხვა ექსპერტებისა და პოლიციის გვერდიგვერდ აქტიურად მუშაობდნენ ინდივიდუალური თუ კოლექტიური სამარხების გათხრისა და უცნობი გვამების იდენტიფიცირების პროცესში, რაც ასევე ხელს უწყობდა დამნაშავეთა გამოვლენასა და ჰააგის ტრიბუნალის ეფექტურ მუშაობას [Rosenblatt A, 2019: 75-77]. ბოლო წლებია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) თაოსნობით, აქტიური საძიებო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოსტ-კომფლიქტურ რეგიონებში და მათ შორის საქართველოში [Policy on Migration. 2009]. ჩვენს სამშობლოში გასული საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე კონფლიქტებმა და 2008 წლის ომმა გამოიწვია მრავალი მშვიდობიანი მოქალაქისა და სამხედრო პირის დაღუპვა, რასაც დაემატა ისიც, რომ ბევრი მათგანი ამოუცნობია და უგვზო-უკვლოდაა დაკარგული. ამ ფაქტმა დღის წესრიგში დააყენა ქართველი არქეოლოგებისა და ანთროპოლოგების გადამზადებისა და საძიებო, საექსპერტიზო საქმიანობაში ჩაბმის აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: არქეოლოგია, ანთროპოლოგია, სასამართლო-საექსპერტიზო, დიაგენეზისი, ჩონჩხი, პოსტ-მორტემ, დნმ-ი, იზო-ტოპები.

შესავალი

არქეოლოგიური გათხრა, თავისი არსით, დამანგრეველი აქტიურობაა, როცა ირღვევა წარსულში განმარხული მოცემულობა, რომელიც უკვე ვერ აღდგება. შესაბამისად, არქეოლოგები აწარმოებენ კონტექსტის დეტალურ აღწერას და ფიქსაციას, სხვადასხვა გათხრილ ობიექტებს შორის ურთიერთმიმართებას, იყენებენ გათხრის ადექვატურ მეთოდოლოგიას და ა.შ, რაც წარსულში მომხდარი ფაქტის სწორი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. არქეოლოგები ასევე გარკვეული არიან გეოლოგიაში და იცნობენ გეოფიზიკური დაზვერვის მეთოდებს. აღნიშნულ უნარებსა და ცოდნას მოკლებული არიან კრიმინალური ექსპერტები და დეტექტივები, შესაბამისად, არქეოლოგთა მონაწილეობა ერთობ მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი აღმოჩნდა ცალკეული კრიმინალური თუ ომის დროს მომხდარი მაშტაბური დანაშაულების შედეგად წარმოქმნილი სამარხების ლოკალიზაციისა და ეგზგუმაციისას.

ოსტეოლოგი ფოკუსირებულია ადამიანის ძვლებზე, საიდანაც მას შეუძლია არაერთი ფასდაუდებელი ინფორმაციის მოპოვება მისი პატრონის შესახებ, როგორიცაა სქესი, ასაკი, სიმაღლე, ჯამრთელობა სიკვდილამდე, წარმოშობა, სიკვდილის მიზეზი და მკვლელობის შემთხვევაში დანაშაულის იარაღი [The Role of the .... 2018]. „თანამედროვე" გვამის ეგსგუმაციისას, ანთროპოლოგს ასევე შეუძლია დაადგინოს ის დრო, რომელიც გავიდა პიროვნების სიკვდილიდან მის გათხრამდე, მისი გახრწნის დონის მიხედვით, ე.წ. **პოსტ-მორტემ ინტერვალი** [Alyson W, ... 2019].

ამრიგად, კრიმინალური-საძიებო ეგსგუმაციისას არქეოლოგისა და ოსტეოლოგის ერთობლივი მუშაობა აუცილებელია. ამჟამად მსოფლიოში არქეოლოგები და ანთროპოლოგები ჩართული არიან ისეთი შემთხვევების გამოძიებაში როგორიცაა ბუნებრივი კატაკლიზმები, ავიაკატასტროფები,

პოსტ-კონფლიქტურ რეგიონებში მასობრივი სამარხების ლოკალიზაცია, გათხრა და ვინაობის დადგენა.

ძირითადი ნაწილი

რბილი ქსოვილის დაშლის შემდეგ რჩება ძვლოვანი მასალა, რომელიც საუკუნეები ან ათასწლეულები შეიძლება შენარჩუნდეს, თუმცა გარკვეულ ცვლილებებს მაინც განიცდის. ადამიანის ძვალი შედგება როგორც ორგანული ნივთიერებისაგან, ასევე სხვადასხვა მინერალური ნარევებისაგან (კალციუმი, ფოსფორი, თუთია და სხვა), რომლებიც ადამიანის სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებენ გარემოსთან ქიმიური რეაქციის უნარს, შეასაბამისად, მათზე აისახება ის გარემო პირობები, სადაც ისინი დამარხულია. აღნიშნულ ქიმიურ პროცესებს, რომლებიც ვითარდებიან სიკვდილის შემდეგ, **ძვლის დიაგენეზისი** ეწოდება, ხოლო მისი ცოდნა ერთობ მნიშვნელოვანია დიაგნოზირებისა და იდენტიფიცირების პროცესში.

საექსპერტიზო ტაფონომია, არის ის მიმართულება, რომელიც სწავლობს იმ ფაქტორებს (ტაფონომიური ფაქტორები) რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანის სხეულის მდგომარეობაზე დამარხვის შემდეგ. საქმე იმაშია, რომ გვამის გახრწნისა და შემდეგ ძვლების დაშლის სხვადასხვა ტემპი დამოკიდებულია ასაკზე, პათოლოგიებზე, სამარხის სიღრმეზე, დამარხვის წესზე, ნიადაგის ტიპზე, ტემპერატურაზე და ა.შ. ამ ფაქტორების ცოდნა და ანალიზი ხელს უწყობს მართებულ დას-კვნებს.

კრემაციული სამარხები, ადამიანის დამწვარი სხეული და კოლექტიურ სამარხებში არსებული არეული ძვლები არის ის გამოწვევები, რომელთა დაძლევაც უწევთ სასამართლო-საექსპერტიზო საქმიანობაში ჩართულ არქეოლოგებსა და ანთროპოლოგებს [Thompson T, ... 2016]. დამნაშავეები ხშირად მიმართავენ მათი მსხვერპლის დაწვას, კვალის წაშლის მიზნით, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი და მაღალი ტემპერატურა დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის როგორც რბილ ქსოვილზე, ასევე მის ძვლებზე, სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით [Bohnert M, ... 1998: 11-21] მაინც შესაძლებელია მთელი რიგი ინფორმაციის მოპოვება (წვის ხანგრძლივობა, სქესი, ასაკი). შერეული ძვლები გვხვდება ძირითადად მეორად, კოლექტიურ სამარხებში ან მასობრივ სამარხებში [სურ.1], სადაც მიზეზთა გამო ძვლების ანატომიური პოზიცია დარღვეულია და სხვადასხვა ინდივიდის ძვლები ერთმანეთში არეული [Willmott H, …. 2020: 179-196]. ასეთ დროს ექსპერტების მიზანია მათი „რესოციალიზაცია“, ე.ი. ძვლების პირვანდელი, ანატომიურ მდგომარეობაში შეკრება [Commingled Remains, 2019: 61-142].

სურ. 1.

სასამართლპ-საექსპერტიზო მუშაობა ასევე ერთობ ეფექტურია ძველი-ანტიკური და შუასაუკუნეების სამარხების კვლევისას. ის იძლევა შანსს მოპოვებული ჩონჩხის სრული ე.წ. **ოსტეიოგრაფია** შედგეს, რაც გულისხმობს შემდეგი მონაცემების დადგენას: სქესი, ასაკი, სიმაღლე, ჯამრთელობის ისტორია, კვების რაციონი, გეოგრაფიული წარმოშობა, ეკოლოგიური გარემო სადაც ის ცხოვრობდა და გარკვეული ფიზიკური ჩვევები. განვიხილოთ ზოგიერთი ასპექტი უფრო დეტალურად.

არასრულწლოვანი ინდივიდის ჩონჩხის შესწავლისას, რომლის ძვლოვანი სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, სიკვდილისდროინდელი ასაკის გამოვლენა ეფუძნება მისი დენტალური მონაცემების, ასევე კიდურის ძვლების განვითარებისა და ზომის შესწავლას. ზრდასრული და ასაკოვანი ინდივიდების შემთხვევაში, ასაკის განსაზღვრისას აკვირდებიან მენჯის ძვლისა და ნეკნების სახსრების დეგენერაციულ ცვლილებებსა და კბილის დეფექტებს [Ajmal M, ...2001]. მოზარდთა სქესის განსაზღვრისას მხოლოდ ბიომოლეკულარული მეთოდები გამოიყენება (დნმ და დენტალური პეპტიდების ანალიზი), რადგან მათ ძვლებზე ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა მკვეთრი სქესობრივი დემორფიზმი. სრულწლოვანი ადამიანის შემთხვევაში გადამწყვეტია თავის ქალისა და მენჯის ძვლის შესწავლა [Phillip L. Walker, 2005].

გარდაცვლილის ძვლების შესწავლით შესაძლებელია მისი სიცოცხლისდროინდელი სიმაღლის გარკვევაც. ამ მიზნის მისაღწევად ორი მეთოდი გამოიყენება: პირველია ე.წ. **ანატომიური მეთოდი,** რა დროსაც ყველა იმ ძვლის სიმაღლე იზომება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ ზრდასთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხერხი საკმაოდ შრომატევადია და დამოკიდებულია ჩონჩხის სისრულეზე, ყველაზე

ზუსტია და ითვალისწინებს სხეულის სხვადასხვა პროპორციებსაც (მაგალითად გრძელი ტორსი და მოკლე ფეხები). აღნიშნული მეთოდოლოგია რათქმაუნდა თავდაპირველად გამოიანგარიშებს ჩონჩხის სიმაღლეს, რომელსაც შემდეგ ემატება გამქრალი რბილი ქსოვილის სავარაუდო პარამეტრები და საბოლოოდ გამოიყვანება პიროვნების სიცოცხლისდროინდელი სიმაღლე.

მეორე მეთოდი, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება აღნიშნული მიზნისთვის არის ე.წ. **მათემატიკური მეთოდი.** პირველისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე კიდურის ძვალი გამოიყენება ასაზომად (ბარძაყის ძვალი, წვივის ძვალი, მხრის ძვალი და იდაყვი) და შემდეგ, სპეციალურად შემუშავებული განტოლებით გამოითვლება პიროვნების სიმაღლე.

მეორე მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ ის უფრო სწრაფია და სიმაღლის გამოთვლა შეუძლია არასრული ჩონჩხისაგან. აღნიშნული მათემატიკური მიმართულება ეყრდნობა მოსახლეობის საშუალო, ზოგად მაჩვენებლებს და შესაბამისად, არ ითვალისწინებს ინდივიდუალურ განსხვავებებს. სხეულის პროპორციები შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა მოსახლეობას შორის და ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია მათემატიკური მეთოდის გამოყენებისას [Standard for Stature ... 2019].

ზოგიერთი ადამიანი ბავშვობისას განიცდის სხვადასხვა სტრესსა და დაავადებებს, რომლებიც ძვლებზე და კბილებზე სიცოცხლის ბოლომდე ტოვებენ ნაკვალევს და შესამჩნევია ასეული და ათასწლეულების შემდეგაც. მაგალითად **კბილის მინანქრის ჰიპოპლაზია** [სურ. 2], რომელიც კბილებზე გამოხატულია მრავალი მუქი ნაოჭებითა და ღრმულებით, არის სიყრმისას არასაკმარისი კვებისა და გადატანილი სნეულების შედეგი. კიდურების რაქიტს იწვევს D ვიტამინის ნაკლებობა, რომელიც თავის მხრივ ბინძური ჰაერისა და მწირი კვების შედეგია. მაგალითად მხოლოდ მარცვლეულზე დაფუძნებული დიეტა, ამცირებს კალციის აუცილებელ რაოდენობას ორგანიზმში, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ძვლის განვითარებისთვის და ხელს უწყობს ძვლის დეფექტის წარმოშობას. ჰაიმორიტი ტოვებს დაზიანების კვალს ჰაიმორის ღრუს ძვალზე [სურ. 3] და ა.შ.

სურ. 2.

ცალკეულ ძვლებზე შეიძლება იკითხებოდეს

სურ. 3.

სიცოცხლეში ადამიანისათვის დამახასიათებელი გარკვეული ჩვევები, რომელთა გამოვლენა უმნიშვნელოვანესია ძველი ადამიანის ოსტეობიოგრაფიის შედგენისას, ხოლო თანამედროვე კრიმინალურ-საექსპერტიზო შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირებისათვის. მაგალითად ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს კბილების უცნაური ცვეთა. დიდ ბრიტანეთში, XVII ს-ის სამაროვანზე გათხრილ რამოდენიმე ჩონჩხს ორივე ყბის გვერდითა და წინა კბილებზე ეტყობოდა ნახევარმთვარისებური ფორმის ცვეთა [სურ. 4], რომელიც, მეცნიერთა დასკვნით, გრძელღეროვანი თიხის ჩიბუხების გამოყენების მანიშნებელი იყო.



4

ბიომოლეკულარული გამოკვლევა ადგენს დაღუპულის გენეტიკურ კავშირებს, კვების რაციონსა და მიგრაციულ აქტიურობას.

ადამიანის ძვლებში არსებული სხვადასხვა ქიმიური ელემენტების იზოტოპების კვლევა (სტრონციუმი, ნახშირბადი, აზოტი და ჟანგბადი), არის ის უახლესი მეთოდი, რომელიც ნათელს ფენს ადამიანის ცხოვრების არაერთ მხარეს, როგორიცაა მიგრაციული პროცესი, დიეტა და ცხოვრებისეული გარემოპირობები. ანალიზისათვის ნიმუშის აღება ხდება კიდურების ძვლებისა და კბილებისაგან. ადამიანის სხეულში იზოტოპების შემადგენლობაზე და ხასიათზე ზეგავლენას ახდენს მისი კვების რაციონი და გარემო.

დნმ-ის ანალიზი სასამართლო-საექსპერტიზო საქმიანობაში ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია. მაკრომოლეკულა-**დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა,** იგივე დნმ-ი, რომელიც მდებარეობს ადამიანის უჯრედში, პიროვნების გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია და თაობიდან თაობას გადაეცემა. თითოეული ჩვენგანის გენეტიკური ინფორმაცია არის უნიკალური, მაშასადამე მისი გამოყენება კონფლიქტების, მასობრივი კატასტროფებისა და კრიმინალური შემთხვევებისას ხანდახან გადამწყვეტია პიროვნების ვინაობის დასადგენად. დნმ-ი მემკვიდრეობით გადადის მშობლებისაგან, ამიტომ მისი მეშვეობით ხერხდება ოჯახური კავშირების დადგენა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იდენტიფიცირების პროცესში დნმ-ის გამოყენებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ხელთაა სავარაუდო ნათესავების დნმ-ის ნიმუშებიც, რათა მოხდეს მათი შედარება. დნმ-ი ვერ ცოცხლობს ყველა გარემოში, კონტექსტში და ძლიერი სიცხის ან ნიადაგის გარკვეულ პირობებში შეიძლება გადაგვარდეს. ასევე არსებობს ერთი დნმ-ის სხვა ადამიანის დნმ-ით „დაბინძურების“ რისკიც. წმინდა არქეოლოგიურ კონტექსტში, როცა საქმე ეხება შუა საუკუნეების ან უფრო ძველ აღმოჩენას, შესადარებელი ნიმუშის არარსებობის გამო, რათქმაუნდა დნმ-ის ანალიზით ადამიანის ვინაობა ვერ დადგინდება, თუმცა შეიძლება გაირკვეს სქესი, თმისა და თვალის ფერი და სხვა.

დასკვნა

ამრიგად, არქეოლოგია არის მეცნიერება რომელიც სწავლობს კაცობრიობის ისტორიულ წარსულს, მაგრამ მსოფლიოში ბოლო ათწლეულების გამოცდილებამ აჩვენა, რომ მას შეუძლია აწყმოს კვლევაც. ოსტეოლოგია (როგორც ანთროპოლოგიის სუბდისციპლინა) სწავლობს ძვლების ფორმას, სტრუქტურას, ჩონჩხის ცვლილების კანონზომიერებასა და დეფექტებს, შესაბამისად მას შეუძლია გარკვეული ინფორმაციის მოცემა კონკრეტული ადამიანის შესახებ. ამრიგად, არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა, ოსტეოლოგიასთან ერთად, გადამწყვეტი აღმოჩნდა თანამედროვე სასამართლო-საექსპერტიზო კვლევის პროცესში.

ლიტერატურა:

1. Ajmal M, Mody B and Kumar G. Age estimation using three established methods. Forensic Science International 3: 150-154 2001
2. Alyson W, Stanley S, Dilan S, Rachel B, Xanthé M.Evaluating the utility of time-lapse imaging in the estimation of post-mortem interval: An Australian case study. Forensic Science International: Synergy. Volume 1, Pages 204-210. 2019
3. Bohnert M, Rost T, Pollak S. The degree of destruction of human bodies in relation to the duration of the fire. Forensic Science International. Volume 95, Issue 1, 1998, Pages 11-21. 1998
4. Commingled Remains. Journal of Forensic Anthropology, Vol 2, No 2 (2019). 61-142. University of Florida Press. 2019
5. Policy on Migration. Federation of Red Cross and Red Crescent Societies. 2009
6. Phillip L. Walker. Greater Sciatic Notch Morphology: Sex, Age, and Population Differences. AMERICAN JOURNAL OF PHYSICAL ANTHROPOLOGY 127: 385–391 2005
7. Rosenblatt A. The Danger of a single story about forensic humanitarianism. Journal of Forensic and Legal Medicine. Volume 61, Pages 75-77.
8. Standard for Stature Estimation in Forensic Anthropology. This document is copyrighted © by the AAFS Standards Board, LLC. 2019 All rights are reserved. 410 North 21st Street, Colorado Springs, CO 80904, www. asbstandardsboard.org.
9. The Role of the Human Osteologist in an Archaeological Fieldwork Project. Historic England 2018. Swindon, 2018
10. Thompson T, Szigeti J, Gowland R, Witcher R. Death on the frontier: military cremation practices in the north of Roman Britain. 2016

11. Willmott H,Townend P, Mahoney Swales D, Poinar H. A Black Death mass grave at Thornton Abbey: the discovery and examination of a fourteenth-century rural catastrophe. Antiquity. Volume 94, Issue 373. page 179-196. Cambridge 2020

Forensic Archaeology and Anthropology

Irakli Anchabadze, PhD student of Georgian Technical University

Summary

Archaeology is a discipline that seeks to explore the past through the excavation and analysis of the material remains of the people who lived there. Forensic science, however, is concerned with the present rather than the past. This leads to confusion regarding the relevance of archaeology for the police and criminal courts. In fact, there are a range of specialist skills that archaeologists have that are directly applicable to forensic contexts. Archaeological techniques have developed over several centuries and are ideally suited to crime scenes. For example, archaeologists are experts at 'reading' landscapes (e.g. vegetation and topography). They therefore have excellent skills in finding the graves sites of missing people.

The excavation of a grave site and the processing of a crime scene are destructive activities. It is therefore essential to make a detailed record during excavation/processing. Archaeologists are trained to produce an in-depth three-dimensional paper and digital archive of the relationships between different objects and bodies in the ground as they excavate. Archaeologists are also experts at ensuring that all buried items and bodies/body parts are fully recovered. They are trained to interpret buried objects and their position in relation to other human-made (e.g. trench for a drain) or natural features (tree roots). Using this information they can build a picture of the sequence in which different objects were buried.

Anthropology focuses on the body, and in burial contexts this usually means the skeleton. It is possible to learn a huge amount about a person from their skeleton, such as their sex, the age they were when they died, their height, ancestry, and their health. New biomolecular research is also providing information on diet and migration. Techniques for determining the cause of death of an individual are also being improved through research. Additionally, anthropologists can help to estimate the amount of time that has passed since the individual died (known as the Post-Mortem Interval) by analysing the amount of decomposition.

The use of archaeologists and anthropologists to investigate forensic cases started in South America as early as the 1980's. Here they worked alongside other experts to investigate the 'disappeared' in countries such as Argentina and Chile. This work continues today. During the late 1990's archaeologists and anthropologists were also employed on a much larger scale to help investigate mass graves from the conflict in the Balkans. Here, they worked alongside police and other forensic experts to excavate victims of the conflict. The recovered bodies were analysed for evidence of war crimes as well as to establish the identity of the deceased.

Today, forensic anthropologists and archaeologists work on a range of contexts, including: natural disasters, aeroplane crashes, the location and excavation of mass graves from post-conflict countries, missing persons cases, the recovery and identification of unidentified bodies.

კერამიკის განვითარების თავისებურებები უძველეს საქართველოში

მარიამ იზორია, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ძვ. წ.VIII-VII ათასწლეულებიდან მოყოლებული საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საზოგადოება ითვისებს თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიას. იგი ითვალისწინებს მასალის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებულ თიხის ცომის მომზადებისა და გამოწვის უმნიშვნელოვანეს პროცესებსაც. ჩვენში მეთუნეობის განვითარებას ხელს უწყობდა თიხის სხვადასხვა სახეობის აუარება რესურსის არსებობაც. ამ სტატიის მიზანია ქართული კერამიკის განვითარების თავისებურებათა წარმოჩენა მისი ჩასახვისა და ჩამოყალიბების რეტროსპექტული მიმოხილვის საფუძველზე,

ნეოლით-ენეოლითის ეპოქიდან მოყოლებული განვითარებას განიცდის არა მარტო ჭურჭლის ფორმა და დეკორი, არამედ მისი დამზადების ტექნოლოგიაც. ლითონის მეტალურგიის ზეგავლენით ქართული კერამიკა შავკრიალა ზედაპირს სწორედ მტკვარ-არაქსის ხანაში იძენს. თუმცა იგი ბედენის კულტურაში აღწევს. მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის ეპოქებში ჩნდება ფერადი წერნაქით მოხატული კერამიკაც. გვიანბრინჯაოს ხანაში ნაკეთობის დამზადება სამეთუნეო მორგვზე (ფორმის ამომყვან ჩარხზე) მიმდინარეობს. თუმც ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა ჩვენი ქვეყნი საღმოსავლეთში მოჭიქურებული თიხის ძეგლების პირველად გამოჩენა. უძველესი ქართული კერამიკის ძეგლების განხილვა ცხადჰყოფს, რომ თავისი განვითარების რთულ და ხანგრძლივ გზაზე იგი მუდამ ინარჩუნებს წინარე ხანების მონაპოვართან გენეტიკურ კავშირს.

საკვანძო სიტყვები: კერამიკა, თიხა, ჭურჭელი, არქეოლოგიური ძეგლები, განვითარება.

შესავალი

კერამიკა, როგორც თიხის ჭურჭლის დამზადების ხელოვნება, ანუ მეთუნეობა, მას შემდეგ ხდება ცნობილი, რაც ცივილიზაციის საწყის ეტაპზე მესაქონლეობა და მიწათმოქმედება იწყებს განვითარებას. ამ ე. წ.ნეოლითური რევოლუციის პროცესში, ძვ. წ.VIII-VII ათასწლეულებიდან მოყოლებული საქართველოშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საზოგადოება ითვისებს თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიას. იგი ითვალისწინებს მასალის მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებულ თიხის ცომის მომზადებისა და ცეცხლში გავლის,ანუ გამოწვის უმნიშვნელოვანეს პროცესებსაც. ამით ოსტატები უზრუნველჰყოფენ ნაკეთობის პროფესიონალურ დონეზე შესრულებას.

ჩვენში მეთუნეობის განვითარებას ხელს უწყობდა არა მარტო მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, არამედ თიხის სხვადასხვა სახეობის აუარება რესურსის არსებობაც. ამიტომ მეთუნეობის ჩამოყალიბების თავისებურებებს განაპირობებდა ერთი მხრივ, ეპოქის სოციალურ-ეკონომური მოთხოვნები, ტექნიკური მიღწევები, მსოფლხედვა და რწმენა-წარმოდგენები, მეორე მხრივ კი, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, თიხის რესურსები და წინარე ხანის მემკვიდრეობასთან გენეტიკურად დაკავშირებული კულტურული ელემენტები. აქედან გამომდინარე კერამიკის განვითარებას განსაზღვრავდა არაერთი ასპექტი. თიხის მოპოვება-დამზადება-გამოწვის ტექნოლოგიების ევოლუციური პროცესე-ბის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ნაკეთობის მხატვრული სახის, მისი ფორმის ქმნა-დობის, სტილის სრულყოფისკენ მიმართული ტენდენციებიც.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიურიმასალაყველაამსაკითხისგარკვევის საშუალებას იძლევა, რასაც შეძლებისდაგვარად შევეცდებით სხვადასხვა ეპოქის აღმავლობის ეტაპებისა და საზოგადოდ გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებთანადგილობრივი კულტურების ურთიერთმიმართების საფუძველზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი თიხის ნიმუშების კვლევის საფუძველზე. აქედან გამომდინარე გვერდს ვერ ავუვლით კერამიკის დარგის ჩასახვისა და ჩამოყალიბების ერთგვარ რეტროსპექტულ მიმოხილვას, რაც უკავშირდება დათარიღების საკითხებსაც. ამგვარი მიდგომითშესაძლებელია მისი განვითარების თავისებურებათა გარკვეულწილად წარმოჩენა.

ძირითადი ნაწილი

ნეოლით-ენეოლითის ეპოქადასავლეთ საქართველოში უფრო კარგადაა გამოვლენილი ვიდრე აღმოსავლეთში (1.ლ.ნებიერიძე, 1991, გვ.226). მის ტერიტორიაზე მიკვლეულ ნასახლარებზე ნაპოვნი კერამიკული ძეგლები დასავლურ-ამიერკავსიურ ნეოლითური და ენეოლითური კულტურების წრეში ერთიანდებიან. თუმცა დასავლურ-ქართულ ენეოლითურ კერამიკას მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს. ძირითადად ეს არის ხელით ნაძერწი ფრაგმენტულად მოღწეული ცილინდრული და ქილისებური ფორმების ჭურჭელი (მახვილაური-აჭარა, მამათი-გურია, კის-

ტრიკი-აფხაზეთი). იგი უყურო, ხან სწორი, ხან ღრმულებიანი, ხანაც დამრეცად დაჭდეული პირი აქვს, ხოლო ბრტყელი ძირი წინა აზიური ნეოლითური კულტურის ზემოქმედებას ასახავს (2. ო. ლორთქიფანიძე, 2002, გვ.53).

ანასეული II-ის, გურიანთას (ოზურგეთის რ-ნი), მამათის (ლანჩხუთის რ-ნი),ოდიშის (ზუგდიდის რ-ნი) კომპლექსების შედარებით მოგვიანო ფენებში ნაპოვნი ქილისებური კერამიკა ტლანქადაა დაძერწილი. იგი გაფორმებულია მარტივი გეომეტრიული დეკორით: წიწვისებური, თავთავისებური, გირჩისებური, ტეხილხაზოვანი, ტალღოვანი,ირიბჭდეებიანი,ღრმულების მოტივებით, რომელიც ხან ნაჭდევების, ხანაც ჩაღარულ-ამოტვიფრული,მსუბუქად ამოკაწრული ხაზებით, ანრელიეფური კოპებით არის წარმოდგენილი. ეს ნაკეთობანი ჯერ კიდევ ცუდადაა გამომწვარი, მათი უსწორმასწორო ზედაპირის მქონე სქელი კეცი მოვარდისფრო-მონაცრისფრო-მოყვითალოა.ამ პერიოდის კერამიკა ადგილობრივი წარმომავლობის კირნარევი თიხით მზადდებოდა და გასამჭლევებლად ქარსის მინარევები ერეოდა.

ენეოლითის ბოლოს დასავლეთ საქართველოში ჩნდება ბრტყელძირიანი, უყურო, ძაბრისებურპირიანი ჭურჭელი. მეორე ჯგუფის ნიმუშებს სფერული ფორმის გამო ძირიც კი მომრგვალებული უკეთდება (ოქუმი, სამელე-კლდე, დარკვეთი, ფსოუ და სხვა). (2. ო.ლორთქიფანიძე, 2002, გვ. 54). აღმოსავლეთ საქართველოს შულავერ-შომუთეფეს კულტურის ქვემო ქართლის ნასახლარებზე (შულავრის გორა, იმირი, ამირი, არუხლო, წოფი და ა.შ.) და სიონის კომპლექსზე მოპოვებული საკმაოდ ტლანქი ქოთნისებური ჭურჭელიც გამოკვეთილად პლასტიკურ მოყვანილობას ღებულობს არა მარტო ფორმით, არამედ დეკორითაც. გირჩისებურად, ოვალურად თუ ლილვების სახით დაძერწილი ორნამენტის ელემენტები სხვადასხვა კომბინაციებით შემოუყვება ნაკეთობას **(სურ.1).**

მოგვიანებით ჩნდება რელიეფური ჯვრების, კლაკნილი ხაზების და ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებების მოტივებიც (არუხლო, ქვაცხელები) (3. თ. კიღურაძე, 1976, გვ. 65-107.,4. К. Кушнарева,Т. Чубинашвили, 1970, გვ. 24-26). ლითონის მეტალურგიის ზეგავლენით ქართული კერამიკა შავკრიალა ზედაპირს სწორედ მტკვარ-არაქსის ხანაში იძენს. ნაკეთობები ძირითადად შავი, ან რუხი მონაცრისფროა, სარჩული უმეტესწილად ვარდისფერია ქვს. მტკვარ-არაქსის კერამიკის ადრეული ნიმუშები: ორყურა და ცალყურა ქოთნები, ქილები, ჯამები, აგრეთვე ცილინდრულყელიანი ლარნაკები წითელკეცა გაპრიალებული ზედაპირითაც კეთდება. არც თუ იშვიათად თიხის ნაწარმი წერნაქითაა დაფარული (ღრმახევისთავი, თრელი, დიდუბე, სამშვილდე, კიკეთი, კოდა, ხიზანაანთ, გორაქვაცხელები,). მტკვარ-არაქსისკ ულტურის განვითარებულ ხანაში შავკრიალა კერამიკის ნიმუშებისთვის (ქვაცხელები, ამირანისგორა, ხიზანაანთგორა, თეთრიწყარო, სამშვილდე, იორისხეობა, მარტყოფი, კოდა, კიკეთი, დიდუბე, თრელი, სამთავრო, მეტეხი, ჟინვალი, საჩხერე, არაგვისა და ყვირილას ხეობები თუ სხვა) დამახასიათებელია ყელისძირზე ლენტისებირად დაძერწილი ნახევარმთვარისებური მცირე "ყური". ნაკეთობის შემკულობა გეომეტრიული-ზოომორფული მოტივებით არის გაჯერებული. აქვე ჩნდება სპირალის გამოსახულებაც. მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე გვხვდება წერნაქით (ანგობა) დაფარული ჭურჭელიც (ყვირილას ზემო წელის და რიონის შუა წელისხეობები, ქვაცხელები, ბეშთაშენი და სხვა). (5. ო.ჯაფარიძე, 1976, გვ. 62-168).

თრიალეთის კულტურის (ძვ.წ. III ათასწ. II ნახ. ძვ.წ. II ათასწლ. I ნახ.) ცნების ქვეშ გაერთიანებულ მომდევნო ეპოქებში თავდაპირველად ვრცელდება მარტყოფისა და ბედენის კულტურებისთვის დამახასიათებელი თიხის ნაკეთობანი. მარტყოფის კულტურის წრის ძეგლები ჯერ კიდევ ემსგავსებიან მტკვარ-არაქსის კულტურას, ხოლო ბედენის პერიოდი განსხვავებულია თავისი ძლიერ გაპრიალებული ზედაპირით. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ლითონისებური ბზინვარებისთვის თიხის ფორმებს მტკვარ-არაქსის დროსაც არ მიუღწევია (6. А. Н. Джавахишвили, 1947,გვ.125-132.,182). მომდევნო, თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანული კულტურის (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ.) ძეგლების ხელით ნაძერწი ფორმები ლითონის ტექნიკის (ცვარნამი, პუნსონი და სხვა) შესატყვისად შესრულებული დეკორის მოტივებით იმკობა **(სურ. 2).**

მათთვის დამახასიათებელია შტამპით (საბეჭდავი) შესრულებული ორნამენტი, აგრეთვე ფერადი წერნაქით მოხატული კერამიკა (სამცხე, თრიალეთი, კახეთი), **(სურ. 3).**

თრიალეთის კულტურის სპეციფიკური ნიშნები კომპლექსურ განვითარებას განიცდის გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალურ-კავკასიურ კულტურებში იმ დროინდელი აღმოსავლურ-ამიერკავკასიური კერამიკა მოიცავს ლჭაშენ-წითელ-გორისა და სამთავრული კულტურების არქეოლოგიურ ძეგლებს, ხოლო დასავლურ-კავკასიური აერთიანებს ე.წ. კოლხურ-ყობანურს. მათ ბევრი აქვს საერთო: შავილეგა, ან რუხი მონაცრისფრო, ზოგჯერ მოყავისფრო-წაბლისფერი ზედაპირის მქონე ჭურჭელს გეომეტრიული ორნამენტი ამშვენებს და ზოომორფული დეტალები უჩნდება. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებულ ძეგლებს სრული ზოომორფულობაც ახასიათებს (თრელიგორები) **(სურ.4).**

ისინი დამზადებულია სამეთუნეო მორგვზე

სურ. 1.

სურ. 3.



სურ. 4.

(ფორმის ამომყვან ჩარხზე), რომლის ფართოდ გავრცელებაც შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულიდან (ძვ.წ. XVს.) შეინიშნება. სამეთუნეო მორგვის ყოფაში დანერგვამ შესაძლებელი გახადა განლექილი თიხით თანაბარი სისქის კეცის ამოყვანა, რომლის წყალობითაც საგანი უფრო სწორი, სიმეტრიული გამოდის. გვიანბრინჯაოს

სურ. 4.

ხანიდან მოყოლებული ფართოდ გამოიყენება მრავალღუმელიანი სახელოსნოები. მათ ქართლში, ხოვლე გორას ნამოსახლარზე და კახეთში, ხირსას მიდამოებში მიაკვლიეს. აგრეთვე მკვიდრდება წერნაქის წითელი საღებავით საგნის მთლიანი, ან ნაწილობრივი დაფერვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხოვლეს, ცხინვალის ნაცარგორას ნამოსახლარებისა (ქართლი) დამელი-ღელე I-II-ის (კახეთი) სამლოცველოების, თრელის (ქართლი), მაღაროს, გადრეკილის, ჩანკაანის (კახეთი) სამაროვნებიდან ამოღებული კერამიკული ჭურჭლის სახელურებზე დაძერწილი ცხვრის, ვერძის და სხვა რქოსანი ცხოველების თავები. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში მოჭიქურებული თიხის ძეგლების პირველადი გამოჩენა. სამაროვნებზე მიკვლეული (მარალინ-დერესი, სამთავრო, დიღმისგორა-სამარხი) ქუსლმაღალი, ცალყურა სასმისები თავდაპირველად წერნაქის საღებავების ბლანტი ფენებითაა მოხატულიდა ზემოდან გამჭვირვალე ჭიქურის თხელი, მინისებრი შრით დაფარული (Б А Куфтин, 1941, გვ. 40—41). მაშინ როდესაც ჯერ კიდევ თრიალეთის კულტურის გორა-სამარხებში და გვიანბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოშიც (მელი-ღელე 1), "ნედლი" (მაღალტემპერატურიანი) და უფრო გამძლე ჭიქურით დაფარული ქაშანურის საგნებისა თუ ფრაგმენტების თითო-ოროლა ნიმუში აღმოჩნდა.ანტიკურ ხანაში (ძვ.წ.VII-IV სს.) ძლიერდება მეზობელი ქვეყნების გავლენები. კერძოდ, დასავლეთ საქართველოში ბერძნული სამყაროს,

ხოლო აღმოსავლეთში ირანული კულტურის ელემენტების გავრცელება შეინიშნება.

დასკვნა

უძველესი ქართული კერამიკის ძეგლების განხილვამ ცხადჰყო, რომ თავისი განვითარების რთულ და ხანგრძლივ გზაზე ამ დარგში სერიოზულ წყვეტილებს ადგილი არ ჰქონია. თიხის ნაკეთობების ფორმებისა თუ დეკორის ელემენტები საოცარ მდგრადობას იჩენს და მკვეთრი გარდატეხის დროსაც წინარე ხანების მონაპოვართან გენეტიკურ კავშირს ინარჩუნებს, რისი წყალობითაც მომდევნო ეპოქებშიც აგრძელებს აღმავლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ნებიერიძე, ნეოლითი, წიგნში; საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1992, გვ. 226-261.
2. ო.ლორთქიფანიძე, უძველესი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002,
3. თ. კიღურაძე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია,, თბილისი, 1976.
4. К. Кушнарева,Т. ЧубинашвилиДревниекультурыЮжногоКавказа, Ленинград. 1970.
5. ო.ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისთვის (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), 1976, გვ. 62-168.
6. А Н Джавахишвили, Геоморфологические районы Груз. ССР, Москва, 1947,გვ.125-132.,182.
7. Б А Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941.

Peculiarities of ceramics development in ancient Georgia

Maria Izoria, PhD student, Georgian Technical University

Summary

Since VIII-VII millennia BC in Georgia, as well as around the world, the society has mastered the technology of making pottery. It also covers the most important processes of preparation and baking of clay dough related to the extraction and processing of the material. The development of metallurgy in our country was facilitated by the existence of a resource to avoid different types of clay. The purpose of this article is to present the peculiarities of the development of Georgian ceramics based on a retrospective review of its conception and formation.

Not only the shape and decor of the pottery, but also the technology of its production have been developing since the Neolithic-Eneolithic era. Under the influence of metal metallurgy, Georgian ceramics acquired a black surface during the Mtkvari-Araks era. However, it achieves a strong brilliance in Beden culture. In the epochs of the brilliant Korghan culture of Mtkvari-Araks and Trialeti, pottery painted with colored ink also appears. In the Late Bronze Age, the product is made on a rolling pin. However, the most important news is the first appearance of glazed clay monuments in the east of our country. Examination of the monuments of ancient Georgian pottery reveals that in the difficult and long path of its development it always maintains a genetic connection with the achievements of earlier times.

თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია

(ისტორიულ - არქიტექტორული კვლევა)

ლევან ლაცაბიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სტატიაში მოკლედ არის აღწერილი თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მდებარეობა, ისტორია და ამჟამინდელი მდგომარეობა. საუბარია ტაძრის ინტერიერში ჩატარებული ახალი აღმოჩენებისას წარმოქმნილი ქართული ეკლესიის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების წარმოჩენის შუქზე მიღებულ ინფორმაციებზე, რომელთა ანალიზის მიხედვითაც გამოიკვეთა ეკლესიის თავდაპირველი გეგმები და კომფიგურაციები, მათი პროპორციები. გამოვლენილი ფენებიდან კვლევისთვის შეირჩა უფრო ადრეული პირველი ორი ფენის გეგმა, შესრულდა მათი ვიზუალური აღდგენა შესაბამისი პერიოდის ანალოგების მიხედვით და ზოგადად ქართული ტაძრების პროპორციების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, კლდისუბანი, ეკლესია, ბაზილიკა არქეოლოგია, რეკონსტრუქცია, პროპორციები.

შესავალი

თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ამჟამად მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარია რომელიც მდებარეობს ნარიყალაციხის- დედაციხის ჩრდილოეთ კალთაზე, სოლოლაკის ქედის კლდის ქარაფზე, ახლანდელი გომის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეკლესია ერთნავიანი დარბაზული ტიპისაა. ტაძრის ქვედა წყობა აგებულია სუფთად დამუშავებული ქვის ლოდებით, ზემოთა ნაწილში კი ფლეთილი ქვისა და ე.წ. ქართული აგურის მონაცვლეობითი წყობაა გამოყენებული. რაც შეეხება ჩრდილოეთ ფასადს, იგი მთლიანად ქართული აგურითაა ნაგები. დასავლეთ მხარეს, ისევე როგორც აღმოსავლეთის დასამხრეთის კედლები, ქვისა და აგურის შერეული წყობითაა ამოყვანილი. სამხრეთის ფასადზე აგურის წყობა შედარებით მეტი ინტესივობით გამოირჩევა. ამჟამინდელი ეკლესია XVIII საუკუნითაა დათარიღებული. ამას მოწმობს იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურული სტილი, არასრული წერილობითი წყაროები. მაგრამ 2007 წელს ტაძარში, პროფესორ მერაბ ძნელაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ, უშუალოდ ტაძრის თავდაპირველი აგების თარიღი სრულიად ახლებურად წარმოაჩინა. დაფიქსირდა ეკლესიის 6 სამშენებლო ფენა [ძნელაძე მ., 2024, გვ.70-80].

ყველაზე ადრეული - პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ეკლესიები შედარებით მომცრო ზომისანი უნდა ყოფილიყვნენ და განსხვავებული არქიტექტურული გეგმარებით გამოიყოფებოდნენ. პირველი და მეორე, მათი „ნალისებური ფორმის საკურთხეველი“ უდაოდ მათ ადრეულობაზე მოწმობს.

მე -20 საუკუნის დასაწყისის ფოტო. კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადი

21 -ე საუკუნის დასაწყისის ფოტო. კლდისუბნის წმ.გიორგის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადი

ძირითადი ნაწილი:

არქეოლოგიური კვლევების შედეგად გამოვ-ლინდა ეკლესიის სხვადასხვა პერიოდის ოთხი ძირითადი ფენა, მაგრამ ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მხოლოდ პირველი ორი, შედა-რებით უფრო ადრეული გეგმები. პირველი არის პატარა ზომის დარბაზული ნაგებობის ნაშთი, სტრატიგრაფიული და ისტორიული მონაცემებით იგი სავარაუდოდ V–VII საუკუნეებით თარიღდება, მეორე გეგმა კი უკვე ორნავიანი ბაზილიკის ტიპისაა და შესაძლოა X–XI-XII საუკუნეებს განეკუთვნოს.



თბილის კლდისუბნის ეკლესიის სხვადასხვა პერიოდის გეგმები

პირველი გეგმა უგუმბათო არქიტექტურის ყველაზე მარტივ ტიპს, ერთნავიან დარბაზულ ეკლესიას განეკუთვნება (ეკლესიის ზომები: 7,5მ X 5 მ. არქიტექტურულად და აგების პერიოდის მიხედვით კლდისუბნის ეკლესიის ადრეული გეგმა ძალზედ ახლოს დგას მოსაბრუნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან (VI-VII სს), რომელიც შიდა ქართლში ახალგორთან ახლოს მდებარობს. რო-გორც ზემოთ აღვნიშნეთ მისი **ნალისებური ფორმის საკურთხეველი** გვაძლევს საფუძველს, რომ პარალელები იმ დროის ქართულ საეკლესიო ნაგებობებთან გავაკეთოთ, რომელშიდაც ამ ტიპის საკურთხევლები უფრო ხშირად-აქტიურად გამოიყენებოდა [ჯაბუა ნ., 2012].



კლდისუბნის ეკლესიის პირველი გეგმა (V -VII სს.)



მოსაბრუნის ღვთისმშობლის ეკლესიის გეგმა (VI -VII სს.)

მოსაბრუნის ღვთისმშობლის ეკლესია (VI-VII სს). ფასადი



კლდისუბნის ეკლესიის (V -VII სს.) აღმოსავლეთ ფასადი (აღდგენა)

კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიის პირველი გეგმის რეკონსტრუქციისთვის ძირითად მოდულად აღებულ იქნა შიდა სივრცეში სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს შორის მანძილი - დაახლოებით 3-3,15 მეტრი (პირობითად M1), ხოლო მაქსიმალური სიმაღლის განსასაზღვრად აღებულ იქნა მოდულის ორმაგი ოდენობა 6,20 მეტრი (პირობითად M2),

აღმოსავლეთ და დასავლეთ ღერძის მიმართულების ფასადის პროპორციებისთვის გამოყენებული იქნა განსხვავებული მიდგომა, ე.წ. ოქროს კვეთის პრინციპი. კერძოდ კი ''ოქროს მართკუთხედი''ამავე გეგმის მიხედვით აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე მოხდა დაყოფა ოქროს მართკუთხედის პროპორციებით და ორ მონაკვეთად გაიყო ტაძრის სიგრძე. ერთი მონაკვეთი პირობითად აღნიშნული იქნა როგორც მოდული M1 და მეორე მონაკვეთი 1,6 ჯერ მეტი M1,6. ამავე ზომის არის სიმაღლე ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებისა კარნიზის თავამდე. ამგვარად

რამოდენიმე მეთოდის მიხედვით მოხდა პირველი ადრეული გეგმის მოცულობითი აღდგენა .



კლდისუბნის ეკლესიის (V -VII სს.) ჭრილი



კლდისუბნის ეკლესიის (V -VII სს.) სამხრეთის ფასადი





აღდგენა (იზომეტრია)



ქილდის ეკლესია. გეგმა (XI ს.)

ქილდის ეკლესია. ხედი ჩრდილო -აღმოსავლეთიდან (XI ს.)

კლდისუბნის ტაძრის მეორე გეგმა კი სავარაუდოდ XII- საუკუნეს განეკუთნება. ეს არის ორნავიანი ბაზილიკა. რომელიც გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, კერძოდ კი აღმოსავლეთის ფასადის შეტეხილობით გარდამავალი პერიოდის ძეგლებთან ასოცირდება და არქიტექტურულ სტილისტური თვალსაზრისით ახლოსაა ქილდის ორნავიან ეკლესიასთან (სამცხე-ჯავახეთი) [ელიზბარაშვილი ი. 1986.გვ.28-33]. ქილდის ეკლესია, როგორც გარდამავალი პერიოდის ეკლესია, მრავალი ნიშნით უახლოვდება ქართული ხუროთმოძღვრობის ამ პერიოდის ნიმუშებს. ესენია კონტრასტი შედარებით მეტად განათებულ მთავარ ნავსა და ნაკლებად განათებულ გვერით ნავს შორის, გარკვეულწილად ასიმეტრიული კომპოზიცია და სხვადასხვა დონეებზე განლაგებული ღიობები. ასევე გეგმის შედარებით იშვიათი და უჩვეულო გადაწყვეტა მოკლე გვერდითი ნავით და გამოხატული კონტრასტი ფასადებსა და ინტერიერს შორის, რომელიც უფრო ცოცხალი და დინამიურია.

კლდისუბნის ტაძრის მეორე გეგმის აღდგენა-რეკონსტრუქციისთვის რაიმე კონკრეტული და განსაკუთრებული მეთოდოლოგიის გამოყენება არ მომხდარა. ზოგადად შემოვიფარგლეთ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული თავისებურებებით.





კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია (რეკონსტრუქცია)



დასკვნა

ამგვარად, თბილისის კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა ძიების ფარგლებში აღმოჩენილი ადრეული ეკლესიების გეგმების არქიტექტურული ანალიზით თვალნათლივ იკვეთება პარალელები და ტიპოლოგიური მსგავსებები ანალოგიური პერიოდების სხვა საეკლესიო ძეგლებთან. ეს ქართული სატაძრო არქიტექტურითვის დამახასიათებელი ცნობადობა, სტრუქტურა და ფორმათა პროპორციების ჰარმონიულობა უწყვეტ ხაზად მიყვება მთელს ქართულ ხუროთმოძღვრებას და ამ შემთხვევაში არც წმ.გიორგის კლდისუბნის ეკლესიაა გამონაკლისი. ეს მრავალჭირნახული ძეგლი ქართული სატაძრო არქიტექტურა დღესაც ამშვენებს თბილისს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძნელაძე მ., თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესია. თბ- 2014
2. ნათელა ჯ., ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ- 2012.
3. ელიზბარაშვილი ი., - ქილდის ორნავიანი ეკლესია // ძეგლის მეგობარი, 1986.- კრ.71. - გვ.28-33.
4. Меписавили Р., Цинцадзе В., Архитетура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли. Тб., 1975.

Church of Saint George (Kldisubani)

Levan Latsabidze, PhD Student, Georgian Technical University

Sumarry

The article briefly describes the history of St. George Church in Kldisubani, Tbilisi, its location and current condition. We are talking about several historical layers of the church and their approximate configuration and forms and proportions. All this was based on the analysis of the remains of the early churches found in the interior of the church in Kldisubaniand also in the archeological excavations carried out at several locations around the temple. From the four identified layers, the plan of the first two layers of was selected for the study and they were visually restored, according to the analogues of that period and taking into account the proportions of Georgian temples in general.

დმანისი სავაჭრო გზაჯვარედინზე

ნანა რეზესიძე, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

დმანისი შუა საუკუნეებში წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქს, რომელიც მდებარეობდა სავაჭრო გზაჯვარედინზე, სადაც სამი მიმართულებით მიმავალი საერთაშორისო გზები იყრიდა თავს. სწორედ მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ აქცია იგი, ძლიერი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრად საქართველოს ძლიერების ხანაში. დმანისი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. ქალაქის ინტენსიური მშენებლობა განპირობებული იყო, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ისე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებით.

საკვანძო სიტყვები: დმანისი, გზაჯვარედინი, შუა საუკუნეები, სავაჭრო-ეკონომიკური.

შესავალი

ნაქალაქარი დმანისი ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი განსაკუთრებული, გამორჩეული ძეგლია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის უნიკალურია. მისი უნიკალურობა გამოიხატება იმაში, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ ტერიტორიაზე დაფიქსირდა უძველესი (1,8-1,7 მლნ.წ.) Homo-დან დაწყებული წინარე და ისტორიული ხანის თითქმის ყველა პერიოდის ნაშთები. შუა საუკუნეებში კი დმანისი თბილისის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა.

ძირითადი ნაწილი.

დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით 1936 წელს შექმნილმა დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჯერ ლევან მუსხელიშვილის, ხოლო შემდეგში ვახტანგ ჯაფარიძისა და ჯუმბერ კოპალიანის ხელმძღვანელობით გამოავლინა ქალაქის უბნები, შიდაციხე (სრულად), სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, ქუჩები, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაპოვარი.

დმანისის ნაქალაქარი მდებარეობს თბილისის სამხრეთით, საქართველო - სომხეთის მთავარი მაგისტრალის 85-ე კილომეტრზე, ორი მდინარის - მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან მდებარე მაღალ, ვულკანური წარმოშობის კონცხზე, რომლის სიმაღლე თითქმის 100 მეტრს აღწევს.

იგი, როგორც ძლიერი ქალაქი აშენდა IX-X საუკუნეებში. XI საუკუნეში ქალაქი თურქ-სელჩუკების მიერ იქნა განადგურებული. XI-XII საუკუნეებში ხელმეორედ აშენებულმა ქალაქმა XIV საუკუნის ბოლომდე იარსება. XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე თემურ ლენგის არაერთი შემოსევის შედეგად ქალაქი მთლიანად განადგურდა, შეიძლება ითქვას, რომ იგი მიწასთან იქნა გასწორებული და ამის შემდეგ დმანისი, როგორც ქალაქი წყვეტს არსებობას.

XVI საუკუნეში ქვემო ქართლის პატრონებმა - მმართველებმა ბარათაშვილებმა აღადგინეს ქალაქის ციხე და მოსახლეობის გარკვეული რაოდენობაც გაჩნდა ქალაქის ტერიტორიაზე, აღდგა ქალაქური ტიპის ცხოვრება.

დმანისი განვითარებულ შუა საუკუნეებში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ უძლიერეს ქალაქს წარმოადგენდა. იგი, როგორც ძლიერი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი ამ რეგიონში ცნობილი იყო სახელოსნოებით (კერამიკული, მინის და სხვ.), XIII საუკუნეში ზარაფხანითაც. საქართველოს ძლიერების ხანაში დმანისი საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა.

ქალაქების ინტენსიური მშენებლობა განპირობებული იყო, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ისე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებით. ქალაქების მშენებლობამ ხელი შეუწყო საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებას, გზების (საქარავნო) ინტენსიურ მშენებლობას. ქვეყანა თანდათან, განსაკუთრებით კი განვითარებულ შუა საუკუნეებში საერთაშორისო ყურადღების ქვეშ მოექცა.

მსოფლიო სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე ყოფნამ და სამხედრო-სტრატეგიულმა, ერთობ ხელსაყრელმა მდებარეობამ საქართველოს არგუნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელი ოქროს ხიდის საპატიო და ამასთანავე იმპერიათა საცილობელი ქვეყნის მძიმე ხვედრი [მაისურაძე. 2002. 34].

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე არასდროს ისეთ ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოში არ მოქცეულა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა X-XII საუკუნეებში. იგი ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობას ამყარებს აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებთან. ამ ეპოქაში საქართველო მსოფლიო კულტურულ ორომტრიალში იყო მოქცეული. გასაგებია, რატომაც დაიქსელა ოთხმხრივ გზებით, მაგრამ ამ გზების გაყვანის მთავარი სტიმული, მაინც ქვეყნის შინაგანი განვითარება იყო [ბერძენიშვილი. 1976.11].

მიუხედავად იმისა, რომ დმანისი, როგორც ქალაქი გვიან შუა საუკუნეებში აღარ ფუნქცი-

ონირებს, უცხოელ ავტორებს მაინც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად აქვთ წარმოდგენილი. მაგალითად იტალიელი მისიონერის კასტელის თქმით, ცნობილი ქალაქებია: თბილისი, ლორე, ახალციხე და დმანისი [დე კასტელი. 1976. 215]

საინტერესოა მკვლევართა მოსაზრებები ზოგადად შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობასთან დაკავშირებით.

შუა საუკუნეების ქალაქს, რომელიც წარმოადგენს ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრს, სადაც თავმოყრილია მოსახლეობის დიდი რაოდენობა, აქვს თავისი განსაკუთრებული საქალაქო წყობილება, აკისრია აგრეთვე სხვა ფუნქციები. კერძოდ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, სამხედრო-თავდაცვითი და კულტურული. ყველა ეს მახასიათებელი ნიშანი, ცხადია, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ქალაქის რაობის განსაზღვრისას. მაგრამ თავი და თავი, ჩვენი გაგებით, მაინც მისი ეკონომიკური მხარეახელოსნობა და ვაჭრობა, რამაც ესა თუ ის პუნქტი, თუ სამოსახლო ადგილი ქალაქად აქცია [აფრასიძე. 1984.15].

ქალაქის წარმოშობისათვის სოციალური დანაწევრება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, სადაც ახალი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, ახალი მწარმოებელი მასა, ხელოსნები და მათზე დაქვემდებარებული ვაჭრები ჭარბად არიან წარმოდგენილნი. ამდენად ქალაქები იყვნენ ვაჭრობის და ხელოსნობის ცენტრებად წარმოდგენილნი, რომელთა სიცოცხლის უნარიანობა და წარმატება მთლიანად დამოკიდებული იყო გზაზე და ბაზარზე. ძველი ქალაქები გზებზე მდებარე პუნქტებია, სადაც წინა რიგში საბაზრო ადგილია წამოწეული. ბაზარზე, ეკონომიკური ცხოვრების ამ ცენტრზე, და მის ავკარგიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული თვით ქალაქის სიძლიერე [ჭილაშვილი. 1970. 68].

როგორც საქართველოს, ასევე ამირკავკასიის შუა საუკუნეების ქალაქები დიდი ფართით არ გამოირჩეოდნენ. ხშირად ქალაქის ფართობს მის სიდიდეს განსაზღვრავდა ის ადგილმდებარეობა, სადაც ისინი იყვნენ გაშენებულნი. მაგალითისათვის გამოდგება თვით დმანისი, სადაც კონცხი ქალაქის გაფართოების საშუალებას არ იძლევა, მისი ფართობი ამ კონცხის იდენტურია და შეადგენს 13 ჰექტარს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დმანისის გაძლიერება განაპირობა მისმა საერთაშორისო სავაჭრო გზა-ჯვარედინზე მდებარეობამ.

დმანისში შემოდიოდა, როგორც თბილისთან დამაკავშირებელი, ასევე საერთაშორისო სავაჭრო გზები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, უძველესი, საერთაშორისო სავაჭრო გზა, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებს დასავლეთის ქვეყნებთან აკავშირებდა, გადიოდა საქართველოზე. იგი ,,აბრეშუმის გზის სახელით" არის შესული ისტორიულ ლიტერატურაში. სწორედ ამ გზის ერთი შტო გადიოდა დმანისთან. კერძოდ, წითელი ხიდიდან მომავალი გზა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გადიოდა დმანისზე. ,,წითელი ხიდი" ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, როგორც ,,გატეხილი ხიდი". XVII საუკუნეში ქართლის მეფე როსტომმა ააშენა ახალი ხიდი წითელი აგურით და ამიტომაც რუსებმა XIX საუკუნეში მას ,,წითელი ხიდი" უწოდეს.

ძალზე საინტერესოდ აღწერს ამ გზას (წითელი ხიდიდან დმანისამდე) ცნობილი გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი თავის,, მოგზაურობაში" - ,,გავიარე შულავერში …... აქედან ჩვენ გავყევით მდ. ქციის მარჯვენა ნაპირს პარალელურად ზევით. ამ მდინარეს სათავე თრიალეთში აქვს. . .შემდეგ ავყევით მაშავერის მარჯვენა ნაპირს ზევით და ერთი საათის შემდეგ მივედით მასზე მდებარე ოთხკუთხა ფორმის მქონე ჭაპალას ციხეში . . . შემდეგ მივედით ჩორში (ძვ. ბოლნისთან ახლოს ჯ.კ.). აქედან დასავლეთით მაშავერის მარჯვენა შენაკადით ბალიჭის ხევზე. აქედან გავემართეთ დასავლეთით და ნახევარ საათში ვიყავით მდინარე დამბლუტის ხევზე. მის ახლოს, მისსავე შესართავზე ზევით, მაშავერას მარჯვენა ნაპირთან მივედით სოფელ დმანისში . . . [გიულდენშტეტდი. 1962. 81]. გერმანელი ავტორი ოდესღაც ძლიერ ქალაქს ,,სოფელს" უწოდებს. ფაქტიურად, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, მართალია XVI საუკუნიდან ქალაქის ციხე აღდგენილია, მაგრამ მას კლასიკური (თავდაპირველი) სახე მაინცარ დაბრუნებია. ამდენად, უცხოელის თვალში იგი სოფელს ჰგავს. დამბლუტის ხევიდან გზა გაივლიდა დღევანდელ სოფელ მაშავერას, აქედან კი კლდეში გაჭრილი გზით შედიოდა ნაქალაქართან მდებარე სოფელ პატარა დმანისში. მოსახლეობა ამ გზას ,,აქლემის გზას" უწოდებდა, რადგანაც ქარავნები სომხეთში ბოლო დრომდე ამ გზით დადიოდნენ და მას მნიშვნელობა არ დაუკარგავს მანმადე, სანამ სომხეთის რკინიგზა არ გაიყვანეს [მუსხელიშვილი. 1938. 330].

ერთ-ერთი მთავარი, ძალზე მნიშვნელოვანი გზა შემოდიოდა დმანისში წინა აზიიდან, ირანიდან სომხეთზე გავლით. ლორე - ტაშირიდან დმანისში შემომავალ გზაზე არაერთი ისტორიული წყარო გვაქვს [ქართლის ცხოვრება, II, 187; პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, 22; კირაკოს განძაკეცი, ისტორია. 18.] ეს გზა შემოდიოდა დმანისში ლოქის მთის გადმოვლით. შემოდიოდა სოფ. პატარა დმანისთან ახლოს მდებარე ნასოფლარ ,,პანტიანში". აქ შემორჩენილია კოშკის ნანგრევები, რომელიც თავის დროზე საბაჟო უნდა ყოფილიყო.

დმანისში შემოდიოდა ასევე მნიშვნელოვანი

საქარავნო გზა დასავლეთ ევროპიდან, ბიზანტიის (შემდეგ თურქეთის) გავლით. კერძოდ, ეს გზა მოდიოდა ჯავახეთიდან, გაივლიდა დღევანდელი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ სალამალეიქს, სადაც ყოფილა ფუნდუკები და ქარვასლა (შემორჩენილია მათი ნანგრევები). აქედან გზა გაივლიდა სოფელ ზემო ყარაბულახს, მურის ციხეს და შედიოდა მაშავერას ხეობაში. ამ ხეობაში რამდენიმე ხიდის ნაშთებია შემორჩენილი. მაშავერის ხეობიდან ეს გზა შედიოდა ქალაქ დმანისში [ყაუხჩიშვილი. 346; კოპალიანი. 42].

როგორც უკვე მოგახსენეთ, დმანისში შედიოდა თბილისიდან მიმავალი სხვადასხვა მიმართულების გზები. კერძოდ, თბილისიდან გზა ადიოდა ტაბახმელაში, აქედან კოჯრამდე, შემდეგ გზა ვაშლოვნისკენ უხვევდა, აქიდან კი ფარცხისამდე გზა მიდიოდა ასურეთ - ერაგეთზე, ფარცხისიდან სამება - ზოვრეთ - დაღეთზე ძველი ქვემო ქართლის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ცენტრში – სამშვილდეში შედიოდა. აქედან ქვეშის გავლით აბულბუგ (აბულმუგი) - ვარდისუბნის გავლით ჩადიოდა მაშავერის ხეობაში და იგი უერთდებოდა დასავლეთით მიმავალ გზას.

დასკვნა

დმანისის, როგორც ძლიერი სავაჭრო-ეკონომიკური ქალაქის გაძლიერება განაპირობა მისმა საერთაშორისო სავაჭრო გზა-ჯვარედინზე მდებარეობამ.

დმანისში შემოდიოდა, როგორც თბილისთან დამაკავშირებელი, ასევე საერთაშორისო სავაჭრო გზები, როგორიც იყო აღმოსავლეთის ქვეყნების დასავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ე.წ. ,,აბრეშუმის გზის" ერთი შტო, აგრეთვე წინა აზიიდან, ირანიდან სომხეთზე გავლით შემომავალი გზა და ბოლოს დმანისში შემოდიოდა ასევე მნიშვნელოვანი საქარავნო გზა დასავლეთ ევროპიდან, ბიზანტიის (შემდეგ თურქეთის) გავლით.

სწორედ დმანისის სავაჭრო გზატკეცილზე მდებარეობამ აქცია იგი, შუა საუკუნეებში მნიშვნელოვან და მდიდარ სავაჭრო ქალაქად.

ილუსტრაციები



სურ. # 1 დმანისი ნაქალაქარი (ფერნანდო ხავიერ ურკიხოს ფოტო)

სურ. 3. სურ. #3 დმანისი ნაქალაქარი, გეგმა

სურ. 2. სამხრეთ კავკასიის გზები IX-XI სს-ში

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბილისი, 1984
2. გაბაშვილი ვ., საქართველოს ქალაქების ისტორიიდან, საქართველოს აღმოსავლური მასალები, წიგნი 1, თბილისი, 1976
3. გიულდენშტეტდის მოგზაურობა, I, თარგმანი გ. გელაშვილის, თბილისი, 1962
4. დონ ქრისტეფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი, 1976
5. კოპალიანი ჯ., დმანისის ციხე, თბილისი, 1996
6. მაისურაძე გ., ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII საუკუნეებში, თბილისი, 2002
7. მუსხელიშვილი ლ., დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული ,,შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბილისი, 1938
8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს, ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959
9. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, 1970

Dmanisi at the crossroads of trade

Nana Rezesidze, PhD student of Georgian Technical University

Summary

Dmanisi was one of the most important cities in the Middle Century, located at the crossroads of trade, where international roads leading in three directions turned. It was its strategic location that made it a strong trade and economic center during Georgia's heyday. Dmanisi has a special place in international trade relations. The intensive construction of the city was conditioned by the development of both the socio-economic and international trade relations of the country.

Keywords: Dmanisi, Crossroads, Middle Century, Trade-Economic.

ტურიზმი

TOURISM

მთის ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ოთარ ჯაფარიძე, მაგისტრანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარი ბანძელაძე, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ მაღალშემოსავლიან და მზარდ მიმართულებას წარმოადგენს ტურიზმი. ტურიზმის ბიზნესში ჩართული ყველა ქვეყანა ცდილობს საუკეთესო კუთხით წარმოადგნოს საკუთარი შესაძლებლობები და ამით მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი ტურისტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან - ერთის მხრივ მიიღოს სერიოზული ფინანსური მოგება და მეორეს მხრივ გააცნოს საკუთარი ქვეყანის ისტორია, კულტურა და ღირებულებები თანამედროვე მსოფლიოს.

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და ათეული წლებია უკვე ჩვენი ქვეყანა წლიდან-წლამდე სულ უფრო და უფრო მკვეთრად ჩანს მსოფლიო ტურისტულ რუკაზე. შესაბამისად, რომ არა კოვიდ პანდემიით გამოწვეული ფორს-მაჟორი, ის დღესაც ტურისტული მიმოსვლების აქტიურ ფაზაში იქნებოდა, რადგან ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-გეოგარფიული და ბუნებრივი გარემო ყველა სეზონის ტურიზმისთვის მეტად მიმზიდველია.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მთის ტურიზმი და ამ მიმართულებით არსებული სიტუაციის დეტალური შესწავლა, რადგან კონკრეტული დარგის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას სწორედ არსებული სურათის, პრობლემების თუ საჭიროებების ზედმიწევნით ცოდნაა - ეს კი სათანადო კვლევის გარეშე შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მთის ტურიზმი, მდგრადი განვითარება, ტურისტების ქცევის პრეფერენცია, მთის ტურიზმის პრობლემები, ტურისტების კვლევა, გიდების კვლევა.

შესავალი

ტურიზმის აღმავლობის ხანაში, როდესაც მსოფლიოს საზღვრები ღიაა ტურისტული მიმოსვლებისთვის (რათქმაუდნა მხედველობაში მაქვს პანდემიამდელი ვითარება, რადგან არსებული კოვიდ სიტუაცია მსოფლიო მასშტაბის ფორს-მაჟორს წარმოადგენს) და თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზულ წილს სწორედ ტურისტული ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები ქმნის, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი, გეოგრაფიულ-კულტურული შესაძლებლბებიდან გამომდინარე, ტურისტული პოტენციალი დიდწილად მოდის მთის ტურიზმის ხელშეწყობასა და პოპულარიზებაზე, რადგან მთის ტურიზმის სახეობები საინტერესო და მიმზიდველია არამხოლოდ სათავგადასავლო ტურების მოყვარულთათვის, არამედ მას შეუძლია თითქმის ყველა ტიპის ინტერესის მქონე ტურისტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მთის ტურიზმის დიდი და განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად, მთიანი რეგიონები დღეს არათანაბრადაა განვითარებული ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით - რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია ამათუიმ რეგიონის ნაკლებიცნობადობით,არასათანადოსაცხოვრებელი თუ სატრანსპორტო ინფრასტრქტურით, ადგილობრივი გიდების მზაობით და სხვადასხვა ყოფითი პრობლემებით.

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არაერთ საინტერესო კვლევას აწარმოებს წლიდან-წლამდე, დეტალური უშუალოდ მთის ტურიზმზე და მთაში მოგზაური ადამიანების ინტერესებზე მორგებული კვლევების

და სტატისტიკის არარსებობის გამო - ვერ მოხდება კონკრეტული პრობლემების და როგორც გარე, ასევე შიდა ტურისტების შეხედულებების და ინტერესების გათვალისწინება მთის ტურიზმის ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის დანიშნულება არის სწორედ დღეს, საქართველოში მთის ტურიზმის წინაშე არსებული გამოწვევების - მისი ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და ამ მეტად პერსპექტიული დარგის განვითარებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

ძირითადი ნაწილი:

მეთოდოლოგია

კვლევა ითვალისწინებდა ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული მხარეების **თვისებრივ** და **რაოდენობრივ კვლევას;**

მეთოდოლოგიის თანახმად კვლევის მიზანი იყო მთის ტურისტული პოტენციალის გამოვლენა - მთის ატრაქციების და ტურისტების პროფილების განსაზღვრა. ამასთან, საქართველოში განვითარებული მთის ტურიზმის ცალკეული მიმართულებების კონკრეტული საჭიროებების და პრობლემების იდენტიფიცირება -მათი მოგვარების და პრობლელემების შესაძლო გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

პანდემიური ფონიდან და არსებული რეგულაციებიდან გამომდინარე, თვისებრივი კვლევა წარიმართა ონლაინ პირისპირი გამოკითხვის მეთოდით - ჩატარდა ტურიზმის დეპატრამენტის წარმომადგენლებთან 1 ინტერვიუ, ადგილობრივ გიდებთან 9 ინტერვიუ, ტურისტული კომპანიების წარმომადგნელბთან 7 ინტერვიუ და ტურიზმის სფეროს ექსპერტებთან 3 ინტევიუ;

ხოლო რაოდენორბრივი კვლევისთვის განისაზღვრა ონლაინ დაუსწრებელი ანკეტიერების მეთოდი - მთის ტურიზმის გიდები - 50 ინტერვიუ, მთის ტურიზმით დაინტერესებული ადამიანები, რომელთაც ახასიათებთ მთის ტურიზმის რომელიმე სახეობისთვის მოგზაურობა - 150 ინტერვიუ;

კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევაში წარმოდგენილი ხუთივე სეგმენტის პასუხებიდან გამომდინარე, გავიგეთ სამიზნე სეგმენტების მნიშვნელოვანი პოზიციები მთის ტურიზმის წინაშე მდგარი გამოწვევებისა თუ პერსპექტივების შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ერთგვაროვანი პოზიციები, რომლებშიც თვისებრივი და რაოდენობირივი კვლევით გამოკითხული ხუთივე სეგმენტის მოსაზრება თითქმის ანალოგიურია და ემთხვევა ერთმანეთს, ესენია:

- **ინფრასტრუქტურული და ეკოლოგიური პრობლემები მთის ტურისტულ მარშრუტებზე** - კერძოდ, დაბინძურებული ტურისტული მარშრუტები, გაუმართავი საგზაო, ჰიგიენური და მოსასვენებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც დიდ პრობლემას უქმნის როგორც გიდებს, ტურისტული მარშრუტების განხორციელებისას, ასევე უარყოფითად ფასდება თავად მოგზაურების მხრიდან - როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტები ინფრასტრუქტურულ გაუმართვობას ფაქტიურად ნომერ პირველ პრობლემად ასახელებენ:
- **პროფესიონალი მომსახურე კადრების და იმ სერვისების ნაკლებობა, რომელიც აუცილებლია ტურისტული მომსახურებების კვალიფიციურად გასაწევად** - ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია არამარტო უშუალოდ ტურისტებისთვის, არამედ გიდებისთვის, რადგან მაღალ დონეზე ჩატარებული ტური აუცილებლობით საჭიროებს დამხმარე მომსახურების საშუალებებს, როგორებიცაა: გამართული გადაადგილების საშუალებები, ადგილზე - კვების, მოსასვენებელ თუ სავაჭრო ობიექტებში მომსახურე პერსონალის ტურისტული ნაკადებისთვის სათანადო მზაობა და ა.შ. (იხ.სურათი 2)
- **ტურისტული ზონების ქაოტური განაშენიანება და ამით ეკო-სისტემის და ავთენტურობის რღვევა** - მოცემული პრობლემის მნიშვნელოვნება დასტურდება როგორც გიდებში, ტურისტებში, ტურისტულ კომპანიებსა თუ სფეროს ექსპერტებში, ასევე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლის მხრიდანაც - რომელიც ხაზგასმითსაუბრობსგარემოსავთენტურობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე როგორც თავად ტურისტებისთვის, ასევე ზოგადად ტურიზმის მდგრადი განვითარების გეგმისთვის და ასევე ხაზს უსვამს იმასაც, რომ დღესდღეობით მთის ტურიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად საქართველოში რჩება რეგიონების ქაოსური განაშენიანება, რაც სწორედ იმას არღვევს, რაც ესოდენ ძლიერ იზიდავს ყველა კატეგორიის ტურისტს (იხ. სურათი 3).
- **მთის ტურისტული მიმართულებების და ატრაქციების ნაკლები მრავალფეროვნება,** რომელიც გამოწვეულია როგორც საჭირო პროფესიონალიზმის, ასევე სათანადო ინფრასტრუქტურის ნაკლებობით. სამთო ატრაქციების და ტურისტული გასართობების გამრავალფეროვნებისთვის ტურისტებიც



სურათი 1.



სურათი 2.



სურათი 3.

და გიდებიც გამოყოფდნენ ისეთ მიმართულებებს, რომელიც პოპულარულია სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა არ გვხვდება საქართველოში. მაგალითად: ვია-ფერატა, სპელეო ყვინთვა, ეთნო ტურები, მარხილებით და ვერტმფრენით ტურები და სხვა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ კი უკვე დამუშავებულია ეკო და აგრო ტურიზმის სტრატეგია, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მიიჩნევა პერსპექტიულ დარგად - მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ მახასიათებლებს, რაც აღნიშნული მიმართულებებისთვის ნოყიერ ნიადაგს იძლევა;

- **მივიღეთ ტურისტების პროფილებისა და მათი ქცევის მახასიათებლების საინტერესო სურათი - წარმოშობის ქვეყნების მიხედვით** (*გრაფიკი: ტურისტების მახასიათებლები 1, 2,3 და 4*):

საინტერესოა **მოწესრიგებულობის, პუნქტუალობის და გიდის ინსტრუქციების დაჯერების** მაღალი მაჩვენებელი ევროპული წარმოშობის ტურისტებში, ხოლო პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ტურისტებში - **დამჯერობის მაღალი მაჩვენებელი.** მაშინ როცა **პრეტენზიულობით** განსაკუთებით გამოირჩევიან ქართველი და აზია-აფრიკული წარმოშობის ტურისტები.





ასევე ტურისტების პროფილებში იკვეთება ტურისტების დაინტერესების მაღალი მაჩვენებელი ქართული კულტურის თავისებურებებით.

თუმცა აქვე ძალიან **საგრძნობია მოუწესრიგებლობის, არაპუნქტუალობის და თვითნებურად მოქმედებების მაჩვენებელი** ყველა კატეგორიის ტურისტებში - გარდა დასავლური ქვეყნების ტურისტებისა (ევროპა-ამერიკა), ასევე **კომფორტზე ორიენტირებულობის** მაღალი მაჩვენებელი განსაკუთრებით ქართველ და აზიელ ტურისტებში.



სურათი 6.

აზია-აფრიკის ქვეყნის ტურისტები **ნაკლებ ფეხით სამოძრაო ტურებს** ანიჭებენ უპირატესობას და რომ მეტად იზიდავთ **ზამთრის სახეობები**. ხოლო ქართველი ტურისტები გამოირჩევიან **სხვადასხვა მიზეზით წუწუნის** მაღალი მაჩვენებლებით.

და ბოლოს, ტურისტული მახასიათებლების მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს მათ მიერ მოგზაურობის დაგეგმვის ქცევა - ანუ ვისთან ერთად მოგზაურობენ:



წარმოდგენილი ციფრები მშვენივრად მეტყველებენ ტურისტების ქცევის ძალიან მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, რომელშიც დიდი დოზით ჩანს მათი კულტურის და ტრადიციების გავლენა მათსავე სამოგზაურო ქცევაზე - კერძოდ ის, რომ ქართველებს და აზიელებს ფაქტიურად არ ახასიათებთ მთაში **პარტნიორთან** ერთად მოგზაურობა - ან უბრალოდ ამის პოზიციონირებას არ ახდენენ და სარგებლობენ ტურისტული ჯგუფის ან სამეგობროს სტატუსით. ევროპა-ამერიკელი ტურისტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი მოგზაურობს **ინდივიდუალურად** - დანარჩენები არასდროს! ევროპელები ყველაზე ხშირად **ტურისტული ჯგუფების** სახით მოგზაურობენ, აზიელები - **ოჯახებთან** ერთად, ხოლო ქართველები - **სამეგობრო წრეში,** პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ტურისტებს კი ერთნაირად ახასიათებთ **სამეგობრო** და **ოჯახურ წრეში** მოგზაურობის გამოცდილება.

- **განისაზღვრა საქართველოში ყველაზე მეტად და ნაკლებად განვითარებული და პოპულარული მთის ტურიზმის სახეობები** (იხ. სურათი 8);



სურათი 8.

აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყნის ტურისტებში მაღალი ინტენსივობითაა წარმოდგენილი კულტურული და საფეხმავლო ტურები - რაც ბუნებრივია, რადგან უცხო ქვეყანაში ჩამოსვლის ერთ-ერთ ღირებულებას სწორედ განსხვავებული კულტურის გაცნობა წარმოადგენს, ხოლო მსუბუქი საფეხმავლო ტურების პოპულარობა იმითაა გამოწვეული რომ ის აერთიანებს აქტიურ მოძრაობას - რომელიც თითქმის ყველა კატეგორიის ტურისტისთვისაა შესაძლებელი, რეგიონის ბუნებრივი პირობების გაცნობას და ამავდროულად მთელი რიგი, ქვეყნისთვის და რეგიონისთვის დამახასიათებელი კულტურული თავისებურებების გაცნობასაც.

საინტერესოა განსხვავებული ინტერესების დაფიქსირება ტურის კატეგორიებთან მიმართებით - მაგალითად: გასტრონომიული და ღვინის ტურები

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ევროპელ და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ტურისტებში, მაშინ როდესაც აზია-აფრიკულ ჯგუფებში ფიქსირდება მომატებული ინტერესი ჯიპ-ტურებთან და საცხენოსნო ტურებთან მიმართებით, ასევე ამ კატეგორიის ადამიანებს აინტერესებთ ზამთრის ნაკლებად აქტიური სახეობები - რაც თოვლისადმი მათი განსაკუთრებული ინტერესით აიხსნება.

- **გამოიკვეთა პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევის შესაძლო გზა -** რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია ერთიანი, სისტემური თანამშრომლობა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის. ამ პროცესში ბუნებრივია ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, რომელმაც უნდა აწარმოოს სწორი პოლიტიკა, როგორც მარკეტინგული მიმართულებით, ასევე ტურიზმის ბიზნესში ჩართული მხარეების მიმართ რეგულაციების მიმართულებით - ეს განსაკუთრებით რთულია იქედან გამომდინარე, რომ ეს რეგულაციები თან უნდა უზრუნველყოფდნენ ადამიანების უსაფრთხოებას და თან ბიზნესების შეუფერხებელ მუშაობას.
- **გამოიკვეთა პოსტ-პანდემიური მოლოდინები** - რომელიც არაერთგვაროვანია, კერძოდ: გიდების და ტურ.სააგენტოების მხრიდან ფიქსირდება შიში ტურისტული ნაკადების შემცირებასთან დაკავშირებით, ხოლო ტურიზმის ადმინისტრაცია ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში, პანდემიის პრევენ-ციიდან გამომდინარე მეტად გაიზრდება მოთხოვნა მცირერიცხოვანი ჯგუფებით მთიან რეგიონში განსახორციელებელ ტურებზე - რაც მთის ტურიზმისთვის პირიქით, უპირატესობის მომცემია. ამ ოპტიმისტურ მოლოდინს ადასტურებს გამოკიხული ტურისტების სამომავლო ქცევა:

თუ ვივარაუდებთ, რომ უცხოელი ტურისტების სამომავლო განწყობებიც ანალოგიური იქნება მოგზაურობასთან მიმართებით - მითუმეტეს ამდენხნიანი „კარჩაკეტილობის“ ფონზე - ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ როგორც მსოფლიო, ასევე ადგილობრივ გონივრულ რეგულაციებს.

წარმოდგენილი ძირითადი მიგნებების საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ ჩვენი კვლევის ჰიპოთეზებთან მიმართებითაც და ვთქვთ, რომ პირველი ვარაუდი - **„ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს პროფესიონალი გიდების ნაკლებობა - რაც ტურისტების უკმაყოფილების მიზეზი შესაძლოა გახდეს“** - დასტურდება, რადგან გიდებიც, ტურისტებიც და ექსპერტებიც საუბრობენ პროფესიონალი კადრების ნაკლებობაზე გიდების სახით - თუმცა იკვეთება ამაზე მეტად პრობლემური საკითხები, რომლებზეც მიგნებებში ვისაუბრეთ და რომელთა მოუგვარებლობაც მეტ პრობლემას ქმნის ტურისტების კმაყოფილების და ზოგადად, ტურიზმის ბიზნესის განვითარების საქმეში;

მეორე ვარაუდი - **„უცხოელი ტურისტის მთავარი მოთხოვნა ადგილობრივი ღირშესანიშნაობების გაცნობაა - ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია პროფესიონალი გიდის მომსახურება. ქარ-თველი ტურისტები კი ხშირ შემთხვევაში გიდის მომსახურებით საერთოდ არ სარგებლობენ, ხოლო მათი მთავარი მოთხოვნა კომფორტულ ინფრასტრუქტურა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობაა“** - ასევე დასტურდება, რადგან როგორც გამოკითხვებით დადგინდა, გიდების უმრავლესობა ქართველ ტურისტებზე არ მუშაობს - ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ქართველებს იშვიათად ახასიათებთ გიდის მომსახურების გამოყენების ქცევა (იხ. სურათი 10);

თუმცა, ვარაუდში გამოთქმული მოსაზრება, რომ ქართველი ტურისტები უფრო მეტად არიან ორიენტირებული დისტანციურ სერვისებზე, ვიდრე კულტურულ და ისტორიულ ღირშესანიშნაობებზე - არ გამართლდა, რადგან მათ ინტრსებში ისევე ზის აღნიშნული ქცევის პრეფერენცია, როგორც უცხოელ ტურისტებში;

და ბოლოს, მესამე ვარაუდი, რომ - **„პანდემიით გამოწვეული ტურიზმის კრიზისდან გამომდინარე, ბევრმა პროფესიონალმა გიდმა სხვა სამსახური მოძებნა - ეს კი გაამწვავებს პროფესიონალი გიდების დეფიციტს ტურისტული სეზონების აღდგენის შემდგომ“** - არ დასტურდება, რადგან გამოკითხული გიდების 95% კვლავ აპირებს გიდათ მუშაობას პოსტ-პანდემიურ პერიოდში (ის. სურათი 11);



სურათი 10.

თუმცა, ვარაუდში გამოთქმული მოსაზრება, რომ ქართველი ტურისტები უფრო მეტად არიან ორიენტირებული დისტანციურ სერვისებზე, ვიდრე კულტურულ და ისტორიულ ღირშესანიშნაობებზე - არ გამართლდა, რადგან მათ ინტრსებში ისევე ზის აღნიშნული ქცევის პრეფერენცია, როგორც უცხოელ ტურისტებში;

და ბოლოს, მესამე ვარაუდი, რომ - **„პანდემიით გამოწვეული ტურიზმის კრიზისდან გამომდინარე, ბევრმა პროფესიონალმა გიდმა სხვა სამსახური მოძებნა - ეს კი გაამწვავებს პროფესიონალი გიდების დეფიციტს ტურისტული სეზონების აღდგენის შემდგომ“** - არ დასტურდება, რადგან გამოკითხული გიდების 95% კვლავ აპირებს გიდათ მუშაობას პოსტ-პანდემიურ პერიოდში (ის. სურათი 11);



სურათი 11.

დასკვნა

კვლევით მიღებული ინფორმაციის მასშტაბურობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე, მიმაჩნია რომ მისი მიზანი მიღწეულია - რომლის საფუძველზეც უკვე შესაძლებელია რეკომენდაციების შემუშავება მთის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, კერძოდ:

დღის წესრიგში დგას ტურისტულ ბიზნესში ჩართული მხარეების - განსაკუთრებით სერვისის მიმწოდებელი სტრუქტურების წარმომადგენლების მაღალ კვალიფიციურ დონეზე მომზადება-გადამზადების საკითხი - როგორც ცენტრალიზებულად, ასევე ადგლობრივ რეგიონულ ბაზარზე მოღვაწე მომსახურე პერსონალისთვის;

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის სწორი პოზიციონირების და მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება - რომელის დროსაც გათვალისწინებული იქნება ტურისტული პროფილები და ამის მიხედვით მათი კონკრეტული ინტერესები - შეთავაზებების სახით - რაც თავის მხრივ გამოიწვევს ახალი, ჩვენთვის მეტად სასურველი ტურისტული სეგმენტების მოზიდვას და ამავდროულად ქვეყნის უკვე არსებული იმიჯის დაცვა-შენარჩუნებას;

და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, გამოკვეთილ პრობლემათა მოგვარება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას სახელმწიფოს, კერძო ბიზნესების, ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების მხრიდან - ერთის მხრივ უნდა იყოს ხელისუფლების საკანონმდებლო და ფინანსური მზაობა მთის ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო პრობლემების მოგვარების საქმეში და მეორეს მხრივ, ადგილობრივი ბიზნესების, მოსახლეობის და

ტურისტების მზაობა - მიიღონ და განახორციელონ ის საჭირო ცვლილებები თუ ინიციატივები, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, მის სათანადო დატვირთულობას და ტურისტული სერვისების მომხმარებელზე მორგება-ორიენტირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საერთაშორისო ვიზიტორების კვლევა“, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2019
2. https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/
3. „შიდა ტურიზმის/მოგზაურობების სტატისტიკა“, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019
4. https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/

Problems of mountain tourism and development prospects in Georgia

Otar Japaridze, Master's student of GTU
Mari Bandzeladze, Associated professor University of Georgia

Summary

One of the highest grossing and fastest growing industries of the modern world is tourism. Every country that is involved in tourism industry tries to show off their abilities and attract as many tourists from all over the world as they can. The reasons for this are to get financial income, and to let the world know about their culture and values.

Georgia is no exception. Georgia has been involved in the tourism industry for decades, and it has been gaining more and more attention on a global scale. Due to the rich history and convenient Geographic location, Gaorgia is an attractive tourist destination on every season. Therefore, if not for the pandemic, Georgia would have been actively engaged in tourism business today.

Mountain tourism is one of the central aspects of Georgian tourism. To support tourism development in Georgia, it is essential to thoroughly study the existing situation in mountain tourism. For the development of any field, it is important to be fully aware of any kind of problems and needs that may arise, and to achieve this, conducting a proper research is vital.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

S C I E N C E S

ტრანსვერსალების ზოგიერთი თვისების შესახებ

სიმონ ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ტრანსვერსალის ხუთი თვისება. განხილულია შემთხვევა, როცა სამკუთხედის გვერდებზე გამავალი წრფეები გადაიკვეთებიან ერთსა და იმავე წრფესთან. დადგენილია თანაფარდობა ამგვარად მიღებულ მონაკვეთებს შორის. ნაჩვენებია, რომ თუ ორი სამკუთხედის შესაბამის წვეროებზე გამავალი წრფეები ერთ წერტილში გადაიკვეთება, მაშინ შესაბამის გვერდებზე გამავალი წრფეების გადაკვეთის წერტილები ერთ წრფეზე მდებარეობს. განხილულია შემთხვევა, როცა სამკუთხედის წვეროებზე გავლებული წრფეები ერთ წერტილში გადაიკვეთება. დადგენილია თანაფარდობა ამ წრფეებით სამკუთხედის გვერდების გადაკვეთისას მიღებულ მონაკვეთებს შორის.

საკვანძო სიტყვები: ტრანსვერსალი, წრფე, გადაკვეთის წერტილი, სამკუთხედი, წვერო.

ძირითადი ტექსტი

სამკუთხედის გვერდების გადამკვეთ ნებისმიერ წრფეს ტრანსვერსალს უწოდებენ [1].

ჩვენ შევეხებით ტრანსვერსალების რამდენიმე თვისებას.

ამოცანა 1. თუ ABC სამკუთხედის AB, AC და BC გვერდებზე (ნახ. 1) გამავალი წრფეები გადაიკვეთებიან ერთსა და იმავე წრფესთან A_1, B_1, C_1 წერტილებში, მაშინ ამგვარად მიღებულ მონაკვეთებს შორის ადგილი აქვს თანაფარდობას

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C_1A}{C_1B}=1. \qquad (1)$$

დამტკიცება. ვთქვათ, a, b, c, არის მანძილები სამკუთხედის წვეროებიდან ტრანსვერსალამდე. ვიგულისხმებთ, რომ AB= –BA. გვექნება, რომ

$$\frac{A_1B}{A_1C}=\frac{b}{c}, \qquad (2)$$

რადგან $\Delta CA_1C_2 \sim \Delta BA_1B_2$.



ნახ. 1

ასევე

$$\frac{B_1C}{C_1B}=\frac{c}{a}, \qquad (3)$$

ვინაიდან $\Delta A_2AB_1 \sim \Delta C_2CB_1$.

B_2C_1B და A_2C_1A სამკუთხედების მსგავსებიდან გამომდინარე

$$\frac{C_1A}{C_1B}=\frac{a}{b} \qquad (4)$$

გადავამრავლოთ (2), (3) და (4) ტოლობები წევრ-წევრად. მივიღებთ

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C_1A}{C_1B}=\frac{b}{c}\cdot\frac{c}{a}\cdot\frac{a}{b}=1.$$

ძალაშია ამოცანა 1-ის შებრუნებული

ამოცანა 2. თუ ABC სამკუთხედის AB, AC და BC გვერდებზე გამავალ წრფეებზე აღებულია ისეთი სამი C_1, B_1, A_1 წერტილი, რომ

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C_1A}{C_1B}=1 \qquad (5)$$

მაშინ ეს სამი წერტილი ერთ წრფეზე ძევს.

მართლაც, A_1B_1 წრფე გადაკვეთს AB გვერდზე გამავალ წრფეს C'_1 რაიმე წერტილში ისე, რომ ადგილი ექნება ტოლობას

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C'_1A}{C'_1B}=1 \qquad (6)$$

თუ შევადარებთ (5) და (6) ტოლობებს, მივიღებთ, რომ

$$\frac{C_1A}{C_1B}=\frac{C'_1A}{C'_1B}.$$

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ C_1 და C'_1 წერტილები ერთმანეთს ემთხვევა.

ამოცანა 3. თუ ABC და $A_1B_1C_1$ სამკუთხედების წვეროებზე გამავალი AA_1, BB_1 და CC_1 წრფეები ერთ წერტილში გადაიკვეთება, მაშინ შესაბამის გვერდებზე გამავალი წრფეების გადაკვეთის წერტილები ერთ წრფეზე ძევს.

დამტკიცება. ვთქვათ, D არის BC და B_1C_1 წრფეების გადაკვეთის წერტილი (ნახ. 2).



ნახ. 2

E არის AC და A_1C_1 წრფეების გადაკვეთის წერტილი, ხოლო F არის AB და A_1B_1 წრფეების გადაკვეთის წერტილი. უნდა ვაჩვენოთ, რომ F, D, E წერტილები ერთ წრფეზე ძევს, ანუ ადგილი აქვს ტოლობას:

$$\frac{DB}{DC}\cdot\frac{EC}{EA}\cdot\frac{FA}{FB}=1 \qquad (7)$$

მართლაც, ABC სამკუთხედზე გამავალი წრფეები, გადაკვეთილი DB_1C_1 ტრანსვერსალით, მოგვცემს

$$\frac{DB}{DC}\cdot\frac{C_1C}{C_1O}\cdot\frac{B_1O}{B_1B}=1 \qquad (8)$$

ტოლობას.

ანალოგიურად OCA და OAB სამკუთხედები, გადაკვეთილი, შესაბამისად, EC_1A_1 და FA_1B_1 ტრანსვერსალებით, იძლევა

$$\frac{EC}{EA}\cdot\frac{A_1A}{A_1O}\cdot\frac{C_1O}{C_1C}=1 \qquad (9)$$

და

$$\frac{FA}{FB}\cdot\frac{B_1B}{B_1O}\cdot\frac{A_1O}{A_1A}=1 \qquad (10)$$

ტოლობებს.

(8), (9) და (10) თანაფარდობების წევრ-წევრად გადამრავლებით და შემდეგ გამარტივებით მივიღებთ (7) თანაფარდობას.

ამოცანა 4. თუ ABC სამკუთხედის წვეროებზე გავლებული AA_1, BB_1, CC_1 წრფეები (ნახ. 3) ერთსა და იმავე წერტილში გადაიკვეთება, მაშინ ეს წრფეები AB, AC, BC გვერდებს გადაკვეთენ, შესაბამისად, ისეთ სამ წერტილში, რომ ადგილი ექნება თანაფარდობას.

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C_1A}{C_1B}=-1. \qquad (11)$$



ნახ. 3

დამტკიცება. BB_1 ტრანსვერსალით სამკუთხედის გადაკვეთისას გვექნება

$$\frac{BA_1}{BC}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{OA}{OA_1}=1. \qquad (12)$$

AA_1B სამკუთხედის CC_1 ტრანსვერსალით გადაკვეთისას მივიღებთ

$$\frac{CA_1}{CB}\cdot\frac{C_1B}{C_1A}\cdot\frac{OA}{OA_1}=1. \qquad (13)$$

თუ (12) ტოლობას წევრ-წევრად გავყოფთ (13) ტოლობაზე და შევკვეცავთ $\frac{OA}{OA_1}$-ზე, მივიღებთ

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C_1A}{C_1B}\cdot\frac{CB}{BC}=1.$$

უკანასკნელი ტოლობა ტოლძალოვანია დასამტკიცებელი (11) ტოლობის, რადგან

$$CB=-BC.$$

ძალაშია ამოცანა 4-ის შებრუნებული ამოცანა

ამოცანა 5. თუ ABC სამკუთხედის გვერდებზე გამავალ წრფეებზე აღებულია სამი წერტილი A_1,B_1,C_1 ისე რომ ადგილი აქვს ტოლობას

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C_1A}{C_1B}=-1, \qquad (14)$$

მაშინ AA_1, BB_1, CC_1 წრფეები ერთ წერტილში გაივლის.

დამტკიცება. ვთქვათ, O წერტილი AA_1 და

BB_1 წრფეების გადაკვეთის წერტილია. OC წრფე გადაკვეთს AB წრფეს რაიმე C'_1 წერტილში ისე, რომ

$$\frac{A_1B}{A_1C}\cdot\frac{B_1C}{B_1A}\cdot\frac{C'_1A}{C'_1B}=-1. \qquad (5)$$

(14) და (15) ტოლობების შედარებით მივიღებთ

$$\frac{C_1A}{C_1B}=\frac{C'_1A}{C'_1B}.$$

მაშასადამე, C_1 და C'_1 წერტილები ერთმანეთს უთავსდება. ამით თეორემა დამტკიცებულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟ. ადამარი. ელემენტარული გეომეტრია, პირველი ნაწილი, თბილისი, 1951, 723 გვ.

On some properties of transversals

Simon Bitsadze, Associated professor of Georgian Technical University

Summary

Abstract: The work deals with five properties of transversals. There is considered a case, when the lines passing through triangle sides intersect with one and the same line. A ratio between line segments obtained this way is established. There is shown that if the lines passing through corresponding apexes of two triangles intersect in one point, then the points of intersection of lines passing through corresponding sides are located at one line. There is considered a case, when the lines drawn through triangle apexes intersect in one point. A ratio between line segments obtained when these lines intersect triangle sides is established.

Key words: transversal, line, point of intersection, triangle, apex.

მონაკვეთების აგება მათი კომბინაციების მიხედვით

სიმონ ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე:

ნაშრომში განხილულია ორი ამოცანა – მონაკვეთების ჯამის და ნამრავლის საშუალებით ამ მონაკვეთების აგება და მონაკვეთების აგება მათი სხვაობისა და ნამრავლის საშუალებით. გარდა აგებისა, დადგენილია პირველი ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობა. მეორე ამოცანისათვის კი ნაჩვენებია, რომ მისი გადაწყვეტა შესაძლებელია ყოველთვის.

საკვანძო სიტყვები: მონაკვეთი, წერტილი, სამკუთხედი, წრეწირი, მსგავსი.

განვიხილოთ ამოცანები აგებაზე.

ამოცანა 1. მონაკვეთების ჯამისა და ნამრავლის საშუალებით ავაგოთ ეს მონაკვეთები.

ვთქვათ, ასაგებია ისეთი ორი მონაკვეთი x და y, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობებს

$$\begin{cases} x + y = a \\ xy = b \end{cases}.$$

ავიღოთ $a=AB$ მონაკვეთი (ნახ. 1). A და B წერტილებიდან ერთი მიმართულებით აღვმართოთ მართობები $BC = z$ და $AD = \frac{b}{z}$.



ნახ. 1

საძიებელ ორ მონაკვეთად, რომელთა ჯამი უდრის AB მონაკვეთს, შეიძლება განვიხილოთ AE და EB მონაკვეთები, სადაც E არის AB მონაკვეთის გარკვეული წერტილი, ისეთი, რომ ადგილი ექნება ტოლობას

$$AE \cdot EB = AD \cdot BC, \qquad (1)$$

საიდანაც მიიღება თანაფარდობა

$$\frac{AE}{AD} = \frac{BC}{EB}.$$

(1) თანაფარდობა იმაზე მიუთითებს, რომ

$$\Delta ADE \sim \Delta BEC.$$

აქედან გამომდინარე

$$AED = \quad ECB.$$

ე.ი. AED და CEB კუთხეები დამატებითი კუთხეებია და, აქედან გამომდინარე, DEC კუთხე იქნება მართი. მაშასადამე, E წერტილი მდებარეობს წრეწირზე, რომელსაც დიამეტრად აქვს DC მონაკვეთი.

და, პირიქით, თუ DC დიამეტრის წრეწირი კვეთს AB მონაკვეთს E წერტილში, მაშინ AED და CEB სამკუთხედები მსგავსია, რადგან მათი გვერდები ურთიერთმართობულია. ამიტომ გვექნება თანაფარდობა

$$\frac{AE}{AD} = \frac{BC}{EB},$$

ანუ

$$AE \cdot EB = AD \cdot BC.$$

ახლა გავარკვიოთ, როგორია აგების შესაძლებლობის პირობები. x და y მივიჩნიოთ ტოლ სიდიდეებად. მაშინ $ADCB$ ოთხკუთხედი წარმოადგენს მართკუთხედს და DC მონაკვეთის შუა წერტილი AB მონაკვეთიდან AD მონაკვეთის ტოლი მანძილითაა დაშორებული და წრეწირის რადიუსი უდრის DC-ს ნახევარს, ანუ AB-ს ნახევარს, მაშასადამე, წრეწირი გადაკვეთს AB-ს, თუ მონაკვეთი AD ტოლია სულ დიდი AB-ს ნახევრის, ანუ, თუ b ტოლია სულ დიდი AB მონაკვეთის ნახევრის კვადრატის.

ვთქვათ, F წერტილი აკმაყოფილებს დასმული ამოცანის პირობებს. ავაგოთ მოცემული ფიგურის სიმეტრიული ფიგურა AB მონაკვეთის შუა წერტილის მიმართ. ასე მივიღებთ ისეთ F წერტილს, რომელსაც იგივე თვისებები ექნება, რაც E წერტილს, ვინაიდან

$$BF = AE \qquad AF = BE.$$

და

როგორც ვხედავთ, DC დიამეტრის მქონე წრეწირის AB წრფესთან გადაკვეთის ორივე E და F წერტილი სიმეტრიულია AB წრფის შუა წერტილის.

თუ მოცემული ნამრავლი ტოლია AB-ს ნახევრის კვადრატის, მაშინ DC დიამეტრის მქონე წრეწირი ეხება AB-ს. ე.ი.

$$AE = BE.$$

აქედან გამომდინარე, ორი მონაკვეთის ნამრავლი, რომელთა ჯამი მუდმივია, იქნება უდიდესი, თუ ეს მონაკვეთები იქნება ტოლი.

ამოცანა 2. მონაკვეთების სხვაობისა და ნამრავლის საშუალებით ავაგოთ ეს მონაკვეთები.

ვთქვათ, ასაგებია ისეთი x და y მონაკვეთები, რომლებიც აკმაყოფილებენ პირობებს

$$\begin{cases} x - y = a \\ xy = b \end{cases}.$$

ავიღოთ $a=AB$ მონაკვეთი (ნახ. 2). A და B წერტილებიდან სხვადასხვა მიმართულებით აღვმართოთ მართობები $z=AC$ და $BD=b/z$, რადგან



ნახ. 2

საძიებელი მონაკვეთების სხვაობა ტოლია AB-სი, ამიტომ საძიებელი მონაკვეთები შეგვიძლია წარმოვადგინოთ AE და CE მონაკვეთებით, სადაც E არის წერტილი, აღებული AB-ს გაგრძელებაზე ისე, რომ ადგილი ჰქონდეს ტოლობას

$$AE \cdot BE = AC \cdot BD,$$

საიდანაც მიიღება თანაფარდობა

$$\frac{AE}{AC} = \frac{BD}{BE}.$$

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ AEC და BDE სამკუთხედები მსგავსია. აქედან გამომდინარე

$$ECA = \quad BAD$$

ე.ი. CAE და BAD კუთხეები დამატებითი კუთხეებია. მაშასადამე, $\angle CED$ მართია. აქედან გამომდინარე, E წერტილი მდებარეობს წრეწირზე, რომელსაც დიამეტრად აქვს CD.

პირიქით, თუ CD დიამეტრის მქონე წრეწირი AB მონაკვეთის გაგრძელებას კვეთს E წერტილში, მაშ $ECA = \quad BED,$

როგორც მართობულ გვერდებიანი კუთხეები. მაშასადამე

$$\Delta AEC \sim \Delta BED.$$

აქედან გამომდინარე, ადგილი ექნება თანაფარდობას

$$\frac{AE}{AC} = \frac{BD}{BE},$$

საიდანაც

$$AE \cdot BE = AC \cdot BD.$$

რაც იმაზე მიუთითებს, რომ $BE=x$ და $AE=y$.

ბუნებრივია დაისვას კითხვა – როგორია აგების შესაძლებლობის პირობები? ვინაიდან C და D წერტილები AB მონაკვეთის სხვადასხვა მხარეს მდებარეობს, ამიტომ CD დიამეტრის მქონე წრეწირი გადაკვეთს AB წრფეს. აქედან გამომდინარე კი დავასკვნით, რომ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ყოველთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟ. ადამარი. ელემენტარული გეომეტრია, პირველი ნაწილი, თბილისი, 1951, 723 გვ.

Line segments construction according to their combinations

Simon Bitsadze, Associated professor of Georgian Technical University

Summary

Two problems are considered in the work – construction of line segments by means of the sum and product of these segments and construction of segments using their difference and product. Besides the construction, the opportunity of first problem solution is established, as well. As for the second problem, there is shown that its solution is possible every time.

Key words: line segment, point, triangle, circle, similar.

სენსორული დისკრიმინაციის საფუძვლები ვირტუალური სხეულის in vitro ტვინის უჯრედულ პასუხებში

ხატია ნადირაშვილი, დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დავით სონღულაშვილი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ცეზარ გოლეთიანი, პროფესორი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენ ვქმნით დისოცირებული ქერქული კულტურისა და ვირტუალური სხეულის (დქკ-ვს) ახალ სისტემას, რომელსაც უნარი ექნება განასხვავოს სხვადასხვა მოდალობისა და თავისებურებების მქონე სენსორული გამღიზიანებლები და ამის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ქცევა - მოტორული პასუხები. ჩვენს მიერ შექმნილი სისტემა შესაძლოა გამოყენებულ იქნას მრავალი ფიზიოლოგიური თუ პათო-ფიზიოლოგიური პროცესის მოდელირებისთვის, განსაკუთრებით სენსორული სისტემების და ნეიროპროთეზების მიმართულების კვლევებში. კვლევის მიზანს წარმოადგენს ელექტროფიზიოლოგიური მიდგომებით დისოცირებული ქერქული კულტურის ახლადჩამოყალიბებულ ნერვულ ქსელებში დასწავლის შესაბამის ფუნქციურ ცვლილებებზე დაკვირვება. იგულისხმება დაკვირვება ნეირობიოლოგიური თავისებურებების მთელ ჯაჭვზე - მათი ჩასახვიდან (ინფორმაციის მიღება) საბოლოო ფორმირებამდე (დასწავლა და მეხსიერება) - რაც ქმნის ცხოველთა ქცევის ნეირობიოლოგიურ საფუძველს. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ხანგრძლივი (65 დღე in vitro) დისოცირებული ქერქული კულტურის ნეირონთა აქტიურობის თავისებურებები და სენსორული სტიმულების დისკრიმინაციის ნეირონული ელექტროფიზიოლოგიური საფუძვლები, რომლებიც ვლინდება ნეირონული ქსელების შერჩევით მგრძნობელობაში განსხვავებული ხასიათის ელექტრული სტიმულების მიმართ.

საკვანძო სიტყვები: დისოცირებული ქერქული კულტურა, ნეირონი, ნერვული ქსელები, ნეირო-რობოტული კიბორგული სისტემა, მულტიელექტროდული მესერი.

შესავალი

ნეირომეცნიერებისა და ფიზიკური ინჟინერიის კავშირმა შესაძლებელი გახადა ნეირო-რობოტული სისტემების განვითარება, რასაც უაღრესად დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია კაცობრიობის მომავლისთვის. ტვინთან დაკავშირებული ხელსაწყოების შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1924 წლიდან არსებობს, როდესაც ჰანს ბერგერმა აღმოაჩინა თავის ტვინის ელექტრული აქტიურობა და გალვანომეტრის საშუალებით ჩაიწერა პაციენტის ელექტროენცეფალოგრამა (ეეგ) სიგნალების ათიათასჯერ გაძლიერებით. მანვე დაადგინა, რომ თავის ტვინის ელექტრული აქტიურობა არ არის ქაოსური, არამედ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს, ასახავს მის ფუნქციურ მდგომარეობას და სპეციფიკურად რეაგირებს სენსორულ სტიმულებზე. ამის შემდეგ მუდმივად ხდებოდა ტვინთან დაკავშირებული ხელსაწყოების განვითარება.

ტვინთან დაკავშირებულ ხელსაწყოებს შორის მნიშვნელოვან სამეცნიერო მიღწევას წარმოადგენს „in vitro“ დისოცირებული ნეირონული კულტურისა და ამით მართვადი რობოტის ან ვირტუალური სხეულის უკუკავშირული სისტემა [1, 2, 16, 19]. მასში რობოტი (ან ვირტუალური სხეული) სენსორების საშუალებით იღებს ინფორმაციას და ელექტრული სტიმულების სახით გადასცემს ნერვულ ქსოვილს, რომლის დინამიკური პროცესებიც [6, 18] განსაზღვრავს ნეირონთა რთული ბუნების აქტიურობას, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ სპეციალური ალგორითმებით სისტემის ხელოვნური ნაწილის სამართავად [9, 11, 17]. ე.წ. “შეკრული ყულფის უკუკავშირული სისტემის” [16] საშუალებით ტვინი მუდმივად ღებულობს ინფორმაციას ხელოვნური სხეულის შესახებ, საკუთარი შეცდომებიდან თუ წარმატებებიდან სწავლობს, იმახსოვრებს და ღებულობს გადაწყვეტილებებს. დღესდღეობით არსებულ მსგავს სისტემებს უნარი გააჩნია დაისწავლოს სხვადასხვა სახის ქცევები და დროთა განმავლობაში გაიუმჯობესოს კიდეც უნარები. მოცემულ სისტემებს მრავალმხრივი მნიშვნელობა გააჩნია ნეირომეცნიერების ფუნდამენტური საკითხების კვლევისთვის: მრავალი ფიზიოლოგიური თუ პათო-ფიზიოლოგიური პროცესის მოდელირებისათვის [12, 13, 19]; აღქმის, დასწავლის და მეხსიერების საფუძვლების კვლევისთვის; იმის გასაგებად, თუ როგორ ამუშავებს ტვინი ინფორმაციას და აწარმოებს მრავალგვარ გამოთვლებს. შესაძლოა, მსგავსი სისტემები დაგვეხმაროს იმის გარკვევაშიც, თუ როგორ ყალიბდება ცნობიერება, ემოციები; თუ რატომ და როგორ ირღვევა ეს იდეალური სისტემა ნევროლოგიური დაავადებების დროს. ამასთან, ნეირომეცნიერული კვლევებისთვის ამ „in vitro“, მაგრამ „in vivo“-ს მსგავს სისტემებს [5,

14, 15] გარკვეული უპირატესობანი გააჩნია თავის ქალაში მოქცეულ ბუნებრივ ტვინთან შედარებით. იგი საშუალებას გვაძლევს პირდაპირ, არაინვაზიურად, დინამიკაში მოვახდინოთ მრავალმხრივი და ხანგრძლივი დაკვირვება ნერვულ კულტურაზე იმ დროს, როდესაც იგი ჩართულია სხვადასხვა ნეიროფიზიოლოგიური პროცესის განხორციელებაში [4, 7, 15] მიუხედავად ამ მიმართულებით არსებული რამდენიმე ნოვატორული კვლევისა [3, 8, 10], ჯერჯერობით ძალზედ მწირია მონაცემები რობოტის მმართველი დისოცირებული ქერქული კულტურის ახლად ფორმირებად ნერვულ ქსელებში დასწავლის შესაბამისი სტრუქტურულ-ფუნქციური საფუძვლების შესახებ. აუცილებელია, ერთის მხრივ, ასეთი სისტემების დახვეწა და მეორეს მხრივ - გარკვევა მათი ნერვული კომპონენტის თვისობრივი მახასიათებლებისა, რათა შევაფასოთ ნერვული ქსოვილისა და ხელოვნური სხეულის ურთიერთთავსებადობის შესაძლებლობები.

მოცემულ კვლევაში განვითარებულ იქნა თავის ტვინის დისოცირებული ქერქული კულტურის ხანგრძლივი (65 დღის) კულტივირების მეთოდიკა მულტიელექტროდულ მესერზე, რომლის განმავლობაშიც მორფოლოგიური კონტროლის ფონზე შეისწავლებოდა მულტი- და ერთეულ-ნეირონული აქტიურობის ჩამოყალიბების თავისებურებები და სენსორული სტიმულების დისკრიმინაციის ნერვული საფუძვლები. კვლევებმა გვიჩვენა, რომ ნეირონული ქსელების განვითარების პარალელურად, მასში აშკარად ყალიბდება სენსორული დისკრიმინაციის ნერვული საფუძვლები სხვადასხვა სიხშირის, ინტენსივობისა და ხანგრძლივობის ელექტრულ სტიმულებზე შერჩევითად პასუხების გენერირების სახით.

ძირითადი ნაწილი

მასალა და მეთოდები

თავის ტვინის ქერქის დისოცირებული კულტურის გამოზრდა მულტიელექტროდულ მესერზე ხანგრძლივი გამოყენებისთვის. კვლევის ობიექტს წარმოადგენს თავის ტვინის ქერქის დისოცირებული კულტურა. მის მოსამზადებლად ქერქული ქსოვილის მოპოვება ხორციელდებოდა ლაბორატორიული ალბინოსი ვირთაგვას (≈30 ც) ემბრიონებიდან, ჩასახვიდან მე-18 დღეს. გააქტიურებული პაპაინის საშუალებით დისოცირების პროცედურების შემდეგ კულტურის 20 მკლ-ს ვათავსებთ პოლიეთილენიმინით და ლამინინით დამუშავებული მულტიელექტროდული მესერის ფსკერზე სიმჭიდროვით - 1000 – 3000 უჯრედი მკლ-ში (სურ. 1, 2). საკვებ არედ ვიყენებთ ე. წ. ჰიბერნაციულ მედიუმს გლუტამაქსით და B27 დანამატებით (Thermofisher Co.), რომელიც საშუალებას გვაძლევს CO_2-ის გარეშე გავზარდოთ კულტურა. მისი შეცვლა ხორცილდება კვირაში 2-ჯერ. (მეთოდიკა წარმოადგენს პოტერის ჯგუფის მიდგომების [5, 15] ჩვენეულ მოდიფიცირებას) კულტურის საინკუბაციო გარემოს შექმნა (36°C და 65% ტენიანობით) ხორციელდება უშუალოდ ელექტროფიზიოლოგიური მოწყობილობის ირგვლივ და ნარჩუნდება ექსპერიმენტების განმავლობაში, რაც შეიძლება გაგრძელდეს ორი ან მეტი თვე. სტერილურობის და მედიუმის P(H)≈7.4 გარემოს შენარჩუნების მიზნით ვიყენებთ სპეციალურ ხუფს, რომელიც ეფარება მულტიელექტროდულ ხელსაწყოს, რაც ხელს უწყობს ასევე, ევაპორაციისგან კულტურის დაცვას.

დისოცირებული ქერქული კულტურის მორფოლოგიური კონტროლი.

კულტურის დამზადების მე-2 დღიდან კვირაში 2-ჯერ ხორციელდება სინათლის მიკროსკოპით 20-დან 100-მდე გადიდებით ნეირონული ბოჭკოების განვითარების ხარისხის დადგენა. კარგად განვითარებული ნერვული ბადე მეტყველებს კულტურისთვის შექმნილი პირობების შესაბამისობაზე და ფუნქციურ აქტიურობასთან ერთად გვიქმნის ექსპერიმენტების გაგრძელების წინაპირობას.

მულტინეირონული და ერთეულნეირონული უჯრედგარე აქტიურობის ელექტროფიზიოლოგიური კვლევა. ტვინ-რობოტული კიბორგული სისტემის განვითარებისათვის აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რა სახის ნეირონულ სიგნალებს გვაძლევს დისოცირებული ქერქული კულტურა და რა კატეგორიის პლასტიურობა ახასიათებს ელექტრული სტიმულების საპასუხოდ. მულტიელექტროდული მესერი საშუალებას იძლევა ნებისმიერი ელექტროდიდან, ნებისმიერი რიგით აღვრიცხოთ ნეირონების აქტიურობა და მოვახდინოთ სტიმულაცია. ელექტრული სტიმულაციებისა და მიღებული სიგნალების ანალიზის უკუკავშირული მიდგომით ვავითა-რებთ ვირტუალური სხეულის მქონე in vitro ტვინის კიბორგულ სისტემას. აღნიშნულ სისტემაში ვირტუალური სხეულის მოქმედება განპირობებულია ნერვული ქსოვილის აქტიურობით, რასაც, თავის მხრივ, ელექტრულ სტიმულებად გარდაქმნილი ვირტუალური სხეულიდან მოწოდებული ინფორმაცია განაპირობებს.

ნეირონული კულტურის სხვადასხვა ტიპის ელექტრული სტიმულაციისთვის და ნეირონული აქტიურობის საანალიზოდ გამოიყენება პრეგამაძლიერებელი - Multichannelsystem-MEA1060 და სტიმულატორი - STG4002 (სურ. 2 (ა, ბ). შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის (MC_Rack, MC_Stimulus, MEA_Select Multichannelsystems Co.) მეშვეობით ხორციელდება უჯრედული კულტურის სტიმულაცია ელექტროდების ნებისმიერი ჯგუფიდან, ნეირონული აქტიურობის ჩაწერა ყველა ელექტროდიდან და მონაცემთა გამოყოფა შემდგომი ანალიზისთვის.



სურ 1. 60 ელექტროდიანი მულტიელექტროდული მესერი MEA60 (მარცხნივ) და მასზე ელექტროდების განლაგების რიგი და ნუმერაცია არხების შესაბამისად (მარჯვნივ) (Multichannelsystems Co.).



სურ. 2. მრავალარხიანი ელექტროფიზიოლოგიური მოწყობილობა - პრეგამაძლიერებელი - Multichannelsystem-MEA1060 და შესაბამისი ელექტროფიზიოლოგიური სტიმულების გენერატორი - STG4002 (Multichannelsystems Co.).

სასტიმულაციოდ გამოიყენება ორფაზიანი სწორკუთხა იმპულსები დადებით-უარყოფითი გადახრებით, ფაზით 100 მკ.სეკ, ძაბვით 100-დან 900 მვ-მდე. კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოდგენილია 300 მვ იმპულსები, მათი ერთეული, წყვილადი - 30 მსეკ-ის დაყოვნებით, 5 ჰც, 10 ჰც , 20 ჰც, 50 ჰც და 100 ჰც - 1 სეკ-ის ხანგრძლივობით. 60 არხიანი სისტემა საშუალებას გვაძლევს მოვიძიოთ ყველაზე ეფექტური სასტიმულაციო უბანი და ჩავიწეროთ ყველა ელექტროდიდან.

მოცემულ ნაწილში ხორციელდებოდა სპონტანური ნეირონული აქტიურობის აღრიცხვა, რაც, ასევე, წარმოადგენდა ფონს - კონტროლს კვლევის შემდგომი ნაწილისთვის. ანალოგური სიგნალებიდან ხორციელდება დაბალი სიხშირეების მოჭრა არტეფაქტებისა და ველის პასუხების ბლოკირებისთვის და მაღალი სიხშირეების შერჩევა (მაღალი გამავლობის ფილტრი >200ჰც). შემდეგ, საჭიროების მიხედვით, ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის ელექტრული სტიმულების გამოყენება ზემოთ მოცემული რიგით. ასევე, ხორციელდებოდა სხვადასხვა სასტიმულაციო უბნების მოსინჯვა ოპტიმალური ვერსიის შერჩევისათვის. აღირიცხებოდა მულტინეირონული განმუხტვები, ხოლო შემდეგ, ერთეულ-ნეირონული აქტიურობის გამოცალკევება ნეირონული განმუხტვების ამპლიტუდისა და ფორმების იდენტიფიცირებით MC_Rack პროგრამის ანალიზური ფუნქციების გამოყენებით. მრავალარხიანი სისტემა საშუალებას გვაძლევს სიგნალების აღრიცხვისთვის 60 არხიდან, რაც მათი სივრცული განაწილების შესახებაც გვაძლევს ინფორმაციას.

კვლევის შედეგები და განხილვა

დისოცირებული ქერქული კულტურის მორფოლოგიური კონტროლი. დამზადების დღეს ჰემოციტომეტრის საშუალებით მოწმდება უჯრედების მდგომარეობა და სიხშირე. ნათელი ბურთულისებრი გამოსახულებები მიგვანიშნებს, რომ თავის ტვინის ქერქის ენზიმური დამუშავების შედეგად ნერვულმა და გლიურმა უჯრედებმა დაკარგა ქსოვილური სტრუქტურა და სრულიად დისოცირებული სახე მიიღო; ასევე, მიგვანიშნებს უჯრედების სიჯანსაღეზე და შემდგომი - ექსპერიმენტული ნაწილის სანდოობაზე.

ექსპერიმენტულ ნაწილში მორფოლოგიური კონტროლი ხორციელდებოდა კვირაში 2-ჯერ

მულტიელექტროდული მესერის 2 ერთსა და იმავე უბანში. საუკეთესო შემთხვევებში, 1 კვირის შემდეგ უკვე აღინიშნებოდა ნეირონების დიფერენციაცია და მოკლე ბოჭკოების განვითარება. ბოჭკოვანი ბადე უფრო ინტენსიური ხდებოდა მე-2 კვირის შემდეგ, რაც ასაკთან შესაბამისობაში იზრდებოდა.



სურ. 3. ერთიდაიგივე ნეირონული კულტურის მორფოლოგიური სურათები სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე: ა - დამზადების დღეს, ბ - in vitro მე-11 დღეს, გ - მე-20 დღეს, დ - 57-ე დღეს.

კულტურის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით აღინიშნებოდა უარყოფითი ცვლილებებიც, - უჯრედული კონცენტრაციის თანდათანობითი კლება და ნალექები. საუკეთესო შემთხვევებში აღინიშნა 65 დღის ფუნქციურად - ელექტრო-ფიზიოლოგიურად აქტიური კულტურები (სურ. 3), რაც საერთაშორისო მიდგომებითაც საკმაოდ კარგ შედეგად ითვლება.

მულტინეირონული და ერთეულნეირონული უჯრედგარე აქტიურობის ელექტროფიზიოლოგიური კვლევა. ფუნქციურად აქტიური ნეირონული კულტურის სპონტანური აქტიურობის აღრიცხვას მოჰყვებოდა სხვადასხვა ტიპის სტიმულების გამოცდა და ეფექტური სასტიმულაციო პარადიგმების გამოვლენა. აღნიშნულმა ეტაპმა გამოავლინა, რომ სხვადასხვა ელექტროფიზიოლოგიურ ჩანაწერებში სპეციფიკურ კულტურებსა და ერთიდაიგივე კულტურის სხვადასხვა უბნებში ნეირონული ქსელები გამორჩეულად პასუხუნარიანია გარკვეულ სტიმულებზე მაშინ, როდესაც ნაკლებად პასუხობენ ან იგნორირებას უწევენ სხვა ტიპის სტიმულებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერი რითმი თუ აქტიურობის სახე ნეირონულ ქსელებში კონკრეტულ ფიზიკურ სუბსტრატებსა და ფიზიკის საერთო კანონზომიერებებს ექვემდებარება, გასაგები უნდა იყოს აღნიშნული მოვლენის ბუნებაც: განვითარებად ნეირონულ ქსელებში შემთხვევითად ან თუნდაც, გარკვეული კანონზომიერებების შესაბამისი ზომის, ფორმისა და სირთულის კავშირები მყარდება, რომლებშიც, პასუხების გენერირებისას, რევერბერაციის შესაბამისად, ელექტრული სტიმულების გარკვეულ სიხშირეებს ენიჭება უპირატესობა.

ქვემოთ მოცემულ სურათზე (სურ. 4) მულტინეირონული აქტიურობა გვიჩვენებს, რომ საწყის ეტაპზე არ ხდება აქტიურობის წარმოშობა, ხოლო წყვილადი სტიმულაციის შედეგად (300 მვ, სტიმულთა შორის 30 მსეკ. ინტერვალით) გენერირდება პასუხები, რომლებიც შემდეგ ძლიერდება და იზრდება ამპლიტუდაში. კვლევებით დავადგინეთ, რომ პასუხუნარიანობის ეფექტურობის მიხედვით გამოირჩევა წყვილადი სტიმულაცია. დაფიქსირებულ ფეთქებად აქტიურობაში ჩანს, რომ ნეირონულ ქსელში შემავალი ინფორმაცია მეორდება და გადაეცემა სხვა ქსელებსაც, რომლებიც ერთობლივად პასუხობენ სტიმულზე. აღნიშნული ჩანაწერი, ასევე, ხაზს უსვამს შედარებით მოგვიანო პასუხების მნიშვნელობასაც, რომლებიც ინფორმაციის დამუშავების და შენახვის პროცესებს უნდა ასახავდეს.



Channel/ Unit	Num. Of Spikes	Mean Spike Frequency [Hz]	Num. Bursts	Bursts per Second	Bursts per Minute	% of Spikes in Burst	Mean Burst Duration [ms]	Mean Spikes in Burst	Mean ISI in Burst [ms]	Mean Spike Frequency in Burst [Hz]	Mean Interburst Interval [ms]
16_unit0	5742	18,14	167	0,528	31,66	53,88	64,51	18,53	3,68	271,69	1812,67

სურ. 4. წყვილადი 300 მვ სტიმულაცია, სტიმულთშორისი ინტერვალით 30 მსეკ, - გავლენა მულტინეირონულ აქტიურობაზე. ქვემოთ რიცხვებში მოცემულია პარამეტრები: ფეთქებადი აქტიურობის ხანგრძლივობა წამში და წუთში; სპაიკების რაოდენობა ფეთქების დროს; ფეთქებათა საშუალო რაოდენობა და სხვა.

შემდეგ სურათზე (სურ. 5) იგივე ჩანაწერისთვის ელექტროსტიმულაციების შემდეგ ხშირადაა მოცემული სტიმულაციის შემდგომი მყისიერი პასუხები, რომლებიც ცხადად ფიქსირდება ასეთ - ერთეულ-ნეირონულ გამოცალკევებულ პასუხებში, რისი დაფიქსირებაც მულტინეირონული აქტივობის ჩანაწერის შემთხვევაში გაგვიჭირდებოდა. ანუ, ფიქსირდება უჯრედული პასუხების ორგვარი ბუნება - მყისიერი გამოწვეული პასუხები და მოგვიანო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. აღნიშნული უნდა ასახავდეს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სხვადასხვა ეტაპებს.



სურ. 5. მოცემულია ერთი ნეირონის გამოცალკევებული პასუხები. რომელიც გამოწვეულია 30 მსეკ ინტერვალის მქონე 300 მვ წყვილადი სტიმულაციით. მუქი ხაზებით გამოსახულია ერთეულ-ნეირონული აქტიურობა, ღია ხაზებით - ელექტრული სტიმულები.

შემდეგ გამოსახულებაზე (სურ. 6) მოცემულია ოცდაათიოდე წყვილადი სტიმულის მიმდებარე მცირე - 700 მსეკ-ის დროითი ინტერვალი. მოცემული შედარება განხორციელდა იმის გასარკვევად, თუ რამდენად უკავშირდებოდა მოცემული პასუხების აღმოცენება კონკრეტულ სასტიმულაციო სესიებს. ნაჩვენებია, რომ სიგნალები ელექტროსტიმულაციების შემდეგ მნიშვნელოვნად აღემატება უჯრედულ პასუხებს მათ გამოყენებამდე.

განსხვავებული ტიპის ელექტრულ სტიმულებზე შერჩევითი პასუხუნარიანობის დემონსტრირებისთვის მოცემულია შემდეგი სურათი (სურ. 7), სადაც თვალნათლივ ჩანს წყვილადი ელექტრლი სტიმულებისადმი ნეირონული ქსელების მიდრეკილება 10 ჰც იგივე ინტენსივობის ელექტრულ სტიმულებთან შედარებით.

ზოგჯერ აღინიშნებოდა განსხვავებული ბუნების სელექტიურობაც - უპირატესობის მინიჭება დაბალსიხშირული (5 ჰც) სტიმულების მიმართ, ზოგჯერ - მაღალსიხშირულების მიმართ (50 ჰც



სურ. 6. წყვილადი 300 მვ სტიმულაციის გამააქტიურებელი გავლენა ერთეულნეირონულ პასუხებზე. სასტიმულაციო მომენტი ნაჩვენებია მე-3 და მე-4 სვეტს შორის შავი წერტილით.

და მეტი). ჩვენი მოსაზრებით, ნებისმიერ შემთხვევაში, ნეირონული ქსელების ასეთი შერჩევითი ბუნება დაკავშირებული უნდა იყოს ნეირონული ქსელების მარყუჟების სიგრძესთან და სხვა ფიზიკურ მახასიათებლებთან.



სურ. 7. წყვილადი 300 მვ სტიმულაციის უპირატესი გავლენა 10 ჰც იგივე ინტენსივობის სტიმულებთან შედარებით ერთსა და იმავე ნეირონულ ქსელებზე. მუქი ფერის ვერტიკალური ხაზები გვიჩვენებს ერთეული ნეირონის აქტიურობის სიხშირეს; ღია ფერის ვერტიკალური ხაზებით ნაჩვენებია სტიმულაციების ხდომილება: შედარებით მოკლე ვერტიკალური ღია ხაზები შეესაბამება წყვილად სტიმულებს, მაღალი ღია ვერტიკალური ხაზები კი 10 ჰც-იან სტიმულაციას.

დასკვნა

1. სპონტანური ნეირონული აქტიურობის გენერირება იწყება დაახლოებით მე-5 დღიდან in vitro.

2. პოტენციალების გენერირება მნიშვნელოვნად უკავშირდება დენდრიტული ბადის განვითარებას.

3. ნეირონულ ქსელებს ახასიათებს გამოკვეთილი სპეციფიკურობა ელექტრული სტიმულების სიხშირის და ინტენსივობის მიმართ, რაც სენსორული დისკრიმინაციის საფუძვლებს ქმნის.

4. სტიმულაციების ხშირ განმეორებას შესაძლოა მოჰყვეს მულტინეირონულ აქტიურობაში სხვა კომპონენტების გაჩენა, რაც გამოიხატება მაღალამპლიტუდური პასუხების გენერირებაში, რომლებიც, დიდი ალბათობით, სხვა ნეირონული ქსელების ჩართვითაა განპირობებული.

5. ჰიბერნაციული მედიუმის საშუალებით ნეირონების კულტივირება მეთოდოლოგიურ სიახლეს წარმოადგენს. კვლევებმა აჩვენა, რომ იგი ზრდის ნეირონების სიცოცხლის-უნარიანობას (65 დღემდე), თუმცა, რამდენადმე აქვეითებს მათ ფიზიოლოგიურ აქტიურობას.

6. ელექტრულ სტიმულებზე ნეირონები პასუხობენ ორგვარი დაყოვნების პასუხებით - მყისიერი - ადრეული და მოგვიანო პასუხებით. ხშირად ასეთი პასუხები ფეთქებადი აქტიურობის ხასიათს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bakkum DJ, Gamblen PM, Ben-Ary G, Chao ZC, Potter SM. MEART: The Semi-Living Artist. Front Neurorobot. 2007:2;1:5
2. DeMarse and Dockendorf, Adaptive flight control with living neuronal networks on microelectrode arrays (2005). Proceedings of the International Joint Conference on Neural Networks
3. DeMarse T, Cadotte A, Douglas P, He P, Trinh V.DeMarse et al., 2004; Computation within cultured neural networks. Conf Proc IEEE Eng Med Biol Soc. 2004;7:5340-3
4. Ghezzi D, Menegon A, Pedrocchi A, Valtorta F, Ferrigno G. A Micro-Electrode Array device coupled to a laser-based system for the local stimulation of neurons by optical release of glutamate. J Neurosci Methods. 2008,175(1):70-8
5. Hales CM, Rolston JD, Potter SM. How to Culture, Record and Stimulate Neuronal Networks on Micro-electrode Arrays (MEAs). 2010. Journal of Visualized Experiments. doi: 10.3791/2056
6. Janjarasjitt S, Scher MS, Loparo KA. Nonlinear dynamical analysis of the neonatal EEG time series: the relationship between neurodevelopment and complexity. Clin Neurophysiol. 2008,119(4):822-36
7. Ju L, Zeng H, Chen Y, Wu Y, Wang B, Xu Q. Dual polarization of microglia isolated from mixed glial cell cultures. J Neurosci Res. 2015,93(9):1345-52
8. Kanzaki R, Nagasawa S, Shimoyama I. Neural basis of odor-source searching behavior in insect brain systems evaluated with a mobile robot. Chem Senses. 2005,Suppl 1:i285-6
9. Kositsky M, Chiappalone M, Alford ST, Mussa-Ivaldi FA. Brain-machine interactions for assessing the dynamics of neural systems. Front Neurorobot. 2009,3:1
10. Martinoia S, Massobrio P, Bove M, Massobrio G. Cultured neurons coupled to microelectrode arrays: circuit models, simulations and experimental data. IEEE Trans Biomed Eng. 2004,51(5):859-64
11. Mussa-Ivaldi FA, Alford ST, Chiappalone M, Fadiga L, Karniel A, Kositsky M, Maggiolini E, Panzeri S, Sanguineti V, Semprini M, Vato A. New Perspectives on the Dialogue between Brains and Machines. Front Neurosci. 2010,4:44
12. Pamies D, Hartung T, Hogberg HT. Biological and medical applications of a brain-on-a-chip. Exp Biol Med (Maywood). 2014,239(9):1096-107
13. Park CN, Nawabi DH, Christopher J, Conditt MA, Ranawat AS. Robotic-assisted femoral osteochondroplasty is more precise than a freehand technique in a Sawbone model. J Hip Preserv Surg. 2015,2(2):136-44
14. Potter, S. M., Wagenaar, D. A., and DeMarse, T. B. Closing the loop: stimulation feedback systems for embodied MEA cultures. In Advances in Network Electrophysiology Using Multi-Electrode Arrays, 2006. M. Taketani and M. Baudry, eds (New York, Springer)
15. Potter SM, DeMarse TB. New approach to neural cell culture for long-term studies.J Neurosci Methods. 2001,110(1-2):17-24
16. Potter SM, El Hady A, Fetz EE. Closed-loop neuroscience and neuroengineering. Front Neural Circuits. 2014,8:115
17. Reger BD, Fleming KM, Sanguineti V, Alford S, Mussa-Ivaldi FA. Connecting brains to robots: an artificial body for studying the computational properties of neural tissues. Artif Life. 2000 Fall;6(4):307-24
18. Theiler J, Rapp PE. Re-examination of the evidence for low-dimensional, nonlinear structure in the human electroencephalogram. Electroencephalogr Clin Neurophysiol. 1996,98(3):213-22
19. Warwick K. The promice and threat of modern cybernetics. South Med J. 2007, 100(1):112-4. Review

Basics for sensory discrimination in the neuronal responses of in vitro brain of virtual body

Khatia Nadirashvili, PhD student of Technical University of Georgia
David Songulashvili, Professor of Georcian Technical University
Cezar Goletiani, Professor of Free University of Tbilisi

Summary

We are creating a new cyborg system of dissociated cortical culture and virtual body that is capable to perform proper motor behavioral responses by sensory stimuli of different modalities and features. The system created by us, could be used to simulate many physiological or pathophysiological processes, especially in researching of sensory systems and neuroprosthetics.

The goal of our presented study is to observe through innovative electrophysiological research the neural basics of sensory discrimination and functional changes of the neural networks caused by training of neurons with different kinds of electric stimuli. For that reason we are using the newly formed neural networks of dissociated neural culture, in which we intend to observe learning processes from the beginning to their final formation.

Key Words: Dissociated cortical culture, neuron, neural network, neuro-robotic cyborg systems, Multielectrode array.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოსაქვეყნებლად სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს, აწყობილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცლის ცალ გვერდზე, 1.5 ინტერვალით, შრიფტი 12. სამუშაო ქაღალდის ველის ზომები: ზედა – 20 მმ, ქვედა – 20 მმ, მარცხენა – 30 მმ, მარჯვენა – 20 მმ;

აუცილებელია ნაშრომის ფიზიკური ვერსიის წარდგენა, ელექტრონული ვერსია კი შეიძლება წარმოადგინოთ დისკით, ან გამოაგზავნოთ ჟურნალის ელექტრონულ მისამართზე.

პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში აღინიშნება ავტორის სახელი (სრულად), გვარი, სამეცნიერო წოდება, თანამდებობა, სამუშაო ადგილი.

სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იქნას ქართულ და უცხოურ ენებზე. მას უნდა ახლდეს რეზიუმე (დაახლოებით 130 სიტყვა). რეზიუმეშიც სტატიის სათაური და ავტორის/ავტორთა მონაცემები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

ნაშრომის სტრუქტურა:

1. **რეზიუმე ქართულ ენაზე;**
2. **საკვანძო სიტყვები;**
3. **შესავალი**
4. **ძირითადი ნაწილი**
5. **დასკვნა**
6. **ლიტერატურა**
7. **რეზიუმე უცხოურ ენაზე**

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს სილფაინის შრიფტით. უცხო ენებზე შერულებული ნაშრომი – Times New Roman შრიფტით;
- სტატია გაფორმებული უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებენ ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;
- კრებულის ერთ ტომში დაშვებულია ერთი და იმავე ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
- ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორს;
- მაგისტრანტების ნაშრომი ერთპიროვნულად უნდა იყოს შესრულებული;
- გამოსაქვეყნებელ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი დარგის მიმართულების ხელმძღვანელის ან პროფესორის მოკლე რეცენზია-რეკომენდაცია.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 6 კორპუსი, სართული 8, ოთახი 801 ᵇ.
ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://gtu.ge/Journals/newsletters/

ტელ.: 68-13 (შიდა); 599-557-993; 599-553-980; E-mail: ganatleba2018@gmail.com.